იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

ნაშრომში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, გაშუქებულია საქართველოს ეკლესიის წიაღში უძველესი დროიდან არსებული და დღემდე შემორჩენილი მაცხოვრის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, წმ. მოციქულთა, წმ. მამებისა და წმ. გიორგის სახელთან დაკავშირებული წმინდა ნაწილების ისტორია. შრომაში აგრეთვე, დიდი ადგილი ეთმობა ქართველთა განმანათლებლის - წმინდა ნინოსა და ასურელი მამების ღვაწლსა და მათ სახელთან დაკავშირებული სიწმინდეების აღწერას. ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: ღვთისმეტველების კანდიდატი, დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ედიშერ ჭელიძე

ნაშრომისათვის გრიფის მინიჭების დადგენილება გამოტანილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ, 2006 წლის 30 იანვარს (ოქმი №1).

ნაშრომში გამოყენებული ფოტომასალა მოგვაწოდეს ლუარსაბ ტოგონიძემ და პაატა ვარდანაშვილმა.

© ელდარ ბუბულაშვილი

ISBN - 978-99940-900-0-6

წინათქმა

ქრისტიანობის ისტორია საქართველოში ესაა ქართველი ერის დაუსრულებელი მონაწილეობა ცხოველმყოფელ სიწმინდეებში, რადგან ქართლი, „წმინდანთა დედად“ წოდებული იოანე საბანისძის მიერ, ოდითგანვე შეიმკო და იკურთხა სიწმიდეებით, რამაც ჭეშმარიტ ჰიეროფოროსად, ჭეშმარიტ სიწმინდეშემოსილად გამოაჩინა იგი, როგორც საღვთო მადლისვლენათა სულიერი ჭურჭელი და განძისმცველი. მას შემდეგ, რაც უდიდესმა სიწმინდემ, უფლის უკერველმა კვართმა სავანე და სამარხი ქართლის მიწაში ჰპოვა, ეს მიწა ერთი საგალობლის სიტყვებისებრ, „იკურთხა მის წილ აწ და უკუნისამდე“. ამ ჟამიდან მოკიდებული, ქართველი ერი ცხოვრობს სიწმინდეებით და სწორედ ესაა ქართლის ცხოვრება. ცხადია, სიწმინდედ გვეგულვის ყოველივე ის, რაც მაცხოვნებელ მოძღვრებას, მაცხოვარებას უკავშირდება. ამ მხრივ საქართველოს ეკლესიის საგანძური დაულევნელია: უძველესი საეკლესიო ტექსტები (სხვა ენებზე არაიშვიათად დაკარგულნი), სათნო გადმოცემები, წმინდა რელიქვიები, უწმინდესი ხატები, აღურიცხავი ეკლესია-მონასტრები... თვით ქართული ყოფაც, თავისი შეურყვნელი საფუძვლით, თანაზიარებაა საეკლესიო სიწმინდეებთან.

ამ ყოველივეს მეცნიერული შესწავლა ეპოქალური მოვლენაა, რაც საუკუნეთა მანძილზე წარიმართებოდა და წარიმართება.

სრულიად აშკარაა, რომ სიწმინდეთა შესახებ ძიებანი საქართველოს სულიერი ისტორიის კვლევას ნიშნავს, რაც დიდად ფასეულია და, ამავე დროს, დიდად საპასუხიმგებლო. ამ ნიშნით უთუოდ გამორჩეულია წინამდებარე მონოგრაფია, რომლის ავტორი ელდარ ბუბულაშვილი ღვთისმოშიშებითი კრძალვით და წყაროთმცოდნეობითი ამომწურაობით ბეჯითად შეისწავლის საქართველოში დავანებული მრავალი სიწმინდის ხვედრს. ნაშრომის სრულყოფილად გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო საცნაური ხდება, თუ რაოდენ აუცილებელი იყო ამგვარი წიგნის გამოცემა, რაც, ეჭვი არაა, რომ მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

პროფ. ედიშერ ჭელიძე

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში უძველესი დროიდან არსებული და დღემდე შემორჩენილი მაცხოვრის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, წმიდა მოციქულთა, წმინდა მამებისა და წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული წმინდა ნაწილების ისტორია. წარმოდგენილ შრომაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველთა განმანათლებლის – წმინდა ნინოსა და ასურელი მამების ღვაწლსა და მათ სახელთან დაკავშირებული სიწმინდეების აღწერას. მართალია, ჩვენ მიერ განსახილველი ზოგიერთი ასპექტის შესახებ არსებობს ცალკეული გამოკვლევები, მაგრამ საკითხი დღესდღეობით მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი.

ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, წმინდა ნაწილები ეკლესიის უდიდესი სიწმინდეებია, რომელთა მიმართ დიდი სჯულის კანონის მთელი რიგი მუხლები დიდ მოწიწებას გამოხატავს. წმინდა ნაწილებისადმი თაყვანისცემა ეკლესიაში უძველესი დროიდან აღესრულებოდა, რადგან მათ ჰქონდათ „უდიდესი ცხოველმყოფელი ძალა – ძალა კურნებისა, ძალა შეწევნისა“.[1] ისინი ჩაკერებულია ტრაპეზის გადასაფარებელ ოდიკში. კართაგენის IV საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ყოველი ტაძრის ტრაპეზში, უძველესი დროიდან ჩატანებული იყო წმინდა ნაწილები. აღნიშნული კანონით უძველესი დროიდან შენდებოდა და დღესაც შენდება საქართველოში ეკლესია-მონასტრები. სამწუხაროდ, წყაროებმა არავითარი ცნობები არ შემოგვინახა იმის შესახებ, თუ რომელი წმინდანის რა ნაწილია ჩასვენებული ჩვენამდე მოღწეულ ძველ ეკლესიათა ტრაპეზებში. ოდიკსა და ტრაპეზში წმინდა ნაწილების მოთავსება იმითაა განპირობებული, რომ მათზე ხდება უსისხლო მსხვერპლშეწირვა. ოდიკგადაფარებულ ტრაპეზზე დაბრძანებულ ბარძიმ-ფეშხუმში არსებული პური და ღვინო სულიწმინდის მადლით უფლის წმინდა და უხრწნელ ხორცად და პატიოსან სისხლად გადაიქცევა. ასეთი დიდი დატვირთვის გამო 787 წელს ქალაქ ნიკეაში გამართულმა VII საეკლესიო კრებამ განაწესა, რომ ქრისტიანული ტაძრები უნდა იკურთხოს მხოლოდ და მხოლოდ მათში წმინდა ნაწილების დავანებით.[2]

წმინდა ნაწილთა თაყვანისცემის შესახებ საინტერესო მოსაზრებანი აქვთ გამოთქმული წმინდა მამებს: ეფრემ ასურს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, იოანე ოქროპირს, ნეტარ ავგუსტინეს და სხვებს. VIII საუკუნის ცნობილი წმინდა მამა, იოანე დამასკელი აღნიშნავს, რომ „პატივი უნდა მივაგოთ წმინდანებს და მათ ნაწილებს“, რადგან ისინი არიან „გაუკუღმართების გარეშე დამცველნი საღვთო ხატის მსგავსებისა, რის მიხედვითაც შეიქმნენ... აგრეთვე შეერთებულნი ღმერთთან არჩევანის მიხედვით, და შთანამკვიდრად მიმღებნი ღვთისა, რომელთან წილმქონეობითაც მადლით ხდებიან ის, რაც თვით იგი ბუნებით არის“.[3] წმ. იოანე დამასკელის მიხედვით, წმინდანები და მათი წმინდა ნაწილები „გახდნენ ღვთის განძთსაცავები და წმინდა სავანეები,

რადგან ღმერთი ამბობს: „შთავმკვიდრდები და მიმოვივლი მათში და ვიქნები მათი ღმერთი“ (2 კორ. 6, 16). იმავე წმ. იოანეს სწავლებით „მეუფე ქრისტემ მაცხოვნებელ წყაროებად მოგვამადლა ჩვენ წმინდანთა ნაწილები, რომლებიც მრავალგვარად გვიწყაროებენ ქველმოქმედებებს და კეთილსურნელების მირონს უშურველობენ“.[4]

პირველივე საუკუნეებიდან წმინდა ნაწილებად იწოდებოდა არა მარტო უხრწნელი სხეული, არამედ წმინდანის გახრწნილი ცალკეული ნაწილებიც, რომელსაც ეკლესიაში თაყვანს სცემდნენ.[5]

ეკლესია უმცირეს წმინდა ნაწილზეც აღიარებს წმინდანის მთელი დიდებისა და მადლის გადასვლას. გარდა ამისა, სულიწმინდა, არა მხოლოდ წმინდანთა სხეულებში სუფევს, არამედ მისი ძალით განწმენდილი სხეულიდან მათ სამოსელსაც გადაეცემა. ამის დასტურია მაცხოვრის ერთი სასწაული, როდესაც სისხლმდინარე ქალი განიკურნა მისი სამოსლის ბოლოსთან შეხებით. წმინდანთა ტანსაცმელი და მათი კუთვნილი ნივთები ღვთაებრივი ძალის მატარებელია. წმინდანთა ნაწილებს სნეულებათა კურნებისა და ბოროტი ძალების დამორგუნველი უნარი გააჩნია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თაყვანისცემის საგანს წარმოადგენს არა მარტო წმინდანთა წმინდა ნაწილები, არამედ მათი საფლავები, საცხოვრებელი სენაკები და მათი მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა ნივთები.

ქრისტიანულ სამყაროში სიწმინდეთა მფარველად მიჩნეულია მთავარანგელოზი ვარაქიელი.

უძველესი დროიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მრავალი წმინდა რელიქვია იყო დაბრძანებული. მათი დიდი ნაწილის წარმომავლობისა და საქართველოში შემოსვენების ისტორია ჩვენთვის უცნობია, თუმცა, ზოგიერთი მათგანის შესახებ ვიცით, რომ ისინი კონსტანტინოპოლიდან, იერუსალიმიდან და სხვა წმინდა ადგილებიდან შემოაბრძანეს საქართველოში. 1453 წლიდან, ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, სახელმწიფოს მზრუნველობას მოკლებულმა ბერძენმა სასულიერო პირებმა – უსაფრთხოების დაცვის მიზნით – ფარულად დაიწყეს წმინდა ნაწილების საქართველოში შემოსვენება.

სხვა გზითაც შემოდიოდა წმინდა ნაწილები საქართველოში. ცნობილია, რომ ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნებულ სულხან-საბა ორბელიანს 1715 წელს საქართველოში ჩამოუტანია წმინდა კლემენტოს თავის ქალა, ძელი ჭეშმარიტის მცირე ნაწილი და სხვა სიწმინდეები, რომლებიც რომში ყოფნისას პატივისცემის ნიშნად საჩუქრად გადასცეს. სულხან-საბა ორბელიანის ჩამოტანილი სიწმინდეების ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ მას რომში დაუწერია წმ. კლემენტოს ცხოვრება.

საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცულ წმინდა ნაწილებს სასულიერო პირები და მორწმუნე მრევლი დიდად უფრთხილდებოდა. გარეშე მტერთა შემოსევისგან თავდაცვის მიზნით თითოეულ ეკლესიას გააჩნდა საიდუმლო განძთსაცავი, რომელშიც საეკლესიო სიწმინდეები ინახებოდა. ზოგიერთ ეკლესიაში ასეთი განძთსაცავის ფუნქციას ასრულებდა ყრუ კედელი, რომელიც ტაძრის ძირითად კედელს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა და გარეგნულად

შეუმჩნეველი იყო. ზოგიერთ ტაძარში ასეთი საცავი სამკვეთლოში იყო მოთავსებული. ზოგჯერ კი სიწმინდეთა შესანახი ადგილი ეკლესია-მონასტრების მახლობლად მდებარე მიწისქვეშა, საგანგებოდ გაკეთებულ დარნებში იყო განთავსებული. სიწმინდეთა განძთსაცავი გასაიდუმლოებული იყო და მისი ადგილმდებარეობა ტაძარში მომსახურე რამდენიმე პირისათვის იყო ცნობილი. გარდა ამისა, თუკი ბარში ეკლესიის სიწმინდეებს საფრთხე დაემუქრებოდა, მაშინ მას გადაასვენებდნენ ხოლმე საქართველოს მთიანეთში. ასეთ უსაფრთხო ადგილად მიჩნეული იყო სვანეთი. სვანეთის ზოგიერთ სოფელში დღესაც ინახება სხვადასხვა დროს ბარიდან გადასვენებული ეკლესიის სიწმინდეები, რომელთა მეთვალყურეობა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა დავალებული. სამწუხაროდ, დღესდღეობით, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ ხერხდება სვანეთის სოფლის სალოცავებში დაცული სიწმინდეების აღწერა. უკანასკნელ პერიოდში დეკანოზმა ავთანდილ გიორგობიანმა შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დაასკვნა, რომ საქართველოში ეკლესია-მონასტრების სიწმინდეების დაცვას ხელმძღვანელობდნენ პირები, რომლებსაც, მისი აზრით, ფუსტელები ეწოდებოდათ. ფუსტი სვანურად უფალს ნიშნავს. ფუსტელების მიერ ხდებოდა საშიშ ადგილას არსებული სიწმინდეების გადამალვა შედარებით უსაფრთხო გარემოში.[6] დეკანოზ ავთანდილ გიორგობიანის აზრით, ფუსტელები, მორწმუნე, ვაჟკაცი, მებრძოლი პიროვნებები იყვნენ, რომლებიც ტანისამოსის შიგნით ატარებდნენ დიდ ჯვრებს და მათ მხოლოდ ეკლესიის სიწმინდეების დაცვა ევალათ.[7] დეკანოზ ავთანდილ გიორგობიანის თვალსაზრისი ფუსტელთა შესახებ, მართალია, საინტერესოა, მაგრამ იგი ვარაუდის ფარგლებს ვერ სცილდება. წერილობითი ისტორიული წყაროები მათ შესახებ არავითარ ცნობებს არ იძლევა.

საქართველოს თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერში დასვენებული იყო წმინდა ნაწილები. სიწმინდეთა რაოდენობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გელათის მონასტერი. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, მეფე დავით აღმაშენებელს (1089 – 1125) თავისსავე აშენებული გელათის ტაძრისათვის შეუწირავს „ძელი ცხოვრებისა და ნაწილნი წმინდანთანი“. სიწმინდეებით მდიდარი იყო სვეტიცხოველი, შიო მღვიმე, საფარა, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ქრისტიანული ტაძრები და სხვ. წმინდა ნაწილების სიუხვით აგრეთვე გამოირჩეოდა საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები. ამ მხრივ, აღსანიშნავია ათონის წმინდა მთაზე არსებული ივირონის მონასტერი, ბულგარეთში XI საუკუნეში გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებული პეტრიწონის სავანე და სხვა. მემატიანეს გადმოცემით, პეტრიწონის ტაძარში არსებული ვერცხლის მოოქროვილ ლუსკუმაში ჩასვენებული ყოფილა ქრისტეს სისხლი. ამავე ტაძარში სხვა მრავალი წმინდა ნაწილებიც იყო დასვენებული. სამწუხაროდ, წინამდებარე ნაშრომში სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ განვიხილეთ ის სიწმინდეები, რომელიც საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებში იყო დაცული.

საქართველოს ეკლესია-მონასტრებში არსებული წმინდა ნაწილების ძირითადი ნაწილი ხატებსა და ჯვრებში იყო ჩასვენებული. ნაწილი კი სპე-

ციალურად მათთვის განკუთვნილ სანაწილეში ინახებოდა. წმინდა ნაწილებით შემკული ხატების შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს XVII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში მყოფი ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი. მისი გადმოცემით, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში მრავალი ხატი იყო, რომელთაც შუაში დატანებული ჰქონდათ დიდი ან მცირე ამოღრმავებული ადგილი წმინდა ნაწილებისათვის. ამოღრმავებულ ადგილებში ინახებოდა წმინდა ნაწილები,[8] რომლებიც ჩასვენებული იყო სანაწილეში და მას შესაბამისი წარწერაც ჰქონდა, იმის აღნიშვნით, თუ რომელი წმინდანის ნაწილი ინახებოდა მასში. ხატებს, რომელშიც სხვადასხვა წმინდა ნაწილი იყო ჩასვენებული, მრავალნაწილიან ხატებს ეძახდნენ. ასეთი წმინდა ნაწილით შემკობილი ხატები მრავლად არსებობდა საქართველოს ეკლესიაში. XIX საუკუნის ბოლოს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელის ორივე მხარეს მოთავსებული იყო კიოტი (სანაწილე). კანკელის მარჯვენა მხარეს მოთავსებული კიოტი 1719 წელს კათოლიკოს დომენტი IV-ს (1705 – 1741) შეუმკია და გაუმშვენებია 88 წმინდა ნაწილით. სამწუხაროდ, აღნიშნული მრავალნაწილიანი კიოტი ამჟამად დაკარგულად ითვლება. ჩვენამდე მოაღწია 1898 წლით დათარიღებულმა აღნიშნული კიოტის აღწერილობამ, რომელიც შესრულებულია სვეტიცხოვლის ტაძრის მღვდლის, პლატონ ხუროშვილის მიერ. აღნიშნულ აღწერილობაში მცირე უზუსტობებია გაპარული. გარდა აღწერილობისა დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციამ შემოგვინახა კიოტის ის ნაწილი, რომელზედაც წმინდა ნაწილების შესანახი უჯრებია გამოსახული. კიოტის აღწერილობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული მკვლევარ ა. ნატროშვილის მიერ სვეტიცხოვის ტაძრისადმი მიძღვნილ 1900 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში. ა. ნატროშვილის გადმოცემით, სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელის მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე განთავსებული იყო ორი ძველი კიოტი – წმინდა ნაწილებისათვის განკუთვნილი პატარა ზომის განყოფილებებით. ამავე აღწერით, კანკელის მარჯვენა ფრთის კიოტი ხის იყო, შუშის მცირე ზომის მრავალი კარით. მასში აგრეთვე ჩასმული იყო ხატი, სახელწოდებით „მრავალწმინდანაწილიანი ხატი“. მისი სიმაღლე ა. ნატროშვილის მიხედვით – 15 გოჯი (60 სმ.), ხოლო სიგანე 12 გოჯი (48 სმ.) ყოფილა. ხატის ჩარჩოს ამშვენებდა მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტები. ასეთივე ფირფიტებით ხატი დაყოფილი ყოფილა მცირე ზომის უჯრებად, რომლებიც განკუთვნილი იყო წმინდა ნაწილების შესანახად. თითოეულ უჯრას გააჩნდა ხუცური ანბანით შესრულებული სათანადო წარწერა, რომელიც გვამცნობდა, თუ რომელი წმინდანის წმინდა ნაწილი იყო მასში ჩასვენებული. წარწერის ყოველი სიტყვის თავში და ბოლოში დასმული იყო ნიშანი „△“. ა. ნატროშვილის აღწერილობის მიხედვით, სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელის მარჯვენა ფრთაში მოთავსებულ კიოტში დაცული იყო შემდეგი წმინდა ნაწილები:

„1) მოსეს კვერთხის ხე; 2) სვეტიცხოვლის ხე; 3) ნინოს ჯვრის წმინდა ნაჭერი; 4) წმ. ექვთიმე; 5) წმ. მინა; 6) წმ. ევგენია; 7) წმინდა მეორე კოზმან; 8) მთავარ მოწამის გიორგის გარდა სხვა წმ. გიორგი; 9) წმ. თეოდოსი

ზოგად ცხოვრებული; 10) წმ. სვიმონი; 11) წმ. ანტონი; 12) წმ. ისიდორე; 13) წმ. სტეფანე ახალი; 14) წმ. მოწამე არტემი; 15) წმ. ესტაფე; 16) წმ. იოანე სინელი; 17) წმ. დომენტი მელეტინელი; 18) წმ. ანტიპა; 19) წმ. სვიმონ საკვირველ მომქმედი; 20) წმ. დიდი ბასილი; 21) წმ. იოანე ოქროპირი; 22) წმ. ეგნატე; 23) წმ. პროკოფი; 24) წმ. ბიქტორი; 25) წმ. გრიგოლ ნოსელი; 26) წმ. ხარლამპი; 27) ორთა ბევრთა ნიკომდიას დამწვართა; 28) იოანნე მოწყალე; 29) წმ. მერკვირი; 30) წმ. ევსტატე; 31) წმ. პანტელეიმონი; 32) წმ. პელაგო; 33) წმ. გრიგოლ მესვეტე, 34) წმ. საბა; 35) წმ. ამბროსის პერანგის ძაფი; 36) ყოვლად წმიდის თმა; 37) ძელი ქრისტესი; 38) ღრუბელი ქრისტესი; 39) ნათლის მცემელი იოანნე; 40) წმ. თეკლე, 41) წმ. ანდრია კრიტელი, 42) წმ. ქრისტეფორე; 43) წმ. გრიგოლ ღვთის მეტყველი, 44) წმ. თომა მოციქული; 45) სისხლი ქრისტესი; 46) წმ. ანდრია მოციქული; 47) თოკი ქრისტესი; 48) წმ. მაკრინე; 49) წმ. ევსტატი; 50) წმ. მოდესტი; 51) წმ. გრიგოლ აკრიკანტელი; 52) წმ. ბართლომე მოციქული; 53) ქვა ქრისტეს საფლავისა; 54) ლოდი; 55) იაკობ ძმა უფლისა; 56) წმინდა მეფე კონსტანტინე; 57) ორმეოცთა; 58) წმინდა ანდრიანესი; 59) წმ. კირილე; 60) წმინდა მოციქული ონისიმე; 61) წმ. გიორგი; 62) წმ. დიმიტრი; 63) იოანე მახარებელი რომ ქვაზედ იჯდა; 64) დიდი მთავარ მოწამე სტეფანე; 65) წმინდა კვირიკე; 66) წმ. მარინა; 67) წმ. ეკატერინე; 68) წმ. თევდორე; 69) წმ. ნიკიტა; 70) წმ. ზაქარიას ტყავი; 71) წმ. კოზმან; 72) წმ. დამიანე; 73) წმ. ორესტი; 74) წმ. ნიკოლოზ მოწამე; 75) წმ. ევგენი; 76) წმ. მარდარი; 77) წმ. ავქსენტი; 78) წმ. მინადორა; 79) წმინდა ბარბარე; 80) წმ. ანასტასი სპარსი; 81) წმ. ანასტასია რომაელი; 82) წმ. მოწამე აკვილა; 83) წმინდა მოწამე კლიმი; 84) წმინდანთა ალაგთა მიწა; 85) წმ. ევლამპი; 86) წმინდა სერგისა; 87) წმ. ბაქო; 88) წმ. მელენტი“.

აღნიშნულ მრავალნაწილიან ხატს ქვემოთ ჰქონია ხუცური წარწერა: „ქ. შევამკევით ხატი ესე მრავალ-ნაწილიანი ჩვენ მეფეთ შარავანდედმან, ქართლისა, და კახეთისა, რანთა და სამცხე საათაბაგოსა მწყემსმან და მაკურთხეველმან კათალიკოზმან პატრიარქმან დომენტიმ, ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, აწ გევედრებით, მრავალ მოწყალეო ღმერთო მამაო, ძეო და სულო წმინდაო და ყოვლად წმინდაო ღვთის მშობელო, შემიწყალე და გამწმიდე ყოვლისა ცოდვისა სატანჯველისა და ეშმაკისა სულისაგან, მიხსენით დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ტფილისს ქალაქს, კათოლიკოს პატრიარქის საყდარს ანჩის ხატში დაგვისვენებია; ვინც გამოგახოს, ესემც რისხავდეს. ქკს „უვ“ – 406; ჩდით – 1719, დასაბამითგან კსგზ.“ [9]

ა. ნატროშვილის გადმოცემით, სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელის მარცხენა მხარეს მოთავსებულ სანაწილეში, რომელიც აგრეთვე დაკარგულად ითვლება, ჩასვენებული იყო შემდეგ წმინდანთა ნაწილები: „1) წმ. გიორგი, 2) წმ. დიმიტრი, 3) წმ. პროკოფი, 4) წმ. თევდორე, 5) წმ. ევსტატე, 6) წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, 7) წმ. იოანე ნათლისმცემელი, 8) წმ. სიმონ მიმრქმელი და ძელი, 9) წმ. აბიბოს მოციქული, 10) წმ. პეტრე ალექსანდრიელი, 11) წმ. მარინე, 12) წმ. მარიამ მაკედონელი, 13) წმ. ეკატერინე, 14) წმინდა ბარბარეს თხემი და თმა, 15) წმ. ირინე, 16) წმ. ალექსი, კაცი ღვთისა, 17) წმ. ბასილი კესარიელი, 18) წმ. ტიმოთე მოციქული, 19) წმ. იოანე ოქროპირი, 20) წმ.

გრიგოლ აკარაკანტელი, 21) ნიკოლოზ მირონ ქალაქელი, 22) წმ. გრიგოლ დიოლოგოსი, 23) წმ. მიქელ კონსტანტინეპოლელი; 24) წმ. გრიგოლ ხანაძელი; 25) წმ. მიქელ პარაგელი; 26) წმ. იაკობ, ძმა უფლისა, 27) წმ. პირველმოწამე სტეფანე, 28) წმ. კოზმა და დამიანე, 29) წმ. იაკობ დაჭრილი, 30) წმ. დიდი მეფე კონსტანტინე“. აღნიშნულ სანაწილეზე არსებული მხედრული წარწერით ირკვევა, რომ ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის (1658 – 1675) შთამომავლებს იგი 1716 წელს შეუმკიათ და გაუმშვნებიათ, ხოლო 1717 წელს კი სვეტიცხოვლის ტაძრისათვის შეუწირავთ.

XIX საუკუნის დასასრულისათვის სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხეველში, ტრაპეზზე დასვენებული იყო სანაწილე შემდეგი წარწერით: „შემოგწირე სასოსა ჩვენსა სვეტსა ცხოველსა და კვართსა უფლისასა სახსრად სულისა ჩემისა და ძეთა და ასულთა ჩემთა სადღეგრძელოთ და მოსახსენებლად ღვთისადმი განსვენებულისა კეთილ-მორწმუნის საქართველოს მეფის გიორგის ძის გაბრიელისად, საქართველოს დედოფალმან მარიამ მისხალი ცხრაას ოც-და ცხრა სანაწილე სულ ჩყაზ (1817) წელსა, ივლისის კ (20) დღესა“.[10] წყაროების არარსებობის გამო, ჩვენთვის უცნობია, თუ რა წმინდა ნაწილები ინახებოდა სანაწილეში, მაგრამ მასზე არსებული წარწერით ირკვევა, რომ სანაწილე სვეტიცხოვლის ტაძრისათვის 1817 წელს შეუწირავს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის (1798 – 1800) რუსეთში გადასახლებულ ქვრივს, მარიამ დედოფალს (1768 – 1850), 1812 წელს გარდაცვლილი შვილის, ჯიბრაილის, იგივე გაბრიელის სულის საოხად. სანაწილე ამჟამად დაკარგულად ითვლება.

წმინდა ნაწილებით საკამოდ მდიდარი ყოფილა ოთარაშენის (ოთარშენი) წმინდა გიორგის პატარა სალოცავი. აღნიშნულ ტაძარში დაცული იყო იერუსალიმიდან მოტანილი სხვადასხვა წმინდა ნაწილი, რომელთა შორის აღსანიშნავია უფლისა და ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები. 1926 წლის 27 იანვარს ოთარაშენის ეკლესიის სიწმინდეები გადატანილ იქნა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში, საიდანაც ისინი შემდგომ მოხვდა ქართული ხელოვნების მუზეუმში. 1991 წლის 19 ივლისს საქართველოს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით ოთარაშენის ეკლესიიდან შემოსული და მუზეუმში დაცული სამოცი დასახელების სიწმინდე საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა.

დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციამ შემოგვინახა 1679 წელს როსტომ მეფის (1632 – 1657) თანამეცხედრის მარიამ დედოფლის დაკვეთით შესრულებული ღვთისმშობლის მრავალნაწილიანი ხატი, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება. ხატის ზურგზე არსებულ სანაწილე უჯრებში მოთავსებული ყოფილა სხვადასხვა წმინდა ნაწილები.

წმინდანაწილებიანი ხატებიდან აღსანიშნავია XVII საუკუნით დათარიღებული შუამთის მონასტრის ღვთისმშობლის ხატი, რომლის ზურგზე მოთავსებულ სანაწილეში სხვადასხვა სიწმინდეა ჩასვენებული. წარწერის არარსებობის გამო, ვერ ხერხდება მათი კუთვნილების დადგენა. აღნიშნული ხატი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში არის გამოფენილი.

მრავალნაწილიანი ხატი საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრებშიც არსებობდა. ასეთი ხატი 1639 – 1640 წლებში სამეგრელოს სამთავროს კარზე მყოფ რუს ელჩებს, მღვდელ პავლე ზახარევსა და დიაკონ ფედოტი ელჩინს უნახავთ ხობის მონასტერში, რომელშიც უამრავი წმინდა ნაწილი იყო ჩასვენებული.[11] ასეთივე ხატის აღწერილობას გვაძლევენ XVII საუკუნის შუა ხანებში იმერეთის სამეფოში მყოფი რუსი ელჩები ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი.

წმინდა ნაწილებით შემკული პირი ღვთისას ხატი XVIII საუკუნეში დაცული ყოფილა თბილისის ანჩისხატის ტაძარში. აღნიშნული ხატი რუსეთში ყოფნისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დომენტი IV-ს (1705 – 1742) საჩუქრად მიუღია მოსკოვში მცხოვრები მეფე არჩილის ქალიშვილ დარეჯანისაგან. შემორჩენილი აღწერილობის მიხედვით, ხატის უკანა ზურგის ფირფიტა – ფიცარი მოძრავი იყო. ერთმანეთისაგან გამოყოფილ უჯრებში ინახებოდა წმინდა ნაწილები: ღვთისმშობლის თმა, ძელი ჭეშმარიტის ნაწილი, წმინდა თეოდორე ტირონის ძვალი, წმინდა აბიბოსის ძვალი და ქრისტეს საფლავის ქვა, წმინდა ნიკოლოზის ძვალი, წმინდა ხარლამპის და წმინდა კვირიკე განშორებულის ძვალი, წმინდა შიო მღვიმელის ძვალი, წმინდა იოანე მანგლელის ძვალი, ქრისტეს პინაკის ნატეხი და სხვა.[12]

დღემდე შემორჩენილია წმინდა ნაწილებით შემკული, XVIII საუკუნით დათარიღებული წმინდა ნინოს ხატი, რომელიც მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში, საკურთხევლის მარცხენა მხარეს ასვენია. ხატზე არსებული წარწერით ირკვევა, რომ აღნიშნული სიწმინდე წმინდა ნაწილებთან ერთად 1870 წელს მცხეთის სამთავროს მონასტრისათვის შეუწირავს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის პეტერბურგში მცხოვრებ შვილიშვილის შვილს იოანე გრიგოლის ძეს. ხატის ქვემო კუთხეში ორრიგად განლაგებულ მცირე სანაწილეებში მოთავსებულია: წმ. ფილიმონის, წმ. სტეფანეს, წმ. გიორგის, წმ. სვიმეონის, წმ. შუშანიკის, წმ. ტრიფონის, წმ. კოზმასა და დამიანეს, წმ. ხარიტონის, წმ. ბარბარეს, წმ. ესტატეს, წმ. ნიკოლოზის, წმ. გრიგოლის, წმ. ქეთევანის, წმ. ანტონის, წმ. ხარლამპის, წმ. თეოდორიტეს და წმ. ფოტის წმ. ნაწილები.

მრავალნაწილიანი ხატებიდან აგრეთვე აღსანიშნავია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული წმ. სტეფანე პირველმოწამის ვერცხლის ხატი, რომელიც ერთ დროს, VI საუკუნეში აშენებული ურბნისის ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა. აღნიშნული ხატი ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს ჯანიშინობის დროს, 1707 წელს მოუჭედია და შეუმკია ვერცხლითა და მინანქრით. ხატში მოთავსებულია სხვადასხვა წმინდანის 33 წმინდა ნაწილი. სიწმინდეების შუა ნაწილში განთავსებულია უდიდესი სიწმინდე – ძელი ჭეშმარიტი. ხატის ზურგის მხედრული წარწერით ირკვევა, თუ რომელი წმინდა ნაწილებია ჩასვენებული სანაწილეში. წარწერით დასტურდება, რომ წმინდა სტეფანე პირველმოწამის ხატის სანაწილეში განთავსებულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის თმა, იოანე ნათლისმცემლის, სტეფანე პირველმოწამის, მათე მახარებლის, ლუკას, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ღვთისმეტყველის,წმ. ეგნატეს,წმ. პროკლეს,იაკობ დაჭრილის,ბიქტორის,კიპრიანეს,

კოზმას, ქრისტეფორე ძლიერის, სტეფანე ახალის, დომენტის, კლემენტი რომთა პაპის, თეოდორე სტრატილატის, წმ. ნიკიტას, წმ. პარასკევას, წმ. მარინეს, წმ ელიას, წმ. ანასტასიას, წმ. სერგის, სვეტი ცხოვლის ხის ნაწილები. დარჩენილ ხუთ წმინდა ნაწილს წარწერა არა აქვს, რის გამოც ვერ ხერხდება მათი ვინაობის დადგენა.

საქართველოს ეკლესიის სიწმინდეთა დიდ ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია. მათი ერთი ნაწილი გარეშე მტრების თავდასხმების დროს განადგურდა. ზოგიერთი სიწმინდე კი საჩუქრის სახით უცხოეთში გადიოდა. ყველაზე მეტი სიწმინდე რუსეთში იქნა გატანილი. ცნობილია, რომ XVII საუკუნის 20-იან წლებში მეფე თეიმურაზ I-ის ელჩმა, მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ რუსეთის ხელისუფლებას საჩუქრად გადასცა ოქროს ჯვარი, რომელშიც ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილებიც იყო შერეული. აღნიშნულ ჯვარში აგრეთვე ჩასვენებული იყო სხვა წმინდა ნაწილები: ღვთისმშობლის სამოსლის მცირე ნაწილი, იოანე ოქროპირის ნაწილები, იოანე წინასწარმეტყველის თმა, წმინდა პლაკიდოს ნაწილები, წმ. გიორგის ნაწილები, წმინდა პირველმოწამე სტეფანე დიაკონის ნაწილი, წმ. თეოდორე სტრატილატის ნაწილები, უფლის საფლავიდან ჩამოტანილი ქვა და ქვა იმ მთიდან, სადაც უფალი 40 დღის განმავლობაში მარხულობდა და სხვა.[13] XVIII საუკუნის ბოლოს სხვა გზითაც გაიტანეს საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები რუსეთში. არჩილ მეფის ელჩმა, არქიმანდრიტმა გაბრიელმა რუსეთის ხელისუფლებას საჩუქრად გადასცა „... Мощи Иоанна Предчета в серебрянном ковчежце. Да мощи же святых по подписи на древней деревянной цке, в которой же мощи лежат порознь: Ефстафия Плакиды, Амвросия, Андрея, Артемя, Симеона, Лопина, Саввы, Дамяна, Февронии, Иллариона, Дионисия, Клима, Романа, Василия, Михаила, Космы, Дмитрия.

Да в той деревянной цке моши же 15 святых, над которыми подписи“.[14]

რუსეთში ქართული სიწმინდეების გატანა განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან გახშირდა, როდესაც საქართველოდან წასულმა მეფე არჩილმა და ვახტანგ VI -მ მოსკოვში ქართული კოლონია დააფუძნეს. მათი შთამომავლების ოჯახებში ბევრი წმინდა ნაწილი ინახებოდა.

საქართველოში დარჩენილი მრავალი სიწმინდე ბოლშევიკურ რეჟიმს შეეწირა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აქტიური შეტევა დაიწყო ეკლესიის წინააღმდეგ. ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები კეტავდნენ ეკლესიებს, შეურაცხყოფდნენ სასულიერო პირებს. საბჭოთა ხელისუფლების აქტივისტებს ანტირელიგიურ მიტინგებზე შეკრებილი ხალხის წინაშე გამოჰქონდათ ეკლესიის სიწმინდეები და მათ თვალწინ ანადგურებდნენ. ასეთ ანტირელიგიურ გამოსვლებს ბევრი საეკლესიო სიწმინდე შეეწირა. გადარჩენილმა წმინდა ნაწილებმა კი ბინა მუზეუმებში დაიდო, მაგრამ მათი მოძიება ამჟამადაც გაძნელებულია იმის გამო, რომ ისინი საინვენტარო წიგნში სულ სხვა დასახელებით არის შესული. მუზეუმში დაცულ წმინდა ნაწილთა მოსაძიებლად აუცილებელია ეკლესია-მონასტრებიდან შესული საეკლესიო ნივთების ხელახალი გადასინჯვა. სამწუხაროდ, დღესდღეობით მუზეუმებში შექმნილი ვითარება ამის საშუალებას არ იძლევა. უკანასკნელ პერიოდში მხოლოდ ორიოდე მუზეუმში შემთხვევით იქნა

გამოვლენილი წმინდა ნაწილები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში წმინდა ნაწილების ერთი ნაწილი საქართველოს საპატრიარქოში განთავსდა, მცირე ნაწილი კი მოქმედ ტაძრებში იყო დასვენებული. 1978 წელს საქართველოს საპატრიარქოში გაჩენილი ხანძრის შედეგად ძლიერ დაზიანდა სიწმინდეების ერთი ნაწილი, განადგურდა მათზე არსებული წარწერები. დაზიანებული წმინდა ნაწილები ამჟამად უცნობი სიწმინდეების სახელითაა ცნობილი, რადგან ვერ ხერხდება მათი ვინაობის დადგენა.

საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ ახლადგახსნილ ეკლესია-მონასტრებში იმატა წმინდა ნაწილების რაოდენობამ. სიწმინდეთა სიუხვით ამჟამად განსაკუთრებით გამოირჩევა თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, რომელშიც უცნობ სიწმინდეებთან ერთად დაცულია წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმ. გიორგის, წმ. პანტელეიმონის, წმ. ევგენიას, წმ. ბენიამენის, წმ. სერაფიმე საროველის, წმ. თევდორეს, წმ. ორმოცი სებასტიელი მოწამის და სხვათა წმინდა ნაწილები. წმინდა სამების ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენს აგრეთვე VI საუკუნეში დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან მოტანილი მადლის ქვა, ექვთიმე ათონელის მიერ დარგული ხის ნაჭერი, მიწა გეთსიმანიის ბაღიდან, ქვა გოლგოთიდან, გეთსიმანიის ბაღიდან ჩამოტანილი მაცხოვრის დროინდელი ზეთისხილის ხის ნაწილი, ქვა მაცხოვრის საპყრობილედან და სხვა.

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად წერილობით ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა. ამ მხრივ, განსაკურებულ ყურადღებას იმსახურებს XVII – XIX საუკუნეებით დათარიღებული რუსული წყაროები. საქართველოში დიპლომატიური მისიით მოვლინებულ რუს ელჩებს თან ახლდნენ სასულიერო პირები, რომელთა მიზანი იყო საქართველოს ეკლესიებში არსებული წმინდა ნაწილების მოძიება, მათ შესახებ დაწვრილებითი ცნობების შეგროვება და, თუ საშუალება მიეცემოდათ, მათი რუსეთში გატანა. რუსული წერილობითი წყაროებიდან ყურადღებას იმსახურებს 1639 – 1640 წლებში დიაკონ ფედოტი ელჩინისა და მღვდელ პავლე ზახარევის ელჩობა სამეგრელოს სამთავროში. მათ საქართველოში გამომგზავრებისას რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისაგან პირდაპირი მითითება ჰქონდათ, რომ დაწვრილებითი ცნობები მოეპოვებინათ სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე დაცული სიწმინდეების შესახებ.[15] რუსმა ელჩებმა პირნათლად შეასრულეს რუსეთის ხელისუფალთა დავალება. მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში ისინი საინტერესო ცნობებს იძლევიან სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებში დაცული სიწმინდეების შესახებ.

რუსული წყაროებიდან აგრეთვე მნიშვნელოვანია ალექსი იევლევისა და ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიერ შედგენილი მუხლობრივი აღწერილობა, რომელშიც ასახულია 1650 – 1652 წლებში იმერეთის სამეფოში მათი ელჩობის შედეგები. მათ დაწვრილებით აღწერეს დასავლეთ საქართველოში არსებული საეკლესიო სიწმინდეები. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ანტიოქიის პატრიარქის, მაკარიოსისა და მისი შვილის პავლე ალეპოელის მიერ შესრულებული რუსულ ენაზე არსებული აღწერილობა, სადაც საქართველოს სიწმინდეთა აღწერას დიდი ადგილი აქვს დათმობილი.[16] ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ღირებულ ცნობებს შეიცავს XVII-XIX საუკუნეებში საქართველოში მყოფი რუსი მოგზაურების თუ სასულიერო პირების ჩანაწერები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ვასილ გაგარას, არსენ სუხანოვის, ა. მურავიოვის და სხვათა ნაშრომები.[17]

საქართველოს ეკლესიის წმინდა ნაწილთა შესახებ ძვირფასი მასალებია დაცული XIV – XVIII საუკუნეების ევროპულ წერილობით წყაროებში. ამ მხრივ ფასდაუდებელია საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების: დონ კრისტოფორო დე კასტელის, არქანჯელო ლამბერტის, ძამპის, ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის და სხვათა შრომები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული წერილობითი წყაროები, რომელთა ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია. გარდა ამისა, შრომაში გამოყენებულია საქართველოს სიძველეთსაცავებში ჩვენს მიერ მოძიებული დღემდე უცნობი წერილობითი მასალები.

ნაშრომში აგრეთვე გათვალისწინებლია სხვადასხვა ავტორთა კვლევის შედეგები – მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. პირველ რიგში აღსანიშნავია, XIX საუკუნის ცნობილი საეკლესიო მკვლევარის პ. იოსელიანის ნაშრომები, რომლის ძირითადი ნაწილი რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული. უნდა აღინიშნოს, რომ პ. იოსელიანის მიერ მოწოდებულ ცნობებს საქართველოს ეკლესიის სიწმინდეთა შესახებ დღეს წყაროს მნიშვნელობა ენიჭება, რადგან, როდესაც იგი მოღვაწეობდა, ბევრი სიწმინდე მკვლევარისათვის ხელმისაწვდომი იყო, დღეს კი ისინი დაკარგულად ითვლება. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეების შესწავლას დიდი ამაგი დასდო XIX საუკუნის ფრანგმა ქართველოლოგმა, მარი ფელისიტე ბროსემ და ქართველმა ისტორიკოსმა, დიმიტრი ბაქრაძემ († 1890). ცალკე აღნიშვნის ღირსია რამდენიმე წლის წინ საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი, რომელმაც XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ოცეულში ჩატარებული ექსპედიციების დროს უპატრონოდ მიტოვებულ ეკლესია-მონასტრებში აღწერა უამრავი საეკლესიო სიწმინდე და მათ შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ქართველ ხელოვნებათმცოდნეებსაც.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ეკლესიის სიწმინდეთა შესახებ გამოქვეყნდა ძალზე საინტერესო ნაშრომები. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ე. მამისთვალიშვილის, დ. ნინიძის, ფ. სიხარულიძის, მ. კეზევაძის, ა. სიჭინავას, ლ. ბერაიას, გ. კალანდიას, გ. ტყეშელაშვილის და სხვათა გამოკვლევები.

ზემოთ წარმოდგენილი წყაროებისა და შესაბამისი ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ, შეგვესწავლა საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ზოგიერთი წმინდა ნაწილის ისტორია. წარმოდგენილ ნაშრომს აღნიშნული საკითხის სრული გაშუქების პრეტენზია არ აქვს. ალბათ, მომავალში, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეთა შესახებ სხვა შრომებიც დაიწერება.[18]

დასასრულ, ავტორი მკითხველის ყველა სამართლიან კრიტიკულ შენიშვნას მადლიერებით მიიღებს. უნებლიე შეცდომებისთვის კი შენდობას ვითხოვთ.

თავი I

ძველი აღთქმის სიწმინდე – წმინდა ელიას ხალენი საქართველოში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ფლობს ძველი აღთქმის ერთ-ერთ უდიდეს სიწმინდეს – ელიას ხალენს (წმინდა ელიას მოსასხამს), რომელიც ჩვენში ქრისტეს შობამდე მოუტანიათ იერუსალიმიდან დევნილ ებრაელებს. რომელ საუკუნეში და რა ვითარებაში მოხვდა საქართველოში ელიას ხალენი, ჩვენთვის უცნობია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იერუსალიმიდან დევნილი ებრაელები საგანგებოდ ასაიდუმლოებდნენ და დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ ძველი აღთქმის სიწმინდეებს, რათა ისინი უცხოტომელებს არ წაებილწათ. დევნილობის დროს ებრაელები ასეთ სიწმინდეებს გასაიდუმლოებულ ვითარებაში ინახავდნენ.

ელია (ებრაულად ნიშნავს „უფალი არის ღმერთი“), ძველი აღთქმის ერთ-ერთი წინასწარმეტყველი, ქრისტეს შობამდე ცხრაასზე მეტი წლის წინ ლევიტელთა ტომიდან გამოსული იმავე ილია თეზბიტელია. იგი პატარაობიდანვე ეზიარა ღვთის მცნებას, უდაბნოში განმარტოვდა, მუდმივად ლოცულობდა და მარხვას მკაცრად იცავდა. ელია წინასწარმეტყველის დროს ისრაელს მართავდა მეფე აქაბი, რომელიც უფლის საწინააღმდეგოდ იქცეოდა და თავისი წარმართი მეუღლის, იეზაბელის მითითებით თავის ქვეყანაში უფლის ნაცვლად წვიმის წარმართული ღვთაების – ბაალის კერპების თაყვანისცემას ავრცელებდა. მეფე აქაბის ხელშეწყობით წარმართი დედოფალი იეზაბელი ფიზიკურად უსწორდებოდა უფლის თაყვანისმცემლებს. უფლის ნებით მეფე აქაბის წინაშე წარმდგარმა წინასწარმეტყველმა ელიამ აცნობა ღვთის ნება: „ვფიცავ უფალს, ისრაელის ღმერთს, რომლის წინაშე ვდგევარ, რომ არ იქნება ამ წლებში ცვარი და წვიმა თუ არა ჩემს სიტყვაზეო“ (3 მეფეთა, 17,1). ასეთი მკაცრი სასჯელით წმ. ელია წინასწარმეტყველს სურდა, კერპთაყვანისცემაზე მოქცეული ებრაელი ხალხი ჭეშმარიტი რწმენისაკენ მოებრუნებინა, ამასთან, უნდა ეჩვენებინა, რომ წვიმის ღმერთად მიჩნეული ბაალი სრულიად უმწეო იყო და ქვეყანას წვიმას ვერ მოუვლენდა. უფლის სურვილით ელია წინასწარმეტყველი მდინარე იორდანეს მახლობლად მდებარე ქორათის მთებში დაიმალა. ღვთის განგებით ქვეყანაში ძლიერი გვალვა დაიწყო, დაშრა მდინარეები, რასაც საშინელი შიმშილობა მოჰყვა. ხევში საიდუმლოდ განმარტოებულ ელიას უფლის ნებით ყორნები დილა-საღამოს საკვებს უზიდავდნენ, სასმელ წყალს კი იქვე ხევიდან იღებდა. ხანგრძლივი გვალვის გამო ხევის წყალიც დაშრა. უფლის მითითებით, ელია წინასწარმეტყველი სიდონის მახლობლად, სოფელ სარეფთაში ერთ ქვრივ ქალს შეეკედლა, რომელსაც ელიას იქ ყოფნის დროს სასწაულებრივად არ ელეოდა ზეთი და ფქვილი. უფლის განგებით ელიამ სიცოცხლე დაუბრუნა მძიმე სენით გარდაცვლილ ქვრივის პატარა ვაჟს (3 მეფეთა, 17,22).

სამწლიანი გვალის შემდეგ შიმშილობამ მოსახლეობა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო. უფლის სურვილით ელია წინასწარმეტყველი წარსდგა მეფე აქაბის წინაშე. განრისხებულმა მეფემ ელიას უთხრა: „ეს შენ ხარ, ისრაელის მაოხრებელი“, ელიამ ამხილა ამპარტავანი მეფე: „შენ და მამაშენის სახლმა ააოხრეთ ისრაელი, რომ დაივიწყეთ უფლის მცნებანი და ბაალების გზაზე წახვედით“ (3 მეფეთა, 18,19). ისრაელის ხალხის ცრურწმენის სამხილებლად და ღვთის ნების საჩვენებლად ელიას თანხმობით მეფე აქაბმა ქარმელის მთაზე შეკრიბა ისრაელის მოსახლეობა. შეკრებილ ხალხს ელიამ მიმართა: „როდემდის უნდა კოჭლობდეთ ორივე ფეხით? თუ უფალია ღმერთი, გაჰყევით მას, თუ ბაალია, მას გაჰყევით“ (3 მეფეთა, 17, 22). კარმელის მთაზე შეკრებილ 800 ქურუმს ელიამ შესთავაზა, თანაბარ პირობებში, სამსხვერპლოზე ცეცხლის დაუნთებლად შეეწირათ მსხვერპლი თავიანთი ღმერთებისათვის. სამსხვერპლოს გარშემო დილიდან საღამომდე ამაოდ დარბოდნენ ქურუმები და ბაალის კერპს ცეცხლის მოვლინებას ევედრებოდნენ. მათ საპირისპიროდ, წმინდა ელიამ კარმელის მთაზე აღადგინა 12 ქვისაგან აგებული ძველი სამსხვერპლო, რაც სიმბოლურად ხალხის ღმერთთან დადებული აღთქმის აღდგენას ნიშნავდა.[1] ელიამ ჭეშმარიტ ღმერთს ლოცვით მიმართა. ლოცვის პასუხად ზეციდან სასწაულებრივად გარდამოხდა ცეცხლი, რომელმაც შეშასა და მსხვერპლთან ერთად სამსხვერპლო ქვაბიც დაწვა. გაოცებულმა ხალხმა ჭეშმარიტი ღმერთი აღიარა (3 მეფეთა, 18, 39). ხალხის დამაქცევარი ქურუმები კიშონის ხევში ელიას მითითებით ამოხოცეს. ელია წინასწარმეტყველის ლოცვით უფალმა შიმშილით დაუძლურებულ ისრაელის ხალხს წვიმა მოუვლინა და სიკვდილისაგან იხსნა ისინი. მეფე აქაბმაც ადიდა ღმერთი და შეინანა თავისი ურჯულოება, მაგრამ მეფის სინანული ხანმოკლე აღმოჩნდა. ქურუმთა დახოცვით განრისხებულმა დედოფალმა გადაწყვიტა, ელია სიკვდილით დაესაჯა. დევნილი ელია სინას უდაბნოს გავლით ქორების მთებში, ერთ გამოქვაბულში დაიმალა. უფალმა ელია გამოქვაბულიდან გამოიყვანა, დააყენა მაღალ მთაზე და აცნობა, რომ, მიუხედავად დიდი დევნისა, ღმერთი ყოველთვის ინახავს თავის ერში ერთგულ მიმდევრებს. გაირკვა, რომ წმ. ელიას გარდა ისრაელში 7 ათასი კაცი ყოფილა ღვთის ერთგული. უფლის ნებით ელია უკან უნდა დაბრუნებულიყო. მანვე ღვთისგან მიიღო ბრძანება, რომ მოეძებნა ვინმე ელისე (ებრაულად ნიშნავს „ღმერთი არის ხსნა“ ან „ღმერთი იხსნის“), მირონი ეცხო მისთვის და იგი წინასწარმეტყველად დაედგინა. ელიამ უფლის ნება აღასრულა და ისრაელის ხალხში მოძებნა ელისე, რომელმაც მისი აღსრულების შემდეგ წინასწარმეტყველების ტვირთი იკისრა. ელია კი უფლის სურვილით ცეცხლოვანი ეტლით აყვანილ იქნა ზეცად. საეკლესიო გადმოცემით, მეორედ მოსვლის წინ ელია წინასწარმეტყველი ანტიქრისტეს სამხილებლად ენოქთან ერთად უნდა მოვიდეს და ხორციელი სიკვდილიც დაითმინოს.

ძველი აღთქმის მიხედვით, ცეცხლოვანი ეტლით ზეცად ამაღლების დროს ელიამ თავისი მოსასხამი, ანუ ხალენი მიწაზე ჩამოაგდო, რომელიც ღვთის ნებით ელისე წინასწარმეტყველის კუთვნილება გახდა. ელისეს შემდეგ თუ რა ბედი ეწია ელიას მოსასხამს, ამის შესახებ ძველ აღთქმაში არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ, ქართული წყაროები მცირე, მაგრამ

საინტერესო მასალებს გვაწვდიან მისი ადგილსამყოფლის შესახებ. უფლის კვართისაგან განსხვავებით, ელიას ხალენის მცხეთაში მოხვედრის ისტორია ჩვენთვის უცნობია. ქართული წერილობითი წყაროები ამის შესახებ ცნობებს არ გვაძლევენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუკუნეების მანძილზე ელიას ხალენს მცხეთაში მცხოვრები ქართველი ებრაელები, ქართული წყაროების ცნობით, „სამარხო ში“* საიდუმლოდ ინახავდნენ.

მხოლოდ IV საუკუნეში, წმინდა ნინოს ქართლში მოსვლის დროს გაამხილეს ქართველმა ებრაელებმა თავიანთი საიდუმლო, რომლის შესახებ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არაფერს ამბობდნენ. IV საუკუნეში მოღვაწე ქართველი ებრაელის, მღვდელ აბიათარის ასული სიდონია, თავისი წინაპრების ნაანდერძევს ნაწილობრივ ააშკარავებს და აღიარებს, რომ ელიას ხალენი მცხეთაშია დაფლული. მისი განმარტებით, „არს სხუა ცა ძალითა შემოსილი მრჩობლი იგიცა, ხალენი ელია სი ამას ქალაქსა შინა“.[3] მაგრამ თუ რა ვითარებაში და როდის იქნა შემოსვენებული ძველი აღთქმის ეს სიწმინდე, ამის შესახებ ქართული წერილობითი წყაროები არაფერს ამბობენ. ქართველი ებრაელები არ მიუთითებენ მცხეთაში ელიას ხალენის განსასვენებელ ადგილსაც. მართალია, ქართულ წყაროში ერთგან ნახსენებია, რომ იგი ინახება საკურთხევლის „ქვათა შინა ულპოლველოდ ვიდრე ჟამადმდე მისა“, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ მისი გამოჩინების დრო ჯერ არ დამდგარა.[4] „მოქცევა ქართლისა ში“ ელიას ხალენის განსასვენებელი „იაკობის ადგილთან“ არის შედარებული: „მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე, დიდება და ქება მოუკლებელ“.[5] აღნიშნული შედარება ელიას ხალენის „სამარხო“ ადგილს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ქართულ წერილობით წყაროებში, მართალია, არაა აღნიშნული, ვის მიერ და რომელ საუკუნეებში მოხვდა ელიას ხალენი საქართველოში, მაგრამ საეკლესიო ტრადიციით მიჩნეულია, რომ იგი მცხეთაში ქრისტეს შობამდე იერუსალიმიდან დევნილმა ებრაელებმა შემოიტანეს. იერუსალიმიდან საქართველოში ქრისტეს შობამდე დევნილ ებრაელთა რამდენიმე ნაკადი შემოვიდა. ქართული წყაროებით, ებრაელთა პირველი ნაკადი მცხეთაში ძველი წელთაღრიცხვით 586 წლის ახლოს უნდა მომხდარიყო, როცა ნაბუქოდონოსორმა იუდეის სამეფო ააოხრა. მათი მიგრაცია შემდგომ საუკუნეებშიც განმეორდა. ქართულ წყაროებში არ ფიქსირდება, მაგრამ ებრაელების ერთ-ერთი მიგრაციის დროს უნდა მოხვედრილიყო ჩვენში ელიას ხალენი.

„მოქცევა ქართლისა ს“ მიხედვით, მცხეთაში, ელიას ხალენის მახლობლად დაფლული ყოფილა ახალი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის 30-

* samarxoБ igive wminda nawilebis dasafvleli, dasamarxi adgilia. qarTuli wyaroebis cnobiT „samarxo˜ moTavsebuli iyo mcxeTaSi, ebraelTa salocav saxlSi – baginSi. bagini sparsuli sityvaa da niSnavs „RvTis saxls˜, „salocavs˜. am „samarxoSi˜ qarTveli ebraelebi saeklesio siwmindeebTan erTad inaxavdnen xmarebidan gamosul sasuliero xasiaTis wignebs da saeklesio nivTebs.[2]

იან წლებში ქართველ ებრაელთა მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი უფლის კვართი. თავისთავად, ძველი და ახალი აღთქმის ორი უდიდესი სიწმინდის ერთმანეთის მახლობლად განსვენება, გარკვეული საკრალური მნიშვნელობის მატარებელია. ძველი აღთქმა, რომლის სიმბოლური გამოხატულება ელიას ხალენია, წინასწარმეტყველებს ახალს, ახალი კი, რომლის სიმბოლოს უფლის კვართი წარმოადგენს, აცხადებს ძველს. მცხეთაში ელიას ხალენისა და უფლის კვართის არსებობა ძველი აღთქმის დასასრულსა და ახალი აღთქმის დასაწყისს მოასწავებს. ამის გარდა, „ელიას ხალენის მცხეთაში არსებობა ელიას მეორედ მოსვლის მინიშნებაა და აქედან გამომდინარე, მის მიერ უფლის მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველების და თვით განკითხვის დღის დადგომის მომასწავებელია“.[6]

დღესაც უცნობია მცხეთაში ელიას ხალენის ზუსტი განსასვენებელი, მაგრამ, თუკი ჭეშმარიტებად მივიჩნევთ ქართული წყაროების ცნობას, რომ ელიას ხალენი და უფლის კვართი ერთმანეთის ახლოს არიან დაფლულნი, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველი აღთქმის ეს სიწმინდე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარშია დამარხული. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს აგრეთვე XVIII საუკუნის ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც: „ხოლო მირიან (იგულისხმება IV საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართლის გამაქრისტიანებელი მეფე მირიანი - ე. ბ.) აღაშენა ეკლესია (სვეტიცხოველი - ე. ბ.) მოციქულის მისი სამოთხესა თვისისა, სადაც არის კვართი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ და ხალენი ელიასი“.[7] წერილობით წყაროებთან ერთად ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს ზეპირი საეკლესიო ტრადიციაც. ამ გადმოცემის მიხედვით სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხევლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სათავსოში უნდა იყოს განსასვენებელი წმინდა ელიას ხალენისა. ეს სათავსო ამჟამად წმინდა ელიას სახელობის ეკლესიად იწოდება, ხოლო ეკლესიის შესასვლელთან საგანგებო ნიშია ამოკვეთილი. აქვე არის წმინდა ნინოს დროინდელი (IV საუკუნე) ელია წინასწარმეტყველის სახელზე ნაკურთხი ჭა, საიდანაც მოსახლეობა იღებდა წყალს და ხმარობდა ოჯახების, ბაღ-ვენახების საკურთხებლად და განსაწმენდელად.

მეორე გადმოცემის მიხედვით, წმინდა ელიას ხალენის განსასვენებელი სვეტიცხოველის ახლოს, დღევანდელი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზე იყო. XIX საუკუნის 30-იან წლებში, რესტავრაციის დროს ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მინაშენი და წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელზე ნაკურთხი მცირე ზომის ეკლესია მოანგრიეს. ამ გადმოცემით, ელიას ხალენი ამჟამად სვეტიცხოვლის ტაძრის გარეთ არის დაფლული.[8]

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში წმ. ელია წინასწარმეტყველს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც ალბათ იმითაც არის განპირობებული, რომ საქართველოს ეკლესია ფლობს დასახელებული წმინდანის მოსასხამს. ამ ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული, რომ ქართულ ონომასტიკაში ელია-ილიას სახელი ადრიდანვე დამკვიდრდა და ეს სახელი ქართულ წერილობით წყაროებში უძველესი დროიდან გვხვდება.[9]

საუკუნეების განმავლობაში წმინდა ელია-ილია წინასწარმეტყველისადმი მიძღვნილმა დღესასწაულებმა ხალხური სახე შეიძინა. ამის გამო ელია-ილია წინასწარმეტყველმა ქართულ ხალხურ კალენდარში უპირველესი ადგილი დაიკავა. წმინდა ელია-ილია აპოკრიფულ ლიტერატურაში და ხალხურ ტრადიციებში „ღრუბელთა წინამძღვარია“, რომელიც ცეცხლოვანი ეტლით დაქრის ზეცაში და განაგებს სეტყვას, ელვას, ქუხილს, წვიმას და გვალვას“.[10]

ქართული ხალხური გადმოცემით ელიას მოსასხამი ტყავ-კაბის სახელით არის ცნობილი.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ელია ქართული წარმართული ღვთაებაა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. უეჭველია, რომ ადრეული პერიოდიდან ქართულ ხალხურ ტრადიციაში ელია-ილია ძველი აღთქმის გავლენით დამკვიდრდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელია-ილია ურწმუნოების გამო ხალხს გვალვით სჯის და ამინდის რეგულირებას ახდენს. ძველი აღთქმის აღნიშნული ფაქტი ქართულ სინამდვილეში ხალხური გახდა და ელია-ილიასადმი მიძღვნილმა დღესასწაულებმა ხალხური ტრადიციული ფორმა შეიძინა, რაც არ იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ელია–ილია წარმართულ ღვთაებად მივიჩნიოთ. ელია–ილია წინასწარმეტყველისადმი მიძღვნილ ხალხურ გადმოცემებს კარგად ამჩნევია ძველი აღთქმის კვალი. ზოგიერთი ხალხური გადმოცემით ღრუბელთწინამძღოლი ელია ზეცაში ეტლით დაჰქრის, რაც იმ ფაქტის რეალური ასახვა არის, რომ იგი ცეცხლოვანი ეტლით ზეცაში ამაღლდა.

ქართულ მკვლევარ-ეთნოლოგთა მიერ უამრავი მასალაა შეკრებილი წმინდა ელიას თაყვანისცემასთან დაკავშირებით. მოპოვებული მასალებით დასტურდება, რომ წმინდა ელიას დღესასწაული ფართოდ ფეხმოკიდებული ყოფილა ქართველ ხალხში. წმინდა ელიას ხალხურ დღესასწაულებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდიან XVII საუკუნეში საქართველოში მოღვაწე ევროპელი კათოლიკე მისიონერები: არქანჯელო ლამბერტი, ძამპი და სხვები. თავის მხრივ, უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში საინტერესო მასალებია დაცული ელია წინასწარმეტყველთან დაკავშირებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია XI საუკუნის შუა ხანებში ათონის მთაზე მოღვაწე წმინდა მამის, გიორგი მთაწმინდელის „იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრება“, რომლის მიხედვით, ათონის წმინდა მთაზე, დიდი გვალვის გამო, იოანეს მითითებით ექვთიმემ ღამისთევითი ლოცვით მიმართა წმინდა ელია წინასწარმეტყველს. წმინდა ელია-ილიამ მლოცველთა თხოვნა შეიწყნარა და სანატრელი წვიმა მოვიდა.[11]

მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვალვის შემთხვევაში წმინდა ელიასადმი მიძღვნილი დღესასწაულები სხვადასხვა სახით იმართება. მართლმადიდებლური კალენდრით ელიას დღესასწაული აღესრულება ახალი სტილით 2 აგვისტოს. გვალვის დროს წმ. ელიასადმი მიძღვნილ ხალხურ ტრადიციებზე დაფუძნებული რიტუალები სრულდება. წვიმის მოყვანის მიზნით ელიას სახელობაზე ძირითადად იკვლებოდა თხა (ციკანი).[12] წმინდა ელიასადმი მიძღვნილ ქართულ ხალხურ ტრადიციებში დიდი ყურადღება ექცევა თხის

ტყავს. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში თაყვანს სცემდნენ ძელზე დაკიდებულ თხის ტყავს. თხის ტყავის ასეთ საკრალურობას ქართულ სინამდვილეში ზოგიერთი მკვლევარი იმით ხსნის, რომ „... თვით ბიბლიური ილია და მისი კულტმსახურება ისტორიულ საქართველოში მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ამ ცხოველთან და შესაძლოა, იგი ელიას გამოვლინებადაც მიაჩნდათ“.[13]

ზემოთ ნათქვამს ჩვენ დავამატებთ, რომ ხალხური გადმოცემით ელიას ხალენი ტყავ-კაბა იყო. წმ. ელია წინასწარმეტყველის დროს მოსასხამები აქლემის ტყავისაგან მზადდებოდა, მაგრამ ქართულ წარმოდგენაში ელიას ხალენი, როგორც ჩანს, თხის ტყავად მოიაზრებოდა.

წმინდა ელია-ილია წინასწარმეტყველისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას განაპირობებს ისიც, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლად არსებობს მისი სახელობის ტაძრები. ქართულ სინამდვილეში ელიას სახელობის ტაძრებს ძირითადად აგებდნენ ამაღლებულ, მოშიშვლებულ, მთაგორიან ადგილებში, სადაც ჭექა-ქუხილი ხშირი იყო. ქართულ ტოპონიმიკაში ხშირია წმინდა ელიას სახელწოდების მთა-გორაკები. ასეთი სახელწოდებისაა დაბა დედოფლისწყაროს შესასვლელში მდებარე გორაკი. თბილისში მახათას მთის გაგრძელება ელიას სახელს ატარებს, სადაც დღეს წმინდა სამების საკათედრო ტაძარი აშენდა. მახათა, თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით, მეხთა მთად იწოდებოდა. ელია კი მის გაგრძელებას იმიტომ ეწოდა, რომ აქ, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში, წმინდა ელიას სახელობის ტაძარი აუშენებიათ.[14]

უდავოა, რომ მცხეთაში ელიას ხალენის დაფვლამ განაპირობა ბიბლიურ წინასწარმეტყველ ელია-ილიასადმი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული დამოკიდებულება. უეჭველია, რომ ამავე ფაქტორით არის აგრეთვე გამოწვეული ქართულ ხალხურ სინამდვილეში წმინდა ელია-ილიაზე მრავალი გადმოცემის თუ ლეგენდის არსებობა.

თავი II

მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში

1. უფლის კვართი საქართველოში

ქართული საეკლესიო ტრადიციის და უძველესი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენს ახალი აღთქმის უდიდესი სიწმინდე – უფლის კვართი.

ქართული წერილობითი წყაროების სხვადასხვა რედაქციები საქართველოში უფლის კვართის შემოსვენების ისტორიას ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული ვერსიით წარმოგვიჩენენ. ამ წყაროებიდან მნიშვნელოვანია ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი თხზულება „მოქცევა ქართლისა “, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება – „ქრონიკისა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრებისაგან“. ორივე ტექსტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცნობებს უფლის კვართის შესახებ. აღნიშნული თხზულების ხელნაწერმა ოთხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რედაქციის სახით მოაღწია ჩვენამდე, რომლებიც სხვადასხვა საუკუნით თარიღდებიან: შატბერდული და ორი სინური ხელნაწერი X საუკუნისაა, ჭელიშური – XII საუკუნის.[1]

მართალია, ქართველთა განმანათლებლისადმი მიძღვნილი ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი ტექსტები სხვადასხვა საუკუნით თარიღდება, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „მოქცევა ქართლისა “ დაწერილი უნდა იყოს არა IX საუკუნეში, როგორც დღემდე იყო მიჩნეული, არამედ წმინდა ნინოს მოღვაწეობის ახლო ხანებში, კერძოდ, IV საუკუნეში. შემდგომ მას სხვადასხვა ეპოქაში გარკვეული რედაქცია უნდა გაევლო, რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

განსხვავებული ვერსიების მიუხედავად, ყველა ქართული წყარო დაბეჯითებით მიუთითებს, რომ უფლის კვართი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარშია დაფლული.

უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანის შესახებ ვრცელი ვერსია მოცემულია XI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე მემატიანის ლეონტი მროველის თხზულებაში, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილია. ლეონტი მროველისეული თხზულება, როგორც თვით ტექსტიდან ჩანს, „მოქცევა ქართლისა ს“ მიხედვითაა შედგენილი „ავტორისეული პერიფრაზებითა და ინტერპრეტაციებით“.[2] აქვე დავძენთ, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მოვლენების გადმოცემის დროს, ლეონტი მროველი მათთან მჭიდრო კავშირში, შედარებით ვრცლად გადმოგვცემს უფლის კვართის საქართველოში შემოსვლის ისტორიას. იმავე ისტორიკოსი „ქართლის ცხოვრების“ შემდგომ ნაწილში, რომელიც IV საუკუნეში ქართლის გაქრისტიანებას და წმინდა ნინოს შემოსვლას ეხება, „მოქცევა ქართლისა ზე“

დაყრდნობით, კვლავ იმეორებს კვართის შემობრძანების ისტორიას, იმხანად (ე. ი. IV საუკუნეში) მცხეთაში მოღვაწე ქართველი ებრაელების მონათხრობის მიხედვით. მართალია, ამ მონაკვეთის შედგენის დროს ლეონტი მროველი „მოქცევა ქართლისა ს“ ცნობებით სარგებლობს, მაგრამ განსხვავება მაინც შეინიშნება. კვართის ისტორიას „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით გადმოგვცემს ებრაელთა მღვდელი აბიათარი, „მოქცევა ში“ კი მთხრობელი მისი ქალიშვილი, სიდონიაა.

წმინდა ნინოს ცხოვრების რედაქციებიდან, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ უფლის კვართის ამბების აღწერას, აგრეთვე ყურადღებას იმსახურებს XII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე არსენ ბერის თხზულება, რომელიც „მოქცევა სა“ და ლეონტი მროველის ვერსიების საფუძველზეა შექმნილი – ავტორისეული პერიფრაზებით.[3] აღნიშვნის ღირსია XIII – XVIII საუკუნით დათარიღებული წმინდა ნინოს შესახებ არსებული მეტაფრასული და პერიფრაზული რედაქციები, რომლებიც ძირითადად ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ წერილობით წყაროებს ეყრდნობა და ისინი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე რაიმე ახალ ცნობებს არ გვაძლევენ.

ქართული წერილობითი წყაროების გარდა, უფლის კვართმა თავისებური ასახვა ჰპოვა ჰაგიოგრაფიულ (მაგალითად, X საუკუნის ქართველი ჰაგიოგრაფის – გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“) და ლიტურგიკულ ძეგლებში, ჰერალდიკურ მასალებში და ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში.

ქართულ წერილობით წყაროებთან ერთად ზოგიერთი უცხოური წერილობითი დოკუმენტი მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოში უფლის კვართისა და სხვა სიწმინდეების არსებობის შესახებ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია XVII საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების: დონ ქრისტოფორო დე კასტელის, არქანჯელო ლამბერტის, ძამპის და სხვათა ცნობები. ისინი, როგორც ჩანს, ადგილობრივ მოსახლეობაში შეკრებილი გადმოცემების საფუძველზე, რომის პაპისადმი გაგზავნილ მოხსენებებში თუ თავიანთ ნაშრომებში, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში ინახებოდა ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდე – უფლის კვართი. თუმცა, აღნიშნავენ, რომ მათ იგი თვალით არ უნახავთ. ზოგიერთი კათოლიკე მისიონერის ცნობა ამ საკითხთან დაკავშირებით არასაიმედოა. დონ ქრისტოფორო დე კასტელი სამეგრელოს სიძველეების აღწერისას აღნიშნავს, რომ ხობის მონასტერში ღვთისმშობლის კვართთან ერთად დაცული ყოფილა უფლის კვართი,[4] რაც, რა თქმა უნდა, უზუსტობაა.

უცხოური წერილობითი წყაროებიდან უფლის კვართის შესახებ ყურადღებას იმსახურებს სირიულ-სომხური წყაროები, რომლის შესწავლას და გამოქვეყნებას დიდი ამაგი დასდო ნიკო მარმა.[5] აღნიშნული წყაროები, რომლებიც ძირითადად ლეგენდებისა და გადმოცემების საფუძველზეა შექმნილი, არავითარ ცნობებს არ შეიცავენ უფლის კვართის საქართველოში დაფვლის შესახებ. სირიულ და სომხურ ვერსიებში, რომლებიც XI – XII საუკუნის რედაქციებითაა ცნობილი, მოთხრობილია, თუ როგორ და რა გზით გახდა იგი მაცხოვრის კუთვნილება ჯვარცმამდე.[6] ზემოთ დასახელებული

სომხური ვერსიისათვის, მართალია, უცნობია უფლის კვართის მცხეთაში დაფლვის ამბავი, მაგრამ მერმინდელი, კერძოდ, XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი აღნიშნავს, რომ ერთ დროს კვართის განსასვენებელი საქართველოში იყო, ამჟამად კი იგი ისპაჰანში ინახებაო.[7]

საქართველოში უფლის კვართის არსებობის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული XVI – XVII საუკუნის რუსულ წყაროებში. უძველესი რუსული წყარო, რომელშიც საუბარია მცხეთაში კვართის დაფლვის შესახებ, თარიღდება 1512 წლით.[8] აღნიშნულ მატიანეში კვართის საქართველოში ჩამოტანის ისტორია ცალკე გამოყოფილი კი არა არის, არამედ იგი წმინდა ნინოს მოღვაწეობის კონტექსტშია განხილული. XVII საუკუნის რუსულ წყაროებში უფლის კვართის შესახებ ხაზგასმითაა მითითებული, რომ იგი ადრე საქართველოს კუთვნილება იყო, მაგრამ ამავე წყაროების ცნობით XVII საუკუნიდან კვართი მცხეთიდან გაუტანიათ.

უცხოური და ქართული წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ჩვენ შევეცდებით, ობიექტურად წარმოვაჩინოთ უფლის კვართის ისტორია.

ქართულ წერილობით წყაროებში საქართველოში უფლის კვართის შემოსვლისა და მისი დაფვლის შესახებ არსებული ცნობები ძირითადად IV საუკუნის პირველ მეოთხედში მცხეთაში მოღვაწე ქართველი ებრაელების ანუ „ჰურიათი ქართველთა“, შემდგომ კი „ჰურია ყოფილ“ ქრისტიანთა მონათხრობის საფუძველზეა შექმნილი. აღნიშნულ ფაქტს თითქმის ყველა ქართული წყარო ხაზგასმით იმეორებს. განსხვავება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთ წყაროში კვართის შესახებ ებრაელთა მღვდელი აბიათარი მოგვითხრობს, ზოგში კი მისი ქალიშვილი - სიდონია. თავის მხრივ, IV საუკუნეში, მცხეთაში მოღვაწე ქართველმა ებრაელებმა, პირველი საუკუნის 30-იან წლებში უფლის კვართის საქართველოში შემობრძანების შესახებ არსებული დეტალები იცოდნენ თავიანთი წინაპრებისაგან ნაანდერძევი წერილობითი წყაროებით და ზეპირი გადმოცემებით. ამის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეულ მონათხრობში ხაზგასმითაა აღნიშნული: „მე, აბიათარ, მოგითხრობ თქუენ თხრობასა მას, რომელი მეუწყა და ყურითა ჩემითა ვისმინე მამისა და დედისა ჩემისაგან და რომელი წიგნთაგანცა უწყო“.[9] იმავეს იმეორებს „მოქცევა ქართლისა ში“ აბიათარის შვილი სიდონია.[10]

მართალია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პირველი საუკუნის 30-იან წლებში იერუსალიმიდან მცხეთელი ქართველი ებრაელების მიერ უფლის კვართის საქართველოში შემოსვენება და სიდონიასთან ერთად მისი დამარხვა, გასაიდუმლოებულ ვითარებაში არ მომხდარა, მაგრამ, ღვთის ნებით, იგი მალე დავიწყებას მიეცა. უკვე IV საუკუნეში მცხეთაში, არათუ მისი დაკრძალვის ადგილი, არამედ მისი შემოსვენების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ქრისტიანობის ამ უდიდესი სიწმინდის ჩამომტანის, ელიოზ მცხეთელის შთამომავლობა, წინაპართაგან მემკვიდრეობით საიდუმლოდ ინახავდა მის შესახებ არსებულ ზეპირ თუ წერილობით ცნობებს. როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ისინი ასეთი დუმილით ღვთის ნებას ასრულებდნენ, რომ კვართის ადგილსამყოფელი არ უნდა გამჟღავნებულიყო, ხოლო მეორე მხრივ, მათ

ეტყობა ეშინოდათ, რომ უფლის კვართის გამოჩინების შემთხვევაში, შესაძლებელია, იგი წარმართებს წაებილწათ. მართალია, IV საუკუნის პირველ მეოთხედში ელიოზ მცხეთელის შთამომავლებმა, მღვდელმა აბიათარმა და მისმა ქალიშვილმა სიდონიამ გაამჟღავნეს კვართის მცხეთაში მოსვენების ისტორია, მაგრამ მისი ზუსტი ადგილსამყოფელი არ მიუთითეს. ამით მათ არ დაარღვიეს ღვთის მცნება, რომ ჯერ მისი განცხადების დრო არ დამდგარა. სიდონია ამის შესახებ გარკვევით ამბობს: „და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმა იცის, და იცის დედამან ჩემმან ნინომ და არა იტყYს, რამეთუ არა ჯერ არს სიტყუად აწ.“[11] წმინდა სიდონია ამ სიტყვებით გამოხატავს უფლის ნებას, რომ უფლის კვართის გამოჩინება, ელიას ხალენთან ერთად, მეორედ მოსვლის დროს უნდა მოხდეს. მანამდე კი იგი უხილავი უნდა დარჩენილიყო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის. ქართველი ებრაელები სიდონიასთან ერთად ღვთის ამ ნებას ერთგულად ასრულებდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებს და საეკლესიო ტრადიციას მცხეთაში უფლის კვართის შემოსვენების შესახებ ასაზრდოებდა საქართველოს დედაქალაქში მცხოვრებ „ჰურიათა ქართველთა“,[12] უფრო ზუსტად, კვართის საქართველოში ჩამომტანის, ელიოზ მცხეთელის შთამომავლების მიერ თავიანთ მამა-პაპათაგან საიდუმლოდ ნაანდერძევი ზეპირი თუ წერილობითი გადმოცემები, რომელიც IV საუკუნეში ნაწილობრივ გაამჟღავნეს, როცა მათ ქართლის სამეფო კარს და მცხეთის მოსახლეობას უფლის კვართის შემოსვენების ისტორია გააცნეს, მაგრამ მისი ზუსტი ადგილსამყოფელი ისევ გასაიდუმლოებული დარჩა.

უძველესი ქართული საისტორიო წყაროების სხვადასხვა რედაქციები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ სრული სურათი უფლის კვართის საქართველოში შემოსვენების შესახებ. ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, წმინდა ელიას ხალენისაგან განსხვავებით, საინტერესო და დაწვრილებითი ცნობები შემოგვინახა, თუ როდის, რა ვითარებაში და ვის მიერ იქნა მაცხოვრის კვართი ქართლის დედაქალაქში დაფლული. ამ მასალების მიხედვით უფლის კვართის საქართველოში შემოსვლა პირველი საუკუნის 30-იან წლებში დაკავშირებულია მცხეთაში მცხოვრები ქართველი ებრაელების სახელთან. უფრო მეტიც, საისტორიო წყაროები ქართლის გაქრისტიანებაში განსაკუთრებულად წარმოაჩენს ქართველი ებრაელების ღვაწლს.[13]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იერუსალიმიდან დევნილი ებრაელები საქართველოში ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე VI საუკუნიდან ჩნდებიან. შემდგომ საუკუნეებში „მუნით ოტებულ ჰურიათა“ რიცხვი თანდათან გაიზარდა. მცხეთის გარდა ისინი ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ქართული წყაროებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბოდელი, კოდისწყაროველი და სობისკანანელი ქართველი ებრაელები. ქართლში არსებული ოთხივე ებრაული თემი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. როგორც ჩანს, ამ ოთხი თემიდან წინამძღოლის ფუნქცია მცხეთელ ებრაელებს ჰქონიათ დაკისრებული. მცხეთელი ებრაელების ასეთი განსაკუთრებულობა, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი ქართლის

დედაქალაქში ცხოვრობდნენ და სამეფო კარისაგან გამორჩეულ ყურადღებასაც იმსახურებდნენ. ისინი მცხეთაში „ჰურიათა უბანში“ სახლობდნენ, სადაც მათ ჰქონდათ რელიგიური ცენტრი „ბაგინი ჰურიათა“. როგორც ჩანს, სიწმინდეებზე ზრუნვა და ებრაულ სალოცავებზე მეთვალყურეობა მცხეთელი ებრაელების მოვალეობა იყო.

ამავე წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელები თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან არ წყვეტდნენ კავშირს და მიმოწერით ისინი მუდმივად გებულობდნენ, თუ რა ხდებოდა „ჰურიათა ქვეყანაში“.

წყაროების მიხედვით, ჰეროდეს მეფობის დროს იერუსალიმიდან გამოგზავნილი „გლოვის წერილით“ ქართლის ებრაელობამ შეიტყო, რომ იერუსალიმი სპარსელებს დაუპყრიათ, „რომლისათ ს – იგი იქმნა გლოვა და წუხილი ჰურიათა ზედა ქართველთა მცხეთელთა მკვიდრთა, ბოდელთა მღვდელთა, კოდის-წყაროელთა მწიგნობართა და სობის-კანანელთა თარგმანთა – ესე ყოველნი აღიძრნენ სივლტოლად“.[14] შეშფოთებულმა ქართლის ებრაელობამ თავიანთი თანამოძმეების დახმარების მიზნით დაიწყო მზადება იერუსალიმში გასამგზავრებლად. მცირე ხნის შემდეგ წასასვლელად გამზადებულ ქართლის ებრაელობას სასიხარულო ამბავი ეუწყა, რომ „სპარსნი“ იერუსალიმის დასაპყრობად კი არ მოსულან, არამედ ეძებდნენ ახლად შობილ მაცხოვარს, რომელსაც თაყვანი სცეს, მიართვეს ძღვენი და ვალმოხდილნი უკან გაბრუნდნენ. იმავე წერილით ისრაელიდან ქართველ ებრაელებს ატყობინებდნენ, რომ ჰეროდე მეფე აღშფოთებული იყო ძე ღვთისას მოვლინებით, რომელსაც წინასწარმეტყველნი მის მეტოქედ მიიჩნევდნენ. გააფთრებულმა მეფე ჰეროდემ ძებნა დაუწყო ჩვილ მაცხოვარს, მაგრამ მის კვალს რომ ვერ მიაგნო, ბრძანება გასცა, რომ გაეჟლიტათ მის სამეფოში ორი წლის და უფრო მცირე ასაკის ბავშვები.

ოცდაათი წლის შემდეგ, ქართლის ებრაელობას ახალი ამბავი მოუვიდა ისრაელიდან. იერუსალიმიდან მღვდელი ანა მცხეთელ ქართველ ებრაელთა მეთაურს ოზიას, რომელიც იყო IV საუკუნეში ქართლის დედაქალაქში მოღვაწე ებრაელთა მღვდლის, აბიათარის პირდაპირი წინაპარი (პაპა) წერდა, რომ მეფე ჰეროდესაგან დევნილი ყრმა სასწაულებრივად გადარჩენილა, გაზრდილა და როდესაც მას მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემელი ნათლავდა, იქ მისულ ებრაელობას მრავალი სასწაული უნახავს: მდინარეებს აღმა დაუწყია სვლა, ზღვა აღარ მიმოიქცეოდა, მთები ზანზარებდა და სხვა. შემდგომ წერილში აღნიშნული იყო, რომ იესო ქრისტეს, რომელიც თავის თავს ძე ღვთისად მიიჩნევდა, ბევრი მიმდევარი გასჩენია. ახალი სარწმუნოების მიმდევრებმა მრავალი საფიქრალი გაუჩინეს მეფე ჰეროდეს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ებრაელობას მოუწოდებდა: „ყოველთა ძეთა ისრაელისათა, განბნეულთა ყოველსა ქუეყანასა იხილეთ ერთი ღმერთი და იგულეთ და ისმინეთ ერთი შჯული. და ისწავეთ ერთი სიტყუა მოსესი, რომელი თქუა: „რომელმან ქუეყანასა ზედა თქუას ღმრთად თავი თ სი, ძელსა დამოეკიდენ“.[15] ჰეროდე მეფის განზრახვა ქართლის ებრაელობას ეცნობა იერუსალიმიდან მღვდელ ანას მიერ გამოგზავნილი წერილით,

რომელშიც დამატებით აღნიშნული იყო, რომ ისრაელში გამოჩნდა კაცი, რომელიც თავს ღმერთის ძედ მოიხსენიებს და თავის თავს ღმერთს უწოდებს. ღვთისა და მოსეს რჯულის თანახმად იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს ჯვარზე გაკვრით. სასჯელის აღსრულებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ებრაელების წარმომადგენლებს, რითაც ისინი დაადასტურებდნენ თავიანთ ერთგულებას მოსეს სჯულის მიმართ. მღვდელი ანა წერილის დასასრულს თხოვნით მიმართავდა ქართლში მცხოვრებ ებრაელებს, თავიანთი წარმომადგენლები გაეგზავნათ იერუსალიმში მაცხოვრის წამებაში მონაწილეობის მისაღებად, რათა ამით მათ თავიანთი მოვალეობა მოეხადათ ისტორიული სამშობლოს წინაშე.

იერუსალიმში ქართლის ებრაელთა სახელით წარემართა დელეგაცია ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსნელის ხელმძღვანელობით. ზოგიერთი ქართული წყაროს ცნობით ელიოზ მცხეთელთან და ლონგინოზ კარსნელთან ერთად იერუსალიმში კიდევ წავიდა მისაელი და თალენავი.[16] ეს უკანასკნელი ცნობა, რომელიც ჩვენამდე მხოლოდ „მოქცევა ქართლისა ს“ „ქრონიკამ“ შემოგვინახა, ჩვენი აზრით, რეალურ სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს. ოთხივე მათგანი ქართლში მცხოვრები ოთხი ებრაული თემის – მცხეთელთა, ბოდელთა, კოდისწყაროველთა და სობისკანანელთა წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ჩანს, ქართლის ებრაელთა თითო თემმა თითო წარმომადგენელი მიავლინა იერუსალიმში. როგორც წყაროებით ირკვევა, საქართველოდან წასულ ებრაელებს ელიოზ მცხეთელი ხელმძღვანელობდა, რაც ალბათ, იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ იგი საქართველოს დედაქალაქში არსებულ ებრაელთა მრავალრიცხოვანი თემის წარმომადგენელი იყო, რომელიც, ზოგიერთი დაუზუსტებელი გადმოცემის მიხედვით, ხშირად მოგზაურობდა იერუსალიმში, სადაც მას ნაცნობებისა და ნათესავების ფართო წრე ჰყავდა. შეიძლება მას უპირატესობა ცოდნისა და დიდი გამოცდილების გამოც მიანიჭეს.[17] ელიოზ მცხეთელის პიროვნების განსაკუთრებულობის შესახებ ხაზგასმულია სხვა ქართულ წყაროებშიც. იგი იყო ხანდაზმული, უცოლშვილო. დედამისი, რომელიც კარგად იცნობდა ძველ აღთქმას, შთამომავლობით იყო „ტომისაგან ელია მღვდლისა“ („მოქცევაAს“ მიხედვით „ელი მღვდლისა“). ელიოზს ჰყავდა აგრეთვე გაუთხოვარი და, რომლის სახელს ძველი ქართული წერილობითი წყაროები არ იცნობს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მას სიდონია რქმევია, რაც არ ეთანხმება ძველ ქართულ საისტორიო წერილობით მონაცემებს. როგორც ჩანს, მათ IV საუკუნეში ქართლში მოღვაწე ებრაელი მღვდლის აბიათარის შვილის სიდონიას სახელი მიიჩნიეს პირველი საუკუნის 30-იან წლებში მცხეთაში მოღვაწე ელიოზ მცხეთელის დის სახელად.[18] უზუსტობის მიუხედავად, არსებული ტრადიციების შესაბამისად, ჩვენ ელიოზის დას სიდონიად მოვიხსენიებთ.

ელიოზ მცხეთელი თანმხლებ პირებთან ერთად იერუსალიმისკენ ანტიოქიის გავლით გაემგზავრა. გამგზავრების წინ მოხუცი დედა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ებრაელ მღვდელთა შთამომავალი და ბიბლიის კარგი მცოდნე იყო, ელიოზ მცხეთელს შეევედრა, რომ მეფის მიწვევის გამო იერუსალიმში აუცილებლად უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ როცა მღვდელმთავარნი, ფარისეველნი და მწიგნობარნი გადაწყვეტდნენ მაცხოვრის დასჯას, არ შეერთებოდა მათ განაჩენს და ნუ მიიღებდა მონაწილეობას იესო ქრისტეს წამებაში, რადგან სწორედ იგია ჭეშმარიტი მესია, რომლის მოსვლას – ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მინიშნების საფუძველზე – ისრაელის ერი ყოველთვის მოელოდა.

ელიოზ მცხეთელის მეთაურობით ქართველ ებრაელთა დელეგაცია პასექის დღესასწაულის დამდეგს ჩავიდა იერუსალიმში, სადაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გადახვეწილი ებრაელობა შეკრებილიყო და რომელთაც ურყევად ჰქონდათ გადაწყვეტილი იესო ქრისტეს სამაგალითოდ დასჯა ჯვარცმით. ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი იერუსალიმში, მართალია, შეესწრნენ უფლის ვნებას, მაგრამ მათ მონაწილეობა არ მიუღიათ მაცხოვრის ჯვარცმაში. ისინი შორიახლოს დამდგარან სხვა მრავალთა შორის, რომლებიც მისულნი იყვნენ უფლის სანახავად და თაყვანისსაცემად.[19]

როგორც კი შესრულდა განგება მაცხოვრის წამებისა და აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება დავით მეფისა: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფსალ. 21, 18), უფლის ჯვარცმაში მონაწილე მეომრებმა ქრისტეს სამოსელი გაიყვეს, ხოლო უნაკერო მაცხოვრის კვართი აღარ დაინაწილეს, არამედ წილი ჰყარეს. ღვთის ნებით კვართი ელიოზ მცხეთელს ერგო. ამ უკანასკნელმა ქრისტიანობის ეს უდიდესი სიწმიდე მცხეთაში ჩამოიტანა, მაგრამ ელიოზის დედა იმ დროისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო.

იერუსალიმიდან დაბრუნებულ ელიოზს ცრემლმორეული მიეგება თავისი და სიდონია, რომელმაც ამცნო დედის გარდაცვალება. ელიოზმა თავის დას გადასცა კვართი უფლისა. ქრისტეს სიყვარულით გულანთებული სიდონია მაცხოვრის კვართს ეამბორა, გულში ჩაიკრა, ატირდა და სული განუტევა სამი განცდის სიმწრისაგან: „სიკუდილითა დედისა თა, და უმეტეს ტკივილთა სიკუდილისა ქრისტესსა და სურვილითა მის სამოსელისა თა“.[20]

მომხდარი სასწაულებით მცხეთის მოსახლეობა განცვიფრებული იყო. მანამდე უხილავი და უჩვეულო სამოსის სანახავად ყველანი ელიოზის სახლისაკენ მიემართებოდნენ. უფლის კვართის მცხეთაში შემოსვენების დროს ქართლის მეფე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იყო ადერკი ანუ მიჰრდატი,[21] ხოლო შატბერდის კრებული მეფედ ამაზაელს ასახელებს.[22] ქართლის მეფე ადერკს, როცა უფლის კვართი იხილა, ძალიან მოეწონა და მან განიზრახა გამოეღო იგი სიდონიას ხელისაგან, მაგრამ ელიოზის დას ისე მაგრად ჰქონდა კვართი მკერდში ჩაკრული, ვერავითარმა ძალამ ვერ შეძლო მისი წართმევა. მომხდარი სასწაულების გამო ადერკი მეფე („მოქცევაAს“ მიხედვით ამაზაილი) იძულებული გახდა, ხელი აეღო თავის განზრახვაზე. ღვთის მოშიშმა ელიოზმა თავისი და უფლის კვართთან ერთად მიაბარა მიწას. ერთ-ერთმა საეკლესიო ტრადიციამ, რომელიც ძირითადად ეფუძნება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე სასულიერო პირთა ზეპირ გადმოცემებს, შემოგვინახა მეტად საინტერესო ვერსია ელიოზის დისა და უფლის კვართის მცხეთაში ერთად დაფვ-

ლის შესახებ. ამ ვერსიით, როდესაც კვართი ხელიდან ვერავინ გამოაცალა სიდონიას, „უცებ დედამიწა გაიხსნა და მართალი სიდონია კვართით გულზედ სწრაფად მიწაში ჩაექანა. უხილავმა და ყოვლისშემძლებელმა ხელმა გააპო მიწა, გაუღო პირი და უფსკრულში დაჰმალა წმინდა ღვთის განძი და წმინდა გვამი“.[23] მართალია, აღნიშნული ფაქტის სანდოობა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ წარმოდგენილი ზეპირი გადმოცემა თავისთავად საინტერესოა.

სიდონიას საფლავზე მალე ამოვიდა კვიპაროსის ხე, ლიბანის ნაძვად წოდებული, რომლის ფართო ტოტები მფარველად გადაეფარა სიდონიას და კვართის განსასვენებელს, ხოლო მრავალფეროვანმა სურნელოვანმა ყვავილებმა მთლიანად დაფარეს იგი.

მალე უფლის კვართისა და სიდონიას განსასვენებელი მცხეთის მკვიდრთათვის დავიწყებას მიეცა. ქართული წყაროების მიხედვით: „შემდგომთა მრავალთა წელიწადთა ძმისწულის შვილმან ადერკი მეფისამან, მეფემან არმაზელ, ძიებაყო სამოსელისა“, მაგრამ უშედეგოდ. მცხეთელი ებრაელებისაგან მას მხოლოდ ის შეუტყვია,რომ „არს მახლობლად ნაძვსა მას ლიბანით მოდებულისა“.[24] აღსანიშნავია, რომ უფლის კვართისა და სიდონიას საფლავის დავიწყებას „ქართლის ცხოვრება“ ადარებს ჯვარცმის შემდგომ გოლგოთას და მასზე აღმართული სამივე ჯვრის ადგილის მივიწყებას. კვართის განსასვენებლის მივიწყების მიუხედავად, მის ადგილზე ამოსული ლიბანის ხე სურნელებითა და საოცრებებით აოცებდა მნახველს. უფლის ნებით მალე დავიწყებას მიეცა საქართველოში კვართის შემოსვენების ისტორიაც.

ქართული წერილობითი წყაროების სხვადასხვა რედაქციის გათვალისწინებით ასეთია ზოგადი სახით საქართველოში უფლის კვართის შემოსვენების ისტორია, რომელიც საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. თავისთავად ცხადია, რომ უფლის კვართის მცხეთაში შემოსვენება სიმბოლურად გაიაზრება, როგორც ქრისტიანობის შემოსვლა ქართლში. სხვათა შორის, მოციქულები საქართველოში შემოსვლის დროს მცხეთაში არ მიდიან, რადგან ისინი მხოლოდ წარმართთა შორის ახდენდნენ ახალი სარწმუნოების ქადაგებას. მცხეთაში კვართის დაფლულობა იმას ნიშნავდა, რომ აქ ქრისტიანობის მადლი დანერგილი იყო და არ იყო საჭირო მოციქულთა ქადაგება ქართლის დედაქალაქში.

ქართული წერილობითი წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ უფლის კვართის მცხეთაში შემოსვლამდე საქართველოში კარგად იცნობდნენ ქრისტეს მცნებას. ახალი სარწმუნოების პირველი გამავრცელებლები იყვნენ მცხეთელი ებრაელები, რომლებიც ხშირად მოგზაურობდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. ამ გზით, „იერუსალიმიდან იესო ქრისტეს ამბავი შედიოდა ყველა ქვეყნის კუთხეში“, მათ შორის საქართველოშიც.[25] უფრო მეტიც, უფლის კვართის შემოსვლამდე, ჯერ კიდევ ქრისტეს მოღვაწეობის დროს, ქართლის დედაქალაქში უკვე ჩანან პირველი ქრისტიანები, რომელთაც „სწამდათ იესო ქრისტე, როგორც ღმერთი და მაცხოვარი ქვეყნისა“. ელიოზის დედა და მისი და სიდონია პირველი მართლმორწმუნე ქრისტიანები არიან. ელიოზის დედამ იცის, რომ თავისი შვილის მიწვევა იერუსალიმში იმ მიზნით ხდება,

რათა მან მონაწილეობა მიიღოს ყოვლის შემოქმედის ჯვარცმაში, რომლის ქვეყნად მოსვლა და წამებით ზეცად ამაღლება დიდი ხნით ადრე იყო ნაწინასწარმეტყველები. ელიოზის დედისათვის ისიც ცნობილია, რომ ღვთის განგებით შეუძლებელია რაიმეს შეცვლა. გამოსავალს იგი იმაში ხედავს, რომ იერუსალიმში მიმავალ შვილს სთხოვს, მონაწილეობა არ მიიღოს მაცხოვრის წამებაში: „ნუ შვილო, ჩემო, რამეთუ სიტყუა არს დაფარული ჰურიათაგან, ხოლო წარმართთა ნათელ და ცხორება საუკუნო“.[26] ელიოზის დედა იმდენად მართლმორწმუნე ყოფილა, რომ მასზე სულიწმიდის მადლიც კი გადმოდის. როდესაც იერუსალიმში ჯალათებმა ქრისტეს ხელ-ფეხი სამსჭვალით დალურსმეს, მცხეთაში მყოფ ელიოზის მართლმორწმუნე დედას სულიწმინდის მადლით ყოველივე ემცნო. უფლის ვნებით შეწუხებულმა დედაკაცმა შეჰკივლა და წარმოთქვა: „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მხსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერი შემოქმედისა. ვა თავსა ჩემსა, რომელ არა წინარე მოვკუდე, რომელმაცა ესე არღა სმენილ იყო, და არცა კნინ უკუანა ს-რე დავრჩი, რომელმაც მეხილვა ნათელი გამობრწყინვებული წარმართთა ზედა და დიდება ერისა ისრაელისა “.[27] სიტყვის დამთავრებისთანავე ელიოზის დედამ სული განუტევა. „ელიოზის დედის აღსასრული ქართველ ებრაელთა შორის მესიანისტური ტენდენციების არსებობაზე მიუთითებს“.[28]

ელიოზის და სიდონიაც დიდი ღვთისმოსაობით გამოირჩევა. სიდონია, რომელმაც უკვე იცის, რომ უნდა აღსრულდეს წინასწარმეტყველება მაცხოვრის წამების შესახებ, იერუსალიმში მიმავალ ძმას, ქართული წყაროს ერთ-ერთი რედაქციის მიხედვით, სთხოვს: „ძმაო სასურველო, ღირს იქმნები შენ ხილვად კაცისა მის მართლისა, რომელსა ჰრქვიან იესუ, და ნეტარ ხარ შენ. ხოლო გევედრები შენ, რა თა, რომელსაცა რასმე შეხებულ იყვნენ ხელნი მისნი წმინდანი, ანუ თუ მახლობელ სამოსელთა მისთა წმინდანთა ქმნილ იყოს, მოიღო შენ თანა ფრიად საწადელად ჩემდა“.[29] იერუსალიმიდან დაბრუნებულმა ელიოზმა შეასრულა დის სურვილი. უფლის კვართის გადაცემისას მან თავის დას სიდონიას განუცხადა: „აჰა, რომლის იგი სურვილი იყავი მიიღე კუართი მისი და განიხარე“.[30]

უფლის კვართის მცხეთაში დაფლულობა იყო პირველმიზეზი მოციქულთასწორის, ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს შემოსვლისა ქართლის დედაქალაქში, რომლის დროს მთელი ერი მოინათლა და ქართული საეკლესიო ტრადიციით, რაც უკანასკნელი გამოკვლებითაც დასტურდება, ქრისტიანობა 326 წელს სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. წმინდა ნინოს, როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, ჯერ კიდევ მცხეთაში მოსვლამდე ჰქონდა გარკვეული ცნობები უფლის კვართის ადგილსამყოფლის შესახებ. იერუსალიმში ორი წლის მანძილზე ყოფნის დროს წმინდა ნინოს ღვთისადმი შიშს და სიყვარულს უნერგავდა დვინელი სომეხი ქალი სარა ნიაფორი (სხვა წყაროებით მიაფორი). იგი წმინდა ნინოს უამბობდა ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებს და ჯვარცმის ამბებს. სწორედ პირველად სარა ნიაფორისაგან შეიტყო წმინდა ნინომ „სამოსელსა მისსა ზედა წილი იგდეს და ხუდა წილითა მით ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა“.[31] მიღებუ-

ლი მადლის გამო წმინდა ნინომ მადლობა შესწირა ღმერთს და სარა ნიაფორს ჰკითხა, თუ სად იყო ის ქვეყანა, სადაც კვართი წაიღეს. წმინდა ნინოს პასუხად სარა ნიაფორმა განაცხადა, რომ „არს აღმოსავლეთით ქალაქი სახელითა მცხეთა, ქუეყანა ქართლისა და სომხითისა – მთეულეთი საწარმართო“.[32] მოტანილი მასალა მეტად საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ირკვევა, რომ IV საუკუნეში საქართველოში უკვე დავიწყებული იყო მცხეთაში კვართის ჩამოსვენების ისტორია და მისი იქ დაფლულობა, მაშინ, როცა ამავე საუკუნეში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, კერძოდ კი იერუსალიმში, ზეპირი თუ წერილობითი სახით შემორჩენილი იყო გადმოცემა მაცხოვრის კვართის მცხეთაში არსებობის შესახებ. ქართული წყაროების აღნიშნული ცნობის უტყუარობას ადასტურებენ XVII საუკუნის რუსული წყაროები. XVII საუკუნის პირველ ნახევარში, მოსკოვის მაცხოვრის კელარს (მნე) და მეტრაპეზე იოანიკეს ჩაუწერიათ კვართის ისტორია. იოანიკე, რომელიც ეროვნებით ბერძენი იყო, ერთხანს იერუსალიმში მოღვაწეობდა და ნამყოფი იყო საქართველოში. იგი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ იერუსალიმში მას სარწმუნო ადამიანებისაგან („от верых людей“) მოუსმენია „ჯვარცმის ისტორია“, „ქრისტეს გასამართლება“, ელიოზის ვინაობა და სხვა.[33] მოტანილი მასალები ნათლად მეტყველებს, რომ მცხეთაში უფლის კვართის არსებობა არა მარტო ქართული, არამედ იერუსალიმური ტრადიციითაც დასტურდება.

IV საუკუნის პირველ მეოთხედში წმ. ნინო მცხეთაში მოსვლის შემდეგ ცდილობს, ბევრი რამ შეიტყოს იერუსალიმში სარა ნიაფორის მიერ ნაამბობი უფლის კვართის შესახებ. კერძოდ, თუ რა ვითარებაში, კონკრეტულად ვის მიერ იქნა ჩამოტანილი იგი მცხეთაში და რაც მთავარია, მას სურს, დაადგინოს მცხეთაში კვართის ადგილსამყოფელი. წმ. ნინომ უფლის ნებით წმინდა სახარება უქადაგა და ქრისტეს რწმენაზე მოაქცია „ჰურიათა მღვდელი აბიათარი“, მისი ასული სიდონია და „ექვსნი დედანი სხუანი ჰურიასანი“. წმინდა ნინომ სწორედ აბიათარ მღვდლისაგან მოისმინა თხრობა „კუართისათვის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“, რომლის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰქონია ცნობები თავისი წინაპრებისაგან და აგრეთვე „წიგნთა-განცა უწყო“.[34] წმ. ნინომ აბიათარისაგან დაწვრილებით შეიტყო, თუ როგორ, ვის მიერ და რა ვითარებაში იქნა შემოსვენებული უფლის კვართი მცხეთაში, მაგრამ, როცა მისი ადგილსამყოფელის გარკვევა მოინდომა, მაშინ მას განუცხადეს, რომ „არს ადგილი იგი, რომელსა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ“.[35] უფლის ნებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ, სამეფო ბაღში,„მახლობლად ნაძვისა მას ლიბანით მოღებულისა,“ წმ. ნინომ მოიძია მაცხოვრის კვართისა და სიდონიას განსასვენებელი, მაგრამ იგი ემორჩილება ღვთის ნებას, რომლის მიხედვით, მისი გამოჩინების დრო ჯერ არ დამდგარა და ამიტომ თვით წმინდა ნინოც არ ამხელს კვართის ადგილსამყოფელს.

წმინდა ნინოსაგან განსხვავებით, ქართლის მეფე მირიანი შედარებით გვიან შეიტყობს მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოსვენების ისტორიას. ქართული წყაროების სხვადასხვა რედაქციის მიხედვით, მირიან მეფე სხვადასხვა პიროვნებებისაგან იგებს კვართის ამბავს. „მოქცევა ქართლისა ს“ მიხედვით წმინდა ნინო თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, ჯერ კიდევ წარმართ მირიან მეფეს ატყობინებს მცხეთაში უფლის სამოსლის არსებობას და თან არწმუნებს გაქრისტიანების გარდაუვალობაში.[36] „ხოლო აწ მეფე, – ეუბნება იგი მირიანს, – ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა, მე ვხედავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა სასწაული ერთი, სამოსელი ძისა ღმრთისა “.[37] წმინდა ნინოს ეს სიტყვები კარგა ხნის მანძილზე გაუგებარი რჩება მირიან მეფისათვის, რადგან მისთვის იმ დროს უცნობია მაცხოვრის რა სამოსელზეა საუბარი, რომელიც მცხეთაშია დაფლული.

მირიან მეფისათვის მცხეთაში კვართის დაფლულობა მას შემდეგ ხდება ცნობილი, როცა იგი მოექცევა ახალ სარწმუნოებაზე და აღიარებს ქრისტიანობის ჭეშმარიტებას. ღვთის მოშიში მეფე მირიანი პირველი ქრისტიანული ტაძრის მშენებლობისათვის საბერძნეთიდან მცხეთაში მოიწვევს ხელოსნებს. მცხეთისაკენ მომავალმა ბერძნებმა კირითხუროებმა საბერძნეთიდან თან წამოიღეს კონსტანტინე იმპერატორის მიერ ქართლის მეფისადმი ნაჩუქარი ჯვარცმული უფლის ახლადნაპოვნი ფეხთა ფიცარი, რომელიც მათ ახლად დასაძირკვლებულ ერუშეთის ეკლესიაში დატოვეს, ხოლო მეორე სიწმინდე – ჯვარცმის დროს გამოყენებული ერთი სამსჭვალი საფუძველჩაყრილ მანგლისის ეკლესიაში დაასვენეს. ახლადმოქცეული მირიან მეფე დიდად შეწუხდა მომხდარი ფაქტით, რომ უფლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები ქართლის დედაქალაქში არ იქნა მოსვენებული. განაწყენებული მეფე მირიანი შემდეგი სიტყვებით დაამშვიდა ქართლის ახლად დადგენილმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ: „შენთან, ამ ქალაქშია ქრისტეს ზეგარდმო ნაქსოვი სამოსელი, რომელიც მაცხოვრის ჯვარმცმელებმა გაიყვეს“.[37] მთავარეპისკოპოსი მირიან მეფეს მოახსენებს, რომ ჯვარცმის შემდეგ კვართი მცხეთელმა ებრაელებმა შეიხვედრეს და ქართლის დედაქალაქში ჩამოიტანეს. იგი ურჩევს მეფეს, დაუკავშირდეს მცხეთაში მცხოვრებ კვართის ჩამომტანთა შთამომავლებს, რომ მათგან შეიძლება შეიტყოს კვართის განსასვენებლის ადგილსამყოფელი. თუმცა, იქვე მთავარეპისკოპოსი სიტყვიერად ამცნობს მეფეს ღვთის ნებას, რომ „ხოლო ჟამის მისი მერმე არს, ოდეს გამოჩნდეს დიდებით ქუეყანასა ზედა“.[38] ელიოზ მცხეთელის შთამომავლებმა მირიან მეფეს გააცნეს უფლის კვართის შემოსვენების ისტორია, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არ გაუმხილეს. დაუკმაყოფილებელი პასუხის მიუხედავად, მეფე მირიანი კვართის მცხეთაში არსებობის გამო მადლობას სწირავს ღმერთს: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველვე გინდა ცხორება ჩუენი და ხსნა ჩუენი ეშმაკისაგან და აღგილისა მისგან ბნელისა, ოდეს – იგი სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმიდით იერუსალემით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯვარს-ცემასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩუენნი“.[39]

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ IV საუკუნის პირველ მეოთხედში ელიოზ მცხეთელის შთამომავლების მიერ მცხეთაში უფლის კვართის დაფლვის აღიარებამ სამეფო კარისა და ხალხის ქრისტიანობაზე მოქცევვის პროცესი დააჩქარა. ამრიგად, მაცხოვრის კვართმა

განაპირობა არა მარტო წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლა, არამედ კვართის მცხეთაში დაფლვამ ფაქტიურად განსაზღვრა ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევა,[40] რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება.

უფლის კვართის მცხეთაში დაფლულობა სხვა მხრივაც იპყრობს ყურადღებას. მართალია, მცხეთაში კვართის განსასვენებელი გასაიდუმლოებული იყო, „მაგრამ ადგილს გვახვედრებსო ის, რომ „ნათლისა სუეტი სამარადისოდ“ ბრწყინვალედ ზედ ენთებოდის“.[41] ასეთ ადგილად იყო მიჩნეული სამეფო ბაღი, რომელიც სამოთხედ იწოდებოდა. სამოთხედ ალბათ, იგი იმიტომ იწოდებოდა, რომ ძველთაგანვე ეს ადგილი უფლის კვართის დაფლულობის გამო წმინდა ადგილად ითვლებოდა. უეჭველია, რომ კვართისა და სიდონიას განსასვენებელი პირველი ქრისტიანების მიერ წმინდა ადგილად იქნებოდა მიჩნეული, მაგრამ, რადგან ისინი ქრისტეს რწმენას ფარულად იცავდნენ, როგორც ჩანს, გადაჭარბებული სიფრთხილის გამო, ეს ადგილი მივიწყებულ იქნა. უფლის კვართის მცხეთაში შემოსვლისა და მისი დაფლულობის დავიწყების მიუხედავად, მორწმუნე მოსახლეობა „ფარულად იცავდა სარწმუნოებასა და სასოებას მაცხოვრისას“.[42] წყაროების ამ ცნობას ადასტურებს მცხეთაში არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი ქრისტიანული სამარხები, რომელიც I-III საუკუნით თარიღდებიან. სამეფო ბაღში ანუ სამოთხეში სიდონიასა და უფლის კვართის განსასვენებელ ადგილზე ამოსული ლიბანის ხე და ყვავილებით დაფარული საფლავი მნახველთ აოცებდა თავისი სურნელებითა და განსაკუთრებულობით. ამის გარდა, აქ „ფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, და იბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას.“[43]

ღვთის ნებით წმინდა ნინო ხშირად დაიარებოდა სამეფო ბაღში ამოსულ ლიბანის ხის „ქუეშე“, სადაც „ღმერთი აცნობდა, რომ მთელი საქართველო წმინდა ნინოს ხელით გაქრისტიანდებოდა და ის ადგილი, რომელზეც წმინდა ნინო იდგა, მალე ღვთის დიდებით საუკუნოდ გაბრწყინდებოდა.“ [44]

მცხეთაში IV საუკუნის პირველ ნახევარში უფლის კვართის საფუძველზე აშენდა პირველი ქრისტიანული ტაძარი – სვეტიცხოველი, რომლის სახელწოდება უფლის კვართსა და მასთან დაკავშირებულ სასწაულებს უკავშირდება. ახალ სარწმუნოებაზე მოქცეულ მირიან მეფეს მიუმართავს წმინდა ნინოსთვის, თუ სად უნდა აშენებულიყო ქრისტიანული ტაძარი. ქართველთა განმანათლებელმა პირველი ქრისტიანული ტაძრის ადგილის შერჩევა მეფე მირიანს მიანდო. ამ უკანასკნელის მიერ ტაძრის აშენებისათვის შერჩეული ადგილი ღვთის ნებით დაემთხვა უფლის კვართისა და სიდონიას განსასვენებელს, რომელზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სურნელოვანი ლიბანის ხე იყო აღმოცენებული. ქართული წყაროების ცნობით, ახალი ტაძრის მშენებლობისათვის გამოიყენეს მოჭრილი ლიბანის ხისგან დამზადებული „შვიდნი სვეტნი ეკლესიისანი“, რომელთაგან ერთ-ერთი სვეტის აღმართვა ხუროებმა, დიდი მონდომებისა და გამოცდილების მიუხედავად, ვერ შეძლეს, ვერც მეფემ და ვერც ხალხთა სიმრავლემ ვერაფერი გააწყო: „და უქმ იქმნა ყოველი სიბრძნე ღონისძიება კაცთა .“[45] მომხდარმა სასწაულმა მძიმედ იმოქმედა მეფესა და ხალხზე, „წარვიდა მეფე და ყოველი

ერი გულღებული ურვისაგან“, ხოლო წმინდა ნინომ თავის მოწაფეებთან ერთად მთელი ღამე ლოცვაში გაათია. გამთენიისას წმინდა ნინოს ლოცვით ზეციური ნათლითმოსილი ჭაბუკი აზიდავს სვეტს და თავის ადგილზე დააფუძნებს. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, რომელიც წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, სვეტს გარშემო ედგნენ ანგელოზები. ერთ მათგანს ხელთ ეპყრა კვართი, რომელიც გამოცხადების სახით მხოლოდ წმინდა ნინოს და მის მოწაფეებს უხილავთ, ნიშნად იმისა, რომ იმ ადგილზე ინახებოდა მაცხოვრის წმინდა სამოსი.[46] მომხდარი სასწაულით გაოცებული იყო მეფე და მცხეთის მოსახლეობა. განსაკუთრებით იმით, რომ ახალ ადგილზე დაფუძნებული სვეტიდან განუწყვეტლივ მოედინებოდა მირონი. მირონმდინარე სვეტი სასწაულმოქმედი აღმოჩნდა. ღვთის გაბრწყინებული სვეტის ხილვით ბევრმა სნეულმა განკურნება და შვება მიიღო. ამიტომ ამ სვეტს სვეტიცხოველი ანუ ცხოველმყოფელი სვეტი უწოდეს. სხვანაირად მას „ცხოველ სვეტსაც“ ეძახიან, რომელიც „ღვთის ძალით გაბრწყინებული და ამაღლებული იყო“. მომხდარი სასწაულების გამო სვეტიცხოველი თავისთავად საღმრთო სახელად იქცა[47]. უფლის კვართის საფუძველზე აშენებულ პირველ ქრისტიანულ ტაძარს მირონმდინარე ცხოველმყოფელი სვეტის გამო სვეტიცხოველი ეწოდა. თუმცა, აღნიშნულ ტაძარს ქართული წერილობითი წყაროები თავდაპირველად „ღვთის სახლად“ ან კიდევ „ქვემო ეკლესიად“ მოიხსენიებს, შემდგომ კი იგი სვეტიცხოველის სახელით იწოდება.

ცხოველმყოფელი სვეტის მისტიკურ გააზრებას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა XII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერიძემ (1150 – 1177 წწ.), რომელშიც იგი აღნიშნავს: „ვითარცა ... მამა და ძე ერთ არიან განუყოფლად ღმრთეებითა, ეგრეთვე უკვე სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულებანი და საკვირველებანი განუყოფელ და ერთ არიანო“.[48] ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს, აღვნიშნოთ, რომ, თუკი კვართის შემობრძანება ქრისტიანობის გავრცელების ტოლფასია, მისი „მცხეთაში დაფლულობა საფუძველია საქართველოს ეკლესიის დაარსებისა“.[49] სწორედ უფლის კვართის განსასვენებელ ადგილზე მირიან მეფემ ააშენა პირველი ქრისტიანული ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით უკურთხებია საბერძნეთიდან ჩამოსულ ანტიოქიის პატრიარქ ევსტატეს. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარმა აღმშენებლობის რამდენიმე ეტაპი განვლო. ქართული წერილობითი წყაროებით IV საუკუნის მეორე ნახევარში, ვარაზ-ბაქარის დროს სვეტიცხოვლის ტაძარი მეორედ აუშენებიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, V საუკუნის პირველ ნახევარში, არჩილის მეფობისას იგი დაქცეულა. მირიან მეფის მიერ აგებული ეკლესიის ნაფუძარზე V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალმა ააგო სვეტიცხოვლის ქვის შენობა, რომელიც ახლად ავტოკეფალიამოპოვებული საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის – კათოლიკოსის რეზიდენციად იქცა, მაგრამ წელთა სიმრავლეს ვერც მან გაუძლო, XI საუკუნისათვის სვეტიცხოვლის სტოა და ბჭენი დაძველებული და დაქცეული იყო. XI საუკუნის პირველ მეოთხედში, როგორც სვეტიცხოვლის სამშენებლო წარწერა გვამცნობს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა (1010 – 1033 წწ)

„აღაშენა ესე წმინდა ეკლესია ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისა თა“. XIII საუკუნის ბოლოს ძლიერმა მიწისძვრამ და XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თემურ-ლენგის შემოსევებმა საგრძნობლად დააზიანა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი. XV საუკუნის დასაწყისში სავალალო მდგომარეობაში მყოფი ტაძარი კაპიტალურად შეაკეთა მეფე ალექსანდრე I-მა (1412 – 1442 წ.წ.) და ბებიამისმა რუსამ.[50] რესტავრაციაშეკეთება ტაძარს სხვა დროსაც ჩაუტარდა, მაგრამ მას გავლენა არ მოუხდენია მის არქიტექტურაზე. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი წერილობითი წყაროების სიზუსტეს ასაბუთებს 1968 – 1972 წლებში პროფესორ ვახტანგ ცინცაძის მიერ სვეტიცხოვლის გათხრების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. გამოვლენილი და შესწავლილია სვეტიცხოვლის მშენებლობის, ისტორიის, განსაკუთრებით კი ადრეული პერიოდის თითქმის ყველა ფენა.

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის კვალდაკვალ აღმშენებლობას განიცდიდა ცხოველი ანუ ცხოველმყოფელი სვეტი, რომელიც დღეს ტაძრის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯს ებჯინება და დიდი თაღის ქვეშაა მოქცეული.

ცხოველი ანუ ცხოველმყოფელი სვეტი დღეს წარმოადგენს ოთკუთხა ნაგებობას – სიგრძე 202 სანტიმეტრი, სიგანე 211 სანტიმეტრი. ოთხკუთხა ნაგებობას ზემოდან ებჯინება ოთხბოძიანი სფერული ფანჩატური უყელო გუმბათით და პირამიდული სახურავით. ცხოველმყოფელი სვეტის აღმართული ოთკუთხა ნაგებობის სიმაღლე პირამიდული სახურავის ჩათვლით, რომელიც ჯვრით ბოლოვდება, არ აღემატება 5 მეტრს. ჯვარია აგრეთვე აღმართული ფანჩატურის შუაში. ცხოველი ანუ ცხოველმყოფელი სვეტი უხეშადაა ნაშენი, კუთხეები, კედლის ზედაპირი უსწორმასწოროა, ფანჩატურის კედლები კი არათანაბარი სისქისაა.[51] ჩრდილოეთის მხრიდან სვეტის ძირში, იატაკთან მითითებულია სიდონიას საფლავზე მოჭრილი ხის ადგილი, ვიწრო ღრმულით ანუ ღიობით, საიდანაც მირონი ამოდიოდა. აღნიშნული ღიობი საგანგებო კარით იხურებოდა, XX საუკუნის დასაწყისში ამ ფუნქციას ასრულებდა XVIII საუკუნის ვერცხლით მოჭედილი, კაკლის ხისგან დამზადებული ხატი, რომელზეც გამოსახულია გარდაცვლილი სიდონია, კვართთან ერთად. მის თავზე აღმართულია სვეტი, რომლის ზედა ნაწილი ანგელოზებს უჭირავთ. სვეტის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე წმ. ნინო და მირიან მეფეა გამოსახული. ხატს ამშვენებს წარწერები. აღნიშნული ხატი, რომელიც სამირონე ღიობის – „ჩასასვლელი“ კარის ფუნქციას ასრულებდა, ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.[52]

ცხოველმყოფელი ანუ ცხოველი სვეტის პირველი ამშენებელი მეფე მირიანია. საეკლესიო ტრადიციისა და ქართული წყაროების მიხედვით სასწაულმოქმედ ცხოველმყოფელ სვეტს, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „სდიოდა მირონი სამკურნალო“, ვინც რწმენით შეეხებოდა, სხვადასხვა სნეულებისა და ავადმყოფობისაგან იკურნებოდა. ამის გამო, სვეტიცხოვლის ტაძარში აღმართული ცხოველმყოფელი სვეტი ძველთაგანვე მორწმუნე ქრისტიანთა წმინდათა წმინდა ადგილად ითვლებოდა. თავისი უდიდესი სიწმინდისა და სასწაულმოქმედების გამო ცხოველმყოფელი სვეტი ხელისუფალთა განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მოექცა. იმის გამო, რომ სვეტის ახლოს საკმაო რაოდენობის ხალხი იყრიდა თავს, მირიან მეფემ უსაფრთხოების მიზნით იგი ხის პერანგით შემოსა. როგორც წყარო გადმოგვცემს: მირიან მეფემ „უკვე შეშისა ფიცრისა მიერ დაფარნა შიშოება იგი სუეტისა მის და თვალთაგან სახილველობა მისი უჩინო ჰყო“.[53] თუმცა, ამით ცხოველმყოფელ სვეტს სხეულთა კურნებისა და სასწაულთმოქმედების უნარი არ დაუკარგავს. ამის შემდეგაც „ეგრეთვე შეეხებოდეს ერნი სართულსა მას და განიკურნებოდეს“.[54] მართალია, ცხოველმყოფელ სვეტს მნახველთა სიმრავლე არ აკლდა, რომლებიც დიდი მოწიწებითა და მოკრძალებით ეპყრობოდნენ მას, მაგრამ, როგორც მეფე მირიანი გადმოგვცემს, მორწმუნეთა უმრავლესობა ვერ კადნიერდებოდა სვეტიცხოვლის ტაძარში შესულიყო, „რამეთუ შიში დიდი დაცემული იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა“. როგორც ჩანს, პირველ ქრისტიან მეფე მირიანსაც ჰქონია ღვთის ასეთი შიში ცხოველმყოფელი სვეტის მიმართ, რაც მისი სიტყვებიდან კარგად ჩანს: „ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკვეთად მიწა სამარედ ჩემდა“.[55] მის ამ სიტყვებში ღვთისმოსაობასთან ერთად კარგად ჩანს, აგრეთვე ქრისტიანული თავმდაბლობაც. როგორც ჩანს, იგი თავის თავს უღირსად თვლიდა, საბოლოო განსასვენებელი ასეთ წმინდა ადგილზე გაეჩინა. ამიტომ იგი ანდერძისამებრ თავის მეუღლე ნანა დედოფალთან ერთად იმ დროს ახლადაგებულ ზემო ეკლესიაში, ანუ სამთავროს ტაძარში დაკრძალეს. აქვე დავძენთ, რომ სვეტიცხოვლის ტაძარში პირველი, ვინც სამეფო ოჯახიდან დაიკრძალა, იყო მეფე მირიანის უფროსი ძე, ტახტის მემკვიდრე და წმ. ნინოს ცხოვრების ერთ-ერთი აღმწერის, სალომე უჯარმელის მეუღლე რევი. მან ქრისტიანული თავმდაბლობით უარი განაცხადა მეფობაზე და თავისი მოღვაწეობა მხოლოდ ახალ სარწმუნოებაზე ზრუნვას მოახმარა. რევს განუზრახავს ცხოველმყოფელი სვეტისათვის ქვიტკირი შემოევლო. მან ეს განზრახვა „სრულ ჰყო“, მაგრამ, როგორც ჩანს, მიწის პირიდან ქვის ღობე ძალიან დაბალი ყოფილა. რევის შვილიშვილმა მირდატმა შეაკეთა ქვიტკირის ღობე და „აღამაღლა ქვიტკირი პირველ სუეტისა ოდნადა, და თავსა მის სუეტისასა აღმართა ჯვარი იგი განმაცხოვებელი“.[56] ამავე მეფის დროს დაუწყიათ ცხოველი სვეტის ნაწილების გამოღება და მისგან ჯვრების დამზადება, რომლისგან „ღიდნი სასწაულნი და კურნებანი იქმნებოდეს“. ცხოველი სვეტისაგან დამზადებული ჯვრები მთელ საქართველოს მოეფინა. მომხდარი სასწაულების გამო ქართლის მთავარეპისკოპოსი იაკობი და სამეფო კარი ხალხს არ უკრძალავდა, ცხოველმყოფელი სვეტისაგან დაემზადებინათ ჯვრები. თვით მეფე მირდატსაც დაუმზადებია ერთი ჯვარი, რომელიც მან ცხოველმყოფელი სვეტის ქვიტკირის აღდგენის დროს მის თავზე აღმართა.[57] ეს ჯვარი წყაროში „ძელი განმაცხოვებლის“ სახელით იხსენიება, იმიტომ, რომ იგი ცხოველმყოფელი სვეტის ნაწილისაგან იყო დამზადებული. როგორც ვხედავთ, მირდატის დროს ცხოველმყოფელი სვეტის მადლი მთელ საქართველოს მოეფინა, ხოლო, რაც დარჩა ქვიტკირის სვეტში, მას „სდიოდა მირონი სამკურნალო და აწ უწოდებენ სამირონეს“.[58] V საუკუნის პირველ ნახევარში, სვეტიცხოვლის ტაძრის დანგრევის დროს მირონმდინარე ცხოველმყოფელი

სვეტი დროებით მცხეთის სხვა ეკლესიაში დაუბრძანებიათ. ვახტანგ გორგასლის მეფობისას, სვეტიცხოვლის ტაძრის აგების დროს ცხოველმყოფელი სვეტი ისევ თავის ადგილზე დააბრუნეს. მან ცხოველი სვეტი ახალი ქვიტკირით შემოღობა. მკვლევარი ან. ნატროშვილი XIX საუკუნის დასასრულს ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ მეფე ვახტანგ გორგასლის დროს ცხოველმყოფელი სვეტის ქვიტკირმა თანამედროვე სახე მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეფობის შემდეგ მან რამდენჯერმე შეკეთება განიცადაო.[59]

მართალია, ცხოველი სვეტი ქვიტკირით იყო შემოღობილი, მაგრამ ამ სვეტის ძირის ჩრდილოეთ ნაწილს უძველესი დროიდან პატარა ღიობი ანუ ხვრელი ჰქონია დატანებული, საიდანაც უწყვეტ ნაკადად სურნელოვანი მირონი გადმოდიოდა. ეს პატარა ღიობი ანუ ჩასასვლელი, რომელიც დღესაცაა დაცული, წყაროებში „ნესტვათ“ (ხვრელად) არის მოხსენებული, რომელიც მლოცველთა მიერ ხილულად ჩანდა. სხვადასხვა დროს ბევრჯერ ცდილან უმეცრებით თუ წინასწარი განზრახვით ეს მირონმდინარე ღიობი ანუ ხვრელი კირით ან ცარცით ამოევსოთ, მაგრამ, როგორც ქართული წყაროები გადმოგვცემენ, „იგი მასვე ჟამსა აღმოხეთქვის“.[60] აქვე დავძენთ, რომ საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ცხოველმყოფელი სვეტიდან სურნელოვანი მირონი უწყვეტ ნაკადად საუკუნეების განმავლობაში მოედინებოდა. მხოლოდ XVI საუკუნის შუა ხანებში, შაჰ-აბას I-ის პაპის შაჰ-თამაზის (1524-1576) ერთ-ერთი შემოსევის დროს წაბილწულ იქნა სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელიც დამპყრობელს პირუტყვისა და ცხენების სადგომად გადაუქცევია. ამ დროიდან ცხოველმყოფელი სვეტიდან მირონის გადმოსვლა შეწყვეტილა. ყიზილბაშთა გაძევების შემდეგ ურჯულოებისაგან წაბილწული სვეტიცხოვლის ტაძარი სასულიერო პირებს ხელახლა უკურთხებიათ, ხოლო ცხოველმყოფელი სვეტის ღიობთან, საიდანაც ადრე მირონი მოედინებოდა, პატარა თასი მოუთავსებიათ, იმ იმედით, რომ სვეტიდან გადმოსული მირონი თასზე დაიღვრებოდა, მაგრამ შაჰ–თამაზის მიერ სვეტიცხოვლის წაბილწვის შემდეგ ცხოველმყოფელი სვეტიდან მირონი აღარ გადმოსულა. აღნიშნულ საეკლესიო ტრადიციას ნაწილობრივ ადასტურებს რუსული წერილობითი წყაროები. XVII საუკუნის 20-იან წლებში მოსკოვში მოღვაწე ნოვოსპასკის მონასტრის კელარს, ეროვნებით ბერძენს, იოანიკეს, რომელიც ამავე საუკუნის 10-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა, მოუნახულებია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და ადგილობრივი სასულიერო პირებისაგან მოუსმენია ზემოთ აღნიშნული გადმოცემა.[61]

VI საუკუნეში, როგორც იოანე ზედაზნელის ცხოვრებაშია აღნიშნული, ქართლში მოსულ ასურელ მამებს იმჟამინდელმა კათოლიკოსმა ევლავიოსმა დაათვალიერებინა სვეტიცხოვლის ტაძარი, უჩვენა სასწაულმოქმედი, მირონმდინარე ცხოველმყოფელი სვეტი და დაწვრილებით მოუთხრო მათ ქართლის გაქრისტიანების ამბები.[62] მართალია, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი XI საუკუნის პირველ ნახევარში ხელახლა იქნა აშენებული, მაგრამ, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ I-ის (1010-1033) 1029 წლით დათარიღებულ სიგელშია აღნიშნული, ცხოველმყოფელი სვეტის

ქვიტკირი აღარ განახლებულა. აღნიშნული სიგელით ირკვევა, რომ მელქისედეკ კათოლიკოს-პატრიარქმა დიდი ყურადღება მიაქცია სვეტიცხოვლის ტაძრის გარდა „... მას შინა ღმრთივ აღმართებულსა სუეტიცხოველსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და წმინდა მყოფელსა“, რომელიც, როგორც თვით კათოლიკოს-პატრიარქი აღნიშნავს, „შევჭედე სუეტი ცხოველი ოქრო თა და ვერცხლითა“.[63]

XIII საუკუნის დასასრულს ძლიერმა მიწისძვრამ და XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თემურ-ლენგის შემოსევებმა საგრძნობლად დააზიანა ცხოველმყოფელი სვეტი. განსაკუთრებული ზიანი მისთვის მიუყენებია თემურ ლენგს. როგორც წყარო აღნიშნავს, ლანგ-თემურმა „ხელყო დარღვევად და მოოხრებად სვეტისა ცხოველისა შინაგან.“[64] თემურ ლენგის შემოსევების შედეგად დანგრეული სვეტიცხოვლის ტაძარი „და მას შიგან აღმართებული სვეტის“ ქვითკირის კედელი 1431 წელს კაპიტალურად შეუკეთებია მეფე ალექსანდრე I-ს (1412-1442 წწ). შემდგომ საუკუნეებშიც სამეფო კარი და საქართველოს საკათალიკოსო მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა და სიფრთხილით ეპყრობოდა სვეტიცხოვლის ტაძარს და მის შიგნით აღმართულ ცხოველი სვეტის სიწმინდეს. XVII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში კათოლიკოსმა ნიკოლოზ ამილახორმა (1678-1688; 1692-1695 წწ.) ტაძრის განახლებასთან ერთად სათანადოდ გაამშვენიერა ცხოველმყოფელი სვეტი, რომლის შესახებ იგი 1686 წლით დათარიღებულ სიგელში საგანგებოდ აღნიშნავს: „სვეტზე სადაფქარის ჩარდახი გავაკეთეთ და მის გარშემო ხომლითა და კანდლითა შევამკევით, ძირს მავთულისა ფანჯარა შემოვავლეთ და სვეტი გარშემო მოვფინეთ“.[65] იმავე ნიკოლოზ კათალიკოსმა 1688 წელს ცხოველი სვეტის ქვიტკირის კედლები მოახატვინა მოქალაქე გრიგოლ გულჯავარაშვილს. ამას გვაუწყებს სვეტის დასავლეთის კედელზე შემორჩენილი ორსტრიქონიანი წარწერა.

ცხოველმყოფელი სვეტის გამშვენიერებას დიდი ამაგი დასდო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ, რომელმაც „შეამკო კარი სამირონესი ოქროთი, მინითა და ვერცხლითა, და ჰყო მოფენილ-მოფარდაგული ზეზით კერილითა.“[66] სპარსეთიდან დაბრუნებული მეფის ძმა დომენტი კათოლიკოსი დიდად კმაყოფილი დარჩენილა ვახტანგ VI-ის გულუხვობით. XIX საუკუნეში ცხოველმყოფელი სვეტი უმნიშვნელოდ განუახლებიათ. ქვიტკირს შემოავლეს ხის რიკულებიანი მოაჯირი და ფანჩატურიც საგანგებოდ გაუკეთეს. ამავე პერიოდს განეკუთვნება სვეტის ჩრდილოეთ კედელზე, ფანჩატურის ახლოს შესრულებული რამდენიმე მდარე, უგემოვნო მხატვრობა.[67]

მართალია, დაზიანებული სახით, მაგრამ დღემდე მოაღწია XVII საუკუნის 80-იან წლებში გრიგოლ გულჯავარაშვილის მიერ შესრულებულმა მხატვრობამ ცხოველმყოფელი სვეტის ოთხივე კედელზე. აღნიშნული მხატვრობის ძირითადი თემატიკა ქართლის გაქრისტიანების სცენებითაა წარმოდგენილი. სვეტის კედლებზე გამოსახულია მირიან მეფის ნადირობა თხოთის მთაზე და გამოცხადება, სვეტის ამაღლება, ანტიოქიის პატრიარქი ესტატე, რომელიც საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, მცხეთაში ჩამოვიდა ახლადაგებული

სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხებლად, იგი სახარებას გადასცემს მეფე მირიანს, ქრისტიანობაზე მოქცევის ნიშნად. ქართლის გაქრისტიანების სცენების გარდა, სვეტის კედლებზე ბიბლიური სიუჟეტებიცაა გამოსახული.[68]

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მართალია, საუკუნეების მანძილზე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი მრავალჯერ იქნა აშენებული და თითოეული მშენებლობის დროს კიდევაც იცვლებოდა ტაძრის იერსახე, ამასთან ერთად გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა ცხოველმყოფელი სვეტის ქვიტკირის საბურველიც, მაგრამ ამისდა მიუხედავად, თავისი სიმბოლური დატვირთვით უცვლელი რჩებოდა ცხოველმყოფელი სვეტი.

მართალია, ქართული და ზოგიერთი უცხოური წყაროს მიხედვით მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაფლულია ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდე – მაცხოვრის კვართი, მაგრამ ამისდამიუხედავად უფლის კვართის კუთვნილებაზე დღესდღეობით პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, კერძოდ: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი და სხვ. უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს 20-ზე მეტი სამოსელი, რომელიც უფლის კვართის სახელს უკავშირდება, ხოლო ქრისტიანული სამყაროს სამოც ეკლესიას, ძირითადად კათოლიკურ ეკლესიებს, მიაჩნიათ, რომ მათთან ინახება მაცხოვრის კვართის ნაწილები. ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს, დაწვრილებით მიმოვიხილოთ და გავარკვიოთ დასახელებულ სიწმინდეთა ავთენტურობა. ჩვენი მიზანი მოკრძალებულია: მოკლედ, ზოგადი სახით მკითხველს გავაცნოთ ჩვენი შეხედულება საქართველოს ფარგლებს გარეთ დაცული უფლის კვართის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა პირველი ნაშრომები. გერმანიაში, კერძოდ კი ქალაქ ტრირში დაცული უფლის კვართის შესახებ ევროპაში გამოქვეყნდა დოქტორ უილიამსის ორი ნაშრომი, პირველი ნაშრომი – „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმინდა კვართი ტრირში“ – 1891 წელს დაიბეჭდა ქალაქ ტრირის ეპისკოპოსის ინიციატივით. დასახელებული ნაშრომის გამოსვლამ ოპონენტთა მკაცრი შეფასება დაიმსახურა. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც უილიამსის ნაშრომს გამოეხმაურა, იყო აბატი ა. ჟაკმო, რომელმაც 1894 წელს გამოსცა შრომა „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს უკერავი კვართი“. იგი თავისი ნაშრომით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქრისტეს კვართი ინახებოდა საფრანგეთის ქალაქ არჟანტოიში. აბატმა ა. ჟაკმომ ვერ შეძლო უილიამსის ნაშრომში მოტანილი წერილობითი წყაროების გაბათილება, რის გამოც, მან გამოთქვა ვარაუდი, რომ არსებობდა ქრისტეს ორი კვართი. აქედან ერთი, მისი აზრით, ქალაქ ტრირის კუთვნილებაა, მეორე კი საფრანგეთის ქალაქ არჟანტოიშია დაცული. ა. ჟაკმოს აღნიშნული მოსაზრება რეალურ სინამდვილეს არ ასახავს. სახარებიდან კარგად ჩანს, რომ უფალს ჯვარცმის დროს ერთი უკერველი კვართი ემოსა. აბატ ა. ჟაკმოსა და სხვათა კრიტიკული ნაშრომების გამოსვლის შემდეგ მკვლევარმა უილიამსმა 1894 წელს საწინააღმდეგო მოსაზრებების გასაბათილებლად გამოაქვეყნა მეორე წიგნი სათაურით „ტრირის წმინდა კვართი და არჟანტოის რელიქვია“. იმ დროისათვის ა. ჟაკმოსა და უილიამსისათვის უცნობი იყო

ქართული წერილობითი წყაროები საქართველოში უფლის კვართის დაფლულობის შესახებ. ამ მიზეზის გამო ქართულმა დოკუმენტურმა მასალებმა დასახელებულ მკვლევართა შრომებში სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა.

დოქტორ უილიამსისა და აბატ ა. ჟაკმოს დასახელებული ნაშრომები კრიტიკულად განიხილა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში იტალიაში მოღვაწე ქართველმა კათოლიკე მღვდელმა და ცნობილმა მკვლევარმა მიხეილ თამარაშვილმა, 1910 წელს ქალაქ რომში ფრანგულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“.

ტრირის ტაძარში არსებულ კვართს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. წერილობითი წყაროს ცნობით, ტრირის საკათედრო ტაძარში კვართის მოხვედრის ისტორია მომდინარეობს IV საუკუნიდან და დაკავშირებულია პირველი ქრისტიანი იმპერატორის კონსტანტინეს დედის ელენეს სახელთან. ამ წყაროს მიხედვით, ელენე დედოფალმა, რომელიც თითქოს წარმოშობით ტრირიდან იყო, დიდად გაამდიდრა თავისი მშობლიური ქალაქი ქრისტიანული სიწმინდეებით. იმავე წყაროს გადმოცემით, მას შემდეგ, რაც ელენე დედოფალმა ქალაქ ტრირში მიაკვლია მოციქულ მატათას წმინდა ნეშტს, მან იუდეადან ჩამოტანილი ქრისტიანობის წმინდა რელიქვიები: პეტრე მოციქულის კბილი, მოციქულ ანდრეას ხამლი, უფლის კვართი, სამსჭვალთან ერთად, დანა, რომელიც მაცხოვარმა საიდუმლო სერობის დროს გამოიყენა და სხვ. საჩუქრად გადასცა თავის მშობლიურ ქალაქს. ქრისტიანული წმინდა რელიქვიების ბოძებით, როგორც წყაროები გადმოგვცემენ, ელენე დედოფალმა სახელი გაუთქვა ქალაქ ტრირს.[69]

ტრირში უფლის კვართის მოხვედრის ისტორია გადმოცემულია ერთადერთ წერილობით წყაროში, რომელიც IV საუკუნეში მოღვაწე წმინდა პაპის სილვესტრის სახელს უკავშირდება და სამეცნიერო ლიტერატურაში წმ. სილვესტრის სიგელის სახელითაა ცნობილი. სწორედ ამ სიგელის მიხედვით ქალაქი ტრირი წმინდა ელენეს სამშობლოა „და რომ ამ მიზეზით ელენეს მართლაც შეეძლო ტრირისათვის სხვა რელიქვიებთან ერთად წმინდა კვართი შეეწირა“.[70] მ. თამარაშვილი იმდროინდელი ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ სილვესტრის სიგელი ტრირის კვართის ისტორიის რეალურობის საბუთად არ გამოდგება. მ. თამარაშვილის მოღვაწეობის დროს მკვლევართა მიერ დადგენილ იქნა, რომ სილვესტრის სიგელი დედანს არ წარმოადგენდა, იგი დაკარგულად ითვლება და ვარაუდობენ, რომ V საუკუნეში ზეპირი გადმოცემების საფუძველზე აღნიშნული სიგელი აღუდგენია ეპისკოპოს ვოლუსიენს, რაც, ბუნებრივია, გამორიცხავს მის ავთენტურობას.[71] უფრო მეტიც, არც ეპისკოპოს ვოლუსიენის მიერ აღდგენილი სიგელი არის მიჩნეული სანდო წყაროდ. გაირკვა, რომ სილვესტრის სიგელის შესახებ ცნობები XI საუკუნემდე არ მოგვეპოვება. მანამდე იგი მოხსენებულიც არაა არც გერმანულ და არც ლათინურ მატიანეებში. სილვესტრის სიგელი მხოლოდ XI – XII საუკუნის სამ სხვადასხვა კრებულშია ჩართული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სილვესტრის სიგელის სამივე რედაქციის ტექსტები შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებულია, რაც მის სანდოობას გამორიცხავს. ტექსტის

შინაარსის არასაიმედობაზე მეტყველებს ფაქტებისა და მოვლენების შეუსაბამობა. ევროპელ მკვლევარებთან ერთად მ. თამარაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სილვესტრის სიგელის ზოგიერთ უზუსტობაზე საგანგებოდ მიუთითა. ამის მაგალითად მას მოჰყავს ის ფაქტი, რომ ტექსტის მიხედვით, თითქოს 368 წელს პაპმა სილვესტრმა და ელენე დედოფალმა ანტიოქიის პატრიარქს აგრიციუსს ქრისტიანული სიწმინდეები ტრირში გაატანეს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 368 წელს ელენე დედოფალი და პაპი სილვესტრი კარგა ხნის გარდაცვლილები იყვნენ. ელენე დედოფალი გარდაიცვალა 327 წელს, პაპი სილვესტრი 335 წელს. ამის გარდა, ამ დროისათვის წერილობითი წყაროები აგრიციუსს ანტიოქიის პატრიარქად არ მოიხსენიებენ. სილვესტრის სიგელის ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე მ. თამარაშვილი გამორიცხავს მის ავთენტურობას და დაასკვნის, რომ იგი შედგენილი უნდა იყოს XI საუკუნეში. ასეთი შეუსაბამობის გარდა მ. თამარაშვილი ევროპელ მკვლევართა მოსაზრებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ტრირი, რომელიც სილვესტრის სიგელის მიხედვით ელენე დედოფლის მშობლიურ ქალაქადაა აღიარებული, არ უნდა იყოს მისი სამშობლო. მისი მოსაზრებით, არც ელენე დედოფლის დროინდელი და არც შემდგომი პერიოდის წყაროები და ბიოგრაფები მის სამშობლოდ ქალაქ ტრირს არ მიჩნევენ. თავისი მოსაზრების განმტკიცებისა და მკითხველის დარწმუნების მიზნით მ. თამარაშვილს მოჰყავს 340 წელს ტრირში დაბადებული წმინდა ამბროსი მედიოლანელის ცნობა, რომელსაც უეჭველად უნდა ვენდოთ. ქალაქ ტრირში აღზრდილი წმინდა მამა ამბროსი ელენე დედოფლის სამშობლოდ მიიჩნევს არა ტრირს, არამედ, ქალაქ ნიკომედიის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ დრეპანუმს. ამასვე იმეორებს V საუკუნის ოსტგუთების ისტორიკოსი კასიოდორუსი.[72] უკანასკნელი მონაცემებით, ელენე დედოფლის არათუ დაბადება, არამედ მისი ტრირში ცხოვრების ვერსიაც არ დასტურდება.

მ. თამარაშვილის ფრანგულენოვან შრომაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აბატ ა. ჟაკმოს ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ნაშრომის განხილვას, რომელსაც მიაჩნდა, რომ უფლის კვართის განსასვენებელი ქალაქი არჟანტოია. მიუხედავად იმისა, რომ ა. ჟაკმოს ნაშრომი ოპონენტთა შეფასებით ერთ-ერთი „საუკეთესოა ზემოთ ხსენებულ საკითხზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის“, მან მ. თამარაშვილის მკაცრი კრიტიკა მაინც დაიმსახურა. მ. თამარაშვილი მეცნიერული კეთილსინდისიერებით მიმოიხილავს ა. ჟაკმოს ნაშრომში გამოყენებულ თითქმის ყველა წერილობით წყაროს და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ შრომაში გამოყენებული მასალები „მოგვიანებით გამოგონილი წმინდა წყლის ლეგენდებია“. მ. თამარაშვილი ურჩევდა მკვლევარ ა. ჟაკმოს, მომავალში, აღნიშნული საკითხის გაშუქების დროს, სათანადო ყურადღება მიექცია წერილობითი წყაროების სანდოობის საკითხის განხილვისათვის, რაც უეჭველად გამოადგებოდა „არჟანტოის რელიქვიის ავთენტობის დასამტკიცებლად“.[73]

მ. თამარაშვილის მოსაზრებას იმდროინდელი ევროპული ისტორიოგრაფია კრიტიკით არ შეხვედრია. უფრო მეტიც, მისი ზოგიერთი შეხედულება

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გაზიარებულიც კი იქნა.

უკანასკნელ პერიოდში უფლის კვართის ისტორიის კვლევასთან დაკავშირებით საგრძნობი წინსვლა შეინიშნება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 1996 წელს გერმანიის ქალაქ ტრირის საკათედრო ტაძარში დაცულ უფლის კვართთან დაკავშირებით, ამავე ქალაქის ეპისკოპოსის, ჰერმან ჟოზეფ შპიტალის რედაქტორობით, გერმანულ ენაზე გამოიცა სქელტანიანი ნაშრომი, რომელშიც ტრირის უფლის კვართისადმი მიძღვნილი სხვადასხვა მკვლევართა საინტერესო გამოკვლევებია გამოქვეყნებული. მათ შორის განხილულია და კრიტიკულადაა შეფასებული ქართული წერილობითი წყაროები.

წარმოდგენილ კრებულში სხვადასხვა კუთხითაა შესწავლილი ტრირის საკათედრო ტაძარში არსებული კვართი. აქვე, ზოგადად, საუბარია უფლის კვართის თეოლოგიურ წყაროებზე, სათანადო ყურადღება ეთმობა იმის ჩვენებას, თუ რა ადგილი ეკავა წმინდა მამების ნააზრევში უფლის კვართს და რა დატვირთვას აძლევენ ისინი ქრისტიანობის ამ უდიდეს სიწმინდეს. მეტად საინტერესოდაა წარმოდგენილი ტრირის კვართის ისტორიული ასპექტები და სხვ.[74] საკითხის შესწავლის დროს დასახელებული ნაშრომების მკვლევარები კრიტიკულად მიმოიხილავენ არსებულ წყაროებს. თითქმის ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ სილვესტრის სიგელი, რომლის ცნობებით ტრირის საკათედრო ტაძარში კვართის დავანება წმ. ელენე დედოფლის სახელს უკავშირდება, გვიანაა შედგენილი და ნაკლები სანდოობით გამოირჩევა. მათი მტკიცებით, ტრირის კვართის შესახებ ცნობები XII საუკუნიდან საკმაოდ დამაჯერებელია.[75] როგორც ჩანს, სილვესტრის სიგელის შემდგენელთ სურდათ ეჩვენებინათ, თუ სად იყო კვართი XII საუკუნემდე და ამ მიზნით შეიქმნა იგი.

კრებულში საინტერესოდაა წარმოჩენილი ტრირის კვართის დღესასწაულის განგება. აღნიშნულია, რომ ტრირის უფლის კვართის ნახვის საშუალება ფართო საზოგადოებას 1512 წელს მიეცა, როცა იგი მნახველთა წინაშე პირველად გამოიფინა. 1515 წელს რომის პაპის ბულით დამკვიდრდა ტრადიცია, რომ ყოველ შვიდ წელიწადში იგი გამოეფინათ მნახველთა წინაშე, მაგრამ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მისი გამოფენა იშვიათად ეწყობოდა. პირველი გამოფენის დროს ტრირის კვართისადმი მიძღვნილი წირვის წესი შეუდგენია ამ გამოფენის ინიციატორს, ტრირის უნივერსიტეტის პროფესორს, შემდეგ ეპისკოპოს იოჰანეს ენენს († 1519 წ.), რომელიც საღმრთო წერილს ეფუძნება და ეკლესიურ ერთობას ქადაგებს: „ღმერთო, შენ არ დაუშვი – აღნიშნულია ტრირის კვართის საკითხავში, – რომ ჩვენი მხსნელის სამოსელი დანაწილებულიყო და ეს გააკეთე შენ ეკლესიის სახის საჩვენებლად. მოგვმადლე, რომ ყველა, ვინც ვინათლებით, ქრისტეს სახელით ერთ რწმენაში და შენთან ერთად ერთი სიყვარულით ვიყოთ“.[76]

მართალია, XVI საუკუნეში შედგენილი ტრირის კვართის (საღვთისმსახურო) განგება, ლიტურგიკული და მეცნიერული თვალთახედვით საინტერესოა, მაგრამ ამავე კრებულში გამოქვეყნებულ ნაშრომში მკვლევარი ზ. შმალცბაუერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მხოლოდ საქართველოში კვართმა ცხოველმყოფელ სვეტთან ერთად ასახვა ჰპოვა ლიტურგიკულ ლიტერ-

ატურაში, როდესაც იერუსალიმიდან დაბრუნებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერიძემ (1150 – 1178) თამარ მეფის ეპოქაში ლიტურგიკული საკითხავები შექმნა სვეტიცხოვლის ტაძრის, ცხოველმყოფელი სვეტის და უფლის კვართის შესახებ.[77]

ამავე კრებულში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მკვლევარ ბ. შმიდტის ნაშრომი, რომელიც ეხება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ეკლესია-მონასტრებში დაცული „წმინდა კვართის“ ისტორიის ზოგად მიმოხილვას. იგი ჩამოთვლის იმ ეკლესია-მონასტრებს (დაახლოებით 60-მდე ეკლესია), რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ, რომ მათთან ინახება „უფლის კვართის“ ნაწილები. მათ შორის ნახსენებია საქართველო. აქვე დავძენთ, რომ დასახელებულ მკვლევარს საქართველოში უფლის კვართის დამადასტურებელ მასალად მოაქვს XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რუსი მკვლევარის, ე. ბოლხოვიტინოვის მცდარი ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს XV საუკუნეში, კონსტანტინოპოლის დამხობის შემდეგ დევნილმა სამღვდელოებამ უფლის კვართი, გადარჩენის მიზნით, საქართველოში შემოიტანა. აქედან კი იგი თითქოს სპარსეთის შაჰმა გაიტანა, რომელიც შემდგომ რუსეთის მეფეს გაუგზავნა.[78] ბ. შმიდტისათვის უცნობია, ან კიდევ არ იყენებს საქართველოში უფლის კვართის მოხვედრის შესახებ არსებულ უძველეს ქართულ წერილობით წყაროებს. აქვე დავძენთ, რომ იგი უპირატესობას ანიჭებს და რეალობად მიიჩნევს ტრირში უფლის კვართის არსებობას. ამის გამო სხვა ქვეყნებში კვართის არსებობის შესახებ დამადასტურებელი წყაროების მიმოხილვით თავს არ იწუხებს.

ბ. შმიდტის დასახელებული ნაშრომის გაცნობით დავრწმუნდით, რომ მრავალი ქვეყნისა თუ ეკლესიის პრეტენზია, უფლის კვართის ნაწილების ფლობის შესახებ, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან საღმრთო წერილის მიხედვით, უფლის კვართის განუყოფლობა (მისი დაუნაწევრებლობა) იმთავითვე განსაზღვრული იყო. ამის შესახებ ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ხაზგასმულია: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართისა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფსალმუნი 21, 18). კვართის დაუნაწევრებლობის შესახებ იოანეს სახარება პირდაპირ მიუთითებს: „ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთს: არა განვხიოთ ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისაცა იყოს“ (იოანე, 19, 23-24). სახარებისეული ინტერპრეტაციიდან კარგად ჩანს მაცხოვრის კვართის საღვთისმეტყველო მხარე. უფლის კვართის დაუნაწევრებლობა ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოა. როგორც თეოლოგები მიუთითებენ, ახალ აღთქმაში, განსაკუთრებით კი იოანეს სახარებაში, ეკლესიური ერთობა და განუყოფლობა გარკვეული მუხლების სახითაა ჩამოყალიბებული. ერთიანი და განუყოფელი ეკლესია სახარებაში უკერველი და დაუნაწევრებელი კვართის სახითაა წარმოდგენილი. როგორც ერთი ძაფით ნაქსოვი კვართი არ უნდა დანაწევრდეს, ისე არ უნდა დაირღვეს ეკლესიის ერთობა. სწორედ ამიტომ, ღვთის ნებით, ქრისტეს ჯვარცმის დროს არ მომხდარა კვართის დანაწევრება, მაცხოვრის სხვა სამოსელი კი გაიყვეს ნაწილებად. სახარებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის შესახებ საგანგებოდ

არის მინიშნება. სწორედ ამიტომ, საღმრთო წერილზე დაყრდნობით ქრისტიანულ სამყაროში უფლის კვართი ეკლესიური ერთობის სიმბოლოდ აღიქმება. ამის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს III საუკუნის წმინდა მამა კვიპრიანე კართაგენელი (200 - 257 წ.): „კვართი უფლისა... არანაირად არ ნაწილდება, არც იხევა, არამედ ქრისტეს სამოსზე წილისყრის ჟამს კვართი მიიღება როგორც მთლიანი სამოსი და მფლობელობაში გადაეცემა დაუზიანებელი და დაუნაწილებელი... კვართი მატარებელი იყო იმ ერთობისა, რაც მოდის ზემოდან ანუ ციდან და მამისგან და რაც არანაირად არ შეიძლებოდა, დარღვეულიყო მისი (კვართის) მიმღებლისა და მფლობელის მიერ, არამედ იგი განუყოფლად იცავდა ერთობლივად მთლიან და მკვრივ სიმტკიცეს. ქრისტეს შესამოსლის ფლობა არ ძალუძს მას, ვინც არღვევს და განყოფს ქრისტეს ეკლესიას“.[79] როგორც ვხედავთ, უფლის კვართს ზეციური მამისაგან ჰქონდა მადლმოსილება ეკლესიური ერთიანობისა და განუყოფლობისა. ამ მიზეზით იგი არ შეიძლებოდა დანაწევრებულიყო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ ეკლესია-მონასტრებისა და ქვეყნების პრეტენზია (მათ შორის, როგორც ქვემოთ ვნახავთ – რუსეთის ეკლესიისაც), რომლებიც „უფლის კვართის“ ნაწილების ფლობას იჩემებენ, სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს ამ სიწმინდეების რეალობაში, შესაძლებელია, ისინი ქრისტეს სამოსლის ის ნაწილებია, რომელიც ჯვარცმის დროს გაიყვეს ავაზაკებმა. უეჭველია, რომ ქრისტეს სამოსლის ნაწილებს, რომელიც უფლის დასჯის დროს დანაწილებულ იქნა, ისინი ვერ ასხვავებენ მაცხოვრის უკერველი კვართისაგან. უცხოური წყაროებისაგან განსხვავებით, ქართული წერილობითი წყაროები ერთმანეთისაგან კარგად მიჯნავენ ქრისტეს კვართს უფლის სხვა სამოსლისაგან და მათ პირველმფლობელთა ვინაობაზეც გვაწვდიან ცნობებს. ამის შესახებ საგანგებოდ მიუთითებს ქართული ქრონიკა: „ჯუარს აცუეს და სამოსელი მისსა ზედა წილ-ითხინეს... და დაჰფლეს მათ დამბადებელი თ სი და დაჰკრძალეს საფლავი. ხოლო იგი აღდგა, ვითარცა თქუა პირველ, და ტილონი იგი, ოდეს განთენა, იხსნეს საფლავსა შინა. და ესე ყოველი წარმოიცადა პილატე და მოვიდა საფლავად იგინი და ცოლი მისი, და ტილონი იგი ჰპოვნეს, და მოიხუნა იგინი ცოლმან პილატესმან. და წარვიდა წრაფითა დიდითა პონტოდ, სახედ თ სა რომელ იქმნა მორწმუნე ქრისტესა. ხოლო შემდგომად ჟამთა მრავალთა მოვიდეს იგინი ხელთა ლუკა მახარობლისათა და დახსნა იგინი მან, სადაცა თ თ იცის. ხოლო სუდარა არა იპოვა, ვითარცა ხორცნი ქრისტესი. თქუეს ვიეთმე პეტრესთ ს, ვითარმედ ხელ-იწიფა ახუმადო და აქუნდეს, გარნა განცხადებულად არა მიუთხრეს, ვითარ სხუა ყოველი“.[80]

ტრირის კვართისადმი მიძღვნილ კრებულში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მკვლევარ ა. პლონტკე–ლიუნინგის გამოკვლევა, რომელიც ტრირისა და სვეტიცხოვლის უფლის კვართის ერთმანეთთან მიმართების საკითხს ეხება. იგი საკითხის განხილვის დროს დაწვრილებით გასცნობია უფლის კვართის შესახებ არსებულ თითქმის ყველა სახის ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს. წყაროების შეჯერების საფუძველზე დასახ-

ელებული მკვლევარი სამართლიანად დაასკვნის, რომ მცხეთური ტრადიცია უფლის კვართის საქართველოში ჩამოსვენების შესახებ, მჭიდროდაა დაკავშირებული ბიბლიასთან. მისი აზრით, ჯვარცმა, კვართზე წილის გდება, მისი საქართველოში შემოსვლა, რაც ელიოზ მცხეთელის სახელს უკავშირდება, მოხერხებულადაა ჩართული ადგილობრივ ისტორიაში.[81] ასეთი შეფასების მიუხედავად, მკვლევარი ა. პლონტკე-ლიუნინგი და კრებულის სხვა ავტორები ნდობით არ ეკიდებიან კვართის შესახებ არსებულ ქართულ წერილობით წყაროებს ყურადღებას არ აქცევენ საქართველოს ეკლესიის ტრადიციას და ისინი ლეგენდის ნაყოფად მიაჩნიათ. ა. პლონტკე-ლიუნინგი ქართულ წყაროთა მონაცემებს ადარებს ტრირის კვართის შესახებ არსებულ დოკუმენტურ მასალებს. მართალია, იგი აღიარებს, რომ ტრირის ტრადიციაში ჩართული არაა ბიბლიური ცნობები, მაგრამ, მისი აზრით, იგი ეყრდნობა IV საუკუნის ისტორიულ ცნობებს. ნაშრომის დასასრულს ა. პლონტკე-ლიუნინგი დაასკვნის: „მცხეთა და ტრირი არის ორი ძველი ქალაქი დასავლეთსა და აღმოსავლეთში საკუთარი ინდივიდუალური ტრადიციით. ეს ტრადიციები აღმოცენდა ერთსა და იმავე ფესვებზე, ორივე ქალაქი დღემდე ამაყობს ამ გადმოცემებით და ბევრი არაფერი იცის ერთმანეთზე“.[82]

აქვე დავძენთ, რომ მ. თამარაშვილსაც ტრირის კვართის რეალურობაში ეჭვი არ შეჰქონდა. თავის ნაშრომში ევროპული წყაროების კრიტიკულად მიმოხილვასთან ერთად მას მოაქვს საქართველოში კვართის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტური წყაროები. მოხმობილი დოკუმენტური მასალების ანალიზის საფუძველზე მ. თამარაშვილი დაასკვნის, რომ უფლის კვართის თავდაპირველი ადგილსამყოფელი მცხეთა იყო, მაგრამ არ გამორიცხავს იმ ვარაუდს, რომ არაბთა ბატონობის დამყარების დროს (VII საუკუნეში), შესაძლებელია, იგი გატანილ იქნა საქართველოდან და ამ გზით მოხდა ტრირის საკათედრო ტაძარში.[83] რა თქმა უნდა, უფლის კვართის საქართველოდან გატანის მ. თამარაშვილისეული ვერსია წერილობით წყაროებს არ ეყრდნობა. იგი აგრეთვე თავისი მოსაზრებების წამოყენების დროს არ ითვალისწინებს იმასაც, რომ, თუკი ამ ფაქტს ჰქონდა ადგილი, ბუნებრივია, მის შესახებ ცნობები ქართულ წერილობით წყაროებში აუცილებლად აისახებოდა. ასე რომ, უნდა ვენდოთ უძველესი ქართული წერილობითი წყაროების ცნობებს და საქართველოს ეკლესიის ტრადიციას, რომლის მიხედვით, კვართის განსასვენებელი მცხეთაში ის ადგილია, სადაც დღეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარია.[84]

მცხეთაში დაფლულ უფლის კვართთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა მისი საქართველოდან რუსეთში გატანის ვერსია, რომლის შესახებ ცნობები რუსულ წერილობით წყაროებშია დაცული. რუსულ წყაროებში აღნიშნული ცნობები XVII ს-ს 20-იანი წლებიდან ჩანს, რომლის თანახმად, ამ პერიოდში ირანის შაჰის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ძვირფასი საჩუქრი, თითქოს უფლის კვართი იყო. ამ საკითხს რუსეთის მაშინდელი საერო თუ სასულიერო მთავრობა გულმოდგინედ არკვევდა სხვადასხვა პირთა გამოკითხვისა თუ დიპლომატიური არხების საშუალებით. სწორედ აღნიშნული დოკუმენტური მასალების საფუძველზე XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან

რუსეთში გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებიც უტყუარად ასაბუთებდნენ საქართველოდან რუსეთში უფლის კვართის გატანას. ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია მ. სელეზნიოვის, მოსკოვისა და კოლომენსკის მიტროპოლიტის მაკარის, ფილარეტ გუმილევსკის, ნ. მარის, ს. ბელოკუროვის, თანამედროვე მკვლევრების: ა. შამაროს, ნ. ენეევას და სხვათა ნაშრომები.[85] ამას ემატება უკანასკნელ პერიოდში ინტერნეტის ვებ-გვერდზე განთავსებული უამრავი სტატია თუ საცნობარო მასალა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ქართველოლოგის მიშელ ვან ესბროკის ნაშრომი. ზემოთ დასახელებულმა მკვლევარებმა თავიანთ ნაშრომებში გამოყენებული წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, მათი გამოქვეყნების დღიდანვე დაამკვიდრეს ის აზრი, რომ უფლის კვართი, რომელიც ადრე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილება იყო, XVII საუკუნის 20–იანი წლებიდან რუსეთში იქნა გატანილი. ამ მოსაზრებას პირველ ხანებში ზოგიერთი ქართველიც იზიარებდა. მაგალითად, საეკლესიო ისტორიის ცნობილი მკვლევრები პლატონ იოსელიანი და მოსე ჯანაშვილი.[86] ასეთივე შეხედულება ჰქონდა ცნობილს მკვლევარს, ნიკო მარს, რომელიც უფლის კვართისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ტენდენციურად განიხილავდა მის შესახებ არსებულ წერილობით წყაროებს. მას „ეჭვი არ ეპარებოდა შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან კვართის გატანაში და მისი რუსთ ხელმწიფისათვის საჩუქრად გაგზავნაში.“[87] იგი მკაცრად აკრიტიკებდა ყველა იმ მკვლევარს, რომელიც უფლის კვართის საქართველოდან გატანას უარყოფდა.[88] ასეთი მოსაზრების მიუხედავად, იმთავითვე ეჭვქვეშ დადგა რუსული წყაროების სანდოობის საკითხი. ჯერ კიდევ, 1842 წელს ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ფელისიტე ბროსემ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ახლადგამოვლენილი რუსული წყაროების საფუძველზე ეჭვი შეიტანა ზოგიერთი რუსული წყაროს სანდოობაში.[89] უფლის კვართის საქართველოდან გატანასთან დაკავშირებით პოლემიკა განსაკუთრებით გამწვავდა, როცა 1891 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ამავე ქალაქში საიმპერატორო კართან არსებული მუზეუმის წევრის ს. ბელოკუროვის მიერ ახლადგამოვლენილი წყაროები, რომელსაც თან დაურთო თავისი გამოკვლევა.[90] აღნიშნული ნაშრომის საწინააღმდეგოდ, 1892 წელს ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მკვლევარმა თედო ჟორდანიამ „ეგრის“ ფსევდონიმით ჯერ სტატიის სახით პრესაში დაბეჭდა მცირე მოცულობის სტატია, შემდეგ კი იგი იმავე წელს გამოცემულ თავის ნაშრომს დაურთო.[91] ეს იყო პირველი პოლემიკური ნაშრომი, რომელმაც უარყო რუსული წყაროების ცნობები კვართის საქართველოდან გატანის შესახებ. თ. ჟორდანიას დასახელებული ნაშრომი ოპერატიულად, შეიძლება ითქვას, ცხელ გულზე იყო დაწერილი. ამიტომ ამ მცირე მოცულობის სტატიაში შეუძლებელი იყო დაწვრილებით, კრიტიკულად განხილულიყო ს. ბელოკუროვის მიერ მოტანილი ყველა რუსული წყარო. სამაგიეროდ, 1900 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგმა ა. ნატროშვილმა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისადმი მიძღვნილ, რუსულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო რუსული წერილობითი წყაროებისა და უფლის კვართისადმი მიძღვნილ ს. ბელოკუროვის, ნ. მარის და

სხვათა ნაშრომების კრიტიკულ მიმოხილვას.[92]

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ათეიზმის ეპოქაში, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა წარმოუდგენელი იყო. მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში, ჩვენში მომხდარი სასიკეთო ცვლილებების შემდეგ, უფლის კვართთან დაკავშირებით გამოქვეყნდა საინტერესო ნაშრომები. ამ მხრივ მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს პროფ. ე. მამისთვალიშვილის ქართულ და რუსულ ენაზე გამოქვეყნებული გამოკვლევა, რომელშიც სათანადო ადგილი ეთმობა წერილობითი წყაროებისა და საკითხის შესახებ არსებული ისტორიოგრაფიული ნაშრომების კრიტიკას.[93] აგრეთვე საინტერესოა ახლახან მკვლევარ გ. ბარამიძის მიერ გამოქვეყნებულ, გამოკვლევაც.[94]

ზემოაღნიშნული რუსული წერილობითი წყაროებისა და ამავე პერიოდის ქართული და უცხოური დოკუმენტური წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ვახდენთ აღნიშნული საკითხის შესწავლას. გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია თითქმის ყველა იმ მკვლევარის ნაშრომები, რომელზეც ხელი მიგვიწვდებოდა, დაწყებული XIX საუკუნიდან დღემდე.

XVII საუკუნის 20–იან წლებში უფლის კვართმა რუსეთ-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. დასახელებული საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველო, განსაკუთრები კი კახეთი, ირანის შაჰის ბრძოლის ასპარეზად იქცა. შაჰ-აბასის ოთხგზის შემოსევამ 1614-1617 წლებში ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1648) ხსნას ერთმორწმუნე რუსეთისგან დახმარებაში ხედავდა, რაც, თავის მხრივ, შაჰის გაღიზიანებას იწვევდა. შაჰისათვის ნათელი იყო, რომ ერთმორწმუნეობის საბაბით რუსეთი აქტიურად ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში. მით უმეტეს, მისთვის ცნობილი იყო, რომ კახეთის მეფე თეიმურაზი, დახმარების მიზნით, ხშირად აგზავნიდა ელჩებს რუსეთის ხელმწიფესთან. რუსეთის ხელისუფლება მეფე თეიმურაზ I-ის თხოვნას, დახმარებოდა ერთმორწმუნე საქართველოს ირანის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, უყურადღებოდ არ ტოვებდა. რუსეთის მეფე, როგორც მოსკოვში მყოფი ირანის ელჩების, აგრეთვე შაჰის კარზე გაგზავნილი რუსი დესპანების მეშვეობით მკაცრად აფრთხილებდა შაჰ-აბასს, ხელი აეღო საქართველოს დაპყრობზე. ასეთი პოზიციით რუსეთი დაუფარავად აცხადებდა, რომ იგი უძველესი ქრისტიანული ქვეყნის მფარველი და მტკიცე დამცველი იქნებოდა[95]. 1621 წლის ივნისში რუსეთიდან შაჰის კარზე მივლინებული ელჩები ვ. კორობინი და ო. კუვშინოვი შაჰ-აბასისაგან დაჟინებით მოითხოვდნენ, თავი შეეკავებინა საქართველოზე თავდასხმისაგან, ტყვეობაში მყოფი თეიმურაზ მეფის დედა ქეთევან დედოფალი და ორი შვილი გაეთავისუფლებინა, სამაგიეროდ რუსეთი სთავაზობდა შუამავლის როლს ირან-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგებაში[96]. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში შაჰ-აბასს არ აწყობდა ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობის გართულება, რადგან მას იგი თურქეთის წინააღმდეგ მოკავშირედ აღიქვამდა, მეორე მხრივ, მას არც ის უნდოდა, რომ რუსეთის სახით ძლიერი მეტოქე ჰყოლოდა ამიერკავკასიაში.

სწორედ ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ ფონზე, ირანის შაჰი რუსეთის საერო

და სასულიერო ხელისუფლებას საჩუქრად უგზავნის თითქოსდა საქართველოდან გატანილ უფლის კვართს. ყოველივე ამის გამო ქრისტეს კვართმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა, როგორც რუსეთ-ირანის, აგრეთვე საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაში.[97]

რუსული წერილობითი წყაროების გადმოცემით, 1622 წლის 21 იანვარს ირანის სამეფო კარზე დიპლომატიური მისიით მყოფ რუს ელჩებს ვასილ კორობინს და დიაკონ ოსტაპ კუვშინოვს აუდიენციის დროს ირანის შაჰმა განუცხადა, რომ მას აქვს ივერიის ქვეყნიდან წამოღებული ქრისტეს კვართი, რომელიც სურს თავისი ელჩების ხელით საჩუქრად გაუგზავნოს რუსეთის „დიდ ხელმწიფეს და ხელმწიფის მამას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქს ფილარეტ ნიკოლოზის ძეს“. აქვე შაჰი რუს ელჩებს აცნობებდა, რომ ეს ის პერანგია (срачица), რომელიც უფალს ჯვარცმის დროს ემოსა და როცა ჯვარცმულ ქრისტეს შუბი აძგერეს ფერდში, საიდანაც სისხლი გადმოვიდა. შაჰის განმარტებით, კვართს ახლაც ატყვია სისხლის ნაკვალევიო. ირანის მბრძანებელმა რუს ელჩებს ისიც მოახსენა, რომ, ვინც ამ კვართს რწმენით შეეხება, მას ღმერთი შეიწყნარებს და მისი ძალით განიკურნება, ხოლო ვინც ურწმუნოდ მოეპყრობა, მას იმწამსვე თვალთ დაუბნელდებაო.[98]

რუს ელჩებთან ირანის შაჰის საუბრის დეტალები გადმოცემულია 1624 წლის 27 ივნისს მოსკოვში მიღებული წერილიდან, რომელიც ირანიდან დაბრუნებულმა რუსმა ელჩებმა გზიდან, კერძოდ კი თერგიდან გაუგზავნეს რუსეთის ხელისუფლებას. სხვა წერილობითი მასალა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არ გაგვაჩნია. ზემოაღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ რუსი ელჩები ფრიად ნასიამოვნები დარჩენილან შაჰ-აბას I-ის განზრახვით, თუმცა მათ თავიანთი აღფრთოვანება აშკარად არ გამოუხატავთ შაჰის წინაშე. რუსმა ელჩებმა შაჰს მხოლოდ ის ურჩიეს, რომ თავისი განზრახვის – უფლის კვართის მოსკოვში გაგზავნის შესახებ თვითონ ეცნობებინა რუსეთის მეფისათვის. როგორც ჩანს, შაჰმა მათი რჩევა ყურად არ იღო, მაგრამ, დანაპირები მალე შეასრულა: უკან დაბრუნებულ რუს ელჩობას თან გააყოლა თავისი წარმომადგენლები – ვაჭარ მამასეილის მიერ საგანგებოდ გაკეთებულ ოქროს ზარდახშაში ჩასვენებული ქრისტეს კვართით. რუსეთის ხელისუფლება კი თერგიდან თავისი ელჩების წერილით და არა შაჰ-აბასის მეშვეობით, პირველად იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ირანის ელჩებს მოსკოვში მოაქვთ ძვირფასი საჩუქარი. მოსკოვისათვის ცნობილი გახდა, რომ აუდიენციის დროს რუსი ელჩების წინაშე შაჰ-აბასს განუცხადებია, ამ დიდი ქრისტიანული სიწმინდის ხელში ჩაგდების მიზნით მისთვის სხვადასხვა ქრისტიანული ქვეყნის ხელისუფალთ მრავალჯერ მიუმართავთ თხოვნით, რათა იგი მათთვის დაეთმო, მაგრამ ეს მან არ გააკეთა და მხოლოდ თავისი სურვილით უგზავნის უფლის კვართს რუსეთის ხელმწიფეს. ამ ფაქტით ირანის შაჰი რუს დიპლომატებთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნავს თავის კეთილგანწყობას რუსეთის ხელისუფლების მიმართ და რაც მთავარია, ამის შესახებ იგი აშკარად მიანიშნებს აუდიენციაზე მყოფ რუს ელჩებს. თავის მხრივ, თერგიდან რუსი ელჩები მოსკოვს ატყობინებდნენ

შაჰის კეთილგანწყობას ქრისტიანობის მიმართ. მათი ცნობით, აუდიენციის დროს შაჰს განუცხადებია: ვისაც ქრისტე და ღვთისმშობელი არა სწამს, იგი უნდა დაიწვასო. შაჰი კვართის გაგზავნის სანაცვლოდ ითხოვდა,რომ ლოცვებში მეც მომიხსენიეთო.[99] ჩვენ ეჭვი არ გვეპარება რუს ელჩთა ამ ცნობაში, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ირანის მბრძანებელი ქრისტიანული სარწმუნოებისადმი დიდ ლტოლვას ამჟღავნებდა. როგორც ჩანს, ირანის შაჰის ასეთი განცხადება გარკვეული დიპლომატიური ნაბიჯით იყო ნაკარნახევი. ამით მას სურდა, თავისი კეთილგანწყობა დაედასტურებინა რუსეთის არა მარტო საერო, არამედ ქრისტიანული წრეებისთვისაც.

შაჰის მიერ უფლის კვართის რუსეთში გაგზავნა პოლიტიკური მანევრი რომ იყო, ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გარდა, სხვა მხრივაც დასტურდება. ირანის ხელისუფლებისათვის ცნობილი იქნებოდა, რომ XV საუკუნიდან, ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, რუსეთმა თავი მის მემკვიდრედ გამოაცხადა. ამის საფუძველზე თანდათან ჩამოყალიბდა რელიგიურ-პოლიტიკური თეორია –„მოსკოვი მესამე რომია“. „ამ თეორიის პოლიტიკური მიზანი იყო რუსეთში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, ხოლო მართლმადიდებლურ, განსაკუთრებით სლავურ ქვეყნებში კათოლიციზმის წინააღმდეგ ბრძოლა და რუსეთის გავლენის დამკვიდრება“. დასახული მიზნიდან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლების სურვილი იყო, „მესამე რომში“ – მოსკოვში დავანებული ყოფილიყო ქრისტიანული სიწმინდეები. ბუნებრივია, რომ ირანის შაჰისთვის კარგად იყო ცნობილი, „რუსეთის სამეფოს კარის დაინტერესება ქრისტიანული სიწმინდეებით.“[100] სწორედ ამ მიზნით უნდა გაეგზავნა შაჰს უფლის კვართი მოსკოვში, რათა პოლიტიკურად მისი გული მოეგო. რუსეთი კვართის ფლობით სიმბოლურად თავის თავს მესამე რომად მიიჩნევდა.[101] ირანის შაჰი უფლის კვართის ჩუქებით რუსეთის ამ ფუნქციას მხარს უჭერდა და აღიარებდა.

შაჰ-აბას I-ის (1587 – 1629) განკარგულებით უფლის კვართის რუსეთში გაგზავნა დაევალა სპეციალურად შედგენილ ირანის ელჩობას, რომლებიც უკან დაბრუნებულ რუს ელჩებთან, ივ. კორობინთან და დიაკონ ო. კუვშინოვთან ერთად მოსკოვში გაემგზავრნენ. ელჩობის ხელმძღვანელად დაინიშნა ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ირანში მოღვაწე, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი ქართველი ურუსან ბეგი, რომელიც, როგორც ჩანს, ფორმალურად იყო გამაჰმადიანებული. თუმცა, არც ქრისტიანული ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა. იგი ცოლითა და ვაჟით მიემგზავრებოდა რუსეთში. ელჩობის დანარჩენი წევრები იყვნენ, რუსეთში 1618 წელს ელჩად უკვე ნამყოფი ბულატ ბეგი და ვაჭარი მამასეილი.[102] შაჰის საჩუქარი, რომელიც მოჰქონდა ვაჭარ მამასეილს, მოთავსებული იყო მისივე თანხით სპეციალურად დამზადებულ და შაჰ-აბას I-ის ბეჭედდასმულ, ძვირფასი თვლებით შემკულ ოქროს ზარდახშაში. ვაჭარ მამასეილს ევალა მგზავრობის დროს განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობოდა ოქროს ზარდახშას, რომ უსაფრთხოდ ჩაეტანა იგი რუსეთში. მოსკოვში ჩასვლის შემდეგ კი უნდა გადაეცა ირანის ელჩობის მეთაურის ურუსან ბეგისათვის. ამ უკანასკნელს კი იგი, შაჰის გადაწყვეტილების მიხედვით, რუსეთის ხელისუფლებისათვის უნდა მიერთ-

მია.[103] ახლადგამოვლენილი წერილობითი წყაროების საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ირანის ელჩობის მეთაურის ურუსან ბეგის ვინაობისა და მისი მოსკოვში მოღვაწეობის შესახებ.[104] „შაჰის მიერ ურუსან ბეგის მოსკოვში „დიდ“ ელჩად გაგზავნა, განპირობებული იყო ელჩის ეთნიკური წარმომავლობით –ქართველობით“.[105] ჩვენ კი დავძენთ, რომ შაჰის მიერ რუსეთში გასაგზავნი ელჩობის ხელმძღვანელად ქართველის დანიშვნა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ამით „შაჰ-აბასს სურდა რუსებისთვის ეჩვენებინა თავისი განწყობილება ქართველებისადმი. ასეთი დიპლომატის მიერ მოტანილი საჩუქრის მიმართ მოსკოვის მთავრობას მეტი ნდობაც ექნებოდა.“[106] თავის მხრივ, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ მოსკოვში ძვირფასი საჩუქრით ჩასული ირანის ელჩის ეთნიკური წარმომავლობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კარგად გამოიყენა თავის სასარგებლოდ.

სხვათა შორის, რუსეთისა და შაჰის ელჩებისათვის უცნობი იყო, თუ როგორი იყო ოქროს ზარდახშაში მოთავსებული შაჰის საჩუქარი.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ ირანიდან სამშობლოში მომავალი თავიანთი ელჩებისაგან გზიდან გამოგზავნილი წერილით შეიტყო, რომ მოსკოვისაკენ მომავალ შაჰის ელჩებს მეფისა და პატრიარქისთვის გადასაცემად მიჰქონდათ უფლის კვართი, იგი დიდად დაინტერესდა ამ ინფორმაციით. წერილის შინაარსის გაცნობის შემდეგ მასზე გაკეთდა შენიშვნა: „წაკითხულია, ამოწერილ იქნა, რაც საინტერესოა. მოელაპარაკეთ ქართველ ელჩს და ჰკითხეთ მას ქრისტეს კვართის შესახებ.“[107]

შაჰის საჩუქართან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, იმ დროს მოსკოვში მყოფი სასულიერო პირებისაგან, რომლებიც საქართველოსაც კარგად იცნობდნენ, დაწვრილებითი ინფორმაცია მიეღოთ უფლის კვართის შესახებ. აღნიშნული საკითხის გამო პირველ რიგში ისინი დაუკავშირდნენ 1623 წლის დეკემბერში მოსკოვში ჩასულ კახეთის მეფის, თეიმურაზ I-ის ელჩს, გოლგოთის ქრისტეს აღდგომის ეკლესიის მთავარეპისკოპოს თეოდოსის, რომლის ელჩობის მიზანი იყო ირანის შაჰის წინააღმდეგ მოკავშირის მოძებნა. რუსული წერილობითი წყაროებით თეოდოსი იყო „პატიოსანი და მართლმადიდებელ სარწმუნოებაში მტკიცე და ურყევი“.[108] რუსეთის მმართველი წრეების აზრით, თეოდოსის ინფორმაცია უფლის კვართის შესახებ ანგარიშგასაწევი იქნებოდა. ამ მიზნით, 1623 წლის 29 ივნისს სათათბიროს მდივნის ივანე გრამოტინის მიერ დაიკითხა ქართველი ელჩი თეოდოსი. ივ. გრამოტინი ოპერატიულად მოქმედებდა. მან რუსი ელჩების წერილის მიღებიდან (27 ივნისი) ორი დღის შემდეგ ინახულა ქართველი ელჩი და მისგან მოითხოვა მისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემა. მისი ოპერატიულობა იმით იყო გამოწვეული, რომ ირანის ელჩებს არ უნდა დახვედროდა მოსკოვში ქართველი ელჩი თეოდოსი. მართლაც, როცა ისინი მოსკოვში ჩავიდნენ, ქართველი ელჩი უკვე რუსეთის ტერიტორიაზე აღარ იმყოფებოდა. ასე რომ, იმ დროს ქართველი ელჩისათვის უცნობი დარჩა მისი დაკითხვის მიზანი.

ივ. გრამოტინი ქართველი მღვდელმთავრისაგან მოითხოვდა მისთვის

საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემას. კითხვის დასმამდე იგი მთავარეპისკოპოს თეოდოსის მოახსენებს, რომ რუსეთის მეფის მიხეილ თეოდორეს ძისა და პატრიარქ ფილარეტ ნიკიტას ძისთვის ცნობილი გახდა, რომ ქრისტეს კვართი და პერანგი, რომელიც ჯვარცმის დროს მაცხოვარს ეცვა, ივერიაში იყო. შაჰ-აბასს შემოსევების შედეგად გაუნადგურებია ეკლესია-მონასტრები და მრავალ სიწმინდესთან ერთად საქართველოდან გაუტანია უფლის კვართი. აღნიშნული ფაქტით დიდად დაინტერესებულან რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც „ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტი მზრუნველნი“ არიან და „ყოველი ღონით ცდილობენ, რომ ის სიწმინდე (უფლის კვართი, ე. ბ.) მუსულმანთა ხელიდან დაიხსნან და იხილონ თავიანთ ქვეყანაში“.[109] როგორც ვხედავთ, სათათბიროს მდივანი ივ. გრამოტინი სრულ ინფორმაციას არ აწვდის ქართველ ელჩს უფლის კვართის შესახებ, როგორც ჩანს, ივ. გრამოტინი წინასწარშემუშავებული გეგმით მოქმედებდა და შეგნებულად არ გაუმხილა ქართველ მდვდელმთავარ თეოდოსის ის, რომ მალე უფლის კვართი მოსკოვში იქნებოდა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდების შემდეგ ივ. გრამოტინი ქართველი ელჩისაგან მოითხოვდა დაწვრილებითი ცნობების მიწოდებას შემდეგ კითხვებზე: იცის თუ არა, სად იყო (საქართველოში – ე.ბ.) ქრისტეს კვართი (хитон) და პერანგი (срачица), სამეფო საგანძურში თუ საეკლესიო ხაზინაში, რომელ ადგილას ეწყო, როგორი იყო კვართი და პერანგი? უნახავს თუ არა, მას ისინი და სად არის ამჟამად? როგორია კვართი ზომით, რითია ნაქსოვი? შაჰის მიერ ივერთა ქვეყნიდან წაღებული საგანძური სად არის ამჟამად? არის თუ არა საქართველოში კიდევ სხვა სიწმინდეები, ცნობილია თუ არა, შაჰმა რომელი სიწმინდეები გაანადგურა საქართველოში და რომელი ხელთ იგდო?[110]

საქართველოს ელჩმა დააკმაყოფილა რუს ხელისუფალთა სურვილი. მან ვრცელი, დასაბუთებული პასუხი გასცა სათათბიროს მდივნის ივ. გრამოტინის შეკითხვებს. მან აღნიშნა, რომ იგი საქართველოს მკვიდრია, მაგრამ დიდი ხანია იერუსალიმში, გოლგოთაზე, ქრისტეს აღდგომის ეკლესიის მთავარეპისკოპოსადაა განწესებული, ამიტომ „ნაწილობრივ იცის, სად არის ქრისტეს კვართი, პერანგი და სხვა სიწმინდეები.“ იგი თავის პასუხში აღნიშნავს, რომ იერუსალიმში ქართველმა მეფეებმა სხვადასხვა დროს 12 მონასტერი ააგეს და თავიანთი მზრუნველობის ქვეშ მოაქციეს, „ქრისტეს კვართი (хитон) და პერანგი (срачица) და სხვა სიწმინდეები მოთავსებული იყო ზანდუკში,გოლგოთაზე, ქრისტეს აღდგომის საკრებულოს ეკლესიაში“. როცა საქართველოს მეფე სიმონი მიიცვალა, მან თავის ვაჟს, მეფე დავითს დაუბარა, ყველა ის ეკლესია-მონასტერი აღედგინა, რომელიც მტერთა შემოსევების შედეგად განადგურებული იყო. დავით მეფემ ქართლში, ყუმუხთა ქვეყნის სიახლოვეს ააგო ქვის ეკლესია, რომელშიც იერუსალიმიდან ჩამობრძანებული ქრისტეს კვართი (хитон) და პერანგი (срачица) და სხვა სიწმინდეები მოათავსა. აღნიშნული სიწმინდეები, მთავარეპისკოპოს თეოდოსის გადმოცემით, ინახებოდა მეფის მიერ ბეჭედდასმულ ზანდუკში, რომლის გაღება და იქედან რომელიმე სიწმინდის ამოღება გარეშე პირთათვის სასტიკად იყო აკრძალული, მხოლოდ მეფესთან შეთანხმებით და სასულიერო პირთა კურთხევით ხდებოდა ზანდუკიდან სიწმინდეების ამოსვენება. შაჰ-აბასის შემოსევების დროს მეფე თეიმურაზმა უსაფრთხოების მიზნით ერთ-ერთ თავის წარჩინებულ თავადს დიდძალი თანხის საფასურად ზანდუკი გამოართვა. აქ უკვე ქართველი ელჩი აკონკრეტებს, რომ ქრისტეს კვართთან (хитон) და პერანგთან (срачица) ერთად ზანდუკში იყო ქრისტეს სამსჭვალი და მაცხოვრის ხატი იმ ტილოს გამოსახულებით, რომელიც ქრისტემ განკურნების მიზნით მეფე ავგარს გაუგზავნა. მთავარეპისკოპოსი თეოდოსი ხაზგასმით მიუთითებს, რომ აღნიშნული სიწმინდეები შაჰ-აბასს არ წაუღიაო.“ მისივე ცნობით, შაჰმა ქართული ეკლესია-მონასტრების აწიოკების შედეგად საქართველოდან გაიტანა ოქროვერცხლით მოჭედილი ხატები, ძვირფასი თვლებით შემკული საეკლესიო შესამოსლები, საეკლესიო ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი, ამ ცნობების მიწოდების შემდეგ მთავარეპისკოპოსი თეოდოსი დაასკვნის, რომ რუსეთის ხელისუფლების დახმარებით, როდესაც მეფე თეიმურაზი თავის სახელმწიფოში გაძლიერდება, „ყველა სიწმინდეს მოსკოვში გამოგზავნის.“[111]

მკვლევართა მოსაზრებით, თეოდოსიმ, რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი უფლის კვართის ქართლში მოსვენების ისტორია, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, შეგნებულად დაამახინჯა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და რუსეთის ხელისუფლებას გააცნო თავის მიერ შეთხზული „ახალი ვერსია კვართის საქართველოში მოტანასა და მის შემდგომ ბედზე“.[112] სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას, რომ თეოდოს მთავარეპისკოპოსს, რომელიც, მართალია, კარგა ხნის განმავლობაში იერუსალიმში მოღვაწეობდა, არ სცოდნოდა, რომ უფლის კვართი კახეთში კი არა, ქართლში, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარშია დაფლული. როგორც ჩანს, თეოდოსიმ, როცა დაინახა, შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან კვართის გატანის ცნობამ რუსეთის მმართველ წრეებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რუსეთის სამეფო კართან მან დიპლომატიური თამაში წამოიწყო, ამით მას სურდა, „მოსკოვის მთავრობას მთელი ყურადღება საქართველოს პოლიტიკის და რელიგიის საკითხებში, კახეთის სამეფოსა და თეიმურაზზე გადაეტანა“.[113] მან, ერთი მხრივ, უარყო უფლის კვართის საქართველოდან გატანა, მეორე მხრივ, მას სურდა „ისეთი ვერსიის შექმნა, რომელიც კახეთში კვართის არსებობას სარწმუნოს გახდიდა და ამით მოსკოვის კახეთით დაინტერესებას გამოიწვევდა,“[114] მაგრამ ქართველი ელჩის ასეთმა დიპლომატიურმა სვლამ არ გაამართლა. უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლებამ ეჭვი გამოთქვა მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიმართ, სადაც ბევრი რამ ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. XVII საუკუნის პირველ ათეულში კახეთში მყოფი რუსი ელჩების ი. შჩოკინისა და მ. ლეონტიევის საშუალებით რუსეთის ხელისუფლება კარგად იყო ინფორმირებული აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით. დასახელებული ელჩების ინფორმაციით მათ კარგად იცოდნენ, რომ კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის პაპა იყო არა ქართლის მეფე სიმონ I (1556 – 1569; 1578 – 1600), არამედ კახეთის მეფე ალექსანდრე II (1575 – 1606), რომელიც 1606 წელს ძეგამში, რუსი ელჩების თვალწინ თავის შვილ გიორგისთან ერთად მოკლა ბავშვობიდანვე შაჰის კარზე მყოფმა მისმა

გამაჰმადიანებულმა შვილმა კონსტანტინე მირზამ. მათთვის ისიც იყო ცნობილი, რომ თეიმურაზ I-ის მამამ, დავითმა, რომელმაც მამის ავადმყოფობით ისარგებლა, 1601 წელს მეფობიდან გადააყენა იგი და სულ რამდენიმე თვე იმეფა. ბუნებრივია, რომ „დავითი ასე მცირე დროში იერუსალიმში არსებულ ქართულ მონასტრებს ვერ მიხედავდა, ვერც სიწმინდეებს წამოიღებდა იქიდან და ვერც ქვის ეკლესიას ააგებდა მათ შესანახად."[115]

თეოდოსის დაკითხვის შემდეგ მომხდარი პოლიტიკური მოვლენები საესებით ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ უფლის კვართმა პირველ რიგში რუსეთ-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში გარკვეულ ეტაპზე პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.

ქართველი ელჩი, მთავარეპისკოპოსი თეოდოსი ირანიდან ძვირფასი საჩუქრით წამოსული შაჰის დესპანების მოსკოვში მისვლამდე, რუსეთიდან ყოველგვარი დაპირების გარეშე გამოისტუმრეს. ასე რომ, თეოდოსი მთავარეპისკოპოსისათვის უცნობი დარჩა, თუ რატომ მოუწყვეს მას უფლის კვართის გამო დაკითხვა. მას არ აცნობეს, რომ უფლის კვართი და მისი ჩამომტანი ირანის შაჰის ელჩები მალე რუსეთის დედაქალაქში იქნებოდნენ. ეს, ალბათ, რუსეთის მმართველმა წრეებმა შეგნებულად გააკეთეს, რათა რაიმე გართულებას არ ჰქონოდა ადგილი. ქართველი ელჩისაგან კვართის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, იგი მალე სამშობლოსაკენ გამოამგზავრეს. თუკი ადრე ქართველ ელჩებს რუსეთის ხელისუფალნი ირანის შაჰის წინააღმდეგ გარკვეულ სიტყვიერ დახმარებას ჰპირდებოდნენ, ამჟამად, ქართველი მღვდელმთავარი დახმარების დაპირების გარეშე გამოისტუმრეს მოსკოვიდან. რუსეთის ხელისუფლებამ ყოველგვარი მობოდიშების გარეშე თეოდოსს განუცხადა, რომ „თეიმურაზ მეფემ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ იყოს მომავალში შაჰთან". ჯარითა და ფულით დახმარებაზეც უარი განაცხადეს, უფრო მეტიც, რუსეთის მეფე თეიმურაზ I-სადმი გაგზავნილ წერილში სინანულს გამოთქვამდა საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო და ღმერთს მიენდეთო, – ურჩევდა ქართველობას.[116] უეჭველია, რუსეთის მეფე თვლიდა, რომ თეიმურაზ I-ის გამო არ ღირდა ურთიერთობის გამწვავება ირანის შაჰთან, რომელიც მისდამი კეთილგანწყობილებისა და მეგობრობის ნიშნად ძვირფას საჩუქარს უგზავნიდა პირადად მას და რუსეთის პატრიარქს. აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ შაჰმა წინასწარი დიპლომატიური გათვლებით სასურველ შედეგს მიაღწია, რაც უდავოდ მის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. შაჰის შორსმჭვრეტელური პოლიტიკის წყალობით ირანმა საქართველოს საკითხში მოსკოვის დიპლომატია ფაქტიურად განაიარაღა. აღნიშნული პოლიტიკური მანევრის შედეგად რუსეთი უკვე აქტიურად ვეღარ იცავდა საქართველოს ირანის აგრესიისაგან. რუსეთის ხელისუფალთა პოლიტიკური უკანდახევა ირანს საშუალებას აძლევდა, გაეგრძელებინა აღმოსავლეთ საქართველოში თავისი აგრესიული პოლიტიკა.[117] ყოველივე ეს მოსკოვში შაჰის მიერ უფლის კვართის გაგზავნის შედეგი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი ელჩის ცნობებს უფლის კვართის შესახებ რუსეთის ხელისუფლება უნდობლად მოეკიდა. ამის შემდეგ ისინი

შეეცადნენ, იმ დროს რუსეთში მოღვაწე სხვა სასულიერო პირებისაგან მიეღოთ შედარებით ობიექტური ინფორმაცია მაცხოვრის კვართზე. ამ მიზნით, 1623 წლის 7 ივლისს რუსეთის მეფის მიხეილ თევდორეს ძისა და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ფილარეტ ნიკიტას ძის ბრძანებით სათათბიროს მდივანს ივანე გრამოტინს დაევალა, გამოეკითხა და დაწვრილებითი ცნობები მიეღო ქრისტეს კვართისა და მისი სამოსლის ადგილსამყოფლის შესახებ მოსკოვის ნოვოსპასკის მონასტრის კელარის, ეროვნებით ბერძენი იოანიკესაგან, რომელიც საკმაო ხანს იერუსალიმში მოღვაწეობდა, საიდანაც იგი დიპლომატიური მისიით საქართველოში ჩამოსულა.

საელჩოს პრიკაზში გამოცხადებულმა ნოვოსპასკის მონასტრის კელარმა, ბერძენმა იოანიკემ დაწვრილებითი პასუხი გასცა სათათბიროს მდივან ივ. გრამოტინის კითხვებს. დაკითხვისას განაცხადა, რომ იერუსალიმში ყოფნისას მას მრავალი სარწმუნო პირისაგან სმენია: ჯვარცმის დროს მაცხოვრის სამოსელი განაწილებულ იქნა, კვართი კი, რომელიც ღვთისმშობელმა მოქსოვა, იყო უკერველი, სახელოების გარეშე, ფართო და გრძელი, იგი არ დანაწევრებულა და მასზე წილი იყარეს. იოანიკეს აზრით, ბერძნულად ხიტონს ეძახიან, არაბეთში კი ახლაც ატარებენ ასეთ სამოსს, რომელიც „იხრამის" სახელითაა ცნობილი. ჩაცმის დროს იგი ღებულობს სხეულის ფორმას, იოანიკემ არ იცოდა, კვართი სელისაგან იყო მოქსოვილი თუ აბრეშუმისაგან, მაგრამ იერუსალიმური ტრადიციით იგი დაბეჯითებით ამბობდა, რომ მაცხოვრის კვართი ფერით ლაჟვარდოვანი იყო. შემდეგ იოანიკე გადმოგვცემს იერუსალიმურ და ქართულ ტრადიციას კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ. ამ გადმოცემათა მიხედვით კვართი წილხვდა საქართველოდან იერუსალიმში ჩასულ დაქირავებულ ჯარისკაცს, რომელმაც ჯვარცმის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა თან წაიღო ქრისტეს კვართი. მან თავისიანებს დაწვრილებით უამბო ქრისტეს ჯვარცმის შესახებ, რითაც განსაკუთრებით დაინტერესდა მისი და, რომელსაც ძმამ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მაცხოვრის კვართი უსახსოვრა. გარდაცვალების შემდეგ იგი ანდერძისამებრ კვართთან ერთად დაკრძალეს. შემდეგ იოანიკე, როგორც ჩანს, საქართველოში ყოფნის დროს მოსმენილი გადმოცემების საფუძველზე, დაწვრილებით მოგვითხრობს კვართის დაფვლის ადგილზე ამოსული მირონმდინარე ხის სასწაულების შესახებ, რომლის ადგილზე IV საუკუნეში იმპერატორ კონსტანტინეს მეფობის დროს, როცა საქართველო გაქრისტიანდა, საქართველოს მეფეებს დიდი ეკლესია აუშენებიათ.[118] იოანიკე სვეტიცხოვლის ტაძარში დაფლული უფლის კვართის შესახებ გვამცნობს ერთ-ერთ გადმოცემას, რომელიც, მართალია, ქართული წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით, ინტერესმოკლებული არაა. იოანიკეს ამ გადმოცემის შესახებ ჩვენ საგანგებოდ მივუთითეთ ამავე ნაშრომის ერთ-ერთ მონაკვეთში. მხედველობაში გვაქვს XVII საუკუნეში შაჰ-თამაზის ერთ-ერთი შემოსევა, როდესაც წაბილწულ იქნა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და კვართის განსასვენებელი, რომლის გამო სასწაულმოქმედი მირონმდინარე ხიდან მირონის დენა შეწყვეტილა. მართალია, მტრის გაძევების შემდეგ ტაძარი ხელახლა აკურთხეს, მაგრამ ამის შემდეგ მირონი

კვართის განსასვენებელი ადგილიდან აღარ გადმოსულა. საელჩოს პრიკაზში გამოცხადებული იოანიკე რუსი მოხელეების გასაგონად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როცა იგი XVII საუკუნის პირველ ათეულში საქართველოში იმყოფებოდა, რამდენჯერმე მოუნახულებია ის ტაძარი, სადაც კვართი იყო დაფლული, მაგრამ მისივე განმარტებით, მირონი უკვე აღარ გადმოდიოდა. იოანიკე დაასკვნის, რომ, მართალია, მას საქართველოში ყოფნისას უფლის კვართი არ უნახავს „და არც ის იცის, ამოიღეს თუ არა ის კვართი მიწიდან ქართველებმა მისი იქ ყოფნის შემდეგ. რაც შეეხება ქრისტეს პერანგს, სად არის, არაფერი გაუგონია."[119] საქართველოში არსებული სხვა სიწმინდეები – ქრისტეს ხელთუქმნელი ხატი, ქრისტეს სამსჭვალი და სხვები – იოანიკეს გადმოცემით, ინახება ზაგემში, ოქროს ზარდახშაში, რომელიც სამეფო ბეჭდითაა დალუქული. იოანიკე აღნიშნავს, როცა იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე იმყოფებოდა საქართველოში, მას მოუსურვებია ზარდახშის გახსნა, მაგრამ ქართველებმა ამის გაკეთება არ ურჩიეს ზეციური რისხვის გამო. პატრიარქს ამის შემდეგ თავის განზრახვაზე ხელი აუღია.[120] აშკარად ჩანს, რომ იოანიკეს ზემომოყვანილი მონათხრობი, მცირე განსხვავების მიუხედავად, სრულ თანხმობაშია რუს მოხელეთა მიერ მანამდე დაკითხული ქართველი ელჩის თეოდოსი გოლგოთელის მიწოდებულ ცნობებთან. [121]

იოანიკეს მონათხრობმა რუსეთის ხელისუფლებას, უეჭველია, განუმტკიცა აზრი, რომ ზაგემში ნამდვილად არსებობდა იერუსალიმური სიწმინდეები. საბოლოო ჯამში ორი სასულიერო პირის მონათხრობის საფუძველზე რუსეთის მთავრობა გარკვეული ეჭვით მიუდგა შაჰ-აბას I-ის მიერ გამოგზავნილ საჩუქარს.

იმავე 1623 წლის 7 ივლისს, როცა სახაზინო პრიკაზში მაცხოვრის კვართთან დაკავშირებით ცნობებს აწვდიდა ბერძენი ბერი იოანიკე, რუსეთის მეფის დავალებით გზადმომავალ რუს ელჩებს ივ. კორობინს და ო. კუვშინოვს შეატყობინეს, რომ მათ სასწრაფოდ გამოუგზავნონ ხელისუფლებას პასუხები შემდეგ კითხვებზე: როგორ და როდის მოიძია ირანის შაჰმა კვართი? ჰქონდათ თუ არა კვართის შესახებ საუბარი რუს ელჩებს ირანში მყოფ ქართველებთან და რუსეთისაკენ მომავალ შაჰის დესპანებთან? მათთან საუბრით გაირკვა თუ არა, სანამ შაჰი კვართს ხელში ჩაიგდებდა, სად იყო იგი მანამდე დაცული? რუსი ელჩები დარწმუნებული არიან თუ არა, რომ იგი ნამდვილად ქრისტეს კვართია? საქართველოს რომელ კუთხეში ინახებოდა იგი და როგორ პატივს მიაგებდნენ მას ქართველები? როგორი ქსოვილისაგან არის იგი დამზადებული და პირადად ნახეს თუ არა? ნახვის შემთხვევაში კარგად დაათვალიერონ, როგორია, რა ზომისაა და რომელ ადგილებში ამჩნევია მას სისხლის კვალი? მოსკოვის ხელისუფლება თავისი ელჩებისაგან მოითხოვდა, რომ შაჰის დესპან ურუსამ ბეგისაგან დაწვრილებითი ინფორმაცია შეიტყონ იმის შესახებ, თუ სად ინახება ამჟამად კვართი და შეიძლება თუ არა მისი ნახვა დათვალიერების მიზნით? მოსკოვის ხელისუფლება მისი ელჩებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა, შეეკრიბათ დაწვრილებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ კითხვებზე და რაც შეიძლება ჩქარა გამოეგზავნათ პასუხები რუსეთის მეფისათვის. რუსი ელჩები მოსკოვის თხოვნის

გამო, იმავე წლის 16 ნოემბერს მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს აცნობებდნენ: სამეფო კარზე აუდიენციის დროს მათ შეკითხვაზე, თუ როგორ და როდის მოიპოვა უფლის კვართი, შაჰ-აბას I-ს უპასუხია, საქართველოს დაპყრობის დროს მას გაუგია, რომ აქ ინახებოდა ქრისტეს კვართი, ბევრი ძებნის შემდეგ იგი 1622 წლის 17 დეკემბერს ხელში ჩაიგდო. რუსმა დესპანებმა ირანის ელჩს ურუსამ ბეგს მოსთხოვეს, ეცნობებინა მათთვის, თუ რა იცოდა კვართის შესახებ და რა გზებით მოიპოვა იგი შაჰმა? მან თითქმის გაიმეორა კვართის შესახებ არსებული ირანის შაჰის მონათხრობი, რომელიც რუსი ელჩებისათვის უკვე ცნობილი იყო. შაჰის მონათხრობს ურუსამ ბეგმა მხოლოდ შემდეგი დაამატა, მას გაგონილი ჰქონდა, რომ საქართველოში უფლის კვართი მიწაში კი არ იყო დაფლული, არამედ ერთ-ერთ მიტროპოლიტს ჰქონია ჯვარში ჩასვენებული.[122] ამ ცნობის ხაზგასმით, რომელიც თავისთავად საინტერესოა, ურუსამ ბეგი ააღვილებს შაჰ-აბას I-ის მიერ უფლის კვართის მოძიების შესაძლებლობას. თუ რატომ ჩნდება რუსულ წყაროებში საქართველოში უფლის კვართის ადგილსამყოფლის არატრადიციული გადმოცემა და მას რატომ ახმოვანებს წარმოშობით ქართველი, ამ შემთხვევაში ირანის ელჩი ურუსამ ბეგი, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

რუსეთის ხელისუფლებას ეცნობა, რომ არც რუს დიპლომატებს და არც ირანის ელჩს ურუსამ ბეგს უფლის კვართი ნანახი არ ჰქონდათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ინახებოდა შაჰის ბეჭდით დალუქულ ძვირფასი ქვებით შემკულ ზარდახშაში, რომლის გახსნის უფლება შაჰ-აბას I-ის ბრძანებით მხოლოდ რუსეთის მეფეს და პატრიარქს ჰქონდათ. ამ მიზეზით ელჩებმა რუსეთის მეფის ყველა მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილეს, მხოლოდ ის შეატყობინეს რუსეთის ხელისუფლებას, რომ შაჰის ელჩ ურუსამ ბეგს გაგებული ჰქონდა, რომ კვართი იყო ტილოსი, ხოლო რომელ ადგილზე შეიმჩნეოდა სისხლის კვალი, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. ბოლოს რუსი ელჩები აღნიშნავდნენ, რომ სპარსეთში მყოფ ქართველებთან მათ არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ და, ბუნებრივია, მათგან ვერავითარ ინფორმაციას ვერ მიიღებდნენ კვართის შესახებ[123].

რუსი ელჩების პასუხებმა კიდევ უფრო ბევრი ეჭვი გაუჩინა რუსეთის ხელისუფალთ. ეჭვების გასაფანტავად უფლის კვართის შესახებ კვლავ გრძელდებოდა საჭირო ინფორმაციის შეგროვება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ვოლოგდისა და ველიკოპერმსკის მთავარეპისკოპოსის, ეროვნებით ბერძენი ნექტარიუსის მიერ საელჩო პრიკაზისათვის მიწოდებული წერილობითი ახსნა-განმარტება. ნექტარიუსის აღნიშნული განმარტება რუსი ელჩების ივ. კორობინისა და ო. კუვშინოვის მიერ რუსეთის მეფის სახელზე გამოგზავნილი მოხსენების შემდეგ არის ჩართული. ნექტარიუსის ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ, როცა იგი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოში არქიდიაკონის მოვალეობას ასრულებდა, სხვა ბერძენ სასულიერო პირებთან ერთად უმოგზაურია საქართველოში, მოუნახულებია მცხეთა და სვეტიცხოველი. მას სვეტიცხოვლის ტაძრის მარჯვენა ფრთაში უხილავს პირველ სვეტთან უხვად ანთებული სანთლები. როდესაც სტუმარი დაინტერესებულა აღნიშნული ფაქტით, ქართველ სამღვდელოებას მისთვის განუცხადებია, რომ

სვეტის ქვეშ ინახებოდა უფლის კვართი, იქვე მისთვის უამბიათ გადმოცემა კვართის საქართველოში ჩამოსვენების შესახებ. მთავარეპისკოპოსი ნექტარიუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უფლის კვართისაგან სვეტიცხოვლის ტაძარში მრავალი სასწაული აღესრულებოდა.

უფლის კვართის შესახებ სხვადასხვა პირთა დაკითხვისას მიღებული მრავალფეროვანი მასალების ანალიზის შემდეგ რუსეთის ხელისუფალნი კიდევ უფრო დაეჭვდნენ მოსკოვში შაჰის მიერ გაგზავნილი სიწმინდის ნამდვილობაში. ქრისტიანული სიწმიდეები ირანის შაჰისაგან რუსეთის ხელისუფლებას ადრეც მიუღია, მაგალითად, 1618 წელს შაჰ-აბას I-მა ელჩების კაია-სალტანისა და ბულატ ბეგის მეშვეობით რუსეთის ხელმწიფეს გაუგზავნა ივერიის ქვეყანაში ლაშქრობის შედეგად ხელში ჩაგდებული „საეკლესიო ხაზინა“, რომელშიც მოიპოვებოდა იოანე წინამორბედის ხატი, ომფორები, ძვირფასი თვლებით შემკული გარდამოხსნა და სხვა. შაჰის საჩუქარი რუსეთის ხელისუფლებისათვის პირველი არ იყო. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუკი ადრინდელ საჩუქრების მიმართ მათ არავითარი ეჭვი არ გასჩენიათ, უფლის კვართის შესახებ შეკრებილი ცნობების საფუძველზე, ეჭვქვეშ დადგა მისი ნამდვილობის საკითხი. თუმცა „რუსეთის ხელისუფლებამ, გამოძიების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ვერაფერი დაადგინა, შეიძლება ითქვას, ის მოუმზადებელი შეხვდა შაჰის ელჩებს და მის საჩუქარს.“[124]

ხანგრძლივი, მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, 1625 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ირანის ელჩები მოსკოვს მიადგნენ. იმავე წლის 25 თებერვალს მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები შაჰის ელჩებს შეხვდნენ ქალაქგარეთ, მოსკოვის უკიდურეს სამხრეთში, 1591 წელს აშენებულ დონის მონასტრის შორიახლოს. ირანის ელჩებმა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცეს შაჰის მიერ მეფისა და პატრიარქისათვის გადასაცემი საჩუქრები, გარდა ოქროს ზარდახშისა, რომელშიც უფლის კვართი ინახებოდა. მეორე დღეს სასახლის უწყებამ შეადგინა შაჰის მიერ გამოგზავნილი საჩუქრების გრძელი სია. წინასწარი შეფასებით ამ საჩუქრების ღირებულებამ შეადგინა 3000 მანეთი.[125]

1625 წლის 11 მარტს რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ მეფისა და პატრიარქის თანდასწრებით მოსკოვის კრემლის წახნაგოვან პალატაში საგანგებო შეხვედრა მოუწყო ირანის შაჰის წარმომადგენლებს, რომელსაც 15 ბოიართან ერთად რუსეთის საპატრიარქოს მთელი შემადგენლობა ესწრებოდა. საზეიმო ვითარებაში შაჰის ელჩობის ხელმძღვანელმა, წარმოშობით ქართველმა ურუსან ბეგმა ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს ზარდახშა, რომელშიც უფლის კვართის ნაწილი იყო ჩასვენებული, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ფილარეტ ნიკიტას ძეს გადასცა საჩუქრად. რუსეთის პატრიარქმა ფეხზე ადგომით მიიღო წმინდა ნაწილი.[126]

რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალნი დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ შაჰ-აბას I-ის საჩუქარს. გამოიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა უფლის კვართის შესახებ მოძიებული მასალების გადამოწმება და ქრისტიანობის ამ უდიდესი სიწმინდის ნამდვილობის დადასტურება. ჩვენთვის უცნობია კომისიის შემადგენლობა და აგრეთვე არ ვიცით, თუ რა

სამუშაო ჩაატარა მან. მხოლოდ ვიცით, რომ კომისიის მუშაობის შედეგად შედგა „მოსკოვში 1625 წელს მეფე მიხეილ თევდორეს ძის დროს უფლის კვართის ჩამობრძანების საქმე.“ უეჭველია, რომ კომისიის წევრები რუსეთის პატრიარქთან და სხვა სასულიერო პირებთან ერთად დაესწრებოდნენ 1625 წლის 11 მარტს ოქროს ზარდახშის გახსნას. პატრიარქმა ფილარეტმა და სხვა სასულიერო პირებმა გულდასმით დაათვალიერეს ზარდახშა, რომელშიც აღმოჩნდა მოწითალო ფერის, ერთი მტკაველის ოდენა ტილოს ნაჭერი, ხანდაზმულობისაგან სახეცვლილი.

დათვალიერების შემდეგ სპეციალურად შექმნილ კომისიასა და პატრიარქს გაუჩნდათ ეჭვი, რომ ზარდახშაში მოთავსებული ტილოს ნაჭერი ნამდვილად უფლის კვართის ნაწილი იყო. აღნიშნულს ადასტურებს თვითმხილველი, ციმბირისა და ტობოლსკის ეპარქიის მმართველი, მთავარეპისკოპოსი მაკარი, რომელიც ვოევოდა ივანე ბაკლანოვსკისადმი გაგზავნილ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზარდახშაში იდო არა სიწმინდე, არამედ რაღაც ფერშეცვლილი ფორმის ნაჭერი.[127]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 1625 წლის 18 მარტს პატრიარქი ფილარეტი შეხვდა რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს ძეს და თავისი მოსაზრება გაუზიარა შაჰის საჩუქრის შესახებ. იგი მეფეს მოახსენებდა, რომ ზარდახშაში ტილოს ნაჭრის ქვეშ იდო ჯვარცმის ხატი და მაცხოვრის ვნება ლათინური წარწერებით. პატრიარქის აზრით, ლათინები ერეტიკოსები არიან, სიწმინდე კი, რომელიც უფლის კვართადაა მიჩნეული, გამოგზავნილია ურწმუნო შაჰ-აბასის მიერ. ამიტომ, რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავრის დასკვნით, ჭეშმარიტი მოწმობის გარეშე მისი სიწმინდედ მიჩნევა სახიფათოა.

კომისიის მიერ გამოტანილი მტკიცება არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დაედასტურებინათ შაჰის მიერ გამოგზავნილი ტილოს ნაჭერი ნამდვილად ქრისტეს კვართის ნაწილი იყო თუ არა, ამიტომ პატრიარქთან შეთანხმებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გამოეყენებინათ წმინდა ელენე დედოფლის მიერ IV საუკუნეში ნაცადი მეთოდი, იერუსალიმში, ქრისტეს წამების ადგილზე აღმოჩენილი სამი ჯვრიდან ქრისტეს ჯვრად მიჩნეულ იქნა ის, რომელიც სასწაულებს ახდენდა. მართალია, იმ დროისათვის დიდი მარხვის მესამე კვირა იყო, მაგრამ პატრიარქის მოწოდებით მოსკოვის ყველა მცხოვრებს განსაკუთრებული მონდომებით უნდა აღესრულებინათ, ყველა წესი. პატრიარქის კურთხევით ყველა ეკლესია-მონასტერში დაწესდა მკაცრი მარხვა. მონასტრის ბერებს ებრძანათ, რომ ელოცათ იმისათავის, რომ ღმერთს თავისი ნება გამოეხატა ახალი შეძენილი სიწმინდის თაობაზე. სამრევლო ეკლესიებში ყოველდღიურად სრულდებოდა საღვთო ლიტურგია და მოსკოვის მოსახლეობა გულმოდგინედ ლოცულობდა. კვართი კი ამოიღეს შაჰისაგან გამოგზავნილი ოქროს ზარდახშიდან და მოათავსეს მისთვის საგანგებოდ დამზადებულ ვერცხლის სანაწილეში – დაბეჭდილში რუსეთის პატრიარქის ბეჭდით და მიიღეს მეფისაგან ნებართვა, რომ იგი სნეულებისა და დავრდომილების სამთხვევად ჩამოეტარებინათ. ამ გზით სურდა დაემტკიცებინა რუსეთის სასულიერო ხელისუფლებას შაჰის გამოგზავნილი საჩუქრის სიწმინდ-

ის რეალობა.

რუსული წერილობითი წყაროების ცნობით, უფალმა თავისი ნება მალე გამოავლინა და მცირე დროის მანძილზე ვერცხლის პატარა კიდობანში მოთავსებულმა ქსოვილის ნაჭერმა მრავალი სასწაულებრივი კურნება მოახდინა. 1625 წლის 23 მარტიდან 1 სექტემბრამდე 67 სასწაული და კურნებაა წყაროებში დაფიქსირებული.[128] პირველივე სასწაულების მოხდენის შემდეგ, იმავე წლის 26 მარტს სამეფო კარზე შეკრებილმა საერო და სასულიერო პირებმა მიიჩნიეს, რომ ირანის შაჰის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი ნამდვილად უფლის კვართი იყო. 27 მარტს საეკლესიო კრებამ აღნიშნული სიწმინდე უფლის კვართის ნაწილად მიიჩნია. გადაწყდა, რომ იგი დაესვენებინათ მოსკოვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, მისთვის საგანგებოდ დამზადებულ ოქროს კიდობანში. ამავე კრების მითითებით დაწესდა, რომ ყოველი წლის 27 მარტს საზეიმოდ უნდა აღნიშნულიყო უფლის კვართის მოსკოვში მისვენების დღესასწაული, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება ხშირად ირღვეოდა. რუსული მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრით, უფლისადმი მიძღვნილ წირვას ასრულებდნენ ვნების კვირაში, დიდ პარასკევს, რადგან ვნების კვირა და დიდი პარასკევი მოძრავი იყო, ამიტომ კვართისადმი მიძღვნილი საღმრთო ლიტურგია არ ემთხვეოდა 27 მარტს და ყოველ წელიწადს სხვადასხვა რიცხვში ტარდებოდა. ამ შეუსაბამობას ბოლო მოუღო რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა (1652-1667). მის მიერ რუსულ საეკლესიო კალენდარში განხორციელებული ცვლილება უფლის კვართის ხსენების დღესაც შეეხო. აქედან მოყოლებული დღემდე რუსეთის ეკლესია ყოველი წლის 10 (23) ივლისს საზეიმოდ აღნიშნავს „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმინდა სამოსელის დადებას მოსკოვში (1625 წ.).“ მკვლევარების აზრით, პატრიარქმა ნიკონმა მაცხოვრის კვართისადმი მიძღვნილი საზეიმო დღესასწაული შეგნებულად მიუახლოვა მიხეილ თევდორეს ძე რომანოვის რუსეთის სამეფო ტახტზე კურთხევის რიცხვს – 11 ივლისს. როგორც ჩანს, პატრიარქ ნიკონის ასეთი გადაწყვეტილება შემთხვევითი არ იყო, რადგან რუსული წყაროების მონაცემებით უფლის კვართის მოსკოვში მისვენებაში რუსი ხალხი ხედავდა ხელისუფლების სათავეში ახალმოსული რომანოვების დინასტიის, ქალაქ მოსკოვისა და მთლიანად რუსეთის სახელმწიფოსთვის კურთხევას, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ მართლმადიდებლური სამყაროს მფარველად აღიარებდა თავს,[129] რაც უდავოდ ხაზს უსვამდა მის „მესამე რომად“ წარმოჩენას.

რუსეთში კვართის ჩამობრძანებისა და მის შემდეგ მომხდარი ამბების თვითმხილველმა, სარსკის მიტროპოლიტმა კიპრიანემ პატრიარქ ფილარეტის დავალებით შეადგინა უფლის კვართის საზეიმო ღვთისმსახურების წესი.[130] 1626 წლის იანვარში სამეფო კარისა და რუსეთის პატრიარქის სახელით სახელმწიფოს ყველა კუთხეში დაიგზავნა მიმართვა, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი მოსკოვში მომხდარი უფლის კვართის სახელთან დაკავშირებული სასწაულები. მიმართვა ავალებდა ყველა სამრევლო ეკლესიასა და მონასტერს ზარების რეკვითა და ლიტანიის თანხლებით სამადლობელი პარაკლისი გადაეხადათ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.[131]

მეფე მიხეილ თევდორის ძის ბრძანებითა და პატრიარქ ფილარეტ ნიკიტას ძის ლოცვა-კურთხევით, იმ ადგილას, სადაც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები პირველად შეხვდნენ ირანის შაჰის ელჩებს, რომელთაც მეფისა და პატრიარქისთვის გადასაცემად სიწმინდე მიჰქონდათ, აშენდა დროებითი ხის ეკლესია, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. დღეს ამ ადგილზე აღმართულია თეთრი ქვის ობელისკი, ნიშნად იმისა, რომ აქ იდგა ხის ტაძარი. მოგვიანებით, 1706 – 1716 წლებში, აღნიშნულ ადგილზე ადგილობრივი მრევლისა და ქველმოქმედთა შემოწირულობებით აშენდა „მოსკოვური ბაროკოს“ სტილის კვართის დადების სახელობის ქვის ტაძარი. ზემოხსენებული ქვის ობელისკი დღემდეა შემონახული ტაძრის ეზოში, საკურთხევლის სამხრეთ-აღმოსავლეთ გალავანთან. დღეს ეს ადგილი ქალაქ მოსკოვის მფლობელობაშია და მდებარეობს მეტრო „შაბოლოვსკაიასა“ და „ოქტიაბრსკაიასთან“ ახლოს, დონის ქუჩა №20-ში. მართალია, საბჭოთა პერიოდში აღნიშნული ტაძარი არ დაუკეტიათ, მაგრამ ღვთისმსახურება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საგრძნობლად იყო შეზღუდული. 1951 წელს რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა ტაძრის დაარსების 250 წლისთავის აღსანიშნავად საკურთხეველში დააბრძანა „მოსკოვში ღვთის კვართის დადების“ ხატის ასლი – ვერცხლის ჯვრითა და უფლის კვართის ნაწილით. აღსანიშნავია, რომ ამ ტაძრის წინამძღვარი XX საუკუნის 30-იან წლებში იყო ახლახან რუსეთის ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ალექსანდრე ხოტოვეცკი.[132]

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ რუსეთის ხელისუფლება ირანის შაჰის საჩუქარს პოლიტიკური კუთხით მიუდგა. ამას ადასტურებს ისიც, რომ რუსეთის პატრიარქი და სხვა სასულიერო პირები ირანიდან გამოგზავნილი სიწმინდის დათვალიერების შემდეგ კიდევ უფრო დაეჭვდნენ მის ნამდვილობაში, ასეთივე ეჭვი გამოთქვა პატრიარქმა რუსეთის მეფესთან ვიზიტის დროს, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, როცა გარკვეული გამოცდის შემდეგ შაჰ-აბას I-ის საჩუქარმა მრავალი სასწაული მოახდინა. როგორც ჩანს, „მიუხედავად შაჰისაგან გაგზავნილი საჩუქრის მიერ მოსკოვში „გამოცდის“ წარმატებით ჩაბარებისა, მაინც რჩებოდა ეჭვი: ნამდვილად იყო თუ არა იგი ის კვართი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის წინ ემოსა“.[133]

ამისდამიუხედავად, როგორც ჩანს, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად მისაღები ჩანდა, რომ შაჰის საჩუქარი უფლის კვართად მიეჩნიათ, რადგან მათი გაგებით „კვართის საქართველოდან რუსეთში გადატანა, სიმბოლურად, საქართველოს რუსეთის ძალაუფლების ქვეშ მოქცევას მოასწავებდა. რადგან ეს აქცია ირანის შაჰის სურვილითა და ინიციატივით განხორციელდა, ისე გამოდიოდა, რომ ირანი რუსეთს საქართველოზე გავლენის გავრცელებაში აღარ უნდა შესცილებოდა“.[134] რუსეთის ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ირანის მმართველი წრეები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ სხვა პოლიტიკურ დატვირთვას აძლევდნენ მოსკოვში საჩუქრის სახით გაგზავნილ უფლის კვართს. ურთიერთსაწი-

ნააღმდეგო პოლიტიკური თვალსაზრისის მიუხედავად, რუსეთის საერო და განსაკუთრებით სასულიერო ხელისუფლება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შაჰის საჩუქრის უფლის კვართად აღიარების შემდეგაც „დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა დაედგინა, თუ რას წარმოადგენდა შაჰ-აბასის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ქსოვილი. ისინი საქართველოში გამოგზავნილი რუსი ელჩების მეშვეობით ცდილობდნენ, სანდო მასალები შეეგროვებინათ „ხელთუქმნელი და უხილავი“ უფლის კვართის შესახებ, რომელიც მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში იყო დაფლული“.[135]

გადაწყვეტილებისამებრ, 1625 წლის 27 მარტს უფლის კვართად მიჩნეული შაჰის გამოგზავნილი სიწმინდე მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარში დაასვენეს. 1627 წელს ოსტატმა სვერჩკოვმა გააკეთა ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში სპილენძის ჩუქურთმიანი კარავი, სადაც შეინახეს კვიპაროსის ხისაგან დამზადებული უფლის კუბო – მაცხოვრის კვართით.[136] თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ აღნიშნული კარავი იყო არა სპილენძის, არამედ ბრინჯაოსი, დამზადებული 1624 წელს, ჯერ კიდევ შაჰის საჩუქრის მოსკოვში ჩამოსვენებამდე.[137]

როგორც 1627 წლის მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძრის აღწერის მასალებით ირკვევა, უფლის კვართი სამ ნაწილად გაუყვიათ. კვიპაროსის ხისგან დამზადებულ უფლის კუბოზე მდგარ ვერცხლის მოოქროვილ კიდობანში ჩუქურთმიან ხატთან ერთად იდო მცირე მოცულობის ვერცხლის მოოქროვილი სანაწილე, რომლებიც მეფისა და პატრიარქის ბეჭდებით იყო დალუქული. უფლის კუბოზე აგრეთვე დასვენებული იყო ვერცხლის სანაწილე, რომელშიც კვართის პატარა ნაწილი იყო მოთავსებული. ისიც დაბეჭდილი იყო პატრიარქისა და მეფის ბეჭდით.[138] 1681 წელს საეკლესიო კრების დადგენილებით აღნიშნული სიწმინდეების უკეთ დაცვის მიზნით გადაწყდა, რომ ისინი მოეთავსებინათ ერთ კიდობანში და მხოლოდ წელიწადში ერთხელ, წითელ პარასკევს გამოესვენებინათ მრევლის წინაშე, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება ვერ შესრულდა.[139]

1682 წელს მეფე თევდორე ალექსანდრეს ძის ბრძანებით უფლის კვართის ნაწილების შესანახად სპეციალურად დაამზადეს ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს კიდობანი. XVIII საუკუნეში უკვე უფლის კვართის ნაწილები აღარ ინახებოდა სპილენძის თუ ბრინჯაოს კარავში. იგი სხვა სიწმინდეებთან ერთად მოათავსეს ვერცხლის საგდულიან სახატეში, რომელიც დაასვენეს ტაძრის საკურთხევლის უკან, მისთვის სპეციალურად დამზადებულ კანკელში. ვერცხლის სახატეში უფლის კვართთან ერთად ოქროს განცალკევებულ კიდობნებში მოთავსებული იყო ღვთისმშობლის კვართის ნაწილი და საქართველოდან არჩილ მეფის მიერ გატანილი ქრისტეს სამსჭვალი და სხვა სიწმინდეები. ვერცხლის საგდულიანი სახატე უამრავი ალმასით იყო მორთული. სახატის ცენტრში, ალმასს ზემოთ ამშვენებდა მრგვალი ბროლი, ჯვარცმის გამოსახულებით, რომელიც 1698 წელს ხარების ტაძრის მნათე ივანე მალეცკის შეკვეთით იყო დამზადებული. უფლის სიწმინდეები ინახებოდა სამ კიდობანში, რომელთაგან ერთ-ერთს დაატარებდნენ ავადმყოფებთან. შემდგომ სიწმინდეები საკურთხევლიდან გამოიტანეს და დაასვენეს ამავე

ტაძრის პეტრე-პავლეს ხის მოჩუქურთმებულ და ოქროთი მოვარაყებულ ეკვდერში. XIX საუკუნის 50–იანი წლებიდან სიწმინდეთა კიდობნები გადაეცა რუსეთის ყოფილი საპატრიარქოს საეკლესიო სიწმინდეთა საცავს. 1868 წელს სიძველის გამო კვართის დაზიანებული კიდობნები კერძო პირებმა განაახლეს და ისინი მოათავსეს კუზმიჩევის მიერ ფაბრიკაში ახლადდამზადებულ ვერცხლის საგდულიან კიდობანში, რომელზეც გამოსახული იყო ქრისტეს მოღვაწეობის იგივე სცენები, რომლებიც XVII საუკუნეში სახატეს ამშვენებდა. 1901 წელს მოსკოვის კრემლის ტაძრის პეტრე-პავლეს ეკვდერში მოაწყვეს პატარა სათავსო სიწმინდეების შესანახად, სადაც კვართის ნაწილებიც ინახებოდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლს მოსკოვის კრემლის მიძინების ეკლესია დაკეტეს, ხოლო მისი სიწმინდეები გადაიტანეს ჯვართამაღლების ტაძარში. ამ უკანასკნელის დანგრევის შემდეგ ისინი 1931 წელს ისევ მიძინების ტაძარში დააბრუნეს, სადაც დღესაც ინახება, ხოლო შაჰის მიერ გამოგზავნილი კვართის შესანახი მოოქროვილი ვერცხლის კიდობანი, რომელშიც ერთ დროს ღვთისმშობლის კვართის ნაწილიც ინახებოდა, ამჟამად მოსკოვის კრემლის მუზეუმის ძვირფასი ლითონების განყოფილებაშია მოთავსებული.[140]

რუსეთში ირანის შაჰის მიერ გამოგზავნილი უფლის კვართად მიჩნეული სიწმინდე სხვადასხვა დროს დანაწევრებულ იქნა. ჯერ კიდევ 1626 წელს მას მცირე ნაწილი ჩამოაჭრეს და ქალაქ კოსტრომის მცხოვრებლებს საჩუქრად გაუგზავნეს. მეორე ნაწილი მეფე ალექსანდრე მიხეილის ძემ (1645-1676) იაროსლაველ ვაჭრებს, ძმებ სკრიპებს აჩუქა იმ დიდი დმსახურების გამო, რომელიც მათ გასწიეს მაშინ, როცა 1612 წელს კუზმა მინინისა და დიმიტრი პოჟარსკის მეთაურობით პოლონელების წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების დროს სახალხო ლაშქარი იაროსლავში იმყოფებოდა და მათ ძმები სკრიპები თავიანთი ხარჯით არჩენდნენ. ნაჩუქარი სიწმინდის შესანახად ვაჭარ ძმებს იაროსლავში წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი აუგიათ, სადაც კარგა ხნის მანძილზე, გასაბჭოებამდე აღნიშნული სიწმინდე იყო დასვენებული.[141]

უფლის კვართის მცირე ნაწილი 1730 წელს გადაეცა კიევის სოფიის ტაძარს და სანკტ-პეტერბურგის პეტრე-პავლეს ეკლესიას. იმპერატორმა პავლე I-მა (1796 – 1801) კვართის ერთი ნაწილი სანკტ-პეტერბურგის ზამთრის სასახლეში არსებულ იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის ტაძარს მიართვა. ამასთანავე, რუსეთში ტრადიცია დამკვიდრდა, რომ ყოველი ახალშობილი ტახტის მემკვიდრე ღებულობდა კვართის პატარა ნაწილს, რომელიც ჯვარში ჩასვენებული უნდა ეტარებინა.[142]

უფლის კვართის ზემოჩამოთვლილი წმინდა ნაწილების ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, როდესაც ვოლგისპირეთში მოშიმშილეთა დასახმარებლად გამოიცა დადგენილება საეკლესიო საგანძურის კონფისკაციის შესახებ, სხვა საეკლესიო სიწმინდეებთან ერთად უფლის კვართის ნაწილებიც უკვალოდ გაქრა. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი სრულიად შემთხვევით იქნა ნაპოვნი. 2003 წლის 10 დეკემბერს იაროსლავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის

თანამშრომლებმა ფონდებში იპოვეს საეკლესიო სიძველე, რომელიც ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ შაჰის მიერ გამოგზავნილი სიწმინდის ნაწილად მიიჩნიეს. მუზეუმის თანამშრომლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით მათ მიერ უფლის კვართის ნაწილად აღიარებული სიწმინდე 2004 წლის 9 აპრილს, წითელ პარასკევს გადასცეს იაროსლავისა და როსტოვის მთავარეპისკოპოს კირილეს, რომელმაც აღნიშნული სიწმინდე აკურთხა და მლოცველთა სამთხვევად ყაზანის ტაძარში დაასვენა. შემდეგ სიწმინდე იაროსლავის გუბერნიის ყველა კუთხეში ჩამოატარეს, საბოლოოდ კი იგი ტოლგის დედათა მონასტრის კუთვნილება გახდა, სადაც მუზეუმის სპეციალისტთა აზრით, სიწმინდისათვის ოპტიმალური პირობებია შექმნილი.[143] რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა იაროსლავში მოძიებულ სიწმინდეს დიდი ადგილი დაუთმეს და იგი საოცარ აღმოჩენად მიიჩნიეს. ქართული გაზეთი „ალია“ (2003 წ. №146, 13-15 დეკემბერი) ოპერატიულად გამოეხმაურა და კვალიფიციური სპეციალისტების კომენტარით საინტერესო მასალა გამოაქვეყნა იაროსლავში აღმოჩენილი სიწმინდის შესახებ. იმავე საკითხზე ცოტა მოგვიანებით ქართულმა ტელეკომპანია „იმედმა“ სპეციალური კორესპონდენტები მიავლინა იაროსლავში და იქაური მუზეუმის თანამშრომლებისა და სასულიერო პირთა მონათხრობი კრიტიკულად განიხილა. როგორც ერთმა ისე მეორე საინფორმაციო საშუალებამ სათანადო წერილობითი წყაროების მოხმობით განავითარა ის აზრი, რომ საქართველოდან არასოდეს გაუტანიათ უფლის კვართი და ბუნებრივია, რომ იგი იაროსლავში ვერ აღმოჩნდებოდა.

უფლის კვართად მიჩნეული სიწმინდის მოსკოვში ჩამობრძანებამ რუსეთის სასულიერო და საერო ხელისუფალთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ფაქტის აღსანიშნავად 1627 წელს საგანგებოდ დაიწერა ხატი, რომელზეც „გამოსახულია უფლის სამოსლის საზეიმო დადება კუბოზე: პატრიარქი ფილარეტი და ყმაწვილი მეფე მიხეილ თევდორეს ძე ერთად დებენ სამოსელს.“[144]

მაცხოვრის კვართმა თავისებური ასახვა ჰპოვა რუსულ ლიტერატურაში. მოსკოვში მოძიებული მასალების საფუძველზე, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ირანში მყოფი რუსი ელჩებისა და რუსეთში მოდვაწე ბერძენი სასულიერო პირების მიტროპოლიტ ნექტარიუსისა და კელარ (მნათე) იოანიკეს მონათხრობს, უფლის კვართის შესახებ შეიქმნა სხვადასხვა შინაარსის თხზულებები. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა ს. ბრაილოვსკის ნაშრომი „ამბავი უფლის ჩვენისა იესო ქრისტეს პერანგისა“, რომელიც, როგორც გარკვეულია, ბევრ უზუსტობას შეიცავს და მთელი მოთხრობა ავტორის ფანტაზიის ნაყოფია.[145]

ასეთია რუსული ვერსია შაჰ-აბას I-ის მიერ უფლის კვართის საქართველოდან გატანისა და მისი რუსეთის მეფისა და პატრიარქისადმი საჩუქრად გაგზავნის შესახებ, რომელიც მკითხველის წინაშე მრავალ კითხვას წარმოშობს. სანამ უშუალოდ უცხოელ ავტორთა ცნობებს და აგრეთვე, რაც მთავარია, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველ წერილობით წყაროებს განვიხილავთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით,

მანამდე აუცილებელია, გაირკვეს ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – შაჰის მიერ რუსეთის მეფისადმი გაგზავნილი პატარა ტილოს ნაჭერი ნამდვილად მაცხოვრის კვართის ნაწილი იყო თუ არა? როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებას, მოძიებული მასალების საფუძველზე, ჯერ კიდევ მოსკოვში მისვენებამდე, შაჰის გამოგზავნილი სიწმინდის შესახებ ეჭვები გაუჩნდა. მხოლოდ გარკვეული გამოცდის შედეგად, ისიც მცირე დროის მონაკვეთში, 1625 წლის 23 მარტიდან 26 მარტამდე მომხდარი სასწაულებისა და კურნების შემდეგ, იგი უფლის კვართად მიიჩნიეს. მართალია, შაჰის მიერ გამოგზავნილი სიწმინდე ხელისგულისოდენა პატარა ტილოს ნაჭერი იყო, მაგრამ მცირე მოცულობის მიუხედავად, როგორც აღინიშნა, რუსეთში სხვადასხვა დროს იგი კიდევ უფრო დაანაწევრეს და სხვადასხვა ქალაქსა და ეკლესია-მონასტრებში განათავსეს. ლოგიკურად იბადება კითხვა, თუკი რუსეთის სასულიერო უწყებამ შაჰის საჩუქარი უფლის კვართის ნაწილად აღიარა, რატომ მოახდინეს მისი შემდგომი დანაწევრება? განა მათთვის ცნობილი არ უნდა ყოფილიყო სახარებისა და წმინდა მამათა შეგონებანი უფლის კვართის დაუნაწევრებლობისა და განუყოფლობის შესახებ? ბუნებრივია, რუსეთის სასულიერო ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ უკეთელი უფლის კვართი ქრისტეს წმინდა ეკლესიის ერთობის და განუყოფლობის სიმბოლო იყო. ამ მიზეზების გამო ისინი საღმრთო წერილისა და წმინდა მამების წინააღმდეგ არ წავიდოდნენ და არ მოახდენდნენ კვართის მცირე ნაწილებად დანაწევრებას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება შაჰის გაგზავნილი სიწმინდის რეალობაში. შესაძლებელია, იგი იყო ქრისტეს სამოსლის ნაწილი, რომელიც, როგორც ახალი აღთქმიდან ცნობილია, ოთხ ნაწილად გაყვეს. შემდგომ იგი უფრო დანაწევრებულა და ბევრი ქრისტიანული ქვეყნის კუთვნილება გამხდარა. უეჭველია, რომ „აქედან მოდის აღრევა ქრისტეს კვართისა სამოსელთან და ამიტომაც არის, რომ რამდენიმე ქრისტიანული ქვეყანა ერთდროულად იჩემებს უფლის კვართს.“ [146] მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ასეთ აღრევასთან გვქონდეს საქმე. ჩვენს მოსაზრებას გარკვეულწილად ზურგს უმაგრებს ის გარემოება, რომ რუსულ წერილობით წყაროებში, შესაბამისად რუსულ ისტორიოგრაფიაშიც, შაჰის მიერ რუსეთში გაგზავნილი სიწმინდე სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი. ხშირად ზემოთ აღნიშნული სიწმინდე წყაროებში იწოდება Хитон-Риза-Срачица-ად. ამათგან „Хитон“-ი ბერძნულია,„Риза“ კი სლავური და ორივე კვართის მნიშვნელობით იხმარება, ხოლო „Срачица“, რომელიც ძველი სლავურიდან მომდინარეობს, კვართთან ერთად ქვედა კაბის, გადასაფარებლის (покрывало), უფრო ხშირად კი პერანგის მნიშვნელობით იხმარება.[147] რუსულ წყაროებში ზოგჯერ ერთდროულად „Хитон“-იც იხმარება და „Срачица“-ც, პირველი, უეჭველია, უფლის კვართის აღმნიშვნელია, მეორე კი – პერანგის.[148] თუმცა მკვლევართა უმრავლესობა „Срачица“-საც უფლის კვართად მიიჩნევს, რაც არასწორია. შაჰის მიერ მოსკოვში გაგზავნილი საჩუქარი რუსულ წყაროებში „Срачица“-დ იწოდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შაჰ-აბას I-ს საქართველოდან გაუტანია არა უფლის კვართი, არამედ პერანგის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე მონასტერში, შესაძლებელია, მარ-

თლაც არსებობდა.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, პოლიტიკური მოსაზრებების გამო რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისათვის სავსებით მისაღები აღმოჩნდა შაჰის საჩუქარი ქრისტეს კვართად მიეჩნიათ. მოსკოვის ხელისუფლება რუსეთში მყოფი ქართველი და ბერძენი სასულიერო პირების ცნობებით, აგრეთვე XVII საუკუნის 30-იან წლებიდან საქართველოში გამოგზავნილი რუსი ელჩების თუ საქართველოდან ჩასული ქართველი დესპანების მიერ მიწოდებული მასალებით უნდა დარწმუნებულიყო, რომ შეუძლებელი იყო, შაჰ-აბას I-ს მცხეთიდან გაეტანა უფლის კვართი და ამ გზით იგი რუსეთში მოხვედრილიყო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, აღნიშნული დოკუმენტური მასალების უტყუარობას მოსკოვის ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა, რადგან XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან უფლის კვართმა რუსეთ-ირანისა და საქართველოს დიპლომატიურ ერთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. როგორც ჩანს, მაცხოვრის კვართის ფლობა აღმავლობის გზაზე მყოფ რუსეთის სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევდა, ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ მესამე რომის ფუნქცია შეესრულებინა. ბუნებრივია, რომ რუსეთის საერო ხელისუფალთა ამ განწყობას მხარს უჭერდნენ სასულიერო პირებიც, რადგანაც მოსკოვის მესამე რომად აღიარება მართლმადიდებელ სამყაროში რუსეთის საპატრიარქოს საეკლესიო პოლიტიკის გატარებას შეუწყობდა ხელს. ყოფილი ბიზანტიის, ამჟამად კი ჩამორჩენილი, მაჰმადიანური ოსმალთა იმპერიის უღელქვეშ მყოფი, დასუსტებული მართლმადიდებელი საპატრიარქოების (კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, იერუსალიმის) ფუნქცია მოსკოვის საპატრიარქოს უნდა ეკისრა.

ჩვენი ვარაუდით, დასახელებული მიზეზების გამო, XVII საუკუნის შუა ხანებში პატრიარქ ნიკონის (1652-1667) ინიციატივით, მომავალში საკამათოდ რომ არ გაეხადათ რუსეთში მისვენებული სიწმინდის რეალობა, მისი ახალი საზეიმო დღის – 10 ივლისის დადგინებასთან დაკავშირებით რუსულ სვინაქსარში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით თითქოს თემურ ლენგის შემოსევების (1386-1403) დროს, უსაფრთხოების მიზნით, კვართი სიდონიას საფლავიდან ამოიღეს და მას საკათალიკოსოს საცავში ინახავდნენ. მეფე ალექსანდრე დიდის (1412-1442) მიერ სვეტიცხოვლის აღდგენის შემდეგ კვართი ისევ ტაძარში დააბრუნეს და საიდუმლოდ ჯვრის ბუდეში ჩაასვენეს. შაჰ-აბასმა თითქოს ერთ-ერთი ლაშქრობის დროს კვართს მიაგნო და საქართველოდან გაიტანა. კვართი შემდეგ მან რუსეთის მეფეს გაუგზავნა.[149] საეკლესიო ტრადიციისა და ქართული წერილობითი წყაროებისათვის უცნობია რუსულ სვინაქსარში მოტანილი ცნობა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში მაცხოვრის კვართის შენახვის შესახებ. რუსეთის ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ სიწმინდის მოსკოვში ჩასვენებამდე თავისი ელჩების მეშვეობით ვერ დაადგინა, თუ როგორ და რა ვითარებაში მოიპოვა შაჰ-აბას I-მა უფლის კვართი საქართველოში. ამის გამო, რუსმა სასულიერო პირებმა, ჩვენი აზრით, შექმნეს საინტერესო ლეგენდა მცხეთაში კვართის საფლავიდან ამოღების და მისი საიდუმლოდ ჯვარში შენახვის შესახებ. აღნიშნული ლეგენდის წერილობითი დაფიქსირებით მათ წინასწარ განჭვრიტეს, რომ მომავალში ეჭვის

ქვეშ არასოდეს დადგებოდა შაჰის მიერ უფლის კვართის საქართველოდან გატანა და მისი რუსეთისათვის გადაცემა. ყოველივე ამის გამო, ზემოქმულ ლეგენდას არსებობის საფუძველი არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, როგორც ქართველ ისე უცხოელ მკვლევართა ერთი ნაწილი მას ჭეშმარიტებად მიიჩნევს. უფრო მეტიც, რუსული ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ირანში მივლინებული რუსი ელჩების ვ. კორობინისა და ო. კუვშინოვის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც შაჰის ელჩმა, ეროვნებით ქართველმა ურუსან ბეგმა, რომელსაც შაჰის საჩუქარი მიჰქონდა მოსკოვში, მათ ამცნო, რომ მცხეთაში არსებული ეს სიწმინდე მიტოპოლიტს ჯვარში ჰქონია ჩასვენებული.

ირანის ელჩის, ქართველი ურუსან ბეგის აღნიშნული განცხადება გარკვეულწილად ზურგს უმაგრებს და ადასტურებს რუსულ ვერსიას. ფაქტიურად, შაჰის ელჩი, ეროვნებით ქართველი ურუსან ბეგი ახმოვანებს რუსულ ვერსიას, როცა ამბობს, რომ კვართი შაჰ-აბას I-მა მცხეთაში მიტროპოლიტის ჯვრიდან ამოიღო. ჩვენი აზრით, ურუსან ბეგის მონათხრობიც გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, იგი მაშინ უნდა დაფიქსირებულიყო რუსულ წყაროებში, როცა სვინაქსარში შეჰქონდათ კვართის შესახებ ცნობები. ამის საფუძველს გვაძლევს რუსულ წყაროებში აღნიშნული ერთი მითითება, როცა ურუსან ბეგი უფლის კვართის შესახებ რუს ელჩებს აუწყებს: „რომელი უმწეოც კვართს რწმენით შეეხება, ღმერთი შეიწყალებს, ხოლო, ვინც – რწმენის გარეშე, მას მაშინვე თვალები გადმოსცვივდება“.[150] ურუსან ბეგის ამ სიტყვებს პირველად ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ე. მამისთვალიშვილმა. მისი დასკვნით: „დაკვირვებული ადამიანი, ურუსან ბეგის ვარაუდით, უნდა მიხვედრილიყო, რომ მის მიერ მოსკოვში მოტანილი „ქრისტეს კვართი“ სინამდვილეში იმას არ წარმოადგენდა, რადაც შაჰ-აბასი ასაღებდა“.[151] გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩვენ დამატებით აღვნიშნავთ, რომ ურუსან ბეგის ზემოთქმული სიტყვები ქართული ეკლესიური ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც მისთვის, როგორც ქართველისათვის, ცნობილი უნდა ყოფილიყო. მხედველობაში გვაქვს XII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის ცხოველმყოფელი სვეტისა და უფლის კვართისადმი მიძღვნილი ნაშრომი, სადაც აღწერილია, რომ, როცა საქართველოს დაპყრობის შემდეგ სულთნის მეუღლემ შაჰრიხათუნმა თანმხლებ პირებთან ერთად მოინდომა კვართის ადგილზე აშენებული ქვითკირის სვეტის დანგრევა, ღვთის რისხვას ვერ გადაურჩა. სვეტიდან გადმოსულმა ღვთაებრივმა ცეცხლმა ისინი შთანთქა.[152] გარდა ამისა, ურუსან ბეგისათვის, როგორც ქართველისათვის, ისიც უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ ქართული წყაროების მიხედვით, მცხეთაში დაფლული კვართი უხილავია. გარკვეულ დრომდე მას ნივთიერი სახით ვერავინ იხილავს. მისი გამოჩენება მხოლოდ მეორედ მოსვლის დროს მოხდება. საუკუნეების განმავლობაში აღნიშნული წინასწარმეტყველება ქართველებისათვის ცნობილი იყო და ბუნებრივია, არავინ იკადრებდა ღვთის ნების წინააღმდეგ წასვლას. დასახელებული მიზეზის გამო დღემდე არავის მოსვლია აზრად, უფლის კვართის მოძიების მიზნით არქეოლოგიური გათხრები ჩაეტარებინა ცხოველმყოფელ სვეტთან.

სხვათა შორის, რუსულ სვინაქსარში მოცემული ვერსიისაგან განსხვავებული ვერსიები გაჩნდა რუს მკვლევართა ნაშრომებში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ჩვენ მიერ ზემონახსენები ს. ბრაილოვსკის ნაშრომი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, XVII საუკუნის 20-იან წლებში ირანში მყოფი რუსი ელჩებისა და იმ დროს მოსკოვში მოღვაწე ბერძენი სასულიერო პირების მონათხრობების არასწორი, საკუთარი ინტერპრეტაციისა და გაყალბების საფუძველზეა შექმნილი. ს. ბრაილოვსკის ვერსიით, კვართის საფლავიდან ამოღება შორეულ წარსულშია გადატანილი და მისი მცხეთაში შემობრძანების ახლო პერიოდს ემთხვევა. ამ ვერსიის მიხედვით, მცხეთაში ქალწულთან ერთად დაფლულ უფლის კვართზე აღმოცენებული ზეთისხილიდან გადმოსული სურნელოვანი მირონი უამრავ სნეულს კურნავდა. ქართველებს გამდიდრების მიზნით დაუწყიათ მირონის გაყიდვა. ღვთის რისხვით ხე გამხმარა და მირონის დენაც შემწყდარა. ადგილობრივ მცხოვრებლებს უხუცესებთან მოთათბირების შემდეგ გაუთხრიათ 60 წლის წინ კვართთან ერთად დაკრძალული ქალწულის საფლავი, რომელიც უხრწნელად შენახულიყო და ცოცხალივით იწვა მაცხოვრის კვართში. ს. ბრაილოვსკის მონათხრობის მიხედვით, კვართს მეოთხედი ნაწილი მოახიეს და ის კიდობანში მოათავსეს, ხოლო ქალწულის საფლავზე ააგეს ტაძარი. ამ ვერსიის მიხედვით, სწორედ ეს სამოსელი მოიპოვა შაჰმა, რომელიც შემდეგ მეგობრობის ნიშნად რუსეთის მეფეს გაუგზავნა.[153] ს. ბრაილოვსკის აღნიშნული ვერსიის მიზანია, როგორმე შორეულ წარსულში გადაიტანოს უფლის კვართის საფლავიდან ამოღება და ამ გზით მკითხველისათვის სარწმუნო გახადოს შაჰის მიერ მისი ხელში ჩაგდებისა და რუსეთში გაგზავნის ვერსია.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ს. ბრაილოვსკის ვერსიისაგან განსხვავებული შეხედულების დამკვიდრებას შეეცადა მკვლევარი მ. სელეზნიოვი, რომლის მიხედვით შაჰ-აბას I–მა თითქოს საქართველოდან გაიტანა უფლის კვართის ის ნაწილი, რომელიც ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ 332 წელს სიდონიას საფლავის გახსნის დროს მიწიდან ამოიღო. თავისი ვერსიის რეალობად ქცევის მიზნით, იგი იმასაც არ ერიდება, რომ მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს. მკითხველის დასარწმუნებლად მ. სელეზნიოვი მიუთითებს, რომ აღნიშნულ ცნობას თითქოს გვაძლევს V საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსი სოკრატ სქოლასტიკოსი, რომელსაც, თავის მხრივ, აღნიშნული ამბავი მოუსმენია ქართველი მთავრისაგან.[154] არც სოკრატ სქოლასტიკოსი და არც რომელიმე უცხოური წერილობითი წყარო, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ წერილობით წყაროებზე, არ ადასტურებს მ. სელეზნიოვის წამოყენებულ არგუმენტებს. ერთ-ერთი რუსული ვერსიის მიხედვით, რომელიც აგრეთვე ბერძენი მიტროპოლიტის, ნექტარიუსის მონათხრობს დამახინჯებულად გადმოგვცემს, თითქოს VII საუკუნეში, სპარსელების შემოსევის დროს საფლავიდან ამოიღეს კვართი და მღვდელმთავარს გადასცეს შესანახად. ამ ვერსიის უცნობი ავტორის მითითებით, თითქოს ნექტარიუსმა XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოში ყოფნისას კვართი ინახულა. ხოლო, როცა შაჰი შემოესია საქართველოს, კვართი უსაფრთხოების მიზნით ჯვარში შეინახეს. შემდეგ შაჰმა სწორედ ეს კვართი იპოვა და გაიტანა. ამ

ვერსიის ავტორი შეგნებულად ამახინჯებს ბერძენი სასულიერო პირის ცნობებს კვართის შესახებ.[155]

ყოველი ზემოაღნიშნული, ერთმანეთისაგან განსხვავებული ვერსიის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ ასეთ ფაქტებს არასოდეს ჰქონია ადგილი. აშკარაა, რომ დასახელებული რუსი მკვლევარები ყოველგვარი ხერხების გამოყენებით ცდილობდნენ, დაემკვიდრებინათ აზრი, რომ მცხეთაში, მიწაში დაფლული უფლის კვართი საფლავიდან ამოღებულ იქნა, შემდგომ იგი შაჰმა ხელთ იგდო და რუსეთის მეფეს საჩუქრად გაუგზავნა.

ზემოთ აღწერილ ვერსიებში უკანასკნელ პერიოდში თვით რუსი მკვლევარები გარკვეულ შეუსაბამობას ხედავენ. ამ საკითხთან დაკავშირებით გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნდა ნ. ენეევას სტატია, რომელიც სრულიად ახალ ვერსიას გვთავაზობს უფლის კვართის საფლავიდან ამოღების შესახებ. ამ ვერსიის აღნიშვნისას იგი ეყრდნობა XVII საუკუნის 20-იან წლებში რუსეთში მოღვაწე ბერძენი სასულიერო პირის, იოანიკეს ცნობებს. ნ. ენეევას მიხედვით, შაჰ-თამაზის შემოსევის დროს, XVI საუკუნეში ქართველებს ქრისტეს კვართი საფლავიდან ამოუღიათ, ორად გაუყვიათ, ერთი მცხეთაში, მიტროპოლიტის კათედრაზე დაუსვენებიათ და სწორედ ეს ნაწილი წაუღია შაჰ-აბასს, ხოლო მეორე ნაწილი შეიძლება, ზაგემში ინახებოდაო.[156] მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ ნ. ენეევა ცდილობს, უფლის კვართის საფლავიდან ამოღება რეალურ სინამდვილედ აქციოს. ამ მიზნის მისაღწევად იგი აშკარად ამახინჯებს ბერძენი იოანიკეს მონათხრობს. მართალია, ეს უკანასკნელი თავის განმარტებაში აღნიშნავს, რომ შაჰ-თამაზის შემოსევის დროს წაბილწულ იქნა სვეტიცხოვლის ტაძარი (ამის შესახებ ჩვენ ზემოთ დაწვრილებით ვისაუბრეთ), მაგრამ არსად არ აღნიშნავს, რომ ქართველებმა ამ დროს საფლავიდან ამოიღეს ქრისტეს კვართი. უფრო მეტიც, იოანიკე აღნიშნავს, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ყოფნის დროს კვართი ქალწულთან ერთად საფლავში ყოფილა დაფლული, ხოლო „ჩემს შემდეგ ქართველებმა ქიტონი თუ ამოიღეს, ამის შესახებ არაფერი ვიცი.“ – განუცხადებია მას.[157] როგორც ჩანს, „ნ. ენეევამ არასწორად გაიგო ან შეგნებულად დაამახინჯა იოანიკეს მოხსენების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი“.[158]

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ვერსიაც რეალურ სინამდვილეს არ ასახავს. არც ქართულ საეკლესიო ტრადიციაში და არც წერილობით წყაროებში არავითარი მითითება არ არსებობს იმის შესახებ, რომ ოდესმე ვინმეს სიდონიას საფლავიდან უფლის კვართი ამოეღოს და უსაფრთხოების მიზნით ჯვარში შეენახოს.

შაჰ-აბას I-ს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრიდან უფლის კვართი რომ არ გაუტანია, ამის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული XVII საუკუნის 30-იანი წლების და შემდგომი პერიოდის რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველ მასალებში და ამავე პერიოდში ჩვენში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა თუ ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში. საკითხის შესწავლის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ქართვ-

ელ და რუს მეფეთა მიმოწერებში დაცულ ცნობებს, რომლებიც ძირითადად რუსულმა წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVII საუკუნის დასაწყისიდან პოლიტიკური მოკავშირის ძიებაში მყოფი ქართველი მეფეები ხსნას ერთმორწმუნე რუსეთისაგან დახმარებაში ხედავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა შაჰ-აბას I-ის მიერ დევნილი კახეთის მეფე თეიმურაზ I, რომელიც ჩრდილოელი ერთმორწმუნე მეზობელი რუსეთის სამეფო კარზე ხშირად აგზავნიდა თავის დესპანებს. 1618 წელს მოსკოვში ჩასული თეიმურაზ I-ის ელჩი, იღუმენი ხარიტონი რუსეთის სამეფო კარს ატყობინებდა შაჰ-აბას I-ის ლაშქრობის შედეგად კახეთის სამეფოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. მართალია, რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ თეიმურაზ მეფის წერილში დაწვრილებით იყო საუბარი ირანის შაჰის მიერ კახეთის სამეფოში არსებული ეკლესია-მონასტრების აწიოკების, სიწმინდეების წაბილწვის და დატაცების შესახებ, მაგრამ უფლის კვართი აღნიშნულ წერილში ნახსენები არცაა.[159] ბუნებრივია, რომ „თემურაზ I, მართალია, რუსთ ხელმწიფეს კახეთის უბედურებას აცნობებდა, მაგრამ დაუჯერებელია, რომ შაჰის მიერ მცხეთიდან კვართის წაღება მას არ სცოდნოდა და ამის შესახებ არაფერი ეთქვა თავის წერილში“.[160]

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც უკვე ქართველი პოლიტიკოსებისათვის, კერძოდ კი მეფე თეიმურაზ I-სათვის ცნობილი ხდება, თითქოს შაჰ-აბასმა კვართი საქართველოდან გაიტანა და იგი რუსეთის ხელმწიფეს საჩუქრად მიართვა, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ერთიერთობაში უფლის კვართმა სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ამიერიდან ქართველი პოლიტიკოსები რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს „დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ ქრისტეს კვართი საქართველოში არისო“.[161]

გარკვეული პერიოდის შემდეგ, როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, თეიმურაზ მეფეს დაწვრილებითი ინფორმაცია მიუღია, სავარაუდოდ რუსეთში მყოფი თავისი ელჩის თეოდოსისაგან, შაჰის მიერ რუსეთში გაგზავნილი სიწმინდის შესახებ. მეფე თეიმურაზი რუსეთის ხელისუფალთა დარწმუნების მიზნით, 1635 წელს მოსკოვში მყოფი ქართველი ელჩის მიტროპოლიტ ნიკიფორეს მეშვეობით მათ ატყობინებს, რომ მცხეთაში დაფლული არის ქრისტეს კვართი და აქვე იმყოფება საქართველოს საპატრიარქო, „ეხლაც გვსურს, რომ ვიყოთ თქვენს სამეფოსთან მეგობრობასა და სიყვარულში, რომ დიდებული ეკლესია და უფლის კვართი თურქებს ხელში არ ჩაუვარდეს და რომ არ გაჩანაგდეს აქაური ეკლესია-მონასტრები და რომ ქრისტეს სახელი იყოს სამარადჟამოდ“. შემდეგ მეფე თეიმურაზი, აუწყებს რა რუსეთის ხელმწიფეს საქართველოს მძიმე მდგომარეობას, დახმარების სანაცვლოდ მას გადასცემს ივერიის მიწას და ქრისტეს კვართს.[162] ამ ფაქტის აღნიშვნით თეიმურაზ I რუსეთის ხელისუფალთ დაუფარავად აუწყებს, რომ შაჰის მიერ მათთვის გაგზავნილი საჩუქარი მაცხოვრის კვართი არ არის, რადგან ირანის მბრძანებელს საქართველოდან არასოდეს არ გაუტანია კვართი და იგი ისევ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარშია დაფლული. სინამდვილის დადგენის მიზნით მეფე თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფეს სთხოვს, დიდხანს არ

დააყოვნოს ქართველი ელჩობა და მას უკან დაბრუნებისას თან გამოაყოლოს თავისი დესპანები, რათა დაათვალიერონ „ჩვენი ქვეყანა და ქრისტიანობა, წმინდა ეკლესიები და ივერთა ქვეყანა, მცხეთის დიდი ეკლესია, სადაც მოთავსებულია ქრისტეს კვართი და დღესაც იქ არის, რათა თქვენმა თვითმპყრობელობამ ჭეშმარიტება იცოდეს“. თეიმურაზ მეფე თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქრისტეს კვართი კახეთში კი არა ქართლშია.[163] როგორც ჩანს, თეიმურაზ მეფისათვის ცნობილი ხდება, რომ მისმა ადრე გაგზავნილმა ელჩმა თეოდოსმა არასწორი ინფორმაცია მისცა რუსეთის ხელისუფალთ კვართის ადგილსამყოფლის შესახებ. ამ მინიშნებით თეიმურაზმა ფაქტიურად გაასწორა თავისი ელჩის თეოდოსის „მოსკოვში დაშვებული შეცდომა“.[164] თეიმურაზ მეფის წერილში მოყვანილი ფაქტების სისწორე რუსეთის ხელისუფალთა წინაშე სიტყვიერად დაადასტურა საქართველოს ელჩმა, მიტროპოლიტმა ნიკიფორემ, რომელმაც დამატებით აღნიშნა, რომ უფლის კვართი დღესდღეობით არის არა კახეთში, არამედ ქართლში, დაფლული მცხეთის შუაში, ქვის სვეტის ქვეშ, რომელიც აგებულია იმ ადგილას, სადაც კვართზე ამოზრდილი კედრის ხე მოჭრეს. ნიკიფორე მოგვითხრობს, რომ შაჰს სურდა ქვის სვეტის დანგრევა, მაგრამ ისინი, ვისაც ეს უნდა გაეკეთებინა, ღვთაებრივმა ცეცხლმა შთანთქა. მისი აზრით, ღვთის კვართის ნახვა არავის შეუძლია, რადგან იგი ქვის კედლით ყრუდ არის ამოქოლილი. თავის მხრივ, ქართველმა მიტროპოლიტმა რუსეთის ხელისუფალთ სთხოვა, ეჩვენებინათ მისთვის შაჰის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი სიწმინდე, სამაგიეროდ რუსი ელჩები საქართველოში ჩასვლისას დაუბრკოლებლივ ნახავდნენ კვართის განსასვენებელს მცხეთაში. მიტროპოლიტი არ უარყოფს, რომ შაჰ-აბას I-ის შემოსევის შედეგად მრავალი ეკლესია-მონასტერი დარბეულ იქნა, „დაიკარგა შარავანდედი ქრისტეს ხატისა, რომელიც მთავარ ავგარს მოართვეს და უწმინდესი ღვთისმშობლის სარტყელი, მოტანილი ცარგრადიდან, ფიქრობენ, რომ ის სიწმინდეები შაჰმა წაიღო“.[165] მოტანილი მასალიდან ირკვევა, რომ თეიმურაზ I-ის ელჩისათვის ცნობილია სომხური ლეგენდა, რომლის მიხედვით უფალმა სნეულ ედესის მთავარ ავგარს განკურნების მიზნით გაუგზავნა „განკაცებული მაცხოვრის ხატი“,[166] მაგრამ ელჩი აშკარა უზუსტობას უშვებს, როცა ამბობს, რომ შაჰ-აბასის შემოსევის დროს დაიკარგა ღვთისმშობლის სარტყელი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დროისათვის იგი დასავლეთ საქართველოს ერთ ტაძარში ინახებოდა და ბუნებრივია, შაჰი მას ვერ წაიღებდა.

როგორც წყაროებით ირკვევა, მოსკოვში მყოფი თეიმურაზ მეფის ელჩის ნიკიფორეს თხოვნა დააკმაყოფილეს და მას აჩვენეს შაჰის მიერ გაგზავნილი სიწმინდე. მართალია, წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა სიწმინდემ საქართველოს დესპანზე, მაგრამ როგორც შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, მიტროპოლიტი ნიკიფორე და მისი გავლენით რუსეთის ხელისუფალნი უნდა დაეჭვებულიყვნენ შაჰის მიერ უფლის კვართად მიჩნეული სიწმინდის რეალობაში.[167] აღნიშნულ დასკვნას ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიც ადასტურებს. 1637 წელს საქართველოსკენ მომავალ თეიმურაზ მეფის ელჩს ნიკიფორეს თან გამოაყოლეს რუსეთის

ხელმწიფის მრავალრიცხოვანი ელჩობა – თავად თევდორე ვოლინსკის მეთაურობით. რუსთა ელჩობაში სჭარბობდნენ სასულიერო პირები, რომელთაც თავიანთი ხელისუფლებისაგან დავალებული ჰქონდათ სხვადასხვა საკითხთან ერთად შეეკრიბათ ცნობები უფლის კვართისა და სხვა სიწმინდეების შესახებ. უფლის კვართის მოძიების მიზნით მათ საგანგებოდ უნდა ემარხულათ და ელოცათ. ამასთანავე, მათვე დაევალათ, გაერკვიათ, იყო თუ არა ღვთის კვართის ნაწილი შაჰის მიერ რუსეთში გაგზავნილი სიწმინდე, აგრეთვე დაედგინათ, სიწმინდის რა ნაწილია ის, რაც საქართველოს ელჩმა, მიტროპოლიტმა ნიკიფორემ იხილა. რუსეთის მეფემ მიტროპოლიტ ნიკიფორეს მეშვეობით კახეთის მეფეს გამოუგზავნა წერილი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რუს დესპანებს, თავად თევდორეს და არტემ დიაკონს მეფე თეიმურაზმა გადასცეს უფლის კვართი, რომელსაც ისინი მოსკოვში ჩაიტანდნენ. სამაგიეროდ რუსეთის ხელმწიფე დიდ საჩუქარს მიუძღვნიდა მას. თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება თავის ელჩებს ავალებდა, რომ კვართის მოპოვების შემთხვევაში, იგი დიდი სიფრთხილით წამოეღოთ. თუ სხვა სიწმინდეებსაც შესთავაზებდნენ რუს ელჩებს, წინასწარი ინსტრუქციის მიხედვით, მათ დაწვრილებითი ცნობები უნდა შეეკრიბათ ნაჩუქარი წმინდა ნაწილების შესახებ – რამდენი წელია საქართველოშია და საიდან არის ისინი მოტანილი. რუსეთის მმართველი წრეებისაგან ელჩობას მკაცრი გაფრთხილება ეძლეოდა, – საქართველოში ყოფნის დროს იქაური სიტუაციის გათვალისწინებით ყველაფერი ზუსტად და დაწვრილებით უნდა აღენუსხათ და მათზე მოცემული მეფის დავალება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა შეესრულებინათ.[168] მოტანილი დოკუმენტური მასალა იმაზე მეტყველებს, რომ, მართალია, 1625 წლის 27 მარტს ირანის შაჰის მიერ გამოგზავნილი სიწმინდე უფლის კვართის ნაწილად იქნა მიჩნეული, მაგრამ მის მიმართ ეჭვები რუსეთის ხელისუფლებას კვლავ ჰქონდა. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ ელჩობაში შემავალ სასულიერო პირებს მიეცათ კონკრეტული დავალებები. მართალია, რუსეთის ელჩობას თავადი თევდორე ვოლინსკი მეთაურობდა, მაგრამ ელჩობაში შემავალ სასულიერო პირებს ხელმძღვანელობას უწევდა კოსტრომის იპატის მონასტრის იღუმენი იოსები. თუმცა, როგორც წყაროებით დასტურდება, რუსეთის ხელისუფალთა დავალებას ასრულებდა ამ ელჩობის წევრი არსენ სუხანოვი, რომელიც თითქმის ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა კახეთში და, რომელმაც აგრეთვე ორჯერ იმოგზაურა საქართველოში. მან რუსეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილ მოხსენებაში საინტერესო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს ეკლესიის სიწმინდეების შესახებ.[169]

საქართველოში ჩამოსულმა რუსმა ელჩებმა მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, 1639 წლის აპრილში, დაპირებისამებრ, თეიმურაზ მეფისაგან მოითხოვეს, საშუალება მისცემოდათ, ენახათ უფლის კვართი, „რათა საბოლოოდ გაერკვიათ, რას წარმოადგენდა შაჰის მიერ ხელმწიფისათვის გაგზავნილი საჩუქარი“.[170] რუსი ელჩების მოთხოვნა თეიმურაზ მეფემ ვერ დააკმაყოფილა, იმის გამო, რომ, როგორც თვითონ განმარტავდა, „ვიდრე მიტროპოლიტ ნიკიფორეს მოსკოვში გამოვაგზავნიდი, მაშინ ჩემს მამულში, ქართლში ვიყავი და

მცხეთაც, სადაც კვართია, მე მეკუთვნოდა. ნიკიფორეს წამოსვლის შემდეგ შაჰი მოვიდა და ქართლი წამართვა. ამდენად კვართის ნახვის საშუალება აღარ გვაქვს“.[171] რუს ელჩებთან საუბარში იგი კიდევ აფიქსირებს თავის მოსაზრებას მოსკოვში შაჰის მიერ გაგზავნილი საჩუქრის შესახებ. მისი აზრით, იგი შეიძლება იყოს რუსთველი ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში მყოფი ფერისცვალების ეკლესიიდან წაღებული ღვთისმშობლის სარტყელი, მაგრამ, მისი განმარტებით, იმჟამად ეს ეკლესიაც თეიმურაზ მეფის კონტროლქვეშ აღარ იმყოფებოდა. სამაგიეროდ, რუს ელჩებს მეფე თეიმურაზმა განუცხადა, რომ თუკი რუსეთის ხელმწიფისაგან გაეწევა დახმარება, „მაშინ ჩემს ხელთ იქნება ქართლიც, მცხეთაც და უფლის კვართიც, ივერიის ქვეყანაც და ყველაფერს ხელმწიფეს მივცემდიო“.[172]

რუს ელჩებთან გამოთქმული შეხედულებანი თეიმურაზ მეფემ კიდევ უფრო განავრცო ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც იგი მაცხოვრის აღნიშნული სიწმინდის შესახებ გამოკვეთილად აღნიშნავს, რომ „а Риза Господня, что есть вашего ц-го в-ва, показали нареченному митрополиту Микифору, и та Риза из рузбельской церкви, и то есть от пояса пречистые богородицы. А иные сказывают, в. г. что есть Сударь Господа нашего Иисуса Христа, иже бе на лице его, а не Риза. А изстари мы слыхали про ризу господню, что она лежит в великой церкви Схете, а не в Рузбели. И как приходил шах Аббас и воевал наши места, и тогда тот пояс, или сударь что у вас ныне именуют Ризою Господнею, взяли, и прислал шах к царствию вашему. А подлинная Риза господня лежит в великой церкве Схете, что в Картли, и по сей день а недостоен нихто выняти ее оттоле. И будет подаст Бог взять нам Картель к себе, тогда все будет великого твоего царствия, и великая церковь Схета и Риза господня. Потом и мы будем все в. г. царь, под вашею царскою высокою рукою. Аминь“.[173]

როგორც ვხედავთ, ირანის შაჰისაგან შევიწროებული და დევნილი მეფე თეიმურაზი რუსეთის ხელმწიფეს დახმარებას სთხოვს და აუწყებს: „თუკი რუსეთისათვის ქრისტეს კვართი ძვირფასია და მისი დაუფლება სურს, მაშინ იგი უნდა დაეხმაროს თეიმურაზს, დაიბრუნოს ქართლის სამეფო. რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად უძვირფასესი სიწმინდეც მისთვის ხელმისაწვდომი იქნება. თუმცა, თეიმურაზ მეფე გარკვევით შენიშნავს, რომ უფლის კვართს საფლავიდან ვერავინ ამოიღებს და საქართველოდან ვერავინ წაიღებს. ე. ი. ყველა შემთხვევაში კვართი სვეტიცხოველში უნდა დარჩეს“.[174]

მეტად საინტერესოა 1652 წლის შემოდგომაზე საქართველოში მეორედ ჩამოსული რუსი ბერის არსენ სუხანოვის რუსეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილი მოხსენება. მას საგანგებოდ მოუნახულებია მცხეთა, სადაც ერთ-ერთ მონასტერში ღამეც გაუთევია. იგი დაწვრილებით აღწერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს, მის სიძველეებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები ცხოველმყოფელი სვეტის შესახებ, რომელიც მის დროს გადახურული იყო ფიქალი ქვით. „ქვემოთ თვით მიწაზე ამ სვეტთან, თითქოს პაწაწინა სახატე ნიში არსებობდა – ფარდაჩამოფარებული და მის ქვაფენილზე საფარი (ფარდაგი) იყო დაგებული. ამ ფარდაგზე მოჭედილი ხატები

ესვენა. არსენმა ფარდა გადასწია და სახატეში ნიში დაათვალიერა, იგი ღრმა არ ჩანდა, როგორც ჩანს, ქვა ცოტა ჩამონგრეულიყო, ხოლო ამ სვეტის ქვეშ ქრისტეს, ჩვენი ღმერთის, კვართი იყო ჩადებული, ერთიანად მთელი და უვნებელი".[175] შემდეგ არსენ ბერმა ადგილობრივი სასულიერო პირებისაგან მოისმინა და თავის მოხსენებას დაურთო საქართველოში უფლის კვართის ჩამოსვენებისა და დაფვლის ქართული ვერსია.[176] უფლის კვართის განსასვენებლის ნახვის შემდეგ არსენ სუხანოვი უეჭველად დარწმუნდებოდა, რომ იგი საფლავიდან არავის ამოუღია. ამიტომ აღნიშნავს ის თავის მოხსენებაში, რომ „სვეტის ქვეშ ქრისტეს, ჩვენი ღმერთის, კვართია ჩადებული, სულ მთელია და დაუზიანებელი". ამით მან ფაქტიურად აღიარა, რომ რუსეთში შაჰის მიერ გაგზავნილი საჩუქარი ნამდვილად არ იყო უფლის კვართი. ამით „გაირკვა, რომ შაჰ-აბასს საქართველოდან კვართი არ წაუღია და დამტკიცდა ქართველთა სიმართლე".[177] არსენ სუხანოვის ასეთი დასკვნის მიუხედავად, მისი მოღვაწეობის დროს, XVII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში პატრიარქ ნიკონის (1652-1667) ინიციატივით რუსულ სვინაქსარში ჩნდება ჩანაწერი, თითქოს თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდში, XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში უსაფრთხოების მიზნით კვართი საფლავიდან ამოიღეს და საიდუმლოდ ჯვარში ჩაასვენეს. მოტანილი ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის ხელისუფლება შაჰის გამოგზავნილ საჩუქარს პოლიტიკურ ასპექტში მოიაზრებდა და სრულებითაც არ აწყობდა უფლის კვართთან დაკავშირებით სინამდვილე დაედგინა.

ზემოთ განხილული რუსული წერილობითი წყაროების გარდა, მცხეთაში უფლის კვართის დაფლულობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან XVII საუკუნეში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები. თითქმის ყველა მათგანი რომში გაგზავნილ თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში დაცულია ქრისტეს კვართი. ირანის შაჰს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრიდან აღნიშნული სიწმინდე რომ გაეტანა, ამ პერიოდისათვის საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერები მას უეჭველად დააფიქსირებდნენ. მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ამავე საუკუნეში საქართველოში მყოფი ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის ვაჟის პავლე ალეპოელის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიოს დავალებით სპეციალურად შედგენილი „საქართველოს აღწერილობა", რომელშიც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სვეტიცხოვლის ტაძარში, მარჯვენა მხარეს არის დიდი სვეტი, რომლის ქვეშაც მოთავსებულია ქრისტეს კვართი.

პავლე ალეპოელის „საქართველოს აღწერილობაში" არის ერთი ფრიად საინტერესო ცნობა, რომლისთვისაც დღემდე მკვლევარებს სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ. კახეთის სიწმინდეთა აღნუსხვის დროს პავლე ალეპოელი აღნიშნავს, რომ ალავერდის ტაძარში ინახებოდა „Сударь Владыки Христа", რომელიც, მისივე ცნობით, შაჰ-აბასს საქართველოდან გაუტანია.[178] როგორც ჩანს, პავლე ალეპოელმა XVII საუკუნის 60-იან წლებში აღნიშნული გადმოცემა ადგილობრივი სასულიერო და საერო პირებისაგან მოისმინა. ამიტომ მისი ეს ცნობა გარკვეულ ნდობას იმსახურებს. პირველ რიგში, გასარკვევია, რას წარმოადგენდა „Сударь"-ი. რუსულ ენაზე „Сударь" ბატონს

ნიშნავს, მაგრამ პავლე ალეპოელის მოტანილი ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ აღნიშნული სიტყვა ამ მნიშვნელობით არ გამოიყენება. ბერძნულად „სუდარიონი" ნიშნავს თავსახვევს, რომელსაც ებრაელი სამღვდელოება მარცხენა მხარეს ატარებდა. იგივე სიტყვა ლათინურად ოფლისა და ცხვირიდან გამონადენი სისველის მოსაწმენდი ნაჭრის აღსანიშნავად იხმარებოდა. ჩვენთვის უცნობია, პავლე ალეპოელი რას გულისხმობდა სიტყვა „Сударь"-ში, თავსახვევს თუ ოფლისა და ცხვირიდან გამონადენი სისველის მოსაწმენდ ნაჭერს. ამისდამიუხედავად, ცხადია, რომ იგი წარმოადგენდა იესო ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეს, რომელიც შაჰ-აბას პირველს საქართველოდან წაუღია და ჩვენი აზრით, სწორედ ეს სიწმინდე უნდა გაეგზავნა ირანის მბრძანებელს რუსეთის მეფისათვის.

პავლე ალეპოელისაგან განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის მამამისი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი, რომელიც თავის შვილთან ერთად XVII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა, იგი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მწყემსმთავრის ტახტი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარშია, „სადაც უწინ უფალი მესიის კვართი ინახებოდაო". ანდა „დღემდე სახელგანთქმულია ის ადგილი, სადაც ეს კვართი ინახებოდაო".[179] როგორც მაკარ ანტიოქელის ცნობებიდან ჩანს, ქრისტეს კვართი ერთ დროს სვეტიცხოვლის ტაძარში ყოფილა, მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, შემდეგ რა ბედი ეწია მას. ჩვენ საშუალება არა გვაქვს, მაკარიოსის აღნიშნული ცნობის სისწორე დედანში შევამოწმოთ, რომელიც ავტორს არაბულ ენაზე შეუდგენია. მისი ფრანგული და რუსული თარგმანი 1905 წელს გამოიცა. რომში გამოქვეყნებული ფრანგული თარგმანი განახორციელა ო. ლებედევმა, ხოლო ყაზანში მისი რუსული თარგმანი გამოსცა პ. ჟუზემ. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, აღნიშნული თარგმანები მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება.[180]

მეტად საინტერესოა XVII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მყოფი ცნობილი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობები, რომელსაც, მართალია, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი არ უნახავს, მაგრამ იმ დროს საქართველოში მოღვაწე კაპუცინელი კათოლიკე ბერების გადმოცემაზე დაყრდნობით, იგი დაბეჯითებით ამბობს, რომ ქრისტეს წმინდა კვართი მცხეთაშია.[181]

ზემოგანხილული დოკუმენტური მასალების მიუხედავად, XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული რუსული ისტორიოგრაფია უტყუარად მიიჩნევს, რომ საქართველოდან უფლის კვართის რუსეთში გატანა შაჰის შემწეობით განხორციელდა. უკანასკნელ პერიოდში, ამ მხრივ, განსაკუთრებით გააქტიურდნენ რუსული საინფორმაციო საშუალებები. ინტერნეტით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვრცელდება უამრავი მასალა, რომლითაც ისინი მსოფლიოს აცნობენ, რომ ამჟამად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ფლობს უფლის კვართს, რომელიც ერთ დროს საქართველოს კუთვნილება იყო. ბუნებრივია, რომ ასეთი წერილებისა თუ სტატიების ავტორები ანგარიშს არ უწევენ ჩვენ მიერ ზემოგანხილულ წერილობით წყაროებს.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაფლული ქრისტეს კვართის საფლა-

ვიდან ამოღება მხოლოდ ცხოველმყოფელი სვეტის დანგრევის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ქართული წყაროებით ასეთი ფაქტი დაფიქსირებული არ არის. უფრო მეტიც, ერთ-ერთი ქართული დოკუმენტური მასალა უარყოფს შაჰ-აბას I-ის მიერ სვეტიცხოვლის ტაძრის აოხრებას და იქიდან უფლის კვართის წაღებას. ქართული წერილობითი წყაროს „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით შაჰ-აბასი I „...მცხეთას წამოვიდა და დაქცევა მოინდომა მცხეთისა, მაგრამ მერჯულეთ დაუშალეს და ასრე მოახსენეს: „სალოცავად ღვთის სახლად აუგიაო, არას კაცისაგან არ დაიქცევაო“. და მცხეთის ხიდზე რომ მივიდა, ხმალი შემოიხსნა და ფეხთ გაიხადა და ხიდითგან სვეტი ცხოვლამდი ქვეითი მოვიდა და საყდარს გარსშემოუარა და შევიდა: და თავისი სალოცავი პატრიარქის ტახტის წინ გააშლევინა და ილოცა“. იქვე მყოფ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ქართლისა და კახეთის მიწის მფლობელობის სიგელიც კი უბოძა.[182] მაჰმადიანი შაჰისაგან ასეთი საქციელი იმდენად მოულოდნელი და გასაოცარი იყო, რომ იგი უფლის კვართის კიდევ ერთ საოცრებად მიიჩნიეს. დასახელებული ქრონიკის მიხედვით, შაჰ-აბასი მცხეთაში სამ დღეს დარჩენილა, დაუთვალიერებია სვეტიცხოვლის ტაძართან ახლოს მდებარე სამთავროს, შიო მღვიმის და ჯვრის მონასტრები. ბოლოს კი თბილისში დაბრუნებულა.[183]

ქართული წერილობითი წყაროებისგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს პ. იოსელიანი 1848 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში. ამ ვერსიის მიხედვით ქართლიდან თბილისისაკენ მიმავალი შაჰ-აბასი მცხეთასთან შეჩერებულა, ქალაქში შესასვლელ ხიდთან ცხენიდან ჩამოსულა, ხმალი ქარქაშში ჩაუგია და ბრძანება გაუცია, რომ „ქართველთა პირველ სატახტო ქალაქ მცხეთაში მისი ძლევამოსილი ლაშქრობა ამ ქალაქის სახლებისა და ეკლესიების დანგრევით აღნიშნულიყო“. მისი განკარგულებით, მცირე დროის მანძილზე ხიდიდან მდინარე მტკვრის სანაპირომდე 70 სახლის გადაწვა და მაღალ ბორცვზე მდგარი გეთსიმანიის ეკლესიის კამარის დანგრევა მოასწრეს. ირანის მბრძანებლის ქმედებით შეძრწუნებულ პატრიარქის ამალის ხუცესს პართენს, რომელიც დარაჯობდა ტაძრის ქვეშ, ქვაბულში საიდუმლოდ გადამალულ ძვირფასეულობას, შაჰისთვის უთხოვია, ხელი აეღო სვეტიცხოვლის ტაძრის დანგრევაზე. შაჰს შეუწყნარებია ბერის თხოვნა და შეუჩერებია ნგრევა. იგი შევიდა ტაძარში დასათვალიერებლად, „წინ ხალიჩა დააგებინა, შეასრულა ლოცვა და აქვე ბრძანა, დაეწერათ მტკიცების სიგელი მთელ ქონებაზე, რაც კი ძველი დროიდან ტაძრისთვის ქართლისა და კახეთის მეფეებს შეეწირათ.“[184] როგორც ვხედავთ, პ. იოსელიანის აღნიშნული ნააბობი ბევრ რამეში „პარიზის ქრონიკის“ ცნობებთან თანხვედრას ავლენს, მაგრამ მისგან მაინც საგრძნობლად განსხვავდება. შაჰის შეკითხვისთვის თუ რატომ არ იყო ტაძარში ძვირფასეულობა, ქართველ ბერს უპასუხებია, რომ მის მისვლამდე იგი მთებში გადამალეს. პ. იოსელიანის გადმოცემით, „იმის შიშით, გადამალული სამკაულები ხელახლა არ მოძებნოსო“, ბერმა პართენმა თითქოს შაჰს უსახსოვრა ოქროს პატარა კიდობანში მოთავსებული „ალისფერი ანაფორის პატარა ნაჭერი“, რომელიც, ქართველი ბერის განმარტებით, „ყველაზე ძვირფასი, მაცხოვრის კვართის

ნაწილი ყოფილა, სიჩქარისაგან რომ დაავიწყდათ წაღება მეფის მსახურთ.“ შაჰმა პართენ ბერისაგან მიღებული საჩუქარი იქვე მდგომ „გიორგი სააკაძეს გადასცა, სპარსეთში დაბრუნებამდე შეინახეო“. პ. იოსელიანის აზრით, „მაცხოვრის ანაფორის ეს ნაწილი“ შაჰ-აბასმა საჩუქრად მიართვა რუსეთის მეფესა და პატრიარქს.[185] ჩვენ არ ვიცით, თუ რა წყაროებს ეყრდნობა პ. იოსელიანი აღნიშნული ფაქტების თხრობისას, მაგრამ აშკარაა, რომ იგი უკვე ამ დროს (XIX ს. 40-იან წლებში) რუსეთში უფლის კვართის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომებში გატარებული შეხედულებების ზეგავლენას განიცდის. როგორც ჩანს, პ. იოსელიანი გვთავაზობს შაჰის მიერ მცხეთაში უფლის კვართის მოპოვების ახალ, საკუთარ ვერსიას, რომელიც არც ქართული და არც ეკლესიური ტრადიციით არ დასტურდება.

ცნობილი ფაქტია, რომ შაჰ-აბასი ძალზე დაუნდობელი იყო საქართველოს ეკლესიის სიწმინდეების მიმართ, თუმცა, ზოგიერთი ქართული წერილობითი წყაროსა და საეკლესიო გადმოცემით, იგი ზოგჯერ თავს იკავებდა, სისასტიკე გამოეჩინა ქართული ქრისტიანული სალოცავების მიმართ. არის შემთხვევები, როცა შაჰ-აბას I-ს გარკვეული შესაწირავი გაუღია ქართული ქრისტიანული ტაძრისათვის. XVIII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ რაჭის მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიას „...შესწირა შაჰ-აბაზმა ხმალი ოქროთი მოოჭვილი, აწცა ძევს მუნ, არათუ სარწმუნოებით, არამედ სცნან“.[186] ისტორიკოსი პ. იოსელიანი შაჰის მიერ მრავალძალის ტაძრისადმი შეწირული ხმლის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „შაჰ-აბასმა შენიშნა, რომ იმერეთის ელჩები, რომელთაც თათბირი ჰქონდათ გიორგი სააკაძესთან, მეფე ლუარსაბის ბედის თაობაზე, აფიცებდნენ მას წმ. გიორგის სახელით და მისი დიდებული სასწაულმოქმედი ხატით მრავალძალში, სადაც იყო ხატი წმინდა გიორგისა და ოქროს ჯვარი... შეიტყო რა ეს, შაჰმა გადასცა იმერეთის დიდებულებს მდიდრულად შემკული თავისი ხმალი მათი პატივსაცემი წმ. გიორგის ტაძრისათვის შესაწირავად და სთხოვა მათ, „მისი საჩუქარი ჩამოეკიდათ ტაძრის კედელზე.“[187] შაჰის შეწირული ხმალი კარგა ხნის მანძილზე მრავალძალის წმ. გიორგის ხატის ახლოს იყო დაკიდებული, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იგი ჩამოიტანეს თბილისში და ამჟამად ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. შაჰ-აბასის ხმლის ტარი შეჭედილი იყო ბაჯაღლო ოქროთი და შემკული იყო 46 დიდი და პატარა ძვირფასი თვლით, მაგრამ 1934 წლის გაზაფხულზე გაიძარცვა.[188] შაჰ-აბას I-ს მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის მსგავსად ხმლის ნაწილები – ტარ-ბუნი შეუწირავს დღევანდელ კასპის რაიონში მდებარე ერთაწმინდის ტაძრისათვის. ლეგენდის მიხედვით, რომელსაც იგივე პ. იოსელიანი გადმოგვცემს, როდესაც შაჰს ერთაწმინდის დანგრევა უბრძანებია და მისი სურვილის სისრულეში მოყვანას შესდგომიან, მოულოდნელად იგი დაბრმავებულა, „ჩასძინებია და სიზმარში გოლიათი უნახავს, რომელიც მას გულს უგმირავდა“. გამოფხიზლებული შაჰისათვის გიორგი სააკაძის მხლებელს, ერთ ქართველ მოხუცს შემდეგნაირად აუხსნია მისთვის მხედველობის დაკარგვა და სიზმარი: შაჰს თვალთა სინათლე დაუბრუნდებოდა, თუ ერთაწმინდას აღარ დაანგრევდა, რაც

ირანის მბრძანებელს მაშინვე შეუსრულებია. ერთაწმინდის ტაძარში შესულ შაჰ-აბასს უნახავს წმ. ესტატეს ფრესკა, რომელიც სიზმარში ნანახ გოლიათს ჰგავდა. ამ ამბით გაოცებულ შაჰს თავისი ხმალი გადაუცია დიდებულთათვის და უბრძანებია, რომ მოეხსნათ აღმოსავლური, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ხმლის ტარი და ბუნი, რომელიც მას ერთაწმინდის ეკლესიისათვის შეუწირავს. შაჰის შეწირულობანი, როგორც განმკურნებელი ძალის მქონე, 1794 წელს მეფე ერეკლე II-ის ბრძანებით თბილისში გადაუტანიათ და მეფის სასახლეში შეუნახავთ. მაგრამ აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევის დროს ისინი სხვა ნივთებთან ერთად დაკარგულა".[189]

ერთ-ერთი საეკლესიო გადმოცემით, ერთაწმინდის მსგავსი ამბავი შაჰ-აბასს გადახდენია მცხეთაში. ამ გადმოცემის მიხედვით შაჰს სვეტიცხოვლის ტაძრიდან წაუღია გარდამოხსნა, რომელიც „თავის ცხენზედ თოქალთოდ გადაჰფინაო, მაგრამ სიწმინდის ძალამ იჩინა თავი და ცხენზედ მჯდომარე შაჰ-აბასს თვალთ დაუბნელდა და მეტი ღონე აღარ ჰქონდა, რომ დიდის მოწიწებით არ მოესვენებინა მოტაცებული გარდამოხსნა თავისს ადგილსავე სვეტიცხოველში."[190]

ჩვენ მიერ მოტანილმა მასალამ ის აზრი არ უნდა შეგვიქმნას, რომ შაჰ-აბას I ყოველთვის ასეთი გულმოწყალე იყო ქართული ეკლესია-მონასტრების მიმართ. 1614-1617 წლებში, ოთხგზის ლაშქრობის დროს, მან მიწასთან გაასწორა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, კახეთის ეკლესია-მონასტრები. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს 1618 წელს მეფე თეიმურაზ I-ის ელჩის, იღუმენ ხარიტონის ხელით რუსეთის ხელმწიფისადმი მირთმეულ წერილში აღწერილი კახეთის ეკლესია-მონასტრების აწიოკების გაუგონარი ფაქტები. «Божьим праведным судом и гневом, по нашему греху, над нами учинилось, сонцо в тму превратилос, и луна померкла, день в ночь, а ночь в день превратилось, пришел на нашу землю шах кызылбашской со многою своею несчетною ратью и землю нашу разорил, пречистые образ и иные образы наши православные Хрестьанские веры обругали, Церкви Божии разорили. И монастыри, которые блаженные памяти при Ф. И. сооружено было в нашей Грузинской земле четыре великие монастыри, в кои от него в.г. присланы были восемь иконописцов, кызылбашской разорил, иконы святых пожег и нищих ваших Богомольцов побил. Да и иные многие монастыри разорил, оклады з Божия милосердия злато и серебро обдирали, а святых иконы в огонь клали. В нашей же земле монастырь великого чюдотворца Георгия, а в нем была митрополия и тот монастырь разорен до основания, в Церкви был поставлен шахов шатер, и в том шатре шах сам стоял с месяц и надругаясь нашей истинной православной Христианской вере, блуд всякой творил, чтоб осквернить божию Церковь. И престол Господень, где скровенно бывает тело Господа нашего Иисуса Христа, выкинул ис Церкви вон, и книги Евангелие и иные книги нашие провославные Хрестьианские веры, токмо которые вблизи и из дальных мест привозя, и собрав все вместо множество вкинул в озеро и в тину втоптал».[191]

ჩვენ მიერ მოტანილი ვრცელი ამონაწერი უკვე კარგა ხანია მკვლევართა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ზოგიერთ მკვლევარს წყაროში მოხსენებული სამიტროპოლიტო ტაძარი ზაგემის ეკლესიად მიაჩნდა. უკანასკნელი მონაცემებით, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, აღნიშნულ ტაძრად წმინდა გიორგის სახელობის ალავერდის მონასტერი იგულისხმება, რომელშიც მრავალი სიწმინდე ინახებოდა.[192]

შაჰის მიერ ქართული სიწმინდეების წაბილწვის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელა დავრიჟეცი. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შაჰ-აბასმა მხოლოდ „ხალხმრავალი კახეთისა და გრემის ქვეყანა" მოაოხრა, სადაც მან 50 დღე დაჰყო. „იქ ყოფნის დღეებში სპარსელთა ნამოქმედარს ვერც პირი იტყვის და ვერც ენა აღწერს. გონებით მოიაზრე და გაიგებ, თუ რამდენი უტეხი ქრისტიანი მახვილით დააშავეს, დაჭრეს ან დახოცეს, უდანაშაულონი ტყვედ წაასხეს და შეურაცხჰყვეს, ქონება და სიმდიდრე მოიტაცეს, ნაგებობა ცეცხლს მისცეს და დაანგრიეს, ეკლესიები დააქციეს, საკურთხevლები და წმინდა ჯვრის გამოსახულებანი დაამხეს". არაქელა დავრიჟეცის გადმოცემით, კახეთისა და გრემის ეკლესიებიდან დამპყრობლებს ძვირფასი პატიოსანი ქვებითა და თვალმარგალიტით შემკული საეკლესიო სიწმინდეები წაუღიათ. ამ საგანძურთან ერთად, არაქელა დავრიჟეცის მიხედვით, შაჰს კახეთიდან გაუტანია ქრისტეს უკეთესი კვართი. 1645 წელს არაქელა დავრიჟეცს ირანის დედაქალაქი მოუნახულებია და იქაური „სარწმუნო კაცებისაგან" შეუტყვია, რომ უფლის კვართი იმ დროისათვის ისპაჰანში, სახელმწიფო ხაზინაში საგანგებოდ ინახებოდა, „რომლის წინაშე – მისი გადმოცემით – ახლაც სანთელს ანთებენ."[193] როგორც ვხედავთ, არაქელა დავრიჟეცი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ საქართველოდან წაღებული სიწმინდე შაჰმა რუსეთის მეფეს გაუგზავნა. მის ცნობებში უზუსტობებიც შეინიშნება, იგი, როგორც დავინახეთ, აღწერს შაჰის მიერ მხოლოდ კახეთის ეკლესია-მონასტრების აოხრებას და იქიდან საეკლესიო სიწმინდეების გატანას. მან არ იცის, რომ უფლის კვართი კახეთის სამეფოში კი არა, ქართლშია დაფლული. ამ მიზეზის გამო, არაქელა დავრიჟეცის ცნობას უფლის კვართის შესახებ, არავითარი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ კახეთის ეკლესია-მონასტრების აოხრების შემდეგ შაჰს იქიდან დიდძალი საეკლესიო სიწმინდეები მართლაც გაუტანია, რომელთა გარკვეული ნაწილი მოხვედრილა რუსეთში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ისტორია, რომელც შაჰ-აბას I-ს ერთ-ერთი ლაშქრობის დროს გაუტანია ჩვენთვის უცნობი ტაძრიდან. იმ დროს იაროსლაველი ვაჭრის იგორ ლიტკინის წარმომადგენელს სტეფანე ლაზარევს აღნიშნული ღვთისმშობლის ხატი შეუსყიდია. რუსეთში მყოფ იგორ ლიტკინს ხილვა ჰქონია თავისი წარმომადგენლის ძვირფასი შენაძენის შესახებ. რუსეთში ხატის ჩაბრძანების შემდეგ ახალმა პატრონმა იგორ ლიტკინმა 1629 წელს იგი საჩუქრად გადასცა არხანგელსკის ეპარქიაში ახლადდაარსებულ ჩერნიგოვის მონასტერს. რუსეთში მისვენებულმა ქართულმა ხატმა მრავალი სასწაული მოახდინა. ყოველწლიურად მას ტაძრიდან გამოასვენებდნენ ხოლმე და მთელ ეპარქიას მოატარებდნენ. 1654 წელს რესტავრაციის მიზნით იგი მოსკოვში გადაასვენეს, სადაც ამ დროს შავი ჭირი მძვინვარებდა, ხატის სასწაულმოქმედებით დედაქალაქის მცხოვრებნი ეპიდემიას გადაურჩნენ. ამავე პერიოდში ხატის

რამდენიმე ასლი გადაიღეს, რომელიც მოსკოვის წმინდა სამების ეკლესიის გარდა დაასვენეს ტულის, ყაზანის და ტვერის ეპარქიებში. პატრიარქმა ნიკონმა დაადგინა ქართული ხატის საეკლესიო დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ახალი სტილით 4 სექტემბერს. 1698 წლის სიგელში აღნიშნული ხატის შესახებ ნათქვამია: „ქართული ხატის შემწეობით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უწინ და დღესაც მრავალ სასწაულსა და კურნებას აღასრულებს ყველას მიმართ, ვინც მას რწმენით მიმართავს.“[194]

ჩვენ მიერ ზემოგანხილული დოკუმენტური მასალები იმის უტყუარი დასტურია, რომ შაჰის მიერ რუსეთის მეფისადმი გაგზავნილი სიწმინდე მაცხოვრის კვართად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. თუ რა სიწმიდეს წარმოადგენს რუსეთში დაცული ირანის შაჰის საჩუქარი, ამის დადგენის მიზნით აუცილებელია, სხვადასხვა დარგის საერთაშორისო დონის კვალიფიციურმა და ობიექტურმა სპეციალისტებმა სათანადო კვლევა-ძიება ჩაატარონ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე აღნიშნულ სიწმინდესთან დაკავშირებით რუსეთში არათუ სპეციალური კვლევა, არამედ ჩვენ მიერ ზემოგანხილული რუსული წერილობითი წაროებიც სათანადოდ არავის შეუსწავლია. ასეთი ვითარების მიუხედავად, არა მარტო რუსი სასულიერო პირები, არამედ სამეცნიერო წრის წარმომადგენლებიც კი უტყუარად ამტკიცებენ, თითქოსდა საქართველოდან გატანილი უფლის კვართი, ამჟამად რუსეთის ეკლესიის საკუთრებაა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობენ რუსეთის სხვადასხვა გამომცემლობები, რომლებიც მიხეილ საბინინისეულ ცნობილ ხატს „საქართველოს ეკლესიის დიდებას“ ხშირად სიდონიასა და უფლის კვართის გარეშე ბეჭდავენ. ჯერ კიდევ 1994 წელს მოსკოვში გამომცემლობა „Русский хронограф“-მა რუსულ ენაზე გამოსცა საქართველოს ეკლესიის მოჭირნახულის მ. საბინინის, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოცემული ნაშრომის „Полное жизнописание святых Грузинской церкви“-ის ახალი, მეორე გამოცემა, რასაც ქართველი მორწმუნე საზოგადოება მიესალმება, მით უმეტეს, რომ აღნიშნული გამოცემა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების ახალმოწამეებს ეძღვნება. მაგრამ იგივე საზოგადოება გულისწყრომას გამოხატავს იმის გამო, რომ მ. საბინინის ნაშრომის I ნაწილის გარეკანს „ამშვენებს“ მხატვარ ირინა ბელოვას შესრულებული „საქართველოს ეკლესიის დიდების“ თავისებური ინტერპრეტაცია, სურათზე სიდონია კვართთან ერთად წარმოდგენილი არ არის. აღნიშნული გაუგებრობა ჩვენ დღემდე საერო მხატვრის მიერ დაშვებულ „უნებლიე შეცდომად“ მიგვაჩნდა და მასზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია, მაგრამ ასეთი „შეცდომა“ კვლავ განმეორდა, უკვე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური წრეებისაგან, რაზეც დუმილი უკვე დანაშაულია. 2004 წელს რუსეთის სოფრონის მონასტრის გამომცემლობამ დაბეჭდა მ. საბინინისეული ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“, სადაც მრავალ სხვა „პოლიგრაფიულ უზუსტობებთან“ ერთად ის ნაწილი, „სადაც გამოსახულია ცხოველმყოფელი სვეტის ძირში მოთავსებული წმინდა სიდონიას საფლავი, ანუ გულში ჩაკრული უფლის კვართითურთ განსვენებული წმინდანი, სოფრონის ხატში ამოჭრილია (ეს რომ შემთხვევითობა არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ გამოსახულება ოთხივე მხრიდან არის მოჩარჩოებული), ამის

გამო, ქვედა ფიგურები წელზევით გამოისახება და კომპოზიცია კარგავს მართლმადიდებლური ხატწერისათვის ჩვეულ სისრულეს და კათოლიკური რელიგიური ფერწერისათვის დამახასიათებელ ფრაგმენტულობასაც იძენს (გადაჭრილი ფიგურების შედეგად გამოსახულება თითქოს უფლის ამაღლების კათოლიკურ სცენას გვაგონებს).“[195]

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთის საერო და სასულიერო წრეების ცალკეული წარმომადგენლები ზემოაღნიშნული ფაქტების დაფიქსირებით მიანიშნებენ, რომ დღეს უფლის კვართი რუსეთის ეკლესიის კუთვნილებაა და იგი XVII საუკუნიდან საქართველოში აღარ იმყოფება. ბუნებრივია, რომ ისინი ანგარიშს არ უწევენ რუსულ წყაროებში დაფიქსირებულ უტყუარ ცნობებს, რომლიდანაც აშკარად ჩანს, რომ უფლის კვართი საქართველოდან არავის გაუტანია და იგი მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარშია დაფლული.

უფლის კვართმა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი ეროვნულ სიწმინდედ აქცია, სადაც უძველესი დროიდან ხდება ეპისკოპოსთა და საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავართა კურთხევა. სვეტიცხოვლის ტაძარში, „ცხოველმყოფელი სვეტის წინ ეპისკოპოსმა უნდა დადოს აღთქმა, რომ ის ერთგული იქნება კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიისა, საღმრთო წესისა და სარწმუნოებისა“.[196] დღემდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ წესს ზედმიწევნით იცავს. სვეტიცხოვლის ტაძარში ოდითგანვე იხარშებოდა მირონი, ხდებოდა მეფეთა კურთხევა, აქვე ქვეყნის გულშემატკივარი საერო და სასულიერო პირები მწუხარებისა თუ სიხარულის ჟამს იკრიბებოდნენ და ფიცს სდებდნენ უფლისა და ერის წინაშე. გარდა ამისა, უფლის მადლის ღვთაებრივი გამოხატულება ცხოველმყოფელი სვეტიდან მომდინარე მირონი იყო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში კურნავდა სნეულებს და აოცებდა გარშემომყოფთ, სწორედ ამიტომ, შიშისა და კრძალვის გამო წმინდა ადგილის ხელყოფას ვერავინ გაბედავდა, აღნიშნული მიზეზების გამო, სამარხი არავის გაუხსნია და უფლის კვართიც მისი დაფლვის შემდეგ არავის უნახავს, მაგრამ სასწაულები, რომელიც აქ საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, ადასტურებს იმას, რომ ისინი მაცხოვრის კვართიდან მომდინარეობდა. უფრო მეტიც, „კვართი თავად უხილავი, ხილული სასწაულებით აბრწყინებდა საქართველოს და განამტკიცებდა რწმენასა და სასოებას ქრისტიანთა შორის“.[197]

მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უფლის კვართის არსებობა ქართველ ხალხს და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული მადლით მოსავს. გარდა იმისა, რომ „ქრისტეს კვართის მცხეთაში დაფლულობა საფუძველია ისტორიულად ეკლესიის დაარსებისა... კვართის ფლობის სულიერი შინაარსი ისტორიულად ვლინდება ეკლესიურ ერთიანობაში. ისევე როგორც დაურღვეველი და დაუნაწევრებელია ქრისტეს კვართი, ასევე დაუნაწევრებელია ჭეშმარიტი ეკლესია; ხოლო კვართის მფლობელი არის მტვირთველი იმ მისიისა, რასაც ჭეშმარიტი ეკლესიური ერთიანობისათვის ბრძოლას გულისხმობს“.[198] ქართველი ხალხი უძველესი დროიდან კარგად აცნობიერებდა უკერველი, უფლის კვართის ქრისტოლოგიურ

გაგებას მისი დაუნაწევრებლობის შესახებ, რომელიც ეკლესიური ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოდ მოიაზრება.

მცხეთა ყოველთვის აღიქმებოდა მეორე იერუსალიმად. ამის მიზეზი იყო უფლის კვართზე, როგორც უფლის საფლავზე აღმართული სვეტიცხოვლის ტაძარი. სწორედ ეს განსაზღვრავდა და განსაზღვრავს დღესაც საქართველოს ამ უმთავრესი ტაძრის სიწმინდეს და სიდიადეს. თორმეტი მოციქულის სახელზე აგებული სვეტიცხოველი იერუსალიმის სიონის, აგრეთვე თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძრის სიმბოლურ გააზრებას წარმოადგენს. გარდა ამისა, მცხეთის მიდამოების ტოპონიმიკაში კარგად აისახა იერუსალიმის წმინდა ადგილთა სახელწოდებები, რომელიც ქრისტეს სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამის შესახებ ჯერ კიდევ კორნელი კეკელიძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „древнегрузинская Церковь, ведущая начало свое из св. Земли, скопировала даже в топографическом отношении мать свою Церков в Иерусалимскую, создав у себя в Мцхете и около нею все главнейшие пункты, к которым приурочены важнейшие события из земнои жизни Христа. Мцхета, Грузинский Иерусалим“.[199]

მცხეთაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ იერუსალიმური სახელწოდებები: მცხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ბეთანია. მტკვრის მარჯვენა მხარეს აღმართულ მთას თაბორი ჰქვია; აქვე, გამოქვაბულში არის ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც ბეთლემს უწოდებენ; მცხეთის ჩრდილოეთით აღმართულ მთას ამაღლების ანუ ელეონის, იგივე ზეთისხილის მთის სახელითაა ცნობილი. მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე მთაა, რომლის ერთ ფერდობს გეთსამანია ეწოდება, ხოლო „მცხეთის გოლგოთის მთაზე აღმართული ჯვარი ერთარსია იერუსალიმის გოლგოთაზე აღმართული საუფლო ჯვრისა“.[200]

მოტანილი ტოპონიმიკური მასალა იმაზე მეტყველებს, რომ უფლის კვართის მცხეთაში დაფლვის გამო იგი მეორე იერუსალიმად იქცა, ხოლო კვართის სამარხი და მისი მიდამოები უძველესი დროიდან მაცხოვრის საფლავად მოიაზრებოდა.[201] უფრო მეტიც, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის შიგნით, ცხოველმყოფელი სვეტის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს XI საუკუნეში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იოანე ოქროპირის (1033-1049) მიერ აგებული,[202] „ქრისტეს საფლავად“ წოდებული სამლოცველო, თავისი ფორმით ძალიან წააგავს იმ სამლოცველოს, რომელიც IV საუკუნეში კონსტანტინე იმპერატორმა ააგო იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავის ადგილზე. ამდენად, არა მარტო სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, არამედ მის შიგნით მოთავსებული პატარა სამლოცველო არის იერუსალიმის სიონის ხატი და ამავე დროს უფლის საფლავის სიმბოლოს გადმოტანა სვეტიცხოვლის ტაძარში.

გარდა ამისა, „კვართი, როგორც უწმინდესი რელიქვია, ამთლიანებს ყველა იმ ქრისტიანულ სიწმინდეს, რასაც საქართველოს ეკლესია ფლობდა და ფლობს“.[203] მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები. ამის შესახებ, ჯერ კიდევ IX-X საუკუნის უცნობი ავტორი წმ. ნინოსადმი მიძღვნილ საგალობელში აღნიშნავდა: „ადიდე

შენ, ქრისტე, ქართლი სამითა დიდებითა: კვართითა მით შენითა, ხელთა შენთა სამსჭვალთა, ფეხთა შენთა ფიცარითა“.[204]

უფლის კვართმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ძველ ქართულ მწერლობაში. X საუკუნის ცნობილი ქართველი ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ მოკლედ და ლაკონურად აღნიშნავს, რომ ქართლის კათოლიკოსის ადგილსამყოფელი არის „ქრისტე ს კვართისა სამკვიდრებელსა მცხეთას“.[205] აგრეთვე საყურადღებოა XIII საუკუნეში და შემდგომ პერიოდში შექმნილი უფლის კვართისადმი მიძღვნილი საგალობლები. XVIII საუკუნეში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა (1745-1788) თავის ცნობილ ნაშრომში „წყობილსიტყვაობა“ სახოტბო სტრიქონები მიუძღვნა უფლის კვართს.

უფლის კვართისადმი მიძღვნილი სახოტბო ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის, ნიკოლოზ გულაბერიძის (1150-1177) შრომა „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა და კათოლიკეთა ეკლესიათა“, რომელსაც გარკვეული ლიტურგიკული დატვირთვაც ჰქონდა. აღნიშნულ შრომაში ნიკოლოზ გულაბერიძე ხოტბას ასხამს უფლის კვართს: „კუართი ბრწყინავს, სუეტი ნათობს, ჯუარი ჰკრთების და სხივთა ელვებრ განუტეობს, ხოლო ეკლესია ღაღადებს: მეფენო და ერნო, იხარებდეთ დღეს“.[206] მან შესანიშნავი საგალობლები უძღვნა კვართსა და ცხოველმყოფელ სვეტს. იგი, როგორც ერთგან მივუთითეთ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცხოველმყოფელი სვეტი ერთნათლად შეერთებული სამების წმინდა სახის გამომხატველია.[207] ნიკოლოზ გულაბერიძე დაწვრილებით აღწერს უძველესი დროიდან უფლის კვართთან და ცხოველმყოფელ სვეტთან დაკავშირებულ სასწაულებს, რომელთა შესახებ იგი შენიშნავს, რომ „მრავალი ურწმუნო შეიძლება დაეჭვდეს საუფლო კვართისა და ცხოველი სვეტის სასწაულების ჭეშმარიტებაში. მათთვის ვიტყვი, რომ გონიერად ისმინონ და გულისხმა-ყონ, რადგან სასწაულები განკუთვნილია არა მორწმუნეთათვის, არამედ ურწმუნოთათვის“.[208] წარმოდგენილი სასწაულების აღწერით ნიკოლოზ გულაბერიძე მორწმუნეთა შორის განამტკიცებს ღვთის მოშიშებას, ხოლო ურწმუნოთ განაწყობს რწმენისაკენ.

ქართულმა საეკლესიო ტრადიციამ, უფლის კვართის საქართველოში, კერძოდ კი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაფლულობამ თავისებური ასახვა ჰპოვა აგრეთვე ქრისტიანულ ხელოვნებაში, სადაც უფლის კვართის განსასვენებელი სიდონიას საფლავთან ერთადაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ გვიანი ხანის XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღებულმა ხელოვნების ასეთმა ნიმუშებმა მოაღწია. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ცხოველმყოფელი სვეტის მხატვრობა, შესრულებული XVII საუკუნის მეორე ნახევარში მხატვარ გრიგოლ გულჯავარაშვილის მიერ, სადაც ქრისტეს ჯვარცმა კვართითაა გამოსახული. ასევე გვიანი ხანით თარიღდება სვეტიცხოვლის „საქადაგე ხატი“ და „ცხოველი სვეტის“ ჩრდილოეთი კარის მოჭედილობა, სადაც სვეტის ქვეშ გამოსახულია სიდონია კვართთან ერთად. ასეთივე სცენებია წარმოდგენილი თბილისის სიონის ტაძარში დაცულ წმ. ნინოს ვაზის ჯვრის მოჭედილობაზე. სვეტის აღმართვა და სიდონია კვართთან

ერთად, აგრეთვე გამოსახულია XVII – XVIII საუკუნის საბეჭდავებზე. განსაკუთრებით საინტერესოა კათოლიკოს დომენტი III-ის (1705 – 1739) საბეჭდავებზე გამოსახული ზემოთ აღწერილი სიუჟეტები. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს სიუჟეტი საკათალიკოსო საბეჭდავებზე, შესაძლებელია, უფრო ადრეც იყო გამოსახული, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია.[209] უფლის კვართმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ხატწერაში. აღსანიშნავია მიხეილ საბინინის მიერ დაწერილი ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“, რომელიც თავისი სულიერი დატვირთვით საქართველოს ეკლესიის წარსულს გადმოგვცემს.

უფლის კვართმა გარკვეული ასახვა ჰპოვა ქართულ ჰერალდიკაშიც.[210] იგი გვხვდება XVIII საუკუნის სამეფო რეგალიებზე – ბაგრატიონთა დროშაზე, სამეფო გერბებზე, მეფეთა ბეჭდებზე. მეფე ერეკლე II-ის სამეფო ბეჭედში კვართი იყო ამოტვიფრული, ხოლო 1709 წელს მეფე ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში დაბეჭდილ „სამოციქულოს“ კვართიანი გერბის პირველი გრაფიკული გამოსახულება ამშვენებდა. საქართველოს სამეფოს გერბის ცენტრალურ ნაწილში კვართი იყო მოთავსებული. ამის გარდა, თითქმის ყველა სიგელ-გუჯარი მას შესავალშივე იხსენიებდა. ბაგრატიონთა სამეფო კარი ხშირად წყაროებში თავიანთ წარმომავლობას „კვართიან დავითიანად“ მიიჩნევდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით მართებულად გვეჩვენება დასკვნა, რომ „ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ქრისტეს კვართის გაჩენა და XVIII საუკუნეში დაბეჭდილი ქართული წიგნების სატიტულოზე მისი გამოსახვა XVII საუკუნეში საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ნაყოფი უნდა იყოს. თითქოს ქართველებს ამით სურდათ დაერწმუნებინათ რუსეთის ხელისუფლება კვართის მუდმივად საქართველოში არსებობაში“.[211] აღნიშნული ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული ამ პერიოდისათვის უფლის კვართის პოპულარობა და ამ თემაზე ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში შექმნილი ნიმუშების სიუხვე. XVIII საუკუნის ხატწერაში საკმაოდ ხშირად ფიგურირებს სვეტის ქვეშ დაკრძალული ქალი, გულში მაგრად ჩაკრული კვართით.

უცხოელ მკვლევართა აზრით, საქართველოში უფლის კვართმა ცხოველმყოფელ სვეტთან ერთად ასახვა ჰპოვა ლიტურგიკულ მწერლობაში.[212] უძველესი დროიდან მაცხოვრის კვართისა და სასწაულმოქმედი, მირონმდინარე ცხოველმყოფელი სვეტის ხსენების უკვდავსაყოფად საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დააწესა საგანგებო „დღესასწაული კუართისა საუფლოისა და სუეტის ცხოველმყოფელისა“, რომელიც ყოველწლიურად ძველი სტილით 1 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმო წირვით აღინიშნება. როგორც ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროებით დასტურდება, XII საუკუნეში კათოლიკოს ნიკოლოზ გულაბერიძეს შეუქმნია ცხოველი სვეტისა და უფლის კვართის საზეიმო ღვთისმსახურებისადმი მიძღვნილი სპეციალური საკითხავი. უეჭველია, რომ ასეთი საკითხავი მანამდეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია. სამაგიეროდ, ჩვენს ხელთაა ქართულ „სადღესასწაულოში“ შესული კუართისა და ცხოვე-

ლი სვეტისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებშიც კარგად ჩანს ქრისტიანობის ამ უდიდესი სიწმინდის სიდიადე. „სადღესასწაულოში“ შესული ერთ-ერთი საგალობელი შემდეგნაირად განადიდებს უფლის კვართს და მასზე აღმართულ ცხოველმყოფელ სვეტს: „სუეტსა ღმრთივმპყრობელსა და წმინდასა და კუართსა სულიერსა სიმდიდრესა მორწმუნეთასა, მოვედით, ძმანო, უგალობდეთ და ვადიდებდეთ, რომლისაგან აღმოსდის უხილავად მადლითა შარავანდედი, რათა საკვირველებათა მისთა მიერ თანაწარგუახდნეს ღმერთმან სულიერნი ვნებანი და მოსცეს სულთა ჩუენთა დიდი წყალობა“.[213]

უძველეს დროს განეკუთვნება ცხოველმყოფელი სვეტისა და უფლისა კვართისადმი მიძღვნილი საევდრებელი ლოცვები: „სვეტო ღმრთივ აღმართებულო, თაყვანის გცემთ – კვართო საუფლოო და მირონო წმინდაო, ჯუარო ქრისტეს ღმრთისაო, რათა მოსცე ძლევა მეუფესა ჩუენსა, შენ მიერ ცხებით გვირგვინოსანსა“. ან კიდევ: „სვეტო ნათლისაო, მირონმდინარეო და ზეგარდამოქსოვილო კვართო უფლისაო, დაგვიფარე ჩვენ ცოდვილნი“. „სვეტო ნათლისაო, ბრწყინვალედ განათლებულო, განანათლენ გალობით მავედრებელნი შენნი“ და სხვ. [214]

განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ქართულ სადღესასწაულოში კვართისა და ცხოველი სვეტისადმი მიძღვნილ ორ ტროპარს: „კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიისა ღღესასწაული სუეტისა წმიდისა და კუართისა საუფლო სა ნათელი შემოჰკრებს კიდეთა სოფლისათა და უკუდავებად წმინდად მირონსა გვიწყაროებს, რომელნი წმიდასა ღმრთისმშობელსა და მისგან შობილსა ქრისტესა თაყვანის-ვსცემთ, რათა ვპოვოთ ცხოვრება სულთა ჩუენთა“.

მეორე ტროპარი: „რომელი ჩუენთვის ჯვარს-ეცუა და სიშიშვლე ჩუენი კუართისა თვისისა მიმართ ყოვლად წმიდისა დაფარულად წყალობით განგებულ ჰყო, მოვედით ერნო მცნობელნო მხოლოსა მის უვნებელისა და ვნებულისანი ვადიდებდეთ, მრჩობელთა შინა ერთად ქრისტედ მცნობელნი მისნი, და უგალობდეთ: შენ ხარ ღმერთი ჩუენი ყოვლად ძლიერი, კაცთმოყვარე და მაცხოვარი“.[215]

სავსებით სწორადაა მიჩნეული, რომ „კვართის მესიანისტური იდეა ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში სულიერად ასაზრდოებდა“. მართებულად შენიშნავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომ მაცხოვრის კვართი არა მარტო ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოა, არამედ იგი „სიმბოლოა ადამიანის სულიერი განახლებისა“.[216] იგი ოდითგანვე აგრეთვე საქართველოს სულიერი ძლიერების, სიმტკიცისა და ჭეშმარიტი რწმენის სიმბოლოც იყო. ასე განიცდება იგი დღემდე: „სუეტისა ცხოველისა და კუართისა დიდებულებანი და საკვირველებანი განუყოფელ და ერთ არიან“. უფრო მეტიც, გარკვეული სიმბოლური დატვირთვით მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში უფლის კვართთან ერთად დაფლული „სიდონია მცველია იმ კარიბჭისა, რომელიც მხოლოდ ღირსეულთათვის აღებს წმინდა ეკლესიის სივრცეს“.[217]

ქართული საისტორიო ტრადიცია მიიჩნევს, რომ მაცხოვრის კვართი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაფარულია და მისი გამოჩინების ჟამი მეორედ მოსვლის დროს დადგება. ამ მიზეზის გამო იმ ადგილის ხელშეუხებლობა, სადაც ის სიწმინდეა დაცული, ყოველთვის წარმოადგენდა ქრისტიანობისათვის თავდადებული ერის უმთავრეს სულიერ მისიას.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უფლის კვართის დაფლულობამ განაპირობა ისიც, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში და სხვადასხვა სიგელ-გუჯრებში აღნიშნული ტაძარი კათოლიკე ეკლესიის სახელით იწოდება.

როგორც მაცხოვრის კვართი არის სიმბოლო ეკლესიური ერთიანობისა, ასევე მის საფუძველზე აშენებული სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი სიმბოლოა ქართველი ერის ერთიანობისა და ამიტომაც, ვისაც ქვეყნისათვის ზიანის მიყენება სურდა, პირველ რიგში სვეტიცხოველს ანგრევდა და ქართველი კაცის ცნობიერებაში კვართის იდეის გაქრობას ცდილობდა.

2. „სამსჭვალნი ხელთანი“, „ფერხთა ფიცარი“, „ძელი ჭეშმარიტი“ და მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები საქართველოში

უფლის კვართის გარდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უძველესი დროიდან ფლობდა სხვადასხვა დროს შემოსვენებულ მაცხოვრის სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეებს, რომელთა უდიდესმა ნაწილმა ჩვენამდე ჟამთა სიავის გამო ვერ მოაღწია. მათ შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა თუ ევროპელ მოგზაურთა ცნობები. აგრეთვე ფასეულია, ამავე პერიოდში საქართველოში დიპლომატიური მისიით მყოფი რუსი ელჩების და მათ ელჩობაში მყოფი სასულიერო პირთა ჩანაწერები.

თუ როდის და რა ვითარებაში იქნა საქართველოში შემოსვენებული უფლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეების უდიდესი ნაწილი, ჩვენთვის უცნობია, რადგან მათ შესახებ წერილობითი წყაროები არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან. ისინი მხოლოდ აფიქსირებენ მათ საქართველოში არსებობას. მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შესახებ წყაროებში გვაქვს მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობები დაცული, თუ როდის, როგორ და ვის მიერ იქნა შემოსვენებული ისინი ჩვენში. ამ მხრივ, საყურადღებოა ძელი ჭეშმარიტის, ფერხთა ფიცრის და ქრისტეს სამსჭვალის საქართველოში შემოსვენების ისტორია. უფლის სხვა სიწმინდეები, როგორც ქართულ ისე უცხოურ წერილობით წყაროებში, მხოლოდ ჩამონათვლის სახითაა წარმოდგენილი.

წერილობითი წყაროების გადმოცემით, მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული წმინდა ნაწილები საქართველოში IV საუკუნის 20-იანი წლებიდან ჩნდება, რაც მჭიდროდ უკავშირდება ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებას. IV საუკუნის პირველ ნახევარში მოციქულთასწორის, წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა და მირიან მეფის გაქრისტიანება დაემთხვა იერუსალიმში წმინდა კონსტანტინე დიდისა და დედამი-

სის, ელენე დედოფლის მიერ გოლგოთაზე ქრისტეს წამების ადგილის მიკვლევას და იმ ადგილზე მოძიებული ძელი ცხოვრებისა და სხვა წმინდა ნაწილების აღმოჩენას. აღნიშნული აღმოჩენის შესახებ, როგორც ირკვევა, ქართლის სამეფო კარი ინფორმირებული იყო. ამას გვაფიქრებინებს ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი, ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ წმ. ნინოს ქადაგებისა და მის მიერ აღსრულებული სასწაულების შემდეგ ქართლის მეფე მირიანმა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესთან დესპანები მიავლინა და ნათლისღებისათვის სასულიერო პირების გამოგზავნა ითხოვა. ქართლის მეფის მოქცევით გახარებულმა კონსტანტინე იმპერატორმა მცხეთაში „წარმოგზავნა მღვდელი ჭეშმარიტი იოანე“, რომელიც ქართლში მთავარეპისკოპოსად დაადგინეს. მას თან ახლდა „მღუდელნი ორნი და დიაკონნი სამნი“.[1] საბერძნეთიდან ჩამოსულ სასულიერო პირთა მიერ ქართლის მოსახლეობის მოქცევის შემდეგ, როგორც ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „წარავლინა მირიან მეფემ ეპისკოპოსი იოანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კონსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ გამოუჩინა ღმრთისმოყუარესა ელენე დედოფალსა“. ბიზანტიის სამეფო კარზე ასეთი დავალებით მისულ იოანე ეპისკოპოსს იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა „სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელი ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დამსჭვალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ხელთანი“.[2]

ქართლის სამეფო კარის წარგზავნილებს სიწმინდეებთან ერთად კონსტანტინე იმპერატორმა თან გამოაყოლა სასულიერო პირები და კირითხურონი ეკლესიების აშენებისათვის. როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, კონსტანტინე იმპერატორს დიდი გულუხვობა გამოუჩენია და ახლადმოქცეული ქართლის მეფე მირიანისათვის იოანე მთავარეპისკოპოსის ხელით გამოუგზავნია ძელი ცხოვრების ნაწილები, ორი სამსჭვალი, რომლითაც ქრისტეს ხელები დაუჭედეს და ფიცარი, რომელზეც უფლის ფეხები დალურსმეს. ბიზანტიიდან გამომგზავრებისას კონსტანტინე დიდს, ეპისკოპოს იოანესა და მისი თანმხლები პირებისათვის უთხოვია, რომ, როცა ისინი პირველად შეადგამდნენ ფეხს ქართლის საზღვარზე, აეშენებინათ ტაძარი. იოანე ეპისკოპოსმა პირნათლად შეასრულა ბიზანტიის იმპერატორის თხოვნა. როგორც ლეონტი მროველი გადმოგვცემს, ბიზანტიის იმპერატორისაგან წამოსულმა ქართლის სამეფოს წარმოგზავნილებმა „ვითარ მოიწიეს ადგილსა, რომელსაც ჰქ ან ერუშეთი, და დაუტევა ხურონი საქმედ ეკლესიისა“, სადაც მან დაასვენა „სამსჭუალნი უფლისანი და წამოვიდა“. ხოლო მანგლისში მისვლისას მას დაუწყია ეკლესიის შენება, სადაც იოანე ეპისკოპოსმა „დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“.[3] ქართლის სამეფოში მოსვენებული სიწმინდეთა ადგილსამყოფლის შესახებ ლეონტი მროველისეული ვერსიისაგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს „მოქცევა ქართლისა“ და XII საუკუნით დათარიღებული არსენ ბერის „წმინდა ნინოს ცხოვრება“. ამ წყაროთა ცნობით, ერუშეთში იოანე მთავარეპისკოპოსმა დატოვა ფეხთა ფიცარი მაცხოვრისა, ხოლო „სამსჭვალნი ხელთანი“ მანგლისში.[4] ჩვენ უპირატესობას

„მოქცევა ქართლისა სა“ და არსენ ბერის „წმ. ნინოს ცხოვრებას“ ვანიჭებთ, რადგან კონსტანტინე იმპერატორის მიერ გამოგზავნილი ქრისტეს სამსჭვალის ისტორია შემდგომ საუკუნეებში მჭიდროდ უკავშირდება მანგლისის საკათედრო ტაძრის ისტორიას.[5]

მართალია, ქართულ წყაროებში გარკვეული შეუთანხმებლობაა სიწმიდეთა დავანების ადგილთან დაკავშირებით, მაგრამ არსებითი მაინც ისაა, რომ ზემოდასახელებული უფლის სიწმინდეები IV საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილება გამხდარა. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხთან დაავშირებით ქართული წყაროების მცირე უზუსტობანი საქმის არსს ვერ ცვლის. უფრო მეტიც, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ქართულ წყაროებში არსებული სხვაობის მიუხედავად, „სულიერი და მატერიალური განძის გადმოცემის ისტორია და ჩამოტანის გეოგრაფიული თანმიმდევრობაც დაცულია... ბიზანტიიდან წამოსულებს, მართლაც, ჯერ ერუშეთსა და წუნდაზე უნდა გაევლოთ, რომ იქიდან, მანგლისზე გავლით, საქართველოს მაშინდელ დედაქალაქ მცხეთაში ჩასულიყვნენ“.[6]

თავის მხრივ, ახლადმოქცეული მირიან მეფე აღტაცებული იყო იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილი საჩუქრებით, მაგრამ ფრიად შეწუხდა, როცა შეიტყო, რომ ბიზანტიიდან დაბრუნებული მის მიერ გაგზავნილი საერო და სასულიერო პირები მასთან, სატახტო დედაქალაქში არ გამოცხადდნენ და ქართლის მეფის დაუკითხავად, თავიანთი ნებით, ერუშეთში, მანგლისსა და წუნდაში აშენებდნენ ტაძრებს, სადაც ტოვებდნენ ბიზანტიის იმპერატორის მიერ გამოგზავნილ წმინდა ნაწილებს.[7] მეფე მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა აუწყეს, რომ მცხეთაში დაფლული იყო ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდე – უფლის კვართი.

მაცხოვრის „სამსჭვალნი ხელთანი“ საქართველოში ინახებოდა VII საუკუნის 30-იან წლებამდე. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, საქართველოდან მაცხოვრის სიწმინდეები გაუტანია ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლე კეისარს (610-641), რომელმაც VII საუკუნის 10-იან წლებში დაამარცხა სპარსეთი, აიღო ქალაქი ბაღდადი, მოკლა მეფე ხოსრო და წაიღო ძელი ჭეშმარიტი, რომელიც მანამდე სპარსეთის მეფეს 12 წლის განმავლობაში მისაკუთრებული ჰქონდა. აღნიშნული გამარჯვების შემდეგ, 627 – 628 წლებში იგი საქართველოში ლაშქრობს. ისტორიკოსი ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ თბილისის აღების შემდეგ (თბილისი ჰერაკლე კეისარმა აიღო 628 წელს) ჰერაკლე კეისარმა: „...წარიხუანა მანგლისით და ერუშეთით ფეხთა ფიცარნი და სამსჭვალნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი, რომელიც მოცემულ იყვნეს კონსტანტინესაგან მირიანისდა“.[8] ქართლის მაშინდელი ერისთავი ადარნასე დიდად შეაწუხა იმპერატორ ჰერაკლეს საქციელმა. იგი მუხლმოდრეკით ევედრებოდა ბიზანტიის კეისარს, რათა არ წაედო საქართველოდან უფლის წმინდა ნაწილები, მაგრამ, როგორც წყაროები გადმოგვცემენ, „არა ისმინა კეისარმან ვედრება მისი“ და ქრისტეს სიწმინდეები: სამსჭვალი და ფეხთა ფიცარი სასწაულმოქმედ ხატებთან ერთად ბიზანტიაში წაიღო.[9] ამ თავისი მოუფიქრებელი საქციელით, როგორც წმინდა მღვდელმოწამე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917 – 1918) აღნიშნავს,

„ჰერაკლე იმპერატორმა ცუდი სახელი დატოვა საქართველოში და მტრობა ჩამოაგდო ქართველებსა და ბერძნებს შორის“.[10] ალბათ, ამ ფაქტორითაა განპირობებული, რომ, მართალია, ჰერაკლე კეისარი წმინდანადაა შერაცხილი, მაგრამ საერო ხასიათის წერილობით წყაროებში იგი მტარვალისა და დამპყრობლის სახელითაა მოხსენიებული. ქართული საეკლესიო ტრადიცია და შესაბამისად, საეკლესიო წყაროები უყურადღებოდ არ ტოვებენ ბიზანტიის იმპერატორის მიერ ქართლიდან მაცხოვრის სიწმინდეების წაღების ფაქტს, მაგრამ „ჰერაკლე მეფის ლაშქრობებს სპარსეთში და საქართველოში ისე აგვიწერენ, თითქოს მისი ძირითადი მიზანი იყო „ძელი ცხოვრებისა“, წმინდა ჯვრის ნაწილების ბიზანტიაში დაბრუნება და ურწმუნოების დასჯა“.[11] თუმცა, იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ მან აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ კი საქართველოში ლაშქრობის დროს ხელი შეუწყო ადგილობრივ ქრისტიანთა შორის დიოფიზიტური რწმენის განმტკიცებას. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს „მოქცევა ქართლისა ს“ ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, ჰერაკლე კეისარმა „ტფილისს, მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რა თა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“.[12] ამავე წყაროს ცნობით, „ჰერაკლემ განწმინდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“.[13] ანალოგიურ ცნობას, როგორც ჩანს, ქართულ საეკლესიო წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს XVIII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილიც. მის მიხედვით, ურწმუნოთა წინააღმდეგ „მიავლინა კეისარმა მახვილი და მოსრნა, რამეთუ მდინარენი სისხლისანი სდიოდნენ ეკლესიით გამო“.[14] როგორც ვხედავთ, საეკლესიო გადმოცემა, საერო ხასიათის წყაროებისაგან განსხვავებით, ჰერაკლე კეისრის საქციელს უარყოფითი სახით არ წარმოგვიდგენს. ასეთი განწყობის მიუხედავად, ბუნებრივია, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მორწმუნე ერისათვის დიდი დანაკარგი უნდა ყოფილიყო ჰერაკლე კეისრის მიერ მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეების საქართველოდან გატანა. „ამიტომაც აქვს ასე განსაკუთრებულად აღწერილი ეს შემთხვევა ისტორიკოს ჯუანშერს“.[15]

მართალია, მკვლევარები, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ერთსულოვნად აღიარებენ, რომ VII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ჰერაკლე კეისრის მიერ საქართველოდან გატანილ იქნა ფეხთა ფიცარი და ქრისტეს სამსჭვალი, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ როდის და როგორ დაიბრუნა საქართველოს ეკლესიამ ბიზანტიიდან ქრისტეს სამსჭვალი, რომელიც შემდგომ მანგლისის საკათედრო ტაძარში ინახებოდა. ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველოში ქრისტეს სამსჭვალის დაბრუნების შესახებ არავითარი ისტორიული ცნობები არ მოიპოვება.[16] როგორც ჩანს, მათთვის უცნობია, ან ნდობით არ ეკიდებიან ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომლის მიხედვით, 1032 წელს, როცა მეფე ბაგრატ IV (1027 – 1072) დაქორწინდა ბიზანტიის იმპერატორის, რომანოზ III არგიროსის ძმის, ბასილის ქალიშვილ ელენეზე, მას მზითევში, სხვა სიწმინდეებთან ერთად, წამოუღია ჰერაკლე კეისრის მიერ VII საუკუნეში საქართველოდან გატანილი ქრისტეს სამსჭვალი.[17] თუ რა კონკრეტულ წყაროებს ეყრდნობა ვახუშტი ბატონიშვილი მოცემული ფაქტის გადმოცემისას, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იგი ჩვენთვის დღემდე მიუკვლეველ წერილობით მასალას იყენებს. ვახუშტის მიერ მოწოდებული ცნობის სინამდვილეს საეკლესიო ტრადიციაც ადასტურებს.

გასარკვევია ერთი საკითხიც – ქრისტეს რამდენი სამსჭვალი იქნა თავდაპირველად საქართველოში შემოსვენებული. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ წყაროებში გარკვეული უთანხმოება შეინიშნება. როგორც ცნობილია, ზემოთ მოტანილი ქართული წყაროების მიხედვით, IV საუკუნეში ახლადმოქცეულ მირიან მეფეს ბიზანტიის იმპერატორმა გამოუგზავნა „სამსჭვალნი ხელთანი“. აშკარა არის, რომ ქართულ წყაროში ნახსენები „სამსჭვალნი ხელთანი“ მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზანტიიდან იოანე ეპისკოპოსს ქართლში ქრისტეს ორი სამსჭვალი მოუტანია. იმავე წყაროს მიხედვით, ჰერაკლე კეისარს VII საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მანგლისიდან გაუტანია „სამსჭვალნი უფლისა“, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს იმას, რომ მას ორივე სამსჭვალი წაუღია, რადგან იგი აქაც მრავლობით რიცხვშია ნახსენები. განსხვავებულ ცნობას გვთავაზობს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ჰერაკლე კეისრის მიერ ნადავლის სახით საქართველოდან გატანილ სიწმინდეთა შორის მხოლოდ ერთ სამსჭვალს გულისხმობს.

ანალოგიური ვითარებაა XI საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, ბაგრატ IV-ის მეფობის დროს ბიზანტიიდან ქრისტეს სამსჭვალის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლის შესახებ ცნობებს მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილი გვაძლევს. ვახუშტის მიხედვით, ბიზანტიიდან ელენე დედოფალს, სხვა სიწმინდეებთან ერთად, მოჰყვა „სამსჭვალი უფლისა“, რაშიც, ბუნებრივია, ერთი სამსჭვალი იგულისხმება, რადგან იგი მხოლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. თუკი ჰერაკლე კეისარმა VII საუკუნეში ქართლში შემოსვენებული ორივე სამსჭვალი წაიღო და XI საუკუნის 30-იან წლებში ერთი სამსჭვალი ისევ უკან დააბრუნეს, გამოდის, რომ ამის შემდეგ საქართველოში მხოლოდ ერთი ქრისტეს სამსჭვალი ყოფილა. ლეონტი მროველისეული ცნობა, ჰერაკლე კეისრის მიერ VII საუკუნეში ქართლის სამეფოდან ორი სამსჭვალის გატანის შესახებ, ეწინააღმდეგება XVII-XVIII საუკუნეების რუსულ და ევროპულ წერილობით წყაროებში არსებულ ცნობებს, რომელთა მიხედვით, დასახელებულ საუკუნეებში საქართველოში დაცული ყოფილა ქრისტეს ორი სამსჭვალი. ამ მიზეზის გამო, ლეონტი მროველისეული ვერსია ჰერაკლე კეისრის მიერ ქრისტეს ორივე სამსჭვალის საქართველოდან წაღების შესახებ, რეალურ სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს. ჩვენი აზრით, რეალურ სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილისეული ცნობა, რომლის მიხედვით, საქართველოდან ჰერაკლე კეისარს გაუტანია ქრისტეს ერთი სამსჭვალი, რომელიც XI საუკუნეში ისევ უკან დააბრუნეს. მეორე სამსჭვალი კი ისევ საქართველოში უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ სად იყო დასვენებული, ამის შესახებ წერილობითი წყაროები არავითარ ცნობებს

არ გვაწვდიან. ყოველ შემთხვევაში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, XVII – XVIII საუკუნის რუსული და უცხოური წერილობითი წყაროები, რომლებიც ამ დროისათვის საქართველოში ქრისტეს ორი სამსჭვალის არსებობის შესახებ მოგვითხრობენ, ასეთი ჰიპოთეზისა და დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ზოგიერთი მკვლევარ-ისტორიკოსის აზრით, ქრისტეს ერთი სამსჭვალი დასავლეთ საქართველოში, ბედიის ტაძარში იყო დასვენებული, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, იგი ჰერაკლე კეისრის მიერ მანგლისიდან წაღებული სამსჭვალია, თუ არა.[18] ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს წმ. მღვდელმოწამე კირიონი (საძაგლიშვილი), რომლის მიხედვით ელენე დედოფლის მიერ ბიზანტიიდან ჩამოტანილი სამსჭვალი მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072) თავის მიერ ახლად აგებულ ქუთაისის საკათედრო ტაძარში დაასვენაო.[19] თუ რა წყაროებს ეყრდნობა კირიონი ასეთი დასკვნის გაკეთების დროს, ჩვენთვის უცნობია. კირიონის აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ გვიან, XVII საუკუნეში ქრისტეს ერთი სამსჭვალი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ერთხანს ნამდვილად ინახებოდა ქუთაისში, ბაგრატის საკათედრო ტაძარში.

ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით მიჩნეულია, რომ ქრისტეს ერთი სამსჭვალი XIII საუკუნეში დაცული ყოფილა მანგლისის საკათედრო ტაძარში. დასახელებულ საუკუნეში რუსუდან მეფის (1223 - 1245) ვაჟს, დავით VI ნარინს (1245 – 1293) მანგლისის ტაძრისათვის შეუწირავს ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მიტრა, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „მეფე სრულიად საქართველოსი დავით, ძე რუსუდანისა, ააგო ბუდე წმინდა სამსჭუალისა“.[20] ხელოვნებათმცოდნეები მიუთითებენ, რომ აღნიშნული მიტრა მღვდელმთავართა თავსაბურავი კი არ იყო, არამედ მასში ქრისტეს წმინდა სამსჭვალი უნდა შენახულიყო, ე. ი. იგი იყო სამსჭვალის ბუდე.[21]

როგორც წყაროებით დასტურდება, ქრისტეს სამსჭვალი თავის შესანახ ბუდე-მიტრასთან ერთად მანგლისიდან თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში გადაუბრძანებიათ, ალბათ უსაფრთხოების დაცვის მიზნით. თუ როდის და რატომ გადაიტანეს მიტრა და სამსჭვალი მანგლისიდან თბილისში, ამის შესახებ წყაროებში არავითარი მითითება არ არსებობს. პ. იოსელიანის ვარაუდით, აღნიშნულ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა მონღოლ-თათართა ბატონობის დროს.[22] უფრო მისაღები ჩანს ვარაუდი, რომ „ეს უნდა მომხდარიყო XV საუკუნეში, როდესაც მანგლისის სამიტროპოლიტო თბილისს შეუერთდა და აქედან მოყოლებული, მანგლელი ეპისკოპოსი მანგლელ-თბილელად იწოდება“.[23] აღნიშნული მოსაზრება რეალურ სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს XVII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მყოფი იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი, რომელსაც თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში უნახავს მოოქროვილი და ძვირფას ქვებით შემკული კიდობანი, რომელშიც, მისი გადმოცემით, ჩასვენებული ყოფილა ძელი ჭეშმარიტზე გაკრული ქრისტეს სამსჭვალი. იგივე პატრიარქი, აგრეთვე საინტერესო ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ მას დასავლეთ საქართველოში, გელათის ტაძარში უნახავს

უფლის მეორე სამსჭვალი. თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს, მისთვის უცნობია, თუ ვინ მოიტანა ისინი საქართველოში.[24] აღნიშნული ცნობა ფრიად საინტერესოა, რადგან იგი უტყუარად ასაბუთებს XVIII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ქრისტეს ორი სამსჭვალის არსებობას.

ქრისტეს სამსჭვალის შესახებ საყურადღებოა 1664-1666 წლებში საქართველოში ორჯერ მყოფი ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის ცნობები. მას დასავლეთ საქართველოში, წალენჯიხის ტაძრის დათვალიერებისას, სხვა სიწმინდეებთან ერთად უნახავს და თაყვანი უცია ქრისტეს სამსჭვალისათვის.[25]

დასავლეთ საქართველოში არსებული ქრისტეს სამსჭვალის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული 1639-1640 წლებში, სამეგრელოს მთავრის კარზე ჩასული რუსი ელჩების, დიაკონ ფედოტი ელჩინისა და მღვდელ პავლე ზახარევის ვრცელ აღწერილობაში. ამ აღწერილობის მიხედვით, მათ ადგილობრივი მღვდელმთავრის დახმარებით ბედიის ტაძარში სხვა სიწმინდეებთან ერთად უნახავთ უფლის სამსჭვალი.[26]

ჩვენ მიერ მოტანილი მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში არსებული ქრისტეს სამსჭვალის განსასვენებელს წერილობითი წყაროები სხვადასხვა ადგილას მიუთითებენ. დროის მცირე მონაკვეთში (XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე) სხვადასხვა წყარო მის განსასვენებელს ხან ბედიაში აფიქსირებს, ხან წალენჯიხის ტაძარში, ბოლოს კი ქუთაისში, რაც დასახელებული წყაროების მიმართ უნდობლობას გარკვეულად ზრდის. მაგრამ, თუკი იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ გარკვეული სხვაობის მიუხედავად, ზემოთ მოტანილი დოკუმენტური მასალები დიდი სიზუსტით ასახავენ რეალურ სურათს.

ჩვენი აზრით, თავდაპირველად უფლის სამსჭვალი ნამდვილად ბედიის ტაძარში ინახებოდა, სადაც იგი XVII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში, ამ დროს დასავლეთ საქართველოში მყოფმა რუსმა ელჩებმა ფედოტი ელჩინმა და მღვდელმა პავლე ზახარევმა დააფიქსირეს კიდეც. ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუკი იგი ბედიის ტაძრის კუთვნილება იყო, როგორ ინახულა XVII საუკუნის 60-იან წლებში წალენჯიხის ტაძარში ამ დროისათვის იქ მისულმა ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიოსმა, ხოლო მოგვიანებით, ამავე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იერუსალიმის პატრიარქმა ქუთაისში? აქ ყველაფერი გასაგები იქნება, თუკი გავითვალისწინებთ ერთ ფაქტს, საქმე ის გახლავთ, რომ XVII საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში აფხაზეთში არსებული დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ტახტი, თურქთა აგრესიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარეთა თავდასხმის გამო, გადმოდის ქუთაისში; როგორც ჩანს, სასულიერო პირებმა ბედიის ტაძარში არსებულ სხვა სიწმინდეებთან ერთად ქრისტეს სამსჭვალი ჯერ წალენჯიხის ტაძარში გადამალეს, ხოლო გვიან კი ქუთაისის ტაძარში დაასვენეს. მხოლოდ, ამ გზით იყო შესაძლებელი, დროის მცირე მონაკვეთში ქრისტეს სამსჭვალი სხვადასხვა ტაძარში ყოფილიყო.

აღმოსავლეთ საქართველოში დაცული ქრისტეს მეორე სამსჭვალის შესახ-

ებ საინტერესო ცნობას გვაძლევს XVII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსთან ერთად მყოფი, მისი შვილი პავლე ალეპოელი. ოღონდ, იგი ქრისტეს სამსჭვალის განსასვენებლის ადგილად შეცდომით ასახელებს არა თბილისის სიონის ტაძარს, არამედ მცხეთის სვეტიცხოველს.[27]

მოტანილი წერილობითი წყაროები იმის უტყუარი დასტურია, რომ XVII საუკუნისათვის საქართველოში ქრისტეს ორი სამსჭვალი არსებობდა. ერთი დასავლეთ საქართველოში იყო, მეორე კი – აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს თვითმხილველთა ჩანაწერები. წყაროებით დასტურდება, რომ თბილისის სიონის ტაძარში დაცულ სამსჭვალს ჰქონდა მიტრა-ბუდე, რომელსაც წარწერა ამშვენებდა, ხოლო ქუთაისში დაცული სიწმინდე მხოლოდ ძვირფას კიდობანში იყო მოთავსებული.

მართალია, ქრისტეს სამსჭვალის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ ცნობილია, რომ გვიან ფეოდალურ ხანაში იგი იმ სიწმიდეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელზეც „დაფიცება და ერთგულების პირობის მიღება შეიძლებოდა და ამ საფიცარს დიდად ერთგულებდნენ“.[28]

XVII საუკუნის 80-იან წლებამდე ქრისტეს ორი სამსჭვალი საქართველოს ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენდა, შემდგომ კი ერთი სამსჭვალი გატანილ იქნა რუსეთში, მეფე არჩილის მიერ. თუმცა, საეკლესიო გადმოცემა და ქართული წერილობითი წყაროები ამ ფაქტს ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმით გადმოგვცემენ. ერთ-ერთი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, რომელსაც წმ. მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი) იყენებს, იმერეთში მეფობის დროს ქართლ-კახეთის მეფის, ვახტანგ V შაჰნავაზის ძეს, არჩილს XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან ქუთაისის ბაგრატის ტაძრიდან წაუღია ქრისტეს სამსჭვალი. იმერეთის მაშინდელ კათალიკოსს მძიმედ განუცდია ძვირფასი სიწმინდის დაკარგვა. იგი დასწევია სამსჭვალით მიმავალ არჩილ მეფეს ქალაქის ციხის კარებთან და უთხოვია, რომ „ამ წმინდა ლურსმნისაგან ცოტაოდენი ნაწილი მაინც მოეტეხა და დაეტოვებინა სახსოვრად.

...არჩილმა შეისმინა მოხუცებული მწყემსმთავრის ვედრება, აღასრულა მისი თხოვნა და მოსტეხა წმინდა ლურსმანს წვერო და დაუტოვა მას“.[29]

აღნიშნული საეკლესიო ტრადიცია უკანასკნელ პერიოდში ინტერნეტის რუსულ ვებ-გვერდზე განთავსებულ მასალებში ფართოდ ფიგურირებს. მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ არჩილ მეფემ ქუთაისიდან წამოღებული სამსჭვალი წაასვენა რუსეთში. აღწერილი საეკლესიო გადმოცემის საწინააღმდეგო ცნობებს გვაძლევს ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, რომლის მიხედვით, როდესაც არჩილ მეფემ იმერეთის სამეფო დატოვა და ქართლში გადმოვიდა, რუსეთის დახმარების იმედით იგი 1682 წელს მოსკოვში მიემგზავრება. გამგზავრების წინ „არჩილმა ითხოვა სამსჭვალი ქრისტესი და სუდარა და საბელი: „უკეთუ მომცემთ, წარვიდე რუსეთს“. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ მცხეთის კათოლიკოსისა და ქართლის მეფის თანხმობით არჩილს მისცეს ქრისტეს სამსჭვალი, რითაც „მოაკლდა მიერით ნიჭნი ესე ღუთისანი ქართლს“.[30]

მოტანილი მასალიდან ირკვევა – იმერეთის სამეფოდან რომ წაიღო ქრისტეს სამსჭვალი არჩილ მეფეს, ამ ფაქტს უთუოდ დააფიქსირებდა ვახუშტი ბატონიშვილი და არ იტყოდა, რომ სამსჭვალის რუსეთში წაღებით ღვთის წყალობა მოაკლდა ქართლსო. ვახუშტი ბატონიშვილის ამ ცნობას დიდი ნდობით უნდა მოვეკიდოთ, რადგან ისიც იმ სამეფო კარის წარმომადგენელი იყო, სადაც არჩილ მეფე მოღვაწეობდა. ვახუშტის მამა, ვახტანგ VI, არჩილ მეფის ძმისშვილი იყო. ამის გარდა, მისი ახლობლები თვითმხილველნი იყვნენ მომხდარი ამბებისა და ამიტომ ვახუშტის მიერ მოწოდებულ ცნობებში შეუძლებელია, ეჭვი შევიტანოთ.

თავის მხრივ, წმ. მღვდელმოწამე კირიონ II-ის მიერ მოტანილი საეკლესიო გადმოცემა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე დასავლეთ საქართველოს მიტროპოლიტის, იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის ვაჟის დავითის მონათხრობს ემყარება, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს. ჩვენი აზრით, ამ საეკლესიო გადმოცემაში რეალური სინამდვილეა ასახული. აფხაზთა კათალიკოსის თხოვნით არჩილ მეფეს მართლაც მოუჭრია ქრისტეს სამსჭვალისათვის წვერი, რომელიც 1848 წელს ვერცხლის პატარა კიდობანში დასვენებული უნახავს ცნობილ რუს მოგზაურს, ა. მურავიოვს, ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის შესასვლელთან მიშენებულ მიძინების ეკლესიაში.[31] მოხმობილი წყაროების საფუძველზე აშკარაა, რომ ზემოთ აღწერილ ფაქტს რეალურად ჰქონდა ადგილი, თუმცა, ჩვენი აზრით, არჩილ მეფეს იმერეთის სამეფოდან არ უნდა წამოეღო გადაჭრილი სამსჭვალი. ირკვევა, რომ არჩილ მეფემ რუსეთში თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში დაცული ქრისტეს სამსჭვალი და მისი მიტრა-საბუდარი წაიღო. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1686 წელს რუსეთში არჩილ მეფეს მიერ ჩატანილ ქრისტეს სამსჭვალს მანგლელი მიტროპოლიტის მიტრაც ამშვენებდა. ხოლო თუ რა დაემართა და სად ინახებოდა გადაჭრილი სამსჭვალის ის ნაწილი, რომლის წაღებას არჩილ მეფე რუსეთში აპირებდა, ჩვენთვის უცნობია.

გასული, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთი ადგილობრივი მონასტრიდან საქართველოს საპატრიარქოში მოიტანეს და ამჟამადაც იქ არის დაცული ქრისტეს ის სამსჭვალი, რომელიც ერთ დროს დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენდა. მისი ზომა 10-11 სანტიმეტრია და რამდენიმე სანტიმეტრით მოკლეა მოსკოვში დაცულ სამსჭვალზე. მას „წვეტი“ გადაჭრილი აქვს, რაც უტყუარად ადასტურებს იმას, რომ იგი ქრისტეს ის სამსჭვალია, რომელიც ბოლო დროს დაცული იყო ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის მინაშენში. უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილი წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ დასახელებული ქრისტეს სამსჭვლის ნაწილი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გელათის მონასტრის კუთვნილება ყოფილა. 1853 წლის გელათის მონასტრის ნივთ-სამკაულის აღწერიდან ჩანს, რომ სხვა სიწმინდეებთან ერთად იგი ქუთაისის ტაძარში გადაუტანიათ.[32] სამსჭვლის წვეტიანი ნაწილის ამჟამინდელი სამყოფელი ჩვენთვის უცნობია.

XVII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში უფლის სამსჭვალით რუსეთში მიმავალ არჩილ მეფეს სამი წელი ასტრახანში დაუყვია, სადაც „დღესა ახალწლისასა აღუნთეს ლამპარი დიდი სამსჭუალსა, მოეკიდა ცეცხლი სასუენსა მას“, ხანძრის შედეგად ხის სახლები და „ყოველნი სიწმინდენი და საგანძურნი არჩილისანი“ დაიწვა, მაგრამ „ჰპოვეს სამსჭუალნი და ნაწილნი უვნოდ კუალად დაუჯდომელი, დაუწვავი ცეცხლსა მას შინა“.[33] არჩილ მეფესა და მის თანმხლებ პირებს მომხდარი ფაქტი ღვთის სასწაულ გამოვლინებად მიუჩნევიათ. 1686 წელს არჩილ მეფეს უფლის სამსჭვალი მოსკოვში მიუსვენებია. ჩვენთვის უცნობია, 1686 წლიდან 1699 წლამდე ქრისტეს სამსჭვალი სად ინახებოდა, რადგან ცნობილია, რომ არჩილ ბატონიშვილი 1689 წელს საქართველოში დაბრუნდა და XVII საუკუნის 90-იან წლებში სამჯერ ავიდა იმერეთის სამეფო ტახტზე (1690 – 1691; 1695 – 1696 და 1698 წლებში). 1699 წელს იგი საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში, სადაც ის მოსკოვის გარეუბანში, ვსესვიატსკოეში ოჯახთან ერთად დამკვიდრდა. რუსული წყაროების მიხედვით, საქართველოდან წამოღებულ ქრისტეს სამსჭვალს არჩილ მეფე ინახავდა ვსესვიატსკოეში, თავისი სასახლის ეკლესიაში. 1713 წელს, არჩილ მეფის გარდაცვალების შემდეგ, მის დაქვრივებულ დედოფალ ეკატერინეს ორი ქართველი მღვდელ-მონაზვნის, გაბრიელისა და არსენის ხელით აღნიშნული სიწმინდე საქართველოში გაუგზავნია. საქართველოსკენ მომავალ მღვდელ-მონაზვნებს გზად დამგზავრებიათ მეფის დესპანი არტემ ვოლინსკი, რომელიც რუსეთის ხელმწიფის დავალებით სპარსეთში, შაჰის კარზე ელჩად მიდიოდა. არტემ ვოლინსკი გამოსაზამთრებლად ყაზანში შეყოვნებულა. მას ადგილობრივი მღვდელმთავარ ტიხონისათვის უცნობებია, რომ არჩილ მეფის მიერ რუსეთში ჩატანილ სამსჭვალს მისი ქვრივი სამშობლოში აგზავნიდა. მომხდარი ფაქტის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინეს რუსეთის მეფე პეტრე I-ს. ყაზანის მიტროპოლიტის გადაწყვეტილებით ქრისტეს სამსჭვალი ჩამოერთვათ საქართველოსაკენ მიმავალ მღვდელ-მონაზვნებს და დროებით შეინახეს, ხელმწიფის განკარგულების მიღებამდე. 1716 წლის 13 აპრილს ყაზანის და სვიაჟსკის მიტროპოლიტმა ტიხონმა ადგილობრივი გუბერნატორის პეტრე სამოელის ძე სალტიკოვის ხელით მიიღო რუსეთის მეფის, პეტრე I-ის გადაწყვეტილება, რომლის ძალით ქართველი ბერებისათვის ჩამორთმეული ქრისტეს სამსჭვალი რუსეთის ხელისუფალთა მომავალ განკარგულებამდე შეენახათ ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, მიტროპოლიტ ტიხონის საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ. 1716 წლის 21 მაისს მიტროპოლიტმა ტიხონმა სულიწმინდის მოფენის დღეს, ტრაპეზიდან გამოასვენა ქრისტეს სამსჭვალი, რომელიც ამბიონზე სპეციალურად მოწყობილ საწიგნეზე დაასვენეს მორწმუნეთა საჩვენებლად. მიტროპოლიტმა ტიხონმა სიწმინდის პატივსაცემად სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა. ცოტა მოგვიანებით კი, პეტრე I-ის ბრძანებით, აღნიშნული სიწმინდე თავის საბუდარ-მიტრასთან ერთად მოსკოვში გადაასვენეს და კრემლის მიძინების ტაძარში მიუჩინეს საბოლოო განსასვენებელი.[34]

ქართველი საერო და სასულიერო პირები მძიმედ განიცდიდნენ საქართველოდან უფლის სამსჭვალის წაღებას. ქვეყანაში მომხდარი ყველა

უბედურების მიზეზად მას მიიჩნევდნენ და ცდილობდნენ, ეს სიწმინდე ისევ სამშობლოში დაებრუნებინათ. XVIII საუკუნის 20-იან წლებში რუსეთში მყოფი ვახტანგ VI ცდილობდა ქრისტეს სამსჭვალის კანონიერი მფლობელისათვის გადაცემას. ამ მხრივ, მან პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა. 1726 წელს ქართველ მეფეს რუსეთის საიდუმლო საბჭომ დიპლომატიური მისიით ირანში წასვლა დაავალა. „ირანში გამგზავრების ერთ-ერთ პირობად ვახტანგ VI მეფე არჩილის დროს რუსეთში ჩატანილი ძვირფასი რელიქვიის – „უფლის სამსჭვალის“ დაბრუნებას აყენებდა“.[35] რუსეთის ხელისუფლებამ ვახტანგ მეფის აღნიშნულ მოთხოვნას უარით უპასუხა და მკაცრად გააფრთხილა, რომ ქრისტეს სამსჭვალი იმპერიიდან არ უნდა გაეტანათ. რუსეთის ხელისუფლების გაფრთხილება ისეთი კატეგორიული იყო, რომ, როცა 1733 წელს საქართველოდან კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი (1724 – 1737) გულდათუთქული სიტყვებით მიმართავდა ვახტანგ VI-ს: „თუ ღმერთმან ხელი მოგიმართოსთ და გაბედოთ ცხოველისმყოფელი სამსჭვალი გამოითხოვეთ, ის წინ წამოიმძღვანეთ, უიმისოდ ძნელი არის, რა ეგ აქედან წაასვენეს, აღარც შენი ოჯახი დადგა, აღარც ქართლი. ვინც წაასვენა, ვერც იმას მოუხდა კარგა“.[36] ქართლის მეფემ პასუხიც ვერ გასცა ქართველთა მწყემსმთავრის თხოვნას.

XVIII – XIX საუკუნეებში ქრისტეს სამსჭვალი მოსკოვის მიძინების ტაძრის საგანგებოდ გაკეთებულ საცავში ინახებოდა, რომელიც, როგორც რუსული წყაროები გადმოგვცემენ, მოთავსებული იყო ოთხკუთხა ვერცხლის მომინანქრებულ კიდობანში, რომელსაც ამშვენებდა 1688 წელს შესრულებული ქართული წარწერა: „მეფე არჩილი, ძე ვახტანგისა ქართველთა მეფისა, მეფე იმერეთისა და კახეთისა, ააგო ეს კიდობანი. 7196 (1688 წ.) სამყაროს შექმნიდან“. აღნიშნული კიდობანი 1771 წელს ქართველმა დიდგვაროვანმა ანნა გიორგის ასულმა ბაქაროვამ ზურმუხტებითა და სხვა ძვირფასი თვლებით შეამკო. რევოლუციამდე რუსეთში ქრისტეს სამსჭვალი მორწმუნეთა წინაშე წელიწადში მხოლოდ ერთხელ, 10 ივლისს, უფლის კვართის ხსენების დღეს გამოჰქონდათ.

მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარში ქრისტეს სამსჭვალს სხვა სიწმინდეებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ. 1849 წელს, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის განკარგულებით გამოცემულ ალბომში („Древности Российского государства“) მოთავსებულია აკადემიკოს თ. სოლნცევის მიერ შესრულებული მიტრისა და სამსჭვალის ნახატი. 1878 წელს ოსტატმა ა. ვეკმანმა დაამზადა ახალი, ვერცხლის მოოქროვილი კიდობანი, რომელშიც დღესაც სამსჭვალი ინახება. კიდობნის გვერდებს ამშვენებს ქრისტეს ჯვარცმა და სხვა სცენები. XIII საუკუნის სამსჭვალის მიტრა-ბუდე დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. თუმცა, მისი მოძიებისათვის მკვლევარები სათანადოთაც გაისარჯნენ, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნეს.[37] ამჟამად ქრისტეს წმინდა სამსჭვალი მოსკოვის კრემლის მუზეუმშია დაცული. მისი სიგრძე 14,5 სანტიმეტრია და იგი 3-4 სანტიმეტრით აღემატება საქართველოს საპატრიარქოში დღემდე დაცულ უფლის მეორე სამსჭვალს.

ქრისტეს სამსჭვალისაგან განსხვავებით, უფლის სხვა სიწმინდეებთან

დაკავშირებით წერილობით წყაროებში შედარებით მწირი ცნობები მოგვეპოვება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ფერხთა ფიცარი“ სამსჭვალთან ერთად კონსტანტინე იმპერატორმა მირიან მეფეს გამოუგზავნა, მაგრამ VII საუკუნეში იგი ჰერაკლე კეისარმა თან წაიღო. აღნიშნული სიწმინდე საქართველოში ადარ დაუბრუნებიათ და მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

საქართველოში დღესდღეობით შემორჩენილია მცირე ნაწილი ძელი ცხოვრებისა, რომელზეც ქრისტე იყო გაკრული. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ძელი ცხოვრებისა იყო „მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“. აღნიშნულის გამო, ძელი ცხოვრებისა საქართველოს სამეფოს ატრიბუტად იყო მიჩნეული და ხშირად იგი წყაროებში სეფე დროშასთან და სამეფო აბჯართან ერთად ქართველ მეფეთა ლაშქრობების აღწერისას მოიხსენიება. წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ ძელი ცხოვრების ნაწილები საქართველოში მრავლად ყოფილა და ისინი ძირითადად ჩასვენებული იყო ჯვრებსა და ხატებში. ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ჯვარმა და ხატმა მოაღწია, რომელშიც დაცულია ძელი ჭეშმარიტის ნაწილები.

საეკლესიო გადმოცემით ცნობილია, რომ IV საუკუნეში ელენე დედოფალმა იერუსალიმში, გოლგოთაზე, ქრისტეს წამების ადგილზე მოიძია ძელი ჭეშმარიტი, რომელიც აღმოჩენისთანავე მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის თაყვანისცემისა და მისგან მადლის მიღების უდიდეს სიწმინდედ შეირაცხა. ქართული წყაროების მიხედვით, სწორედ ამ დროიდან ჩნდება ჩვენში ძელი ჭეშმარიტის ნაწილები. როცა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს გაქრისტიანების ნიშნად ქრისტეს სამსჭვალთან და „ფერხთა ფიცართან“ ერთად გამოუგზავნა „ნაწილი ძელისა ცხოვრებისა“.[38] მართალია, VII საუკუნის 20-იან წლებში ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლე კეისარმა საქართველოდან გაიტანა „სამსჭუალი ხელთანი და ფიცარნი ფეხთანი“, მაგრამ წყაროებში არსადაა აღნიშნული, რომ მათთან ერთად წაღებულ იქნა ძელი ჭეშმარიტის ნაწილები. იგი ისევ საქართველოში ინახებოდა.

როგორც წყაროებიდან ჩანს, საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფალნი საგულდაგულოდ უფრთხილდებოდნენ მას. წმინდა ჯვრის ნაწილები ეკლესიის გარდა სამეფო კარზეც ინახებოდა.[39] უცხოური წყაროებით დასტურდება, რომ ბაგრატიონთა სამეფო კარზე დაცული ძელი ცხოვრების ნაწილებისაგან ყოფილა დამზადებული წმ. მეფე დავით აღმაშენებლის (1089 – 1125) ჯვარი, რომელსაც თურმე „ქართველთა მეფე... უაღრესად პატივისცემას და სიყვარულს უძღვნიდა“.[40] იმავე წყაროს ცნობით, მეფის გარდაცვალების შემდეგ ძელი ცხოვრებისაგან დამზადებული დავითის ჯვარი მისმა ქვრივმა იერუსალიმში წაიღო, სადაც მან მონაზვნად აღკვეცის შემდეგ სიმდიდრე ღარიბ-ღატაკებს დაურიგა, ხოლო თავისი ქმრის ნაქონი ძელი ცხოვრებისაგან დამზადებული ჯვარი შეუძენია იმხანად იერუსალიმში, ქრისტეს საფლავის მეფსალმუნეს და პარიზის სამღვდელოების წარმომადგენელს ანსელუს. ამ უკანასკნელმა ძვირფასი სიწმინდის შესახებ აცნობა პარიზის სამღვდელოებას. ძელი ცხოვრებისას ნაწილებისაგან დამზადებული აღნიშნული ჯვარი

იერუსალიმიდან, როგორც ზ. ავალიშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, 1109 წლის გაზაფხულზე საფრანგეთის მიწაზე მიასვენეს. დოკუმენტში აღნიშნული თარიღი – 1109 წელი შეცდომაა, რადგან დასახელებულ წელს დავით აღმაშენებელი ჯერაც ცოცხალი იყო და ბუნებრივია, ამ დროისათვის მისი ნაქონი ძელი ცხოვრებისაგან დამზადებული ჯვარი საფრანგეთში ვერ მოხვდებოდა. აღნიშნულ ფაქტს ადგილი დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ (1125 წ.) უნდა ჰქონოდა. გამოქვეყნებული დოკუმენტების მიხედვით, სასულიერო პირთა და მორწმუნეთა თანდასწრებით, 1 აგვისტოს დავით აღმაშენებლის ჯვარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენეს. საფრანგეთში ახლადჩამოსვენებული სიწმინდის თაყვანისმცემელთა რიცხვი ისეთი მრავალრიცხოვანი იყო, რომ მას ვერცერთი ტაძარი ვერ იტევდა. დაწესდა, რომ ყოველწლიურად, ივნისის მეორე ოთხშაბათს იერუსალიმიდან ჩამოტანილი ჯვარი გამოებრძანებინათ სენდენის ველზე, რომელიც ჯვარზე მთხვევის ყველა მსურველს დაიტევდა. აღნიშნულ ტრადიციას ფრანგები საუკუნეების მანძილზე იცავდნენ, მაგრამ ახალ გარემოში მყოფ ჯვარს მისი თავდაპირველი მფლობელის სახელი აღარ შერჩა და დღემდე იგი მისი მეორე პატრონის „ანსელის ჯვრის“ სახელითაა ცნობილი.[41] საუკუნეების განმავლობაში აღნიშნული ჯვარი ფრანგი ერის დიდ სიწმინდედ ითვლებოდა და პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საგანძურში საგანგებოდ ინახავდნენ. „თუ რა იყო ეს ჯვარი ქრისტიანი ფრანგისათვის იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენ დრომდე პარიზის ეკლესია ლოცვით იხსენებდა მისი მიღების დღეს – აგვისტოს პირველ კვირა დღეს“.[42] 1793 წელს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს „ანსელის ჯვარი“ ორად გაუყვიათ. ერთი ნაწილი ფონდების მცველს წაუღია, მეორე ნაწილი კი კომუნის მიერ ახლადდანიშნული კომისიის მორწმუნე წევრს საიდუმლოდ შეუნახავს. ამ მეორე ნახევრიდან დაამზადეს ოთხი პატარა ჯვარი, რომელთაგან სამი ეკლესიას დაუბრუნეს. 1830 წელს პარიზში რევოლუციური გამოსვლის დროს ანსელუსის ჯვარი დაზიანდა. ამჟამად დავით აღმაშენებლის ნაქონი ანსელუსის ჯვრის სახელწოდებით ცნობილი ჯვარი დაკარგულად ითვლება.[43] თუმცა, ზოგიერთ საგამოფენო კატალოგში იგი ამავე სახელწოდებით კვლავ იხსენიება.

ძელი ცხოვრების ნაწილები საქართველოში არა მარტო იერუსალიმიდან, არამედ კონსტანტინოპოლიდანაც ჩამოუტანიათ. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერი ჯუზეპე მარია ძამპი. მას სამეგრელოში არსებულ ხობის მონასტერში უნახავს ერთი მტკაველისოდენა ძელი ჭეშმარიტის ნაწილები, რომლის შესახებ მისთვის ადგილობრივ სასულიერო პირს უთქვამს, რომ იგი კონსტანტინოპოლის დამხობის შემდეგ (1453 წელი) აქ მოუტანია ოსმალების მიერ დევნილ ერთ-ერთ მღვდელმთავარს.[44] ხობის მონასტერში ძელი ცხოვრების არსებობას აგრეთვე ადასტურებენ 1651 წელს იმერეთის სამეფოში მყოფი რუსი ელჩები, ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი.[45] ექვთიმე თაყაიშვილს XX საუკუნის პირველ ათეულში ხობის მონასტერში უნახავს ძელი ჭეშმარიტის რამდენიმე ნაწილი. მათ შორის

ერთი ჯვარი, სიგრძით ექვსი გოჯი.[46] ამავე ტაძრის ტრაპეზის ჯვარში ძელი ცხოველის ნაწილების არსებობას ადასტურებს მღვდელმონაზონი კალისტრატე ჩიჩუა.[47] XX საუკუნის პირველ ათეულში ექვთიმე თაყაიშვილს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, მარტვილის ტაძარში დაუფიქსირებია ოქროს ჯვარში ჩასვენებული ძელი ჭეშმარიტის ნაწილი, რომელშიც ადრე თურმე იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილიც ყოფილა, რასაც ადასტურებს მასზე არსებული წარწერები.[48] იმავე ექვთიმე თაყაიშვილს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის ეკლესიაში აღუწერია ძელი ჭეშმარიტის ხატი, რომელსაც ლევან II დადიანის მიერ 1652 წლით დათარიღებული წარწერა ამშვენებდა.[49] კათოლიკე მისიონერი ჯუზეპე მარია ძამპის ხობის გარდა ძელი ცხოვრებისას ნაწილები ბედიის ტაძარშიც უნახავს.[50] აღნიშნული სიწმინდე აგრეთვე დაცული ყოფილა ცაიშის მონასტერშიც, რასაც ადასტურებს ცაიშის ჯვარცმის წარწერაც. ამ წარწერის მიხედვით, 1619 წელს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსს მალაქია II-ს (1616 – 1639) ცაიშის ეკლესიისათვის შეუწირავს „ძელი ცხოველი და ხატი უხილავი“.

საქართველოს სიძველეთა ფონდებში დაცულ ზოგიერთ სიწმინდეში ჩასვენებულია ძელი ჭეშმარიტის ნაწილები. ამ მხრივ, აღსანიშნავია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმის საჰაგდუხტის წარწერებიანი ჯვრის სანაწილე, რომელსაც სპეციალისტები V-VI საუკუნით ათარიღებენ. წარწერაში მოხსენებული საჰაგდუხტი მეფე ვახტანგ გორგასლის დედა უნდა იყოს. ვერცხლით მოჭედილ კიდობანში ჩასვენებულია სახელურიანი ვერცხლის ჯვარი. ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილზე მოთავსებულია ძვირფასი თვალი, რომლის ქვეშ ძელი ჭეშმარიტის ნაწილია ჩაბრძანებული. ამის გამო, ზოგჯერ ჯვარი „ძელი ჭეშმარიტის“ სახელითაა ცნობილი.[51]

აგრეთვე მნიშვნელოვანია XX საუკუნის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ხობის მონასტერში, ამჟამად კი საქართველოს შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდში დაცული თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელშიც, როგორც ჯვრის უკან მოთავსებული წარწერით დასტურდება, ჩასვენებულია ძელი ჭეშმარიტი: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯვარისაო, შენითა წინამძღოლობითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“. ძელი ცხოვრებისას მცირე ნაწილი აგრეთვე ჩასვენებულია ერთ დროს ქართველი ხალხის საკუთრებად მიჩნეულ, ამჟამად კი ლონდონის მუზეუმში დაცულ, XIII საუკუნით დათარიღებულ, 1624 წლის 16 სექტემბერს ირანის შაჰის მიერ საშინელი წამებით სიკვდილით დასჯილ წმინდა ქეთევან დედოფლის კუთვნილ სანაწილეში.

ზუგდიდის მუზეუმში, დადიანების ყოფილ სასახლეში დაცულია ძელი ჭეშმარიტისაგან დამზადებული ჯვარი, რომელიც სქურის ძელი ჭეშმარიტის ჯვრის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული ჯვარი მოთავსებულია XII საუკუნით დათარიღებულ, თამარ მეფის დედის, ბორდოხან დედოფლის ხატის შუაში. ხატს ამშვენებს თორმეტმარცვლიანი ლექსი-იამბიკო, საიდანაც მტკიცდება, რომ იგი ბორდოხან დედოფლის კუთვნილება ყოფილა. აღნიშნულ ხატში სხვადასხვა ზომის სანაწილე ბუდეებია, რომელზეც არსებული წარწერებით დასტურდება, თუ რა სიწმინდეებია მათში ჩასვენებული. ბორდოხან დედოფლის ხატში მოთავსებული ძელი ჭეშმარიტის ჯვარი, თავის მხრივ ჩასვენებულია ვერცხლით შეჭედილ ხის ბუდე-კუბოში. ექ. თაყაიშვილის აღწერილობით, ადრე ბუდე-კუბო მოოქროვილი იყო, რომელზეც გამოსახულნი ყოფილან წმინდანები. ამჟამად კი შემორჩენილია ღვთისმშობლის ბარელიეფური გამოსახულება. როგორც მასზე არსებული წარწერით ირკვევა, სქურის ძელი ჭეშმარიტის ჯვრის ბუდე-კუბო 1652 წელს დაუმზადებია სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს (1611 – 1657). სქურის ძელი ჭეშმარიტის ჯვარი 14 სანტიმეტრი სიმაღლისაა და ცხოველმყოფელ ჯვრებს შორის ზომით ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯვარია საქართველოში. სქურის ძელი ჭეშმარიტის ჯვარზე მაცხოვრის ბარელიეფური გამოსახულებაა წარმოდგენილი.

სხვა სიწმინდეებთან ერთად, ოქროს ჯვარში ჩასვენებული ძელი ჭეშმარიტის ნაწილი მოთავსებული ყოფილა თბილისის ანჩისხატის ტაძარში დაცულ ვერცხლის სანაწილეში. აღნიშნული სიწმინდე თავად იასონ ჭავჭავაძეს შეუწირავს ანჩისხატის ტაძრისათვის. XIX საუკუნის დასაწყისში ამავე ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა ხატი, რომლის ერთ-ერთ სანაწილეში ძელი ჭეშმარიტის მცირე ნაწილი იყო. ამ სიწმიდეების ადგილსამყოფელი ამჟამად ჩვენთვის უცნობია.

ზემოჩამოთვლილ სიწმინდეებთან ერთად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დავანებული იყო უფლის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები, რომელთა შესახებ მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობებია დაცული, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. XVII – XVIII საუკუნეებში უფლის სიწმიდეთა უდიდესი ნაწილი განთავსებული იყო დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებში.

აღნიშნულ სიწმინდეთა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან XVII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში სამეგრელოს მთავრის კარზე ელჩად მყოფი რუსეთის ხელმწიფის დესპანები მღვდელი პავლე ზახარევი და დიაკონი ფედოტი ელჩინი. მათ რუსეთის ხელისუფალთაგან საგანგებო დავალება ჰქონდათ მიცემული, რომ სხვა საკითხებთან ერთად დაწვრილებითი, ზუსტი ცნობები შეეგროვებინათ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული სიწმინდეების შესახებ. დიაკონმა ფედოტი ელჩინმა და მღვდელმა პავლე ზახარევმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. მათ ადგილობრივ სასულიერო პირთა დახმარებით, 1639-1640 წლებში ფეხით მოიარეს და დაათვალიერეს სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, სადაც მათ ინახულეს და აღწერეს ყველა ის სიწმინდე, რომელიც სამთავროს ტერიტორიაზე ინახებოდა. დასახელებულმა რუსმა დესპანებმა თავიანთი მოსაზრებები და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიწმინდეთა შესახებ ზუსტი ცნობები ვრცელი „აღწერილობის“ სახით წარუდგინეს რუსეთის ხელისუფლებას. ეს „აღწერილობები“, რომელიც ორივე ელჩმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეადგინა, დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.[52] რუსი ელჩების მიერ

მოწოდებულ მასალებში სხვა სიწმინდეებთან ერთად, რომლის შესახებ ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მაცხოვრის სიწმინდეების აღწერას.

ფედოტი ელჩინს და პავლე ზახარევს 1640 წლის 20 თებერვალს ბედიის მონასტრის სიძველეთა დათვალიერების დროს უნახავთ შავი ხავერდით თავგადაკრული მღვდელმთავრის კვერთხი. ხავერდის ქვეშ, რომელზეც ამოქარგული იყო ჯვარცმა, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი, ადგილობრივი, ბედიელი ეპისკოპოსის განმარტებით, სხვა სიწმინდეებთან ერთად ინახებოდა უფლის წმინდა ნაწილები: სამსჭვალი, ბაწარი, რომლითაც იგი გათოკეს; ეკლის გვირგვინის ნაწილი და ქრისტეს თმა.[53] რუსი ელჩების მიერ ბედიის ტაძარში დაცული სიწმინდეების შესახებ ცნობების სისწორეს ადასტურებს XVII საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის იოზეფ მარია ძამპის მონათხრობი, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილ წმინდა ნაწილებთან ერთად ბედიაში უნახავს იესო ქრისტეს წვერის ღერები, რომელიც მას წამების დროს დააგლიჯეს და სახვევი, რომელშიც მას ბავშვობაში ღვთისმშობელი ახვევდა.[54] მართალია, უფლის სიწმინდეთა ადგილსამყოფელს არ მიუთითებს, მაგრამ ფრიად საინტერესოა XVII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში მყოფი რუსი ბერის, არსენ სუხანოვის ცნობებიც.[55] წერილობით, წყაროებით ირკვევა, რომ რუს ელჩებს მღვდელ პავლე ზახარევს და დიაკონ ფედოტი ელჩინს ბედიის ტაძრის მონახულების დროს რელიქვიების დათვალიერების საშუალება არ მიეცათ იმის გამო, რომ სანაწილე სამეგრელოს მთავრის ბეჭდით იყო დაბეჭდილი, რომლის გახსნის უფლება არავის ჰქონდა. მათ არსებულ სიწმინდეთა შესახებ ცნობები ბედიელი ეპისკოპოსის საშუალებით მიიღეს. მისივე მეშვეობით რუს ელჩებს შეუტყვიათ, რომ ბედიის ტაძარში დაცული სიწმინდეები ადრე იმერეთში ინახებოდა, მაგრამ ქართლის მეფე სიმონ I-მა (1556-1569; 1578-1600) იმერეთში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ისინი წაიღო ქართლში. აქედან კი იგი სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს სიმონ მეფეზე გამარჯვების ნიშნად თავის სამთავროში მიუსვენებია.[56] წყაროებით დასტურდება, რომ ბედიის საკათედრო ტაძარში დაცული სიწმინდეების დიდი ნაწილი ისევ ქართლში მოხვედრილა. ჩვენთვის უცნობია, თუ როდის და ვის მიერ იქნა ისინი ბედიის ტაძრიდან წამოღებული, მაგრამ ფაქტია, რომ XIX საუკუნის მიწურულს ისინი უკვე სვეტიცხოვლის ტაძარშია დაცული. 1898 წლის მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის სიძველეთა აღწერიდან ირკვევა, რომ ამ დროისათვის აქ ყოფილა მაცხოვრის თმა, რომელიც გამჭვირვალე ჭურჭელში იყო მოთავსებული. აქვე იყო მაცხოვრის წვერის ღერები, როგორც ჩანს, სამეგრელოდან მოტანილი. საეკლესიო ტრადიციით, იგი ელიოზ მცხეთელს უფლის კვართთან ერთად მოუსვენებია, „რომელიც ეგლიჯათ მაცხოვრისათვის მწვალებლებს“. ისიც გამჭვირვალე, მისთვის განკუთვნილ ოთხკუთხა ჭურჭელში იყო მოთავსებული, რომელსაც თურმე ორი წითელი და ორი ლურჯი ძვირფასი ქვა ამშვენებდა ოთხივე მხარეს. სვეტიცხოვლის ტაძრის კუთვნილება იყო აგრეთვე ოქროს გრძელყურებიან ჭურჭელში მოთავსებული ქრისტეს სისხლი, რომელიც მაცხოვარს ჯვარცმის დროს სდიოდა და გადმოცემით

იგი საქართველოში პირველ ქრისტიანებს მოუტანიათ. ტაძრის კანკელის მარცხენა მხარეს დასვენებულ ხატში მოთავსებული იყო უფლის ძმის, წმინდა იაკობის ნაწილი. მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უფლის სახელთან დაკავშირებული აღნიშნული სიწმინდეები ჩასვენებული იყო კანკელის ორივე მხარეს დასვენებულ ხატებში, რომელთაც სათანადო წარწერები ამშვენებდა.[57] XVII საუკუნის 60-იან წლებში ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილს, პავლე ალეპოელს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სხვა სიწმინდეებთან ერთად უნახავს ქრისტეს სისხლი, ძელი ჭეშმარიტის ნაწილები, ორი თოკის ნაწილი, რომლითაც უფალი შეკოჭილი იყო.[58] ამავე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მყოფი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, სხვა სიწმინდეებთან ერთად სვეტიცხოვლის ტაძარში დაცული ყოფილა ეკლის გვირგვინის ნაწილი, რომელიც მაცხოვარს წამების დროს თავზე ედგა.[59] ამჟამად აღნიშნული ხატებისა და მასში ჩასვენებული სიწმიდეების ადგილსამყოფელი ჩვენთვის უცნობია, შესაძლებელია, ისინი, XX საუკუნის 20-იან წლებში ათეიზმის აღზევების პერიოდში განადგურდა.

იმავე რუს ელჩებს მღვდელ პავლე ზახარევსა და ფედოტი ელჩინს ეპისკოპოს ანდრიას დახმარებით სამეგრელოში, მაცხოვრის სახელობის ერთ-ერთ ტაძარში უნახავთ ძვირფას ხატში ჩასვენებული სიწმინდეები. ხატში მოთავსებული თითოეული სიწმინდე მოოქროვილ პატარა უჯრებში იყო მოთავსებული, რომელთაც შესაბამისი წარწერაც ჰქონიათ გაკეთებული იმის აღნიშვნით, თუ რა სიწმინდეს წარმოადგენდა ისინი. ელჩების გადმოცემით, წმინდა ხატზე ყოფილა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდისა და დედამისის, ელენე დედოფლის წარწერაც.[60] მათივე განცხადებით, ხატში ჩასვენებული იყო იმ ღრუბლის მცირე ნაწილი, რომელიც ძმრით გაჟღენთილი ჯვარცმულ მაცხოვარს მიადეს.[61] აღნიშნული სიწმინდე ამჟამად ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმშია დაცული. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ასეთივე ღრუბლის მეორე ნაწილი ინახებოდა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში, ზაგების მაცხოვრის ტაძარში, კანკელის მაღლა მოთავსებულ ოქროს ზარდახშაში. აღნიშნული ზარდახშა XVII საუკუნის დასაწყისში უნახავს იმ დროისათვის საქართველოში მყოფ იერუსალიმის პატრიარქ თეოფანეს.[62] მოგვიანებით, XIX საუკუნის ბოლოს ქრისტეს სახელთან დაკავშირებული აღნიშნული სიწმინდე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის კუთვნილება გამხდარა.[63]

XVII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მამასთან, ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსთან ერთად ჩამოსულ პავლე ალეპოელს მარტვილის სიძველეთა აღწერის დროს მონასტერში უნახავს პერანგი იმ პატარა ყმაწვილის სისხლით დასვრილი, რომელიც იროდ მეფის ბრძანებით იესო ქრისტეს შობის დროს მოუკლავთ.[64] პავლე ალეპოელის აღნიშნული ცნობის სისწორეს ადასტურებს, ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მყოფი რუსი ელჩების, ფედოტი ელჩინისა და პავლე ზახარევის მონათხრობი. მათ 1640 წლის 29 მარტს ადგილობრივი მღვდელმთავრის დახმარებით სხვა სიწმინდეებთან ერთად ჭყონდიდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაათვალიერეს სისხლით დასვრილი ჩვილი ბავშვის

პერანგი. ჭყონდიდელი მიტროპოლიტის მიტროფანეს განმარტებით, იგი ერთ-ერთ იმ ჩვილ ბავშვს ეკუთვნოდა, რომელიც მეფე იროდიმ ახლადდაბადებული იესო ქრისტეს ძებნისას დახოცა.[65] აქვე დავსძენთ, რომ XVII საუკუნის შუა ხანებში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერ დონ კრისტოფორო კასტელის ბედიის ტაძარში უნახავს „სისხლით შეღებილი თეთრი ქსოვილი“. ჩვენთვის უცნობია, უკავშირდება თუ არა აღნიშნული სიწმინდე ქრისტეს სახელს. მასზე, კასტელის გადმოცემით, შემორჩენილი იყო „ბერძენი პატრიარქის უძველესი წარწერა: „ქრისტე არის ღმრთის შვილი“.[66]

იმავე პავლე ალეპოელის ცნობით, როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, კახეთში,ალავერდის საკათედრო ტაძარში დაცული ყოფილა „Сударь Владики Христа“, რომელიც, მისი გადმოცემით, შაჰ-აბასს საქართველოდან გაუტანია.[67]

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. ექვთიმე თაყაიშვილს 1913 – 1914 წლებში, სამეგრელოში ექსპედიციის დროს მარტვილის მონასტერში აღმოუჩენია ღვთისმშობლის ხატი, რომლის ვერცხლის ბუდეში ქრისტეს საფლავის ქვის ნატეხები იყო ჩასმული და რომელსაც ამშვენებდა წარწერა.[68] ქრისტეს საფლავის ქვის ნატეხი XIX საუკუნის ბოლოს დაცული ყოფილა აგრეთვე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარშიც.[69] გარდა ამისა, როგორც ირკვევა, საქართველოში არსებულა მაცხოვრის ხის თეფში – საიდუმლო სერობიდან და შოლტი, რომლითაც იგი იგვემა.[70]

XVII საუკუნის შუა ხანებში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერ იოზეფ მარი ძამპის ხობის ტაძრის დათვალიერებისას სხვა სიწმინდეებთან ერთად პატარა სანაწილე კოლოფში უნახავს „მაცხოვრის წვერის რამდენიმე ღერი და შოლტი“.[71]

მაცხოვრის ხის თეფშის შესახებ აღვნიშნავთ, რომ ახალი აღთქმის ქართველ მთარგმნელებს იგი არ გადმოუქართულებიათ, რის გამოც, მან ჩვენამდე ბერძნული სიტყვის „პინაკის“ სახელწოდებით მოაღწია. ზოგიერთი მკვლევარი მის ქართულ შესატყვისად თეფშს მიიჩნევს, ზოგი კი სინს. მაცხოვრის ხის თეფშთან დაკავშირებით, ქვათახევის მონასტრის სიძველეთა აღწერისას, საინტერესო ცნობას გვაწვდის ცნობილი საეკლესიო მკვლევარი პლატონ იოსელიანი. XIX საუკუნის შუა ხანებში ქვათახევის ტაძარში მას უნახავს მაცხოვრის ხის თეფშის ნაწილი, „რომელზეც, გადმოცემით, შესრულებული იყო მაცხოვრის საიდუმლო ტრაპეზი, სიგრძე ერთ არშინზე მეტი აქვს, სიგანე ხუთი ვერშოკია, სისქე ნახევარ ვერშოკამდეა, გარდა ამოზნექილი არშიისა, რომელიც რამდენადმე უფრო სქელია. შემდეგში მთელი სინი დაფარული იყო თხელი ოქროთი და ვერცხლის ფურცლით, რომელზეც მოჭედილი იყო ყვავილები და ფიგურები. ამათ შორის ჯერ კიდევ ჩანს ანგელოზის ფრთა და მოციქულთა სახეები (არშიაზე), მაგრამ დღეისთვის დარჩენილია მხოლოდ პეტრე მოციქულის სახე; წარწერა ქართულია, მაშასადამე, სამკაული საქართველოშია გაკეთებული, დაფარულია თხელი ოქრო-ვერცხლიანი ჩარჩოთი, მოციქულების ამოზნექილი სახეებით. ფიცარი იმდენად ძველია, რომ ხელის შეხებით იფხვნება, ჩარჩო კი დაზიანებულია. ეს სინი მთელი არ არის, ნახევარია. ეტყობა, ოვალური ფორმისა იყო. გადმოცემით, იგი საბერძნეთიდან, ბერძენთა მეფის ასულის, ელენეს მიერ არის მოტანილი. ელენე მეფე ბაგრატ

კურაპალატის მეუღლე იყო“. ე. ი. პლატონ იოსელიანის მიერ მოპოვებული მასალით დასტურდება, რომ მაცხოვრის ხის თეფში საქართველოში XI საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან არსებობდა. მისივე ცნობით, XII საუკუნეში მეფე დავით აღმაშენებელმა ეს წმინდა ნაწილი ქვათახევის სავანეში გადმოიტანა. 1735 წელს, ქართლში ლეკების გაძლიერებული მძარცველობის დროს,როდესაც ლეკებმა მონასტერიც დაიკავეს და მთელი ქვათახევის ხეობაც, წმინდა ნაწილები მთის ერთ გამოქვაბულში, მონასტრის ახლოს იყო დამალული.

წინამძღვარი დოსითეოსი, დაახლოებით 1809 წელს, ძველი გადმოცემების მიხედვით, ეძებდა მას. წმინდა ნაწილები ბერებმა აღმოაჩინეს პატარა გამოქვაბულში, რომელიც ძალიან ოსტატურად იყო გარედან ქვებით ამოვსებული“.[72]

აღნიშნული სიწმინდის ღირებულების შესახებ პლატონ იოსელიანს მოჰყავს ამონაწერი ა. ნ. მურავიოვის ნაშრომიდან „Грузия и Армения“: „ფერმკრთალი ფიცრის სიძველე – წერს ა. მურავიოვი, – თითქოს დროით გაცვეთილისა, მოწმობს წმინდა სინის სიძველეს... უკეთუ, დროის სიძველისა და ქვეყნის უბედურ გარემოებათა გამო, დაიკარგა ან მონასტრის რომელიმე გაურკვეველ არქივში ინახება ამ ფასეულობის შესახებ წერილობითი საბუთები, მაინც არა გვაქვს მიზეზი დავეჭვდეთ, ჩვენ დრომდე შემონახული ღვთისმოსავ გადმოცემაში. იმდენი ბერძნული სიწმინდეები იყო გადმოტანილი საქართველოში, ბერძენთა მეფეების ასულებთან მის მეფეთა და უფლისწულთა ქორწინებათა გამო (და თვით მეფეებიც ასეთ ფასეულობებს ოქრო-ვერცხლზე მეტად იძენდნენ), რომ არაფერი არის დაუჯერებელი, რომ ძვირფასი სიწმიდე თბილისში არსებობდა. ქვეყნის მოქცევის დასაწყისშივე განა არ გამოუგზავნეს მეფეს ქალაქიდან ჯვრის ლურსმნები და მისი, ე. ი. ბაგრატ დიდის, დავითისა და თამარის დროს, ძალიან ბევრი წმინდა ნივთი არ შეხვდა საქართველოს მემკვიდრეობით? და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მან მოახერხა მათი დაცვა,მიუხედავად მონღოლთა,თემურ ლენგისა და სპარსელთა შემოსევების ყველა საშინელებისა“.[73]

ქართული იკონოგრფიული მასალით დასტურდება, რომ თბილისის ანჩისხატის ტაძრის ღვთისმშობლის ხატის სანაწილეში სხვა სიწმინდეებთან ერთად დაცული ყოფილა ქრისტეს საფლავის ქვა და ქრისტეს პინაკის ნაწილი[74], რომელიც, სამწუხაროდ, დღესდღეობით დაკარგულად ითვლება.

წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ რუსეთში გაგზავნილმა მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1662) ელჩმა, ეპისკოპოსმა თეოდოსიმ 1624 წლის მარტში მოსკოვში ჩაიტანა ძვირფასი თვლებით შემკული და ოქროთი დაფერილი ჯვარი. აღნიშნული ჯვრის სანაწილეში სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად ჩასვენებული ყოფილა იესო ქრისტეს სიწმინდეები: ძელი ჭეშმარიტის მცირე ნაწილი, ქვა სინას მთიდან, სადაც 40 დღე იმარხულა უფალმა და ქვის პატარა ნატეხი მაცხოვრის საფლავიდან.[75]

როგორც დასტურდება, XIX საუკუნის ბოლოს, მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაცულ წმინდა ხატში, მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეების გარდა ჩასვენებული ყოფილა ძველი აღთქმის სი-

წმინდე – მოსეს კვერთხის ხე, რომელიც ალბათ ებრაელთა მოტანილი უნდა ყოფილიყო.[76]

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ერთ-ერთი ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ხევში (დღევანდელი ყაზბეგის რაიონი), მყინვარწვერის ძირში ადამიანის მიერ გამოკვეთილ და მიუდგომელ ბეთლემის სახელწოდებით ცნობილ გამოქვაბულში, რომელშიც რკინის ჯაჭვით ასვლა ხელეწიფებოდა მხოლოდ განსაკუთრებული სიწმინდის პიროვნებას, ინახებოდა ქრისტეს აკვანი, აბრაამის კარავი და სხვა სიწმინდეები. აღნიშნულმა ლეგენდამ თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ წერილობით წყაროებში. XVIII საუკუნეში ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნული ზეპირი გადმოცემის შესახებ წერდა: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვ რკინისა, გარდმოკიდებული ქუაბიდამ, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკუანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსუეტუოდ, უსაბლოდ, და სხუათაცა საკ ერველთა. არამედ ვდუმებ“.[77] რა თქმა უნდა, აღნიშნულ ლეგენდას რეალურ სინამდვილესთან არაფერი აკავშირებს, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით იგი გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კახეთში არსებულ ალავერდის საკათედრო ტაძარში, პავლე ალეპოლელის ცნობით, დაცული ყოფილა ქრისტეს „Сударь“-ი, რომელიც, მისივე გადმოცემით, შაჰ-აბას I-ს საქართველოდან გაუტანია. ამ სიწმინდესთან დაკავშირებით უკანასკნელ პერიოდში აღმოჩნდა საინტერესო დოკუმენტური მასალა. ამ მასალის მიხედვით, XIX საუკუნის შუა ხანებში გელათის მონასტერში არსებულ ხახულის ღვთისმშობლის ხატზე შემკული ყოფილა ქრისტეს „Сударь“-ის მცირე ნაწილი. ჩვენი აზრით, ეს სიწმინდე იმ „Сударь“-ის ნაწილი უნდა იყოს, რომელიც XVII საუკუნის 20-იან წლებში საქართველოდან შაჰს გაუტანია. წყაროს მიხედვით, ხახულის ხატზე შებმული „Сударь“-ის ნაწილი შემკობილი ყოფილა ამავე ხატზე არსებული ქრისტეს შობის დროს მოგვებისაგან შეწირული ოთხკუთხა ოქროს თვალმარგალიტით[78]. 1859 წელს გელათის მონასტრიდან, ხახულის ხატის გაძარცვის დროს, აღნიშნული სიწმინდე დაკარგულა. ამავე წყაროს ცნობით, ქრისტეს „Сударь“-ის ნაწილი იოანე ნათლისმცემლის ჩოხის ძაფის ნაწილთან ერთად მოთავსებული ყოფილა ოქროს სანაწილეში[79]. თავის მხრივ, ქართული საეკლესიო გადმოცემით, ხახულის ღვთისმშობლის ხატიც ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეს წარმოადგენდა. ამ გადმოცემით, ხახულის ღვთისმშობლის ხატი დაწერილი ყოფილა ლუკა მახარებლის მიერ „ფიცარსა ზედა ბაგისასა, რომელსა შინა მწოლარე იყო პირველ საუკუნო ყრმა“[80].

თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ინახება მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები: ქვა მაცხოვრის საპყრობილიდან, მიწა გეთსიმანიის ბაღიდან, ქვა გოლგოთიდან, მაცხოვრის დროინდელი ზეთისხილის ხის ნაწილი და მიწა.

როგორც წერილობითი წყაროებით ირკვევა, ოთარაშენის (ოთარშენი) ეკლესიაში დაცული ყოფილა იერუსალიმიდან ჩამოტანილი, უფლის სახელთან

დაკავშირებული სიწმინდეები: „ბანბა, ცხოველმყოფელისა ნაბანი, რომ გაწმინდეს“, „სულიწმინდის მოსვლის დღეს წ(მიდ)ას ტრაპეზზე ბარძიმის ქვეშ დადებული ვარდი,“ „ბზის ნაწილები, რომელსაც ფეხქვეშ უფენდნენ მაცხოვარს იერუსალიმში შესვლის დროს“, „ძელი ცხოველის ნაწილი“, „ქრისტეს საფლავის ლოდი“, მდინარე იორდანის კენჭი და სხვა წმინდა ნაწილები. საბჭოთა ხელისუფლების დროს აღნიშნული სიწმინდეები საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კუთვნილებას წარმოადგენდა, 1991 წელს კი ისინი სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა.

სამწუხაროდ, უფლის სახელთან დაკავშირებულ, ჩვენ მიერ გამოკვლეულ სიწმინდეთა უდიდეს ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჟამთა სიავისა თუ ბოლშევიკთა ათეისტური რეჟიმის გამო საეკლესიო სიწმინდეთა დიდი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს.

თავი III

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში

1. ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხისათვის

უძველესი ქართული წერილობითი წყაროებისა და საეკლესიო ტრადიციის თანახმად, რასაც აგრეთვე მხარს უჭერს მათთან შედარებით გვიანი ხანის უცხოური დოკუმენტური მასალა, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ღვთისმშობლის წილხვდომობის შესახებ მეტად საინტერესოა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ლეონტი მროველისეული თხრობა. აგრეთვე ჩვენთვის ძვირფას ცნობებს შეიცავს ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ორი რედაქცია, რომელთაგან ერთი XI საუკუნით თარიღდება, მეორე კი – XIV საუკუნით. XI საუკუნით დათარიღებული რედაქცია შემოკლებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული, ხოლო მეორე შედარებით ვრცელია. შესაბამისად, ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხი მეორე რედაქციაში უფრო ფართოდაა წარმოდგენილი.

ღვთისმშობლის წილხვდომობის ანარეკლი აშკარად შეინიშნება IX საუკუნეში მოღვაწე ღირსი მამის ილარიონ ქართველისადმი († 875) მიძღვნილი ცხოვრების სხვადასხვა რედაქციებში. ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დასტურდება, რომ ილარიონ ქართველის ცხოვრების კიმენური რედაქცია დაწერილია X საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო, მეტაფრასული – XII საუკუნის დასწყისში.[1] მცირეოდენი განსხვავების მიუხედავად ორივე რედაქციაში ჩვენთვის საინტერესო ფაქტია დადასტურებული.[2] კიმენური რედაქციის მიხედვით, ულუმბოს მთის ერთ-ერთ მონასტერში მყოფი ბერძენი სასულიერო პირებისაგან შევიწროვებულ ილარიონ ქართველს მფარველად და მეოხად ღვთისმშობელი მოევლინა, რომელიც ძილში გამოეცხადება ბერძენ მამასახლისს და მკაცრად გააფრთხილებს: „რომელნი მათ (ქართველებს ე. ბ.) არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მონიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყვნელად მართლმადიდებლობისათYს მათისა, ვინაAთგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისაA და ნათელ-იღეს“.[3]

ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XII საუკუნის საქართველოს ცნობილი კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის (1150 – 1177) თხზულებაში: „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, უფლისა კუართისა და კათოლიკე ეკლესიისა“. მართალია, X – XIV საუკუნის ქართული წერილობითი წყაროებით უტყუარად დასტურდება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მაგრამ აშკარაა, რომ აღნიშნული ცნობები დასახელებულ საუკუნემდე დიდი ხნით ადრე

არსებულ საეკლესიო გადმოცემებს და დოკუმენტურ მასალებს უნდა ეყრდნობოდეს.

ქართული წერილობითი წყაროების გარდა, ივერიის ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხი დაფიქსირებულია უცხოურ წერილობით დოკუმენტურ მასალებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია ბერძნული და რუსული წერილობითი წყაროები. ბერძნული დოკუმენტური მასალის ავტორად მიჩნეულია სტეფანე ათონელი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სტეფანე ათონელის თხზულებაში მარიამ ღვთისმშობლის მიერ საქართველოს წილხვდომობის საკითხი ათონის წმინდა მიწაზე არსებულ ივირონის მონასტერში მოღვაწე ქართველი მამების გადმოცემის საფუძველზე უნდა შესულიყო.[4] ამავე გზით ხდება იგი ცნობილი რუსი სასულიერო პირებისათვის. რუსეთის საეკლესიო პირებს სტეფანე ათონელის ბერძნული თხზულება იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევიათ, რომ იგი უთარგმნიათ და „Рай Мысленный“-ის სახელწოდებით 1659 წელს ვალდაის ივერიის მონასტერში ბეჭდური სახით რუსულ ენაზე გამოუციათ.[5] მართალია, XVII საუკუნეში „Рай Мысленный“ განუვრცია რუსეთის პატრიარქ ნიკონს, რომლის ინიციატივით გამოიცა აღნიშნული წიგნი, მაგრამ უტყუარად მიჩნეულია, რომ თავდაპირველად იგი სტეფანე ათონელს ბერძნულ ენაზე დაუწერია. სტეფანე ათონელის თხზულებაში შეტანილ „მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილ ივერიას“ არ ატყვია ნიკონის რედაქციის ხელი. მკვლევარები, აგრეთვე იმასაც აღიარებენ, რომ სტეფანე ათონელის „...ივერიის წილხვდომილობის“ ისტორია ძირითადი წყაროა დიმიტრი როსტოველის თხზულებისა. ამ უკანასკნელს სტეფანე ათონელის აღნიშნული გადმოცემა გამოუყენებია თავის თხზულებაში „ჩეტა მინეიაში“, რომელიც თავის დროზე, XVIII საუკუნეში ქართულად თარგმნა გაიოზ რექტორმა.[6]

„ივერიის მფარველის მარიამისა“ და მისი სახელობის ხატის გარშემო ძველ რუსულ მწერლობაში რამდენიმე ნაწარმოებია შექმნილი. „მათი უმრავლესობა ათონის „ივერთან“ და საქართველოსთანაა დაკავშირებული“. ამ ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: «Сказание о чудотворной Иверской иконе Богоматери»; «Сказание о св. Иконе Портайтской како прииде в обитель Иверскую»; «Сказание и повесть об иконах (богородичных) Иверской (Грузинской)»; «Сказание о чудесы иконы Богородицы Иверския»; «Повесть об иконе пресвятыя Богородицы Грузинския».[7] აღნიშნული ნაწარმოებები ძველ რუსულ მწერლობაში ძირითადად „საკითხავების“ სახითაა წარმოდგენილი. „მოტანილ ვარიანტულ „საკითხავებში“ გატარებულია ის აზრი, რომ „ივერიის მფარველ მარიამს“ შეუძლია, „მფარველობა გაუწიოს“ აგრეთვე თათარ-მონღოლთაგან შევიწროებულ რუსებს. ეს „თქმულებები“ უმთავრესად ჩაწერილ იქნა XV – XVII საუკუნეებში, მაგრამ მათი წიგნური წყაროები ბევრად უფრო ძველია“.[8] მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ „XVI საუკუნიდან მოყოლებული ლიტერატურულ ნიადაგზე რუსეთსა და საქართველოში საბოლოოდ მტკიცდება რწმენა, რომ მარიამი და მისი „ხატი მფარველია“ არა მარტო მისი „წილხდომილი ივერიისა“, არამედ „მოსკოვისა და ჩრდილოეთის მის ქვეყნისა“.[9] ალბათ, ამ ფაქტორით იყო განპირობებული, რომ რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოდან და ათონის მთიდან წაღებული ივერიის

სახელით ცნობილი ღვთისმშობლის ხატის ასლები, რომელთა სახელზე შენდებოდა მრავალი ეკლესია-მონასტერი. თუ რამდენად პოპულარული იყო ივერიის მფარველი მარიამ ღვთისმშობლისა და მისი ხატის თემა საქართველოსა და რუსეთში, ამის დასტურია ის, რომ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში რუსეთში მოღვაწე ქართველმა მეფე-პოეტმა არჩილმა და მისმა შვილმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ხოლო გვიან, გაიოზ რექტორმა და რომანოზ ბაზლიძემ „რუსულიდან თარგმნეს საქართველოდან რუსულ მწერლობაში გადასული აღნიშნული თემა და სიუჟეტი“.[10]

მოკლედ და ლაკონურად გადმოგვცემს მარიამ ღვთისმშობლის მიერ ივერიის წილხვდომობის ფაქტს „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული ვერსია, რომლის თანახმად, მაცხოვარის ამაღლებიდან მეათე დღეს, როცა მოციქულებმა წილი იყარეს, თუ ვის სად უნდა ექადაგა ქრისტეს მოძღვრება, საქართველო ღვთისმშობელს ხვდა წილად. აქვე დავძენთ, რომ ერთ-ერთი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობელს ივერია სამგზის წილის ყრით ერგო.[11] გამომგზავრებამდე, ლეონტი მროველის გადმოცემით, მარიამ ღვთისმშობელს უფალი გამოეცხადა, რომელმაც განუცხადა: „დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი სახეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთ ს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა-წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“.[12] მარიამ ღვთისმშობელი უფლის ბრძანებისამებრ მოიქცა. დედა ღვთისამ უფლის ნება აუწყა ანდრია მოციქულს, რომ იგი უნდა წასულიყო „... ქუეყანასა, ჩემდა წილხდომილსა, რათა მე ვიყო გამგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიოთ მათ, და არავინ მტერთაგან მძლე ექმნას მათ“.[13] საქართველოში გამომგზავრებამდე, ხელთუქმნელი ხატის გადაცემის შემდეგ, ღვთისმშობელმა ანდრია პირველწოდებულს განუცხადა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავ შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებისა მაგას, და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“.[14]

„ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული ვერსიისაგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს XIV საუკუნით დათარიღებული წმინდა ნინოს სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქცია, რომლის მიხედვით, წილისყრის შემდეგ მარიამ ღვთისმშობელი „წარემართა მისდა ხუედრებულსა მას ნაწილსა და თან წარიყვანნა იაკობ მღვდელთ-მოძღუარი და იოანე ღმრთისმეტყველი და დანი იგი, რომელნი მსახურებდეს, და წარვიდა და ვლო გზასა და, ვითარცა მიიწია იოპედ, გამოეცხადა მას უფალი და ჰრქუა, ვითარმედ: „არა ჯერ-არს განშორება შენი იერუსალიმით, არამედ დაჯედ ქალაქსა შინა, ვითარცა დედოფალი ყოველთა, რამეთუ ნაცვლად ჩემისა შემდგომად შენ იყო მზრუნველ და ნუგეშინის-მცემელ მათდა, რომელნი სახელისა ჩემისათვის იღუაწენ და ნაწილისა მის შენდა ხუედრებულისათვის აწ ნუ მჭმუნვარე ხარ, სასურველო დედაო, რამეთუ ყოველნივე და-

ბადებულნი ჩემნი შენდა შეევედრებულ არიან და ნათესავისა მისთვის მე ვიზრუნო და არა უგულებელს ვყო“.[15] მოტანილი ვრცელი ციტატიდან აშკარად ჩანს, თუ რატომ არ დართო ნება უფალმა მარიამ ღვთისმშობელს, თავის წილხვდომილ ქვეყანაში ახალი სარწმუნოების საქადაგებლად წასულიყო.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ღვთისმშობლის მიერ ივერიის წილხვდომობის საკითხს ქართულ წყაროებთან შედარებით უფრო ვრცლად და განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგენს სტეფანე ათონელი, რომელსაც მთლიანი სახით გთავაზობთ: „შემდგომ ამადლების უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესსა, ყოველნი მოწაფენი ბრძანებისამებრ მისისა იერუსალიმით განუშორებით იყვნეს შეკრებილ სინაის მთასა ზედა დედისა უფლისა მარიამისთან და მოელოდნენ აღთქმულსა მათდა ნუგეშის-მცემელსა. ოდესცა უკუე მათ განიგდეს წილი, თუ ვის რომელი მხარე შეხვდების ქადაგებად სახარებისა, ყოვლადწმინდა ქალწულმან ჰრქუა მათ: „მეცა თქუენთანა მნებავს აღებად წილისა, რათა ვსცნა, რომელსაც მხარესა განმიწესებს მე ღმერთი: „მიიღეს რა სიტყუა დედისა ღუთისა, მათ კეთილ-მოწიწებით ჰყარეს წილი და მას შეხვდა ქუეყანა ივერიისა, რომელიცა აწ არს საქართველო. ყოვლად წმინდამან განიხარა წილ-ხდომისა მისთვის და შემდგომ სულის წმიდის მიღებისა, რომელიცა მსგავსად ცეცხლისა მათ მიეფინათ, ისურვა წასვლა მხარესა ივერიისა. გარნა ანგელოსმან ღუთისამან ჰრქუა მას: „ნუ განეშორები იერუსალიმით, მხარე, სადაცა წარსვლა გსურის შენ, განათლდების უკანასკნელთა დღეთა და მეუფება შენი დამტკიცდების მუნ. შემდგომ რაოდენისამე ჟამისა მზრუნველობათა შენთა მიგელის სხუა ქუეყანა, რომელსაცა თვით ღმერთი მიგიყვანს შენ“. აჰა რა სთვის დაშთა ყოვლად წმინდა გრძელს ჟამსა იერუსალიმსა შინა“ – დასძენს სტეფანე ათონელი.[16]

იმავე სტეფანე ათონელის გადმოცემით, იერუსალიმში მყოფი ღვთისმშობელი იოანე ღვთისმეტყველის სახლში ცხოვრობდა და მასთან ერთად დიდად იღვწოდა ახალი სარწმუნოების განმტკიცებისათვის. უფლის ნებით ღვთისმშობელმა, როგორც სტეფანე ათონელი მოგვითხრობს, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად ათონზე და კვიპროსზე განამტკიცა ქრისტეს რწმენა და კარგა ხნის შემდეგ განეშორა წუთისოფელს.[17]

სტეფანე ათონელის მონათხრობსა და ზემოთ აღნიშნულ ქართულ წერილობით წყაროებში კარგადაა ახსნილი, თუ რატომ არ მიეცა კურთხევა უფლისა მარიამ ღვთისმშობელს, თავის წილხვდომილ ქვეყანაში ექადაგა ქრისტიანობა. მოტანილი დოკუმენტური მასალა ეწინააღმდეგება უკანასკნელ პერიოდში გავრცელებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ღვთისმშობლის საქართველოში შემოსვლა ახალი სარწმუნოების საქადაგებლად თითქოს იმის გამო არ მომხდარა, რომ მისი მიძინების დრო იყო მოახლოებული, რაც მას ანგელოზთა პირით ემცნო. ჩვენ მიერ მოძიებული წყაროები ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა.

საქართველოს გარდა წმ. ათონის მთას, კვიპროსს და სხვა ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ მარიამ ღვთისმშობელი მათი მფარველია. ბუნებრივია, რომ ასეთი ცნობები არ ეწინააღმდეგება ქართულ საეკლესიო ტრადიციას, რომლის მიხედვით საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი და მისი

მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყანაა. ღვთისმშობელი, როგორც მაცხოვრის დედა, მთელი ქრისტიანული სამყაროს მფარველია. მისი მფარველობა ვრცელდება იმ ქვეყნებზე, რომლებიც მტკიცედ იცავენ ქრისტეს ჭეშმარიტ რწმენას. ამ პრინციპიდან გამომდინარე, „ღვთისმშობელი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ რომელიმე ერისათვის მიკერძოებული მნიშვნელობით. იგი მთელი ქვეყნიერებისთვის ერთნაირადაა ღვთისმშობელი. სწორედ ამიტომაც, ღვთისმშობელი არ მიდის ერთ რომელიმე მხარეში ქრისტიანობის საქადაგებლად. იგი რჩება იმდროინდელი სულიერი მოვლენების ცენტრში – იერუსალიმში, მაგრამ... ყოველივე ამის მიუხედავად გვეუწყება, რომ ღვთისმშობელს საქადაგებლად საქართველო ხვდა წილად და, მართალია, იგი ფიზიკურად არ ჩასულა საქართველოში, მაგრამ ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება საქართველოში სწორედ ღვთისმშობლის ინსპირაციით განხორციელდა“.[18]

ღვთისმშობლის წილხვდომობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა ეკლესიებთან შედარებით რაიმე პრივილეგიას ან უპირატესობას არ ანიჭებს. უფრო მეტიც, საუკუნეების განმავლობაში ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა გათავისებული ეს მოვალეობა და რწმენაში გაძლიერებითა და მისადმი თავგანწირვით ცდილობდა, გაემართლებინა მარიამ ღვთისმშობლის მფარველობა. ქართული წერილობითი წყაროებიდან უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის დასტურად, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქართველი ხალხი არაერთხელ იხსნა მარიამ ღვთისმშობლის მფარველობამ.

ღვთისმშობლის წილხვდომობისა და მფარველობის გამო დედა ღვთისამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. მის სახელზე ჩვენში უძველესი დროიდან შენდებოდა მრავალი ეკლესია-მონასტერი. საქართველოს ეკლესიის ძვირფას სიწმინდედ ითვლება ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატებიც. ქართულ სინამდვილეში უძველესი დროიდან შეიქმნა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი უამრავი საგალობელი. ქართველმა ხალხმა სიცოცხლის ხედ მიჩნეული ვაზი ღვთისმშობლის სიმბოლოდ აქცი ა. მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი უძველესი ქართული საგალობლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XII საუკუნეში მოღვაწე მეფე დემეტრე I-ის (1125-1156) მიერ შექმნილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

2. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და მის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები საქართველოში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენს მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები, რომელთა დიდმა ნაწილმა ჩვენამდე სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოაღწია. ამ სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია ღვთისმშობლის კვართი, ღვთისმშობლის სარტყელი და სხვა, რომელთა შესახებ დაწვრილებით ცნობებს ქვემოთ წარმოვადგენთ. ამჟამად კი ისეთ სიწმინდეებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც დაკარგულად ითვლება.

1640 წლის 8 თებერვალს სამეგრელოს მთავრის, დადიანის მიწაზე მყოფ რუს ელჩებს მღვდელ პავლე ზახარევს და დიაკონ ფედოტი ელჩინს ადგილობრივი მღვდელმთავრის მაქსიმე ეპისკოპოსის დახმარებით დაუთვალიერებიათ მოქვის ტაძარი, სადაც მათ სხვა სიწმინდეებთან ერთად უნახავთ თეთრი ქვისგან დამზადებული კვირისთავი. ეპისკოპოს მაქსიმე მოქველის განმარტებით, აღნიშნული სიწმინდე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კუთვნილება ყოფილა, რომლითაც იგი ძაფს ართავდა.[1]

საქართველოში არსებულ მარიამ ღვთისმშობლის სხვა სიწმინდეებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდიან 1650-1652 წლებში იმერეთის სამეფოში ელჩად მყოფი რუსეთის მეფის დესპანები ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი, რომლებმაც დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის ცალ-ცალკე აღწერილობები წარუდგინეს რუსეთის მაშინდელ ხელისუფლებას. ამ აღწერილობიდან ირკვევა, რომ რუს ელჩებს ქუთაისის სიძველეთა დათვალიერებისას გელათის ღვთისმშობლის ტაძარში ადგილობრივი მიტროპოლიტის ზაქარიას მეგზურობით უნახავთ სხვადასხვა სიწმინდე. ისინი დაწვრილებით აღწერენ აღნიშნულ ტაძარში დასვენებულ ერთი საჟენის სიმაღლის, ოქროთი დაფერილ ვერცხლის ჯვარს, რომელიც ჟოლოსფერი იაგუნდით, ცისფერი ქვითა და ორმუზის მარგალიტით ყოფილა შემკული. ზაქარია მიტროპოლიტის გადმოცემით, რომელიც სიტყვასიტყვით ჩაუწერია ალექსი იევლევს, „ამ ჯვარს, შიგნით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კბილი აქვს დატანებულიო, შვიდი წლის ასაკის დროინდელიო. აგრეთვე ამ ჯვარს (ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის) ის თმები აქვს დატანებული, ქრისტეს ჯვარცმის დროს რომ გამწარებულმა დაიგლიჯაო. ჯვარში ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის რძეც არისო. შუაში ამ ჯვარსო, ოქროს მცირე კიდობანი აქვს დატანებულიო, კიდობანს ოქროს საკეტი აქვსო. ამ კიდობნის სიგრძესიგანე ნახევარი არშინი იქნებაო. გვერდებზე ქერაბიმია ამოტვიფრულიო. საკეტს შუაში ჟოლოსფერი დიდი კაკლის ოდენა იაგუნდის თვალი უზისო. იმ საკეტს გარშემო, იქით-აქეთ, ჟოლოსფერი იაგუნდის და ცისფერი ძვირფასი ქვები და ორმუზის მარგალიტები უზისო“. ზაქარია მიტროპოლიტს რუსი ელჩებისათვის უამბნია, რომ „ის კიდობანი და მისი საკეტი იმ ოქროსაგან არის გაკეთებულიო, რომელიც ქრისტეს დაბადების დამეს ღვთისმშობელს საჩუქრად მიართვეს სპარსელმა მოგვებმაო“.[2] ალექსი იევლევის აღნიშნულ ცნობას ადასტურებს ნიკიფორე ტოლოჩანოვის მიერ შედგენილი „მუხლობრივი აღწერილობაც“. იგი აკონკრეტებს, რომ ღვთისმშობლის დასახელებულ სიწმინდეებთან ერთად აღნიშნულ ჯვარში, ჯვარცმის ზემოთ მოთავსებული იყო აგრეთვე ქრისტეს თმები და წვერის ღერები. მისივე განმარტებით, გელათის ტაძარში დასვენებული მოოქროვილი ჯვარი საქართველოში „ძველად კონსტანტინე მეფემ გამოგზავნა, როცა თავისი ქალიშვილი ქართველ მეფეს, გიორგის მიათხოვაო“.[3] აღნიშნული ჯვრის წარმომავლობის შესახებ ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს ალექსი იევლევი. მისი განმარტებით, ოქროთი დაფერილი ჯვარი სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად კონსტანტინოპოლიდან საქართველოში მოუტანია კონსტანტინე მეფის ქალიშვილს ირინეს, როდესაც იგი იმერეთის მეფეს დავითს მიათხოვესო.[4] ორი

ურთიერთგამომრიცხავი ცნობის მიუხედავად, აშკარაა, რომ აღნიშნული ჯვარი საქართველოში ბიზანტიის იმპერიიდან ყოფილა შემოსვენებული, მაგრამ, თუ როდის, ან დასახელებული მეფეები ვინ იყვნენ, ამჟამად ამის დაზუსტება ვერ ხერხდება. ნიკიფორე ტოლოჩანოვის განმარტებით, აღნიშნული ჯვარი იმ ოქროს ნაწილებისაგან ყოფილა დამზადებული, რომელიც მოგვებმა თაყვანისცემის დროს კეთილსურნელოვან საკმეველთან ერთად ახალშობილ იესო ქრისტეს მიართვეს. მისივე ცნობით, ჯვარში ჩასვენებული ღვთისმშობლის კბილიც ოქროს კიდობანში ყოფილა ჩადებული.[5] ამავე ტაძარში ნიკიფორე ტოლოჩანოვს და ალექსი იევლევს უნახავთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატიც (ხახულის ხატი), რომელიც ზაქარია მიტროპოლიტის განმარტებით, ლუკა მახარებლის დახატული ყოფილა.[6]

XIX საუკუნის ბოლოს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის კანკელის მარჯვენა მხარეს დასვენებულ ხატში სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად ჩასვენებული ყოფილა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის თმა[7]. წყაროებით დასტურდება, რომ XX საუკუნის დასაწყისში თბილისის ანჩისხატის ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატის სანაწილეში ჩასვენებული იყო ღვთისმშობლის თმა.

ამჟამად, ჩვენ მიერ მოძიებული სიწმინდეების ბედი უცნობია და ისინი დაკარგულად ითვლება.

მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეთა შორის, რომელთაც ჩვენამდე ნივთიერი სახით მიაღწიეს, აღსანიშნავია კვართი. ამჟამად იგი დაცულია სამეგრელოს მთავრების – დადიანისეული სასახლის ბაზაზე დაარსებულ ზუგდიდის მუზეუმში. ადრე იგი სხვა სიწმინდეებთან ერთად ხობის მიძინების ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა. ხობის ტაძარში და შემდგომ ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული წმინდა ნაწილების და მათ შორის ღვთისმშობლის კვართის წარმოჩენას დიდი ამაგი დასდო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ღვთის კაცის სახელით წმინდანად შერაცხულმა ექვთიმე თაყაიშვილმა, მღვდელმონაზონმა კალისტრატემ (ჩიჩუა), ლ. ბერაიამ, გ. კალანდიამ, ა. სიჭინავამ და გ. ჩიტაიამ. მათ საინტერესო შრომები მიუძღვნეს ჩვენი საკვლევი საკითხის შესწავლას.

როგორც ჩანს, ნარმისაგან ნაქსოვი მარიამ ღვთისმშობლის კვართი თავდაპირველად ყვავილებით უნდა ყოფილიყო დაჩითული, რასაც ადასტურებს მასზე არსებული შემორჩენილი ნაშთები. დროთა განმავლობაში, სიძველის გამო, კვართი გახუნებულა. ამჟამად იგი ჩალისფერია და ტილოს უფრო წააგავს. მისი ზომებია: 180 X 150 სმ.[8] მიუხედავად სიძველისა, ღვთისმშობლის კვართი შედარებით კარგადაა შენახული.

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში არსებული ღვთისმშობლის კვართი სხვა სიწმინდეებთან ერთად (წმინდა მარინეს მკლავი, რომელსაც აკლია დიდი თითი და საჩვენებელი თითის სახსარი; წმინდა კვირიკეს ხელი – აკლია ნეკი და არათითი; წმინდა გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილები) ჩასვენებულია ძლიერ დაზიანებულ მცირე მოცულობის კუბოში, რომელიც მკვლევარების აზრით, სამეგრელოს მთავრის, ლევან II დადიანის

(1611-1657) დაკვეთით დაუმზადებიათ.[9] წმინდა ნაწილების შესანახ კუბოზე არსებული წარწერები ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ცნობილმა მკლევარმა და ეპიგრაფიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა 1913 წელს ფეხით მოიარა და აღნუსხა სამეგრელოში დაცული სიწმინდეები. მათ შორის, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ხობის მიძინების ტაძარში დაცული, ჩვენ მიერ მოხსენებული წმინდა ნაწილები. მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს (ჩიჩუა) შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა აღწერა და გამოაქვეყნა მარიამ ღვთისმშობლის კვართისა და სხვა სიწმინდეთა შესანახ კუბოზე არსებული წარწერა. ექვთიმე თაყაიშვილის დროს სიწმინდეთა სანაწილე კოლოფი იყო უბრალო, „ვერცხლით შეჭედილი, შუაში ღვთისმშობლის სახეა, რომელსაც სამი ქვა უზის: ორი ფირუზი და ერთი იაგუნდი“. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით, სიწმინდეების შესანახ კუბოზე მოთავსებულია მხედრული წარწერა, რომელშიც გურიის მთავრის, გიორგი II გურიელის († 1600) შვილი, მალაქიაა მოხსენებული. მალაქია გურიელი შესთხოვს ხობის ღვთისმშობელს:

„1) ქ: ხოფის: ღ(ვ)თის მშობელო: ადიდე: ორ

2) თავე: შინა, ცხორებათა: ამის:

3) შემამკობელი: გურიელის შვილი: მალაქია: ვინცა შენდობა ბრძანოთ: თქვენცა:

4) შეგინდოს: ღმერთმან: ამინ:“[10]

აღნიშნული წარწერის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ წარწერაში მოხსენებული მალაქია გურიელი XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ცნობილი მღვდელმთავარია. იგი ერთხანს ჯუმათ-ცაიშისა და შემოქმედის ეპარქიას განაგებდა, ხოლო 1616-1639 წლებში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსიც იყო.[11] სასულიერო მოღვაწეობისას მან ააშენა და აღადგინა მრავალი ეკლესია-მონასტერი. ზემოაღნიშნული წარწერით ირკვევა, რომ მას შეუმკია იმ დროს ხობის მიძინების მონასტერში დაცული ღვთისმშობლის კვართისა და სხვა სიწმინდეთა შესანახი კუბო. წარწერით არ ირკვევა, თუ რომელ წელს შეამკო მან სიწმინდეთა სანაწილე და აგრეთვე არაფერია ნათქვამი მისი სასულიერო მოღვაწეობის შესახებ. როგორც წესი, ასეთი სახის წარწერაში ღვაწლის გამღები, თუკი სასულიერო პირი იყო, იგი აუცილებლად თავისი წოდებით იქნებოდა მოხსენებული. კონკრეტულ შემთხვევაში მალაქია თავისი მამის, გურიის მთავრის, გიორგი II-ის ძედ არის მოხსენებული და არავითარი მინიშნებაც კი არ არსებობს მის სასულიერო ღირსებაზე. შესაძლოა, მან აღნიშნულ სიწმინდეთა შესანახი კუბო მანამდე შეამკო, სანამ იგი სასულიერო მოღვაწეობას დაიწყებდა, ან კიდევ მალაქია გურიელმა წარწერაში საგანგებოდ არ გამოკვეთა თავისი სასულიერო წოდება. ასეთი გაურკვევლობის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია, XVII საუკუნის დასაწყისში უკვე არსებობდა სიწმინდეთა ჩასასვენებელი კუბო, რითაც დასტურდება ის ფაქტი, რომ იგი სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის დაკვეთით არ დაუმზადებიათ.

1862 – 1882 წლებში ხობის მიძინების მონასტერში მოღვაწე მღვდელმონაზონმა კალისტრატემ (ჩიჩუა) დაწვრილებით აღწერა აღნიშნული ტაძრის სიძველეები.[12] მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სანაწილე კუბოს აღწერას. მისი გადმოცემით, „ყოვლადწმიდის ღვთის მშობლის კვართის (პერანგი) კუბო ვერცხლით მოჭედილია, სიგრძით 9 გოჯი, განი 6 გოჯი, სიმაღლე 5 გოჯი“.[13] მანვე პირველად გამოაქვეყნა სანაწილე კუბოს ირგვლივ, ქვემო ნაწილში მოთავსებული სამეგრელოს მთავრის, ლევან II დადიანის (1611-1657) დაკვეთით, მხედრული ანბანით შესრულებული ქართული წარწერა:

„ქ: რომელი: მამისაგან: საღმრთოითა:. ძალითა:. სძლად:. გამოირჩიე:. და:. მისგან:. მხოლოდ:. შობილისა:. დედა:. შეყვარებულად:. გამოჩნდი:. ფარვითა:. ყოვლად:. წმიდისა:. სულისათა:. შენ: უქორწინებლად:. მშობელო ქალწულებით:. დაცულო:. მშობელო:. მეუფებისა:. მხსნელისაო:. უხრწნელო:. დედოფალო:. მარიამ:. რომელი:. ყოველთა ცოდვილთა:. მეოხი:. ხარ: და:. შემწე:. შენ:. ჭეშმარიტო:. შემძლებელო:. ლხინებისაო:. საჩინო:. სახელ:. დიდო:. უხრწნელო:. მეოხ:. მხსნელო:. განმსვენებელ:. და ცეცხლისა:. სატანჯველისა:. განმარინებელ:. ექმენ:. დედოფალს:. ნესტან-დარეჯანს:. ასულსა:. ჭილაძისასა:. რომლის:. საუკუნის:. სახსენებლად:. და:. ცოდვათა:. მისატევებლად:. შეგამკე:. და:. მოვაჭედინე:. კვართისა:. კუბო:. ესე:. ვერცხლითა:. ოქროთ:. დაფერვითა:. თვალი:. მარგალიტითა:. ხელმწიფემან:. დადიანმან:. პატრონმან:. ლევან:. მისთვის:. საოხად:. შეგიმკეთ:. ყოვლად:. წმინდაო:. ქერაბინთა: უმაღლესო:. სერაბინთა:. უაღმატებულესო:. ქალწულო:. ყოვლად:. საგალობელო:. ლხინებაო:. ყოველთა:. ქრისტეანეთაო:. შეისმინე:. ვედრება:. ჩვენი:. დაიხსენ:. და:. აცხოვნე:. და:. განუსვენე:. და:. აკურთხე:. სული:. ნესტან-დარეჯანისა:. და:. დაამკვიდრე:. სასუფეველსა:. ამინ: მოიჭედა:. კვართის: კუბო ესე: ქორანიკონსა:. ტკ :. – 1640 წ“.[14]

კალისტრატე მღვდელმონაზონის მიერ გამოქვეყნებული წარწერის ბოლო ნაწილი, სადაც მისი დაწერის თარიღია მითითებული, ექვთიმე თაყაიშვილის წარწერაში საერთოდ არ არის დაფიქსირებული. ამის გამო, იგი წარწერას მისი შინაარსის მიხედვით ათარიღებს და დაასკვნის, რახან აღნიშნული კუბო ლევან დადიანს შეუმკია ახლადგარდაცვლილი მეუღლის, ნესტან-დარეჯანის სულის საოხად, ამიტომ, ექვთიმეს აზრით, კუბოზე წარწერა უნდა შესრულებულიყო 1639 – 1657 წლებს შუა პერიოდში, რადგან 1639 წელს მისი მეუღლე გარდაიცვალა, ხოლო ლევან II დადიანი – 1657 წელს. ჩვენთვის უცნობია, სანაწილე კუბოზე არსებული წარწერის ამ ბოლო ნაწილს ექვთიმე თაყაიშვილმა რატომ არ მიაქცია ყურადღება. ცნობილ წყაროთმცოდნესა და ეპიგრაფიკოს ექვთიმე თაყაიშვილს შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდა წარწერის ბოლო ნაწილი, მით უმეტეს, რომ სწორედ წარწერის ამ ნაწილშია საუბარი მისი დათარიღების შესახებ. როგორც ჩანს, 1913 წელს, როცა ექვთიმემ მოინახულა ხობის მონასტერი, ამ დროისათვის სანაწილე კუბოზე არსებული წარწერის ეს ნაწილი სიძველის გამო უკვე ადარ იკითხებოდა. მისთვის, აგრეთვე, უცნობი ყოფილა 1894 წელს მღვდელ-მონაზონ კალისტრატე ჩიჩუას მიერ გამოქვეყნებული ხობის მიძინების ტაძრისადმი მიძღვნილი ნაშრომი, სადაც აღნიშნული წარწერა სრული სახითაა წარმოდგენილი. კარგია,რომ უკანასკნელ პერიოდში ლ. ბერაიასა და გ. კალანდიას მიერ წარმოჩენილია და მეცნიერულ მიმოქცევაშია შემოტანილი მღვდელ-

მონაზონ კალისტრატეს მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხობის ტაძარში დაცულ სანაწილე კუბოზე არსებული ლევან II დადიანისეული წარწერა. თუმცა მანამდე, ხშირად მკვლევართა უმრავლესობა მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის ზემოაღწერილი მასალებით სარგებლობდა.[15]

განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, მალაქია გურიელისა და ლევან II დადიანის მიერ სანაწილე კუბოზე შესრულებული ზემოაღნიშნული წარწერები უცილობლად ადასტურებენ, რომ მათ შეუმკიათ სანაწილე კუბო, რომელიც, უეჭველია, მანამდე გაცილებით ადრე იყო დამზადებული.

ქართული წერილობითი წყაროები მწირ ცნობებს გვაწვდიან მარიამ ღვთისმშობლის კვართის შესახებ. გვიანი ხანის ზოგიერთ ქართულ წყაროში და ორიოდე ეპიგრაფიკულ მასალაშია დაფიქსირებული ღვთისმშობლის კვართის საქართველოში არსებობა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ჩვენ მიერ ზემოგანხილული კვართის შესახებ კუბოზე მალაქია გურიელისა და ლევან II დადიანის დაკვეთით შესრულებული ეპიგრაფიკული წარწერა. ღვთისმშობლის კვართის შესახებ აგრეთვე საინტერესო ცნობას გვაწვდის XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი. იგი ხობის მიძინების ტაძრის აღწერისას გვატყობინებს, რომ „აქ ეკლესიასა შინა მსვენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა სასწაულმოქმედი“.[16]

როგორც ვხედავთ, ორიოდე ქართული დოკუმენტური მასალის გარდა არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ღვთისმშობლის კვართის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი კუთვნილების შესახებ. ცნობები მოგვიანებით, XVII საუკუნეში ჩნდება. უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში მარიამ ღვთისმშობლის კვართის შესახებ ინფორმაციის არარსებობა იმაზე მეტყველებს, რომ იგი ადრე, ბიზანტიის იმპერიის დამხობამდე, არ უნდა ყოფილიყო საქართველოში. საქმეს ართულებს ისიც, რომ ქართული წერილობით წყაროებში არაფერია აღნიშნული იმის შესახებ, თუ როდის, ვის მიერ და რა გზით მოხვდა ღვთისმშობლის ეს უდიდესი სიწმინდე საქართველოში. ჩვენ მიერ ზემოხსენებული მღვდელ-მონაზონი კალისტრატე ჩიჩუა ძველ ქართულ წყაროებში ღვთისმშობლის კვართის მოუხსენებლობის გამო და სანაწილე კუბოზე არსებული წარწერის ანალიზით ვარაუდობს: „უნდა ვიფიქროთ წარწერიდამ, რომ ეს ძვირფასი სიწმინდე-საუნჯე, უნდა იყოს ამავე ლევანისაგან, იმ დროს, როცა იგი იყო იერუსალიმში, სადაც აღაშენა ჯვარის მონასტერი და შესწირა 100 კომლი გლეხი ადგილ-მამულით“.[17] მღვდელმონაზონ კალისტრატეს მოსაზრება რეალურ სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს, რადგან იმდროინდელი როგორც ქართული ისე უცხოური წერილობითი წყაროები აღნიშნული ფაქტის შესახებ ცნობებს არ გვაწვდიან.

ქართული დოკუმენტური მასალისაგან განსხვავებით, ღვთისმშობლის კვართის საქართველოში არსებობის შესახებ ვრცელი და საინტერესო ცნობებია დაცული XVII-XVIII საუკუნეების რუსულ და ევროპულ წერილობით წყაროებში, იმ პერიოდის საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების, ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში, თუ რუსეთიდან დიპლომატიური მისიით ჩამოსული რუსი ელჩების აღწერილობებში. უცხოური წერილობითი წყაროები, ქართულ დოკუმენტურ მასალასთან შედარებით, იმ მხრივაცაა საყურა-

დღეგო, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულ საკუთარ ვერსიებს გვთავაზობენ საქართველოში წმინდა ნაწილების მოხვედრის შესახებ. მართალია, ეს ვერსიები უფრო ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს, მაგრამ საინტერესოა იმ მხრივ, რომ უცხოელი ავტორები საქართველოში არსებული სიწმინდეების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებენ.

უცხოური წერილობითი წყაროებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია რუსული წერილობითი წყაროები. XVII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ საქართველოში არსებულ ხობის მონასტერში დაცული ღვთისმშობლის კვართისა და სხვა წმინდა ნაწილების შესახებ მეტად ფასეულია 1640 წლის გაზაფხულზე სამეგრელოს მთავრის, დადიანის კარზე მყოფი რუსი ელჩების, მღვდელ პავლე ზახარევისა და დიაკონ ფედოტი ელჩინის ვრცელი აღწერილობანი. რუს ელჩებს ხობის მონასტრის წინამძღვრის, ეპისკოპოს ნიკოლოზის ხელშეწყობით დაუთვალიერებიათ ტაძრის სიწმინდეები. წმინდა კვირიკესა და წმინდა მარინეს წმინდა ნაწილებთან ერთად აღნიშნულ მონასტერში მათ უნახავთ ღვთისმშობლის პერანგი. რუსი ელჩები განსაკუთრებით დაინტერესებულან ღვთისმშობლის პერანგის ხილვით. მათ მისი აღწერაც შემოგვინახეს. მათი ცნობით, „იგი არის შეკერილი მეწამული ფერის, სქელი ტილოსაგან, გრძელი და ფართოა, სახელოებიც ფართო აქვს, კაცის ხალათის მსგავსი, მხოლოდ საყელო აქვს პატარა. „რუსმა ელჩმა, მღვდელმა პავლე ზახარევმა ცნობისმოყვარეობის გამო ნიკოლოზ ეპისკოპოსს ჰკითხა, თუ რატომ აქვს პერანგს პატარა საყელო? ეპისკოპოსს განუცხადებია, რომ „ღვთის ნებით ყოველ წელს ამ პერანგის საყელო პატარავდება“. სტუმრები იმითაც დაინტერესებულან, თუ როდის, ვის მიერ და საიდან იქნა ჩამოსვენებული აღნიშნული სიწმინდეები. მონასტრის წინამძღვარმა, ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (მკვლევართა მოსაზრებით იგი უნდა იყოს ცნობილი დიპლომატი და საეკლესიო მოღვაწე ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი) სტუმრების სურვილი ვერ დააკმაყოფილა, რადგან მისი განმარტებით, „მე დიდი ხანი არაა, რაც აქ ვარ, ამ თანამდებობაზე და არ ვიცი, საიდან და ვის მიერ არის ეს წმინდა ნაწილები ჩამოტანილიო“.[18]

რუსული წყაროებიდან აგრეთვე განსაკუთრებით აღსანიშნავია XVII საუკუნის 50-იან წლებში იმერეთის სამეფოში ელჩად მყოფი ალექსი იევლევისა და ნიკიფორე ტოლოჩანოვის ვრცელი მუხლობრივი აღწერილობები. მართალია, მათ ხობის მონასტერში დაცული სიწმინდეები არ უნახავთ, რადგან ისინი იმერეთიდან სამეგრელოს სამთავროში არ გადასულან, მაგრამ რუს ელჩებს ხობის მიძინების ტაძარში არსებული სიწმინდეების დეტალური აღწერა ჩაუწერიათ წმინდა ათონის მთიდან ჩამოსული ორი ბერისაგან – აბესალომისა და იასაფესაგან, რომლებიც საქართველოში ათონის მეტოქი ეკლესიებიდან შესაწირავების შესაგროვებლად იყვნენ მოსული. 1651 წლის 18 ივლისს აღნიშნული ბერები ქუთაისში შეხვედრიან რუს ელჩებს, ნიკიფორე ტოლოჩანოვს და ალექსი იევლევს, რომლებსაც დაწვრილებითი ცნობები მიაწოდეს ხობის ტაძარში დაცული სიწმინდეების შესახებ. რუს ელჩებს ბერების ნაამბობი სიტყვა-სიტყვით ჩაუწერიათ. „ამ ბერებმა გვიამბეს - აღნიშნავს ალექსი იევლევი, რუსეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილ საანგარიშო აღწერილობაში, – რომ 1651 წელს სადადიანოში, ხობის მონასტერში ვიყავითო. მონასტერში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მარმარილოს ნარევი ქვის საყდარიაო. საბერძნეთის მეფის ერეკლეს აგებულიო. იმ საყდარში ძველი დროიდანვე ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის კვართია დაცულიო. ის ღვთისმშობლის კვართი კონსტანტინოპოლიდან არის ერთი წიგნის მცველის მიერ მოტანილიო, როცა წმინდა ხატების დევნა მიმდინარეობდა (საბერძნეთში), თეოფილე მეფის დროსო. ღვთისმშობლის კვართი მათ მაქსიმე კათალიკოსმა და გოლგოთის მონასტრის იღუმენმა ნიკიფორემ აჩვენა, თურმე იმ დროს, როცა ის, დიაკონი იასაფე კათალიკოსთან ერთად წირავდა. ის კვართი მიტკლისაგან ან წმინდა ნარმისაგან უნდა იყოს შეკერილიო, მთლად კარგად არ დაგვითვალიერებიაო, ვგონებ იგი მოხატული იყოო. თვით კვართს, შაქრის ფერი ჰქონდაო. ის ღვთისმშობლის კვართი ვერცხლის კიდობანშია დაცულიო და იმ საყდრის საკურთხეველშია დადგმულიო, მთავრის ლევან დადიანის და კათალიკოსის ბეჭდებით დაბეჭდილიო. როცა კათალიკოსმა ბერებს (კვართი) გვიჩვენაო, ამ ღვთისმშობლის კვართის სიგრძე-სიგანის ზომა ავიღეთო. კვართის ზომა ჩვენ, ნიკიფორეს და ალექსის, მოგვიტანეს, საწერ ქაღალდში პატივით შეხვეული. თვით იმ ბერებს ის ზომა კამილავკაში აქვთ შენახული და თავზე ატარებენ. ნიკიფორემ და ალექსიმ ბერებისაგან იმ კვართის ზომიდან ჩვენთვის ზომა ავიღეთ, რომ ვინიცობაა, მომავალში ცნობისათვის დაგვჭირდეს“.[19]

რუსი ელჩები ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი ათონის წმინდა მთიდან ჩამოსული ბერების ნაამბობის დაზუსტებას შეეცადნენ მათი თანმხლები ზაქარია მიტროპოლიტის მეშვეობით. რუსმა დესპანებმა ზაქარია მიტროპოლიტს ჰკითხეს: „უნახავს თუ არა კვართი“? მიტროპოლიტმა ზაქარიამ რუს ელჩებს განუცხადა, რომ მას ღვთისმშობლის კვართი მრავალჯერ უნახავს, და რომ ის კონსტანტინოპოლიდან წიგნების მცველს მოუტანია იმ დროს, როცა საბერძნეთში ხატმებრძოლეობა მძვინვარებდა. ზაქარია მიტროპოლიტის განმარტებით: „ის ნამდვილად ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის კვართიაო, და სნეულის განკურნებაც ნამდვილად მისგან ყოფილაო, მხოლოდ ამჟამად ყველაფერი შეწყდა, იმიტომ, რომ დადიანი სარწმუნოებას განუდგა და მაჰმადიანობა მიიღოო“.[20] რუსი ელჩების გადმოცემით, ათონის წმინდა მთიდან ჩამოსულ ბერებს ხობის მონასტერში უნახავთ აგრეთვე წმ. კვირიკეს წმინდა ნაწილი – მარჯვენა ხელი მაჯამდე, დაცული „ისევე როგორც ცოცხალი ადამიანის“. აქვე ყოფილა ძელი ცხოვრების ნაწილიც და სხვა სიწმინდეები, „მაგრამ – მათი განმარტებით – ყველა ესენი მივიწყებულია და უყურადღებოდაა მიტოვებული, არც სანთლებს უნთებენ და არც გალობაა“.[21] ალექსი იევლევი ღვთისმშობლის კვართთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებას აწვდის ერთ საინტერესო ცნობას. მას, როგორც რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენელს, ზაქარია მიტროპოლიტთან საუბრისას სურვილი გამოუთქვამს, ღვთისმშობლის კვართი მოსკოვში წაეღო. ელჩის პასუხად ზაქარია მიტროპოლიტს განუცხადებია, რომ თუკი აღნიშნული სურვილის შესახებ რუსეთის ხელმწიფე იმერეთის მეფესა და კათალიკოსს წერილობით აცნობებს, მაშინ იმერეთის ხელისუფლება „მეფის უდიდებულესო-

ბის (იგულისხმება რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე – ე. ბ.) ამ ბრძანებას შეასრულებსო“.[22]

რუსი ელჩების, ალექსი იევლევისა და ნიკიფორე ტოლოჩანოვის მონათხრობი ჩვენთვის ბევრ საინტერესო და საგულისხმო ცნობებს შეიცავს. მათ მიერ იქნა გახმოვანებული ათონის წმინდა მთიდან გადასახადების ასაკრეფად საქართველოში ჩამოსული ბერების, იასაფესა და აბესალომის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, თითქოს, ღვთისმშობლის კვართი სამეგრელოში VIII-IX საუკუნეებში, ხატმებრძოლეობის დროს იქნა შემოსვენებული. აღნიშნული მოსაზრება მხოლოდ ვარაუდის ფარგლებს არ სცილდება, რადგან ათონელი ბერების მონათხრობი სხვა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება. ამისდა მიუხედავად, „ცხადია, რომ ზემოთ მოტანილი ცნობები, რომელიც რუს ელჩებს ადგილობრივმა ინფორმატორებმა მიაწოდეს, საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართის საქართველოში ჩამოსვენებას მე-8 საუკუნეში ხატმებრძოლობის ხანას უკავშირებენ“.[23]

რუსეთის ხელისუფლებას ხობის მიძინების ტაძარში დაცული ღვთისმშობლის კვართისა და სხვა სიწმინდეების შესახებ საინტერესო ცნობები მიაწოდა XVII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მამასთან, ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსთან ერთად მყოფმა პავლე ალეპოელმა.[24] თავის მხრივ, ანტიოქიის პატრიარქს მაკარ ანტიოქიელს საგანგებოდ მოუნახულებია ხობის ტაძრის სიწმინდეები, რომელთა შესახებ იგი აღნიშნავს: „აქაურ ეკლესიაში დღემდე ინახება ღვთისმშობლის კვართი, ჩვენ ის ვნახეთ (ვემთხვიეთ) და თავი დავიწყალობეთ. ზუსტად მის თარგზე გამოვჭერით პერანგი თეთრი სელისაგან, აიაზმა ვხადეთ და შიგ იმ დიდებული კვართის ნაწილი ჩავდეთ, მერე კი ეს წყალი ახალ პერანგს გადავასხით. ეს პერანგი შევინახეთ,რათა ჩვენს ქვეყანაში წაგვეღო და ღვთისმშობელისაგან ლოცვა-კურთხევა მიგვეღო“.[25] ანტიოქიის პატრიარქის, მაკარიოსის აღნიშნული ცნობა ჩვენთვის ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს. ირკვევა, რომ მას და მის თანმხლებ პირებს ხობის მიძინების ტაძარში დაცული ღვთისმშობლის კვართის ასლი დაუმზადებიათ, რომელშიც ორიგინალის პატარა ნაჭერიც ჩაუსვენებიათ, რასაც, უეჭველია, იგი სამშობლოში დაბრუნებისას თან წაიღებდა. აუცილებელია, მომავალში გაირკვეს, თუ რა ბედი ეწია საქართველოდან მაკარიოს ანტიოქიელის მიერ გატანილ, ხობის ტაძარში დაცულ ღვთისმშობლის კვართის ასლს.

ხობის მიძინების ტაძარში არსებული ღვთისმშობლის კვართის შესახებ 1669 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III ალექსანდრეს ძე (1660 – 1678; 1679 – 1681) რუსეთის ხელმწიფეს წერდა, რომ «и видел тле срачицу пресвятые богородицы и антиохийской Макарей патриарх… а положил де в том монастыре срачицу пресвятые богородицы тот же Иверийский цар Давид…»[26]

ხობის მიძინების მონასტრის სიწმინდეთა და მათ შორის, ღვთისმშობლის კვართის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერი იოზეფ მარია ძამპი. იგი თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში თეატინელთა მისიის პრეფექტი იყო სამეგრელოში. რომის პაპისადმი გაგზავნილ მოხსენებებში

ძამპი დაწვრილებით აღწერს ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა მდგომარეობას, ზოგჯერ გადაჭარბებით ამხელს მათ ნაკლოვანებებს. იოზეფ მარია ძამპის შრომაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების წირვა-ლოცვისა და საეკლესიო დღესასწაულების აღწერას. მართალია, იოზეფ მარია ძამპის შეხედულება მართმადიდებელი ეკლესიის მიმართ, როგორც კათოლიკე სასულიერო პირისა, სხვა კათოლიკე მისიონერების მსგავსად, ხშირ შემთხვევაში ძალზე კრიტიკულად გამოიყურება, მაგრამ მათ ნაშრომებში ბევრი საინტერესო პოზიტიური მასალაა დაცული არა მარტო იმ დროს საქართველოში არსებული წმინდა ნაწილების, არამედ ქართული საეკლესიო წეს-ჩვეულებებისა და რელიქვიების შესახებ, რაც, უეჭველია, მათი მემკვიდრეობის მიმართ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის.[27]

იოზეფ მარია ძამპიმ სამეგრელოში სამისიონერო მოღვაწეობის დროს საქართველოს შესახებ დაწერა ვრცელი თხზულება. თავისი შრომა მან გადასცა 1672 წლის შემოდგომაზე სამეგრელოში სტუმრად მყოფ ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს. ამ უკანასკნელმა საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი, რომელსაც თან დაურთო იოზეფ მარია ძამპის შრომაც. ჩვენ სწორედ ჟან შარდენის წყალობით ვიცნობთ იოზეფ მარია ძამპის შრომას. სამეგრელოსადმი მიძღვნილ თხზულებაში იოზეფ მარია ძამპი ცალკე თავს უძღვნის საქართველოს ამ კუთხეში დაცული წმინდა რელიქვიების აღწერას. იგი გაოცებული იყო იმით, რომ სამეგრელოში ბევრი წმინდა რელიქვია ინახებოდა, „რომლებიც მათ, პირველ ყოვლისა, მიიღეს იმ დროს, როცა აქ ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიქვიას უგზავნიდნენ საჩუქრად“.[28] იოზეფ მარია ძამპის მოტანილი ციტატიდან კარგად ჩანს, რომ იგი შესანიშნავ ცოდნას ამჟღავნებს იმ ქვეყნის ისტორიისა, სადაც მას უხდებოდა მოღვაწეობა. როგორც ჩანს, იგი ადგილობრივ პირთა დახმარებით გარკვეულ ცნობებს აგროვებდა საქართველოს წარსულის შესახებ, რაც მის შრომას ნამდვილად ატყვია. იოზეფ მარია ძამპი ზედმიწევნით, თითქმის წყაროების დონეზე იცნობს საქართველოში, კერძოდ კი კოლხეთში, ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას.

იოზეფ მარია ძამპის აზრით, საქართველოში წმინდა რელიქვიები სხვადასხვა გზით ხვდებოდა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს რელიქვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის (კონსტანტინოპოლის – ე. ბ.) სასულიერო პირთაგან, რომლებიც ცდილობდნენ, ეს ხალხი ღვთისმოსაობაში განემტკიცებინათ. და ბოლოს, რელიქვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაჰმადიანთა ტირანისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადმოიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში“. ადგილობრივ პირთა ინფორმაციის გამოყენებით იოზეფ მარია ძამპი ხობის ტაძარში დაცულ სიწმინდეთა შესახებ აღნიშნავს: „ამბობენ, რომ მაშინ (მხედველობაშია ბიზანტიის იმპერიის დამხობა – 1453 წელი, ე. ბ.) კოლხიდაში ჩამოვიდაო ერთი არქიეპისკოპოსი, თან ჩამოიტანაო

ერთი მტკაველის ოდენა ნაჭერი ძელი ჭეშმარიტი (ფრანგული ფუნტი რვა დიუმზე რამდენადმე დიდი) და კვართი, რომელიც მათი თქმით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა“.[29] ძამპის მოყვანილი ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ იგი ახმოვანებს იმ დროისათვის სამეგრელოს მოსახლეობაში გავრცელებულ ცნობებს – ხობის ტაძარში დაცულ სიწმინდეთა საქართველოში ჩამოსვენების შესახებ. მისივე გადმოცემით, სამეგრელოში მოღვაწე პატრები ხშირად ათვალიერებდნენ ამ წმინდა ნაწილებს. იოზეფ მარია ძამპი დაწვრილებით აღწერს ხობის მიძინების მონასტერში არსებულ ღვთისმშობლის კვართს: „ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი – ოთხის, აქვს ერთი მტკაველის სიგრძის მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება“. აქვე მას უნახავს სხვა სიწმინდეც – „ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ოქროს ლუსკუმაში ვნახე გამხმარი მკლავი; როგორც ამბობენ, ეს არის წმ. მარინეს მკლავი, ვნახე აგრეთვე წმ. კვირიკეს მკლავი და ოქროთი თუ ვერცხლით შემკული სხვა წმინდანთა ნაწილები“. ძამპის გადმოცემით, ღვთისმშობლის კვართი ინახებოდა ვერცხლის ყვავილოვანი სამკაულებით შემკულ ებანოზის ყუთში“. მისივე ცნობით, ამავე ყუთში ყოფილა პატარა კოლოფი, რომელშიც მაცხოვრის წვერის რამდენიმე ღერი და შოლტი იყო, რომლითაც ის იგვემა. ეს ყუთი მთავრის ბეჭდით იყო დაბეჭდილი. „როდესაც ეს რელიქვიები გვაჩვენეს – აღნიშნავს ძამპი – ისინი ნოხებზე დააწყვეს და რამდენადაც ჩვენ დიდი მოწიწებით და თაყვანისცემით ვეხებოდით და ვიღებდით მათ, იმდენად მეგრელები გულგრილად ეკიდებოდნენ ამ რელიქვიებს. ისინი უფრო ლუსკუმის ოქრო-ვერცხლის მორთულობას აფასებდნენ, ვიდრე წმინდა ნაწილებს, რადგან რელიქვიები მრავლად მოეპოვებათ“.[30] რა თქმა უნდა, არასწორია იოზეფ მარია ძამპის ცნობა იმის შესახებ, რომ სამეგრელოს მოსახლეობა გულგრილად იყო განწყობილი წმინდა ნაწილების მიმართ. ქართული წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ ისინი, რომლებიც დიდი ღვთისმოსაობით გამოირჩეოდნენ, თაყვანს სცემდნენ და მოწიწებით ეპყრობოდნენ ქრისტიანულ სიწმინდეებს.

ხობის მონასტრის სიწმინდეებზე, კერძოდ კი ღვთისმშობლის კვართის შესახებ, ცნობა დაცულია კათოლიკე მისიონერ არქანჯელო ლამბერტთან, რომელიც იოზეფ მარია ძამპიმდე – 1633 წლიდან 1653 წლამდე – სამეგრელოს მისიონის პრეფექტი იყო. არქანჯელო ლამბერტი მოკლედ აღნიშნავს, რომ ხობში „აჩვენებენ ღვთისმშობლის პერანგს“. ძამპისაგან განსხვავებით, იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ხობის ტაძარში დაცულ სიწმინდეებს ადგილობრივი მკვიდრნი „დიდ პატივს სცემენ“.[31]

ხობის მონასტრის სიწმინდეები აგრეთვე მოხსენებული აქვს XVII საუკუნეში საქართველოში მყოფ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსსაც.

საქართველოს ეკლესიის სიწმინდეთა დახასიათებისათვის მეტად საინტერესოა 1633-1654 წლებში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის, დონ კრისტოფორო დე კასტელის ნაშრომი, „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“. მან თავისი მოღვაწეობის დიდი ნაწილი გურიასა და სამეგრელოში გაატარა. მისი მემკვიდრეობა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ კასტელმა მრავალი ჩანახატი შემოგვინახა ქართველთა ყოფა-ცხოვრების, ეკლესია-მონასტრების, ისტორიული პირების შესახებ. კასტელის ჩანახატებიდან ყურადღებას იქცევს ხობის, მოქვის, დრანდის და სხვა ქართული ტაძრები. იგი განცვიფრებული იყო ქართული ეკლესია-მონასტრების არქიტექტურული სტილით და მათ „საოცარი ტაძარი“ უწოდა. მის მიერ შესრულებულ ხობის მონასტრის ჩანახატს ამშვენებს წარწერა, სადაც აღნიშნულია, რომ ტაძრის „...შიგნით, ლამაზად მორთული თაღის ქვეშ, შემონახულია სათაყვანებელი რელიქვიები, ჩვენი უფლისა და ღვთის დედის, ქალწულის მარიამის კვართები“.[32] კასტელის ცნობა, რომ ხობის ტაძარში ღვთისმშობლის კვართთან ერთად უფლის კვართიც ინახება, რა თქმა უნდა, დაუჯერებელია, მაგრამ XVII საუკუნის შუა ხანებისათვის ასეთი ცნობის არსებობა მაინც საინტერესოა, რადგან რუსული წყაროების მიხედვით, ამავე საუკუნის პირველ მეოთხედში, თითქოს შაჰ-აბას I-ის მიერ საქართველოდან გატანილი უფლის კვართი რუსეთში იყო დასვენებული. უზუსტობისა და ანაქრონიზმის მიუხედავად, კასტელის ცნობით დასტურდება, რომ უფლის კვართი არავის გაუტანია და იგი კვლავ საქართველოს კუთვნილებაა.

ხობის სიწმინდეთა შესახებ კასტელი დასძენს, რომ „ეს რელიქვიები, შესაძლებელია, ძველია, ამიტომ ღირსეულადაა შენახული ერთ მთაზე. ამ მხარეში ის დიდად პატივცემულია და უფრო სადიდებელი იქნებოდა უფლისათვის, რომ ის წაეღოთ ჭეშმარიტ ქრისტიანთა შორის. ამისათვის დრო კი მქონდა..., მაგრამ ვერ შევასრულე, იტალიაში ჩემი გამგზავრების გამო. ეს შესაძლებელია იმათთვის, ვინც იქ ახლა მივა“.[33] სხვა ადგილას კასტელი აღნიშნავს, რომ ღვთისმშობლის კვართი „... ბერძნებმა მოიტანეს (სარკინოზების მიერ) კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ. ეს ჩანს იმ წარწერიდან, რომელიც შემონახულია ამ საუნჯესთან ერთად“.[34] თუ რა წარწერას გულისხმობს კასტელი, ჩვენთვის უცნობია, რადგან კვართის შესანახ კუბოზე არსებული წარწერები, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ასეთ ცნობებს არ შეიცავს.

ზემოგანხილული წერილობითი წყაროებიდან აშკარად გამოიკვეთა საქართველოში ღვთისმშობლის კვართის შემოსვენების ორი ვერსია. ზოგიერთი რუსული წყაროს მიხედვით, აღნიშნული სიწმინდე საქართველოში შემოსვენებულ იქნა VIII საუკუნეში კონსტანტინოპოლიდან წიგნის მცველის მიერ, ხატმებრძოლეობის დროს, ხოლო კათოლიკე მისიონერების ცნობით, იგი ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ სხვა სიწმინდეებთან ერთად უნდა მოხვედრილიყო ჩვენში. უფრო სარწმუნო გვეჩვენება ეს უკანასკნელი ვერსია, რადგან ადრეულ საუკუნეებში რომ შემოეტანათ აღნიშნული სიწმინდე საქართველოში, უეჭველია მის შესახებ ცნობები ქართულ წერილობით წყაროებში გარკვეული ფორმით მაინც აისახებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში ღვთისმშობლის კვართის არსებობის დამადასტურებელი წყაროები გვიანი შუასაუკუნეებით (XVII – XVIII ს.ს.) თარიღდება, რაც, უეჭველია, იმაზე მეტყველებს, რომ იგი შედარებით გვიან გახდა საქართველოს ეკლესიის კუთვნილება.

უკანასკნელ პერიოდში ისტორიკოსმა გ. კალანდიამ, უცხოურ წერილობით

წყაროებზე დაყრდნობით, საგანგებოდ შეისწავლა ღვთისმშობლის კვართის ისტორია. კვლევის შედეგები საინტერესო აღმოჩნდა. მისი დასკვნით, ბიზანტიის იმპერიის დამხობამდე ღვთისმშობლის კვართი კონსტანტინოპოლის კუთვნილებას წარმოადგენდა.[35]

ერთ-ერთი საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელს მიძინების წინ კვართი კეთილმსახური ებრაელი ქალწულისათვის დაუტოვებია და უთხოვია, რომ სიკვდილის მოახლოებისას ის სხვა ქალწულისათვის გადაეცა. ღვთისმშობლის დანაბარები ზედმიწევნით სრულდებოდა, რის გამოც ეს სიწმინდე ამ ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. V საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერატორ ლეონ დიდის (457 – 471) ძმები, ცნობილი საეკლესიო მოღვაწეები კანდიდი და გალვიოსი, როცა კონსტანტინოპოლიდან გამგზავრებულან იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცად, მათ ნაზარეთში, ერთ-ერთი ქალიშვილის სახლში უამრავი ავადმყოფი უნახავთ, რომლებიც თურმე კიდობანში ჩასვენებული სიწმინდის ძალით იკურნებოდნენ. მომხდარი სასწაულებით გაკვირვებულ სტუმრებს ქალწულმა უამბო ჩვენ მიერ ზემოთ მოთხრობილი გადმოცემა ღვთისმშობლის კვართის შესახებ. წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ უკან დაბრუნებულმა ძმებმა გალვიოსმა და კანდიდმა, ღვთისმშობლის კვართის მოტაცების მიზნით, საიდუმლოდ დაამზადეს ზუსტად ისეთივე კიდობანი, რომელშიც ღვთისმშობლის კვართი ინახებოდა. კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალმა ძმებმა საგანგებოდ გაიარეს ებრაელი ქალიშვილის სახლში, ჩუმად წამოიღეს ნამდვილი კიდობანი კვართთან ერთად. ახალი სიწმინდის მისვენებით გახარებულმა იმპერატორმა იგი 474 წელს ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენა, სადაც იგი საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა.[36] კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ღვთისმშობლის კვართის პალესტინიდან ბიზანტიის დედაქალაქში გადმოსვენების აღსანიშნავად საზეიმო დღე - 2 ივლისი დააწესა, დაიწერა რამდენიმე ხატიც. ჩვენამდე მოაღწია ამ თემაზე შექმნილმა რუსულმა ხატებმა. ამ მხრივ, აღსანიშნავია, XVI საუკუნის შუა ხანებში ნოვგოროდის სკოლის წარმომადგენლის მიერ დაწერილი ხატი. მოსკოვში არსებობს აგრეთვე ვლაქერნის ტაძარში მარიამ ღვთისმშობლის კვართის დასვენების სახელობის XV საუკუნით დათარიღებული ეკლესიაც.[37]

კონსტანტინოპოლში, ვლაქერნის ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატი მრავალ სასწაულს ახდენდა. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, VII საუკუნის 20-იან წლებში, იმ დროს, როცა ჰერაკლე კეისარი (610 – 641) სალაშქროდ კავკასიაში იმყოფებოდა და სპარსელების წინააღმდეგ იბრძოდა, სპარსელთა და სკვითთა არმია კონსტანტინოპოლს მიადგა. ქალაქის დაცვა ითავა იმხანად კონსტანტინოპოლის პატრიარქმა სერგიმ. მან მორწმუნე ერთან და სამღვდელოებასთან ერთად ვლაქერნის ტაძრიდან გამოასვენა „ხელთუქმნელი ხატი უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი და სამოსელი იგი წმინდა ყოვლად უბიწო სა ღმრთის მშობელისა და საუფლო და ცხოველმყოფელი ძელი ჯუარისა “. აღნიშნული სიწმინდეებით პატრიარქი სერგი სამღვდელოებასთან ერთად მტერს ქალაქის კარიბჭესთან მიეგება. ცრემლმორეული პატრიარქი ღმერთს ევედრებოდა: „აღდეგ ღმერთო და განაბნიენ ყოველნი მტერნი შენნი, და ვითარცა რაი კუამლნი მოაკლდნენ იგინი, და დადნენ და განქარდნენ იგინი, ვითარცა რა ცვილი წინაშე პირსა ცეცხლისასა, და ეგრეთ წარწყდნენ ღმერთის მოძულენი იგი პირისაგან შენისა, ხოლო მონანი შენნი მხიარულებით გაკურთხებდნენ და გიგალობდნენ შენ“.[38] ღმერთმა შეისმინა კონსტანტინოპოლის პატრიარქის სერგის ვედრება და მტერი დამარცხდა. ქართველ სასულიერო პირებს ღვთისმშობლის კვართის შეწევნით მოხდენილი ეს სასწაული XI საუკუნეში დაწვრილებით აღუწერიათ. 1903 წელს მღვდელმა პოლიევქტოს კარბელაშვილმა 1042 წლით დათარიღებული „ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა სპარსთა და სკითთა ზედამოსვლისაგან 625 – 632 წ.წ.“, ბეჭდური სახით გამოსცა. ამ სასწაულის მოხდენის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქს სერგის დაუწერია ღვთისმშობლის დაუჯდომელი.[39] წყაროებში ღვთისმშობლის კვართის სხვა სასწაულების შესახებაცაა საუბარი. ეს სასწაულები VII – IX საუკუნეებით თარიღდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროისათვის ღვთისმშობლის კვართი კონსტანტინოპოლში, ვლაქერნის ტაძარში იყო დასვენებული. XI – XIV საუკუნეების უცხოური წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ ღვთისმშობლის კვართი ისევ კონსტანტინოპოლში ინახებოდა.[40] XIV საუკუნის მოღვაწე ნიკიფორე კალისტა პირდაპირ მიუთითებს, რომ ღვთისმშობლის კვართი კონსტანტინოპოლში ვლაქერნის ტაძრის კუთვნილება იყო და მის სახელს მრავალი სასწაული და კურნება უკავშირდება.[41] კონსტანტინოპოლში მყოფი რუსი მიტროპოლიტი პიმენი საინტერესო ცნობას გვაწვდის ღვთისმშობლის კვართის შესახებ. 1387 წელს, ვლაქერნის ტაძარში ყოფნის დროს მას თაყვანი უცია იმ კიდობნისათვის, რომელშიც ღვთისმშობლის კვართი და სარტყელი იყო ჩასვენებული.[42]

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ღვთისმშობლის კვართი საქართველოში ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ უნდა შემოსვენებულიყო, მაგრამ თუ როდის და ვის მიერ იქნა იგი სამეგრელოში შემოტანილი, ამის შესახებ წყაროები უტყუარ ცნობებს არ იძლევიან. მხოლოდ ის ვიცით, რომ XVII საუკუნეში აღნიშნული სიწმინდე ხობის მიძინების ტაძრის კუთვნილება გახდა. გადმოცემის მიხედვით, ეს ის კვართია, რომელიც ღვთისმშობელს შობის დამეს ემოსა. შესაძლოა, ეს კვართი ემოსა მას ელისაბედთან შეხვედრის დროსაც.

ხობის მიძინების ტაძარში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი გამოირჩეოდა თავისი სასწაულმოქმედებით და კურნებით. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, 1855 წელს სამეგრელოში შემოჭრილ ოსმალებს ომერ ფაშას მეთაურობით ხობის მონასტრის მიდამოები საომარ ასპარეზად გაუხდიათ. შეშინებული მოსახლეობა და სასულიერო პირები მთებში გახიზნულან. მხოლოდ ერთადერთი ბერი, პეტრე ჟორდანია დარაჯობდა მონასტერს, ოსმალებს მონასტერი რომ არ დაეწვათ. მომხვდურებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, მონასტერი იარაღის საწყობად გადაექციათ, მაგრამ მათ ერთ საღამოს სასწაული იხილეს: მონასტერს ნათელი ჰფარავდა. მომხდარი სასწაული გახიზნული მოსახლეობის და სასულიერო პირების ლოცვით განცხადდა.

შეშინებულმა თურქებმა მომხდარი თავიანთ სარდლობას აცნობეს და გადაწყვიტეს, აღნიშნული მონასტერი დაეტოვებინათ.[43]

მეორე სასწაულის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ერთ დროს ამ მონასტრის მოსამსახურე, მღვდელმონაზონი კალისტრატე ჩიჩუა. მისი გადმოცემით, 1891 წელს ხობის მონასტერი გაუტეხიათ და ღვთისმშობლის კვართი სანაწილე კუბოსთან ერთად გაუტაცნიათ. ხალხმა გაიგო თუ არა მომხდარის შესახებ, ალყა შემოარტყა ტაძარს და გაიძახოდა: „ნურც ბერი, ნურც ერი ნუდა ვიქნებით ცოცხალი, თუ ეს სიწმინდე დაგვეკარგაო“. სამი დღის შემდეგ „ეს კვართის კუბო, ხელუხლებლად მონასტრის მახლობელ ალაგზე ბუჩქში დაესვენა, სადაც ღამის წყვდიადში ზეციდამ თითქო ცეცხლის ნაპერწკლები გადმოსდისო. ეს შენიშნეს ღამის მოგზაურთ და სოფლის მცხოვრებთ,მივიდნენ და იპოვეს ეს კუბო,წინ სანთლით“. ამ სასწაულის შემდეგ ხალხს, კალისტრატეს გადმოცემით, კიდევ უფრო „გაუორკეცდა უმეტესი სასოება და სიყვარული ყოვლად წმიდის ქალწულის მარიამისადმი. სამადლობელი პარაკლისის შემდეგ ხალხმა დაადგინა განაჩენი, რათა ხობში მუდამ იყვნენ სამ-სამი კაცი ღამის ყარაულებად ხალხის ანგარიშზე, კვართის უსაფრთხოების გამო“.[44]

საქართველოს გასაბჭოებამდე ღვთისმშობლის კვართი ხობის მიძინების ტაძრის კუთვნილება იყო. ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ, 1922 – 1936 წლებში ხობის ტაძარში დაცული სიწმინდეები, მათ შორის ღვთისმშობლის კვართიც, 1921 წლის 1 მაისს აკაკი ჭანტურიას ინიციატივით დაარსებულ დადიანების სასახლის ბაზაზე გახსნილ ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმს გადაეცა.[45] მუზეუმის საინვენტარო წიგნში იგი ჩვეულებრივ ექსპონატად იყო გატარებული. მხოლოდ რამდენიმე პიროვნებისათვის იყო ცნობილი, თუ რა სიწმინდეს წარმოადგენდა იგი. მუზეუმში დავანებულმა სიწმინდემ დღის სინათლე 1990 წლის შობის დღეს იხილა, როდესაც ადგილობრივი მრევლისა და ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელთა ძალისხმევით პირველად გადაასვენეს კვართი იქვე ახლოს მდგარ ვლაქერნის ხატის სახელობის ეკლესიაში. ამის შემდეგ აღნიშნული სიწმინდე ისევ მუზეუმს დაუბრუნდა. 1990 წლიდან მოყოლებული, ყოველი წლის 2 (15) ივლისს, როდესაც მსოფლიოს მართლმადიდებელი სამყარო ზეიმობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წმინდა სამოსლის ვლაქერნის (კონსტანტინოპოლი) ტაძარში დადების დღესასწაულს, ქრისტიანობის ამ უდიდეს სიწმინდეს მუზეუმიდან დროებით გამოაბრძანებენ ხოლმე, ზუგდიდის ვლაქერნის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში დაასვენებენ და მორწმუნეები თაყვანს სცემენ მას.

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული სიწმინდეების შესწავლა – პოპულარიზაციას დიდი ამაგი დასდეს ამავე მუზეუმის თანამშრომელმა ლ. ბერაიამ და დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარემ გ. კალანდიამ.

დღესაც ღვთისმშობლის კვართის ძალით მრავალი სასწაული აღესრულება. ერთ-ერთ ასეთ სასწაულს ადგილი ჰქონდა 2000 წელს, როცა კვართის ქსოვილზე გამოისახა მაცხოვრის სახე, რომელიც კინოსტუდია „მემატიანის“ ოპერატორებმა გ. როგავამ და დ. ასათიანმა კინოფირზე დააფიქსირეს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეებიდან ოთარაშენის (ოთარშენის) ეკლესიაში უძველესი დროიდან დაცული ყოფილა იერუსალიმიდან შემოსვენებული ღვთისმშობლის მოსასხამის ნაწილი, ღვთისმშობლის თავსაბურავის ნაჭერი, ღვთისმშობლის ბეჭედი და, როგორც ერთ-ერთი ეპიგრაფიკული წარწერით ირკვევა „ღვთისმშობლის ოფლი“, რომლისგანაც მრავალი სნეული განკურნებულა.

აღნიშნული სიწმინდის გარდა საქართველოში დაცული ყოფილა მარიამ ღვთისმშობლის სამოსლის სხვა ნაწილებიც. ერთ-ერთი ძველი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, რომელიც წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი შიდა ქართლში მდებარე ქვათახევის მონასტრის საძირკველში ჩაყოლებული ყოფილა ღვთისმშობლის სამოსლის ნაწილი.[46] რუსული წყაროების მიხედვით კი აღმოსავლეთ საქართველოში ნამდვილად ინახებოდა ღვთისმშობლის სამოსლის მცირე ნაწილი, რომელიც მეფე თეიმურაზ I-ის ელჩმა, ეპისკოპოსმა თეოდოსიმ XVII საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში სხვა სიწმინდეებთან ერთად საჩუქრად რუსეთის ხელმწიფეს მიართვა.[48] აღსანიშნავია, რომ თავად ვ. ვ. გოლიცინს 1689 წელს შეუძენია და მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძრისათვის შეუწირავს ღვთისმშობლის სამოსლის ნაწილი, რომელიც, სხვათა შორის, ერთ ხანს იმ კიდობანში ინახებოდა, რომლითაც შაჰ-აბას I-მა საქართველოდან გატანილი საჩუქარი რუსეთის მეფეს გაუგზავნა.

3. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი

წერილობითი წყაროებითა და ქართული საეკლესიო ტრადიციით საქართველოში მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეებიც ინახებოდა. მათ შორის აღსანიშნავია ღვთისმშობლის სარტყელი და მისი სახელობის ვლაქერნის ხატი. სამწუხაროდ, აღნიშნულ სიწმინდეთა შესახებ მხოლოდ გვიანი ხანის, ძირითადად XIX საუკუნის უცხოური (რუსული და ფრანგული) წერილობითი ცნობები მოგვეპოვება. XVII-XVIII საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში მხოლოდ ორიოდე ფრაგმენტული ცნობაა დაფიქსირებული აღნიშნულ სიწმინდესთან დაკავშირებით. XIX საუკუნემდე საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, ევროპელი მოგზაურები და დიპლომატიური მისიით ჩამოსული რუსი ელჩები ამ სიწმინდეთა შესახებ არავითარ ცნობებს არ აფიქსირებენ. ადრეული ხანის წერილობით წყაროებში აღნიშნულ სიწმინდეთა მოუხსენებლობას თავისი მიზეზები უნდა ჰქონოდა, რომლის ახსნას ქვემოთ შევეცდებით.

წყაროების სიმწირის მიუხედავად ღვთისმშობლის სარტყლისა და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ისტორიის შესწავლისადმი ინტერესი ყოველთვის არსებობდა. აღნიშნულ სიწმინდეთა ისტორიის გარკვევას თავის დროზე შეეცადა ა. მურავიოვი, ფრანგი ჟან მურიე, ი. მეუნარგია.[1] უკანასკნელ პერიოდში ამ საკითხს საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. ნ. ხაზარაძემ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. კალანდიამ.[2] ღვთისმშობლის

სარტყლისა და ვლაქერნის ხატის ისტორიის შესწავლას დიდი ამაგი დასდო საქართველოს მათლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა ამბროსი ხელაიამ, 1920 წელს დაწერილ გამოუქვეყნებელ შრომაში – „ბედიის ტაძარი“.[3] წყაროთმცოდნეობითი ბაზითა და გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნებით, ამბროსი ხელაიას დასახელებული ნაშრომი იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამბროსი ხელაია დაწერილებით გადმოგვცემს ღვთისმშობლის სარტყლის შესახებ არსებულ საეკლესიო გადმოცემას. ამ გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ მისი სარტყელი თომა მოციქულის კუთვნილება გამხდარა. ნიკიფორე კალისტას მონათხრობით, თომა მოციქულის შემდეგ სარტყელი, როგორც დიდი სიწმინდე, მორწმუნეებს მემკვიდრეობით გადაეცემოდათ.[4] მთავარეპისკოპოს სერგის გადმოცემით, იმპერატორ არკადის (395-408) დროს ღვთისმშობლის სარტყელი იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში გადაასვენეს. ხოლო იმპერატორმა თეოდოსიმ (408-430) ოქროს კიდობანში ჩასვენებული სამეფო ბეჭდით დალუქული აღნიშნული სიწმინდე მოათავსა არკადი იმპერატორის ქალიშვილის პულხერიას მიერ კონსტანტინოპოლის ჩრდილო განაპირა მხარეში, ვლაქერნად წოდებულ ადგილზე აშენებულ ხალკოპრატიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. შემდგომში აღნიშნულ ტაძარს ადგილობრივი ტოპონიმიკის მიხედვით ვლაქერნის სახელი ეწოდა. დიდი არეულობის დროს, VI საუკუნეში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ვლაქერნის ტაძრის სიწმინდეები, მათ შორის ღვთისმშობლის სარტყელი, გადამალეს კაპადოკიის ქალაქ ზილაში, საიდანაც VII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იმპერატორ იუსტინიანეს (685-694) ისევ კონსტანტინოპოლში დაუბრუნებია.[5]

ვლაქერნის ტაძარში დაცული ღვთისმშობლის სარტყელი, მომხდარი სასწაულების გამო, მორწმუნეთა ყურადღების ცენტრში მოექცა. წყაროებში აღწერილია ერთ-ერთი ასეთი სასწაული. IX საუკუნის მიწურულს ბიზანტიის იმპერატორის ლეონ VI ბრძენის (886-912) მეუღლე ზოია უკურნებელი სენით ყოფილა დაავადებული და ავადმყოფობისაგან იტანჯებოდა. მან ძილში ჩვენება ნახა, რომლის თანახმად დედოფალი განიკურნებოდა, თუკი იგი ღვთისმშობლის სარტყელს შეეხებოდა. სარტყელი, რომელიც საგანგებოდ კიდობანში ინახებოდა, ამოიღეს და ავადმყოფ დედოფალ ზოიას შეახეს, რის შემდეგ იგი სასწაულებრივად განიკურნა.[6] ა. მურავიოვი „თვენსა“ და „მეტაფრასებზე“ დაყრდნობით მომხდარი ფაქტის შესახებ ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. მის მიხედვით, ფსიქიურად დაავადებულ დედოფალ ზოიას კი არ ჰქონია ხილვა, არამედ მლოცველ ქალებს. ა. მურავიოვის გადმოცემით, კონსტანტინოპოლის პატრიარქს ავადმყოფი დედოფლისათვის ღვთისმშობლის სარტყლით პირჯვარი გადაუწერია, რის გამოც ზოია განკურნებულა.[7] მომხდარი სასწაულის გამო, აუარებელი ხალხის თანდასწრებით გადაიხადეს პარაკლისი, რის შემდეგაც პატიოსანი სარტყელი ჩაასვენეს იმ ლუსკუმაში, რომელშიც იგი V საუკუნიდან იყო დაცული.[8] მომხდარი სასწაულის დღის აღსანიშნავად მართლმადიდებელმა ეკლესიამ ძველი სტილით 31 აგვისტო ყოველწლიურ დღესასწაულად დააწესა – „დადება პატიოსნისა სარტყლისა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა“.[9]

ამბროსი ხელაია რუსულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ღვთისმშობლის სარტყელი „დიდად პატივცემული ყოფილა მთელი საბერძნეთის მორწმუნეთაგან. სასწაულებრივი მოქმედების გამო ბიზანტიის იმპერატორები მას ხშირად ატარებდნენ ომების დროს“.[10] ერთ-ერთი ომის დროს ეს სიწმინდე ხელში ჩავარდნია ძლევამოსილ ბულგართა მეფე კოლომანს (1095 – 1114). შემდეგ მას სერბეთის მთავრის ხელში ვხედავთ, რომელსაც XIV საუკუნეში ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილი ათონის წმინდა მთაზე არსებულ ვატოპედის მონასტრისათვის შეუწირავს, სადაც დღესაც ინახება.[11] იგი დასვენებულია ცენტრალური ტაძრის საკურთხეველში, მოვერცხლილ კიდობანში. XVIII – XIX საუკუნეში ათონის წმინდა მთაზე მყოფი მომლოცველი ქართველი საერო და სასულიერო პირები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ვატოპედის მონასტერში დაცული ღვთისმშობლის სარტყლის შესახებ. XIX საუკუნის 40-იან წლებში ცნობილ ქართველ საეკლესიო ისტორიკოსს, პლატონ იოსელიანს, ვატოპედის მონასტერში უნახავს ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილი, რომლის შესახებ იგი საგანგებოდ მიუთითებს: „მონასტერსა ამას შინა (ვატოპედს ე. ბ.) არს დაცული ძ რ-ფასად საუნჯედ ნაწილი სარტყელისა ყოვლად-წმინდისა ღუთის-მშობელისა. იგი ჰძევს ოქროს მშუ ირად ნაკვეთს ყუთში ხავერდით შიგნიდამ მოდებულში“. როგორც პ. იოსელიანი გადმოგვცემს, ვატოპედის ტაძარში დაცული ღვთისმშობლის სარტყელი არის არა მთლიანი, არამედ მისი ნაწილი. პ. იოსელიანის აღწერით: „სიგრძე ამა სარტყელისა არს ორი მტკაველი, სიგანე მისი სამი გოჯი“. აქვე პლატონ იოსელიანი მიუთითებს, რომ მეორე „ნაწილი ამ სარტყლისა ერთ-გუარის ფერისა იპოება ზუგდიდის მინგრელიის მთავრის სასახლის ეკლესიასა“.[12] საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობლის სარტყლის მესამე მცირე ნაწილი ამჟამად ინახება გერმანიაში, ტრირის მონასტერში (რეინის ყოფილი პროვინცია პრუსიაში). ღვთისმშობლის სარტყლის სხვადასხვა ნაწილების ადგილმდებარეობის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ათონის წმინდა მთაზე არსებული წმ. პანტელეიმონის მონასტრის მიერ 1903 წელს გამოცემული ღვთისმშობლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ნაშრომი, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ღვთისმშობლის სარტყლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ათონის მთაზე ინახება, ვატოპედის მონასტერში. იგი ცენტრალური ტაძრის საკურთხეველში, მოვერცხლილ კიდობანშია მოთავსებული. მეორე ნაწილი – ტრირის მონასტერში, ხოლო მესამე საქართველოშია, ზუგდიდის ტაძარში“.[13] მაგრამ, თუ როდის და ვის მიერ იქნა აღნიშნული სიწმინდე საქართველოში შემოსვენებული, ამის შესახებ უძველესი წერილობითი წყაროები ცნობებს არ გვაწვდიან. მხოლოდ გვიანი ხანის, კერძოდ კი, XIX საუკუნის მოღვაწეები: ა. მურავიოვი, ფრანგი ჟან მურიე, პ. იოსელიანი და სხვები გადმგვცემენ ზოგჯერ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვერსიებს ღვთისმშობლის სარტყლისა და ვლაქერნის ხატის საქართველოში მოხვედრის შესახებ. ჩანს, რომ ზოგიერთი ეს ვერსია ადგილობრივ მოსახლეობაში დაცულ საეკლესიო გადმოცემებს უნდა ეყრდნობოდეს, რის გამოც მას გარკვეული ნდობით უნდა

მოვეკიდოთ.

პლატონ იოსელიანის ვერსიის მიხედვით, ღვთისმშობლის სარტყელი ვლაქერნის ხატთან და ძელი ჭეშმარიტის ნაწილებთან ერთად საქართველოში VII საუკუნეში მოუსვენებია ჰერაკლე კეისარს. აღნიშნული სიწმინდეები ჰერაკლე კეისარს (610-641) ქართველებისათვის საჩუქრად გადაუცია ირანელთა წინააღმდეგ საღმრთო ომში აქტიური მონაწილეობის გამო. პ. იოსელიანის გადმოცემით, ძელი ჭეშმარიტის ორი ნაწილი ამკობდა ალავერდისა და ნიქოზის ტაძრებს, ხოლო ღვთისმშობლის სარტყელი ვლაქერნის ამავე სახელწოდების ხატთან ერთად სამეგრელოში იყო დასვენებული.[14] თუ რა ცნობებს ეყრდნობა დასახელებული მკვლევარი აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას, ჩვენთვის უცნობია, რადგან პ. იოსელიანის მოტანილი თვალსაზრისი არც წერილობითი და არც საეკლესიო გადმოცემით არ დასტურდება.

ქართული საეკლესიო ტრადიციით, რომელიც გვიანი ხანის, კერძოდ კი XIX საუკუნის უცხოურ წერილობით წყაროებში აისახა, ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილი საქართველოში ჩამოუტანია იმავე სარტყლის სასწაულმოქმედი ძალით განკურნებულ ბიზანტიის იმპერატორის ძმისშვილს ელენეს, რომელიც მეფე ბაგრატ IV-ზე (1027 – 1072) დაუქორწინებიათ. რუსი ავტორები, ა. მურავიოვი, მიტროპოლიტი ფილარეტი და ფრანგი ჟან მურიე არასწორად ასახელებენ დედოფლის მამის სახელს – რომანოზს, ასევე დედოფლის საქართველოში ჩამოსვლის თარიღს – X საუკუნეს. რუსი ავტორებისაგან განსხვავებით ფრანგი ჟან მურიე სწორად მიუთითებს ქართველი დედოფლის სახელს – ელენეს. ამასთან, იგი, ზემოხსენებული ავტორებისაგან განსხვავებით, მართებულად აღნიშნავს, რომ ელენე დედოფალი დაქორწინებული იყო არა მეფე ბაგრატ III-ზე (975 – 1014), არამედ ბაგრატ IV-ზე.[15] ამბროსი ხელაია კრიტიკულად განიხილავს ზემოთ დასახელებულ ავტორთა მოსაზრებებს და XVIII საუკუნის ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „დედოფალ ელენეს წამოუღია საბერძნეთიდან ქრისტეს სამსჭვალი და სასწაულმოქმედი ხატი, მაგრამ ეს იყო არა ვლაქერნისა, არამედ ოქონის ღვთისმშობლის ხატი“. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბაგრატ IV-ის მეუღლე ელენე იყო არა იმპერატორ რომანოზის (1028 – 1034), არამედ მისი ძმის, ბასილის (იმავე ვასილის) ქალიშვილი. ამბროსი ხელაიასვე დასკვნით, ეს ამბები უნდა მომხდარიყო 1028 – 1034 წლებს შუა.[16] ბერძნულ-ქართული წყაროებით დასტურდება, რომ 1032 წელს საბერძნეთში მყოფმა მეფე ბაგრატ IV-ის დედამ, მარიამმა, ბიზანტია-საქართველოს შორის მშვიდობიანობის ჩამოგდების მიზნით თავის შვილს ცოლად ჩამოუყვანა კეისარ რომანოზის ძმის, ბასილის შვილი, ელენე. თუმცა, წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, წამოიღო თუ არა ელენემ მზითევში ღვთისმშობლის სარტყელი. მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ ელენე დედოფალს საქართველოში ჩამოუსვენებია არა ღვთისმშობლის სარტყელი, არამედ „სამსჭვალი უფლისა და ხატი ოქონისა“. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „ეს უკანასკნელი უნდა იყოს ვლაქერნის ხატი“.[17]

ზემოაღნიშნულ საეკლესიო გადმოცემებს ღვთისმშობლის სარტყლის საქართველოში შემოსვენების შესახებ უნდა ვენდოთ, რადგან მის უარსაყ-

ოფად არავითარი არგუმენტი არ გაგვაჩნია. უფრო მეტიც, XV საუკუნის უცხოურ წერილობით წყაროებში საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოში ღვთისმშობლის სარტყლის არსებობის შესახებ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია 1480-1483 წლებში უცხოელი პილიგრიმის, ფელიქს ფაბრის მიერ შედგენილი ქრონიკა. ამ ქრონიკის მიხედვით ირკვევა, რომ XV საუკუნეში წმინდა მიწაზე მყოფი უცხოელი პილიგრიმები ქართველებს მოიხსენებდნენ, როგორც „სარტყლის ქრისტიანებს“, რაც, ბუნებრივია, „ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული იმ წერილობითი თუ ზეპირი ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს, რომელიც ღვთისმშობლის სარტყელს მაინცდამაინც საქართველოს და ქართველებს უკავშირებს“.[18] ამ ფაქტის აღნიშვნისას უცხოელ მორწმუნეთათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ღვთისმშობლის სარტყლის საქართველოში არსებობის ფაქტი.[19]

თუკი ზემოთ აღნიშნულ გადმოცემას ვენდობით, ელენე დედოფალს ღვთისმშობლის სარტყელთან ერთად საქართველოში უნდა მოესვენებინა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატიც, რადგან წერილობითი წყაროების მიხედვით ღვთისმშობლის სარტყელი ამ სახელწოდების ხატზე იყო მიმაგრებული. ამის გამო, ორივე სიწმინდე ერთად მოიხსენება, რის გამოც, ამბროსი ხელაიას აზრით, „ღვთისმშობლის სარტყლის ისტორია მჭიდროდაა შეკავშირებული ვლაქერნის ხატის ისტორიასთან“.[20]

საქართველოში არსებულ ვლაქერნის ღვთისმშობლის სარტყელთან დაკავშირებით გასარკვევია ერთი საკითხი, არის თუ არა იგი ის სიწმინდე, რომელიც ოდესღაც კონსტანტინოპოლის ვლაქერნის მონასტერში იყო დასვენებული, თუ იგი მისი ასლია? მკვლევარ ი. მეუნარგიას აზრით, სამეგრელოში დაცული ვლაქერნის ხატი ღვთისმშობლის ის ხატია, რომელიც ერთ დროს ბიზანტიაში ვლაქერნის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა და „რომელმაც დაიცვა და დაიფარა კონსტანტინოპოლი განადგურებისაგან“. ამჟამად, (XX საუკუნეში – ე. ბ.), როგორც ი. მეუნარგია წერს, კონსტანტინოპოლში დასახელებული ეკლესია აღარ არსებობს, მაგრამ ვლაქერნის ხატი კი საქართველოშია დაცულიო.[21] ჩვენთვის რთულია, უარვყოთ ან დავადასტუროთ ი. მეუნარგიას გამოთქმული მოსაზრება. ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ავთენტურობის დადგენა ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. თუმცა, XI საუკუნის შემდგომ (ე. ი. ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილის საქართველოში ჩამოსვენების შემდეგ) არსებული უცხოური წერილობითი წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი გარკვეულ პერიოდამდე ისევ ბიზანტიაში, ამავე სახელწოდების მონასტერში იყო დასვენებული. აღნიშნული ხატი XIV საუკუნეში კონსტანტინოპოლში უნახავს რუს დიაკონ ალექსანდრეს.[22] როგორც ირკვევა, ვლაქერნის მონასტერში ინახებოდა აგრეთვე მეორე სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის სახელობის ხატი, რომელსაც ჰერაკლე კეისარი (610 – 641) თურმე თან დაატარებდა. ხატმებრძოლობის დროს აღნიშნული სიწმინდე პანტოკრატორის ტაძრის კედელში საიდუმლოდ დაუმალავთ, სადაც საუკუნეზე მეტ ხანს ინახებოდა. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ კი იგი ათონის წმინდა მიწაზე გადაასვენეს. სხვა ვერსიის

მიხედვით, სამალავში ჩასვენებული ხატი მუსლიმან ჰაბიზებს გაუძარცვავთ, შემდეგ კი ადგილობრივი მორწმუნე დედაკაცისათვის მიუყიდიათ. ამ უკანასკნელისგან აღნიშნული სიწმინდე პროტოსინგელოზ გაბრიელს უყიდია. ამ ვერსიით, 1654 წელს ღვთისმშობლის ხატი რუსეთის იმჟამინდელ მეფე ალექსი მიხეილის ძეს ვაჭარმა ოსტაფიევმა მიართვა. იერუსალიმის პატრიარქი გაბრიელი ნაჩუქარი სიწმინდით დაეჭვებულ რუსეთის მეფეს აცნობებდა, რომ ეს ის ვლაქერნის ხატი იყო, რომელიც ერთ დროს იფარავდა კონსტანტინოპოლს და რომელსაც ჰერაკლე კეისარი სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს თან დაატარებდა. რუსულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იერუსალიმის პატრიარქმა გაბრიელმა წერილით იმ მიზნით მიმართა რუსეთის მაშინდელ ხელისუფალთ, რომ ნდობა მოეპოვებინა ვაჭარ ოსტაფიევისთვის, კარგ ფასში რომ გაეყიდა ვლაქერნის ხატი. „XVI-XVII საუკუნეებში ბერძნებს ხშირად მიჰქონდათ რუსეთში ხატები, წმინდა ნაწილები სხვადასხვა სარწმუნოებრივი რელიქვიები და ვაჭრობდნენ ამ ნივთებით. არაიშვიათად ხდებოდა ბოროტმოქმედებაც კი, ნაყალბევ რელიქვიებსაც ასაღებდნენ მოტყუებით, რასაც ადასტურებენ რუსეთის საეკლესიო მეისტორიენი“.[23] პროფ. კაპტერევის ცნობებზე დაყრდნობით, ამბროსი ხელაია ეჭვს გამოთქვამს რუსეთში გადასვენებული ხატის ნამდვილობის შესახებ. მკვლევარ გ. კალანდიას კი მიაჩნია, რომ საქართველოში ელენე დედოფლის მიერ ჩამოსვენებული ხატი ასლი კი არა, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის დედანია. მისი აზრით, ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილთან მოხსენებული „ხატი ოქონისა“, რომელიც ელენე დედოფალმა საბერძნეთიდან ჩამოიტანა, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი უნდა იყოს.[24] ჩვენ ვერც უარვყოფთ და ვერც დავადასტურებთ გამოთქმულ მოსაზრებას, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, საქართველოში დღეს დაცული აღნიშნული სიწმინდე დედანი თუ, არა ასლი მაინცაა იმ ხატისა, რომელიც ოდესღაც ვლაქერნის ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა.

საეკლესიო გადმოცემით, XI საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში შემოსვენებული ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილი ამავე სახელწოდების ხატთან ერთად დაუსვენებიათ სამურზაყანოში, ზღვის მახლობლად, ახლადაგებულ ბედიის მონასტერში, რომელიც ვლაქერნის სახელობისა ყოფილა; როგორც ჩანს, ახლადმისვენებული ამავე სახელწოდების ღვთისმშობლის ხატის გამო. XVI საუკუნეში, როცა შავი ზღვის სანაპიროზე ოსმალები გამოჩნდნენ, ღვთისმშობლის სარტყელი ვლაქერნის ხატთან ერთად უსაფრთხოების დაცვის მიზნით გადაუსვენებიათ ჯერ მარტვილში, ხოლო ლევან I (1532 – 1572) დადიანის დროს – ზუგდიდში, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში. XVIII საუკუნის დასაწყისში კი აღნიშნული სიწმინდე, უშუალოდ სამეგრელოს მთავრების რეზიდენციაში ინახებოდა. ამასვე ადასტურებს საქართველოს პირველი მთავარმართებელი პავლე ციციანოვი (1803 – 1806) – რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში, სადაც იგი გარკვევით აღნიშნავს: „როგორც ისტორიით და გადმოცემით, ისე ჩემგან შეკრებილი სარწმუნო ცნობებით, ვლაქერნის ხატი მუდამ ინახებოდა სამეგრელოს დადიანების სასახლეში“.[25] სწორედ ამ ფაქტორით უნდა ყოფილიყო

განპირობებული, რომ XVII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დადიანის სამთავროში საგანგებოდ ჩასული რუსი დესპანები ფედოტი ელჩინი და პავლე ზახარევი არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან ვლაქერნის ხატისა და ღვთისმშობლის სარტყლის შესახებ. მათ საშუალება არ მიეცათ, ზუგდიდში, მთავრის რეზიდენციაში არსებული სიწმინდეები დაეთვალიერებინათ. თუმცა, როგორც რუსული წყაროებიდან ირკვევა, რუსეთის ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო, რომ საქართველოში ინახებოდა ღვთისმშობლის სარტყელი. ჩვენი აზრით, საქართველოში ღვთისმშობლის სარტყლის არსებობის ფაქტი მოსკოვს უნდა შეეტყო 1635 წელს რუსეთში ჩასული მეფე თეიმურაზ I-ის ელჩის, მიტროპოლიტ ნიკიფორეს მეშვეობით. ოღონდ ეს უკანასკნელი XVII საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის ხელისუფალთ აცნობებდა, რომ თითქოს ეს სიწმინდე აღმოსავლეთ საქართველოში ინახებოდა. მისივე ცნობით, შაჰ-აბას I-ის შემოსევის დროს დაიკარგა ღვთისმშობლის სარტყელი, რომელიც ცარგრადიდან იყო მოტანილი, „ფიქრობენ, რომ ის სიწმინდეები შაჰმა წაიღო“.[26]

მოსკოვის სამეფო კარზე მყოფი ქართველი ელჩი, როგორც შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, ახმოვანებს იმდროინდელი კახეთის სამეფოს მესვეურთა შეხედულებებს. თეიმურაზ მეფე 1639 წელს მოსკოვიდან ჩამოსულ რუს ელჩებს ზაგემში მოლაპარაკების დროს აცნობებს, რომ შაჰის მიერ რუსეთში გატანილი საჩუქარი უფლის კვართი კი არაა, არამედ ის შეიძლება იყოს რუსთველი ეპისკოპოსის ფერისცვალების ეკლესიიდან წაღებული ღვთისმშობლის სარტყელი.[27] რა თქმა უნდა, მეფე თეიმურაზ I-ისა და მისი ელჩის, მიტროპოლიტ ნიკიფორეს ცნობა ღვთისმშობლის სარტყლის შესახებ რეალურ სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან აღნიშნული სიწმინდე იმ დროისათვის სამეგრელოში იყო დასვენებული. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებისათვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ღვთისმშობლის სარტყელი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ინახებოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1639 წელს სამეგრელოში მომავალ რუს ელჩებს ფედოტი ელჩინს და პავლე ზახარევს – მოსკოვი საგანგებო დავალებას აძლევდა, შეეკრიბათ ზუსტი ცნობები საქართველოში არსებულ სხვადასხვა რელიქვიებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო უფლის კვართზე და ღვთისმშობლის სარტყელზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამბროსი ხელაიას აზრით, სხვა მიზეზითაც არ შეეძლოთ რუს ელჩებს, ეხილათ აღნიშნული სიწმინდეები, „რადგანაც, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი იყო დადიანების საგვარეულო სიწმინდე და ხალხსაც დიდი სასოება ჰქონდა მისი. სამეგრელოს მთავრები დიდი მზრუნველობით ეკიდებოდნენ მას. არავის ანდობდნენ და ინახავდნენ თავის სასახლეში“.[28] აღნიშნულს ჩვენ დავამატებთ იმასაც, რომ ვლაქერნის ხატს და მასზე მიმაგრებულ ღვთისმშობლის სარტყელს მრავალი განძეული ჰქონდა შეწირული, რასაც მისი დღევანდელი მდგომარეობაც ადასტურებს. ხატის ლითონის დაფაზე მოთავსებულია უამრავი ძვირფასეულობა, ძვირფასი თვლებით შემკული ბეჭდები და ჯვრები, ბიზანტიური ოქროს მონეტები, რაც ხდებოდა მიზეზი ხატის ხშირი გაძარცვისა. როგორც ჩანს, სამეგრელოს სამთავრო კარი, მდიდრული შემკულობის გამოც, აღნიშნულ სიწმინდეებს საგანგებოდ უფრთხილდებოდა და საგულდაგულოდ ინახავდა მას. ასეთი გაფრთხილების მიუხედავად, როგორც წყაროებით დასტურდება, ვლაქერნის ღვთისშობლის ხატი მაინც იძარცვებოდა და ზოგჯერ ადგილმდებარეობასაც იცვლიდა. XVII საუკუნის 80-იან წლებში, როცა გურიის მთავარმა, გიორგი III გურიელმა (1664 – 1684), დაამარცხა იმერეთის მეფე ალექსანდრე IV (1683 – 1695), მან „განძარცუა ხატი ვლაქერნისა ღუთისმშობელი, და ჰყო, სამკაულად თ სად“.[29] ჩვენი აზრით, გიორგი III-ის მიერ გატაცებული ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი უნდა მოხვედრილიყო შემოქმედის მონასტერში. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს 1737 წელს ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილი იმერეთის რუკაც, სადაც აღნიშნული სიწმინდის განსასვენებელი გურიაში, შემოქმედის ტაძარია მითითებული.[30] აქვე აღვნიშნავთ, რომ ტიმოთე გაბაშვილი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საკითხავებში საგანგებოდ გამოჰყოფს კვართისა და სარტყლის მნიშვნელობას: „რომელმან მცველად და საცხებლად წყაროდ ცხოვრებისად; გვანიჭე კვართი შენი საუფლო და უხრწნელისა ქალწულისა სამოსელი და სარტყელი საუნჯედ წარუპარველად მოეც ქვეყანასა ჩვენსა“.[31] ამ საკითხავიდან აშკარად ჩანს, რომ ღვთისმშობლის კვართთან და სარტყელთან ერთად საქართველოში ყოფილა ღვთისმშობლის სამოსლის ნაწილიც, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ქართველ მორწმუნეთა შორის ღვთისმშობლის სარტყელი და ამავე სახელწოდების ხატი დიდ სათაყვანებელ სიწმინდედ ითვლებოდა. როგორც ჩანს, სამეგრელოს გარდა, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ასლები ამშვენებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკლესია-მონასტრებს. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს შიდა ქართლში არსებული ქვათახევის მონასტრის ხატი, რომელიც ცნობილი ქართველი საეკლესიო მკვლევარის, პლატონ იოსელიანის გადმოცემით, „ვლახერნისად“ იწოდებოდა. დასახელებული მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღნიშნული ხატი ღვთისმშობლის იმ ხატის ასლი უნდა იყოს, რომელიც კონსტანტინოპოლის მახლობლად, ვლაქერნის მონასტერში იყო დასვენებული.[32] ამის გარდა, ზოგიერთი ქართული ეკლესია-მონასტრის კედელზე გამოსახული ყოფილა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ფრესკაც. ისტორიულად სამხრეთ საქართველოს ნაწილში, დებედას ხეობაში არსებულ ახტალის ქართულ მონასტერში (ამჟამად ეს ტერიტორია და ახტალის მონასტერი სომხეთის რესპუბლიკის მფლობელობაშია), საკურთხევლის აფსიდის ზემოთ, ცისფერ ფონზე მოთავსებული იყო ფრესკა ღვთისმშობლის დიდი ხატის გამოსახულებით. გადმოცემის თანახმად, რომელსაც ა. მურავიოვი და დ. ბაქრაძე მოგვითხრობენ, ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ (610 – 641) თითქოს ახტალის ტაძარი ააგო იმის ნიშნად, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატმა დაიცვა კონსტანტინოპოლი სპარსთაგან, იმ დროს, როდესაც კეისარი დედაქალაქში არ იმყოფებოდა. იმავე გადმოცემის მიხედვით, ამ ფაქტის აღსანიშნავად, ახლადაგებული ტაძრის კედელზე გამოუსახავთ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ფრესკაც.[33] ჩვენ არ შეგვიძლია, აღნიშნული გადმოცემის რეალობა დავასაბუთოდ, მაგრამ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახტალის მონასტრის კედელზე ვლაქერნის ღვთისმშობლის ფრესკის არსებობა ფრიად საყურადღებოა.

საქართველოში დაცული ვლაქერნის ხატისა და ღვთისმშობლის სარტყ-

ლის შესახებ საინტერესო მასალებია ასახული იმ წერილობით წყაროებში, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801 წ.) შემდეგ, 1803 წელს, იმერეთის სამეფოსაგან შევიწროვებული სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა. ღვთისმშობლის სარტყელი და ვლაქერნის ხატი სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თავისი სიმამრი, მეფე გიორგი XII (1798 – 1800) ცოცხალი იყო, უსაფრთხოების მიზნით თბილისში, ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გაუგზავნია შესანახად.[34] მეფე გიორგი XII-ის სიკვდილისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, აღნიშნული სიწმინდე გიორგი XII-ის ძეს, დავით ბატონიშვილს მიუსაკუთრებია, რომელსაც რუსეთში გადასახლებისას ღვთისმშობლის სარტყელი თან წაუღია. სამეგრელოს მთავრის, გრიგოლ დადიანის გარდაცვალების (1804) შემდეგ მის ქვრივს, ნინო ბაგრატიონ-დადიანისას, არაერთხელ მიუმართავს დავით ბატონიშვილისათვის, აღნიშნული სიწმინდე უკან დაებრუნებინა, მაგრამ თხოვნამ და მუდარამ შედეგი ვერ გამოიღო. „ბატონიშვილი სხვადასხვა პატივსადებ გარემოებათა მომიზეზებით მუდამ უარს უთვლიდა მთავრინა ნინოს და სამეგრელოს დიდებულნი იძულებულნი გახდნენ მიემართათ სხვა საშუალებებისათვის, ეხმარათ ხერხი. გადაწყვიტეს, მიართვან ხატი ხელმწიფე-იმპერატორს იმ აზრით, რომ შემდეგ ეშუამდგომლათ მისი დაბრუნებისათვის სამეგრელოში. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბატონიშვილი იმპერატორისათვის ხატის მირთმევის წინააღმდეგი არ გახდებოდა და ხერხმა მართლაც გაამართლა“.[35] რუსეთის დედაქალაქში მყოფმა დავით ბატონიშვილმა პეტერბურგში ჩასულ სამეგრელოს დეპუტაციას, რომელშიც შედიოდა ნიკო გიორგის ძე დადიანი, ბეჟან მანუჩარის ძე დადიანი და კარის დეკანოზი იოანე იოსელიანი, აღნიშნული სიწმინდეები გადასცა.[36] დეპუტაციამ პეტერბურგში თან მიიტანა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი გადასაცემი, 1806 წლის 23 მარტით დათარიღებული სამეგრელოს დროებითი მმართველის, ნინო დადიან-ბაგრატიონის წერილი. აღნიშნული დოკუმენტი თავისი შინაარსით მეტად საინტერესოა. სამეგრელოს დროებითი მმართველი იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში ხაზგასმით აღნიშნავს: «Я, всеподданейшая раба, с сиротами моими приношу яко лепту, достойную памяти. Ибо образ сей есть Влахернской Божьей матери, к котором прикован пояс самой пресвятой Богородицы Марии, коим была она опоясана. Верьте истине сей, самодержавный покровитель и государь наш, и потому наполнен он мощами и украшен каменями и жемчугами. Он был препоручен от нас отцу нашему, царю Георгию, рабу Вашему, но по кончине коего остался у брата моего Царевича Давида. Не могли же мы его возвратить к себе потому, что враг дома Дадиани не пропускал в Грузию человека нашего. Ныне образ тот находится в царствующем граде Вашем у упомянутого брата моего, у кого по письму и просьбе моей взяв доверены от меня принесут в жертву сив».[37] იმავდროულად საქართველოს მაშინდელმა მთავარმართებელმა, პავლე ციციანოვმა, აღნიშნულ სიწმინდესთან დაკავშირებით, რუსეთის იმპერატორს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა. ამ მოხსენებაში საქართველოს მთავარმართებელი შუამდგომლობას უწევს ქართველთა დეპუტაციას, რომ

რუსეთის ხელმწიფემ მისთვის საჩუქრად მირთმეული სიწმინდე ისევ სამეგრელოს მოსახლეობას დაუბრუნოს. „ამასთან, ვბედავ – აცნობებს იგი რუსეთის იმპერატორს – დავძინო ჩემი უქვეშევრდომულესი აზრი ამ ხატის შესახებ. როგორც ცნობილია, მეგრელები ძალიან გულმოდგინენი არიან ქრისტეს სარწმუნოებაში და სამეგრელოსათვის უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნიათ ამ ხატის მათთვის დაბრუნება, რადგან მასზე ამყარებენ უღრმეს სასოებას. მათზე მოწევნილ ყველა უბედურებას აწერენ მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებას, რომ დაკარგეს ეს მფარველი მათი ქვეყნისა და ამისათვის ამ დეპუტაციასთან მისი დაბრუნება აღავსებს გამოუთქმელი სიხარულით მთელ სამთავროს და მოახდენს მეგრელებში იმნაირსავე დიდ შთაბეჭდილებას, როგორც მოახდინა წმინდა ნინოს ჯვრის საქართველოში დაბრუნებამ“ (თარგმანი ამბროსი ხელაიასი)[38]. გამჭრიახი რუსი პოლიტიკოსი, პავლე ციციანოვი (თუმცა იგი წარმოშობით ქართველი იყო), ისევ რუსეთის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სთხოვს იმპერატორს, რომ მასთან მისულ სამეგრელოს დეპუტაციას უკან დაბრუნებისას გადასცეს აღნიშნული სიწმინდეები.

მიზანი მიღწეულ იქნა. სამეგრელოს დეპუტაციამ, როგორც მისი ერთი წევრი ნიკო დადიანი გადმოგვცემს: „იოანე დეკანოზის ხელით, რომელიცა გვქონდა ძღვნად წაღებული ჩვენის მთავრინას ნინა დედოფლისაგან ხატი ვლაქერნის ღმრთის მშობლისა, და მიართვა რა, მიიღო შესაბამითა პატივითა და დაასვენა თვისის სასახლის ეკლესიასა შინა დიდის ცერემონიითა“.[39] იმავე ნიკო დადიანის მონათხრობით, სამშობლოსკენ მომავალ დეპუტაციას რუსეთის იმპერატორმა თან გამოატანა მისთვის საჩუქრად მირთმეული სიწმინდეები. მან „შეამკო (რუსეთის იმპერატორმა _ ე. ბ.) უძვირფასესად ხატი ვლაქერნის ღმრთის მშობლისა და წარმოგზავნა კვალად სახლსა შინა დადიანისასა, რათა მუნ განისვენოს წინდად ჩემის საფარველის დადებისა და თქვენის ჩემდამი ერთგულებისა“.[40]

აღნიშნულ სიწმინდესთან ერთად იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა სამეგრელოს სამთავროს დროებით მმართველს, ნინოს, 1806 წლის 31 მაისით დათარიღებული რესკრიპტი გამოუგზავნა, რომელშიც მითითებული იყო, რომ „...წმინდაი ხატი ვლაქერნის ღვთისმშობლისა უპატიოსნესითა სარტყლითა მისითა მივიღე მე კმაყოფილებითა, ვითარცა ნიშანი ჭეშმარიტისა ქვეშევრდომებისა სახლისაგან თქვენისა და ყოველთა ერთა მეგრელისათა. ხატი ესე პატივითა მოსვენებული იქნა საიმპერატოროსა სახლსა შინა ჩემსა და დასვენებულ სასახლესა ეკლესიისა შინა“.[41] იმავე რესკრიპტით რუსეთის ხელმწიფე ადრესატს აუწყებს, რომ თავისი კეთილგანწყობილების გამოხატვის ნიშნად, იგი სამეგრელოს მოსახლეობას უკან უბრუნებს ამ ძვირფას სიწმინდეს. იმპერატორის განკარგულებით, აღნიშნული სიწმინდეების დასასვენებლად სამეგრელოში მთავრის კარის შერჩეულ ადგილზე უნდა აეგოთ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. მშენებლობის დაწყების მიზნით რუსეთის იმპერატორმა 2000 ჩერვონეცი ოქროს ფული გამოგზავნა. ოღონდ იმ პირობით, რომ, სადაც ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აშენდებოდა, იქვე ახლოს უნდა ყოფილიყო სამეგრელოს მთავრის რეზიდენციაც. ახლადდარსებულ ქალაქს კი გარდაცვლილი მთავრის, გრიგოლ დადიანის

პატივსაცემად, გრიგოლიოპოლი უნდა დარქმეოდა.[42]

რუსეთიდან დაბრუნებული ღვთისმშობლის სარტყელი და ვლაქერნის ხატი ერთხანს გორდში, დადიანის კარის ეკლესიაში ყოფილა დასვენებული, შემდეგ ისინი მარტვილის მონასტერში გადაუტანიათ.[43] სოფელ ზუგდიდში დადიანთა სამთავროს გადაწყვეტილებით შერჩეულ იქნა ადგილი ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ასაგებად, რომლის მშენებლობისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერატორმა 2000 ჩერვონეცი ოქროთი გამოგზავნა. 1817 წელს, აღნიშნული ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით, კავკასიის მთავარმართებელი ალექსანდრე ერმოლოვი ლევან V დადიანს (1804 – 1840) ატყობინებდა: „ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა ახლო მომავალში დამთავრდება და მასთან ერთად გამოგეგზავნებათ 2 ათასი თუმანი მის ასაგებად“.[44] როგორც ბარონ როზენის მიერ გრაფ ნესელროდთან 1837 წლის 29 იანვარს გაგზავნილი მიმართვიდან ჩანს, მართალია, ლევან V დადიანს დიდად უზრუნია ახალი ეკლესიის აშენებისათვის, თვითონვე აურჩევია სოფელ ზუგდიდში ეკლესიის ასაშენებელი ადგილი და თავისი ხარჯით დაუწყია მისი შენება, მაგრამ ამ დროისათვის რუსეთის იმპერატორის გამოყოფილი თანხა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული.[45]

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადმოღებული წარწერით, რომელიც ეკლესიის შიგა კედელზე იყო მოთავსებული, დასტურდება, რომ ზუგდიდში ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის შენება დაუწყიათ 1825 წელს და დაუმთავრებიათ 1830 წელს.[46] ეკლესიის მშენებლობის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ, 1837 წლის 29 იანვარს, ბარონი როზენი გრაფ ნესელროდს ატყობინებდა, რომ თავად დადიანს ნება დაერთოს, რომ მარტვილის მონასტერში დასვენებული ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი სარტყელთან ერთად გადმოსვენებულ იქნას ზუგდიდში, მისთვის საგანგებოდ აგებულ ამავე ხატის სახელობის ტაძარში და რუსეთის იმპერატორის სურვილისამებრ, ამ ადგილს სამეგრელოს გარდაცვლილი მთავრის გრიგოლის პატივსაცემად, გრიგოლიოპოლი დაერქვას. როგორც ჩანს, გათვალისწინებულ იქნა ბარონ როზენის თხოვნა, რის გამოც ხატი სარტყელთან ერთად ზუგდიდში, ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ახლადაგებულ ეკლესიაში დაასვენეს. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ა. მურავიოვს XIX საუკუნის 40-იან წლებში აღნიშნული სიწმინდე ზუგდიდში უნახავს. შემდეგ ეს სიწმინდე დადიანებს ისევ გორდში, თავიანთ საზაფხულო რეზიდენციაში გადაუსვენებიათ. ა. მურავიოვის მონათხრობის სისწორეს ასაბუთებს კ. ბოროზდინიც, რომელიც აღნიშნავს, რომ „იმპერატორმა“ ალექსანდრე I-მა გრიგოლიოპოლისის ტაძარს შესწირა ის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ღვთისმშობლის სარტყელი ერტყა და რომელიც იმპერატორს სამეგრელოს ხალხის მოციქულებმა მიართვეს ძღვნად. ეს ხატი, ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოოჭვილი და ოქროთი მოჭედილი, უნდა ყოფილიყო ნიშანი წმინდა იმპერატორის მზრუნველობისა იმ ხალხისათვის, რომელმაც მისი ქვეშევრდომობა მიიღო“.[47]

1856 წელს სამეგრელოს სამთავროს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის დაკვეთით, რუსეთში ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ჩასას-

ვენებელი სანაწილე (კიოტი იგივე კუბო) გაუკეთებიათ. ამის შესახებ ცნობას გვაძლევს სანაწილეზე არსებული წარწერა.

თუ როგორ გამოიყურებოდა XIX საუკუნეში ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი მასზე მიმაგრებული სარტყლით, ამის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს დაცული ა. მურავიოვს, 1848 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში. მის ცნობებს აღნიშნული სიწმინდეების შესახებ წყაროს მნიშვნელობა ენიჭება, რადგან XIX საუკუნის 40-იან წლებში ა. მურავიოვმა იმოგზაურა სამეგრელოში და როგორც თვითმხილველმა, დაწვრილებით აღწერა ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები, მათ შორის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატიც. მას ზუგდიდში, ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, კანკელის წინ, სახატეში უნახავს ღვთისმშობლის სარტყელი და ხატი. მისივე გადმოცემით: «Лик Богоматери весьма древний, написан на верхней части пояса, который походит на диаконский орар и сложен в виде эпитрахили; нижная часть совершенно ветха. Жемчуг, изумруды и яхонты украшают сии драгоценные остатки и разсыпаны по золотому полю, на котором они лежат. Это, конечно, один из самых древних памятников который остался нам от первых времен Христианства».[48]

აგრეთვე, მეტად საინტერესოა XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გამოცემული ფრანგული ჟურნალ „კოკაზ ილუსტრეს“ რედაქტორის, ფრანგი ჟან მურიეს ცნობები, რომელმაც 1883 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ სქელტანიან ნაშრომში დიდი ადგილი დაუთმო აღნიშნული სიწმინდეების აღწერას. მას XIX საუკუნის 80-იან წლებში ღვთისმშობლის სარტყელი და ვლაქერნის ხატი უნახავს დადიანთა საზაფხულო რეზიდენციაში, გორდში, 1875 წელს აგებულ წმინდა გიორგის ტაძარში. ჟან მურიე განცვიფრებული დარჩენილა სიწმინდეების ხილვით. მისი გადმოცემით, ეკატერინე დადიანის შეკვეთით დამზადებულ სანაწილეში ჩასვენებული ვლაქერნის ხატი დახვეწილი ფერის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენდა. ჟან მურიეს აღწერით: „ერთი მეტრის სიმაღლის ეს სამკარედი 300 პატიოსანი თვლით ყოფილა შემკული, ღვთისმშობლის თავს გარს აკრავს დახვეწილი ტექნიკით შესრულებული ოქროს შარავანდედი, რომლის სხივები დაფარული ყოფილა 329 წვრილი მარგალიტით და 82 მსხვილი მარგალიტით, ქვემოთ, სიგრძეში ჩასმულია ოქროს დაფა, დამშვენებული 79 ლალით, 20 ფირუზით, 9 ალმასით და 93 ზურმუხტით, რომელთა ქვეშ მოჩანს რელიქვია, რომელიც უნდა იყოს, როგორც ამბობენ, ღვთისმშობლის სარტყელი და რომელიც დევს წვრილი მარგალიტებით შემკული ოთხი გლუვი ფურცლისაგან შემდგარ სანაწილეზე. ვარდულები, რომელიც შემკულია დამუშავებული ლალით, ოპალით, ამეთვისტოთი, ჯვრებით, პატარა ამობურცული მედალიონებით, არართული კომპოზიციური ნაკეთობითაა შესრულებული. ეს ვარდულები გამოხატავს რელიგიურ სცენებს. ბერძნული მონეტები, ნაირგვარი სტილის სამკაულები, უზარმაზარი მარგალიტები, სხვადასხვა ფერის ძვირფასი ქვები ამდიდრებენ ამ ხატს“.[49] ჟან მურიე აღნიშნავს, რომ ხატის სანაწილე (კიოტი იგივე კუბო) და კარები დამზადდა ეკატერინე დედოფლის ბრძანებით, რომელზეც სხვადასხვა რელიგიური სცენებია გამოსახული. როგორც ვხედავთ, ჟან მურიეს აღწერილობა შესანიშნავი წყაროა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატისა და მასზე მიმაგრებული სარტყლის დასახასიათებლად.

აღნიშნულ სიწმინდეთა შემდგომი ისტორიის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ექსპედიციაში ყოფნის დროს, ზუგდიდის სიძველეთა დათვალიერებისას, ღვთისმშობლის სარტყელი ვლაქერნის ხატთან ერთად ვერ უნახავს, იმის გამო, რომ აღნიშნული სიწმინდეები სამეგრელოს მთავრის შთამომავლებს სასახლეში გადაუსვენებიათ, თვითონ კი იმ დროისათვის ზუგდიდში არ იმყოფებოდნენ. 1914 წლის დეკემბერში, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თურქთა მოსალოდნელი თავდასხმის შიშით სამეგრელოს მთავრის მოურავს სასახლის ძვირფასეულობა, რომელთა შორის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატიც იყო, ოთხ ყუთში ჩაწყობილი, სარდაფში მოთავსებულ საყინულეში შეუნახავს. შემდეგ იგი გადაუტანიათ ამავე სართულის კუთხის განჯინაში, სადაც იგი შენიღბვის მიზნით აგურით ამოუქოლავთ და კედლისფრად შეუღებავთ. 1919 წლის დეკემბერში იმდროინდელი მთავრობის დადგენილებით ექვთიმე თაყაიშვილი ლ. ქიაჩელთან ერთად, სიძველეთა მოძიების მიზნით, ზუგდიდს ეწვია. სასახლის მოურავმა მათ თბილისში გამოატანა საიდუმლოდ გადამალული განძეულობა, რომელთა შორის ყოფილა ვლაქერნის ხატი.[50]

წამოღებულ სიწმინდეთა შორის ნახსენები არაა ღვთისმშობლის სარტყელი, რომელიც ვლაქერნის ხატზე იყო მიმაგრებული.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განძეულობასთან ერთად დევნილმა დემოკრატიულმა მთავრობამ ვლაქერნის ხატი საფრანგეთში გაიტანა, საიდანაც იგი 1945 წელს მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა. ამჟამად ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდშია დაცული. აღნიშნული სიწმინდე დღემდე მეცნიერულად არავის შეუსწავლია, თუმცა არსებობს ხატის სანაწილეც (კიოტი, იგივე კუბო) და თვით ხატის აღწერილობაც. სანაწილე აღწერა და მასზე არსებული წარწერა გადმოიღო აწ გარდაცვლილმა მკვლევარმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გურამ აბრამიშვილმა. ამ აღწერის მიხედვით ვლაქერნის ღვთისმშობლის ჩასასვენებელი სანაწილე „წარმოადგენს დიდი ზომის მოოქროვილ ვერცხლის ორკარიან კუბოს, რომლის თავზე დამაგრებულია ნახევრადწრიული ფორმის ჯვრით დამთავრებული მოსართავი ელემენტი, რომელიც ვარდის ბუტონების და მისი ღერების გამჭოლ რელიეფურ ფორმას გვაძლევს ფასადის მხრიდან. ეს ზედა ნაწილი ამჟამად მომძვრალია კუბოს კორპუსიდან და ცალკეა. ჯვარზე გამოსახულია ჯვარცმული მაცხოვრის რელიეფური ფიგურა. ზედა მონაკვეთში გრაგნილზე დაწერილია ასოებით „інці“, გამჭოლი დეკორაციული მოტივის ცენტრში ოვალური დაფაა, რომლის კიდეები მსხვილი რელიეფური წერტილებითაა დაფარული. დაფის მთელ არეზე ექვსფიგურიანი რთული კომპოზიციაა რელიეფურად გამოსახული, ფერწერული მინანქრის სახეებით და ხელებით. კომპოზიციას ახლავს რუსული და ქართული ასომთავრული წარწერები: „Образ положения Пояса Пр. Бци“. – ᲔᲪᲔᲚ ᲗᲪᲗᲘᲚᲬᲘᲪ ᲨᲪᲔᲚᲝᲚᲩᲬᲘᲪ ᲚᲪᲐᲔᲧᲬᲘᲪ ᲧᲪᲗ ᲩᲬᲘᲪ ᲘᲬᲘ ᲫᲧᲝᲚᲘᲬᲘᲪ - „ხატი დადებისა პატიოსნისა სარტყლისა ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ის მშობელისა“. ხატის კუბო მოჩარჩოებულია მსხვილად გამოსახული მცენარეული

ხვეულებით, მათში პლასტიკურად გამოსახული ყვავილებით, ჯვრებით და ქერუბიმებით. კუბოს კარების ორივე ფრთაზე გარედან ფესტონებით დანაწევრებულ თაღებში, რომელთა ზედა არეები მცენარეული დეკორით და ცენტრში თითო ქერუბიმით იმკობა, მთელი ტანით გამოსახულია მარცხნივ წინასწარმეტყველი დავითი და მარჯვნივ წმინდა მოწამე ეკატერინე, რუსული და ქართული წარწერებით... აქვე ამოკვეთილია 26-სტრიქონიანი წარწერა, რომელიც მცირეოდენი ცვლილებებით ი. მეუნარგიასა და გ. კალანდიას მიერ არის გამოქვეყნებული.[51]

ჩვენ სრულად ვაქვეყნებთ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სანაწილეზე არსებულ წარწერას, რომელიც მკვლევარ გურამ აბრამიშვილის მიერ არის გადმოღებული.

„1 Ѳროსა მას, ოდესცა კეთილ დღეობით განიგებოდა დიდი სახელმწიფო ყოვლისა Ѧუსეთისა

2 თYთ მპყრობელობითა მართლ მორწმუნისა Ꙗმპერატორის Ꙗლექსანდრე Ѫეორისათა და ოდესცა

3 მეშურნენი დიდებულებისა მისისა სახელმწიფოAსანი, მეფენი დასავლეთისანი, ѣრისტეს Ѯვარის მოსავად

4 სახელის მადებელნი თავისა თYსისანი თანა შეიკრნენ მოწაფისა თანა ცრუ წინასწარმეტყHლის მახმადისა ხონთ

5 ქრისათანა ოსმალთასა კავშირითა ძმობისათა სავნებელად მართლ მადიდებლობისა და მაშინ ქუHყანაAცა

6 ჩუHნი განიცდებოდა პირადპირადთა ზედა მოსილითაგან Ѕ(ეშმარიტად) ყ(ოვლა)დ უწმინდესო Ѳედაო Ꙋ(ვთ)ისაო მე მინდო

7 ბილმან მფარველობისა შენისადმი სამეგრელოAს ѪმართუHლ(მ)ან Ѫთავრინა Ꙗკატერინა Ѳადიანისმან, ასულმან

8 Ѭახეთის თავადის ღენერალ-ლეიტენანტის Ꙗლექსანდრე Ѕავჭავაძისამან შემკობისა შ(ემდგომა)დ ყ(ოვლა)დ პატიოსნისა Ѣლაქერა

9 ნის ხატისა Ꙗენისა, რომელი და შორის მისა ნაწილიცა წ(მინდ)ის Ꙗენის სარტყლისა ძუHლითგანვე აქუნდა სახლსა

10 Ѳადიანთასა უღელვოდ ნავთსაყუდელად განსაცდელთა შინა და რომელიცა ჩყვ (1806) წელსა შინა ოდესცა სამენგრე

11 ლოსა მოევლინა ѢეგარდმოAთ მფარველობა Ѧუსეთისა ნიშად სამარადისოAსა ერთ-გულებისა მისადმი

12 იქმნა მიძღუნილ Ѫენგრელიის ѪართუHლა Ѫთავრინა Ѩინასაგან ასულისა Ѫეფის Ꙗიორგი მეათ

13 ცამეთისა, Ꙗელმწიფე Ꙗმპერატორის Ꙗლექსანდრე პირეHლისადმი, გარნა Ѫისმან Ѳიდებულებამან სათნო

14 ჰყო სახელითა Ѳვისითავე წარმოგზავნა მისვე Ѩინასადმი მისაქცევად სახლადვე Ѳადიანთა ყ(ოვლა)დ უმოწყა

15 ლესისა რესკრიპტისთანა ლა(31) მაისისა მისვეჩყვ(1806) წელსა,რომელსა შინა თქმულ არიან შემდგომნი ძYრ

16 ფასნი სიტყუანი: იყავნ იგი ორკერძოვე წმინდად და მოწამედ სამარადისოAსა ჩემდამი თქუHნისა ერთ

17 გულებისა და ჩემისა განუშორებელისა თქუHნდა მფარველობისა და
მიერითგან განგრძნობასა შინა ერგასთა
18 წელთასა. Yენითა მეოხებითა იქმნა დაცულ სახლი სამთავრო Oადიან-
თა და ს(რულია)დცა სამეგრელო უშფო
19 თუHლად ამათგან მომხსენებელმან და ძალისაებრთა მადლობათა
Yემომწირველმან ვიგულმოდგინე მორ
20 თმევად Yენდა კიდობნისა ამის, რომელსა შორის ეგებოდესრა ყ(ოვლა)დ
პატიოსანი ხატი Yენი წ(მიდ)ით სარტლითურთ
21 Yენით იყავნ იგი განმაძლიერებლად მართლ-მადიდებლობისა, აღსამად-
ლებლად დიდის ჩუHნის Kელ
22 მწიფის სახელისა, წარსამართებლად ძისა ჩემისა ცხრაწლოვანისა
მემკვიდრეობით სამეგრელოAს ჭთავარს და
23 რუსეთის Kელმწიფის ღუარდიის პორუჩიკის ნიკოლაოზ Oავითის ძის
Oადიანისა და ყ(ოვ)ლისა სამენგრე
24 ლოAსა ჭთავრის სახლისა და საოხად Iი(ვთ)ისადმი შესუHნებულის
მეუღლის ჩემის ჭენგრელიის მთავრის და Jუსე
25 თის მთავრის ღენერალ-მაიორის და კავალერიის Oავით ლეონის ძის
დადიანისა წელთა განხორციელებითგან სიტ
26. ყYსა Iი(ვრთ)ისა ჩყნვ-სა (1856), იანვრის დ(4)-სა, საზაფხულო სასახ-
ლესა Qორდს.“

წარწერის ბოლოს შესრულებულია რუსული წარწერა, რომელიც საინ-
ტერესო ცნობებს გვაწვდის აღნიშნული სანაწილის დამზადების შესახებ:
„Сія Кіоти делана въ Москве в 1857 году на фабрике Его Императорского Величества
Фабриканта Церковной Утвера Николои Данилова Полтовцева“

გურამ აბრამიშვილმა აგრეთვე აღწერა სანაწილეში (კიოტი, იგივე კუბო)
ჩასვენებული ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატიც. სამწუხაროდ, ამ ხატს პირ-
ვანდელი სახე დაკარგული აქვს. შემორჩენილია ძვირფასი თვლებით შემკუ-
ლი ადგილი, მაგრამ ღვთისმშობლის სახე, რომელიც მასზე არსებობდა, დაკარ-
გულია, რის გამოც აღნიშნულ სიწმინდეს ხატის სახე აღარა აქვს. მართა-
ლია, გ. აბრამიშვილმა აღწერა ვლაქერნის ხატი, მაგრამ, სამწუხაროდ, მას
გამორჩენია ხატის ზურგზე არსებული წარწერა, რომელიც ჩვენი თხოვნით
გადმოიღო მუზეუმის ფონდების მცველმა, ქალბატონმა ელენე კავლელიშ-
ვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ე. კავლელიშვილის
აღწერის მიხედვით „ცენტრალური დაფის ზურგი დაფარულია ვერცხლის
გარსაკრავით, რომელზედაც განაწილებულია 26 სტრიქონიანი ქართული
მხედრული წარწერა:

1 Eატი ესე ყ(ოვლა)დ ჩ(მიდ)ისა Hლაქერნის Iი(ვთ)ის მშობელისა ნაწილ-
ითურთ ჩ(მიდ)ის სარტყლისა მისისათ ძუელთაგანვე იყო სამკBდრებელი
სამთაBრ
2 სა სამეგრელო სა სახლსა Oადიანთასა Eოლო ოდესაცა განგებასა
ზეგარდმოსა ენება მონიჭება ამა სახლისადმი მფარველობისა
3 Oიდისა Jუსეთის Eელმწიფისა მაშინ არა მყოვარ ჟამ გარდაცვალებისა
შემდგომად სამეგრელო ს ჭთავრის Oადიანის Qრიგორის ქვრი
4 ვმან მისმან მმართველამან სამეგრელო სამან ჭთავრინამან ჩინა ასულ-
მან საქართველო ს ჭეფის გიორგი მეათსამეტისამან უძღუნა იგი ნიშ
5 ნად ერთგულებისა ნეტარად სახსენებელსა Iი(ვთი)სადმი შესუ ნებულსა
Jუსეთის იმპერატორსა Cლექსანდრე ¤ურთხეულსა. ხოლო ჭისმან
6 Oიდებულებამან უკუნ აქცია Eატი ესე ჭთავრინას ჩინასადმი. კეთილ
ინება მოწერად მისდა ლა=ᵇ(31) მაისიდამ, ჩყვს-ᵇ (1806) წლისა შემდეგნი
7 ღირს სახსოვარნი სიტყვანი:
8 Oგანათლებულესო ჭთავრინა ჩინა Qიორგის ასულო:
9 ჭოძღვნილო ჩემდა თქვენის სახელით დეპუტატთაგან პოლკოვნიკის
Cრ(ავა)დის ნიკოლოზ და პოდპოლკოვნიკის თ(ავა)დის ბეჟან დად
10 იანოვთაგან ჩ(მიდ)ა Eატი Hლაქერნის Iი(ვ)თის დედის ყ(ოვლა)დ ჩ(მი)დით
სარტყლით მისითურთ მივიღე მე კმაყოფილებით ვ(ითარც)ა ნიშანი
ჭ(ეშმარი)ტისა ერთგულ
11 ებისა ჩემდამო სახლისა თქუ ნისა და ყ(ოვ)ლისა ჭეგრელთ ერისა.
Eატი ესე სათანადო თა პატივითა იქმნა მოტანილი საიმპერატოროსა სახლ-
სა
12 შ(ინ)ა ჩემსა და დასუ ნებულ სასახლის Qკლესიასა შ(ინ)ა. ვიცი რა
რომელ ერსა ჭეგრელისასა ძუ ლიდამვე აქვსთ განსხვავებული კეთილ
მოწიწება და მხუ
13 რვალე სარწმუნოება ამა ჩ(მიდ)ისა Eატისადმი Hლახერნის Iი(ვთ)ის
მშობლისა ჭე უკუნვაქცევ აწ მას ნიჭად ჩემგან სახლისა თქუ ნისა და
14 ჭეგრელთ ერისა; Qყავნ იგი წინდად საორკერძოვედ და მოწმედ სამა-
რადისო სა თქუ ნის ჩემდამო ერთგულებისა და
15 ჩემისა შეუცვალოებელისა მფარუ ლობისა;
16 Eოლო რათამცა დაუვიწყარ ქმნილ იყო სასიხარულო ესე სახსოვარ
Cმის გამო Oადიანთ სატახტოსა
17 ადგილსა ქუ მოსა შინა ჭეგრელიასა Bუგდიდს იქმნა აგებულ ახალი
Eაძარი სახელისა ზედა, ყ(ოვლად) ჩ(ვენ)ისა Hლა
18 ხერნის Iი(ვთ)ისა Oედისსა და ¤ეროვნითა პატივითა დასვენებულ და
დაცულ იქმნა მას შინა Eატი ეს, Eოლო სი
19 გრძესა ჟამთასა რომლისაგანცა იცვალების ყოველივე კაცობრივი
ძუ ლ ექმნა ზურგითი კედელი ამისი და ამისთ
20 ვის დამბადებელმან ყოვლისა სასოებისამან მფარუ ლობასა ზედა
ზეციერისა Oედოფლისასა სამეგრელო ს
21 ჭართუ ლამან ჭთავრინა Qკატირინამ Cსულმან კახეთის თ(ავა)დის
ღენერალ ლეიტენანტის Cლექსანდრე
22 ჭავჭავაძისამან განვაახლე ზურგი ესე და ახლად შევაწყვე თ თ
ხელითა ჩემითა აღმკულებაცა გარეშემო პირის სახისა
23 საოხად სულისა Iი(ვთ)ისადმი შესვენებულის ჭეუღლის ჩემისა ჭთავრის
Oადიანის Oავითისა, და აღსაზრდელად ძეთა ჩემთა
24 მცირე მწლოვანის ჭეგრელიის ჭთავრის ნიკოლოზის და Cნდრია
Oავითის ძეთა და ასულთა სალომე და Cამა
25 რისათა. ჩელთა განხორციელებითგან სიტყ სა Iი(მრთ)ისა. ჩყნდ-ᵇᵃ (1854)

თთუ სა Ꙋ(1)გვისტოსა Ѳ-ᲡᲐ (4) დღესა სასახლე
26 საზაფხულო Ꙗორდი.“

ბოლოდროინდელ მკვლევართა (ნ. ხაზარაძე, გ. კალანდია) განცხადებით, მართალია, ვლაქერნის ხატმა ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ ღვთისმშობლის სარტყელი დაკარგულად ითვლება. მათი ასეთი განცხადება უნდა მომდინარეობდეს ამბროსი ხელაიას მიერ გამოთქმული შეხედულებებიდან. 1920 წელს ამბროსი ხელაია ზუგდიდიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადმოტანილი სიწმინდეთა შესახებ აღნიშნავდა: „როგორც გადმომცეს, ეს ღვთისმშობლის სარტყელი ახლა ხატთან არ არის და ვის ხელში გადავიდა და ან სად ინახება ეს ძვირფასი სარწმუნოებრივი რელიქვია, არ არის ცნობილი“.[52] იგი იმითაც ყოფილა გაკვირვებული, რომ ზუგდიდიდან წამოღებული სიწმინდეები, მათ შორის ვლაქერნის ხატიც, ექვთიმე თაყაიშვილს ეკლესიისათვის კი არ გადაუცია, „როგორც მორწმუნეთათვის სათაყვანებელი სიწმინდე, არამედ, არ ვიცი რა მოსაზრებით, სახელმწიფოს ხაზინისათვის ჩაუბარებია“.[53] ზემოთ დასახელებული მკვლევარების სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე 1920 წლის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ზუგდიდიდან თბილისში ჩამოტანილ სიძველეთა შორის ღვთისმშობლის სარტყლის მოუხსენებლობა.

როგორც აღინიშნა, დღემდე ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით მეცნიერული კვლევის საგანი არ გამხდარა. ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ ამ კუთხით მეცნიერული მოსაზრებები გამოვთქვათ, მხოლოდ დავძენთ, რომ ხელოვნების მუზეუმში დაცულ ვლაქერნის ხატს თავისი პირვანდელი სახე დაკარგული აქვს. მასზე გვირგვინის ქვემოთ აღარ არის ღვთისმშობლის გამოსახულება, რის გამოც იგი აღიქმება მხოლოდ ძვირფასი ქვებით მოჭედილ დაფად. მაგრამ, თუკი დავაკვირდებით, გვირგვინის ქვემოთ, რომელიც ამჟამად დაზიანების გამო დაფის ნაწილისაგან მოშორებულია, იქ, სადაც ადრე ღვთისმშობლის გამოსახულება იყო, ოდნავ მის ქვემოთ მოთავსებულია ამოზნექილი ფორმის ლითონის ბადე, რომელიც აგრეთვე ძვირფასი თვლებითაა შემკული. მისი ზედა და ქვედა განივი ნაწილები ღიაა, მათში ამჟამად შეინიშნება მუქი მოწითალო, მოშინდისფრო, ალუბლისფერი ქსოვილი. ჩვენი თხოვნით მუზეუმის ფონდების მცველმა, ქალბატონმა ელენე კაველეიშვილმა მოგვაწოდა ამ ქსოვილის აღწერილობა და მისი ზომები: სიგრძე მისი 33 სანტიმეტრია, სიგანე 11 სანტიმეტრი. ჩვენი აზრით, ამოზნექილი ლითონის ბადე უნდა იყოს ღვთისმშობლის სარტყლის განსასვენებელი. ჩვენივე ვარაუდით, ამჟამად მასში არსებული ქსოვილი ღვთისმშობლის სარტყელს უნდა წარმოადგენდეს. დღევანდელი მდგომარეობით ჩვენ მიერ ღვთისმშობლის სარტყლად მიჩნეული ქსოვილი ვლაქერნის ხატზე ისეთივე სახითაა წარმოდგენილი, როგორც მას XIX საუკუნის 40-იან წლებში აღწერდა მისი თვითმხილველი ა. მურავიოვი. ა. მურავიოვის განმარტებით: „ხატზე მიმაგრებული სარტყელი წააგავს სამთავარდიაკონო გინგილას და დაკეცილია ოლარივით, ქვედა ნაწილი სარტყლისა მეტად დაძველებულია, სარტყლის ოქრომკერდის ნიადაგი მოფენილია მარგალიტებით და ზურმუხტებით“.[54]

ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრების მიმართ მკითხველს, უეჭველია, გარკვეული ეჭვი გაუჩნდება. ნუთუ ექვთიმე თაყაიშვილმა, როცა ზუგდიდში აღწერა და თბილისში ჩამოიტანა დადიანის სასახლეთა სიძველეები, არ მიუთითა ვლაქერნის ხატზე მიმაგრებული ქსოვილის შესახებ?! უეჭველია, იგი მაშინაც იქნებოდა. ან კიდევ, ამ ქსოვილის შესახებ არაფერია ნათქვამი იმ ოქმებში, როცა ვლაქერნის ხატი სხვა სიწმინდეებთან ერთად 1921 წელს საზღვარგარეთ გაიტანეს, ხოლო 1945 წელს საფრანგეთიდან დააბრუნეს საქართველოში.

სიძველეთა აღწერის ოქმებში, გარკვეული თვალსაზრისით, არ დაფიქსირდა ღვთისმშობლის სარტყელი. ჩვენი აზრით, ექვთიმე თაყაიშვილს შეგნებულად არ გაუმახვილებია ყურადღება აღნიშნულ სიწმინდეზე. როცა მან 1920 წლის დასაწყისში ზუგდიდში ინახულა ვლაქერნის ხატი, ამ დროისათვის მასზე სარტყელი რომ არ ყოფილიყო, უეჭველია, იგი ამ ფაქტს აუცილებლად აღნიშნავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ დროისთვის სარტყელი ხატზე იყო მიმაგრებული, თუმცა მკვლევარმა განგებ არ აღნიშნა მისი არსებობა იმ მიზეზის გამო, რომ იმდროინდელ ხელისუფლებასა და ახლად ავტოკეფალიაგამოცხადებულ ეკლესიას შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის ძალით, სახელმწიფოს მუზეუმებში ის სიძველეები უნდა მოთავსებულიყო, რომელიც ეკლესიისათვის რაიმე ღირებულებას აღარ წარმოადგენდა. თუკი ექვთიმე აღნიშნავდა, რომ ვლაქერნის ხატზე მიმაგრებული იყო ღვთისმშობლის სარტყელი, მაშინ იგი, როგორც უდიდესი სიწმინდე, შეთანხმების ძალით ისევ ტაძარში უნდა დარჩენილიყო, რომლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიას სახელმწიფო ვერ იძლეოდა. არადა, დაუცველობის გამო, ამ დროისათვის ბევრი საეკლესიო სიწმინდე დაიკარგა. ვლაქერნის ხატი, როგორც დღევანდელი მისი აღწერილობაც ცხადყოფს, შემკული იყო უძვირფასესი თვლებით, რაც ზრდიდა მისი გაქურდვის საშიშროებას. შესაძლებელია, ამავე მიზეზით არ დაფიქსირდა ვლაქერნის ხატზე მიმაგრებული ღვთისმშობლის სარტყელი ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ სიძველეთა აღწერის ოქმებში. ჯერ ერთი, 1921 წელს დევნილობის გამო ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სრულყოფილი აღწერისათვის არავის სცხელოდა, ხოლო, როცა განძეულობა 1945 წელს საქართველოში დააბრუნეს, ათეისტური ხელისუფლების პირობებში აზრიც არ ჰქონდა, დაფიქსირებულიყო აღნიშნული სიწმინდე.

ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია არ გააჩნია. მისი დადასტურება ან უარყოფა ხელოვნებათმცოდნეთა კვლევა-ძიების შედეგადაა შესაძლებელი. მომავალში, იმედია ასეთი სამუშაო ჩატარდება.

თავი IV

წმინდა მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში და მათ სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენში, პირველ საუკუნეში ქრისტეს მოძღვრება იქადაგეს მაცხოვრის მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ. აღნიშნული საეკლესიო გადმოცემის უტყუარობას ადასტურებს როგორც ქართული, აგრეთვე უცხოური წერილობითი წყაროები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ. ამ დოკუმენტური მასალებიდან უცხოური წერილობითი წყაროები ადრინდელი პერიოდისაა, ხოლო ქართული შედარებით გვიანი ხანით თარიღდება.

ჩვენამდე მოღწეული უცხოური წერილობითი წყაროებიდან, რომელიც ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა-ქადაგებების შესახებ შეიცავს გადმოცემებს, ყველაზე უძველესად მიჩნეულია ორიგენეს (185-254) ცნობა. მართალია, იგი თავის შრომაში წმ. ანდრია მოციქულის უმთავრეს სამოღვაწეო ქვეყნად სკვითიას მიიჩნევს და საერთოდ არ ასახელებს საქართველოს, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე კარგა ხანია დადგენილია, რომ ჯერ კიდევ უძველესი ხანის ბერძენი და ლათინი მწერლები: ესქილე (ქრისტეს შობამდე V საუკუნის ბოლო – IV საუკუნის დასაწყისი, ევრიპიდე (480–406), პლუტარქე (46-120), აპიანე (ქრ. შობით II ს.), ვერგილიუს კომენტატორი (ქრ. შობით IV ს.) და სხვა, – „სკვითიაში“ გულისხმობენ არა მარტო კონკრეტული სკვითი ტომით დასახლებულ ტერიტორიას, არამედ მასში ისინი მოიაზრებენ ამიერკავკასიის ტერიტორიის იმ ნაწილსაც, სადაც ქართველი ტომები ცხოვრობდნენ.[1] ორიგენეს ცნობა, რომ – „როცა მოციქულები და მოწაფენი მაცხოვრისა ჩვენისა მოეფინენ მთელ ქვეყანას, თომამ წილად მიიღო პართია, ანდრიამ – სკვითია, იოანემ – ასია, პეტრემ – პონტო, გალატია და ბითვინია, კაპადოკია და ასია“[2] – უცვლელად მეორდება შემდგომი ხანის მოღვაწეებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია IV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის „საეკლესიო ისტორიის“ მამად წოდებულის, პალესტინის კესარიის ეპისკოპოსის ევსევი კესარიელის (260-340) ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალა.[3] იგივე ცნობაა დაცული ლიონის ეპისკოპოს ევხართან († 449) და ისიდორე ისპანიელთან († 629).[4]

დასახელებული პიროვნებებისაგან ოდნავ განსხვავებული და საინტერესო ცნობები მოეპოვებათ მომდევნო ხანის უცხოელ ავტორებს. მართალია, ისინი საქართველოს მაგივრად კვლავ სკვითიას ასახელებენ, მაგრამ კონკრეტულად სკვითიაში ისეთ გეოგრაფიულ სახელებს თუ ჰიდრონიმებს უთითებენ, რომლებიც, უტყუარად ადასტურებენ, რომ „სკვითიის პროვინციაში“ ისინი

უშუალოდ საქართველოს და ქართველი ხალხით დასახლებულ ტერიტორიას გულისხმობენ. ამ მხრივ, ყურადღების ღირსია ქრისტეს შობიდან III საუკუნის დასასრულის მოღვაწე დოროთე ტვირელისა და IV საუკუნის მეორე ნახევრისა და V საუკუნის დასაწყისის წმინდა მამის ეპიფანე კვიპრელის († 405) ცნობაში აღნიშნული ის გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელიც ქართველი ხალხით იყო დასახლებული. ორივე ავტორის ცნობა თითქმის ერთმანეთის იდენტურია. მათი გადმოცემით: „ანდრია მივიდა დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე („პარემბოლი“ – ჯარის ბანაკი – სამყოფელი“), და მდინარე ფასისი, სადაც ცხოვრობენ უშინაგანესანი ეთიოპნი (კოლხნი)“.[5] მოტანილი დოკუმენტური მასალიდან აშკარად ჩანს, რომ „დიდი სებასტოპოლისი“, იგივე ცხუმი – სოხუმია; აფსარის ციხე კი, სადაც ახალი წელთაღრიცხვით I საუკუნეში რომაული გარნიზონი იდგა, დღევანდელი ბათუმის მახლობლად მდებარე გონიოს ციხეა, რომელიც, როგორც არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, მოციქულთა მოღვაწეობის დროს, I საუკუნის 30-40-იან წლებში მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. რაც მთავარია, წყაროში დასახელებულია ცენტრალურ კოლხეთში მდებარე მდინარე ფაზისი, იგივე მდინარე რიონი. დოროთე ტვირელის აღნიშნული ცნობა იმდენად ღირებულად მიუჩნევიათ, რომ იგი X საუკუნეში სრული სახით ქართულად უთარგმნიათ.[6] ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე მნიშვნელოვანია IV საუკუნის მოღვაწის, სოფრონის ცნობა. მან ბერძნულად თარგმნა ამავე საუკუნეში მოღვაწე იერონიმეს რამდენიმე შრომა. ერთ-ერთ მის ნაშრომს სოფრონმა მიუმატა ცნობები მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ წმ. ანდრიამ ქრისტიანობა იქადაგა სკვითიაში, სოგდიანასა და დიდ სებასტოპოლისში, აგრეთვე სამსუნსა და ფაზისის ახლოს, კოლხეთში.[7]

საქართველოში წმინდა მოციქულთა მისიონერული მოღვაწეობის შესახებ მეტად საინტერესოა VIII საუკუნის წმინდა მამის, ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულება „ანდრიას ცხოვრება“. აღნიშნული ნაშრომის დაწერის დროს მას გამოუყენებია მანამდე მოციქულთა შესახებ არსებული გადმოცემები, რომელიც დაცული ყოფილა ეპიფანე კვიპრელთან, ევარგე სიცილიელთან და სხვებთან. გარდა ამისა, როგორც მისი ნაშრომიდან ირკვევა, იგი არ დაკმაყოფილებულა წინამორბედ მოღვაწეთა მონათხრობით და მეტი დამაჯერებლობის მიზნით, უმოგზაურია და ფეხით მოუვლია ყველა ის ადგილი, სადაც წმინდა ანდრია პირველწოდებულს უმოღვაწია. როგორც მისი შრომიდან ირკვევა, მოგზაურობის დროს მას ბევრი საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა მოუპოვებია ანდრია მოციქულის მოღვაწეობის შესახებ. ამ მხრივ, ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ნაშრომი სამეცნიერო გამოკვლევის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, მას ჩვენთვის წყაროს მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასთან გვხვდება ბევრი ისეთი ცნობა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. სხვა უცხოელი, ავტორებისაგან განსხვავებით, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი შედარებით დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ. ამ მხრივ მის ცნობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი IV საუკუნის მოღვაწე

ეპიფანე კვიპრელის ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰ სის ნავსადგური და მდინარე ფაზისი. იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსანელნი, ფუსტელები და ალანები“.[8]

ეპიფანე კონსტანტინოპოლელის მონათხრობით, წმ. ანდრია მოციქულს სამჯერ უმოგზაურია საქართველოში. მისი ცნობა სრულ თანხმობაშია ზოგიერთ ქართულ წყაროსთან. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის მიხედვით, წმ. ანდრია მოციქული პირველი მოგზაურობის დროს წამოსულა ქალაქ ამასიიდან და მისულა ლაზიკის ქალაქ ტრაპიზონში. აქედან იგი ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად გადასულა იბერიაში, შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ წარმართთა მოქცევის შემდეგ იგი ისევ იერუსალიმში დაბრუნებულა, სადაც მას სხვა მოციქულებთან ერთად მონაწილეობა მიუღია ქრისტეს აღდგომის დღესასწაულში. ეპიფანეს გადმოცემით, მეორე მოგზაურობის დროს წმ. ანდრიამ „მოიწია ქალაქსა ტრაპიზუნს“. მესამე მოგზაურობის დროს ანდრია პირველწოდებულს თან ხლებია ქრისტეს სხვა მოციქულები – სიმონ კანანელი და მატათა. მათ „მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში“. აქედან ისინი ქრისტიანობის საქადაგებლად გადასულან სუსანეთში, სადაც თურმე ქალები მბრძანებლობდნენ მამაკაცებზე. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის გადმოცემით, მატათა მოციქული სუსანაიაში დარჩენილა, „ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, მათ მრავალი სასწაული მოუხდენიათ, მრავალნი დამოძღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში, დიდ სებასტოპოლისში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღვთის სიტყვა“. სებასტოპოლისში ანდრიამ დატოვა სიმონ მოციქული, თვითონ კი ახალი მოძღვრების საქადაგებლად ჯიქეთში გადავიდა. ჯიქებმა ქრისტიანობა არ მიიღეს, ისინი უხეშად მოექცნენ მოციქულს და „განიზრახეს ანდრიას მოკვლა“. ანდრია ღვთის წყალობით გადაურჩა სიკვდილს.[9]

ეპიფანე კონსტანტინოპოლელის აღნიშნული ცნობა სხვა მხრივაც იპყრობს ყურადღებას. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ წმინდა ანდრია პირველწოდებულის გარდა, ქრისტეს მოძღვრება საქართველოში ორ მოციქულს – სიმონ კანანელსა და მატათას უქადაგიათ. როგორც ჩანს, ეპიფანე კონსტანტინოპოლელმა საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ არსებული გადმოცემა თავისი წინამორბედი უცხოელი მწერლებისაგან მოიპოვა. აღნიშნულის შესახებ საინტერესოა IV საუკუნის მოღვაწის სოფრონის მინაწერი, რომელიც მის მიერ ბერძნულად თარგმნილ იერონიმეს თხზულებაშია მოთავსებული, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოში ანდრია მოციქულს თან ახლდა მატათა, რომელმაც „...სახარება იქადაგა მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე და ჰ სის ნავსადგური.“[10] ეპიფანე კონსტანტინოპოლელის ნაშრომი „ანდრიას ცხოვრება“ იმდენად სანდო და პოპულარული ყოფილა, რომ იგი XIV საუკუნის მოღვაწე ნიკიტა ქსანთოპულოსს თავის „საეკლესიო ისტორიის“ ძირითად წყაროდ გამოუყენებია. იგი უცვლელად იმეორებს ეპიფანეს მონათხრობს საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ.[11]

საქართველოში მოციქულთა ღვაწლს საგანგებოდ აღნიშნავს აგრეთვე IX საუკუნის მოღვაწე ნიკიტა პაფლაგონელი, რომელმაც ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნილ ქებაში მიუთითა, რომ მან ქრისტეს რწმენა გაავრცელა იბერებთან, სავრომატებთან და სკვითებთან, „რომელნიც ევქსინიის პონტოს ჩრდილოეთით იმყოფებიან და სამხრეთითაც არიან განლაგებულნი“.[12]

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში ანდრია მოციქულის ღვაწლი საგანგებოდაა აღნიშნული X საუკუნის დასასრულითა და XI საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ ბიზანტიის იმპერატორის, ბასილი დიდის (970 – 1025) სახელით ცნობილ თვენში, სადაც აღნიშნულია, რომ ანდრია მოციქული „წავიდა დიდ სებასტოპოლისში, სადაც ზღვას ერთვის მდინარეები ფსარე და ფასიდი“. ე.ი. ჭოროხი და რიონი.[13]

ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ცნობები დაცულია აგრეთვე გვიანი ხანით დათარიღებულ რუსულ წერილობით წყაროებში. საეკლესიო გადმოცემითა და წყაროებზე დაყრდნობით რუსეთის ეკლესიას წმინდა ანდრია თავიანთ მოციქულად მიაჩნიათ. როგორც ერთ-ერთ ქართულ თარგმანშია აღნიშნული, ანდრია მოციქულს რუსეთის ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ქრისტიანობა გაუვრცელებია და კიევში აღუმართავს ჯვარი. ანდრია მოციქულის „ცხოვრების“ რუსული ვერსიის ავტორმა იცის, რომ მან „ღრუზინებს ზედა კვერთხი აღმართა“.[14] წმ. ანდრიას „ცხოვრების“ რუსი ავტორი კარგად იცნობს ამ მოციქულის შესახებ არსებულ ბერძნულ-ქართულ წყაროებს. მათზე დაყრდნობით, რუსული წყაროები აღნიშნავენ, რომ შავი ზღვის მოსახლეობამ წმინდა მოციქული მტრულად მიიღო, ქვები დაუშინეს, კბილები ჩაუმტვრიეს („зубы отриваху“). ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, მან უკან არ დაიხია და ქრისტეს რწმენა გაავრცელა ჩრდილოეთის ქვეყანაში. სხვათა შორის, რუსულ ენაზე არსებული ანდრია მოციქულისადმი მიძღვნილი პროლოგ-სვინაქსარი, რომელშიც არის ცნობები იმის შესახებ, რომ მან ქრისტიანობა საქართველოში იქადაგა, XVIII საუკუნის დასაწყისში ქართულად უთარგმნია რუსეთში მყოფ მეფე-პოეტს არჩილს.[15]

როგორც ვხედავთ, უცხოური წერილობითი წყაროები ძუნწ, მაგრამ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მოციქულთა საქართველოში მოღვაწეობის შესახებ. ბერძენ-რომაელი მწერლები უტყუარად ადასტურებენ, რომ საქართველოში ქრისტიანობა მოციქულებმა იქადაგეს. უცხოური წყაროებიდან ყველაზე ვრცელი ცნობები VIII საუკუნის მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თხზულებაშია დაცული, რაც, ჩვენი აზრით, იმითაა განპირობებული, რომ მან არა მარტო წინამორბედ მწერალთა ცნობებით ისარგებლა, არამედ ანდრია მოციქულის გზით მოგზაურობის დროს შეკრიბა საინტერესო მასალა, რითაც თავისი შრომა კიდევ უფრო გაამდიდრა.

საქართველოში მოციქულთა ქადაგებამ თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ მწერლობაში. ქართულმა საისტორიო წყაროებმა, საეკლესიო გადმოცემებმა და ეთნოგრაფიულმა მასალებმა საინტერესო ცნობები შემოგვინახა საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ.

ქართველ მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ გადმოცემა მოციქულთა მიმოსვლის შესახებ საქართველოში ცნობილი უნდა ყოფილიყო VIII საუკუ-

ნის მეორე ნახევარში მოღვაწე იოანე საბანისძისათვის. იგი თავის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჰაბოს წამება“ დასავლეთ საქართველოში არსებულ ისეთ ტოპონიმებს ასახელებს, რომელნიც მოციქულთა სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული.[16] ამავე გადმოცემას იცნობს აგრეთვე IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ანონიმი ავტორი ჰაგიოგრაფიული პოემისა მიქაელ საბაწმინდელის შესახებ. აღნიშნულ თხზულებაში დასავლეთ საქართველო მოციქულთა წილხვედრ ქვეყნადაა მოხსენებული.[17]

ანდრია პირველწოდებულის თემამ X – XI საუკუნის საქართველოში განსაკუთრებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ზემოაღნიშნულ საუკუნეებში საზღვარგარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ქართველი წმინდა მამები საქართველოში ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის რეალურ ფაქტებს ხშირად იყენებდნენ ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. აღნიშნულ საკითხზე 1057 წელს გიორგი მთაწმინდელმა ცხარე პოლემიკა გაუმართა ანტიოქიის პატრიარქს თეოდოსს. ამ უკანასკნელის აზრით, საქართველოს ეკლესიას არ აქვს ავტოკეფალიის უფლება იმ უბრალო მიზეზით, რომ ივერიის ქვეყანაში, თითქოს, არც ერთ მოციქულს ქრისტიანობა არ უქადაგნიაო. როგორც წყაროები გადმოგვცემენ, გიორგი მთაწმინდელმა მტკიცედ დაიცვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა და ბერძენი პატრიარქის პრეტენზიებს თვით ბერძნული წყაროები დაუპირისპირა. მან მოითხოვა მოეტანათ წმინდა ანდრიას „მიმოსვლის“ ბერძნული ტექსტი. როდესაც ტარსუს მიტროპოლიტმა თეოფილემ „მიმოსვლის“ წიგნი შემოიტანა, გიორგი მთაწმინდელმა პატრიარქს მიმართა: „წმინდაო მეუფეო, შენ იტყ , ვითარმედ თავისა მის მოციქულთა სა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თ სისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი: და ერთი წმინდანთა ათორმეტთა მოციქულთაგანი სიმონს ვიტყ კანანელსა... ამათ წმინდანთა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინაითგან ერთი ღმერთი გ ცნობიეს არღარა უარგ ყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მოდრეკილ არ ნათესავი ჩუენი. შუენის ესრეთ, რა თა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რა თა დაემორჩილოს მწოდებელსა თ სსა და ძმას ანდრეას და რა თა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ“.[18] გიორგი მთაწმინდელის წარმოთქმულმა სიტყვებმა ანტიოქიის პატრიარქზე დადებითად იმოქმედა, რის გამოც მან უარი განაცხადა საქართველოს ეკლესიის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებზე.

საზღვარგარეთ, ქართულ სავანეებში მოღვაწე ჩვენს სასულიერო პირებს ხშირად უხდებოდათ დაპირისპირება ბერძენ იერარქებთან, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესანარჩუნებლად. ასეთ ფაქტებს ადგილი გიორგი მთაწმინდელამდეც ჰქონია. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ექვთიმე ათონელმა, გიორგი მთაწმინდელამდე დიდი ხნით ადრე, ბერძნულიდან თარგმნა წმინდა ანდრია მოციქულის „მიმოსვლა“. ოღონდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სადაოდ რჩება საკითხი, კონკრეტულად რომელ

ავტორს ეყრდნობოდა ექვთიმე ათონელი თავისი შრომის შესრულებისას, ეპიფანე კონსტანტინოპოლელისას (VIII ს.), თუ ნიკიტა პაფლაგონელის ცნობებს (IX ს.).[19] ამისდამიუხედავად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ უკვე XI საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენდა ბერძნული წყაროების საფუძველზე შექმნილი „მოსახსენებელი მიმოსვლისათ ს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი“.

როგორც ჩანს, ასეთი შრომების არსებობის მიუხედავად, ბერძნების მხრიდან საფრთხე მაინც იყო. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების გაწეული ღვაწლი საქმეს ვერ შველოდა. როგორც წყაროებით ირკვევა, უცხოეთის მონასტერში მოღვაწე ქართველი ბერები ამის შემდგომაც აქტიურად მონაწილეობდნენ ბერძნების წინააღმდეგ გამართულ „საღვთისმეტყველო დისპუტებში „და გრძნობდნენ ქართველთა“ გაქრისტიანების საქმეში არსებული წინააღმდეგობების მოგვარების აუცილებლობას“.[20] ამ მიზნით, შავი მთის ქართული მონასტრის ბერმა იოანე-კვირიკემ XII საუკუნეში იქ მოღვაწე ეფრემ მცირეს დაავალა, ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით დაეწერა ისეთი თხზულება, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობოდა საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის ჩვენებასაც. ასეთი დაკვეთით, ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით დაიწერა ეფრემ მცირეს ნაშრომი „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“. აღნიშნული შრომის დაწერის მიზანი ნათელი იყო – შავი მთის ქართული მონასტრის ბერებს სურდათ, „...ბერძნული წყაროების მიხედვით ქართველთა მოქცევის ძირითადი ეტაპების გარკვევა და ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დასაბუთება“.[21] ირკვევა, რომ სხვა ბერძნულ წყაროებთან ერთად, ეფრემ მცირეს გამოუყენებია თეოდორიტე კვიპრელისა და ევაგრე ანტიოქიელის ცნობები. ეფრემ მცირეს ზემოაღნიშნული შრომა იმ დროისათვის მნიშვნელოვან სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენდა. მის ნაშრომში ზოგიერთი ისეთი ბერძნული წყაროა გამოყენებული, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება. ამ მხრივ, ეფრემ მცირეს დასახელებული ნაშრომი წყაროს მნიშვნელობას იძენს.

გადმოცემა ანდრია მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, დაცულია ათონის წმინდა მამებისადმი მიძღვნილ თხზულებებში. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“. მას აგრეთვე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გიორგი მთაწმინდელის (1009-1065) მიერ შედგენილ დიდ სვინაქსარში. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმ. დავით აღმაშენებლის ინიციატივით 1104 წელს ჩატარებულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მიღებულ „ძეგლისწერაში“ გარკვეული კანონიზირება მოახდინა იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც ანდრია პირველწოდებულს მიუძღოდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში.

გვიანი ხანის ქართულ მწერლობაში მოციქულთა შესახებ არსებული ცნობები ძირითადად ეყრდნობა მანამდე არსებულ წერილობით წყაროებს და რაიმე სიახლით არ გამოირჩევა.[22]

ანდრია პირველწოდებულისა და მასთან ერთად მყოფ სხვა მოციქულთა საქართველოში მიმოსვლა დაწვრილებითაა აღწერილი ქართულ საისტო-

რიო წყაროებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ ჩანართი. უკანასკნელ პერიოდში აღნიშნული ჩანართის ტექსტოლოგიური ანალიზით გაირკვა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველ რედაქციებში მოციქულთა მოღვაწეობა არ შედიოდა. იგი მხოლოდ XVIII საკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილ „მეცნიერ კაცთა კომისიას“ უნდა ჩაერთო ლეონტი მროველის ნაწარმოებად მიჩნეულ „მეფეთა ცხოვრებაში“ იმ ადგილას, სადაც აღწერილი იყო „მეფე ადერკის მეფობა“, რომლის დროსაც, მათი აზრითა და ტრადიციის მიხედვით, მოვიდნენ მოციქულები საქართველოში“.[23] გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მეცნიერ კაცთა კომისიის“ მიერ შეტანილი აღნიშნული ჩანართი ეფუძნება ექვთიმე მთაწმინდისეულ წმ. ანდრიას „მიმოსვლის“ თარგმანის ქართულ ვერსიას. მართალია, „ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებული ანდრიას „მიმოსვლის“ ჩანართი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანთან, მაგრამ ეს ჩანართი მისგან მაინც საგრძნობლად განსხვავდება. „მეცნიერ კაცთა კომისიის“ მიერ შედგენილი ჩანართი უფრო ვრცელი და დეტალურია.[24] იგი უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს მოციქულთა მიმოსვლის გზებს და მარშრუტებს საქართველოში, მასში ისეთი ახალი გეოგრაფიული სახელები ჩნდება, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელის ვერსიაში საერთოდ არაა ნახსენები, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის ინიციატივით შექმნილ „მეცნიერ კაცთა კომისიას“ ექვთიმე მთაწმინდელის აღნიშნული თარგმანის გარდა, ხელთ ჰქონდა დღემდე ჩვენთვის უცნობი სხვა წყარო, რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის ვრცელი ვერსია.

გვიანი ხანის ქართველი ისტორიკოსები, ვახუშტი ბატონიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვები სათანადო შეფასებას აძლევენ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში მოციქულთა ღვაწლს.

საინტერესოა ერთი ფაქტის აღნიშვნაც. გარდა ანდრია მოციქულისა, სიმონ კანანელისა და მატათა მოციქულისა, წერილობითი წყაროების ცნობით, საქართველოში სხვა მოციქულებსაც უმოღვაწიათ. ამის შესახებ საინტერესო ცნობა მოიპოვება ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენებულ, შავ მთაზე მოღვაწე ეფრემ მცირეს ნაშრომში. V საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე წმინდა მამის, თეოდორიტე კვირელის (393 – 457) „საეკლესიო ისტორიაზე“ დაყრდნობით ეფრემ მცირე აღნიშნავს, რომ ანდრია პირველწოდებულთან ერთად საქართველოში ქრისტიანობა უქადაგია მოციქულ ბართლომეს.[25] ბართლომე მოციქულის საქართველოში მოღვაწეობას ადასტურებს გვიანი ხანის ლათინური წყაროებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია, XVII საუკუნის 30 – 40-იან წლებში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობა. მის მიერ შედგენილ, ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნში, „წმინდა კოლხეთი“, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობა ანდრია და ბართლომე მოციქულებმა იქადაგეს. მკითხველის დარწმუნების მიზნით, არქანჯელო ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასახელებულმა მოციქულებმა სათანადო კვალი დატოვეს თავიანთ წილხვედრ ქვეყანაში. არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, „ქართლში, სამცხის პროვინციაში არის ერთი ეკლესია, რომელიც მიძღვნილია წმინდა ბართლომესადმი. ამ უკანასკნელმა, ხალხური გადმოცემის თანახმად, თავისი ქადაგებით ამ მხარეში ქრისტიანობა გაავრცელა. ამ საეპისკოპოსო ეკლესიის ეპისკოპოსს იშხნელს უწოდებენ“.[26]

საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (1606 – 1648) მიერ ევროპაში გაგზავნილი ელჩის, ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის ხელით იტალიაში (XVII ს. 20-იანი წლები), „პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციაში“ გაკეთებული ერთი მნიშვნელოვანი ჩანაწერი. ამ ჩანაწერით ირკვევა, რომ „პირველი, ვინც იქადაგა მათთან (ქართველებში, ე. ბ.) ჩვენი უფალი ბატონის, იესო ქრისტეს წმინდა სარწმუნოება, დიდებული მოციქული ფილიპე იყო, ხოლო ამის შემდეგ მოციქული სიმონი, რომელიც კერპთაყვანისმცემლებმა წამებით მოკლეს და რომლის საფლავი და წმინდა ნაწილები დღემდე დიდი პატივისცემით სარგებლობს, ამ ქვეყნის ქრისტიანებს შორის“.[27] მართალია, „პროპაგანდა-ფიდეს“ აღნიშნული ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ მისი აღნიშვნა ფრიად საყურადღებოა. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ ფილიპე მოციქულს სხვა მოციქულებზე ადრე უქადაგია ქრისტიანობა საქართველოში

XVI საუკუნის ერთ-ერთი სლავური წყაროს მიხედვით, საქართველოს ეკლესია თომა მოციქულის მიერ ყოფილა დაარსებული: „место святого апостола Фомы престолъ Иверский“.[28] მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოსაზრებით: „ეს არ უნდა მოგვეჩვენოს გასაკვირად, თუ გავიხსენებთ, რომ მოციქულმა თომამ იქადაგა სირიაში, სპარსეთსა და ინდოეთში. მოციქულთა ეპოქაში იბერია იყო სპარსეთის (პართიის) უშუალო მოსაზღვრე ქვეყანა, რომელიც ებრძოდა პართიას და ზოგჯერ ამარცხებდა კიდეც.“[29] გარდა ამისა, პირველი საუკუნის დასაწყისში იბერიის ქვეყანაზე გადიოდა დიდი სავაჭრო გზა, რომლითაც დასავლეთის ქვეყნები აღმოსავლეთის სახელმწიფოებს უკავშირდებოდნენ. უეჭველია, რომ პართიასა და ინდოეთში მიმავალი თომა მოციქული საქართველოს გვერდს ვერ აუვლიდა.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული უძველესი უცხოური და ქართული წყაროები უტყუარად ადასტურებენ, რომ საქართველოში ქრისტიანობა პირველი საუკუნის 30-იან წლებში გავრცელდა – ქრისტეს მოციქულების მეშვეობით. ამ შეხედულებას იზიარებდა XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიაც. XIX საუკუნის 40-ან წლებში რუსულ ენაზე გამოცემულ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ცნობილი საკლესიო მკვლევარი პლატონ იოსელიანი ხაზგასმით აღნიშნავდა მოციქულთა ღვაწლს – საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაში. ამავე შეხედულებისა იყვნენ საქართველოს სიძველეთა ცნობილი მკვლევარები: დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, მიხეილ საბინინი, სერგი გორგაძე და სხვები.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები თავიანთ პუბლიცისტურ წერილებში საგანგებოდ აღნიშნავდნენ მოციქულთა ღვაწლს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში. ცნობილია, რომ

აკაკი წერეთელმა 1884 წელს ჟურნალ „მწყემსში“ გამოაქვეყნა პოემა „ანდრია პირველწოდებული“.

საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობამ თავისებური ასახვა ჰპოვა რუსულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაშიც. რევოლუციამდელი რუსული ისტოგრაფიის აზრით, საქართველოს ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, სადაც ქრისტიანობა იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა.

XIX საუკუნის ბოლოს მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა. 1898 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა იმხანად იქ მოღვაწე ქართველი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი: „ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“. აღნიშნული შრომა 1900 წელს ქართულ ენაზე დაიბეჭდა თბილისში გამომავალ ჟურნალ „მოამბეში“. ივ. ჯავახიშვილი საქართველოში მოციქულთა მიმოსვლის შესახებ არსებულ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებს ჰიპერკრიტიკული მეთოდით მიუდგა, რის გამოც, მან „უარყო ანდრია მოციქულის მოღვაწეობის სფეროსთან საქართველოს დაკავშირება.“[30] ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ საქართველოში ანდრია მოციქულის მოღვაწეობის შესახებ ცნობები ჩნდება გვიან, X – XI საუკუნეებში, ათონის მთაზე მოღვაწე ქართველების ძალისხმევით. მისი აზრით, ქართველმა ბერებმა ანდრია პირველწოდებული შეგნებულად მიიჩნიეს ქრისტიანობის პირველ მქადაგებლად საქართველოში, რომ ამით საფუძვლიანად გაემყარებინათ ქართული ეკლესიის თვითმართველობის უფლება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის, ექვთიმე ათონელის მიერ ანდრია მოციქულის „მიმოსვლის“ თარგმნა, ეფრემ მცირესაგან ბერძნულ წყაროებზე დაფუძნებული ნაშრომის შექმნა და სხვა. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, VIII – IX საუკუნეებამდე მოციქულის მიმოსვლის შესახებ საქართველოში არაფერი სცოდნიათ, რის გამოც, „ანდრიას მიმოსვლა და ქადაგება ივერიაში მხოლოდ თქმულებაა, ისეთი თქმულება, რომელსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს“.[31] ასეთი დასკვნის მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილი არ უარყოფდა პირველ საუკუნეში ქრისტიანობის გავრცელების შესაძლებლობას საქართველოში, მაგრამ მის დასამტკიცებლად მას საჭიროდ მიაჩნდა უფრო სანდო საბუთების გამოყენება და არა ანდრია მოციქულის „მიმოსვლის“ მოტანა, რომელიც, მისი აზრით, თქმულებებზეა დაფუძნებული. აღნიშნული საკითხისადმი ივ. ჯავახიშვილის ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება აიხსნება არა ათეისტური მსოფლმხედველობით, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულებით.

ივ. ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნული შრომის წინააღმდეგ 1901 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით კრიტიკული რეცენზია გამოაქვეყნა ქალაქ ახალციხეში მოღვაწე ქართველმა კათოლიკე მღვდელმა ივანე გვარამაძემ. რამდენიმე უცხო ენის მცოდნე ივანე გვარამაძემ (იცოდა ძველი და ახალი სომხური, ბერძნული, რუსული, იტალიური, თურქული ენები), უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, უარყო

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში ქრისტიანობა პირველად მოციქულებმა იქადაგესო. ამის დასტურად მას წერილობით წყაროებთან ერთად მოაქვს ანდრია მოციქულის სახელთან დაკავშირებული, სამხრეთ საქართველოში დარჩენილი საინტერესო ტოპონიმიკური მასალები. მისი აზრით, ამის დასტურია ახალციხის მახლობლად მდებარე სოფელი ანდრიაწმინდა, ახალციხეში – ანდრიას წვერი და სხვა.[32] ჯავახიშვილის მოსაზრებები აგრეთვე არ გაიზიარა საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა მოსე ჯანაშვილმა.[33] ივ. ჯავახიშვილის შეხედულებები დეტალურად გააკრიტიკა იტალიაში მოღვაწე ქართველმა კათოლიკე მღვდელმა და ცნობილმა ისტორიკოსმა მიხეილ თამარაშვილმა, 1910 წელს რომში, ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. მან, უცხოური და ქართული წერილობითი წყაროების ახლებური გააზრებით, უარყო ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი და მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში რეალურ ფაქტად მიიჩნია.

კარგა ხნის მანძილზე აღნიშნული საკითხის კვლევა უყურადღებოდ იყო დატოვებული. ათეიზმის იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მკვლევარები თავს არიდებდნენ საკითხის გაშუქებას, ან კიდევ არარეალურად მიაჩნდათ მოციქულთა მოღვაწეობა. ბოლო პერიოდში მომხდარი ცვლილებების შემდეგ გამოქვეყნდა საინტერესო შრომები. თუმცა, საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობასთან მიმართებაში ბევრი საკითხი დაზუსტებას და დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. დღემდე დაუდგენელია მოციქულთა საქართველოში მოგზაურობის ზუსტი მარშრუტი. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია დაცული „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის დასაწყისში „მეცნიერ კაცთა კომისიას“ ჩანართის სახით შეუტანია.

„ქართლის ცხოვრება“ საქართველოში მოციქულთა „მიმოსვლის“ თხრობას იწყებს იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ ქრისტეს ამაღლების შემდეგ, როდესაც მოციქულებმა წილი იყარეს (გადმოცემით, წილისყრაში თავისი სურვილით ღვთისმშობელიც მონაწილეობდა), თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა ახალი სარწმუნოება, ღვთისმშობელს წილად ხვდა საქართველოს მოქცევა. „ქართლის ცხოვრების“ მიხდვით, ღვთის ნებით ღვთისმშობელი საქართველოში არ გამოემგზავრა. უფალი გამოეცხადა ღვთისმშობელს და განუცხადა: „დედაო ჩემო, არა უგულვებელ ვყო ერი იგი სახეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთ ს“. უფლის მითითებით, ღვთისმშობელს თავის წილხვდომილ ქვეყანაში – საქართველოში – ქრისტიანობის საქადაგებლად უნდა გაეგზავნა თავისი მოწაფე ანდრია პირველწოდებული, „და თანა-წარიტანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენისა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკ დრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“. ღვთისმშობელმა უფლის ნება ამცნო ანდრია პირველწოდებულს, „რათა შენ წახვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილ-ხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწირო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“. ანდრია პირველწოდებული ღვთის ნებას დამორჩილდა, ხოლო „ღვთისმშობელმა მოითხოვა

ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თ სსა და გამოისახა ხატი ესავითარი, რომელ წიაღთა თ სთა ეტ რთა განხორციელებელ ჩ ლი, ყოვლად სახიერი სიტყუა ღმრთისა რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოვლად-წმიდისა აწყურისა ღვთისმშობლისა“. ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობელმა ანდრია მოციქულს გადასცა და თან უთხრა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავ შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებისა მაგას, და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“. აღნიშნული სიტყვების შემდეგ ანდრია მოციქულს ყოვლდწმიდისათვის მადლი ცრემლით შეუწირავს და სახარების საქადაგებლად გამგზავრებულა.[34]

ზოგიერთი ქართული წყაროს ცნობით, ანდრია მოციქულს საქართველოში ორჯერ, ზოგიერთის მიხედვით კი სამჯერ უმოგზაურია. პირველი მოგზაურობის დროს თანმხლებ პირებთან ერთად იგი მისულა ქალაქ ტრაპიზუნში, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის მიხედვით, მეგრელთა ქვეყნად იწოდება,სადაც მას მცირე ხანი დაუყვია. აქედან იგი „შევიდა ქვეყანასა ქართლისასა“, რომელიც დიდ-აჭარის სახელითაა ცნობილი. წყაროს მიხედვით, ანდრია მოციქულმა, თანმხლებ პირებთან ერთად, „მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან“, რადგან დიდ-აჭარის მცხოვრებნი არ იცნობდნენ სამყაროს შემოქმედ ღმერთს და ურწმუნოების გამო ყოველსა საძაგელსა და არაწმინდასა წესსა აღასრულებდეს“. ღვთის შეწევნით, ანდრიამ ადგილობრივი მოსახლეობა ქრისტეს რწმენაზე მოაქცია. ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატის დასვენების ადგილზე დიდი სასწაული მოხდა, „აღმოცენდა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი“, რომელიც წყაროს ავტორის ცნობით, „დღესაცა დაუწყუედლად აღმოსდის“. დიდ-აჭარის მოსახლეობამ სამების სახელით ნათელიღო, ხოლო ანდრია მოციქულმა მათ დაუდგინა „მღვდელნი და დიაკონნი“, ყოვლაწმინდა ღვთსიმშობლის სახელზე აშენებულ იქნა ეკლესია. მოქცევის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა მოციქულს სთხოვდა, თუკი თვითონ გაემგზავრებოდა, ხელთუქმნელი ხატი მაინც დაეტოვებინა მათთვის „სასოდ და მცველად“. ანდრიამ შეიწყნარა მათი თხოვნა. მან „შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა, მეყსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ“. ე.ი. ანდრია მოციქულის ხელით შეიქმნა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ასლი, რომელიც მან დიდ-აჭარის ეკლესიაში დაასვენა. ხელთუქმნელი ხატის დედანთან და თანმხლებ პირებთან ერთად მოციქული ქართლის შუაგულისაკენ წავიდა, გადავლო მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდა, რადგან, გადმოცემის მიხედვით, ამ ადგილზე ანდრია მოციქულს აღუმართავს რკინის ჯვარი. რკინის ჯვრის შემდეგ იგი გადასულა ოძრახისის ხევში და მისულა სამცხის საზღვარზე. აქ მას სოფელ ზადენ-გორასთან დაუვანებია, სადაც საკერპო ადგილები ყოფილა. მოციქულმა ილოცა ხატის მიმართ და კერპები დაემხნენ. შემდეგ წმ. ანდრია გაემართა აწყურისაკენ, რომელსაც „პირველად ეწოდებოდა სოსანეთი, და პირისპირ საქრისი“. ანდრია მოციქული აწყურში შეჩერებულა საკერპო ტაძრის ახლოს, „რომელსაც აწ ძველ-ეკკლესია ეწოდების“. წყაროს მიხედვით, ამ დროისათვის ქართ-

ლის ამ კუთხის გამგებელი ყოფილა ქვრივი დედაკაცი – სამძივარი, რომელსაც თურმე, აწყურში უცნობი პირების მისვლის დროს თავისი ერთადერთი ვაჟი გარდაცვლოდა და მთელი სამთავრო მას გლოვობდა. ღამით ადგილობრივ მკვიდრთ შეუმჩნევიათ დიდი ნათება, რომელსაც ციხეში დასვენებული ღვთისმშობლის ხატი აშუქებდა. მეორე დღეს მოსახლეობამ დაადგინა უცნობთა ვინაობა – ქვრივ-მთავარს მოახსენეს: „უცხონი ვინმე კაცნი არიან, და უცხოსა ღმერთსა ქადაგებენ შემოქმედად და დამბადებლად და მკუდართა აღმადგინებლად, და ჰყავს მათ ხატი შუენიერი და მას პატივს სცემენ“. ქვრივ, შვილმკვდარ დედაკაცთან საუბრისას წმ. ანდრიამ განაცხადა, რომ ისინი მოდიან წმინდა ქალაქ იერუსალიმიდან, სადაც რამდნიმე ხნის წინ ქრისტე ჯვარს აცვეს, რომელიც შემდეგ ზეცად ამაღლდა, თვითონ კი იყო „მონა და მოციქული ჩუენისა იესო ქრისტესი“, რომ იგი ქადაგებს მის რწმენას ურწმუნოთა შორის, ხოლო ვინც მის რწმენას გულით აღიარებს და ნათელს იღებს „ყოველნი რაოდენი ითხოვოს სარწმუნოებით მიეცემის, და ყოველთა სენისაგან განიკურნების“. ქვრივი დედაკაცის თხოვნით ანდრია მოციქულმა, მას შემდეგ, როცა მან ახალი სარწმუნოება იწამა, მკვდრეთით აღადგინა მისი გარდაცვლილი ვაჟი. გახარებულმა დედაკაცმა სამცხის მთავრები იხმო და გაქრისტიანებისაკენ მოუწოდა. მომხდარი სასწაულების გამო ბევრი წარმართი ქრისტიანად მოექცა. ქალაქში არსებული საკერპო ბომონის არტემისა და აპოლონის ტაძრის მსახური ქურუმები შურით აღივსნენ მოციქულის მიმართ, მაგრამ ანდრია პირველწოდებულმა ხელთუქმნელი ხატის საშუალებით და გულმხურვალე ლოცვით შემუსრა კერპები, რის გამოც მორწმუნეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მოსახლეობის მოქცევის შემდეგ ანდრია მოციქულმა მათ „დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელნი და დიაკონნი, და კუალად განემზადა ქადაგებად სახარებისა“. წასვლისას მოციქულ ანდრიას ქვრივი დედაკაცი და მესხეთის მოსახლეობა შესთხოვდა: „უკეთუ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა აქა დაგ სვენე სასოდ და მცველად ჩუენად“. მოციქულმა მათ მოახსენა, რომ ღვთისმშობლის ხატი უფლის ნებით უნდა დარჩეს მათთან, რადგან „ვითარ-იგი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელსა წილხუდა ქუეყანა ესე სამცხისა, და მის მიერ წარმოგზავნილ არს აქა ხატი იგი სასოდ და მცველად წილხდომილთათ ს და ჯერეთაც ეგრეთ არს, რათა დაესვენოს აქ მკ დრად უკუნისადმე ჟამთა“. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ღვთისმშობლის წილხვდომილობის გამო, მესხეთის მოსახლეობამ მადლი შესწირა უფალს, ცრემლითა და სიხარულით ადიდებდნენ მას, ხოლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი დაასვენეს „მცირესა მას ეკუდერსა“, რომელსა აწ ძველ ეკლესიად სახელ-დებენ“. ანდრია პირველწოდებული ქრისტესმიერი სიყვარულით გამოეთხოვა ახალ რწმენაზე მოქცეული მესხეთის მოსახლეობას და „წარემართა სხუთაცა ადგილთა ქადაგებად სახარებისა“.[35]

წყაროს მიხედვით, იერუსალიმში დაბრუნებული ანდრია პირველწოდებული, როდესაც „აღესრულა დღესასწაული მარტვიილისა“, მოციქულ სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ისევ შემოდის „ქუეყანასა ქართლისასა“, მოიარა „ტაოს კერძი ქუეყანა და ვიდრე მდინარედ ჭოროხამდე“. აქედან მოციქულები, შავი ზღვისპირეთის გავლით, სვანეთის ქვეყანაში მისულან,

რომლის მთავარს – დედაკაცს და მის ქვეშევრდომთ ახალი სარწმუნოება მიუღიათ. მატათა მოციქული ახლადმოქცეულებთან დარჩენილა, ხოლო ანდრია და სიმონ კანანელი გადავიდნენ „ქუეყანასა ოვსეთისასა“ და მივიდნენ ქალაქ ფოსტაფორში. შემდგომ მოციქულები შესულან „ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტეს ქალაქად მივიდეს, რომელსაც აწ ეწოდების ცხუმი“. აქ ანდრიამ სიმონ კანანელი დატოვა, თვითონ კი საქადაგებლად ჯიქეთის ქვეყანაში გადავიდა, რომლებმაც არ შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა. სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა ანდრია მოციქულმა დატოვა ეს მხარე. დაბრუნდა უკან, „კუალად განამტკიცა წმინდამან ანდრიამ მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკვითედ“, სიმონ კანანელი კი დარჩენილა, რომლის საფლავი „არს ნიკოფს ქალაქსა, შორისა აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი“.[36]

ასეთია „ქართლის ცხოვრების“ მოციქულთა მიმოსვლის გზა, რომელიც საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. მოტანილი მასალა ნათელს ხდის, რომ ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა იქადაგა არა მარტო დასავლეთ საქართველოში (როგორც დღემდე ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომშია აღნიშნული), არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ კი იმდროინდელი იბერიის ანუ ქართლის სამეფოში, რაც იმითაც დასტურდება, რომ მოციქულთა მოღვაწეობის დროს, ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი თითქმის შავ ზღვაზე გადიოდა. ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე, IV საუკუნის დასარულსა და III საუკუნის დასაწყისში ფარნავაზ მეფის მიერ გატარებული რეფორმის საფუძველზე აჭარის ხეობა და მიმდებარე ტერიტორიები, სადაც ანდრიამ ქრისტიანობა იქადაგა, პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ოძრახეს საერისთავოს სახით, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.[37] თვით აწყურიც (წყაროებში იგი სოსანეთის სახელითაა მოხსენებული), სადაც ანდრიამ ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, იმ დროისათვის ქართლის სამეფოს მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, რასაც აგრეთვე ადასტურებს ამ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები.[38]

მოციქულთა საქართველოში მიმოსვლამ გარკვეული კვალი დატოვა, რაც აისახა ადგილობრივ ტოპონიმიკაში და სხვა გადმოცემებში. წყაროში აღნიშნული ცნობა, რომ ანდრია „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“, მკვლევარებისათვის მეტად საინტერესოა. ტოპონიმი „დიდაჭარა“ ამჟამად შემონახულია სოფლის სახელწოდებაში, რომელიც ჭოროხის მარჯვენა შენაკადზე, აჭარის წყლის ზემო წელზე მდებარეობს. „მის სახელწოდებაში ასახულია მთელი კუთხის სახელი. საინტერესოა, რომ იქაურები ზოგჯერ ცდილობენ, სოფლის სახელწოდება „დედ(ა)აჭარა-დ გაიაზრონ“.[39] მიუხედავად თურქთა 300-წლიანი ბატონობისა და აქაური მოსახლეობის გამუსულმანებისა, დიდაჭარის მკვიდრებმა დღემდე საინტერესო ქრისტიანული გადმოცემები შემოინახეს. ერთ-ერთი ამ გადმოცემის მიხედვით, XX საუკუნის 50-იან წლებამდე სოფელ დიდაჭარაში მცხოვრები შავაძეთა გვარის ერთ-ერთ შტოში გათხოვილი მანდილოსნები წლის გარკვეულ მონაკვეთში ეწვეოდნენ ხოლმე სოფლის განაპირა მაღალ, „ნაკაფის სერად“

წოდებულ ადგილს და დაბალ ხმაზე გალობდნენ. ადგილს, სადაც ისინი გალობდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა „თარანგელს“ ეძახის.[40] თარანგელი იგივე მთავარანგელოზია, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ ადგილზე ქრისტიანული ტაძარი უნდა არსებულიყო. ადგილობრივი მოსახლეობის მონათხრობით, „თარანგელად“ წოდებულ ადგილას ანდრია პირველწოდებულს პირველი ქრისტიანული ტაძარი აუგია და ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ასლი დაუსვენებია. ამჟამად აღნიშნული ადგილი ნაყარი ქვითაა გარშემოვლებული, ხოლო იქ, სადაც ნაეკლესიარია, ამ რამდენიმე ხნის წინ ადგილობრივ მოსახლეობას პატარა ნიში გაუკეთებია წარწერით იმის ნიშნად, რომ აღნიშნულ ადგილას არსებობდა ანდრია პირველწოდებულის მიერ აშენებული ეკლესია. ნიშის მახლობელ ფერდობზე, გადმოცემით, წყარო ყოფილა, რომელიც ამჟამად დამშრალია. ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობა თარანგელის (მთავრანგელოზი) ადგილს დიდი პატივისცემით ეპყრობა. სოფელში არსებული სხვა მიკროტოპონიმებით დასტურდება, რომ „თარანგელის“ გარდა სხვა ეკლესიებიც ყოფილა. ადგილ „ხუცურში“ (ხუცების სამყოფელი), გზის პირას ახსოვთ ნაეკლესიარის ქვიტკირის ნაშთი. აქვე უნახავთ ქრისტიანული საფლავები. დიდაჭარის ქრისტიანული მიკროტოპონიმებიდან აღსანიშნავია „ეკლიყანა“ ანუ „ეკლესიის ყანა“, „ელიაწმინდა“ და სხვ. ამჟამად სოფელ დიდაჭარიდან ჩანს გოდერძის უღელტეხილით სამცხისაკენ მიმავალი გზა. მაგრამ არის მეორე გზაც, რომელიც ზეკარის უღელტეხილისაკენ მიემართება. „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დიდაჭარიდან ანდრია მოციქულს უნდა გაევლო სოფელი ირემაძეები, საციხური, აგარა, ღორჯომი, ციცწყაროს მთა, ქვაბის ჯვარი, მამლის მთა. ამ გზაზე ეკლესიათა ნანგრევებია ძველ რუკებზე აღნიშნული“.[41]

სამცხისაკენ მიმავალ ანდრია მოციქულს რკინის ჯვარი აღუმართავს ერთ ადგილზე, რომელიც შემდგომ რკინის ჯვრის ტოპონიმის სახელითაა ცნობილი. „რკინის ჯვარი ზეკარის ხეობისა და უღელტეხილის ადრინდელი სახელწოდებაა“.[42] აღნიშნული სახელწოდება ანდრია მოციქულის სახელს უკავშირდება, რადგან სამცხეში იგი ზეკარის ხეობის გავლით ჩავიდა. რკინის ჯვრად იწოდება აგრეთვე იმერეთში, ხარაგაულის რაიონის ტერიტორიაზე, 2400 მეტრზე მდებარე მთა, სადაც, გადმოცემით, ანდრია პირველწოდებულს გაუვლია და რკინის ჯვარი აღუმართავს. თუკი ანდრიას „მიმოსვლის“ შესახებ, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს დავეყრდნობით მაშინ იმერეთის „რკინის ჯვრით“ ანდრია სამცხეში ვერ გადავიდოდა, რადგან აჭარიდან ყველაზე უმოკლესი გზა ზეკარის უღელტეხილით გადადიოდა სამცხეში. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ანდრია მოციქულმა სამცხიდან უკან დაბრუნების შემდეგ გაიარა იმერეთის „რკინის ჯვრის“ ტერიტორია და იქ აღმართა ჯვარი.

საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობა აგრეთვე აისახა ზეპირ გადმოცემებში. ზოგჯერ ეს გადმოცემები საქართველოს ისეთ კუთხეებში ფიქსირდება, სადაც წყაროების მიხედვით მოციქულები არც მისულან. უკანასკნელ პერიოდში ეთნოგრაფთა მიერ შეკრებილი მასალებით საინტერესო ცნობები დასტურდება სამეგრელოში ანდრია პირველწოდებულის მოღ-

ვაწეობასთან დაკავშირებით. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სამეგრელოში ანდრიას გაუნადგურებია მუხასთან მდგომი კერპი კაპუნია და მის ნაცვლად ჯვარი აღუმართავს. მუხის ფიცრებისაგან კი ეკლესია აუშენებია.[43] ზოგიერთი ზეპირი გადმოცემის მიხედვით, თითქოს ანდრია მოციქულს აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთისა და ყაზბეგის მიდამოებში უმოგზაურია და უქადაგია, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული ეთნოგრაფიული მასალები წერილობით წყაროებში გარკვეულ დადასტურებას ვერ პოულობს. მომავალში ამ მხრივ, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს კვლევა-ძიება.

ანდრია მოციქულის შესახებ დასავლეთ საქართველოში არსებობდა საინტერესო გადმოცემა. ეს გადმოცემა აფხაზეთში ყოფნის დროს, XVII საუკუნის 70-იან წლებში ჩაუწერია ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს. მისი გადმოცემით, ბიჭვინთაში არსებული დიდებული ტაძარი ანდრია პირველწოდებულის სახელობისა ყოფილა, რადგან მან ამ კუთხის მოსახლეობა მოაქციაო. იმავე ჟან შარდენის მიხედვით, სოფელ ბიჭვინთაში ანდრია მოციქულის სახელზე აგებულ სამნავიან ეკლესიაში „სიცოცხლეში ერთხელ ჩამოდის თითოეული კათოლიკოსი ან პატრიარქი ყველა ეპისკოპოსის თანხლებით – წმინდა ზეთის დასამზადებლად, რომელსაც ისინი მირონს უწოდებენ“.[44] ჟან შარდენის აღნიშნული გადმოცემა ფრიად ყურადსაღებია. შესაძლებელია, სასულიერო იერარქია იმიტომ თვლიდა თავს ვალდებულად, სიცოცხლეში ერთხელ მაინც წასულიყო აღნიშნულ ტაძარში მოსალოცად, რომ იგი საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებლის, ანდრია მოციქულის სახელთან იყო დაკავშირებული. ჟან შარდენი ადგილობრივი მოსახლეობის მონათხრობზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ბიჭვინთის აღნიშნული ეკლესია, თურმე, ანდრია მოციქულს აუშენებია. ჟან შარდენი გადმოგვცემს ერთ საინტერესო ფაქტს. მისი აღწერით, ბიჭვინთაში არსებული ანდრია პირველწოდებულის „ეკლესიის წინ დგას მარმარილოს სვეტი, საიდანაც ღვთის განგებით ამ წმინდა მოციქულის სიკვდილით დასჯის დროს მდუღარე წყლის ნაკადი გადმოღვრილა. ამ ნაკადის დინება შეუჩერებია რამდენიმე კაცს ამ წმინდანისადმი ვედრების ძალით. ასეთი სასწაულის შემდეგ ხალხი ამ წმინდანისადმი განსაკუთრებულ მოკრძალებას იჩენს. სვეტის წინ გავლის დროს მუხლს იდრეკენ და ემთხვევიან მას“.[45]

ბიჭვინთის ანდრია მოციქულის ეკლესიის შესახებ აგრეთვე საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერი დონ ქრისტოფორო დე კასტელი. ისიც, ჟან შარდენის მსგავსად, როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის მონათხრობზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ ტაძარი აგებულია ანდრია მოციქულის მიერ. მისივე ცნობით, ამ ტაძარში ამზადებენ მირონს, რომელსაც შემდეგ იბერიის პატრიარქი „ავრცელებს თავის სამეფოში“. კასტელი საგანგებოდ ჩერდება ტაძრის წინ აღმართული ანდრიას სვეტის აღწერაზე. ბოლოს კი დასძენს, რომ „დროის ამაოებამ გასაოცარი სვეტის თაყვანისცემა ვერ შეანელა“.[46]

ჟან შარდენის და კასტელის ცნობები რეალობასთან ახლოს დგას. XV საუკუნიდან, დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზთა საკათალიკოსოს გამოყოფის შემდეგ, მისი მწყემსმთავარი ბიჭვინთაში ანდრია პირველწოდებულის

სახელობის საყდარში იჯდა. ალბათ, იმის გამო, რომ საქართველოში ქრისტიანობა ამ მოციქულის მეშვეობით გავრცელდა.

ანდრია მოციქულთან დაკავშირებით 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილს სამეგრელოში საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია. ამ გადმოცემის მიხედვით, „...ტრაპეზი მარტვილის ეკლესიისა დადგმულია იმ მუხის ძირზე, რომელიც მოჰკვეთა ანდრია მოციქულმა ოდეს მეგრელნი მოაქცია“.[47]

ჩვენამდე მოაღწია საქართველოში წმინდა მოციქულების მოღვაწეობის ამსახველმა არა მარტო ზეპირმა თუ წერილობითმა ცნობებმა, არამედ, ქართული ეკლესია ფლობს მათ სახელთან დაკავშირებულ წმინდა რელიქვიებსაც.

უძველესი უცხოური და ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, საქართველოში ორი მოციქულია დაკრძალული – სიმონ კანანელი და მატათა. VIII საკუნეში მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინოპოლელის მიხედვით, მოციქული სიმონ კანანელი დაკრძალულია ნიკოფსიაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეპიფანე კონსტანტინოპოლელმა თვითონ ფეხით მოიარა ის ადგილები, სადაც გადმოცემით ანდრია მოციქულს უმოგზაურია და ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალები შეუგროვებია. იგი აღნიშნავს, რომ „ქალაქ ბოსფორში გვიჩვენეს წმინდა მოციქულთა ტაძრის საძირკველზე დამარხული ლუსკუმა წარწერით: „სიმონ კანანელი“. მასში წმინდა სხეულის დიდი ნაწილებია დაცული, რომელთაგან ზოგი რამ ჩვენც მოგვცეს, ხოლო მეორე საფლავი არის ჯიქეთის ქალაქ ნიკოფსში. მასზე წერია: „სიმონ კანანელი“ და ისიც შეიცავს წმინდა ნაწილებს“.[48] აღნიშნული ფაქტის შესახებ ცნობები XI საუკუნეში ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ანდრიას „მიმოსვლის“ ბერძნულიდან ქართულად შესრულებულ თარგმანშია დაცული, სადაც აღნიშნულია, რომ „სიმონ კანანელის საფლავი არს ნიკოფს, ქალაქი აფხაზეთისა და ჯიქეთისა“.[49] იმავეს იმეორებს XI საუკუნეში მოღვაწე გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორი, გიორგი მცირე. გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქს პაექრობის დროს განუცხადა, რომ „ანდრია მოციქულმა მოვლო ქვეყანა ჩვენი, ხოლო სიმონ კანანელი სრულიად დაემკვიდრა, რამეთუ ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმინდანი“.[50] მოტანილი დოკუმენტური მასალით ირკვევა, რომ სიმონ კანანელის საფლავი ყოფილა ნიკოფს. ნიკოფსი ანუ ნიკოფსია შავი ზღვის პირას მდებარეობდა, ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე. „საუკუნეების გამნავლობაში მდ. ნიკოფსზე გადიოდა საზღვარი ჯერ ეგრის-აფხაზეთის, იმავე აფხაზთა სამეფოსა და ჯიქეთს შორის, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ ერთიან ქართულ მონარქიასა და ჯიქეთს შორის“.[51] მდინარე ნიკოფსიას დღეს ნეგეფსუხო ჰქვია, ხოლო ნიკოფსიას – ნოვაია მიხაილოვკა, რომელიც ტუაფსედან ჩრდილოდასავლეთით, 40 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. როგორც ვხედავთ, უძველესი უცხოური და ქართული წყაროების მიხედვით სიმონ კანანელი დასაფლავებულია ნიკოფსს. გვიანი ხანის წერილობითი წყაროები კი მის განსასვენებელ ადგილად მიიჩნევს ანაკოფიას (დღევანდელი ახალი ათონი). დღეს სწორედ ახალ ათონში აჩვენებენ სიმონ კანანელის საფლავს. იქ არსებული ძველი ტაძრის საფუძველზე 1876 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის განკარგულებით დაფუძნდა სიმონ კანანელის მონასტერი. თუკი ძველ წყაროებში

აღნიშნულია, რომ სიმონ კანანელი ნიკოფსს განისვენებდა, საიდან მოხვდა მისი საფლავი ანაკოფიაში (ახალ ათონში)? ეს შეუსაბამობა, როგორც ჩანს, XIX საუკუნეში შეამჩნია სამეგრელოს სამთავროს წარმომადგენელმა ნიკო დადიანმა, რომელმაც თავის შრომაში ადრე წყაროებში ნახსენები ნიკოფსი გააიგივა ანაკოფიასთან, რითაც უხეში შეცდომა დაუშვა.[52] უკანასკნელ პერიოდში ამ შეუსაბამობის შესახებ გამოითქვა საინტერესო მოსაზრება, რაც რეალობასთან ახლოს დგას. ამ მოსაზრების მიხედვით, XIV – XV საუკუნეებში საქართველოს გავლენა თანდათან შესუსტდა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. სამაგიეროდ, მომთაბარე ჯიქებმა გააძლიერეს თავდასხმები საქართველოს სანაპირო ზოლზე. როგორც ჩანს, ჯიქებისაგან თავდაცვის მიზნით, ქართველებმა ნიკოფსიიდან სხვა სიწმინდეებთან ერთად წამოასვენეს სიმონ კანანელის წმინდა ნაწილები და ანაკოფიაში დაასვენეს, სადაც შემდგომ მისი სახელობის ტაძარი აშენდა.[53] თუ რომელ საუკუნეში მოხდა სიმონ კანანელის წმინდა ნაწილების გადმოსვენება ნიკოფსიიდან ანაკოფიაში, დღემდე დაუდგენელია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ XVII საუკუნეში ანაკოფიაში უკვე არსებობს მისი საფლავი. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის XVII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში მყოფი ანტიოქიის პატრიარქის, მაკარიოსის ვაჟი, პავლე ალეპოელი.[54]

IV საუკუნის წმინდა მამის, ეპიფანე კვიპრელის თანახმად, საქართველოში დასაფლავებულია მეორე მოციქული, მატათა. მისი ცნობით: „მატათამ იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰ სის ნავსადგური... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე“.[55] ეპიფანე კვიპრელის ამ ცნობაზე დაყრდნობით ქართველი მკვლევარების მიერ მიჩნეულია, რომ მატათა მოციქული დაკრძალულია ბათუმის მახლობლად მდებარე გონიოს ციხის ტერიტორიაზე, რომელიც უცხოურ წყაროებში აფსარის სახელწოდებითაა ცნობილი.[56] მატათა მოციქულის ბერძნული ცხოვრება კი მის განსასვენებელ ადგილად საქართველოს არ მიიჩნევს. ამ ცხოვრების მიხედვით, იგი იერუსალიმის მახლობლად, „ვეფლასკალად“ წოდებულ ადგილას წამებით მოკლეს და იქვე დაკრძალეს. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, IV საუკუნეში მატათას ნეშტი წმინდა ელენე დედოფალმა, ჯერ რომში წაასვენა, შემდეგ კი აღნიშნული სიწმინდე უბოძა ტრირის ეპისკოპოს აგრიციუსს. ამ გადმოცემის საფუძველზე, გერმანელ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მატათა ერთადერთი მოციქულია, რომელიც გერმანიის ქალაქ ტრირში განისვენებს. ამიტომაც, მას გერმანიაში დიდ პატივს მიაგებენ. მკვლევართა მოსაზრებით, ამის დასტურია ხშირ შემთხვევაში ბავშვებისათვის მათიასის (მატათეს სახეცვლილი ფორმა) სახელის დარქმევა. მოციქული მატათა მიჩნეულია ტრირის საეპისკოპოსოს პატრონად, ხოლო გერმანული ქალაქები: გოსლარი, ჰანოვერი და ჰოლდსჰაიმი, გადმოცემების მიხედვით, მატათას თავიანთ მფარველად მიიჩნევენ. მათი აზრით, მატათა მოციქული არის აგრეთვე კალატოზების, მჭედლების, ყასბების, კონდიტერების მფარველი წმინდანი. გადმოცემით, იგი კურნავს უშვილობას, ყივანახველას, წითელას. ტრირში მისი ხსენების დღედ დადგენილია 24 თებერვალი. ამბობენ, რომ მატათას ხსენების დამეს 11-12 საათებს შორის

აღებული წყალი ღვინოდ გადაიქცევა.[57]

რუსული წყაროების მიხედვით, საქართველოში ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილებიც ყოფილა დაცული. რუს ელჩებს, ალექსი იევლევს და ნიკიფორე ტოლოჩანოვს 1651 წლის 10 ივნისს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი რაჭაში ყოფნისას, ადგილობრივი მთავარეპისკოპოსის, სიმონის მეგზურობით დაუთვალიერებიათ მდინარე რიონის სანაპიროზე მდებარე მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია. მათი ყურადღება მიიპყრო ვერცხლის მოოქროვილმა კიდობანმა, რომელშიც სხვა სიწმინდეებთან ერთად ინახებოდა ანდრია მოციქულის ხელის ნაწილი.[58] ანდრია მოციქულის სხვა წმინდა ნაწილი XX საუკუნის დასაწყისში დაცული ყოფილა მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში. თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში დასვენებულია მოოქროვილ ჯვარში ჩასვენებული წმ. ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილები.

საქართველოს ეკლესიის კუთვნილებაა თომა მოციქულის თავის ქალა, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სოფელ ჭალატყის ეკლესიაში იყო დასვენებული, ამჟამად კი თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის კუთვნილებაა. XVII საუკუნის 50-იან წლებში ეს სიწმინდე რუს ელჩებს უნახავთ ქუთაისის საკათედრო ტაძარში.[59] მოციქულის მცირე ნაწილი ჩასვენებული იყო აგრეთვე სვეტიცხოვლის ერთ-ერთი ხატის სანაწილეში. თუ როგორ და რა ვითარებაში მოხდა ჩვენში თომა მოციქულის წმინდა ნაწილები, უცნობია.

XIX საუკუნის დასასრულისათვის მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ერთ-ერთი ხატის სანაწილეში ინახებოდა ქრისტეს 70 მოციქულთაგანის: ლუკა მახარებლის, მათეს, ტიმოთეს და არქიფო მოციქულების წმინდა ნაწილები. XVII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დადიანის სამთავროში მყოფ რუს ელჩებს მღვდელ პავლე ზახარევსა და დიაკონ ფედოტი ელჩინს ერთ-ერთ მონასტერში უნახავთ ხატი, რომლის სანაწილეში დაცული ყოფილა მატათა მოციქულისა და ლუკა მახარებლის წმინდა ნაწილები.[60]

პეტრე და პავლე მოციქულების წმინდა სისხლი ჩასვენებული ყოფილა XVIII საუკუნეში თბილისის ანჩისხატის ტაძარში დაცულ ერთ-ერთ ხელთუქმნელ ხატში. აღნიშნული ხატი კათოლიკოს დომენტი IV-ს (1705 – 1742) რუსეთში ყოფნისას საჩუქრად მიუღია მეფე არჩილის ქალიშვილის დარეჯანისაგან. დომენტი კათალიკოსის შემდეგ აღნიშნული ხატი პატრიარქ ანტონ I-ის (1744 – 1788) კუთვნილება გამხდარა. საქართველოს ეკლესიის მომდევნო მწყემსმთავარს, მეფე ერეკლე II-ის ვაჟს ანტონ II-ს (1788 – 1810) აღნიშნული სიწმინდე თან წაუღია რუსეთში.[61] ამჟამად მისი ადგილსამყოფელი ჩვენთვის უცნობია.

საქართველოში ანდრია მოციქულის მოღვაწეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მის მიერ შემოსვენებული ხელთუქმნელი ხატის ისტორია, რომელიც აწყურის ღვთისმშობლის ხატის სახელითაა ცნობილი. ამჟამად აღნიშნული ხატი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდშია დაცული. ხელოვნებათმცოდნეები აწყურის ღვთისმშობლის კარედი ხატის მოჭედილობას XVI საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ. „ქართლის ცხოვრების“ ანდრიას

„მიმოსვლის“ მიხედვით, ეს ის ხატია, რომელიც ღვთისმშობელმა მოციქულს გადასცა.[62] აღნიშნული ხატი არავის დაუწერია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანდრია მოციქულის წამოსვლის წინ ღვთისმშობელმა მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი, მიიდო ფიცარი სახეზე და მასზე გამოისახა ღვთისმშობელი ყრმით. ღვთისმშობლის განცხადებით, სწორედ ამ ხატის შემწეობით უნდა ჰქონოდა ანდრია მოციქულს „მადლი და შეწევნა“.[63] საქართველოში ყოფნის დროს ანდრია მოციქული სწორედ აღნიშნული ხატით ახდენდა სასწაულებს. პირველი სასწაულებრივი ძალა მან დიდაჭარაში გამოავლინა, როდესაც ხატის დასვენების ადგილზე „აღმოცენდა წყარო ფრიად მშვენიერი და დიდი“. ხატის ძალით ანდრიამ ადგილობრივი წარმართნი „მოაქცევინა და მოიყვანა სარწმუნოებად“.[64] ახლადმოქცეულმა დიდაჭარელმა მოსახლეობამ მოითხოვა, რომ აღნიშნული ხატი ახლადაგებულ ეკლესიაში დაესვენებინათ. მათი მოთხოვნის პასუხად წმ. ანდრიამ შექმნა პირი ხელთუქმნელი ხატისა, რომელიც იმავე ზომის იყო „და დასდვა ხატი მასზედა. და მეყსეულად გამოისახა სახე უცვლელი ხატისა და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დაასვენეს ეკლესიასა შინა თ სისა პატივითა“. თუ რა ბედი ეწია ანდრია მოციქულის ხელით შექმნილ ხელთუქმნელი ხატის პირს, ჩვენთვის უცნობია, მხოლოდ ის ვიცით, რომ ქართლის მეფე ადერკმა, როცა შეიტყო თავისი ქვეშევრდომების ახალ სარწმუნოებაზე მოქცევა, „განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი და იძულებით კუალადვე მოაქცევინა ისინი“. ანდრია მოციქული ღვთისმშობლის ბოძებული ხატით გადავიდა სამცხეში, სადაც მან აწყურში დაივანა. ხელთუქმნელმა ხატმა სწორედ აწყურში მოახდინა ახალი სასწაული, როდესაც ხატის ძალით დამხობილ იქნა არტემისა და აპოლონის საკერპო ადგილი, რამაც საბოლოოდ განაპირობა მესხეთის მოსახლეობის ახალ სარწმუნოებაზე მოქცევა. წერილობითი წყარო ხატის სასწაულებრივ ძალას მიაწერს, აგრეთვე, ქვრივი დედაკაცის ახალგაზრდა ვაჟიშვილის გაცოცხლებას.[65]

ღვთის ნებითა და ანდრია მოციქულის სურვილით აღნიშნული ხატი დააბრძანეს აწყურში, ახლადაგებულ საყდარში. იგი ცნობილი იყო თავისი სასწაულმოქმედებით. VII საუკუნის 20-იან წლებში,საქართველოში ლაშქრობის დროს ბიზანტიის იმპერატორს ჰერაკლე კეისარს (610 – 641) თაყვანი უცია აწყურის ღვთისმშობლის ხატისთვის. როგორც ჩანს, იმ დროისათვის, აწყურის ეკლესია საკმაოდ დაძველებული და დაზიანებული ყოფილა. ჰერაკლე კეისარს აწყურის ღვთისმშობლის ხატის სათაყვანოდ საფუძველი ჩაუყრია ახალი საყდრის მშენებლობისთვის.[66] როგორც წყაროებით ირკვევა, აწყურის ღვთისმშობლის ხატისათვის აგებული ტაძარი საეპისკოპოსო ტაძრად უქცევიათ.[67] აწყურში არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა ჰერაკლე კეისრის მიერ აგებული მცირე სამლოცველოს ნაშთები, რომელიც ამჟამინდელი, X – XI საუკუნით დათარიღებული აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევების ჩრდილოეთ ნაწილში, მიწის ქვეშაა მოქცეული.

აწყურის ღვთისმშობლის ხატმა შემდგომშიც გამოავლინა თავისი სასწაულთმოქმედება. 1283 წელს, აღდგომის წინა დღეს, დიდ შაბათს, საქართველოში დიდი მიწისძვრა მომხდარა. მიწისძვრის შედეგად ბევრი ეკლესია-მონასტერი დაქცეულა. მათ შორის აწყურის ღვთისმშობლის ტაძარიც, მაგრამ ტაძრის შუა ნაწილში დასვენებულ აწყურის ღვთისმშობლის ხატს მიწისძვრის შედეგად ჩამოქცეული გუმბათი ქუდივით დაეხურა „და დარჩა უვნებლად“. მომხდარი ფაქტი აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულებრივ გამოვლინებად მიუჩნევიათ.[68]

XV საუკუნის 70 - 80-იან წლებში აწყურის ღვთისმშობლის ხატი ორგზის უკან დაბრუნებულა. პირველად ხატი 1477 წელს ირანის მბრძანებელმა უზუნ-ჰასანმა აწყურის ციხის აღების დროს გაიტაცა, რის გამოც „იქნა დიდი გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი სრულიად მესხთა ზედა“.[69]

ქართული წყაროების გადმოცემით, აწყურის ხატის გატაცების გამო უზუნ-ჰასანის ქვეყანაში უნაყოფობას დაუსადგურებია: „არცა შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა“. აღნიშნული უბედურების მიზეზად მაჰმადიანი მოსახლეობა ღვთისმშობლის ხატს მიიჩნევდა. მათი მოთხოვნით იგი ისევ მესხეთის ქვეყანაში დააბრუნეს. 1486 წელს უზუნ-ჰასანის შვილმა, იაყუბ ყაენმა ხატი მეორედ გაიტაცა. ურიცხვი ლაშქრით იაყუბ ყაენი სამცხეს მისდგომია. აწყურის ტაძრის სიწმინდეები ციხე-სიმაგრეში საგულდაგულოდ გადამალეს. მაწყვერელი ეპისკოპოსის ინიციატივით მტერს ციხიონი უბრძოლველად დანებდებოდა, თუკი ისინი აწყურის ტაძარს არ დაანგრევდნენ, მაგრამ იაყუბ ყაენმა პირობა დაარღვია. მან გაძარცვა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი, შემდეგ კი აგიზგიზებულ ცეცხლში ჩააგდეს, მაგრამ მომხდარი სასწაულით თვით ურჯულონიც გაკვირვებული დარჩენილან, ხატის ჩაგდების შემდეგ „ცეცხლი იგი დაშრტა და ხატს ყოვლადვე არ შეეხო“. ამის შემდეგ იაყუბ ყაენმა ხატი თავის ქვეყანაში წაასვენა, მაგრამ მას გამოეცხადა კაცი, რომელმაც ურჯულოთ გამოუცხადა: „უკეთუ არა წამიყვანო ქვეყანასა ჩემსა, დიდი ბოროტი მოვაწიო შენ ზედა“. ხატი ისევ აწყურში დააბრუნეს და „დაასვენეს საყდარსა თვისსა“. წყაროს მიხედვით, უკან დაბრუნების შემდეგ ხატმა იაყუბ ყაენს საშინელი რისხვა დაატეხა თავს, წამებით გარდაიცვალნენ მისი ახლობლები.[70]

1546 წელს, თურქთა აგრესიის გამო, აწყურის ღვთისმშობლის ხატი იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ციხისჯვრის ციხეში გადაასვენა, საიდანაც მან ეს სიწმინდე 1553 წელს იმერეთში წაიღო. ბაგრატ III-ის ძემ, გიორგი II-მ 1578-1583 წლებში მრავალგზის გაძარცული აწყურის ღვთისმშობლის ხატი ოქროთი მოაჭედინა და შეამკო ძვირფასი თვლებით. ბოლო ხანს იგი გელათის მონასტერში იყო დასვენებული, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, XX საუკუნის 20-იან წლებში, საეკლესიო ქონების სეკულარიზაციის დროს იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კუთვნილება გახდა.

XII საუკუნის ჰიმნოგრაფის, იოანე ანჩელის ცნობით ანდრია მოციქულს საქართველოში ანჩის ხატი მოუსვენებია.[71] აღნიშნული ცნობა სხვა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიდად აფასებდა და აფასებს ჩვენში ქრისტიანობის გავრცელებაში მოციქულთა ღვაწლს. ალბათ ამითაა განპირობებული, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ თავისი მწყემსმთავრის – კათოლიკოს-პატრიარქის საყდრის – მცხეთის სვეტიცხოვლის ტრაპეზი თორმეტი მოციქულის სახელზე აკურთხა.

თავი V

ქართველთა განმანათლებლის და მოციქულთასწორის წმინდა ნინოს მოღვაწეობა და მის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები

მართალია, ქრისტიანობა საქართველოში ახალი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში მოციქულთა მეშვეობით გავრცელდა, მაგრამ ქართული წერილობითი წყაროებითა და საეკლესიო ტრადიციით ქართველი ხალხის საბოლოო მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოხდა IV საუკუნის პირველ ნახევარში, ჩვენში სამოღვაწეოდ შემოსული კაბადოკიელი ქალწულის, წმინდა ნინოს მიერ, რომელიც ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორადაა მიჩნეული.

გასარკვევია ერთი საკითხი, თუკი საქართველოში ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს, რატომ გახდა აუცილებელი წმინდა ნინოს შემოსვლა? ეს კითხვა უძველეს დროშიც აწუხებდათ. ჯერ კიდევ, ეფრემ მცირეს გარკვეული შეუსაბამობა შეუნიშნავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. იგი შეეცადა აეხსნა, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი შეუსაბამობა. მისი აზრით, მოციქულების შემდეგ ხალხმა დაივიწყა ქრისტეს მოძღვრება და ისევ წარმართობისაკენ მიიქცა, ქვეყანა „მრავალჟამ დაიპყრნა ღუარძლმან მეკერპეთამან“. ეფრემ მცირეს განმარტებით, ასეთ ფაქტს ადგილი თვით საბერძნეთშიც ჰქონია, „ვიდრე ჟამთამდე მეორედ პავლედ ზეცით წოდებულისა დიდისა კონსტანტინესთა“. სწორედ წმინდა კონსტანტინე იმპერატორის ხელშეწყობით იმპერიის მასშტაბით ქრისტიანობას გასაქანი მიეცა. უფალმა – ეფრემ მცირეს აღნიშვნით – „არცა ჩუენ მცირენი დაგ ტევნა უღუაწად, არამედ ესრეთ განაგო კუალად აღმოწოდება ჩუენი“ და ჩვენთან ხელახლა საქადაგებლად გამოგზავნა წმინდა ნინო.[1]

ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ მოციქულთა მოღვაწეობის შემდგომ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ქრისტიანობა კვლავ ვრცელდებოდა მოგზაურთა თუ სხვათა მეშვეობით. IV საუკუნემდე, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა ე. წ. ქრისტიანული თემები, რაზეც მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები. ახალი წელთაღრიცხვით I-III საუკუნეებში საქართველოში არსებული ქრისტიანული თემები სამეფო ხელისუფლებისაგან, მართალია, დევნას არ განიცდიდა, მაგრამ ისინი ფარული სახით არსებობდნენ. სახელმწიფო ხელისუფალნი და მათი ქვეშევრდომნი ისევ წარმართ კერპებს აღმერთებდნენ, თუმცა, როგორც წყაროებით ირკვევა, ქრისტიანული თემები გარკვეულ გავლენას ახდენდნენ წარმართულ მოსახლეობაზე და თვით სამეფო ხელისუფლებაზეც. ამ მხრივ, საინტერესო ცნობებია დაცული დაახლოებით III საუკუნის შუა ხანებში მოღვაწე ქართლის მეფე რევ მართლის შესახებ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: „ესე რევ მეფე დაღაცათუ იყო

წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა: რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყვარული ქრისტესი“.[2] მოტანილი ციტატიდან აშკარად ჩანს, თუ რა გავლენას ახდენდნენ მცხეთაში არსებული ქრისტიანული თემები წარმართ მოსახლეობაზე. ამ ფაქტით უნდა აიხსნას ისიც, რომ მეფე რევ მართალმა აკრძალა არმაზის კერპისათვის ჩვილ ბავშვთა შეწირვა. მეფის ამ გადაწყვეტილებას წარმართი მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვედრია. როგორც ჩანს, სახარებისეულმა ქადაგებამ წარმართი მოსახლეობა ახალი სარწმუნოების მისაღებად მოამზადა. თვით წარმართი მეფის, რევის ზეწოდება „მართალი“ ქრისტიანულია და იგი ჭეშმარიტების მაძიებელს ნიშნავს.[3]

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, წმინდა ნინოს დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ქართლში შემოსვლის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. მისი ქადაგების შედეგად სამეფო კარის წევრებთან ერთად მთელი ერი მოექცა ახალ სარწმუნეობაზე. ამის გამო ითვლება იგი ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთასწორად.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც. წმინდა ნინოს დროს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარება განაპირობა წინა აზიაში იმ დროს შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ. კერძოდ, იმ ფაქტორმა, რომ ნისიბინის საზავო ხელშეკრულებით (298 წ.) საქართველო და სომხეთი რომის იმპერიის ქვეშევრდომები გახდნენ. IV საუკუნის დასაწყისში კონსტანტინე იმპერატორმა იმპერიის მასშტაბით ქრისტიანობა შეიწყნარა, შემდგომ კი სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა. ამ ფაქტორმა გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ რომის იმპერიისადმი დაქვემდებარებულ საქართველოზე, სადაც აგრეთვე ამავე პერიოდში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა.[4] იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლის დროს მთელი ერი მზად იყო ქრისტიანობის მისაღებად. რომ არა მოციქულთა ღვაწლი, წმინდა ნინოს გაუჭირდებოდა ქართველი ხალხის გაქრისტიანება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ ქართველთა განმანათლებელი ქალია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიოს ქრისტიანული ქვეყნების ისტორიაში. ამ ფაქტის შესახებ ცნობილი ქართველოლოგი ბერნარდ უტიე აღნიშნავს: „ნამდვილად შეუდარებელი არის საქართველო იმიტომ, რომ თქვენი დედა სარწმუნოებაში, თქვენი განმანათლებელი, თქვენი მოციქული – ქალია, წმინდა ნინო; რამდენადაც ვიცი, ეს მსოფლიოს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოხდა და ისიც თქვენთან, ქართველებთან“.[5] აღნიშნულ ფაქტს ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერიძემ (1150-1177) მიაქცია ყურადღება. იგი ცდილობს, გასცეს პასუხი კითხვას: „...ხოლო პირველად ესე საძიებელი არს, თუ რა სთვის უკუე დედა კაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მიმართ“.[6] ნიკოლოზ გულაბერიძემდე, როგორც მკვლევარი კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, არავის მოსვლია აზრად, პასუხი გაეცა კითხვაზე: „რატომ აირჩია ღმერთმა ქალი ამ მიზნის განსახორციელებლად და არა მამაკაცი“[7]? თავის დროზე თავად ნიკოლოზ გულაბერიძემ გასცა პასუხი დასმულ კითხვას. ნიკოლოზ გულაბერიძის მიხედვით, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც განაპირობა წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, იყო საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობა. ღვთისმშობელს თავად სურდა ამ ქვეყნის მოქცევა, მაგრამ მაცხოვარმა მის მაგივრად საქართველოს მოსაქცევად მოციქულთასწორი წმინდა ნინო მოავლინა.[8] თავისთავად „საქართველოს განმანათლებლად მოსული ღირსი დედა მალე თავად შეირაცხა „ქართლის მაცხოვრად“, „დედად ქართველთა თემისა “.[9]

ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი წერილობითი წყაროები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მათი მრავალმხრივობა იმითაა განპირობებული, რომ ქართული წერილობითი წყაროების გარდა, მის შესახებ ცნობები დაცულია ადრეული ხანის უცხოურ წერილობით წყაროებში. თავის მხრივ, ქართული წყაროების მრავალფეროვნება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენამდე მოაღწია ქართველი განმანათლებლისადმი მიძღვნილმა ჰაგიოგრაფიული თხზულების რამდენიმე რედაქციამ, რომელიც სხვადასხვა საუკუნით თარიღდება.

უძველესი ქართული საისტორიო წყარო, რომელმაც ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ცხოვრება შემოგვინახა, ცნობილია „მოქცევა ქართლისა ს“ სახელით. „მოქცევაი ქართლისა “ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველია „ქრონიკა“, რომელშიც ქრონიკების სახით მოთხრობილია ქართლის ისტორია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვით IX საუკუნემდე. აღნიშნულ ქრონიკაში ნინოს მოღვაწეობას მცირე ადგილი აქვს დათმობილი, რის გამოც, მას „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციას უწოდებენ. „მოქცევა ს“ მეორე ნაწილში გადმოცემულია „ნინოს ცხოვრება“ უფრო სრული სახით. ამიტომ, იგი ვრცელი რედაქციის სახელითაა ცნობილი. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მოკლე და ვრცელი რედაქციები ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან.[10] „მოქცევა ქართლისა მ“ ჩვენამდე ოთხი ხელნაწერის სახით მოაღწია. აქედან შატბერდული (იგი სამხრეთ საქართველოში არსებულ შატბერდის მონასტერში გადაიწერა) და ორი სინური (სინას მთაზე გადაწერილი) რედაქცია X საკუნისაა, ხოლო ჭელიშური (იგი ჭელიშის მონასტრის კუთვნილება იყო) XIV საუკუნით თარიღდება. „მოქცევა ქართლისა ს“ ზემოთ აღნიშნული ხელნაწერები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რედაქციებს წარმოადგენს.[11]

როგორც ვხედავთ, ქართველთა განმანათლებელისადმი მიძღვნილი თხზულების უძველესი ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი თხზულება ამ დროს დაიწერა, იგი ადრე უნდა შექმნილიყო. კარგა ხნის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ „მოქცევა ქართლისა “ IX საუკუნეში შექმნილი ძეგლია. დღესაც მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას იზიარებს. თავიანთი შეხედულების დასამტკიცებლად მათ მოაქვთ ის ფაქტი, რომ „მოქცევა ს“ ქრონიკაში თხრობა IX საუკუნით მთავრდება და აქედან გამომდინარე წმ. ნინოს ცხოვრებასაც ამ საუკუნით ათარიღებენ. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „მოქცევა ქართლისა “ დაწერილია არა IX საუკუნეში, როგორც აქამდე მიაჩნ-

დათ, არამედ წმინდა ნინოს მოღვაწეობის დროს,[12] რაც, ჩვენი აზრით, რეალობასთან ახლოს დგას. თუმცა, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, ავთენტურ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან „წმინდა ნინოს ცხოვრებას მნიშვნელოვანი ცვლილება განუცდია. ტექსტოლოგიური კვლევით „მოქცევა ში“ გამოიკვეთა ძველი შრეებიც“.[13]

„მოქცევა ქართლისა ს“ გარდა „წმინდა ნინოს ცხოვრებამ“ ჩვენამდე რამდენიმე რედაქციით მოაღწია. მათ შორის აღსანიშნავია XI საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული ისტორიკოს ლეონტი მროველის რედაქცია, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ მოთავსებული. იგი დაწერილია „მოქცევა ს“ საფუძველზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია XII – XIII საუკუნით დათარიღებული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ორი რედაქცია, რომელთაგან ერთი არსენ ბერისეულია, მეორე კი მის პერიფრაზს წარმოადგენს.[14] ორივე რედაქცია „მოქცევა ქართლისა ს“ და ლეონტი მროველის ვერსიებს ეყრდნობა. ყურადსაღებია აგრეთვე „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია. წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობას ეხება XII საუკუნის მეორე ნახევრის კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის (1150 – 1177) ნაშრომი „საკითხავი სუეტის-ცხოველისანი, კუართისა საუფლო სა და კათოლიკე ეკლესიისა “. როგორც ტექსტოლოგებმა დაადგინეს, XIII საუკუნეში არსენ ბერისეული მეტაფრასული „ცხოვრების“ საგრძნობი შემოკლების საფუძველზე უცნობ ავტორს შეუდგენია ნინოს ცხოვრება, რომელიც თავისი მოცულობის გამო სვინაქსარულ ცხოვრებათა რიცხვს განეკუთვნება.[15] მნიშვნელოვანია აგრეთვე წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია. XI საუკუნეში, ლიტურგიკული დანიშნულების მიზნით, შექმნილა წმინდა ნინოს ცხოვრების ყველაზე ადრინდელი სვინაქსარული რედაქცია. თავის მხრივ, აღნიშნული სვინაქსარული რედაქცია საფუძლად დასდებია XIV საუკუნეში შექმნილ მეორე სვინაქსარულ რედაქციას. რაც შეეხება ნინოს ცხოვრების დანარჩენ სვინაქსარულ რედაქციებს, ისინი შედარებით გვიანი ხანით, კერძოდ კი XVII – XVIII საუკუნეებით თარიღდებიან და ამდენად ახალს, მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავენ. ასეთია წმ. ნინო განმანათლებლისადმი მიძღვნილი ქართული საისტორიო წყაროების ზოგადი დახასიათება. ჩვენი აზრით, აღნიშნული წყაროებიდან თავისი სიძველისა და შემადგენლობის მიხედვით, უპირატესობა მაინც შატბერდის კრებულში მოთავსებულ წმ. ნინოს ცხოვრებას ენიჭება.

გარდა ქართული წყაროებისა, საქართველოში წმ. ნინოს მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის უძველესი ხანის უცხოური წერილობითი წყაროები. ამ მხრივ, აღსანიშნავია IV საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ცნობილი საეკლესიო მამის გელასი კესარიელის († 395 წ.) „საეკლესიო ისტორია“. მართალია, გელასი კესარიელის აღნიშნულ შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ უკვე დადასტურებულია, რომ მისი „საეკლესიო ისტორია“ სრული სახით შემონახულია V საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე გელასი კვიზიკელის მეშვეობით.[16] ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა რომაელი ისტორიკოსის რუფინუსის († 410 წ.) „საეკლესიო ისტორია“, რომლის შედგენა მას დაუწყია 402 წელს. აგრეთვე, ყურადსაღებია თეოდორიტე კვირელის (393-457), სოკრატე სქოლასტიკოსის (380-440) და იერემია სოზომენეს (IV საუკუნის ბოლო, V საუკუნის პირველი ნახევარი) შრომები.

როგორც ვხედავთ, საკმაო რაოდენობის ბერძნულ-რომაული წყაროები გვაწვდიან ცნობებს ქართლის გაქრისტიანების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენ-რომაელ ავტორებთან მოცემული ცნობები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება და უმეტესობა წინამორბედის მონათხრობის თარგმანს წარმოადგენს. უკანასკნელ დრომდე რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“ გელასი კესარიელის ისტორიის თარგმანად მიაჩნდათ, მაგრამ ამ ორი გადმოცემის შედარებით გაირკვა, რომ მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, დასახელებულ ისტორიკოსთა მონათხრობი ისეთ განსხვავებებს შეიცავს, რომელნიც უარყოფენ იმ აზრს, რომ თითქოს იგი ერთი და იმავე ავტორის ნააზრევს წარმოადგენს. ზემოჩამოთვლილი უცხოური წერილობითი წყაროების მონათხრობი, როგორც ტექსტიდან ირკვევა, ეყრდნობა გელასი კესარიელის მიხედვით „ფრიად სარწმუნო ბაკურს, კაცს ფრიად ღვთისმოშიშს, მეფის შთამომავალს და იბერთა შორის სახელოვანს, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი.“[17] როგორც მოტანილი ციტატიდან ირკვევა, გელასი კესარიელს ქართლის გაქრისტიანების შესახებ ამბები ჩაუწერია ქართველი მეფისწული ბაკურისაგან, რომელიც მის დროს აღმოსავლეთ რომის იმპერიის დომესტიკოსი ყოფილა და იგი პირადად იცნობდა ქართველ მეფისწულს. იმავეს, ოდნავ განსხვავებული ფორმით, იმეორებს რუფინუსი. იგი აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი „ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო კაცმა ბაკურმა თვით ამ ხალხის (იბერიელების – ე. ბ.) მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკოსი... როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა. სრულის ერთსულვნებით იერუსალიმში.“[18]. მოტანილი ვრცელი ციტატით დგინდება, რომ რუფინუსმა, როცა ბაკურისაგან მიიღო ცნობები (402 წელი) ქართლის გაქრისტიანების შესახებ, ეს უკანასკნელი უკვე იბერიის მეფედაა მოხსენიებული, ხოლო გელასი კესარიელთან კი ბაკური ჯერ კიდევ მეფისწულადაა დასახელებული. როგორც ჩანს, ორივეს აღნიშნული მონათხრობი ერთიდაიმავე პირისაგან ჩაუწერიათ – სხვადასხვა დროს. გელასი კესარიელი და რუფინუსი (ერთხანს იგი იერუსალიმში მოღვაწეობდა) ახლოს იცნობდნენ ქართველ მეფისწულს და სავსებით შესაძლებელია, რომ ორივეს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ჩაეწერათ ქართველი მეფისწულის მონათხრობი. ყოველივე აღნიშნული გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“ გელასი კესარიელის ისტორიის თარგმანია. რაც შეეხება სოკრატე სქოლასტიკოსის, იერემია სოზომენეს, გელასი კვიზიკელის ცნობებს, ზოგი რუფინუსის მასალით სარგებლობს, ზოგი კი გელასი კესარიელით.[19]

მცირე განსხვავების მიუხედავად, ბერძნული წყაროები ერთნაირი სახით გადმოგვცემენ იბერიის გაქრიასტიანებას, რომლის „მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“. მათ მონათხრობში დიდი ყურადღება ექცევა წმინდა ნინოს ღვთისმოსაობას, „კურნების ნიჭს“, თუ როგორ კურნავს იგი – სრულიად უანგაროდ –ავადმყოფ ბავშვს, შემდეგ კი მოურჩენელი სენით დაავადებულ დედოფალს. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მეფის

ნადირობის დროს მომხდარი სასწაულის აღწერას, შემდგომ კი მთელი ერის მოქცევასა და „ტყვე ქალის“ ლოცვის შედეგად ეკლესიის შენების დროს ჰაერში დაკიდებული სვეტი თუ როგორ დაეშვა კვარცხლბეკზე და სხვა. ერთი სიტყვით, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ნინოს ცხოვრების ბერძნული ვერსია თითქმის ქართული ვერსიის იდენტურია, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბაკურმა მათ (გელასი კესარიელი და რუფინუსი) მართალია, უამბო ქართლის გაქრისტიანების ამბები, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი მეფისწულის ცნობები ზეპირ მონათხრობს არ ემყარება. ბაკური უეჭველია, სარგებლობდა იმ დროისათვის ქართულ ენაზე არსებული წმინდა ნინოს ცხოვრებით. ბერძნული წყაროები საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ IV საუკუნეში უკვე არსებობდა „ნინოს ცხოვრების“ ქართული ვერსია.[20] სხვანაირად წარმოუდგენელია, წმინდა ნინოს მოღვაწეობიდან 80 წლის შემდეგ მისი ცხოვრების შესახებ უცხოური ვერსიები იქმნებოდეს და ამ დროს არ არსებობდეს მისი ცხოვრების ქართული ვერსია. გამოდის, რომ IX საუკუნეში უცხოური წყაროების გავლენით ქართველობას საჭიროდ მიუჩნევია, აღწერა წმ. ნინოს ცხოვრება. საქართველოში ყველა წმინდანის სახელზე იქმნებოდა მათი „ცხოვრება“, წარმოუდგენელია, რომ ქართველთა განმანათლებლის შესახებ მისი მოღვაწეობის ეპოქაში არ დაწერილიყო ასეთი „ცხოვრება“.

ბერძნული წყაროების გარდა წმ. ნინოს საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ფრაგმენტული, მაგრამ საინტერესო ცნობებია დაცული არაბულ, სირიულ და კოპტურ ძეგლებში. აღნიშნული წყაროების მნიშვნელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე შეუსწავლელია. მის შესახებ პირველად 1910 წელს მკვლევარმა მ. თამარაშვილმა მიუთითა. ამ უკანასკნელის მიხედვით, ჩვენამდე მოღწეული მცირე კოპტური წყარო წმინდა ნინოს შესახებ არაბულ სვინაქსარშია დაცული, რომლის შემდგენელიც, მ. თამარაშვილის აზრით, „ქართლის მოქცევის თანამედროვე უნდა იყოს“.[21]

ქართლის გაქრისტიანების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული სომხურ წყაროებში. ამ მხრივ, პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ პირველი წიგნის 86-ე თავი, სადაც მოთხრობილია ნუნეს (წმინდა ნინოს იგი ამ სახელით მოიხსენიებს) მიერ ქართლის გაქრისტიანება. მის ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან შემდგომი ხანის სომეხი ისტორიკოსები, მოსე კალანკატუელი, აგათანგელოსის ისტორიის არაბული ვერსიის ავტორი და სხვები საერთოდ არ ახსენებენ წმ. ნინოს და ქართველთა განმანათლებლად ისინი მიიჩნევდნენ სომეხ განმანათლებელ გრიგოლს. თუმცა, მოვსეს ხორენაცი გარკვეულ უზუსტობას უშვებს. მართალია, იგი აღიარებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა წმ. ნუნემ (ნინომ – ე.ბ.) იქადაგა, მაგრამ, მისი აზრით, იგი იყო გრიგოლ განმანათლებლის მისიის წევრი და მისი მითითებით მოქმედებდა ქართლში.[22] რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან სომეხ ისტორიკოსთან დაფიქსირებული აღნიშნული ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება.

წმინდა ნინოს ცხოვრებამ თავისებური ასახვა ჰპოვა რუსულ მწერლობაში, რომელშიც იგი სამი ვერსიითაა წარმოდგენილი. რუსულ წყაროებში

წმინდა ნინოს შესახებ ცნობები XVI – XVII საუკუნეებს განეკუთვნება.[23] პირველ რიგში, აღსანიშნავია 1512 წლით დათარიღებული მატიანისეული ვერსია; მეორე – 1641 წლის 27 ოქტომბრის პროლოგ-სვინაქსარის „საკითხავი“ და მესამე – სტეფანე ათონელის „Рай мысленный“ – 1659 წელს ბეჭდური სახით გამოცემული. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ბერძნული წყაროების მსგავსად, რუსული წყაროებიც ქართველთა განმანათლებლის სახელს არ იცნობს და მას „ტყვე ქალად“ მოიხსენიებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რუსული ვერსია ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს.[24] ამის დასტურია ისიც, რომ რუსული ვერსია შინაარსობრივად დიდ მსგავსებას იჩენს ბერძნულთან.

წმინდა ნინოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების მიმოხილვიდან აშკარად ჩანს, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველთა განმანათლებლის ცხოვრების შესასწავლად.

სანამ უშუალოდ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით საქართველოში წმ. ნინოს მოღვაწეობის ზოგიერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, გარკვეული მოსაზრება გამოვთქვათ ქართველთა განმანათლებლის სახელთან დაკავშირებით. ქართულ წერილობით წყაროებში იგი ნინოს სახელით იხსენიება. წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სახელი „ნინო“ მიღებულია ლათინური სიტყვა „ნონა“-საგან, რაც მონაზონს ნიშნავს.[25] ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ „ნინა-ნონას“ სახელი მომდინარეობს წარმართული რელიგიური ონომასტიკიდან.[26] ბერძნული წყაროები ქართველთა განმანათლებლის სახელს არ იცნობს და მას „ტყვე ქალის“ სახელით მოიხსენიებს, არსაიდან ჩანს, რატომ იხსენებენ ბერძენი ავტორები ქართველთა განმანათლებელს ტყვე ქალად.[27] უცხოელი წყაროების მსგავსად, ქართულ წყაროებში „ტყვე-ქალის“ სახელით წმინდა ნინო ხშირად იწოდება. ამ ზედწოდებით ნინო თავის თავს მოიხსენიებს. ბუნებრივია, რომ „ტყვე-ქალის“ ცნებაში უეჭველია, იგულისხმება ქრისტიანული ტყვეობა, ღვთისადმი მორჩილება. თუმცა აღნიშნული მოსაზრების გარდა ამ საკითხზე სხვა შეხედულებაც არსებობს.[28]

კოპტურ წყაროებში წმ. ნინო „თეოგნოსტას“ სახელითაა ცნობილი, რაც ქართულად „ღვთის მცოდნეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, კოპტური სვინაქსარის შემდგენელისათვის უცნობი იყო წმ. ნინოს სახელი და მან „ტყვე-ქალის“ ნაცვლად „ღვთის მცოდნე“ – ზოგადი სიტყვა გამოიყენა. სომხური წყარო, კერძოდ კი V საუკუნის ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი მას „ნუნეს“ სახელით იცნობს. გვიანი ხანის, კერძოდ კი XIX საუკუნის რუსულ წყაროებში წმინდა ნინო „ნინად“ იწოდება. ხოლო XIX საუკუნის ფრანგული წყარო მას „სენ-კრეტიენის“ ანუ „წმინდა ქრისტიანი ქალის“ სახელით მოიხსენიებს.

საქართველოში წმ. ნინოს მოღვაწეობის ზოგად სურათს XI საუკუნით დათარიღებული ხელნაწერის, შატბერდის კრებულში შესული „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით წარმოვადგენთ, რადგან იგი სხვა შემორჩენილ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძველესია. მეტად საინტერესოა შატბერდის კრებულში შესული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შედგენილობა. თხზულება

იწყება წმ. ნინოს მოახლოებული აღსასრულის აღწერით. კახეთში, „დაბასა ბოდს“ მყოფი დასნეულებული წმინდა ნინო სიკვდილის პირას იყო მისული, როცა მას ქართლის სამეფო კარის წარმომადგენლები ეწვივნენ. მირიან მეფის რძლის სალომე უჯარმელისა და ვინმე პეროჟავრი სივნიელის დაჟინებული მოთხოვნით წმ. ნინოს მონათხრობი სწორედ მათ ჩაიწერეს და შემდგომ ეს ჩანაწერი დაედო საფუძვლად „წმინდა ნინოს ცხოვრებას“. თუმცა ტექსტში პეროჟავრი სივნიელის სახელი შემდგომ საერთოდ არ ფიგურირებს. მასში მხოლოდ სალომე უჯარმელის მონათხრობია ჩართული. რაც ჩვენი აზრით, იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ორივეს ჩანაწერი ერთი და იმავე შინაარსისა იყო, უპირატესობა სალომე უჯარმელის ჩანაწერს მიენიჭა, რადგან იგი სამეფო კარის წარმომადგენელი იყო. „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ სალომე უჯარმელის გარდა ჩართულია იმ დროს მცხეთაში მოღვაწე ებრაელი მღვდლის აბიათარისა და მისი შვილის, სიდონიას, მღვდელ იაკობის და თვით მირიან მეფის მონათხრობი და სხვ.

ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინო კაპადოკიის ქალაქ კოლასტადან იყო. მამამისი – ზაბილონი რომის იმპერატორის ერთ-ერთი მხედართმთავარი გახდა, დედა – სუსანა იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და იყო. დაქორწინებამდე ზაბილონი რომის სამხედრო სამსახურში საკმაოდ დაწინაურებულა. ზაბილონს თავი გამოუჩენია ბრანჯთა აჯანყების ჩახშობაში. ბრანჯები, რეინის ოლქში მცხოვრები საფრანგეთის ძველი მოსახლეობა იყო. დამარცხებული და დატყვევებული ბრანჯები რომის იმპერატორის გადაწყვეტილებით, სიკვდილით უნდა დაესაჯათ. სიკვდილმისჯილ ბრანჯებს უთხოვიათ ქრისტიანობაზე მოქცევა. ზაბილონმა აღნიშნული თხოვნა მათ შეუსრულა, შემდეგ კი იმპერატორთან შუამდგომლობით ისინი სიკვდილით დასჯისაგან გაათავისუფლა. ბრანჯების თხოვნით ზაბილონი მათ სამშობლოში გაემართა და იქ ათი საერისთავო გააქრისტიანა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, წმ. ნინოს ცხოვრებაში აღწერილ ზაბილონის სამისიონერო საქმიანობას რეალური ისტორიული საფუძველი უდევს.[29] ბრანჯთა ქვეყნიდან დაბრუნებული ზაბილონი ტოვებს თავის თანამდებობას და იერუსალიმში მკვიდრდება, სადაც იგი უახლოვდება იერუსალიმის პატრიარქს იუბენალს, რომლის დას – სუსანას ცოლად ირთავს. როგორც ჩანს, „ზაბილონის იერუსალიმში წასვლა მისი სარწმუნოებრივი მისწრაფებებით იყო განპირობებული.“[30] ზაბილონსა და სუსანას მალე შეეძინათ ქალიშვილი ნინო, რომელიც პატარაობიდანვე ქრისტეს მცნებას ეზიარა. როცა ნინო თორმეტი წლის შეიქნა, მისმა მშობლებმა მთელი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგეს, ზაბილონი იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით ბერად აღიკვეცა, ხოლო ნინოს დედას სუსანას იმავე პატრიარქმა ტაძარში მიუჩინა ადგილი, გლახაკთა და უძლურთა მომვლელად. 1996 წლის 10(23) დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს მშობლები ზაბილონი და სუსანა შერაცხულ იქნენ წმინდანებად: ზაბილონი – ღირსი მამა ზაბულონის, სუსანა – ღირსი სოსანას სახელით და მათი ხსენების დღედ დაწესდა 20 აპრილი (2 მაისი). მშობლების

გარეშე დარჩენილი წმ. ნინო ორი წლის მანძილზე იზრდებოდა სომეხ დვინელ ქალთან სარა მიამფორთან (სხვა წყაროს ცნობით ნიამფორი). ქრისტიანობის ღრმად მცოდნე სარა მიამფორთან ყოფნის დროს წმინდა ნინო კიდევ უფრო განისწავლა ქრისტეს მოძღვრებაში. მასთან ყოფნის დროს გაიგო მან, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ დარჩენილი უფლის კვართი წილად ხვდა „ჩრდილოსა მას ქუეყანასა“ მდებარე მცხეთის მკვიდრთ. წმ. ნინო ევედრებოდა ღვთისმშობელს, მისთვის ძალა და შესაძლებლობა მიეცა, რომ ენახა ქვეყანა, სადაც უფლის კვართი განისვენებდა. სარა მიამფორთან ყოფნის დროს ეფესოდან მოვიდა ვინმე დედაკაცი, რომელმაც განაცხადა, რომ ელენე დედოფალს „დიდი წადიერება აქუს ჰრომთა ქრისტეს მიმართ შჯულისათ ს და ნათლის-ღებისა“. იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით წმინდა ნინო ელენე დედოფალს ეწვია, სადაც მან გაიცნო ქრისტეს მოყვარე რიფსიმე, მისი დედამძუძე გაიანე და მათი ორმოცდაათი სულიერი და, „წარვიდეს ესენი ყოველნი მონასტერსა თვისსა და იყო მათ თანა წმინდა ნინო ორ წელ“.[31] რომის კეისრის დევნის გამო, წმინდა ნინო, რიფსიმეს, გაიანესა და ორმოცდაათ სულიერ დასთან ერთად სომხეთის ქვეყანაში გადაიხვეწა. დევნილები სომხეთის წარმართი მეფის თრდატის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. ნინო კი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ეკალბარდებში დამალულმა წმინდანმა იხილა „ზეცით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი ოლარით“, რომელმაც წმინდა ნინოს აცნობა: „ხვიდოდე აღმოსავლეთით, სადა იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი ყოვლადვე, არ არიან“.[32] გამოცხადების შემდეგ წმ. ნინო გაემართა აღმოსავლეთით და „მოაწია მთათა ჯავახეთისათა“, სადაც მან ორი დღე დაჰყო. სწორედ აქ, ფარავნის ტბასთან მწყემსებისაგან წმინდა ნინომ შეიტყო, თუ სად მდებარეობდა მისთვის საოცნებო ქალაქი მცხეთა, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული. ტბა ფარავანთან ძილის დროს წმ. ნინოს გამოეცხადა კაცი, რომელსაც თმა წელამდე ეყარა და მას გადასცა „წიგნი დაბეჭდული“. გამოცხადების შემდეგ წმინდა ნინომ წაიკითხა წიგნი, რომელიც იწყებოდა სახარებისეული სიტყვებით: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ, ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“. ამ სიტყვებით გამხნევებული წმინდა ნინო მცხეთისაკენ გაემართა, წამოჰყვა მდინარე მტკვარს და სავარაუდოდ, გამოიარა ახალქალაქი, ხერთვისი, ასპინძა, ახლციხე.[33] მოგზაურობის დროს მან ბევრი შიში და შიმშილი დაითმინა, ბოლოს კი მოაღწია ურბნისს, სადაც მან აქ მცხოვრებ ებრაელებთან ერთი თვე დაჰყო.

ურბნისში ყოფნისას ნინომ დაინახა, რომ საზეიმოდ გამოწყობილი მრავალი ადამიანი მცხეთისაკენ მიემართებოდა, ისიც გაჰყვა მოზეიმე ხალხს. მან მცხეთაში უამრავი ადამიანი იხილა, რომლებიც ქართლის მეფე-დედოფალთან ერთად მაღალ მთაზე აღმართული არმაზის კერპის დღესასწაულს ზეიმობდნენ. მრავალრიცხოვანი ხალხის უგნურებით წმინდა ნინო დიდად შეწუხებული იყო. მან განიზრახა, რომ უფლის ნებით მოესპო წარმართული კერპები,რომ ხალხს ჭეშმარიტი რწმენა შეეცნო. ლოცვა-ვედრების დამთავრე-

ბისთანავე ამოვარდა „დასავლეთით ქარნი და ჰაერნი. და ხმა სცეს ქუხილისა ხმითა საზარელითა და გამოჩნდეს ღრუბელნი მოსწრაფედ ნიშნით საშინელითა“. წმ. ნინომ ღვთის შეწევნით დაამსხვრია მცხეთის კერპები. მეფე, მისი ოჯახი და ხალხი შიშმა შეიპყრო. ამიერიდან, ღვთის ძალით, როგორც წყარო გადმოგვცემს, „ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა, რამეთუ მადლისა ღმრთისასა ეწყო მიფენად აღმოსავლეთს“.[34]

მცხეთაში ჩასული წმინდა ნინო დამკვიდრდა დღევანდელი სამთავროს ტაძრის მახლობლად, მაყვლოვანში. იგი თავისი თმებით შეკრული ვაზის ჯვრით რამდენიმე წლის განმავლობაში მხურვალედ ქადაგებდა ქრისტიანობას. პირველად იგი დაუახლოვდა მცხეთელ ებრაელთა მღვდელს აბიათარს და მის ქალიშვილს სიდონიას. მათგან შეიტყო მცხეთაში უფლის კვართის ჩამოსვენების ისტორია, მაგრამ მათ არ მიუთითეს კვართის განსასვენებელი ადგილი. ებრაელი აბიათარი, მისი ქალიშვილი სიდონია და მცხეთაში მცხოვრები 50 ებრაელი წმ. ნინოს გავლენით ქრისტიანად მოექცნენ, რის გამოც ისინი მცხეთელმა ებრაელებმა თავიანთი თემისგან მოკვეთეს.

მცხეთაში მყოფი წმინდა ნინო, რომელიც მთელ დროს ლოცვა-ვედრებაში ატარებდა, ხშირად სტუმრობდა ხოლმე მეფის ბაღს, სადაც გადმოცემით უფლის კვართი იყო დაფლული. მალე წმ. ნინოს მოქცეულთა რიცხვი გაიზარდა. მან სახელი გაითქვა უიმედო ავადმყოფთა კურნებით. იგი ხალხს შთააგონებდა, რომ განკურნების ძალა მოდიოდა არა მისგან, არამედ უფლისგან. ამიტომ იგი განკურნების მსურველებს ახალი სარწმუნოების მიღებისაკენ მოუწოდებდა. ამგვარი შთაგონებით წმ. ნინომ მოარჩინა უკურნებელი სენით დაავადებული მეფე მირიანის მეუღლე, დედოფალი ნანა, რომელიც შემდეგ ქრისტიანად მოექცა. მეფე მირიანმა კი ქრისტიანობა მას შემდეგ აღიარა, როცა მცხეთის მიდამოებში ნადირობის დროს თხოთის მთაზე სასწაული იხილა. მოულოდნელად ჩამობნელდა, მაგრამ ყველაფერი განიფანტა მას შემდეგ, როცა მირიან მეფემ წმინდა ნინოს ღმერთს სთხოვა დახმარება. ამის შემდეგ მან იწამა ქრისტე და მცხეთაში დაბრუნებულმა ხალხს გაქრისტიანებისაკენ მოუწოდა. მირიან მეფის ხელშეწყობით წმ. ნინომ მოაქცია ქართლის მთიანეთი.

ქართლის სამეფო კარის დახმარებით დაიწყეს პირველი ეკლესიების მშენებლობა კვართის განსასვენებელ ადგილზე და იმ ადგილზეც, მაყლოვანში, სადაც წმ. ნინო იყო დავანებული. ქართლის მოქცევა შეატყობინეს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს. ბიზანტიიდან მოწვეულმა სასულიერო პირებმა მდინარე მტკვარზე მონათეს ქართლის მოსახლეობა. კონსტანტინე იმპერატორის დახმარებით დაადგინეს მთავარეპისკოპოსნი და მღვდელნი. კონსტანტინე იმპერატორი შემდგომშიც არ აკლებდა ზრუნვას ახლადმოქცეულ ქართლის სამეფოს. ერთ-ერთი ქართული წყაროს მიხედვით, საქართველოში ხალხის მოსაქცევად თითქოს ანტიოქიის პატრიარქი ესტატე ჩამოსულა. კონსტანტინე იმპერატორმა ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს გამოუგზავნა ქრისტეს სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები „ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი“ და „სამსჭვალნი ფერხთანი“. კონსტანტინე იმპერატორის წარმოგზავნილების მიერ მანგლისსა და ერუშეთში აშენდა პირველი ქრისტიანული ტაძრები და ეკლესიები, სადაც ზემოაღნიშნული სიწმინდ-

ეები დაასვენეს. ქართლის მოქცევის შემდეგ დასნეულებული წმინდა ნინო მიიცვალა „დაბასა ბოდისასა“.

როგორც ზემოთ განხილული ქართული წყაროებიდან ჩანს, საქართველოში წმ. ნინოს ღვაწლით ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. საეკლესიო ტრადიციით, ეს მოხდა 326 წელს, რაც აგრეთვე უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებითაც დასტურდება. ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოშიც ქრისტიანობამ სახელმწიფო სტატუსი მიიღო.

როგორც მოტანილი წერილობითი წყაროებიდან ჩანს, საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვება წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება. ქრისტიანობის მიღებით კი ძირფესვიანად შეიცვალა საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც. „ქართველებისათვის ქრისტეს ჯვარი გადაიქცა, ერთი მხრივ, ქართველი ერის სიძლიერისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოდ, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთა ხელში ანტიქრისტიანული სამყაროს რისხვად“.[35]

ასეთი დიდი დამსახურების გამო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ნინოს ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად მიიჩნევს. ქართული წყაროები მას „ქართლისა მაცხოვრად“ და „დედად ქართველთა თემისა ს“ უწოდებს. საქართველოს ეკლესია ქართველთა განმანათლებლის დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: პირველ ივნისს, მისი საქართველოში შემოსვლისა, ხოლო ოცდაშვიდ იანვარს – წმინდა ნინოს მიცვალებისა. წმინდა ნინოსადმი პატივისცემა წარმოჩინებულია მისდამი მიძღვნილ უძველესი ხანის ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში. იგი არაერთი თანამედროვე თუ წარსულში მოღვაწე ქართველი პოეტის შთაგონების წყაროდ იქცა. 1869 წელს სამხედრო მღვდელმა იროდიონ ელიოზის ძემ თბილისში გამოაქვეყნა პოეტურად გალექსილი წმინდა ნინოს ვრცელი ცხოვრება.

წმინდა ნინომ, როგორც ქართველმა განმანათლებელმა და მოციქულთასწორმა, გარკვეული ასახვა ჰპოვა რომაულ-კათოლიკურ მარტიროლოგიაში, მისი ხსენების დღედ 15 დეკემბერია მიჩნეული და იგი „სენ-კრეტიენის“ – „წმინდა ქრისტიანი ქალის“ სახელითაა ცნობილი. მის შესახებ რომაულ-კათოლიკურ მარტიროლოგიაში აღნიშნულია, რომ „იბერიაში, შავი ზღვის მიღმა, დაცულია ხსენება ქრისტიანი მსახურის წმიდისა (დედაკაცისა), რომელმაც კონსტანტინეს დროს მოაქცია ეს ხალხი ქრისტეს რწმენაზე, თავისი სასწაულებით“. აღნიშნულთან დაკავშირებით ფრიბურგის (შეიცარია) უნივერსიტეტის პროფესორი პრინც მაკს დე ზაკსი აღნიშნავდა: „არ ვიცი, ასე იყო თუ არა შუა საუკუნეთა მარტიროლოგიაში. შესაძლოა, რომ იგი (წმინდა ნინო-ნინა) ჩასწერეს როგორც „კრეტიენ“, რადგან დასავლელი ისტორიკოსები არასდროს იხსენიებენ მის სახელს, რომელიც ეგონათ იყო უცნობი. იგი წოდებულია მსახურად მისი თავმდაბალი ცხოვრების გამო, რომელსაც იგი ეწეოდა იბერიაში ყოფნის დასაწყისში“.[36]

კათოლიკურ სამყაროში წმ. ნინოს სახელზე დაფუძნებული დაწესებულებებიც არსებობს. ჯერ კიდევ 1807 წელს, საფრანგეთის ქალაქ მეტცში ეპისკოპოსმა ჟოფერმა ქალბატონ ლე მეჟანესთან ერთად დააარსა ქალთა რელიგიური კონგრეგაცია. ეს კონგრეგაცია ამჟამადაც მოქმედებს და მას

თავისი ფილიალები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. კონგრეგაციის დაქვემდებარებაშია სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები. ეპისკოპოსმა ჟოფერმა ქალთა რელიგიურ კონგრეგაციას რომაული მარტიროლოგიის მიხედვით „სენ კრეტიენის“ სახელი უწოდა. თუმცა, მან XIX საუკუნის დასაწყისში არ იცოდა „სენ-კრეტიენის“ სახელის უკან თუ რომელი წმინდანი ქალი იგულისხმებოდა, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც გაირკვა, რომ „სენ-კრეტიენი“ ქართველთა განმანათლებელი იყო, კონგრეგაციას „წმინდა ნინოს“ სახელი დაერქვა. 1898 წლიდან ამ კონგრეგაციას მუდმივი კავშირი ჰქონდა კონსტანტინოპოლში არსებულ ქართულ კათოლიკურ ტაძართან და მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერთან. კონგრეგაციას აქვს წმინდა ნინოს ხატი, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „ო, წმინდა ნინო, რომელმან იესო ქრისტეს სწავლისადმი თქვენი სათაყვანებელი ერთგულებით, დაიმსახურეთ ზედმეტი სახელი კრეტიენისა, ილოცეთ ჩვენთვის მეოხებით თქვენისა მიგვაღებინეთ მადლი, რომ შეგვეძლოს ერთგულებასა თქვენსა მივბაძოთ, რათა სული იესო ქრისტესი უფრო და უფრო შემოვიდეს ჩვენში, გამოჩნდეს ჩვენს მოღვაწეობაში და ღირსი გაგვხადოს განვაგრძოთ თქვენი მოციქულობა, იყავნ ეგრე“. დღესაც აღნიშნულ კონგრეგაციაში ბერები დღეში სამჯერ აღავლენენ ლოცვას იმ ქვეყნის მიმართ, სადაც წმინდა ნინომ ქრისტიანობა იქადაგა.

კათოლიკური სამყაროს ინტერესი წმინდა ნინოს მიმართ იმითაც გამოიხატა, რომ საგანგებო ნაშრომები დაიწერა მის შესახებ. 1874 წელს ლიონში (საფრანგეთი) ფრანგული ენაზე გამოქვეყნდა კათოლიკე მღვდლის ოგუსტ დარას ორმოცდახუთგვერდიანი ნაშრომი. ფრანგულმა სამყარომ აღნიშნული თხზულების გარდა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში მოღვაწე დე ბაის ნაშრომებითაც ახლოს გაიცნო წმინდა ნინოს ცხოვრება და მისი ღვაწლი. აგრეთვე აღსანიშნავია, 1888 წელს პარიზში მღვდელ კოლონ დე პლანსის „წმინდანთა ქრონიკაში“ შესული „წმინდა ნინოს ცხოვრება“.

საფრანგეთის გარდა, ინგლისურმა სამყარომაც გარკვეული დაინტერესება გამოიჩინა წმინდა ნინოს მიმართ. 1900 წელს ოქსფორდში საქართველოს დიდმა გულშემატკივარმა და-ძმა ოლივერ და მარჯორი უორდროპებმა ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნეს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი ვერსია. აღნიშნული თარგმანის შესახებ იმავე წელს ნიკო მარმა რუსულ ენაზე დაბეჭდა საინტერესო რეცენზია. აღსანიშნავია, რომ ოლივერ უორდროპმა წმ. ნინოს პატივისცემით თავის ქალიშვილს სახელად ნინო დაარქვა.

წმ. ნინოს სახემ თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. მის სახელზე იგებოდა ქრისტიანული ტაძრები. მისი სახელობის ფრესკული თუ ჭედური ხატები ამშვენებდა სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებს.[37]

წმინდა ნინოს სახელთან დაკავშირებულმა მრავალმა სიწმინდემ მოაღწია ჩვენამდე. პირველ რიგში, აღსანიშნავია ვაზის ნასხლავისაგან დამზადებული წმინდა ნინოს ჯვარი.

ქართულ წერილობით წყაროებში წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის წარმომავლობის შესახებ ორი ვერსია არსებობს. XII საუკუნით დათარიღებული წმინდა ნინოს ცხოვრების არსენ ბერის მეტაფრასული ვერსიის მიხედვით,

კაპადოკიელ ქალწულს, წმინდა ნინოს იერუსალიმში ყოფნისას „ძილსა შინა“ გამოეცხადა ღვთისმშობელი და საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად გადასცა თავისი ხელით ვაზისაგან დამზადებული ჯვარი, რათა „ამით ნიშითა სძლო ყოველთა მანქანებითა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგება შენი, და თანაშემწეგეყო და არა დაგიტეო შენ“.[38] მეორე ვერსია დაცულია X საუკუნით დათარიღებულ „მოქცევა ქართლისა ში“. ამ ვერსიის მიხედვით, მცხეთაში ჩასული წმინდა ნინო სამი წლის განმავლობაში ლოცულობდა მაყლოვანში და სწორედ ამ დროს თვითონ „შექმნა სახ ჯუარისა , ნასხლევისა “ და თავისი თმებით შეკრა. ცნობილია, რომ ვაზი ღვთისმშობლის სიმბოლოა. აქედან გამომდინარე, წმინდა ნინოს სახელით ცნობილი ჯვარი ვაზისა ღვთისმშობელს განასახიერებს. ასე რომ, წმინდა ნინო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში – საქართველოში შემოვიდა ვაზის ნასხლავისაგან გაკეთებული ჯვრით და სწორედ ამ ჯვრით განამტკიცა ქრისტიანობა ჩვენში. ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინო ვაზის ჯვრის საშუალებით ახდენდა სასწაულებს. ამ ჯვრით განკურნა მან უკურნებელი სენით დაავადებული ნანა დედოფალი: „და მოიღო ჯუარი იგი, რომელი აქუნდა, შეახო თავსა, ფერხთი და მხართა ჯუარის სახე, და მეყსეულად განიკურნა, და აღდგა განცოცხლებული“.[39] ამავე ჯვრის მეშვეობით განიკურნა აგრეთვე მირიან მეფის ნათესავი მოგვთუხუცესი ხუარა. და რაც მთავარია, ვაზის მეშვეობით წმინდა ნინომ მოაქცია ქართლის სამეფო. ქართული წყარო ვაზის ჯვრის ძალას შემდეგნაირად გამოგვცემს: „და გამოაჩინა ჯუარი იგი ნასხლევისა, და მით იქმოდა საკ რველებათა დიდთა, რამეთუ განრღუეულნი განკურნის თ ნიერ წამლისა, შეხებითა ჯუარისათა“.[40]

სიკვდილის წინ წმინდა ნინომ ვაზის ჯვარი მირიან მეფეს გადასცა. ამ უკანასკნელმა აღსასრულის მოახლოების დროს მოიხმო მემკვიდრე ბაქარი, მოატანინა ვაზის ჯვარი, „რომელ პირველთაგან აქუნდა, ჩამოჰკიდა ჯვარზე თავისი გვირგვინი, შემდეგ აიღო ჯვრიდან გვირგვინი და შვილს დაადგა თავზე, დალოცა მეფედ და მიიცვალა“.[41]

წმინდა ნინოს ჯვრის შემდგომი ისტორიის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთი ვერსიით თითქოს ვაზის ჯვარი სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში იყო დასვენებული.[42] თუმცა, ასეთი ცნობა წყაროებით არ დასტურდება და იგი ერთ-ერთ საეკლესიო გადმოცემაში გვხვდება.[43] სხვა ვერსიით, მცხეთის მთაზე ჯვრის აღმართვის შემდეგ „ჯუარი იგი ვაზისა , რომელ მოიღო წმინდამან ნინო ხელისაგან ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა“, ჩაასვენეს „ჯუარსა მას შინა, რომელ დაასვენეს ჯუარსა პატიოსანსა“.[44]

წმ. ნინოს ჯვარი მცხეთაში 544 წლამდე ყოფილა დასვენებული. ამის შემდეგ ჯვრის შესახებ ქართული წყაროები არანაირ ცნობებს არ გვაწვდიან. მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში საეკლესიო ისტორიის ცნობილი მკვლევარი პ. იოსელიანი სომხურ წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცემს ვაზის ჯვრის შემდგომ ისტორიას. ამ ცნობის მიხდვით, VI საუკუნიდან ვაზის ჯვარი კარგა ხნის მანძილზე საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო გატანილი. პ. იოსელიანის მიერ შეკრებილი მასალებიდან ჩანს, რომ ერთხანს ჯვარი წმინდა მოწამე შუშანიკის კუთვნილება ყოფილა, სიკვდილის წინ

აღნიშნული სიწმინდე წმ. შუშანიკს გადაუცია ცურტავის მოძღვარ ანდრიასათვის. ამ უკანასკნელს ცეცხლთაყვანისმცემელთა შიშით ვერ მოუხერხებია მისი მცხეთაში დაბრუნება და იგი ტარონში წაუსვენებია და წმ. ლაზარეს ტაძარში საიმედოდ შეუნახავთ. აქედან ქართული სიწმინდე სპერში მოხვედრილა, სადაც კარგა ხანს ინახებოდა. შემდგომ სომეხთა ერისთავს გრიგოლ მამიკონიანს იგი კაპუეტის ანუ ლურჯ ციხეში გადაუსვენებია. აქედან ჯვარი ვანანდში გადაუტანიათ. სომეხთა და ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ (608 წ.) სომეხთა კათოლიკოსმა ნერსე III-მ წმ. ნინოს ჯვარი აღთამარში გადააბრძანა. აქედან ჯვარი ისევ ქალაქ ვანანდში დაუბრუნებიათ. ერთხანს იგი ყარსშიც ყოფილა გადამალული. შემდეგ კი, არაბთა შემოსევის გამო, ქალაქ ანისში დაასვენეს. სომხური წყაროების მიხედვით წმინდა ნინოს ჯვარი მცხეთაში 175 წელი ყოფილა, კაპუეტის ციხესა და ვანანდში – 459 წელი, ყარსში – 146 წელი, ხოლო მისი მცხეთიდან გატანიდან, ვიდრე ანისამდე განვლო 798 წელმა, ანისში ჯვარი 142 წელი იყო დასვენებული. სომხურ წყაროებზე დაყრდნობით, პ. იოსელიანი წერს, რომ სომხურ ეკლესიას ანისში ჯვრის დაბრძანების დღეს მისი ხსენება დაუწესებია.[45] სომხური წყაროების ცნობით, ანისში ვაზის ჯვარი თითქოს XIII საუკუნის 40-იან წლებამდე ყოფილა. 1239 წელს, როდესაც მონღოლთა სარდალ ჩარმაღანს ანისი აუღია, საქართველოს მეფე რუსუდანს და საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს მონღოლებისაგან გამოუთხოვიათ კუთვნილი ჯვარი. უკანდაბრუნებული ვაზის ჯვარი ქართველ მეფეებს შეუმკიათ და სვეტიცხოველში დაუსვენებიათ.[46]

ქალაქ ანისიდან ვაზის ჯვრის საქართველოში დაბრუნების სხვა ვერსიაც გვაქვს, რომელიც რეალობასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სომხური ვერსია. ქართული საეკლესიო გადმოცემით, XI საუკუნეში, როცა მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125) ანისი გაათავისუფლა, ჯვარი საქართველოში წამოასვენეს და ისევ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაასვენეს. სომხურ წყაროებზე დაფუძნებული პ. იოსელიანის ცნობა წმ. ნინოს ჯვრის ხანგრძლივი მოგზაურობის შესახებ, გაზიარებულ იქნა ქართველ მკვლევართა მიერ. უკანასკნელ პერიოდში პ. იოსელიანის აღნიშნული ცნობის მიმართ მკვლევარმა ქ. ასათიანმა გამოთქვა საინტერესო კრიტიკული შენიშვნა. მან კრიტიკულად განიხილა ყველა ის სომხური წყარო, რომელსაც პ. იოსელიანი თავის შრომაში იყენებს და დაასკვნა, რომ სომხურ წერილობით წყაროებში ზუსტი ცნობები არაა დაცული წმ. ნინოს ვაზის ჯვრის შესახებ. მისი აზრით, ხშირად ვაზის ჯვრის ნაცვლად სომხურ წყაროებში საუბარია იმ ჯვრებზე, რომელიც წმინდა ნინოს დროს აღმართეს მცხეთაში და მის შემოგარენში. მაგრამ წყაროებში ამ მხრივ, ისეთი ბუნდოვნება შეინიშნება, რომ ძნელი გასარჩევია, თუ კონკრეტულად რომელ ქართულ ჯვარზეა საუბარი.[47]

სომხეთიდან საქართველოში წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის დაბრუნების შემდეგ ცნობები აღარ მოგვეპოვება. როგორც ჩანს, იგი სვეტიცხოვლის ტაძარში საიმედოდ იყო დაცული, თუმცა, როგორც გადმოგვცემენ, ძნელბედობის დროს, სხვა სიწმინდეებთან ერთად იგი მთაში, კერძოდ კი ხევში გაუხიზნავთ. ერთხანს იგი გერგეტის სამებაში იყო დასვენებული, შემდეგ კი

ანანურის ღვთისმშობლის ტაძარში.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, 1749 წელს რუსეთში მიმავალ თბილელ მიტროპოლიტ რომანოზს (არაგვის ერისთავის შვილი) სხვებისაგან მალულად წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი ანანურის ტაძრიდან მოსკოვში წაუსვენებია. თუმცა გვაქვს სხვა ვერსიაც საქართველოდან ვაზის ჯვრის გატანის შესახებ. ამ ვერსიის მიხედვით, 1688 წელს თითქოს მეფე არჩილმა წაასვენა ჯვარი რუსეთში და იგი მოსკოვში ქართველ მეფეთა სასახლეში დაასვენა. ეს ვერსია არც ერთი წერილობითი წყაროთი არ დასტურდება.

მიტროპოლიტ რომანოზ ერისთავის მიერ რუსეთში წასვენებული წმინდა ნინოს ჯვარი მოსკოვიდან გადაასვენეს ნიჟნი ნოვგოროდში მდებარე სოფელ ლისკოვოში, სადაც ცხოვრობდნენ ქართველი მეფის ვახტანგ VI-ის შთამომავლები. ლისკოვოში წმინდა ნინოს ჯვარი ინახებოდა ვახტანგ VI-ის შვილის, ბაქარის შვილიშვილთან, გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკისთან.

საქართველოს სამეფო კარი და ეკლესია მძიმედ განიცდიდა წმინდა ნინოს ჯვრის ქვეყნიდან გატანას. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი სასულიერო პირები ხშირად ჩადიოდნენ სოფელ ლისკოვოელ წმ. ნინოს ჯვრის თაყვანსაცემად. თვით მეფე გიორგი XII-მ არაერთხელ მიმართა წერილით გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის, რომ ქართველი ერის კუთვნილი სიწმინდე უკან დაებრუნებინა.[48] ლისკოვოში მყოფი ქართველები ვერ ელეოდნენ ვაზის ჯვარს, რადგან შორეულ ქვეყანაში მყოფ ქართველებს მხოლოდ ეს სიწმინდე აკავშირებდა საქართველოსთან. ბოლო წერილით მეფე გიორგი XII დამუქრებია ლისკოველ ქართველობას, თუკი ისინი ქართველთა სიწმინდეს არ დააბრუნებდნენ სამშობლოში, მაშინ მოიწვევდნენ „კრებას სამღვდელოთა და კრებისა განაჩენისა ძალითა მოეთხოვნა საუნჯე ქვეყანისა, ექადოდნენ შეჩვენებითისა განჩინებითისა წარვლენასა“.[49] როგორც ჩანს, მუქარამ გაჭრა. 1801 წელს, კორონაციის დროს რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ წმ. ნინოს ვაზის ჯვარი მიართვა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ (1801 წლის 12 სექტემბერი), 1801 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს მაშინდელი მმართველის პეტრე კოვალენსკის მიმართვის საფუძველზე რუსეთის იმპერატორმა კეთილი ნება გამოხატა ერთმორწმუნე ქართველი ხალხის მიმართ და იმავე წლის 15 ოქტომბრის რესკრიპტით წმინდა ნინოს ჯვარი დაუბრუნა მის კანონიერ მფლობელს.[50] ამავე რესკრიპტით იმპერატორი ალექსანდრე საქართველოს დროებით რუსულ მმართველობას აცნობებდა, რომ რუსეთიდან საქართველოში წმინდა ნინოს ჯვრის შესვენება ადგილობრივ სასულიერო უწყებასთან შეთანხმებით საზეიმო ვითარებაში უნდა მომხდარიყო და იგი საბოლოოდ უნდა დაესვენებიათ თბილისის მთავარ ტაძარში, სიონში.[51] ამ მიზნით, საქართველოს მმართველს, გენერალ პ. კნორინგს უნდა შეემუშავებინა წმინდა ნინოს ჯვრის საქართველოში შემოსვენების გეგმა. პ. კნორინგმა 1801 წლის 24 ნოემბერს იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიმართვის საფუძველზე იმდროინდელ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს აცნობა, რომ მას უნდა უზრუნველეყო ადგილობრივი სასულიერო პირების მზადყოფნა საქართველოში წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის ჩამოსვენების დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. პ. კნორინგი

საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს სთხოვდა, რომ რუსეთის იმპერატორის ასეთი კეთილშობილური ჟესტი ცნობილი გამხდარიყო ქართველი ხალხისათვის.[52] რუსეთის ხელისუფალნი საქართველოში წმინდა ნინოს ჯვრის შემოსვენებას დიდ პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებდნენ. ეს კარგად ჩანს საქართველოს მმართველის, პ. კნორინგის მიერ 1802 წლის 25 მარტს გენერალ ლაზარევისადმი გაგზავნილ მიმართვაში.[53] პ. კნორინგის მიერ შემუშავებული წინასწარი გეგმა დაედო საფუძვლად იმ საზეიმო ღონისძიებებს, რომელიც ვაზის ჯვრის საქართველოში შემოსვენებისას უნდა განხორციელებულიყო. ამ გეგმის მიხედვით, დაბა ყაზბეგში მორწმუნე ხალხი და ადგილობრივი ქართველი სამღვდელოება მიეგება რუსეთიდან დაბრუნებულ ვაზის ჯვარს. მეორე დიდი შეხვედრა მოუწყვეს ანანურში, საიდანაც იგი რამდენიმე ხნის წინ რუსეთში წაასვენეს. ანანურში რუსეთიდან ჯვრის მოსვენების გამო შეკრებილი ხალხის წინაშე სიტყვით გამოსულა მიტროპოლიტი იოანე წილკნელი.[54] მესამე შეხვედრა მოხდა დაბა დუშეთთან. შემდეგ კი ჯვარი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში შეასვენეს, სადაც მან რამდენიმე დღე დაჰყო. გზადაგზა, ვაზის ჯვარის შემოსვენებასთან დაკავშირებით, სასულიერო პირები იხდიდნენ სამადლობელ პარაკლისებს, მრევლი კი მას გალობით მიაცილებდა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან, მრავალრიცხოვან მორწმუნე ერთან და სამღვდელოებასთან ერთად, რომელთა შორის იყო კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II, წმ. ნინოს ვაზის ჯვარი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში 1802 წლის 9 აპრილს დაასვენეს, სადაც დღესაც ინახება.

რუსეთის ხელისუფლებამ წმინდა ნინოს ჯვრის კანონიერი მფლობელისათვის გადაცემის ფაქტი კარგად გამოიყენა თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. წმინდა ნინოს ჯვარს მრავალი რუსი სამხედრო მოჰყვა, რომელთა მიზანი იყო დაპყრობილი ქვეყნის მართვა. ვაზის ჯვრის ჩამოსვენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1802 წლის 12 აპრილს კნორინგმა თბილისის სიონის ტაძარში ღვთისმსახურებაზე შეკრებილ ქართველობას სამხედრო ალყა შემოარტყა, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მანიფესტი გააცნო და სამხედრო ძალის გამოყენების შიშით ქართველობას რუსეთის ერთგულებაზე იძულებით ფიცი დაადებინა.

თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის კანკელის მარცხენა კუთხის კედელში ჩასვენებული წმ. ნინოს ვაზის ჯვრის მოჭედილობა დიდ სიწმიდესთან ერთად ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ვაზისგან დამზადებული ჯვარი შეკრულია წმინდა ნინოს თმებით და ფარჩის საფარვლით არის შემოსილი. ჯვრის ვერცხლის შემკულობა და მისი ჩასასვენებელი კუბო, როგორც მასზე არსებული წარწერით ირკვევა, დამზადებულია XVIII საუკუნის 60-იან წლებში, მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის (1758 – 1775) მოღვაწეობის დროს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, წმინდა ნონოს ჯვრის შემკობაში მონაწილეობა უნდა მიეღო არა ვახტანგ V შაჰნავაზს, არამედ – მეფე ვახტანგ VI-ს (1716 – 1723). აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია ვაზის ჯვრის კუბოზე არსებული წარწერით: „დედაო, ნინა, დედისა ნიჭებულსა ჯვარსა გიმკობ მეფე ვა...ანგი, რომლითა განანათლე ქუეყანა ქართლისა, – მეცა...“[55] წარწერაში, უეჭველია, მეფე ვახტანგია ნახსენები, მაგრამ არ ჩანს, თუ

რომელი მეფე ვახტანგი იგულისხმება. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, წარწერაში მოხსენებული უნდა იყოს მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი, რადგან კიოტზე არსებულ სხვა წარწერებში აღნიშნულია, რომ ჯვარი შეამკო 1667 წელს არჩილ მეფემ, რომელიც იყო შვილი ვახტანგ V შაჰნავაზისა. ამავე პერიოდს განეკუთვნება კიოტის ის წარწერაც, რომელშიც მეფე ვახტანგია ნახსენები, რაშიც, ბუნებრივია, ვახტანგ V შაჰნავაზი იგულისხმება.

ვაზის ჯვრის ვერცხლის პერანგზე გამოსახულია ექვსი კომპოზიცია წმინდა ნინოს ცხოვრებიდან შესაბამისი ქართული წარწერებით: წმინდა ნინოს სასწაულებრივი ხსნა, ღვთისმშობლის მიერ ღირსი დედისათვის ჯვრის გადაცემა, რომელსაც თან ახლავს წარწერა: „ღუთისმშობელმან ჯუარი ვაზისა მისცა ნინოს და წარმოავლინა ქართლად“; ანგელოზის გამოცხადება ფარავნის პირას – წარწერით „ოდეს მოვიდა ნინო ფარავანსა ზედა, დაიძინა მან და მისცა კაცმან წიგნი ათნი სიტყვანი დაწერილნი“; კერპების შემუსვრა წმინდა ნინოს მიერ: „ოდეს იხილა ნინომ მირიან, თაყვანის მცემელი არმაზ და გაცისა, ევედრა ღმერთსა და სიტყვითა შემუსრა კერპნი იგი.“ აქვეა ნანა დედოფლის განკურნება, წარწერით: „ოდესა აღადგინა ნანა დედოფალი სნეულებისაგან ჯვარისა ამის შეხებითა“. და ბოლოს – უფლისწულ რევის განკურნება შესაბამისი ქართული წარწერით: „ოდეს აღადგინა რევ ძე მეფისა მირიანისა შეხებითა ჯვარისა ამის“.[56]

გარდა ზემოაღნიშნული წარწერებისა, ჯვრის კუბოს უკანა მხარეს მოთავსებულია 1667 წელს მეფე არჩილის მიერ შესრულებული ორი წარწერა: „წმინდაო მოციქულო ნინა, მეოხ-გუ ყავ ორსავე შინა ცხოვრებასა მეფესა არჩილს, რომელმან შემოგწირე სულის ჩემისა საოხად და მეფობისა ჩუ ნისა წარსამართებლად შევამკე ხატი ესე“.[57] მეორე წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ძელო ცხოვრებისაო, ცხოვრებისაგან ნუ ხუ ბულ-მყოფ, ვითარცა პირუ ლსა მამასა ჩუ ნსა ადამსა, ყოვლად-მცუ ლ და მფარუ ლ-მეყოფ ორსავე ცხოვრებასა, ეგრეთუ თქუ ნ, სიმრავლენო მოწამეთანო, მიოხენით წინაშე ღუთისა მეფესა არჩილს. ქრონიკონს ტნე (1667 წ.)“.[58]

წმინდა ნინოს სახელთან დაკავშირებული დღემდე შემორჩენილი სიწმინდეები, ძირითადად დაფიქსირებულია ქალაქ მცხეთაში და მის მიდამოებში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია წყაროებში „მაყლოვნად“ წოდებული ადგილი, სადაც წმინდა ნინომ მცხეთაში შემოსვლის შემდეგ დაივანა. სწორედ ამ მაყლოვანში ლოცულობდა რამდენიმე წელი იგი ფარულად. წმინდა ნინოს გარდაცვალების შემდეგ მირიან მეფე მაყლოვანს არ შეხებია. მას იგი დიდი მოკრძალებით ეკიდებოდა. უფრო მეტიც, დიდი სიწმინდის გამო, მირიან მეფემ მას შემოავლო ზღუდე, ხოლო მაყვლოვანიდან ზემოთ, მცირე მოშორებით ააშენეს ზემო ეკლესია. როგორც თვით მირიან მეფე გადმოგვცემს, „...და აღვაშენე ეკლესია მაყულოვანსა მას შინა ნინო სა და ვქმენ მას შინა საქმეც, ქმნული უჩინო , და ცხადი, დიდება მაყულოვანთა მათ, რამეთუ არაა გამოვაჰუთო ფურცელი ერთიცა მათგან, არამედ ხარისხითა (საფეხური, ქვითკირის კიბე) გარე შევიცვენ, რამეთუ მეხილვნეს მრავალნი სასწაულნი მას შინა და კურნებანი დიდნი“.[59] ამჟამად მაყვლოვანის ამ წმინდა ადგილზე ადრექრისტიანული ხანის მცირე ზომის ტაძარია აშენებული, მის გვერდით

კი სასწაულებრივად კვლავ ჰყვავის მაყვლის ბუჩქი. ამ პატარა ტაძრის ზემოთ მდებარე სამთავროს ფერისცვალების მონასტერში დასაფლავებულია პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფალი მირიანი და ნანა.

წმინდა ნინოს სახელთან არის დაკავშირებული სამი დიდი ჯვრის აღმართვა, რომელთაც ქართველთა განმანათლებლისადმი მიძღვნილ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. აღნიშნული ჯვრების აღმართვას ზოგიერთ თხზულებაში ცალკე თავი ეთმობა, ზოგან კი იგი საკითხავის სახითაა წარმოდგენილი. ქართული წყაროების მიხედვით, „კლდესა ზედა ბორცუსა შეუვალსა“ იყო „ხე იგი შუენიერი ფრიად და სულნელი“. აღნიშნული ხე 25 მარტს მოჭრეს „და წარმოიღეს რტოთურთ თ სით“ ქალაქ მცხეთაში. მის სახილველად მცხეთაში უამრავი ხალხი შეიკრიბა. ისინი გაკვირვებულები იყვნენ, „ჟამსა ზამთრისასა, ოდეს სხუა ყოველი ხე ხმელი იყო, ხოლო ესე ფურცელ-დაუცვენელი, სულ-ამო და სახილველად შუენიერი“. ხის მოჭრიდან ოცდაჩვიდმეტი დღის შემდეგ „არცა შეიცვალა ფერი ფურცელმან მისმან“.[60] მირიან მეფის ბრძანებით, მოჭრილი ხისგან გამოკვეთეს სამი ჯვარი. „მოქცევა ქართლისა ს“ მიხედვით, „ერთი ჯუარი აღმართა მირიან მეფემ მთასა ზედა მაღნარისასა, რომელსაც ჰქვიან თხოთისა“.[61] თხოთის მთა ის ადგილი იყო, სადაც ნადირობისას მირიან მეფეს გამოცხადება ჰქონდა და რომლის ძალითაც მან ჭეშმარიტი ღმერთი აღიარა. სწორედ ამ მიზნით აღიმართა ჯვარი ამ მთაზე, რომელიც თხოთის ჯვრის სახელითაა ცნობილი. მატიანეს გადმოცემით, მირიან მეფეს თხოთის მთაზე აუშენებია მცირე მოცულობის ეკლესია, სადაც თხოთის ჯვარ-პატიოსანი იყო დასვენებული. მ. საბინინის ცნობით, XIX საუკუნეში თხოთის ეკლესიაში აღმართული ჯვარი სოფელ ქვემოჭალაში ამილახვრიანთ კარის ეკლესიაში ყოფილა დასვენებული. ამჟამად აღნიშნული ჯვარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. იგი წარმოადგენს 260X123 სმ სიგრძე-სიგანის ხის ჯვარს, რომელიც ვერცხლის ფურცლებითაა მოჭედილი. აღნიშნული მოჭედილობა ხელოვნებათმცოდნეების დასკვნით XV საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.[62] ჯვარზე არსებული წარწერა მოჭედილობის დამკვეთის ვინაობას ამხელს: „ამილახორი და გორისა მოურავი ზედგენიძე იმარინდო“.[63]

დიდი ხისგან გამოკვეთილი მეორე ჯვარი აღმართეს მცხეთის პირდაპირ, მთაზე, სადაც ახლა ჯვრის ტაძარია. მეფე მირიანმა და ახლადმოქცეულმა ქართველობამ ჯვრისათვის შესაწირავი გაიღეს და მისი მსახურების დღეც დაადგინეს. VI საუკუნის მეორე ნახევარსა და VII საუკუნის დასაწყისში (585/586 – 604/605 წ.წ.) ქართლის ერისთავმა სტეფანოზ I-მ პატიოსანი ჯვრის გვერდით აღმართა ჯვრის ეკლესია. XIX საუკუნის ქართული წყაროები მას გოლგოთას უწოდებენ. დღეს ჯვრის მონასტერში შემორჩენილია წმ. ნინოსეული ჯვრის კვარცხლბეკი. მისი ქვის წყობაში ასომთავრულით შესრულებული წარწერიანი ქვა ყოფილა ჩატანებული. აღნიშნული ქვა 1938 წელს საკურთხევლის გვიანდელ კანკელში იპოვეს. VII საუკუნით დათარიღებული წარწერა კვარცხლბეკზე აღმართულ ჯვარს ეხება: „ესე ჯუარი ქრისტ სი აღ მართა სალოცველად სტეფანოზ პატრიკოსისა, დემეტრე პატოსისა, ადარნასე პატოსისა, და სულთა და ხორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა სოფლისა“.[64]

მცხეთის მთაზე ჯვარპატიოსნის აბრძანების დროს პროცესია შეჩერებულა წმინდა ნინოს ლოცვით აღმოცენებულ წყაროსთან და ღამე ლოცვაში გაუთევიათ. ეს წყარო დღესაცაა შემორჩენილი. ქართული წყაროების გადმოცემით „წმინდა ნინო ცრემლითა შეაზავებდა წყაროსა და სასწაულნი დიდნი ხოლო ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა ზედა“. ლოცვის შედეგად ჯვრის მტვირთველებს ჯვარი უვნებლად აუტანიათ და აღუმართავთ.[65]

მცხეთის ჯვარპატიოსანს ახლავს ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1745-1762) ნაზირის, დავით ავალიშვილის წარწერა, საიდანაც დადგინდა, რომ 1751 წელს მას იგი შეუმკია. თუმცა, მანამდე, 1725 წელს თეიმურაზ II-ს იგი ვერცხლის პერანგით შეუმოსავს.[66]

მცხეთის ჯვარპატიოსანი შედგება ხის ორი ძელისაგან, რომელიც ვერცხლის ფურცლებით არის შეჭედილი. ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების ბოლოებში გამოსახულია თითო მახარებელი.

მ. საბინინის ცნობით, XIX საუკუნის მიწურულამდე ყოვლადპატიოსანი ჯვარი სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხეველში იყო, ხოლო ამავე საუკუნის დასასრულს იგი ისევ ჯვრის მონასტერში გადაასვენეს. 1964 წელს ჯვარი ორგზის გაუძარცვავთ. ჯვარში ჩასვენებულია წმ. ნინოს ვაზის ჯვრის ნაწილი. 2004 წელს აღნიშნული ჯვრიდან მირონმა დაიწყო დენა. სვეტიცხოვლის ტაძრის მაშინდელი წინამძღვარის, მამა ილია ნასიძის ხელმძღვანელობით ჯვარს რესტავრაცია ჩაუტარდა. 2004 წლის 24 ივნისს იგი ჩაასვენეს ძველი ქართული მინანქრული წესით შესრულებულ ვერცხლის მოოქროვილ ლუსკუმაში. ამჟამად ეს ჯვარი სვეტიცხოვლის ტაძარშია აღმართული.

სასწაულმოქმედი ხისგან გამოკვეთილი მესამე ჯვარი აღმართეს გარე კახეთში მდებარე უჯარმაში, სადაც მირიან მეფის შვილი რევი და მისი მეუღლე სალომე უჯარმელი ცხოვრობდნენ. აღნიშნული ჯვარი უჯარმის ჯვარ-პატიოსნის სახელითაა ცნობილი. ეს ჯვარი ერთხანს სოფელ ახმეტაში იყო გადასვენებული. 1923 – 1924 წლებში, ანტირელიგიური მოძრაობის დროს, იგი დაიკარგა.

ოთარაშენის ეკლესიაში უძველესი დროიდან დაცული იყო წმინდა ნინოს თმა და კვიპაროსის ხის ტოტის ნაწილი, რომელიც მირიან მეფის ბრძანებით მცხეთაში მოჭრეს წმინდა ჯვრების დასამზადებლად. ეს სიწმინდეები ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს კუთვნილებას წარმოადგენს.

წმინდა ნინოს სახელთან დაკავშირებული სიწმინდეებიდან აგრეთვე აღსანიშნავია მისი განსასვენებელი, რომელიც კახეთში, დღევანდელი სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ტაძარშია მოთავსებული. ქართულმა წყაროებმა საინტერესო ცნობები შემოგვინახა წმ. ნინოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით. წყაროს მიხედვით, მირიან მეფეს სურდა მისი მცხეთაში გადმოსვენება და სვეტიცხოვლის მახლობლად დამარხვა, მაგრამ სასწაული იხილა, ორასმა კაცმა ძვრა ვერ უყო წმინდანის სარეცელს; მაშინ იგი იქვე დაკრძალეს თვით წმინდა ნინოს სურვილისამებრ. გადმოცემის მიხედვით, წმინდა ნინოს საფლავზე პირველი ტაძარი მირიან მეფეს აუგია. გარდაცვალების წინ მირიან მეფემ ანდერძით ნანა დედოფალს დაუბარა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფო განძი ორ ნაწილად გაეყოთ და ერთი ნაწილი წმინდა ნინოს საფლავისათვის შეეწირათ, „რათა არა შეირყიოს უკუნისამდე

იგი ადგილი“.[67]

წმინდა ნინოს საფლავის თავდაპირველი ადგილმდებარეობის შესახებ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს.[68] ამისდამიუხედავად, დღეს ყველა მკვლევარი ერთსულოვანია იმაში, რომ ამჟამად წმინდა ნინოს საფლავი ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის IX-X საუკუნით დათარიღებულ ბაზილიკურ ეკლესიაშია მოთავსებული.

საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, XIX ს. 40-იან წლებში ბოდბის ტაძარში დაკრძალულ წმინდა ნინოს ნეშტს ადგილი შეუცვალეს და იგი იმავე ეკლესიის საკურთხევლის ქვეშ გადაასვენეს. აღნიშნული გადმოცემა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება. ტაძრის საკურთხევლის მარჯვნივ მდებარე წმინდა ნინოს საფლავს თავდაპირველად გადაფარებული ჰქონია ფარჩის ქსოვილის საფარველი ოქრომკერდით მოქარგული ვაზის გამოსახულებით. ამჟამად აღნიშნული ფარჩის ქსოვილი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

1823 წელს ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანე მაყაშვილმა განაახლა და მოხატა წმინდა ნინოს განსასვენებელი ბოდბის ტაძარი. ამ დროისათვის უნდა იყოს შესრულებული მის საფლავზე წმინდა ნინოს გამოსახულებაც.

XIX საუკუნის 60-იან წლებში წმინდა ნინოს საფლავს დიდი ამაგი დასდო მიხეილ საბინინმა. მან წმინდა ნინოს საფლავზე ჯერ ხის ლუსკუმა დადგა, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს იგი მარმარილოს ლუსკუმით შეცვალა,რომელსაც ზემოდან წმინდა ნინოს ფერწერული ხატი დააფარა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსმა ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა (1817-1821) წმინდა ნინოს საფლავის გახსნა მოინდომა. გადმოცემით, როგორც კი მან ხელი შეახო ამ სიწმინდეს, მაშინვე სული განუტევა და მის გვამს ჭიები დაეხვივნენ.[69]

საქართველოს ეკლესია-მონასტრებში უძველესი დროიდან არსებობდა წმინდა ნინოს ფრესკული გამოსახულება თუ წმინდა ხატები. მისი ხატწერული გამოსახულებებიდან აღსანიშნავია მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში დაცული ხატი, რომელიც, მართალია, სიძველით არ გამოირჩევა (იგი თარიღდება XVIII საუკუნით), მაგრამ მასში ჩასვენებულია დაახლოებით ოცამდე წმინდა ნაწილი. აღნიშნული სიწმინდე, როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, პეტერბურგში მცხოვრებმა, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილიშვილის შვილმა, იოანე გრიგოლის ძემ დებისა და დედის თანხმობით 1876 წელს – თავიანთი სულის მოსახსენებლად სამთავროს დედათა მონასტერს შესწირა.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მ. საბინინისეული მარმარილოს ლუსკუმა აღებულ იქნა და წმინდა ნინოს საფლავი ვერცხლით შეიმოსა, რომელიც თავის მხრივ, მინანქრებითა და პატიოსანი თვლებითაა შემკული. ამჟამად წმ. ნინოს საფლავზე აღმართულია მწვანე დიაბაზისაგან შექმნილი ოთხი სვეტი, რომლებზეც თეთრი მარმარილოს ფილაა დასვენებული. მასზე გამოსახულია წმ. ნინოს მკლავებდახრილი ჯვარი და ვაზის გამოსახულება, გვერდზე კი ასომთავრული წარწერით წმინდა ნინოს ტროპარია ამოკვეთილი.

თავი VI

ასურელი მამების მოღვაწეობა და მათ სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები

VI საუკუნეში საქართველოში ცამეტი ასურელი წმინდა მამის შემოსვლით ახალი ეტაპი იწყება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. მათმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცებაში.

ასურელი მამების შემწეობით აღმოსავლეთ საქართველოსა და მისი მთიანი ნაწილის წარმართ მოსახლეობაში გავრცელდა ქრისტიანობა. ამ მხრივ, ცამეტი ასურელი მამის ღვაწლი, ქართული წყაროების მიხედვით, შედარებულია ქრისტეს მოციქულებისა და ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს მოღვაწეობასთან. მათდამი მიძღვნილი „ცხოვრების“ ერთ-ერთ რედაქციაში ასურელ მამათა წინამძღოლი თავის მოწაფეებს მოძღვრავს „მსგავსად წმინდანთა მოციქულთა“, რათა განამტკიცონ ქრისტიანობა[1]. ერთ-ერთი ასურელი მამის, შიოს „ცხოვრებაში“ პირდაპირ ნაქვამია, რომ მათ უნდა „განანათლონ ყოველი ესე ქუეყანა , ვითარცა პირველ ნინო“.[2] მოტანილი მასალიდან აშკარად ჩანს, რომ ასურელი მამები მოციქულთა და წმინდა ნინოს ღვაწლის გამგრძელებლები არიან.

როგორც საქართველოს ეკლესიის შემდგომი ისტორიიდან ჩანს, ცამეტი ასურელი მამის მოღვაწეობით ჩვენში საბოლოოდ განმტკიცდა მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენა. გარდა ამისა, მათი რუდუნებით საქართველოში საბოლოოდ დამკვიდრდა სამონასტრო ცხოვრების და ბერმონაზვნობის ტრადიცია. ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს არ არის „არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ე. წ. ასურელ ათცამეტ მამათა მოსვლამდე მონასტრები... არსებობს“.[3] უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით და ახლადგამოვლენილი წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ IV – V საუკუნეებში საქართველოში უკვე არსებობდა რამდენიმე მონასტერი, რომლებიც ბერძნული ტიპისა უნდა ყოფილიყო.[4] ახლადაღმოჩენილი მასალებით ნათელი ხდება, რომ ასურელი მამების მოსვლამდე საქართველოში არსებობდა ცალკეული მონასტრები. მათი მოსვლით ჩვენში სამონასტრო ცხოვრებას ფართო გასაქანი მიეცა. ასურელმა მამებმა მოახდინეს სამონასტრო საქმის ორგანიზაცია.[5] მათმა მოღვაწეობამ საქართველოში ხელი შეუწყო „მრავალრიცხოვან ახალ სავანეთა აღმოცენებას“.[6] თავდაპირველად, მათი მოღვაწეობის დროს სამონასტრო ცხოვრება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, შემდგომ საუკუნეებში კი მისი არეალი გაიზარდა და იგი მთელი ქვეყნის მასშტაბით ფართო სახეს ღებულობდა. ასურელი მამების დაარსებული მონასტრები არა მარტო რწმენის განმტკიცებას ემსახურებოდა,

არამედ ისინი ქართული მწიგნობრობისა და განათლების მნიშვნელოვან კერებად იქცნენ.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, VI საუკუნეში საქართველოში შემოსული ასურელი მამები ცამეტნი ყოფილან. ქართული ქრონიკები მათ „ათცამეტნი ასურელნი მამანის“ სახელით მოიხსენებენ, რომელთა „მოღვაწეობამ დააჩქარა ქვეყნის შემდგომი ქრისტიანიზაციის პროცესი“.[7] ასეთივე ცნობებია დაცული ასურელ მამათა წინამძღვრის, იოანე ზედაზნელისადმი მიძღვნილი ცხოვრების სხვადასხვა რედაქციებში.[8] მაგრამ, როგორც წერილობითი წყაროების შეჯერებით ირკვევა, მათი რაოდენობა ცამეტს აჭარბებს. ზოგ წყაროში იგი ჩვიდმეტს შეადგენს, ზოგან კი – ოცდაერთს. ეს შეუსაბამობა XVIII საუკუნის დასაწყისში კარგად შეუნიშნავს ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილ „მეცნიერ კაცთა“ კომისიას, რომელიც საკუთარი რედაქციით შექმნილი „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში „ათცამეტი ასურელი მამის“ სახელის ჩამოთვლის შემდეგ აღნიშნავს, რომ „მრავალნი სხუანიც დაემოწაფნეს წმინდასა მას მამასა (წმ. იოანე ზედაზნელს – ე.ბ.), კაცნი წმინდანი და სულიერნი მამანი დაჰყუნეთ ჟამისათა“.[9]

ბუნებრივია, რომ მათში ისეთი პიროვნებებიც იგულისხმება, რომლებიც იოანე ზედაზნელთან ერთად არ მოსულან, მაგრამ მათი საქმიანობა ასურელი მამების მოღვაწეობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მათ დაემოწაფნენ და მათი მიმდევრები გახდნენ. ასეთი იყო დოდო, რომელმაც დავით გარეჯელთან ერთად დიდად იღვაწა დავით გარეჯის უდაბნოში, აგრეთვე აღსანიშნავია ლუკიანე, ევაგრე და სხვა. ასურელ მამებთან დაკავშირებით კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა წყაროებში არსებული შეუსაბამობა გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ „სირიიდან ქართლში მოსულა არა ერთი პარტია მოღვაწეებისა, არამედ რამდენიმე, და არა ერთს, არამედ სხვადასხვა დროს. შემდეგ საუკუნეებში, როდესაც საქმის ნამდვილი ვითარება დავიწყებული იყო, სხვადასხვა დროს მოსულ მოღვაწეთა სახელები გაუერთიანებიათ და მიუღიათ საზოგადოება, არც მეტი, არც ნაკლები, ცამეტი კაცისაგან შემდგარი; ამათგან ერთი, იოანე, მოძღვარია, დანარჩენი 12 – მოწაფე მისი. აქ უკვე გარკვეულ ტენდენციასთან გვაქვს საქმე“.[10] მკვლევარების მიერ საქართველოში შემოსული ცამეტი ასურელი მამა შედარებულია იესო ქრისტესთან და მის მოწაფეებთან, ამიტომ სავსებით სწორადაა აღნიშნული, რომ „ათსამეტ ასურელ მამაში“ სიმბოლურად მოიაზრება ქრისტე და მისი თორმეტი მოციქული.[11]

იოანე ზედაზნელის მოწაფეთა სახელები ასურელი მამებისადმი მიძღვნილ მხოლოდ ორ ნუსხაშია ჩამოთვლილი. დანარჩენი რედაქციები საერთოდ არ მოიხსენებს მათ. X საუკუნით დათარიღებული, კათალიკოს არსენ II-ის (955 – 980) მიერ შედგენილი ერთ-ერთი ასურელი მამის – შიო მღვიმელის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობისთვის წამოსვლისას იოანეს თან გამოჰყოლია უფლის მიერ გამორჩეული თორმეტი მოწაფე; დავითი, შიო, იოსები, ანტონი, თეოდოსიოს, თათა , პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე.[12] იოანე ზედაზნელისადმი მიძღვნილ „ცხოვრებას“ დართული აქვს აგრეთვე ასურელ მამათა სია, სადაც ისინი ზედწოდებით იხსენიებიან: დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, ზენონ იყალთოელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, მიქელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, აბიბოს ნეკრესელი და ელია დიაკონი.[13] როგორც ვხედავთ, ეს ორი ნუსხა ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. პირველ ნუსხაში არის ასურელ მამათა ოთხი ისეთი სახელი (თეოდოსიოს, პიმენ, ნათან, იოანე), რომელიც მეორე ნუსხაში საერთოდ არ არის, ხოლო მეორე ნუსხაში არის ისეთი ხუთი სახელი (სტეფანე, ზენონ, ისე, ისიდორე, მიქაელ), რომელიც პირველ ნუსხაში არ იხსენიება.[14] ამ ორი ნუსხიდან მკვლევარები უპირატესობას იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში დაცულ ჩამონათვალს ანიჭებენ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ასურელ მამას სახელი იმ ადგილის მიხედვით ეწოდა, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ და სადაც მათ დააარსეს მონასტრები. დღეს ეს მონასტრები მათი სახელებითაა ცნობილი.

საქართველოში ასურელ მამათა მოღვაწეობის შესახებ არსებობს მხოლოდ ქართული წერილობითი წყაროები, მაგრამ ჩვენამდე მათი ცხოვრების ამსახველმა მასალებმა არასრული სახით მოაღწია. ზოგიერთი წმინდა მამის შესახებ ცნობები ფრაგმენტულია, ზოგიერთის ცხოვრება კი საერთოდ არ შემონახულა. ჩვენამდე შედარებით სრული სახით მოაღწია ასურელ მამათა წინამძღოლის, იოანე ზედაზნელის ცხოვრებამ. მისი მოწაფეებიდან აღსანიშნავია: შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის ცხოვრებანი და აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა. აგრეთვე საინტერესოა გვიანი ხანით, XVII – XVIII საუკუნით დათარიღებული ისე წილკნელის, ანტონ მარტყოფელის, იოსებ ალავერდელის ცხოვრებათა სვინაქსარული, შემოკლებული რედაქციები.[15]

ასურელი მამების ცხოვრებისადმი მიძღვნილი ხელნაწერი ნუსხების უმრავლესობა მეტაფრასულ რედაქციებს წარმოადგენს და ისინი გვიანი ხანით თარიღდებიან. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ასურელი მამებისადმი მიძღვნილი თხზულებების დათარიღებაში. იოანე ზედაზნელის ცხოვრებამ ჩვენამდე რამდენიმე რედაქციით მოაღწია. ყველაზე ადრეულ რედაქციას მკვლევარები X საუკუნით ათარიღებენ და მის ავტორად ამ პერიოდის ცნობილი მოღვაწე, კათოლიკოსი არსენ II (955-980) არის მიჩნეული. ასურელ მამათა „ცხოვრების“ ავტორის ვინაობის შესახებ ცნობას გვაწვდის ჯუანშერის თხზულების, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“ ერთ-ერთი ჩანართი. ამ ჩანართის მიხედვით, ასურელ მამათა ქართლში მოსვლიდან 420 წლის შემდეგ ცხოვრება მათი „გამოიკითხა და გამოიძია წმინდამან მამამან ჩუენმა არსენი ქართლისა კათოლიკოსმან“.[16] იოანე ზედაზნელის „ცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქცია XV საუკუნეში გადაწერილ, ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს აქვს დართული. მეტად საინტერესოა XII საუკუნით დათარიღებული იოანე ზედაზნელის მოღვაწეობის ამსახველი რედაქცია.[17] ცალკე აღნიშვნის ღირსია XVIII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული სვინაქსარული რედაქცია, რომლის ძირითადი წყარო, მკვლევართა აზრით, წმ. იოანეს მეტაფრასული ცხოვრება უნდა ყოფილიყო.[18]

წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა იოანე ზედაზნელის მოწაფის, შიო მღვიმელის ცხოვრება, რომელიც ორი რედაქციითაა

ჩვენამდე მოღწეული. აქედან უძველესი XII საუკუნით თარიღდება. მეორე კი შედარებით გვიანდელია. აღსანიშნავია, რომ შიოს ცხოვრების მოკლე რედაქცია დამოუკიდებელ ნაწარმოებად კი არაა მიჩნეული, არამედ იგი „ორგანულ და განუყოფელ ნაწილს შეადგენს იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა ცხოვრებისა“.[19]

ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე აბიბოს ნეკრესელის მარტვილობამ, რომელიც ორი რედაქციითაა ცნობილი. ერთ-ერთ მათგანს XIII საუკუნით ათარიღებენ. აგრეთვე საინტერესოა დავით გარეჯელის „ცხოვრების“ ვრცელი მეტაფრასული რედაქცია, რომელიც XII საუკუნის პირველ ნახევარში ვინმე ონოფრეს დაკვეთით გადაუწერიათ. ხოლო მისი მეორე, მოკლე რედაქცია ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი.[20]

შედარებით გვიან, XVII – XVIII საუკუნის დასაწყისში დაიწერა ასურელ მამათა სვინაქსარული საკითხავები, რომელიც მათი მოსახსენებელი დღისადმი იყო მიძღვნილი. ამ პერიოდისათვის სვინაქსარებში ცნობები ჩნდება არა მარტო იმ ასურელი მამების შესახებ, რომელთა მოღვაწეობა ჩვენთვის მანამდეც იყო ცნობილი, არამედ იწერება იოანე ზედაზნელის იმ მოწაფეთა ცხოვრება, რომელთა შესახებ ცნობებს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ მხრივ აღსანიშნავია, ანტონ მარტყოფელის, ისე წილკნელის, იოსებ ალავერდელის და დოდო გარეჯელის ცხოვრება.[21] მართალია, ეს უკანასკნელი ადგილობრივი მკვიდრი იყო და იგი მოსულ ასურელ მამათა რიცხვს არ განეკუთვნებოდა, მაგრამ მისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა დავით გარეჯელს.

აგრეთვე საინტერესოა, XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ ჩანართის სახით მოთავსებული „ათსამეტ ასურელ მამათა“ ცხოვრება. აღნიშნულ კომისიას, როგორც ჩანართიდან ირკვევა, ასურელ მამათა ცხოვრება შეუდგენია ქართლის კათოლიკოსის არსენის თხზულებიდან.[22]

ასურელი მამების „ცხოვრების“ მოკლე მიმოხილვიდან აშკარად ჩანს, რომ, მართალია, ჩვენამდე მოაღწია მათი მოღვაწეობიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ შედგენილმა თხზულებებმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე აღწერილი არ იყო მათი ცხოვრება. მათდამი მიძღვნილი ტექსტებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი „უთუოდ ეყრდნობიან ჩვენთვის უცნობ ასურელ მოღვაწეთა შესახებ არსებულ უფრო ძველ მასალას“.[23] აღნიშნული მოსაზრების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ დამატებაში გადამწერის მიერ იოანე ზედაზნელის ცხოვრების ტექსტზე გაკეთებული ერთი მინაწერი: „ხოლო პირველი იგი ცხოვრება და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“.[24] ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღმწერი, XI საუკუნის ისტორიკოსი ჯუანშერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წმინდა ასურელი მამების სიცოცხლეშივე შექმნილა მათი ღვაწლის ამსახველი ცხოვრებანი.[25] აღნიშნული ფაქტის შესახებ უტყუარ ცნობას გვაწვდის იოანე ზედაზნელის „ცხოვრებაც“. ამ თხზულებაში არსენ კათოლიკოსი პირდაპირ მიუთითებს, რომ აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა მას შეუდგენია უძველეს ნაშრომებზე დაყრდნობით, რომელშიც მისი ამბები უფრო ვრცლად იყო გადმოცემული.[26]

ზემოთ აღწერილი ცხოვრება-მარტვილობების გარდა ასურელი მამების მოღვაწეობის შესახებ მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობებს იძლევა „მოქცევაი ქართლისა ს“ მოკლე რედაქცია და „ქართლის ცხოვრება“. აგრეთვე აღსანიშნავია გვიანი ხანის მოღვაწეთა: ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილის, კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის, იოანე ბატონიშვილის და სხვათა შრომები.

ასურელი მამებისადმი მიძღვნილი წერილობითი წყაროების გამოვლენასა და შესწავლას დიდი ამაგი დასდეს მკვლევარებმა: მ. საბინინმა, ს. კაკაბაძემ, კ. კეკელიძემ, გრ. ფერაძემ, ივ. ჯავახიშვილმა, ე. გაბიძაშვილმა და სხვ. მათ ეკუთვნით ასურელი მამების შესახებ არსებული პირველი პუბლიკაციებიც. ზემოდასახელებული მკვლევარების მიერ გამოვლენილი წერილობითი წყაროები დაედო საფუძვლად მომდევნო ხანის მკვლევარების (ვ. გოლიაძე, მ. ჩხარტიშვილი, დ. მერკვილაძე, ქ. გაფრინდაშვილი და სხვა) ნაშრომებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა ასურელ მამათა საქართველოში მოსვლის დროისა და მიზნების, მათი ეთნიკური წარმომავლობისა და აღმსარებლობის შესახებ. თითქმის ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ იოანე ზედაზნელის მოწაფეები რამდენიმე ნაკადად, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილიდან შემოვიდნენ საქართველოში. განსხვავება იმაშია, რომ ისინი მათი შემოსვლის სხვადასხვა დათარიღებას გვთავაზობენ. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა გარკვეული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ასურელ მამათაგან საქართველოში პირველი – დავით გარეჯელი VI საუკუნის 20-იან წლებში შემოსულა. მეორე ნაკადი იმავე საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში უნდა მოსულიყო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა მოსულიყვნენ ქართლში ანტონ მარტყოფელი (დაახლოებით 545 წელს) და აბიბოს ნეკრესელი (VI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი). განსხვავებული თარიღების მიუხედავად, მკვლევართა უმრავლესობა ასურელი მამების ქართლში შემოსვლას VI საუკუნის შუა ხანებით ათარიღებს.[27]

მკვლევართა შორის აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობაა ასურელ მამათა აღმსარებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნემდე მათი აღმსარებლობის საკითხი სადავოდ არავის გაუხდია. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები (დ. ბაქრაძე, მ. ბროსე, პ. იოსელიანი, მ. საბინინი, მ. ჯანაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) და სხვები, საგანგებოდ აღნიშნავდნენ მათ ღვაწლს და ისინი დიოფიზიტური აღმსარებლობის წამომადგენლებად მიაჩნდათ. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში ტრადიციული შეხედულებების საწინააღმდეგოდ გაჩნდა ახალი ვერსიები ასურელ მამათა აღმსარებლობის შესახებ. ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც ეჭვის ქვეშ დააყენა ასურელ მამათა დიოფიზიტობა, იყო ნიკო მარი, რომელმაც ისინი რატომღაც ნესტორიანელებად მიიჩნია და დაასკვნა, რომ მათ საქართველოში ნესტორიანული მიმდინარეობა გაუვრცელებიათ.[28]

მართალია, ნ. მარის აღნიშნული თვალსაზრისი ზოგიერთმა მკვლევარმა მისაღებად მიიჩნია, მაგრამ მათმა შეხედულებებმა ფეხი ვერ მოიკიდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში, ასურელ მამათა აღმსარებლობის საკითხის გარკვევას გამოკვლევა მიუძღვნა კ. კეკელიძემ. მან მანამდე არსებული შეხედულება ასურელ მამათა დიოფიზიტური აღმსარებლობის შესახებ უარყო და მათდამი მიძღვნილი თხზულების შინაარსის ახლებური ინტერპრეტაციით შეეცადა, დაესაბუთებინა მათი მონოფიზიტობა. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, დაწვრილებით განვიხილოთ, თუ რა არგუმენტებზე დაყრდნობით ახდენს იგი თავისი მოსაზრებების გამყარებას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მისმა შეხედულებამ გამოქვეყნებისთანავე სათანადო კრიტიკა დაიმსახურა. 1926 წელს ემიგრაციაში მყოფმა, ახლახან საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ წმინდანად შერაცხულმა გრიგოლ ფერაძემ გერმანულ ენაზე გამოცემულ ასურელი მამებისადმი მიძღვნილ შრომაში სათანადო ადგილი დაუთმო კ. კეკელიძის მოსაზრებების კრიტიკას. გრ. ფერაძემ არ გაიზიარა კ. კეკელიძის შეხედულება ასურელი მამების მონოფიზიტობის შესახებ და წერილობითი წყაროების მოშველიებით დაასაბუთა მათი დიოფიზიტობა. გრ. ფერაძის მოსაზრებები გაიზიარა და იგი ახალი მონაცემებით გაამყარა ივ. ჯავახიშვილმა. თანამედროვე მკვლევარების (ვ. გოილიაძე, დ. მერკვილაძე და სხვები) დიდი ნაწილი მათ დიოფიზიტებად მიიჩნევს, მაგრამ, ამისდამიუხედავად, ზოგიერთი მათგანი დღესაც მხარს უჭერს კ. კეკელიძის მოსაზრებებს და ცდილობს, იგი ახალი მეცნიერული არგუმენტებით დაასაბუთოს. ჩვენი მხრიდან კი დავძენთ, რომ უსაფუძვლოა იმ მკვლევართა მოსაზრებანი, რომლებიც ასურელ მამებს მონოფიზიტებად მიიჩნევენ. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ქართული წყაროები მათ „გამწმენდელად სულისად“ არ მიიჩნევდნენ და მათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდანთა დასში არ ჩარიცხავდა. თუკი თეორიულად მაინც დავუშვებთ ასურელი მამების მონოფიზიტობის ვერსიას, მაშინ VI საუკუნეში საქართველოში უნდა ვიგულისხმოთ რომელიმე სხვა ქრისტიანული ჯგუფის შემოსვლა, რომელმაც დიოფიზიტობის განმტკიცება შეძლო. ასურელი მამებისაგან განსხვავებული ამგვარი სხვა დასის საქართველოში შემოსვლა ამ დროისათვის ისტორიულად არ დასტურდება. არადა, ამ პერიოდში ისე მყარად ყოფილა ჩვენში დიოფიზიტური ქრისტიანობა დამკვიდრებული, რომ VII საუკუნის დასაწყისში (608 წელს) საქართველოს ეკლესია სარწმუნოებრივი უთანხმოების გამო საბოლოოდ გაემიჯნა სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას. ჩვენი აზრით, მომხდარი ფაქტი ასურელი მამების დამსახურებით უნდა იყოს განპირობებული, VI საუკუნეში მათ მიერ საქართველოში დიოფიზიტობის განმტკიცებას უნდა გამოეწვია სომხური მონოფიზიტური ეკლესიისაგან გამოყოფა.

მკვლევართა ის ნაწილი, რომლებიც ასურელ მამებს მონოფიზიტებად მიიჩნევს, ყურადღებას არ აქცევს მათი მოღვაწეობისდროინდელი (VI საუკუნე) საქართველოს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ვითარებას. ასურელი მამების შემოსვლისა და მოღვაწეობის დროს აღმოსავლეთ საქართველო დაპყრობილი იყო სპარსეთის მიერ, რომელმაც ქართლში მეფობა გააუქმა (523 წ.) და მათ მიერ დანიშნული მოხელე მართავდა აღმოსავლეთ საქართველოს. ქართლში მეფობის გაუქმების გამო პოლიტიკურ მხარდაჭერას მოკლებული საქართველოს ეკლესია მძიმე წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, სპარსი დამპყრობლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მონოფიზიტური, მწვალებლური მიმდინარეობა ფართოდ გავრცელებულიყო. ამ მიზნით ისინი ამიერკავკასიაში უპირატესობას სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას ანიჭებდნენ და ცდილობდნენ, ქართული ეკლესია მათი გავლენის ქვეშ მოექციათ. ასეთი პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ უმეფობის ხანაში თავისი საკუთარი სახე შეინარჩუნა და მისი ოფიციალური სარწმუნოება დიოფიზიტური იყო. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესია ასურელ მამათა მოღვაწეობის დროს თითქოს მონოფიზიტური იყო. მათი ეს მოსაზრება უკანასკნელ პერიოდში უარყოფილ იქნა, რადგან ქართული და უცხოური წყაროებით უცილობლად დასტურდება, რომ VI საუკუნის მანძილზე ქართული ეკლესია, მიუხედავად სპარსელთა აქტიური მცდელობისა, დიოფიზიტურ ქრისტიანობას ინარჩუნებდა.[29]

მართალია, VI საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ოფიციალური სარწმუნოება დიფოფიზიტური იყო, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ სომხეთის მოსაზღვრე ოლქში, კერძოდ კი ქვემო ქართლში სომხური ეკლესიის მეშვეობით ამ დროისათვის მონოფიზიტობას ძლიერ მოუკიდებია ფეხი. ამას ემატებოდა ისიც, რომ სპარსელი დამპყრობლები, სადაც კი საშუალება ჰქონდათ, თავიანთ სარწმუნოებას, მაზდეანობას ავრცელებდნენ. ასურელ მამათა ცხოვრებიდან ჩანს, რომ მათ მაზდეანური სალოცავები ჰქონიათ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასე რომ, VI საუკუნეში ცეცხლთაყვანისმცემლობაც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ქართლში. გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში, განსაკუთრებით მთისა და ბარის მომიჯნავე ზოლში, ძველი წარმართული სარწმუნოების აღორძინების გამო ქრისტიანობა გარკვეულწილად შესუსტებულად გამოიყურებოდა. სწორედ ასეთი პოლიტიკური და რელიგიური სიტუაცია დახვდათ VI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში მოსულ დიოფიზიტური აღმსარებლობის მქონე ასურელ მამებს, რომლებმაც სამონასტრო ცხოვრების დაფუძნებით აქტიური მუშაობა გააჩაღეს ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისთვის.

გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ასურელი მამების ეროვნული კუთვნილების შესახებაც. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სირიიდან წამოსული წმინდა მამები ეროვნებით ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.[30] მართალია, აღნიშნული მოსაზრება ქართულ ისტორიოგრაფიაში კვლავ ვარაუდის დონეზეა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ გამოთქმული შეხედულება სინამდვილეს ასახავდეს. შუამდინარეთის ანტიოქია – ედესის მიდამოებში არსებულ მონასტრებში, საიდანაც ასურელი მამები მოსულები ჩანან, მრავალი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა. შესაძლებელია, ერთ-ერთი ასეთი მონასტრის მკვიდრი ქართველი ბერები შემოვიდნენ საქართველოში.[31]

ასურელ მამათა მოღვაწეობის ცალკეული საკითხებისადმი მკვლევართა განსხვავებული დამოკიდებულების მიუხედავად, თითოეული მათგანის ცხოვრებას მათდამი მიძღვნილი წყაროების მიხედვით წარმოგიდგენთ. მართა-

ლია, ზოგიერთი ასურელი მამის ცხოვრება ცალ-ცალკე არსებობს, მაგრამ სავსებით სწორადაა მიჩნეული, რომ „იოანე ზედაზნელის ცხოვრების ე.წ. არქეტიპების სათაური მიუთითებს, რომ ეს თხზულება შეიცავს არამარტო იოანეს მოღვაწეობას, არამედ მისი მოწაფეების ცხოვრებასაც.“[32]

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს დაწვრილებით გადმოვცეთ თითოეული წმინდა მამის მოღვაწეობა. ჩვენი სურვილი მოკრძალებულია – ზოგადად აღვნიშნოთ მათი ღვაწლი და ყურადღება გავამახვილოთ ასურელ წმინდა მამათა სახელთან დაკავშირებულ იმ სიწმინდეებზე, რომლებმაც ჩვენამდე ნივთიერი სახით მოაღწია.

ქართული წყაროების მიხედვით „ათსამეტ ასურელ მამათა“ წინამძღვარი იოანე ზედაზნელი შუამდინარეთიდან იყო. მისი მშობლების შესახებ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მხოლოდ ის ვიცით, რომ ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილმა მიატოვა მშობლიური სოფელი და უდაბნოში ბერული ცხოვრება დაიწყო ერთ-ერთ მონასტერში. გამორჩეული ღვთისმოსაობით, განათლებითა და „მიჰმადლებული კურნების“ ნიჭით იოანემ დიდად გაითქვა სახელი. თავის რამდენიმე მოწაფესთან ერთად იგი ყველაფერს განერიდა და უდაბნოს ერთ-ერთ მონასტერში დაემკვიდრა. გარკვეული პერიოდის შემდეგ იოანე ზედაზნელი თავის მიერ გამორჩეული თორმეტი მოწაფით, სამისიონერო მოღვაწეობის მიზნით, საქართველოსაკენ გამოემგზავრა. ერთი წყაროს ცნობით, იგი საქართველოში შემოსულა უფლის გამოცხადების შემდეგ, რომლის სურვილი ყოფილა „ახალნერგ“ ქვეყანაში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცება.[33] მეორე ვერსიით, იოანე ზედაზნელი თავის მოწაფეებთან ერთად ღვთისმშობლის კარნახით გამომგზავრებულა, რათა „ვიღუაწოთ სარწმუნოებისათვის ქუეყანასა“,[34] რომელიც მისი წილხვდომილი იყო. ძნელი გადასაწყვეტია, თუ რომელ ვერსიას შეიძლება მიეცეს უპირატესობა. ერთი რამ კი ცხადია, იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების საქართველოში შემოსვლა ღვთის ნებით მოხდა, ღვთის ნებით გამოარჩია აგრეთვე მან საქართველოში გამოსამგზავრებლად თავისი თორმეტი მოწაფე: დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, თათე, (იგივე თადეოზ) სტეფანწმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე (იგივე ეზდერიოსი) სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი. მათთან ერთად იყო ელია დიაკონი. იოანემ უდაბნოში დარჩენილებს მოძღვრად მღვდელ-მონაზონი ექვთიმე დაუტოვა, თვითონ კი თავის სულიერ შვილებთან ერთად საქართველოს დედაქალაქში მოვიდა. იმ დროისათვის ქართლის მეფე ყოფილა ფარსმანი, ხოლო კათოლიკოსი – ევლავიოსი. ერთ-ერთი ასურელი მამის შიოს „ცხოვრებაში“ დაცულია მეტად საინტერესო ცნობა. ამ ცნობის მიხედვით, იოანე ზედაზნელსა და მის მოწაფეებს ქართლში გამომგზარებამდე მოუნახულებიათ ასკეტური ცხოვრების „დიდი მნათობი ს მიონ საკ რველთმოქმედი მთასა საკ რველსა“ და „ლოცვა მისი მიიღეს და ესრეთ წარემართნეს გზასა ქართლად მიმყუანებელსა“.[35]

საქართველოს მაშინდელ მეფე ფარსმანს და კათოლიკოს ევლავიოსს, ქართული წყაროების მიხედვით, ანგლოზებისაგან ეუწყათ მათ ქვეყანაში წმინდა მამების მისვლა. ქართლის დედაქალაქ მცხეთაში მისულ „ათსამეტ ასურელ მამას“ მეფე და კათოლიკოსი დიდი სიხარულით მიეგებნენ და მათ დაათვალიერებინეს წმინდა ადგილები. წმინდა მამებმა მოილოცეს და თაყვანი სცეს მცხეთაში არსებულ კვართის განსასვენებელს, მირონმდინარე წმინდა სვეტს და სხვა სიწმინდეებს, რომელიც წმინდა ნინოს სახელთან იყო დაკავშირებული. კათოლიკოს ევლავიოსის კურთხევით იოანე ზედაზნელი თავის მოწაფეებთან ერთად დამკვიდრდა მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე „მთასა მას მაღალსა, რომელსა ჰრქვან ზედაზენი“, სადაც ადრე წარმართი ზადენის კერპი ყოფილა აღმართული.[36] სწორედ ამიტომ ზადენის კერპის გამო ამ მთას ზედზადენი ანუ ზედაზენი უნდა დარქმეოდა. აღნიშნულ ადგილზე წმ. იოანეს დამკვიდრების მიზეზი სწორედ ის ფაქტი უნდა ყოფილიყო, რომ ამ ადგილზე, როგორც წყაროდან ჩანს, წარმართული სამსხვერპლო კვლავ შემორჩენილი ყოფილა, რომლის განადგურება სურდა ასურელ მამათა წინამძღოლს. იოანემ ზედაზნის მთაზე „ჰპოვა მცირე ქუაბი და შექმნა იგი წმინდად ეკლესიად, და დაემკვიდრნეს მუნ“, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.[37] ერთ დამეს წმ. იოანეს ღვთისმშობელი გამოეცხადა, რომელმაც წმინდა მამას აუწყა, რომ მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავისი მოწაფეები უნდა გაეგზავნა ქრისტიანობის საქადაგებლად. მეორე დღეს მან თავის მოწაფეებს აუწყა ღვთის ნება და განუცხადა, „...სარგებლისათ ს ამის ქუეყანისა წარმოგავლინნა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რამეთუ ახალ ნერგ არიან კაცნი ესე ამის სოფლისანი, ამისათ სცა ჯერ არს, რა თა წარხ დეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდით ძმათა, რომელთა აღუარებიეს ქრისტე, უფალი ჩუენი“.[38]

იოანე ზედაზნელის კურთხევით მისი თორმეტი მოწაფე სამისიონერო მოღვაწეობისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წავიდა, თავისთან კი დაიტოვა ერთადერთი მოწაფე, ელია დიაკონი. მისი მოწაფეებიდან ექვსი ასურელი მამა (დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტყოფელი და აბიბოს ნეკრესელი) კახეთის მხარეში დამკვიდრდა, ხოლო დანარჩენი ექვსი (ისე წილკნელი, პიროს ბრეთელი, მიქელ ულუმბოელი, ისიდორე სამთავნელი, შიო მღვიმელი და თათე (იგივე თადეოზი) სტეფანწმინდელი ქართლში. მათმა დიდმა ნაწილმა თავიანთი მოღვაწეობის ადგილზე დააარსა ეკლესია-მონასტრები, ზოგიერთი კი მათ მისვლამდე აშენებულ ტაძარში დამკვიდრდა. ევლავიოს კათოლიკოსის ლოცვა-კურთხევით ისე წილკნელი და აბიბოს ნეკრესელი დადგენილ იქნა იმჟამად დაცარიელებული წილკნისა და ნეკრესის ეპარქიის მღვდელმთავრებად. აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრებული იოანე ზედაზნელის სულიერი შვილები კავშირს არ წყვეტდნენ თავიანთ მოძღვართან. ისინი დროდადრო მისგან სათანადო რჩევა-დარიგებასაც იღებდნენ.

გარდაცვალების წინ ღრმად მოხუცებულმა იოანე ზედაზნელმა მიიწვია თავისი მოწაფეები ელია დიაკონი და თათა, რომელთაც ანდერძი დაუტოვა, რომ მიძინების შემდეგ იგი თავისი მწირობის ადგილზე დაეკრძალათ. წმ. იოანეს გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა დაახლოებით VI საუკუნის 70-იან წლებში) მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა იგი დაკრძალეს არა

ანდერძისამებრ, არამედ ზედაზნის ძირას მდებარე მონასტერში. გადმოცემის მიხედვით, აღნიშნული მონასტერი დაუარსებია იოანეს ერთ-ერთ მოწაფეს, თათას. თათა იგივე თადეოზ სტეფანწმინდელია, რომლის შესახებ ქართული წყარო წერს: მან „აღაშენა მონასტერი ქუეშე კერძო მთისა მის და იმყოფოდა მას შინა ძმათა თანა მრავალთა მის მიერ შეკრებულთა მონასტერსა შინა“.[39] სწორედ თათას მონასტერში დაუკრძალავთ იოანე ზედაზნელი. მაგრამ იმავე წყაროს გადმოცემით, იოანეს დაკრძალვის შემდეგ უეცრად მიწა იძვრა და არ გაჩერებულა მანამდე, სანამ არ გაიხსენეს წმინდა მამის ანდერძი და არ მიხვდნენ, რომ ეს მიწისძვრა ზეციური ნიშანი იყო. მომხდარი ფაქტის შემდეგ იგი ზედაზნის მთაზე გადაასვენეს.[40]

წმინდა იოანეს გარდაცვალების შემდეგ მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა ფართო სამშენებლო საქმიანობა გააჩაღეს ზედაზნის მთაზე.[41] თვით იოანე ზედაზნელს არავითარი მშენებლობა არ უწარმოებია, როგორც წყარო გადმოგვცემს: „შენება ადგილისა მის არა ინება, არამედ მარტოდ მყოფობა აღირჩია“.[42] მისმა მიმდევრებმა წმ. იოანე ზედაზნელის ქვაბი ეკლესიად გადააკეთეს, სადაც „შემდგომად მისა აღაშენეს ეკლესია “.[43] როგორც წყაროები გადმოგვცემენ, VIII საუკუნის 70-იან წლებში წმინდა კლემენტოს კათოლიკოსმა, იოანე ზედაზნელის სადგომის ახლოს აღაშენა ნათლისმეცემლის სახელობის ეკლესია, ამ ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს, სიღრმეში მოთავსებულია იოანე ზედაზნელის საფლავი, რომელმაც დღემდე მოაღწია.

წმ. იოანე ზედაზნელის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეებიდან აგრეთვე აღსანიშნავია მისი სახელწოდების წყარო. ამ წყაროს შესახებ წმ. იოანეს ცხოვრებაში საინტერესო ცნობებია დაცული. ცხოვრების მიხედვით, ზედაზნის მთაზე, იმ ადგილას, სადაც იოანე და მისი მოწაფეები დაემკვიდრნენ, თავდაპირველად იყო „პირველ ურწყული“. უწყლობის გამო, მისი მოწაფეები დიდი წვალებით შორი მანძილიდან ეზიდებოდნენ წყალს. მოწაფეთა შრომის შემხედვარე წმინდა იოანეს შეებრალა ისინი და ღმერთს შეევედრა: „რა თა აღმოუცენოს წყალი მადალსა მას ქედსა ზედა“ და მართლაც, მოხდა სასწაული: „გამოჰხდა წყალი ტკბილი, გრილი და ფრიად შუენიერი მდიდრად“.[44] ამ წყაროსთანაა დაკავშირებული წმინდა ასურელ მამათა ცხოვრების წიგნში აღწერილი კიდევ ერთი სასწაული. წყაროს დათვი შეეჩვია და ელია დიაკონი მისი შიშით წყალს ვედარ ეკარებოდა. გადმოცემის მიხედვით, წმ. იოანემ წყაროსთან დათვს მიუსწრო წყლის სმის დროს. წმინდა მამამ დათვს ალერსიანად ხელი გადაუსვა თავზე და განუცხადა: ახლა დალიე წყალი, მაგრამ დღეის შემდეგ „ნუვის ავნებ კაცთაგანსა“. დათვი წმ. მამის ნებას დამორჩილდა, თავდახრილი გაეცალა იქაურობას. მას შემდეგ წყაროს სასწაულმოქმედად მიიჩნევენ, რასაც ადასტურებს XVIII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც: „ეს წყალი ჰკურნავს სენთაცა“.[45] გადმოცემის მიხედვით, აღნიშნულ წყაროს მორწმუნეთათვის დღესაც არ დაუკარგავს თავისი მკურნალი თვისებები.

XIX საუკუნის მოღვაწენი აღწერენ ზედაზნის ტაძრის ხელმარცხნივ არსებულ, ქვით მოპირკეთებულ ჭას, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ცარიელია და მხოლოდ წმ. იოანე ზედაზნელის ხსენების დღეს კლდიდან

სასწაულებრივად გამომავალი, ცრემლივით მდინარი ანკარა წყლით ივსება. საეკლესიო ტრადიციით, თუკი ჭა წყლით ბოლომდე აივსო, ეს კეთილდღეობის ნიშანია, მაგრამ ნაკლული თუ დარჩა, ის წელიწადი უიღბლო და წარუმატებელია. როგორც ზედაზნის მონასტრის სასულიერო პირები გადმგვცემენ, დღესაც სასწაულებს ახდენს წმ. იოანე ზედაზნელი მორწმუნე პირთათვის. მისი ხსენების დღეს მდვიმის კედლები მირონით ივსება. იოანე ზედაზნელისა და მისი თორმეტი მოწაფის ხსენების დღედ საქართველოს ეკლესიამ დაადგინა 7 (20) მაისი.

წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფეთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია დავით გარეჯელს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევართა აზრით, თავის მოძღვარზე ადრე, VI საუკუნის 20-იან წლებში უნდა მოსულიყო საქართველოში. მაგრამ დავით გარეჯელისადმი მიძღვნილ „ცხორებაში“ აღნიშნულია, რომ იგი იოანე ზედაზნელთან ერთად შუამდინარეთიდან მოსულა საქართველოში. იოანე ზედაზნელის ლოცვა-კურთხევით დავით გარეჯელი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარე კახეთში მდებარე უდაბნოში, გარეჯში დამკვიდრებულა. აქედან წარმოსდგება მისი ზედმეტსახელი გარეჯელი. მართალია, დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“ არაა აღნიშნული, მაგრამ საეკლესიო ტრადიციითა და ზოგიერთი ქართული წყაროს ცნობით, დავითი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარეჯის უდაბნოში გამგზავრებამდე, მცირე ხანს თბილისის ერთ-ერთ მიუვალ გარეუბანში დამკვიდრებულა: „პირველად საკ რუელი დავით, დაემკ დრა ტფილისის დასავლეთის მთასა ზედა აწ მთად წმინდად წოდებულსა მცირე ქუაბსა შინა, რომელიც ჰპოვა, სანატრელმან ბუჩქიან ტყეში, რომელითა სავსე იყო მთა იგი“.[46] თბილისის დასავლეთით, მთის ფერდობზე დამკვიდრებულმა დავით გარეჯელმა მცირე სამლოცველო შექმნა. თავისი ღვთისმოსაობითა და ასკეტური ცხოვრების წესით მან ქალაქის მცხოვრებთაგან დიდი ყურადღება მიიქცია. გადმოცემის მიხედვით, ხუთშაბათობით მამა დავითი ხშირად ჩადიოდა იმ ადგილას, სადაც დღეს წმ. გიორგის სახელობის ქაშუეთის ტაძარი დგას და სადაც თურმე იმ დროს დედათა მონასტერი ყოფილა. წმინდა დავითის სამისიონერო მოღვაწეობას წინ აღუდგნენ იმ დროს თბილისში საკმაოდ მომრავლებული ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები, რომლებმაც სხვადასვა ბინძური ხერხების გამოყენებით გადაწყვიტეს წმინდა მამის თავიდან მოშორება. წმ. დავითის სამხილებლად მათ გამოიყენეს ქაშუეთის „მონასტერში“ მყოფი ერთ-ერთი მონაზონის დაფეხმძიმების ფაქტი. მათ მოისყიდეს გაუბედურებული დედაკაცი და ათქმევინეს, რომ მამა დავითმა შემაცდინაო. ცილისწამებამ გაჭრა და ღირსი დავითი წარსდგა სამსჯავროს წინაშე. მოსყიდული დედაკაცი წმინდა ბერს ადანაშაულებდა. წმინდა დავითმა აიღო კვერთხი, შეახო დედკაცის მუცელს და ხმამაღლა წარმოთქვა: „ღადადყავ, ყრმაო, ნუთუ მე ვიყვე მამა შენიო“. ჩვილმა ხმა გაიღო მრუში დედაკაცის მუცლიდან და სხვაზე მიანიშნა. განრისხებულმა ხალხმა დედაკაცი იქვე ჩააქვავა, შეძრწუნებულმა დავითმა ბრბო ვერ შეაჩერა, გარდაცვლილი დედაკაცის გვამი ქვათა შუა დატოვეს, გადმოცემით, აქედან წარმომდგარა სახელწოდება „ქვათაშუეთი“, ანუ „ქვაშვეთი“.[47] არსებობს ამ გადმოცემის მეორე ვარიანტი,

რომლის მიხედვით, თურმე ხალხს შეუწყნარებია წმინდა დავითის მუდარა და დედაკაცისათვის სიცოცხლე უჩუქებია, მაგრამ მამა დავითის წყევლის გამო, თითქოს მას ბავშვის მაგიერ ქვა ეშვას.[48] ეს უკანასკნელი ვარიანტი მიუღებლად მიაჩნიათ, რადგან წმინდა მამა ხალხს თვითონ ეხვეწებოდა, ცილისმწამებელს სიცოცხლეს ნუ მოუსპობთო და „როგორ დასწყევლიდა ჯერ არ შობილ უდანაშაულო ბავშვს“.[49] ზემოთ აღნიშნული გადმოცემა, ძირითადად, საეკლესიო ტრადიციას ეყრდნობა. საეკლესიო გადმოცემების გარდა, დავით გარეჯელის თბილისში მოღვაწეობის ამბები შეტანილია XI საუკუნით დათარიღებულ წმინდა დავით გარეჯელისადმი მიძღვნილ საეკლესიო საგალობელში. რაც შეეხება მისადმი მიძღვნილ „ცხოვრებაში“, როგორც ზემოთ აღინიშნა, წმინდა მამის თბილისში მოღვაწეობა აღწერილი არაა. საქართველოს ეკლესიამ დავით გარეჯელის თბილისში სამისიონერო მოღვაწეობის აღსანიშნავად დააწესა წმ. დავით გარეჯელის ხსენება ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს. თბილისში, იმ ადგილს, სადაც ერთ დროს დავით გარეჯელი მოღვაწეობდა, შემდგომში მთაწმინდა ეწოდა. მამა დავითის სენაკის მახლობლად, მთაწმინდის ფერდზე აგებულ იქნა მცირე ეკლესია. 1592 წელს მამა დავითის მთაწმინდაზე მოღვაწე ბერებმა, დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა საბერძნეთის წმინდა ათონის სახედ ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი ააგეს, რომელიც შემდგომ ჟამთა სიავის გამო დაზიანებულა. მისი აღდგენა ითავა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ (1788 – 1810). მისი ხელშეწყობით მამა დავითზე აშენდა ფერიცვალების სახელობის ახალი ტაძარი და დედათა მონასტერიც დაარსდა. ანტონ II-ისა და მეფე გიორგი XII-ის (1898 – 1800) შემწეობით შეკეთდა წმინდა დავითის სენაკ-მღვიმე.[50] XIX საუკუნის მეორე ნახევარში მამა დავითის ტაძარმა კვლავ განიცადა გადაკეთება. მამა დავითის სადგომ-მღვიმის წინ აგურის კედლებით ამოაშენეს მცირე სადგომი, რომელიც მღვიმისაკენ თაღოვანი სარკმლით იყო გახსნილი, XX საუკუნის 30-იან წლებში ტაძრის მიდამოები მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად აქციეს, სადაც დაკრძალულნი არიან ერისათვის თავდადებული მამულიშვილები. პანთეონად გადაქცევისას, კეთილმოწყობის დროს წმინდა დავითის მღვიმე აგურის კედლით მთლიანად დაიფარა, დარჩა მხოლოდ მცირე სადგომი, რომელშიც მხოლოდ მილები იყო გამოყვანილი, საიდანაც შესაძლებელი იყო წყლის აღება. 2002 წლის აპრილში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით ამოშენებული კედელი გაიხსნა და გამოჩნდა მღვიმე, რომელშიც ამჟამად ყოველი მხრიდან წყალი მოჟონავს. იგი სენაკის ძირში მოთავსებულ მცირე აუზში გროვდება.

თბილისში მოღვაწეობის შემდეგ დავით გარეჯელი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარეჯის უდაბნოში მიემგზავრება, სადაც მათ, მკაცრი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, ფართო აღმშენებლობითი მუშაობა გააჩაღეს. მათ მიერ გარეჯში აშენებულ იქნა ერთ-ერთი მონასტერი, რომელმაც სათავე დაუდო უდაბნოს მრავალმთაში სამონასტრო ცხოვრების გაფართოებას. გარეჯში დამკვიდრებულ მამა დავითსა და ლუკიანეს მალე ბევრი მიმდევარი გაუჩნდათ. ძმობის რიცხვი თანდათან იზრდებოდა. კახეთიდან მათ

ეწვიათ დიდი,რომელმაც წმ. დავითის ლოცვა-კურთხევით ლავრის მოპირდაპირე მხარეს, კლდის რქაზე ააშენა მონასტერი ღვთისმშობლის სახელზე. ძმობის გაზრდასთან ერთად გარეჯის მრავალმთის ტერიტორიაზე გაიზარდა ეკლესია-მონასტრების რაოდენობაც. წმ. დავითი ყურადღებას არ აკლებდა მონასტრის მკვიდრთ. წმ. დავით გარეჯელისა და მისი თანამოღვაწეთა მიერ დაარსებულმა სამონასტრო კერებმა დავით გარეჯის უდაბნო მნიშვნელოვან სულიერ და კულტურულ-საგანმანათლებლო კერად აქცია.[51]

მრავალმთის უდაბნოში დამკვიდრებული დავით გარეჯელი წმინდა ადგილის მოლოცვის მიზნით რამდენიმე მოწაფესთან ერთად იერუსალიმისაკენ გაემგზავრა. პილიგრიმები მადლის ქედად წოდებულ მთას მიუახლოვდნენ, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ქალაქი იერუსალიმი. მამა დავითმა მადლობა შესწირა უფალს და თავის თანმხლებ პირებს თავმდაბლობით განუცხადა: „ვითარ ვერ გავბედავ ცოდვილის ჩემის ფერხითა ვთელო ნავალი ღმერთკაცისა“. წმ. მამამ ქალაქში თავისი მოწაფეები შეუშვა, თვითონ კი შორიდან უმზერდა წმინდა ქალაქს. ქალაქის კარიბჭესთან მხურვალედ ილოცა და ევლოღიად სამი ქვა წამოიღო იმ რწმენით, „ვითარ თ თ მის ქრისტეს საფლავისგან გამოკუეთილნი“ ყოფილიყვნენ. პილიგრიმების საქართველოსკენ გამომგზავრებისას იერუსალიმის პატრიარქ ილიას ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა: „სარწმუნოებითა მისითა წარიღო მადლი იერუსალიმისაო“. იერუსალიმის პატრიარქის მალემსრბოლები დაეწივნენ წმ. დავითს და აუწყეს ანგელოზთა განცხადება. მათ პატრიარქის სურვილით წმინდა მამას ორი ქვა ჩამოართვეს, „რომ სრულიად არ წაერთვას მას მადლი, ხოლო ერთი წილი მომიცია შენთვის, შენი უდაბნოსათვის, წაიღე ეს ქვა ვითარცა მადლი შენ უდაბნოში სახსოვრად და საუწყებლად სარწმუნოებისა შენისა.“[52] მამა დავითმა იერუსალიმიდან პატრიარქის დასტურით სამი ქვიდან მხოლოდ ერთი ქვა ჩამოიტანა და დავით გარეჯის უდაბნოში დაავანა. სასწაულებრივი მადლით აღვსილი ეს საკვირველმოქმედი ქვა კურნავდა „ყოველთა სნეულებათა და ტკივილთაგან სარწმუნოებით მისდამი მიმთხვეულთ“.[53] ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. აღნიშნული სიწმინდის ფლობით დავით გარეჯი თავისი მადლით უტოლდებოდა იერუსალიმს, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „ვინაიდგან სამ-გზის აქა (დავით გარეჯში – ე.ბ.) ლოცვა მიესწორების ერთ-გზის იერუსალიმის მისვლასა“.[54]

წმ. დავით გარეჯელის გარდაცვალების შემდეგ, გადმოცემით, მადლის ქვა მის საფლავზე ყოფილა დასვენებული. შემდგომი პერიოდის წყაროებში მისი ადგილსამყოფელი არ ჩანს. ვიცით მხოლოდ ის, რომ თავისი სასწაულმოქმედების გამო დავით გარეჯის ლავრის ბერ-მონაზნობა მას საგანგებოდ უფრთხილდებდა და საიდუმლოდ ინახავდა.

1811 წელს დავითის ლავრაში ფერიცვალების ეკლესია განაახლა უდაბნოს წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ილარიონმა (ბებურიშვილი).[55] ეკლესიის შეკეთებისას, წმინდა დავითის საფლავის ბოლოს, კანკელის შელესილი სვეტის ჩამონგრევისას, გაჯით გალესილი კედლის უკან აღმოჩნდა პატარა ნიში, სადაც საიდუმლოდ გადამალული იყო იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქვათახევის მონას-

ტრის არქიმანდრიტის ტარასი ალექსი-მესხიშვილის გადმოცემით, „ეს ქვა სიდიდით ბატის კვერცხზედ ცოტა ნაკლებია, იმასავით მოგრძო შეხედულება აქვს და მრგვალად მოყვანილი ბოლო. ბოლოზედ ეტყობა ლაქა, რომელსაც მუქი სისხლის (დიდი ხნის მიმხმარის) ფერი აქვს. თვითონ ქვა მოთეთრო და მოწითალო ფერისაა“.[56] იმავე ტარასის გადმოცემით, უსაფრთხოების მიზნით, ახლადნაპოვნი მადლის ქვა საიდუმლოდ შეინახეს იმავე ეკლესიაში, სხვა ადგილზე. მისი ადგილსამყოფელი ლავრის რამდენიმე უხუცესმა სასულიერო პირმა იცოდა. საეკლესიო დღესასწაულების დროს აღნიშნულ სიწმინდეს სამალავიდან გამოასვენებდნენ და ისევ საიდუმლოდ ინახავდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებში ვერცხლის პატარა სანაწილეში ჩასვენებული სიწმინდე დასვენებული ყოფილა ტრაპეზის ქვეშ.[57]

1857 წელს დავით გარეჯის ლავრა გადამთიელმა მოთარეშე ლეკებმა ააოხრეს, დაანგრიეს და გაძარცვეს წმ. დავითის ლუსკუმა და სხვა ნადავლთან ერთად მადლის ქვაც თან წაიღეს. ალაფის გაყოფის შემდეგ მადლის ქვა, რომლის მნიშვნელობა მათ არ ესმოდათ, ერთ-ერთი სახლის ჭერში შეინახეს. აღნიშნულ სიწმინდეს თვალყურს აღევნებდა ტყვედ წაყვანილი მღვდელ-მონაზონი მიტროფანე (ნაცვლიშვილი). ერთი წლის შემდეგ ტყვეობიდან განთავისუფლებულმა მიტროფანემ ლეკებისაგან შეუმჩნევლად თან წამოიღო მადლის ქვა და ისევ დავითის ლავრაში დაასვენა. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში დავით გარეჯის ლავრაში მოღვაწე სასულიერო პირებს მადლის ქვის სასწაულმოქმედების შესახებ საინტერესო მასალები აქვთ ჩაწერილი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გარეჯის სმონასტრო კომპლექსი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. 1923 წელს მადლის ქვა სხვა სიწმინდეებთან ერთად თბილისში ჩამოიტანეს და ხელოვნების მუზეუმში მიუჩინეს ბინა. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისას, მუზეუმის თანამშრომლებმა აღნიშნული სიწმინდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს გადასცეს. ამჟამად იგი თბილისში, წმ. ელიას მთაზე ახლადაგებულ სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველშია დასვენებული.

წმინდა დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეებიდან ჩვენამდე მოაღწია უდაბნოს ლავრის ტერიტორიაზე არსებულმა წყარომ, რომელიც „ცრემლი დავითის“ სახელითაა ცნობილი. წმინდანისადმი მიძღვნილ „ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ დავით გარეჯელი და ლუკიანე გარეჯის ხრიოკ უდაბნოში დაბინავების შემდეგ შეწუხებული იყვნენ უწყლობის გამო. გადმოცემის მიხედვით, დავით გარეჯელი გულმხურვალე ლოცვით შეევედრა უფალს და ცრემლით შესთხოვა წყაროს აღმოჩენა. უფალმა შეისმინა მისი ლოცვა და მათ გამოქვაბულში აღმოცენდა წყარო, რომელიც ცრემლებივით მოწანწკარებდა და ერთ ადგილას გროვდებოდა. დავითის ცრემლის წყარო დღესაც არსებობს.

გადმოცემის მიხედვით, „ცრემლი დავითის“ უსათუოდ დაშრებოდა, თუკი მას ურწმუნო შეეხებოდა. თვითმხილველთა გადმოცემებიდან ირკვევა, რომ ურწმუნოების ხელი წყალს ორჯერ შეხებია და წყალი ორჯერვე დამშრალა.

ორივე შემთხვევაში ლავრის ბერ-მონაზვნებს წმინდა დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვა მიუსვენებიათ წყაროზე და პარაკლისის გადახდის შემდეგ, წმ. მამა დავით გარეჯელის ლოცვითა და მარხვით გამოთხოვილი წყალი კვლავ აღმოცენდა. ორივე სასწაული, რომელიც თვითმხილველთა მონათხრობს ეყრდნობა, მომხდარა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში.[58]

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, წმინდა დავით გარეჯელისა და მისი თანამოღვაწის წმ. დოდოს სახელთანაა დაკავშირებული თბილისში არსებული ერთი სიწმინდე. გადმოცემით, წმ. დავით გარეჯელი თავის მოწაფეებთან, ლუკიანესთან და დოდოსთან ერთად ერთხანს თბილისში, მეტეხის კლდის ფერდზე არსებულ მღვიმეში დროებით დამკვიდრებულა. ეს პატარა ქვაბი XIX საუკუნეში დოდოს ეკლესიის სახელითაა ცნობილი. XX საუკუნის დასაწყისში მას სახელი შეეცვალა და იგი ჯოჯოს ეკლესიად იწოდებოდა. სახელის ცვლილება, როგორც აღნიშნავენ, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ცნობა ამ ქვაბ-ეკლესიის წარმოშობის შესახებ დაიკარგა და სახელი „დოდო“ მიტოვებული გამოქვაბულის ირგვლივ მომრავლებული ქვეწარმავალის ჯოჯოს სახელთან გაიგივდა. თუმცა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნულ სიწმინდეს კავშირი არ უნდა ჰქონდეს წმ. დავითის თანამოღვაწის, დოდოს სახელთან. თავიანთი არგუმენტის გასამყარებლად, მათ წმინდანისადმი მიძღვნილი „ცხოვრებიდან“ ის ცნობა მოჰყავთ, რომ მთაწმინდის მიტოვების შემდეგ გარეჯში გამგზავრებამდე წმინდა მამა მცირე ხანს მტკვრის მოპირდაპირე მხარეს, გამოქვაბულში ცხოვრობდა.[59] განსხვავებული შეხედულების მიუხედავად, აშკარაა, რომ აღნიშნული სიწმინდე წმ. დავითის სახელს უკავშირდება. ამ სიწმინდესთან დაკავშირებით აღდგომის შემდგომ სამშაბათს თბილისელი ქალები იხდიდნენ ჯოჯოობის დღესასწაულს. აღნიშნული დღესასწაული დავით გარეჯელს უნდა უკავშირდებოდეს.[60] მიხეილ საბინინის გადმოცემით, მეტეხის კლდის ფერდობზე წმ. დავითმა და მისმა თანამოღვაწეებმა მცირე ხანი დაჰყვეს, შემდგომ კი გარეჯის უდაბნოს მიაშურეს.[61]

დღემდე მოაღწია აგრეთვე დავითის ლავრის ფერისცვალების ეკლესიაში დაკრძალულმა წმ. დავით გარეჯელის საფლავმა. აღნიშნული ტაძარი, „ცხოვრების“ მიხედვით ბუბაქარს გამოუკვეთია. IX საუკუნეში დავით გარეჯის ლავრაში დროებით მოღვაწე წმინდა ილარიონ ქართველმა წმინდანის სიცოცხლეში გამოკვეთილი ეკლესია განავრცო და აკურთხა მისი საფლავი: „შინა სამხრით კერძო ეკლესიასა მას შექმნა ლუსკუმა შუენიერი, რომელსა შინა დაკრძალულ არიან ნაწილნი წმიდისა მამისა ჩუენისა დავითისნი და ვიდრე აქამომდე, რომელთა სარწმუნოებით მიიღონ მტუერი სამარხო სა მისგან წმიდისა, ჰკურნებას ყოველსა სენსა და უძლურებასა კაცთასა.[62]

საუკუნეების განმავლობაში დავით გარეჯელის საფლავმა არაერთი დარბევა განიცადა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, XX საუკუნის 20-იან წლებში, ანტირელიგიური მოძრაობის დროს მისი განსასვენებელი ერთიანად გადაუთხრიათ. უპატრონოდ მიტოვებული ეკლესია-მონასტრები გაპარტახ-

და. XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველომ ითავა მისი მოვლა-პატრონობა. მოწესრიგდა გარეჯის ლავრა და წმინდა დავითის საფლავიც, მაგრამ იქვე ახლოს მდებარე სამხედრო პოლიგონის გამო სამონასტრო კომპლექსი ზიანდებოდა. ერთ-ერთი გადმოცემით, სამხედროებს განძის ძიების მიზნით წმინდანის საფლავიც გაუთხრიათ. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. გაუქმდა სამხედრო პოლიგონი, ხოლო დავითის ლავრაში აღდგა წირვა-ლოცვა, მოწესრიგდა წმ. დავითის განსასვენებელიც. 2000 წლის ზაფხულში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით არქეოლოგებმა გათხარეს დავით გარეჯელის საფლავი. დაახლოებით 1,40 მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა საფლავის ლოდი, რომლის ქვეშ განისვენებდა წმ. დავითის დაზიანებული თავის ქალა. მონასტრის მღვდელმსახურებმა სიწმინდეები დიდი სიფრთხილით გაწმინდეს. წმინდანის საფლავი სამი დღის განმავლობაში იყო გახსნილი. მესამე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გახსნილ საფლავთან ლოცვა აღავლინა და წმინდა საფლავში დიდი პატივით ჩააბრძანა იერუსალიმიდან ჩამოტანილი სკვნილი, ჯვარი და სადაფის ფილა, რომელზეც მაცხოვრის შობა იყო გამოსახული. თეთრი აბრეშუმის გადასაფარებლით დაიფლა სიწმინდე და საფლავი ქვის ფილებით დაიხურა. გარეგნულადაც მოეწყო საფლავი. საფლავს ზემოდან დაედო რელიეფური გამოსახულებით შემკული ლოდი. საგანგებოდ გამოიყო და მოპირკეთდა დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვის ჩასაბრძანებელი ადგილი. ამჟამად, დავით გარეჯის ტერიტორია ორ ნაწილადაა გაყოფილი. დავით გარეჯელის ლავრა საქართველოს შემადგენლობაშია, ხოლო უდაბნო კი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კუთვნილებაა.

ცამეტ ასურელ მამათა მოღვაწეობიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია წმინდა ანტონ მარტყოფელის მისიონერული საქმიანობა. მისადმი მიძღვნილი სვინაქსარული ცხოვრებიდან ირკვევა, რომ იგი იოანე ზედაზნელის დასის წევრი ყოფილა და ცამეტ ასურელ მამასთან ერთად ჩამოსულა საქართველოში. თუმცა, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იგი შედარებით გვიან, იოანე ზედაზნელის დასის წევრების გარეშე მოსულა საქართველოში. მისი „ცხოვრებიდან“ ირკვევა, რომ იოანეს კურთხევით სამისიონერო მოღვაწეობისათვის იგი ჯერ კახეთში, მდინარე ალაზნის გაღმა მხარეს წასულა, შემდგომ კი აკრიანის მთაზე დაემკვიდრა, სადაც მან ააშენა პირველი მონასტერი. წმინდა ანტონი საზოგადოებისგან განმარტოებით, მარტოდ ცხოვრობდა. აქედან წარმოსდგა მისი ზეწოდება – მარტოდმყოფელი ანუ მარტყოფელი. გვიან კი აკრიანის მთასა და მის მიდამოებს, სადაც წმინდა ანტონი მოღვაწეობდა, მარტყოფი ეწოდა. დღეს ამ ტერიტორიის ახლოს არსებობს ამავე სახელწოდების სოფელი. წმ. ანტონმა თავისი ღვთისმოსაობით, სნეულებათა კურნებითა და სასწაულმოქმედებით შორს გაითქვა სახელი, რამაც მრავლად მიიზიდა მორწმუნე ერი, წმინდა მამას კი განმარტოებული ცხოვრება სურდა. ამის გამო, მან დატოვა თავისი მონასტერი და იქვე ახლოს, კლდის წვერზე ააშენა თორმეტი ადლის სიმაღლის სვეტი (კოშკი), სადაც მან სვიმონ მესვეტის სახელზე პატარა ეკლესია მოაწყო. აღნიშნულ სვეტზე წმინდა მამამ სიც-

ოცხლის ბოლომდე დაჰყო. სხვა ასურელ მამებისაგან განსხვავებით, წმ. ანტონ მარტყოფელმა ასკეტური მოღვაწეობის ახლებურ ფორმას – მესვეტეობას ჩაუყარა საფუძველი, ამიტომ ქართული წყაროები მას „ანტონ მესვეტეს“ უწოდებენ.[63] სვეტზე დამკვიდრებიდან თვრამეტი წლის შემდეგ ანტონი მიიცვალა. მისმა მოწაფეებმა იგი ჩამოასვენეს და დაკრძალეს მის მიერ დაარსებულ ღვთაების მონასტერში. ფეოდალურ ხანაში აღნიშნული მონასტერი გაპარტახდა, ანტონ მარტყოფელის საფლავი კი უყურადღებოდ იყო მიტოვებული. 1823 წელს მიწისძვრის შედეგად მონასტრის გუმბათი ჩამოიქცა. საქართველოს ეგზარქოსმა, ისიდორე ნიკოლსკიმ (1844-1858) დანგრეული მონასტერი განაახლა, ადგილობრივი პირების დახმარებით მოიძია წმ. ანტონ მარტყოფელის საფლავი და გაამშვენა.[64] ცამეტი ასურელი მამის ღღესასწაულის გარდა (7 (20) მაისი) საქართველოს ეკლესიამ ანტონ მარტყოფელის ხსენების დღედ აგრეთვე დააწესა 19 იანვარი. სადღესასწაულოში, საგალობლის მეოთხე მუხლში წმ. ანტონი იოანე წინამორბედსა და ილია წინასწარმეტყველთან არის შედარებული.[65]

გადმოცემის მიხედვით, ანტონ მარტყოფელის სახელს უკავშირდება საქართველოში ქრისტეს სახელთან დაკავშირებული უდიდესი სიწმინდის, მაცხოვარის პირი ღვთისას ხატის – კერამიონის (კეცზე გამოსახულის) ჩამოსვენება. ამის შესახებ ცნობები მოიპოვება XIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ცნობილ ჰიმნოგრაფ არსენ ბულმაისიმისძესთან, რომელმაც მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს საგალობელი მიუძღვნა.[66] იგივე ცნობები მეორდება გვიანი ხანით, XVII-XVIII საუკუნით დათარიღებულ ანტონ მარტყოფელის ცხოვრებაში. საეკლესიო ტრადიციით მაცხოვრის პირი ღვთისას ხატი – კერამიონი, რომელიც წმ. ანტონ მარტყოფელმა საქართველოში მოასვენა, ასლია ამავე სახელწოდების მანდილიონის (ტილოზე გამოსახული ხელთუქმნელი ხატის) იმ ხატისა, რომელიც უფალმა ედესიის დასნეულებულ მეფე ავგაროზს გაუგზავნა სამეფო კარის მხატვრის ანანიას ხელით.[67] გადმოცემის მიხედვით, ძვირფასი სიწმინდით ედესისაკენ მიმავალ ანანიას გზაზე შემოადამდა. ღამის გასათევად იგი გაჩერდა ქალაქ იერაპოლის განაპირას მცხოვრებ ერთ-ერთ მექოთნესთან. მანდილიონის (ტილოზე შესრულებული) ხატი კი, იმის შიშით, რომ არ დაზიანებულიყო, ორ გამომწვარ კეცს შუა ჩაასვენა. შუაღამისას ქალაქის მოსახლეობამ და მათ შორის ქალაქის გამგებელმა იხილეს არაბუნებრივი ცეცხლოვანი სვეტი, რომელიც ხატის თავზე იყო აღმართული. კეცებიდან ხატის ამოღების შემდეგ გაირკვა, რომ ზემო კეცზე ხელთუქმნელი ხატის სახე გადასულიყო. ქალაქის თავმა შეიტყო პირიღვთისას ხატის ისტორია. მან მანდილიონი მეფე ავგაროზთან მხატვარ ანანიას გაატანა, ხოლო კეცზე გადასული ხატი თავის სასახლეში დაასვენა. გადმოცემის მიხედვით, კერამიონის (კეცზე გადასული) ხატი შემდგომ ნესტორიანების კუთვნილება გამხდარა და მათ ეს სიწმინდე თავიანთ მწვალებლურ ტაძარში დაუსვენებიათ. გამომგზავრებამდე ედესში მყოფ ანტონ მარტყოფელს ნესტორიანულ ტაძარში არსებული აღნიშნული სიწმინდე გამოუსყიდია და იგი საქართველოში წამოუსვენებია. წმ. ანტონმა აკრიანში დამკვიდრების შემდეგ იქ ხატის სახელზე ააშენა ღვთაების სახელობის

ტაძარი. XIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის, ტბელი აბუსერიძის ინიციატივით ძველი სტილით 16 აგვისტოს აღესრულება ხელთუქმნელი ხატის დღესასწაული, რომელიც ამასთანავე თვით მონასტრის დღედ ითვლება, რადგან მარტყოფის ღვთაების მონასტერი უფლის ხელთუქმნელი ხატის სახელზეა დაარსებული.

ქართული წერილობითი წყაროები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან უფლის ხელთუქმნელი ხატის მიერ მოვლენილი სასწაულების შესახებ. XIV საუკუნის პირველი ნახევრის ჟამთააღმწერლის თხზულებაში – „ასწლოვან მატიანეში“ აღნიშნულია, რომ მძიმე სენით შეპყრობილი საქართველოს მეფე ულუ დავითი (1247-1270) „ვითარ მიეახლა მარტყოფსა, მივიდა ხატსა მას ხელთუქმარსა, რომელ თ თ გამოისახა ტილოსა ხატისა მიერ კეცსა ზედ. მოყვანება ბრძანა მარტყოფისა ხატისა, და ევედრა ცრემლითა და შეუვრდა, განკურნა, ვითარ უფლისა მიერ განკურნებული ცხედარსა ზედა მდებარე“.[68] იგივე წყარო გადმოგვცემს, რომ მეორედ დასნეულებული დავით ულუ ისევ ეახლა ხატს, მაგრამ რაკი იგი ეკლესიურ ცხოვრებას არ მისდევდა, მისი თხოვნა უფალმა არ შეისმინა. მემატიანეს ცნობით: „მეფესა შეეჴვა სალმობა მუცლისა და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად, მაშინ ევედრა ხატსა მას მარტყოფისასა, და მივიდა მის წინაშე, ვითარ ჩვეულ იყო, რამეთუ პირველ ამისსა მუცლისა სნეულებითა შეპყრობად იყო, და, ვითარ მკუდარი, იდვა უსიტყვოდ, და აღეჴგინა ხატსა ხორცშესხმულსა ღმრთისასა. ხოლო აწ არღარა ჰპოვა ლხინება ამისთ ს,რამეთუ მოაკლო ღმრთისმსახურება და იწყო რღუევა საყდართა და შლად, ამისთ ს აღიღო ღმერთმან ხელი წყალობისა, და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო, გიორგი, სიკეთე აღმატებული, და აქა მიიცვალა დავითცა მწუხარებითა ძისათა“.[69]

ქართული წყაროების გადმოცემით, XIV საუკუნის ბოლოს, გიორგი VII-ის (1493 – 1407) მეფობის დროს,თემურ ლენგის შემოსევისას მარტყოფის ეპისკოპოსმა გიორგიმ უსაფრთხოების მიზნით წმ. ანტონ მარტყოფელის ხატი საიდუმლოდ გადამალა. იგი ბრძოლაში ისე დაიღუპა, რომ მონასტრის ძმობისათვის ხატის ადგილსამყოფელი არ უცნობებია. მარტყოფის ღვთაების მონასტრის მღვდელმსახურნი სხვადასხვა დროს ცდილობდნენ ეპოვათ ეს სიწმინდე, მაგრამ მათი ყოველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა.[70] ერთ-ერთი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, მარტყოფის უფლის ხელთუქმნელი ხატის გამოჩინება მოხდება იმ სასულიერო პირის მიერ, რომელიც ღვთისაგან გამორჩეული იქნება. უკანასკნელ პერიოდში, მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ანტონ მარტყოფელის მიერ კერამიონად მიჩნეული ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოსვენება რეალურ სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს.[71] მათ საწინააღმდეგოდ, მკვლევართა მეორე ნაწილი სავსებით რეალურად მიიჩნევს საქართველოში აღნიშნული სიწმინდის მოსვენების ფაქტს.[72]

მართალია, ანტონ მარტყოფელის მიერ საქართველოში მოსვენებული კერამიონის ხატი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია ამ ხატის პირმა. მარტყოფის მონასტერში, როგორც ჩანს, თავის დროზე შეიქმნა კერამიონის ხატის ასლი, რომელიც „პირი მარტყოფის მაცხოვრის ხატის“ სახელითაა ცნობილი. ეს ხატი თურმე კარგა ხნის მანძილზე ქალაქ თბილის-

ში არსებულ ღვთაების მონასტრის მეტოქის ნიშში ინახებოდა. ეს მეტოქი, როგორც გადმოგვცემენ, იმყოფებოდა ოქროსმჭედლების ქუჩის მიდამოებში. 1817 წელს მარტყოფის მაცხოვრის ხატის პირი სიონის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს, სადაც დღესაც ინახება. ხატი ძველია, დახატულია ტილოზე, პერანგი კი 1818 წელს გაუკეთებიათ და რუსული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. ხატზე მოთავსებულია გაურკვეველი ბერძნული წარწერა, როგორც გადმოგვცემენ, განმეორება ძველი ხატის წარწერისა. „მაცხოვრის თავის გარშემო გაკეთებულ სხივების უკანა მხარეზე აღნიშნულია, რომ სხივებზე დასმული ქვები შეუწირავს 1867 წელს ვინმე იოანე ვარდანის ძეს“.[73]

ასურელ მამათა შორის ერთადერთი მარტვილი იყო აბიბოს ნეკრესელი, რომელიც კათოლიკოსმა ევლავიოსმა კახეთში, ნეკრესის ეპისკოპოსად გაამწესა. მისი მოღვაწეობის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ფეხმოკიდებული ყოფილა ცეცხლთაყვანისმცემლობა. მან თავის ეპარქიაში ცეცხლის საგზებელს წყალი დაასხა და ჩააქრო,რის გამოც იგი სპარსელებმა შეიპყრეს და შიდა ქართლში მყოფ თავიანთ მმართველ მარზპანს მიჰგვარეს დასასჯელად. გადმოცემის მიხედვით, აბიბოს ნეკრესელს გარკვეული სულიერი ურთიერთობა ჰქონია სიმონ მესვეტე უმცროსთან. სიმონ მესვეტეს თურმე სულიწმინდის მადლით ეუწყა წმინდა აბიბოსის მოსალოდნელი წამების შესახებ და ეპისტოლე და კვერთხი გამოუგზავნა საჩუქრად. წყაროებით დასტურდება,რომ აბიბოს ნეკრესელი აწამეს ლეხურის ხეობაში,სამთავროს ტაძრის სიახლოვეს.[74] გადმოცემით, იგი სამთავისის ტაძარში დაკრძალეს, შემდეგ კი მისი წმინდა ნაწილები მცხეთაში გადმოუსვენებიათ და სამთავროს მონასტრის ტრაპეზის ქვეშ დაუფლავთ. აბიბოს ნეკრესელი ხატზე ჯვრითა და სურითაა გამოსახული, საიდანაც გადმოღვრილი წყლით ცეცხლს აქრობს.

მცხეთის მახლობლად, სარკინეთში დამკვიდრებული შიო მღვიმელიც იოანე ზედაზნელის მოწაფე იყო. ციხედიდის მთავარ ევაგრესთან ერთად მან გაუკაცრიელებულ ადგილზე დაიწყო იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის აგება, რომელმაც ჩვენამდე გადაკეთებული სახით მოაღწია. ამ მონასტერში მან ძმობის წევრები დააფუძნა, თვითონ კი მონასტრის ახლოს შეარჩია მღვიმე „ფრიადსა სიღრმესა მქონებელი და ყოვლად ბნელი“.[75] ამ მღვიმეში ცხოვრობდა იგი სიცოცხლის ბოლომდე. გარდაცვალების შემდეგ იგი იქვე დაკრძალეს. მის საფლავზე კი შემდგომ ეკლესია ააგეს.[76] ასურელ მამათაგან შიო მღვიმელი ერთადერთი წმინდა მამა იყო, რომელიც მწერლობას ეწეოდა. მას შიომღვიმის მონასტრის ძმობის თხოვნით დაუწერია „ასსამოცი თავი სწავლა ყოვლად შუენიერი და ტკბილი, რომელითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის“. სამწუხაროდ, მისი აღნიშნული ნაშრომი დღემდე მიკვლეული არაა, მაგრამ შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ უხვადაა მოტანილი დარიგება-შეგონებანი, რომელიც „ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კრებულის რაობის შესახებ“.[77] ხელნაწერებს შემოუნახავს „ღვთისმშობლისა და საქმისადმი მიძღვნილი ორი „ოხითა “, რომლებშიც ავტორი მხურვალედ ითხოვს მონასტრისა და ძმობის წევრთა მტერთაგან დაცვას“.[78] შიო მღვიმელი დიდი პატივით მოიხსენიება ქართულ მწერლობაში. მეფე დემეტრე I-მა (1125-

1156) მას უძღვნა იამბიკო. შიო მღვიმელის ხსენების დღეს საქართველოს ეკლესია აღნიშნავს ყველიერის ხუთშაბათს და 9 (20) მაისს. შიო მღვიმელის ძვლის წმინდა ნაწილი სხვა სიწმინდეებთან ერთად მოთავსებული იყო XVIII საუკუნეში ანჩისხატის ტაძრის ერთ-ერთი ხატის სანაწილეში.

ჩვენამდე მოაღწია ასევე ისე წილკნელის საფლავმაც, რომელიც ევლავიოს კათალიკოსის მიერ წილკნის ეპისკოპოსად იყო დადგენილი. იგი განისვენებს მცხეთის მახლობლად, წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში. აღნიშნული ტაძარი ისე წილკნელის მისვლამდე იყო აშენებული. მკვლევარები მას IV საუკუნით ათარიღებენ. ისე წილკნელის ხსენების დღეა 2 დეკემბერი.

კახეთში დღემდე არსებული ალავერდის ტაძრის აგება და ამ კუთხეში სამისიონერო მოღვაწეობის დაწყება დაკავშირებულია იოანე ზედაზნელის მოწაფის, იოსებ ალავერდელის სახელთან. იოსებ ალავერდელმა მონასტრის დაარსებით ამ კუთხეში „ურწმუნოება სრულიად წარდევნა და ღუთისმსახურება ესრეთ პატიოსნად აღაღორძინა და ადგილი ესე გაავრცელა კაცთა მიერ და აღავსო კრებულითა სულიერითა“.[79] გადმოცემით, იოსები განუშორებლად ატარებდა ჯვარს, გამოთლილს იმ ჯვრის ხისაგან, რომელზეც ქრისტე აწამეს. სიყრმიდან სასო და შესავედრებელი ყოფილა ეს ჯვარი იოსებ ალავერდელისათვის. იგი ხატზე ამ წმინდა ჯვრით არის გამოსახული. მისი ხსენების დღედ 15 სექტემბერია მიჩნეული. იოსებ ალავერდელი დაკრძალულია ალავერდის საკათედრო ტაძარში.

იოსებ ალავერდელის სამისიონერო ტერიტორიაზე XI საუკუნეში ჩამოყალიბდა ალავერდის ეპარქია, რომლის ეპისკოპოსი „ამბა ალავერდელის“ სახელითაა ცნობილი. ეს ტრადიცია დღესაც დაცულია. „ტერმინი „ამბა“ სირიულია და მონასტრის წინამძღვრის ქართული სახელწოდების, „მამის“ შესატყვისს წარმოადგენს. ამ ზეწოდებას ალავერდელი ეპისკოპოსები ატარებდნენ იმის გამო, რომ ისინი მონასტრის წინამძღვრებიც იყვნენ. ტრადიცია უნდა მომდინარეობდეს ალავერდის პირველი წინამძღვრის, ერთ-ერთი სირიელი მამის, იოსებისაგან, რომელიც ამბა ალავერდელად იწოდებოდა“.[80]

იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე ეზდერიოსი, იგივე ისიდორე ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა დღევანდელი კასპის რაიონის, მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე მდებარე სამთავისის მიდამოებში, სადაც მას გადმოცემით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელზე ტაძარიც აუგია. ზოგიერთი წყარო ეჭვის ქვეშ აყენებს ამ გადმოცემას. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, VI საუკუნის დასაწყისში სამთავისში უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა.[81] საეკლესიო ტრადიციით, ისიდორე სამთავნელი დაკრძალეს თავისსავე დაარსებულ მონასტერში.

ასურელმა მამამ თათემ, იმავე თადეოზ სტეფანწმინდელმა იოანე ზედაზნელთან განშორების შემდეგ მოღვაწეობა თავდაპირველად იქვე, მცხეთაში დაიწყო. მას ზედაზნის მთის ძირას აუშენებია მონასტერი. შემდეგ იგი შიდა ქართლში გადავიდა და ურბნისში დააფუძნა წმინდა პირველმოწამე სტეფანეს სახელობის ტაძარი; ბოლოს კი დაეყუდა კასპთან არსებულ წლევის მთის მღვიმეში, სადაც აღესრულა კიდეც. გადმოცემით, იგი იქვე დაკრძალეს.

კახეთში, კერძოდ კი ქიზიყში ასურელმა მამა სტეფანემ დააარსა ხირსის მონასტერი. ამ მონასტრის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს „წმინდა პირველმოწამე სტეფანეს ნეკი, რომელიც, სავარაუდოდ, მოუტანია თვით ღირს სტეფანეს.[82] აღნიშნული სიწმინდე ჩასვენებული იყო ვერცხლის სანაწილეში, რომელსაც ქართული წარწერა ამშვენებდა. XX საუკუნის დასაწყისში წმინდა პირველმოწამე სტეფანეს ნეკი თავის სანაწილესთან ერთად უსაფრთხოების მიზნით ინახებოდა ბოდბის მონასტერში. ამჟამად იგი დაკარგულად ითვლება.

კახეთის მთიანეთში მოღვაწეობდა აგრეთვე იოანე ზედაზნელის მოწაფე ზენონი, რომელმაც იყალთოში ააშენა მონასტერი, დაკრძალულია იქვე.

პიროს ბრეთელმა კი მდინარე ჯვარისწყლის მარცხენა სანაპირზე არსებულ ბრეთში საფუძველი ჩაუყარა მონასტერს. გადმოცემით, მისი წმინდა ნაწილები ამავე ეკლესიაშია დაკრძალული.

ბოლო, მეთორმეტე ასურელი მამა, მიქაელ ულუმბოელი ქრისტიანობას ქადაგებდა შიდა ქართლსა და ოსეთში. დღევანდელი ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე, მაღალ მთაში მდებარეობს ულუმბოს მონასტერი, რომელიც მიქაელის მიერაა დაარსებული. გადმოცემით, აქვე განისვენებს მისი წმინდა ნაწილი.

დაბოლოს, დასკვნის სახით დავძენთ, რომ ასურელი მამების მოღვაწეობით მნიშვნელოვნად განმტკიცდა ქრისტიანობა საქართველოში. მათ მიერ დაარსებული წმინდა სავანეები ქართული კულტურის კერებად იქცნენ, სადაც საუკუნეების განმავლობაში დიდი საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ასურელი მამები არა მარტო ზედწოდებით მოიხსენიებიან, არამედ გამოყოფენ იმ ღირსებასაც, რომლითაც მათ თავი გამოიჩინეს თავიანთი მოღვაწეობის დროს. ასურელ „მამათა თვალი“ იოანე – ღირსი იოანე ზედაზნელის სახელითაა ცნობილი. მისი მოწაფეები კი შემდეგი ეპითეტებით იხსენიება: „სიწმინდისა და მარხულობის მარგალიტივით მბრწყინავი – დავით გარეჯელი; მესვეტეობის მანათობელი მზე – ანტონ მარტყოფელი; სანატრელი უმანკოების ყვავილი – ამბა იოსებ ალავერდელი; ძალმოსილებით დაგვირგვინებული – სტეფანე ხირსელი; სვეტი ტკბილი მორჩილებისა – ზენონ იყალთოელი; წმინდა მოწამეობით შემკული – აბიბოს ნეკრესელი; ქრისტიანული ცრემლისა და გოდების ხატი, საქართველოს სამეფოს სიმტკიცე, დიდი სასწაულმოქმედი – შიო მღვიმელი; გოდების ღვთაებრივი ხატი – პიროს ბრეთელი; წმინდა სიმართლისა და რწმენის ხატი – თადეოზ სტეფანწმინდელი; სათნოების გოდოლი – ისიდორე სამთავნელი; ყოვლადწმინდა სიყვარულისა და უბიწოების ორღანო – ისე წილკნელი“.[83]

თავი VII

წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში

წმ.გიორგი საყოველთაოდ პოპულარობით სარგებლობს მთელ ქრისტიანულ სამყაროში. მას დიდ პატივს მიაგებენ არა მარტო მართლმადიდებლები, არამედ — კათოლიკეები, პროტესტანტები და სხვა. უფრო მეტიც, იგი პატივდებულია სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთანაც. მაჰმადიანთა საღმრთო ლიტერატურაში დიდი ადგილი უკავია სხვადასხვა გადმოცემებს წმ. გიორგის შესახებ. ჟან შარდენის ცნობით, XVII საუკუნეში მუსულმანთა შორის იმდენად დიდი პატივისცემა ყოფილა წმინდა გიორგის მიმართ, რომ „ოსმალთა ფლოტში კანონად იყო მიჩნეული, ზღვაში გასვლა უეჭველად წმინდა გიორგის დღეს, ძველი სტილით 23 აპრილს უნდა მომხდარიყო“.1 წმინდა გიორგის პოპულარობიდან გამომდინარე, მასზე სხვადასხვა ენაზე შექმნილია უამრავი შესხმა, ჰიმნოგრაფიული კრებულები, ლექსები თუ პოემები, ლეგენდები, თქმულებები და სხვა. მართალია, წმინდა გიორგი მთელ ქრისტიანულ სამყაროში პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ მისადმი თაყვანისცემას „არცერთ ქვეყანაში არ მიუღია ისეთი მასშტაბები, როგორც საქართველოში“. უფრო მეტიც, გარკვეულ პერიოდში „ბიზანტიასა და რუსეთში ოფიციალური ღვთისმეტყველება არ ცნობდა წმ. გიორგის კულტს“.2 თუმცა, შემდგომ როგორც წმინდანს აღიარებდა და მის დღესასწაულებსაც იხდიდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია წმინდა გიორგის. აღნიშნულის შესახებ საგანგებოდ მიუთითებენ როგორც ქართული ისე უცხოელი მკვლევარები. წმინდა გიორგის შესახებ ქართულ სინამდვილეში უამრავი ლეგენდა თუ თქმულებაა შექმნილი. სწორედ ამიტომ, უცხოელები საქართველოს მიიჩნევენ წმინდა გიორგიზე ლეგენდების შექმნის კლასიკურ ქვეყანად.[3] მისი პოპულარობის ერთ-ერთი დასტურია თუნდაც ის, რომ გადმოცემით, წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესიები საქართველოში იმდენია, რამდენი დღეც არის წელიწადში. ამ ცნობით, საქართველოში თითქოს 365 წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა, სინამდვილეში მათი რაოდენობა დასახელებულ რიცხვს რამდენჯერმე აღემატება. აღნიშნული გადმოცემები უნდა მომდინარეობდეს იქიდან, რომ ხალხური ტრადიციით ქართულ სინამდვილეში წმინდა გიორგის დღესასწაულად წელიწადის ყოველი დღეა მიჩნეული. აღნიშნულის შესახებ საგანგებოდ მიუთითებს XIX საუკუნის საეკლესიო მოღვაწე ტარასი ალექსი-მესხიშვილი: „ხოლო ჩვენ ქართველნი ვდღესასწაულობთ სხუათა და სხუათა დღეთა, შემდგომად აღვსებისა ყოველთა კვირიაკეთა“.[4] უეჭველია, აღნიშნულით უნდა იყოს განპირობებული, რომ საქართველოში სხვა წმინდანებთან შედარებით უამრავი წმინდა გიორგის სახელობის ტაძარია. XVIII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ

აღნიშნავს: „არ არის ბორცვი, ანუ მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“.[5] იმავე ისტორიკოსის მიხედვით, ქართველთა უცხოური სახელწოდება „გეორგია“ წმინდა გიორგიდან უნდა მომდინარეობდეს. მისივე სიტყვებით: „კუალად გიორგიაცა მხნედ მომჭირნეობის მუშაკობის ქართველთა ეწოდა (რამეთუ მუშაკად ითარგმნის). კუალად ვინაითგან იცნეს სამება – ერთარსება, ჭეშმარიტი ღმერთი და ესეცა ამის მიერ ეწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანასა, და რუსნი გრუზინია და მოჰმადიანი გურჯსა მათითა ორთოღრაფიისა გამო, არამედ იგივე გიორგივე არს“.[6] ვახუშტის გარდა, აღნიშნულის შესახებ უცხოელი ავტორებიც მიუთითებენ. XIII საუკუნის მოღვაწე, ქალაქ აკრას ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი თავის წიგნში „იერუსალიმის ისტორია“ ქართველების შესახებ აღნიშნავს, რომ „მათ ეწოდებათ გეორგიანები, რადგანაც განსაკუთრებულ პატივსა და თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, ვისაც თავის მფარველად და მედროშედ თვლიან ურჯულოებთან ომებში და ადიდებენ ყველა სხვა წმინდანებზე მეტად.“[7] მსგავსი ცნობებია დაცული XIV საუკუნის გერმანელი მოგზაურის ჰანს შლიტბერგერისა და XVI საუკუნეში საქართველოში ჩამოსული პოლონელი მოგზაურის კიტოვიჩის თხზულებებში. ეს უკანასკნელი წერს, რომ „ქართველები (გეორგიანები) გიორგი მთავარმოწამეს (რომლის სახელიც თავიანთთვის ეროვნულ სახელადაც კი აქვთ შეთვისებული), სხვა წმინდანებზე მეტად სცემენ პატივს და თავის მფარველადაც მიაჩნიათ“.[8] როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე უცხოელ ავტორებთან დაფიქსირებულია, რომ გეორგიანები ქართველებს წმინდა გიორგისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემის გამო ეწოდათ. შესაძლებელია, ვახუშტისათვის ცნობილი იყო მათი მოსაზრებანი. მართალია, ვახუშტისა და უცხოელ ავტორთა აღნიშნული შეხედულებანი მკვლევართა მიერ გაზიარებული არაა, მაგრამ თავად აღნიშნული ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართველი ხალხი უძველესი დროიდან დიდი პატივით ეპყრობოდა წმინდა გიორგის კულტს. გვიან ხანაში საქართველოში მოღვაწე უცხოელი ავტორები, მართალია, უარყოფდნენ ქართველთა სახელის დაკავშირებას წმინდა გიორგის სახელთან, მაგრამ ყველანი საგანგებოდ აღნიშნავდნენ ქართველი ხალხის განსაკუთრებულ თაყვანისცემას წმინდა გიორგისადმი. ამ მხრივ აღსანიშნავია, XVII ს-ის 70-იან წლებში საქართველოში მყოფი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც აღნიშნავს, რომ „წმინდა გიორგი ამ ქრისტიანებისათვის (ქართველებისათვის, ე.ბ.) უმთავრესი წმინდანია“.[9]

საქართველოს ეკლესია დიდ პატივს მიაგებს წმინდა გიორგის. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ უძველესი დროიდან საქართველოს ყველა კუთხეში მის სახელზე აგებულია უამრავი ეკლესია. საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული დამოკიდებულება წმინდა გიორგისადმი იმაშიც ვლინდება, რომ მის ხსენებას იგი წელიწადში ორჯერ აღნიშნავს. 23 აპრილს (ახალი სტილი 6 მაისი) აღინიშნება წმინდა გიორგის თავის კვეთის დღე, ხოლო 10 (23) ნოემბერს მისი ბორბალზე წამების დღე. წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ ამ უკანასკნელ დღესასწაულს მხოლოდ საქართველოს ეკლესია აღნიშნავს, სხვა ქვეყნების ეკლესიებში ის არ აღინიშნება. საეკლესიო გადმოცემით, წმ. გიორგის ბორბალზე წამების დღის დღესასწაულად დადგენა წმინდა ნინოს მიეწერება. აღნიშნული დღესასწაული თავისი შინაარსით ქართული რომ არის, ამის დასტურია თუნდაც ისიც, რომ ქართველმა ხალხმა ნოემბრის თვეს თავისი მფარველი წმინდანის პატივსაცემად „გიორგობისთვე“ უწოდა. ეკლესიის ასეთი დამოკიდებულება წმ. გიორგისადმი იმის მანიშნებელია, რომ იგი საქართველოსა და ქართველი ხალხის განსაკუთრებულ მფარველადაა მიჩნეული.

საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირებმა წმინდა გიორგის ღვაწლის წარმოჩენას უამრავი თარგმნილი თუ ორიგინალური ხასიათის თხზულება მიუძღვნეს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ეკლესიის წმინდანთა შორის ყველაზე მეტი ლიტერატურული ძეგლი წმინდა გიორგიზეა დაწერილი. თავდაპირველად ქართველ მოღვაწეებს უძველესი დროიდან ორიგინალური ნაშრომების შექმნამდე ბერძნულიდან უთარგმნიათ წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ნაშრომები. ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვა დროს თარგმნილმა მისადმი მიძღვნილმა ოთხი სხვადასხვა სახის თხზულებამ, რომელიც აგრეთვე სხვადასხვა დროს გადაწერილი მრავალი ხელნაწერის სახითაა ცნობილი. პირველი თხზულების ქართული თარგმანი, რომლის ბერძნული ტექსტის ავტორად მიჩნეულია წმ. გიორგის თანამედროვე და მისი საქმეების თვითმხილველი ბასიქარტოსი, ათონის ქართული მონასტრის X საუკუნის ხელნაწერშია მოთავსებული და მკვლევართა მიერ ამავე საუკუნით თარიღდება. წმ. გიორგისადმი მიძღვნილი მეორე თხზულების ავტორად ვინმე პასიკრატოსია დასახელებული. დადასტურებულია, რომ დასახელებული ავტორი იგივე ბასიქარტოსია, მაგრამ აღნიშნული თხზულებები მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან, მიუხედავად იმისა, რომ „ორივე ქართული თარგმანი რედაქციულად ერთი წარმომავლობისაა და წარმოადგენენ... ბიზანტიური კანონიკური რედაქციის ორ განსხვავებულ თარგმანს“.[10] აღნიშნულმა ქართულმა თარგმანებმა ჩვენამდე რამდენიმე ხელნაწერის სახით მოაღწია, რომელთაგან ყველაზე ძველი XI საუკუნით თარიღდება. წმინდა გიორგის წამების მესამე მეტაფრასული თხზულების ავტორია X საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე სიმონ ლოღოთეტი, რომლის თხზულების მთარგმნელად მიჩნეულია ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი ექვთიმე მთაწმინდელი († 1028). ქართულად თარგმნილი მეოთხე თხზულება, მართალია გვიანი ხანის ხელნაწერებმა შემოგვინახა, მაგრამ დასტურდება, რომ მისი თარგმანი შესრულებული უნდა იყოს XII – XIII საუკუნეებში.[11] გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თხზულებებისა, ქართველ სასულიერო პირებს ნათარგმნი აქვთ წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი შესხმები, რომელთა ძირითადი ნაწილი X – XIII საუკუნეებით თარიღდება. თითქმის ამავე საუკუნისაა ბერძნული ენიდან თარგმნილი წმ. გიორგის სასწაულები. სვინაქსარული ტექსტებიდან აღსანიშნავია გიორგი მთაწმინდელის მიერ XI საუკუნეში თარგმნილი წმ. გიორგის მოსახსენებლები. ცალკე აღნიშვნის ღირსია წმინდა მოწამისადმი მიძღვნილი ბერძნულიდან გადმოქართულებული საგალობლები.[12] ბიზანტიურ მწერლობაში სულ არსებობს წმ. გიორგისადმი

მიძღვნილი ცამეტი საგალობელი, აქედან შვიდი ქართველებს უთარგმნიათ.[13]

ნათარგმნი ლიტერატურის გარდა, საქართველოს ეკლესიის წიაღში ქართველმა სასულიერო პირებმა შექმნეს წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ეყრდნობა აღნიშნული წმინდანის შესახებ ბიზანტიური მწერლობიდან გადმოთარგმნილ თხზულებებს.[14] ორიგინალური ნაშრომებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია XIII საუკუნის ქართველი მოღვაწის აბუსერიძე ტბელის „წმინდა გიორგის სასწაულები"; XVII საუკუნის სასულიერო პირის, დეკანოზ სვიმონის ლექსად დაწერილი „ქება სადგერის წმინდა გიორგისა"; XVIII საუკუნის საეკლესიო მწერალს გაბრიელ მცირეს ეკუთვნის „შესხმა მოწამისი გიორგისი". აგრეთვე აღნიშვნის ღირსია XVIII საუკუნის დასასრულის მოღვაწის ეპისკოპოს ამბროსი ნეკრესელის „ქადაგება და სწავლანი წმიდისა გიორგისი". XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე დათუნა ქვარიანს წმინდა გიორგის საქებრად დაუწერია პოემა. წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ორიგინალურ ქართულ ჰიმნოგრაფიიდან აღსანიშნავია X საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ცნობილი ჰიმნოგრაფის იოანე მინჩხის მიერ შედგენილი ცხრა საგალობელი.[15]

წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი თხზულებების გარდა მის შესახებ მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობებია დაცული ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ცხოვრებაში. წმინდა ნინოს ცხოვრების შატბერდულ-ჭელიშური რედაქცია ქართველთა განმანათლებლის ცხოვრებას წმ. გიორგის ხსენებით იწყებს, მაგრამ წმინდა ნინოს მამასთან – ზაბილონთან მისი ურთიერთობის შესახებ არავითარი მითითება არ არსებობს. მხოლოდ გვიანი ხანით დათარიღებულ ერთ-ერთ რედაქციაშია აღნიშნული, რომ ქართველთა განმანათლებლის მამა ზაბილონი იყო „ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა".[16] წყაროებით დასტურდება, რომ კაპადოკია, საიდანაც წმინდა ნინო და წმინდა გიორგი იყვნენ, ქართველი ტომებით იყო დასახლებული. ფაქტიდან გამომდინარე, ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილს მიაჩნია, რომ წმინდა ნინო ქართველთა ტომიდან უნდა ყოფილიყო გამოსული და რაკიღა წმინდა ნინოს ცხოვრების ერთ-ერთ მეტაფრასულ რედაქციაში აღნიშნულია, რომ წმ. გიორგი წმ. ნინოს ბიძაშვილი იყო, მისი ქართველობაც დასაშვებად მიაჩნიათ. ჩვენი აზრით, მართალია, აღნიშნულ მოსაზრებას აკლია მეცნიერული დასაბუთება, მაგრამ მოყვანილი ფაქტის აღნიშვნა ფრიად საინტერესოა. შესაძლოა, წმინდა გიორგი ეთნიკური წარმომავლობით ქართველი არც იყო, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველთა რწმენა-წარმოდგენაში მას ისეთი ადგილი უკავია, რომ ალბათ ქართველ ხალხს სურდა, იგი თავისი ეროვნების წარმომადგენლად მიეჩნია. როგორც ჩანს, ქართულ სინამდვილეში „წმინდა გიორგის სახე იქცა ეროვნული ცნობიერების უმთავრეს ხატად", რომელიც საუკუნეების განმავლობაში კვებავდა საქართველოს სულიერ ცხოვრებას.[17] გარდა ამისა, „წმინდა გიორგის კულტი ღვთისმშობლის კულტთან ერთად, უდიდეს როლს ასრულებდა ქართველი ტომების ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში".[18]

წმინდა გიორგიმ თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორში. ქართულმა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ უამრავი რიტუალური ტექსტი შექმნა წმინდა გიორგისთან დაკავშირებით, რის გამოც, იგი ქართული მითოლოგიის მთავარ გმირად იქცა.[19] ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს მთიანეთის (სვანეთი, მთიულეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ხევი) ზეპირსიტყვიერება. სწორედ ხალხური ტრადიციიდან მომდინარეობს გადმოცემა, რომ წელიწადში წმინდა გიორგის 365 დღესასწაულია, ე.ი. ამ გადმოცემით, წლის ყოველი დღე წმინდა გიორგის დღესასწაულად არის მიჩნეული. საეკლესიო დღესასწაულების გარდა იმართება ხალხურ კალენდარზე დაფუძნებული წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაულები. ასეთ დღესასწაულად ითვლება ხევსურეთში ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი და სამების ჯვარი; მთიულეთში – ლომისის ჯვარი; ფშავში – ლაშარის ჯვარი. საქართველოს მთიანეთის გარდა წმინდა გიორგის სახალხო დღესასწაულები იმართება კახეთში –ალავერდობა, ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში – თეთრი გიორგობა, ქართლში – გერისთაობა, უსანეთობა, გორიჯვარობა, ატოცობა; სამეგრელოში – ილორობა და სხვ. ზემოჩამოთვლილი წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულების უმრავლესობას აშკარად წარმართობის გავლენაც ეტყობა. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს მთიანეთში (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი) გამართულ სახალხო დღესასწაულებზე. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ დღესასწაულებში მონაწილეობას არ ღებულობენ საეკლესიო პირები. ამ დღეობებზე ყველა რიტუალს ასრულებს არა სასულიერო პირი, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისაგან არჩეული საერო პირი – დეკანოზი. ეს დღესასწაულები უძველესი დროიდან არსებობდა და დღემდე ოდნავ სახეცვლილი ფორმითაა შემორჩენილი. ეკლესია აღნიშნული ხალხური დღესასწაულების მიმართ არასოდეს მტრულად არ იყო განწყობილი. საქართველოში ჩამოსული უცხოელი მოგზაურები საინტერესოდ მიანიშნებენ ამ დღესასწაულების შესახებ. მათ მიაჩნიათ, რომ ქართველ მთიელთა ყოფაში დარჩენილი დღესასწაულები, გარკვეულწილად, მათ წარმართობაზე მიუთითებს.

მთისგან განსხვავებით, ბარში არსებულ წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულებში უფრო ნაკლებად შეინიშნება წარმართობის ნაშთები. მასში სასულიერო პირებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. ამის ნათელსაყოფად განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოში არსებული ილორის წმინდა გიორგის დღესასწაული. იგი მთელი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია, რომელსაც ქრისტიანებთან ერთად პატივს არაქრისტიანებიც სცემდნენ.

ილორის წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XVII საუკუნის უცხოურ წერილობით წყაროებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია ამ პერიოდისათვის საქართველოში მყოფი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენისა და კათოლიკე მისიონერების არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელისა და სხვათა ცნობები. ისინი მოგვითხრობენ იმ სასწაულების შესახებ, რომელიც ილორის წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება. თუმცა, ამ გადმოცემებს ჟან შარდენი საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა. არქანჯელო ლამბერტი კი

ილორის წმინდა გიორგის სასწაულების შესახებ საკუთარ თვალსაზრისს არ აფიქსირებს. მათი გადმოცემით, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მონათხრობს ემყარება, ყოველწლიურად, ძველი სტილით 10 ნოემბერს, გიორგობის წინა ღამეს მრევლისგან დაფარულად წმინდა გიორგი ხარს იჭერს და ეკლესიაში ამწყვდევსო. ღამისთევით მოსულ ხალხს ლოცვასთან ერთად სურს, სასწაული იხილოს. საღამოთი კი ამ კუთხის მთავარი კათოლიკოსის, ეპისკოპოსისა და საზოგადოების თანხლებით შედის ეკლესიაში, ათვალიერებენ, რომ ხარი არსად იყოს დამალული, შემდეგ კი კარებს საგანგებოდ კეტავენ, მთავრის ბეჭდით დასმულს. მეორე დღეს კი მოდიან, აღებენ კარებს და ეკლესიიდან გამოჰყავთ წმინდა გიორგის მოყვანილი ხარი. შემდეგ გაიყვანდნენ მას ეკლესიის გალავნის გარეთ, დაკლავდნენ და გაინაწილებდნენ. შეწირული ხარის ხორცს წვრილად ანაწილებდნენ და ხალხს ურიგებდნენ, რომელიც უებარ სამკურნალო საშუალებად მიაჩნდათ. რქები და შეწირული ხარის ხორცის ძირითადი ნაწილი სამეგრელოს მთავრის კუთვნილება იყო. დაკლული ხარის რქებს მთავარი შეამკობდა ძვირფასი ქვებითა და ოქროთი. დღესასწაულის დროს აღნიშნული რქებით მთავარი წმინდა გიორგის საადიდებლად ღვინოს შესვამდა.[20]

ხალხური ტრადიციით ილორის წმინდა გიორგი განასახიერებდა სიმართლისა და ზნეობის დამცველის სახეს. ეს კარგად ჩანს ამ წმინდანის სახელთან დაკავშირებულ სასწაულში. „იგი ეხება ილორის წმ. გიორგის ტაძარში დაცულ სასწაულმოქმედ, მართლმსაჯულების ოქროს სასწორს, რომელიც ეკლესიის თაღიდან ტაძრის შუა ნაწილში ეშვებოდა. ხალხის წარმოდგენით, ილორის წმინდა გიორგი მომრიგებელი იყო ყოველგვარი დავისა და გაუგებრობისა ადამიანთა შორის. ეს მორიგება ხდებოდა ამ სასწორის მეშვეობით. მოდავე მხარეები დგებოდნენ სასწორის ქვეშ, ლოცულობდნენ ილორის ხატთან, რომელიც, თავის მხრივ, მართალის მხარეზე იხრებოდა და ქვეყანაზე სუფევდა მშვიდობა და სამართალი“.[21] გადმოცემით, ერთხელ უცდიათ წმინდა გიორგის მოტყუება, რის გამოც იგი განაწყენდა და აღნიშნული ოქროს სასწორი ზეცაში წაიღო.[22] ილორის წმინდა გიორგის ხალხური გადმოცემა სხვა მრავალ სასწაულსაც მიაწერს – უშვილოთა განკურნებას, ხატზე გადაცემას და სხვ.[23]

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წლის სხვადასხვა დროს ტარდება წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი დღესასწაულები, რომელთა დიდი ნაწილი სათავეს ხალხური ტრადიციებიდან იღებს. ზოგიერთ ხალხურ გადმოცემაში იგი ღმერთადაა მიჩნეული. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი თუშ-ფშავ-ხევსურულ დღესასწაულებზე დალოცვის დროს ღმერთად იხსენიება, რაც, ბუნებრივია, ქრისტიანული პრინციპებიდან აშკარა გადახვევას წარმოადგენს. „მართალია, წმინდა გიორგის საეკლესიო მართლმადიდებლური კულტისაგან სერიოზულად სხვაობს ხალხურ თქმულებებში წარმოჩინებული გიორგის სახე, მაგრამ ეს ფაქტიც საქართველოში გიორგის კულტის უსაზღვროდ თაყვანისცემის შედეგია“.[24]

ქართულ სინამდვილეში წმინდა გიორგის პოპულარობას მეცნიერთა დიდი ნაწილი იმით ხსნის, რომ IV საუკუნის დასაწყისში დიოკლეტიანეს მიერ

წამებული წმინდა გიორგი, მათი აზრით, ჩაენაცვლა წარმართობის დროინდელ ღვთაებას. ასეთი დასკვნა მათ გამოაქვთ იმის საფუძველზე, რომ საქართველოს მთიანეთში არსებულ წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს ნათლად ატყვია წარმართობის კვალი. თუ რომელი ღვთაება იყო იგი, ამის შესახებ მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წმინდა გიორგი განასახიერებს წარმართობის დროინდელ ქართველთა უზენაეს და მთავარ ღვთაებას. ამის საფუძველზე იგი წმინდა გიორგის კულტს ეროვნულ მოვლენად მიიჩნევს.[25] ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება მეცნიერთა დიდმა ნაწილმა არ გაიზიარა. ზოგიერთი მკვლევარი წმინდა გიორგის მითრას კულტთან აკავშირებდა.[26] ზოგიერთი მათგანის მოსაზრებით „წმინდა გიორგის მზის ღვთაების ნიშან-თვისებანიც მოეპოვება“.[27] თუმცა, არის ისეთი შეხედულებაც, რომლის მიხედვით, „წმინდა გიორგის სახე რთული ბუნებისაა. მასში სხვადასხვა ღვთაების ფუნქციებია გაერთიანებული“, რომელშიც ჭარბობს ქრისტიანული ნიშნებიც.[28]

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა საინტერესო შეხედულება, რომელიც, ჩვენი აზრით, რეალობასთან ახლოს უნდა იყოს. ამ თვალთახედვით, წმინდა გიორგი „წმინდა მხედრადაა“ მიჩნეული. ეს სახელი ბუნებრივად შეესატყვისება მას, თუნდაც იმის გამო, რომ იგი რომის ერთ-ერთი მმართველის, დიოკლეტიანეს მხედართმთავარი იყო და ქრისტიანობის დასაცავად კიდეც ეწამა. თავისი მოწამებრივი ცხოვრებით წმინდა გიორგი სიმბოლოა სამხედრო-რაინდული მსახურებისა.[29] ჩვენი აზრით, აღნიშნულით უნდა იყოს განპირობებული ის ფაქტი, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანული ქვეყნების სახმელეთო ჯარის ყველა სახეობის იარაღის მფარველად ითვლებოდა წმინდა დიდმოწამე გიორგი. სწორედ ამის გამო, რუსეთის იმპერიაში მისი სახელობის ორდენს ანიჭებდნენ სამხედრო დამსახურებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ქართული რელიგიური ცნობიერებისათვის წმინდა გიორგი გაცილებით უფრო ყოვლისმომცველი და ღრმა სიმბოლოა, ვიდრე ისტორიულად არსებული მხედართმთავარი დიოკლეტიანესი, რომელიც წამებულ იქნა მის ეპოქაში. ქართველთათვის წმინდა გიორგი სიმბოლოა მებრძოლი ქრისტიანობისა, სიმბოლო თავად ღვთისა, ძალისმიერ, მებრძოლ ასპექტში, ბოროტების დამთრგუნველ ასპექტში. წმ. გიორგიმ ქართველი ხალხის წარმოსახვაში გააერთიანა ყოველივე საუკეთესო, რაც მოიტანა ქრისტიანობამ“.[30] მუდმივ ბრძოლებში ჩართულ „ქართველ ხალხს ამხნევებდა შარავანდედით მოსილი სახე თეთრ ტაიჭზე ამხედრებული შუბოსანი წმინდა რაინდისა“, რომელიც „გამოხატავდა არა მარტო მის იდეალს, არამედ მის ყოველდღიურ ცხოვრებასაც“.[31] სავსებით სწორადაა მიჩნეული, რომ ქართველი ხალხის მებრძოლი სულისათვის „წმინდა მხედრად“ მიჩნეული წმინდა გიორგი დიდად პოპულარული უნდა ყოფილიყო. თავის მხრივ, „ქართველი რაინდები წმინდა გიორგის მიმართ დიდი თაყვანისცემის მაგალითებს ავლენდნენ“, რადგან იცოდნენ, რომ წმინდა გიორგი უთანასწორო ბრძოლაში ხილულად თუ უხილავად ქართველ ხალხს შეეწეოდა და მფარველობდა მას.[32] ქართულმა წყაროებმა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი

შემოგვინახა. 1121 წლის 12 აგვისტოს, დიდგორის ომის დროს, როგორც მემატიანე გადმოგვცემს: „წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თ სითა მოსრვიდა ზედა მოწევნულთა ურჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თ თ იგი ურჯულონი და უმეცარნი მოდმართ აღიარებდეს და მოგ თხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამის გიორგისსა“.[33] წმინდა გიორგის მფარველობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი (1724-1737). მისი მონათხრობით, სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში „ქართველი ქრისტიანი ჯარის წინ ჰაერში იხილვებოდა თეთრ ბედაურზე ამხედრებული ლამაზი ჭაბუკი,რომელიც მუსრს ავლებდა მტერს“.[34] ბახტრიონის აჯანყების დროს, 1660 წელს, გადმოცემით, ხილულად ქართველთა ჯარს წინ მიუძღოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული მხედარი: „ცხენსა ზედა სპეტაკსა ელვის სახედ მიმომსრბოლი წინამძღოლად მათდა“.[35]

წერილობითი წყაროების გარდა, წმინდა გიორგის მფარველობის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა ზეპირსიტყვიერმა გადმოცემებმა. ერთ-ერთი გადმოცემით, 1795 წელს, აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას ჩასაფრებულ სპარსთა ჯარს თავს დაესხა შავნაბდიანი მხედარი, რომელიც მტერს მუსრს ავლებდა. მეომრებმა მასში წმინდა გიორგი შეიცნეს, რომელიც ბრძოლის დამთავრების შემდეგ უკვალოდ გაქრა. იმ მთას კი, სადაც ქართველებს მხსნელად წმინდა გიორგი მოევლინა „შავნაბადა“ უწოდეს. შემდგომ ამ ადგილზე მისი სახელობის ტაძარი აიგო, რომელიც დღესაც არსებობს. წმინდა გიორგის შესახებ საინტერესო ცნობებია შემორჩენილი შაჰ-აბას I-ის მიერ XVII საუკუნის 10-იან წლებში ირანის შიდა პროვინციაში – ფერეიდანში გადასახლებულ ქართველთა გადმოცემაში. ამ გადმოცემის მიხედვით, როდესაც ავღანელები ირანს დაესხნენ თავს და ფერეიდანს მიადგნენ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას მფარველად მოევლინა უზარმაზარი ქვის ლოდიდან გადმოსული, თეთრ ცხენზე ამხედრებული ხმალშემართული კაცი, რომლის წყალობით ფერეიდნელი ქართველები დამარცხებას გადაურჩნენ. გადმოცემით,ომის დამთავრების შემდეგ მხედარი ისევ ლოდში გაუჩინარებულა, ლოდი კი ორად გაპობილა. ფერეიდანში, თამზიანის („მთა მზიანი“) გორად წოდებულ ადგილას დღესაც დევს ორად გახლეჩილი ლოდი,რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „თამზის ცხენს“ ეძახის. იმ ადგილას კი, სადაც წმინდა გიორგი იხილეს, ფერეიდნელმა ქართველებმა ნიში აღმართეს. აქ ყოველი წლის ივნისის თვეში სალოცავად ადიან და სანთლებს ანთებენ. ამ გადმოცემით დასტურდება ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში საქართველოდან ფერეიდანში გადასახლებულმა გამუსულმანებულმა ქართველმა მოსახლეობამ შემო- ინახა წმინდა გიორგისადმი თაყვანისცემა.[36]

წმინდა გიორგის სამხედრო-რაინდული სულისკვეთება კარგად ჩანს იმაშიც, რომ საომრად წასულ ქართულ მხედრობას წმინდა გიორგის ხატით წინ მიუძღოდა სასულიერო პირი, ხოლო ქართულ სამხედრო და სახელმწიფო დროშაზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული.

წმინდა გიორგის პატივისცემაზე უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ XVIII

საუკუნის ბოლოს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის (1798 – 1800) ვაჟის, იოანე ბატონიშვილის (1768 – 1830) მიერ შედგენილ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის გარდაქმნის პროექტში ღირსეულ პირთა დასაჯილდოებელ მეოთხე ორდენად მიჩნეულია „ვერცხლის ნახევარმნათი, წმინდა გიორგის სახე, მდაბალთა ხალხთათვის, მამაცობისა გამო, ყვითლისა ბაფთითა ანუ წითლისა ბაფთითა, მკერდზედ დაკერებული და ზურგზედ ეწეროს: „მამაცობისა და სიმხნისათვის“.[37]

ზემოთ მოტანილი მასალა, უეჭველია, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში წმინდა გიორგის პოპულარობა განპირობებული იყო იმით, რომ იგი განასახიერებდა მეომრულ სულს, რის გამოც, წმინდა გიორგი წმინდა მეომრული სულის სახით ჩამოყალიბდა.[38] ამის დასტურია თუნდაც ის, რომ იგი ხატებზე გამოსახულია თეთრ ცხენზე ამხედრებული, შუბით ხელში, რომლითაც ურჩხულს გმირავს. წმინდა გიორგის მეომრული სული კარგად ჩანს მისადმი მიძღვნილ ტროპარში: „ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო, წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“. აღნიშნული ტროპარის ანალიზის საფუძველზე კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე წერდა: წმინდა გიორგი „იყო სამშობლოს ერთგული დამცველი („მეფეთა წინამბრძოლი“), ომის დროს მტერთა დამმარცხებელი („ძლევა-შემოსილი“), ტყვეობაში ჩაცვივნულთა შემწე და მფარველი („ტყვეთა განმათავისუფლებელი“), გლახაკთა და ღარიბთა დამხმარე („გლახაკთა ხელის აღმპყრობელი“), ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის მებრძოლი და წამებული („ღვაწლით შემოსილი დიდი მოწამე“ ანუ „მთავარმოწამე“).[39]

გასარკვევია ერთი საკითხი – თუ როდის წარმოიშვა წმინდა გიორგისადმი თაყვანისცემა საქართველოში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თითქოს IX-X საუკუნიდან ხდება წმ. გიორგის კულტი პოპულარული. აღნიშნული მოსაზრების ავტორები ეყრდნობიან იმ თვალსაზრისს, რომ ამ დროიდან წმინდა გიორგის შესახებ ჩნდება ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებანი, ბუნებრივია, რომ აღნიშნული არგუმენტი ვერ გამოდგება ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის. მართალია, წმ. გიორგისადმი მიძღვნილი თხზულებანი X-XI საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ მათგან განსხვავებით, ჩვენს ხელთაა VII-VIII საუკუნით დათარიღებული წმინდა გიორგის ხატები. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისადმი თაყვანისცემა უფრო ადრინდელ საუკუნეებშია საძიებელი.[40] აღნიშნული მასალის გარდა, წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ წმინდა გიორგის სახელობის ტაძრები საქართველოში წმინდა ნინოს მოღვაწეობის დროს შენდება, რაც იმის უტყუარი დასტურია, რომ IV საუკუნიდანვე ჩანს იგი პოპულარული საქართველოში.[41]

უძველესი დროიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მრევლი დიდი პატივით ეპყრობოდა და თაყვანს სცემდა წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეებს. ქართული ლეგენდის მიხედვით, სიკვდილით დასჯის შემდეგ წმინდა გიორგის წამებული სხეული 365 ნაწ-

ილად დაუნაწევრებიათ და საქართველოს ტერიტორიაზე მიმოუბნევიათ. რა თქმა უნდა, აღნიშნულ გადმოცემას რეალურ სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები ინახებოდა. სამწუხაროდ, მათმა დიდმა ნაწილმა ჩვენამდე, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოაღწია. მათ შესახებ ცნობები დაცულია როგორც ქართულ ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. მართალია, წერილობით წყაროებში ძვირფასი ცნობებია დაცული წმინდა გიორგის წმინდა ნაწილების შესახებ, მაგრამ არ მიუთითებენ, თუ როგორ და რა გზით იქნა შემოსვენებული ისინი ჩვენში.

სიწმინდეების სიმრავლით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, აღნიშნულ ტაძარში ბოლო დრომდე დაცული იყო წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი სიწმინდეები, რომელთა შორის აღსანიშნავია ერთი მეტრის სიმაღლის მშვილდი (შქვილი), ბუკი და წმინდანისადმი შეწირული ბორძლები ანუ ორპირ-ბოლოიანი ისრები.[42] შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, რომ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული წმინდა გიორგის მშვილდი სასწაულმოქმედად ითვლებოდა და მას სამკურნლო დანიშნულება ჰქონდა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოყვანილ ავადმყოფებს ეკლესიის მნათე წმინდა გიორგის რკინის მშვილდში გააძვრენდა, შემდეგ კი სამჯერ ჩაბერავდნენ ბუკში. ამის შემდეგ ავ სულებს ავადმყოფის სხეული უნდა დაეტოვებინათ.[43] ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში აგრეთვე დაცული ყოფილა მოწამის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

საისტორიო წყაროებით დასტურდება, რომ სხვა სიწმინდეებთან ერთად, წმინდა გიორგის ნაწილები დაცული ყოფილა ქუთაისის მახლობლად მდებარე გელათის მონასტერში, წყაროები ასახელებს წმინდა გიორგის ცხენის ლაგამს, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება.[44] აღნიშნული სიწმიდის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის იოანე ბატონიშვილი (1768 – 1830), რომლის მიხედვით, წმ. დავით აღმაშენებლის მეფობის (1089 – 125) დროიდან წმ. გიორგის ცხენის ლაგამი საქართველოში ინახებოდა. იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურების გამო, აღმაშენებლად წოდებულ დავით მეფეს „...შესძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან, მიმავალმან მარტომ ტფილისითგან ქუთაისს საშენებლად, ესრეთ რომელ იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შინა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან, და მოვიდა მეფისთანა, და შეიპყრა მეფემან, და მაშინ მოვიდნენ მონანიცა მეფისანი, და ბრძანა მეფემან შეკაზმა ცხენისა ამისი, და აღუდვა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა, რომელიც აწ არს გელათსა შინა მიზეზითა ამით, რომელ სული არა იყოს-რა ცხენი იგი“, არამედ „ცხენი ესე მოეცა განგებით“ ღვთისაგან.[45]

ჩვენამდე მოაღწია ერთ დროს გელათის მონასტერის კუთვნილმა წმინდა გიორგის თავის ქალის თხემმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში იყო დაცული. ამჟამად კი აღნიშნული სიწმინდე ისევ ეკლესიას დაუბრუნდა. წმინდა გიორგის თავის ქალის თხემი

შემორკალულია თითბრის მოოქროვილი ფირფიტით. სიწმინდის აღწერიდან ჩანს, თხემის ბორცვზე დამაგრებული წმინდანის გამოსახულებიანი მედალიონი, რომელიც სანახევროდაა დაზიანებული, წმინდა ნაწილის მარცხენა მხარე ამოგლეჯილია, მასზე არსებული წარწერა კი ფრაგმენტულია. წმინდა გიორგის თხემის მარჯვენა მხარეს ძვალი ქვედა ნახევარზე ჩამოტეხილია.[46] გელათის მონასტერში დაცული წმინდა გიორგის აღნიშნული სიწმინდის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული XVII საუკუნის შუა ხანებში იმერეთის სამეფო კარზე მყოფი რუსი ელჩების, ნ. ტოლოჩანოვის და ალ. ივევლევის „აღწერილობებში“.[47] როგორც წერილობითი წყაროებით ირკვევა, XIX საუკუნის 20-იან წლებში, იმერეთის ეპარქიის მმართველის მიტროპოლიტ სოფრომის (წულუკიძე) დროს მომხდარა წმინდა გიორგის აღნიშნული წმინდა ნაწილის დაზიანება. დოკუმენტით ირკვა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში გელათის მონასტერში დაცული წმინდა გიორგის თავის ქალის დაუზიანებელი თხემი ჩასვენებული ყოფილა მისთვის საგანგებოდ დამზადებულ სანაწილეში, რომლის გახსნა მონასტრის წინამძღვრის ნებართვის გარეშე არავის შეეძლო. XIX ს-ის 20-იან წლებში გელათის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ჩხეიძე), რომლის ბეჭდით დალუქული იყო აღნიშნული სიწმინდე. წყაროებით დასტურდება, რომ მონასტრის წინამძღვრის, ნიკოლოზის ნებართვით თხემს ჩამოაჭრეს მცირე ნაწილი, რომელიც არქიმანდრიტმა თავის ავადმყოფ ძმას დავით ჩხეიძეს გაუგზავნა. მართალია, ნიკოლოზ არქიმანდრიტის სიკვდილის შემდეგ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება ჩატარდა, მაგრამ ჩამონატეხი წმინდა ნაწილი ვერ დააბრუნეს გელათის მონასტერში.[48]

გადმოცემის მიხედვით, გელათის მონასტრის კუთვნილება იყო იუდას მიერ ქრისტეს გაცემისათვის აღებულ ვერცხლზე ამოტვიფრული წმინდა გიორგის გამოსახულება, რომელიც XVII საუკუნის შუა ხანებში იმერეთში მყოფი რუსი ელჩების ალექსი ივევლევისა და ნიკიფორე ტოლოჩანოვის ცნობით, მონასტრის დიდ სიწმინდედ ითვლებოდა.[49]

წმინდა გიორგის ნაწილები ჩასვენებული ყოფილა საქართველოს მეფის გიორგი III-ის (1156-1184) სამეფო ბეჭედში, რომელსაც შესაბამისი წარწერაც ამშვენებდა: „წმინდაო გიორგი, მმოსავი შენი გიორგი ძალითა შენითა ვსძლევთ მტერთა ჩემთა“.[50]

გურიაში არსებულ შემოქმედის მონასტერში სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად დაცული იყო წმინდა გიორგის სისხლი, რაც დასტურდება სიწმინდეების დამცავ ვერცხლის ფირფიტაზე არსებული წარწერით.[51]

ოქროს ჯვარში ჩასვენებული წმინდა გიორგის მცირე ნაწილი, რომელიც ერთ დროს საქართველოს ეკლესიის კუთვნილება იყო, ამჟამად დაცულია რუსეთში, ზაგორსკის მუზეუმში.[52] ჩვენი აზრით, ამჟამად ზაგორსკის მუზეუმში დაცული ოქროს ჯვარი, რომელშიც სხვა სიწმინდეებთან ერთად წმინდა გიორგის ნაწილებიც ინახება, შეიძლება იყოს ის ოქროს ჯვარი, რომელიც მოსკოვში გაგზავნილმა კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (1606 – 1663) ელჩმა, მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ XVII საუკუნის 20-იან წლებში საჩუქრად გადასცა რუსეთის ხელისუფალთ. აღნიშნულ ჯვარში სხვა სიწმინდეებთან

და წმინდა გიორგის ნაწილებთან ერთად ჩასვენებული ყოფილა უფლის ჯვრის ნაწილიც.[53] ზაგორსკის მუზეუმში დაცული წმინდა ნაწილებიანი ოქროს ჯვარი თავისი აღწერილობით ძალიან წააგავს მთავარეპისკოპოს თეოდოსის მიერ XVII საუკუნეში საქართველოდან გატანილ ჯვარს. ზაგორსკში დაცული ოქროს ჯვარი იხსნება, რომელშიც სიწმინდეებია განთავსებული. იქვეა ხის ჯვარი, რომელიც, შესაძლებელია, ცხოველი ჯვრის ნაწილი იყოს. ჯვრის ერთ მხარეს გამოსახულია მირქმა, ხოლო მეორე მხარეს – ჯვარცმა.[54]

დღემდე მოღწეული წმინდა გიორგის ნაწილებიდან აღსანიშნავია ბოჭორმის წმინდა გიორგის სანაწილეში ჩასვენებული სიწმინდე – წმინდა მოწამის მკლავი. ბაგრატ ბატონიშვილის მონათხრობით ირკვევა, რომ აღნიშნული ხატი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თელავის სამეფო კარის წმინდა ქეთევანის ეკლესიაში იყო დასვენებული. ის თავისი სასწაულმოქმედებით სნეულთ კურნავდა. მისადმი მვედრებელმა ქართველთა ჯარმა 1787 წელს სძლია ხუნძახის მმართველს, ომარ ხანს. 1800 წელს ქართლ-კახეთის მეფის, გიორგი XII-ის (1798 – 1800) გადაწყვეტილებით რესტავრაციის მიზნით ხატს მოხსნეს ძლიერ დაზიანებული მოჭედილობა. პერანგის მოცილების შემდეგ გაირკვა, რომ წმ. გიორგის გამოსახულების მკერდი მისი მკლავის სანაწილე ყოფილა. რესტავრაციის დროს აღნიშნულ სიწმინდეს ზემოდან კვლავ გადაეფარეს ახალი ვერცხლის ფირფიტა, რომელიც მას დღემდე ფარავს.[55]

წყაროებით დასტურდება, რომ XIX საუკუნის ბოლოს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ერთ-ერთ ხატში ჩასვენებული იყო წმინდა გიორგის თავის ქალის მცირე ნაწილი.[56]

საქართველოში წმინდა გიორგის სიწმინდის შემოსვენებასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია დაცული XVII საუკუნის სომეხი სასულიერო მოღვაწის, დიაკონ ზაქარია სარკავაგის, იგივე ზაქარია ქანაქერცის თხზულებაში, რომელიც ზეპირ გადმოცემებს ემყარება და ძირითადად თქმულებების სახითაა წარმოდგენილი. ზაქარია ქანაქერცის „ქრონიკის“ ერთ-ერთ თავში დაწვრილებითაა საუბარი იმის შესახებ, რომ წმინდა გიორგის წამების შემდეგ მისი ნეშტი კაპადოკიიდან ნერსეს კათალიკოსის განკარგულებით სომხეთში გადაასვენეს და ჰოვჰანავანქის მონასტერში დაასვენეს, სადაც ბევრი სნეული და დავრდომილი იყრიდა თავს, რადგან წმინდა გიორგის წმინდა ნაწილებს სასწაულთმოქმედი ძალა ჰქონდა და ავადმყოფებს კურნავდნენო. ზაქარია დიაკვნის გადმოცემით, წმინდა ნაწილები სომხეთში იყო მანამ, სანამ არ დაეცა სომეხი ხალხის ძლიერება. მისი აზრით, ჰოვჰანავანქის ტაძარში არსებულ სიწმინდეებს მაშინ დაემუქრა საფრთხე, როცა ამ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიები, შირაკისა და კარბის ოლქები, ქართველთა მეფის გავლენის ქვეშ მოექცა. ამის შემდეგ იგი გადმოგვცემს თქმულებას აღნიშნული სიწმინდის საქართველოში გადმოსვენების შესახებ. ამ თქმულების მიხედვით, ზაქარიას ცნობით, საქართველოს მაშინდელი მეფის, დათოს (უნდა იყოს ალბათ დავითი – ე. ბ.) შვილი, ბეჟო დასნეულებული ყოფილა. წამლობამ რომ ვერაფერი უშველა, შეწუხებულ მეფეს მოახსენეს, მის სამეფოში შემავალ კარბის ოლქში არსებულ სომხურ ჰოვჰანავანქის მონასტერში დაცული არის წმინდა გიორგის ნაწილები, რომელიც სნეულთ კურნავსო. მეფეს

ურჩიეს, რომ ავადმყოფი შვილი აღნიშნულ მონასტერში გაეგზავნა, მაგრამ დედოფლის წინააღმდეგობის გამო მეფისწული სომხურ ტაძარში წმინდა ნაწილების სამთხვევად არ გაუშვეს. სამაგიეროდ, მეფემ თავისი ხელქვეითები მიავლინა ჰოვჰანავანქის მონასტერში წმინდა გიორგის ნაწილების საქართველოში დროებით წამოსაღებად, მაგრამ სომხური მონასტრის ეპისკოპოსმა და კარბის წარჩინებულებმა ქართველი მეფის თხოვნა ყურად არ იღეს. ქართველმა ელჩებმა მეფესთან მსტოვრები აფრინეს და ყოველივე აცნობეს. უარის მიღების შემდეგ საქართველოს მეფე იძულებული გამხდარა სომხეთში, მძევლებად გაეგზავნა ქართველ დიდებულთა ოჯახიდან შერჩეული 40 თუ 50 ყმაწვილი. პირობისამებრ, წმინდა გიორგის ნაწილები, გარდა წმინდა გიორგის კბილისა და სისხლისა, ქართველთა მეფეს ორი მონაზონის, ოთხი ხუცესისა და რვა საერო პირის თანხლებით გაუგზავნეს. წმინდა გიორგის ნაწილები კი ჩამოიტანეს, მაგრამ ქართველ მეფისწულს ცოცხალს ვეღარ მიუსწრეს. ქართველ მეფეს აღნიშნული წმინდა ნაწილები თავისთან დაუტოვებია და ახლადაშენებულ ეკლესიაში დაუსვენებია. ზაქარია ქანაქერცის მიხედვით, მეფის მიერ ახლადდაარსებული ეკლესია მდებარეობდა კაწარეთში, რომელსაც ახლა ჩხარი ეწოდებაო; მისი თქმით, ეს სიწმინდე ახლაც (ე.ი. XVII ს.) აქ ინახებაო.[57] პირველ რიგში, სომეხი სასულიერო პირის ცნობაში „გაკვირვებას იწვევს კაწარეთის დაკავშირება ჩხართან. კაწარეთი ცნობილია, ჯერ კიდევ წმინდა ნინოს დროიდან. „მოქცევა ქართლისა ს“ მიხედვით ის ივრის მარცხენა ნაპირზე, უჯარმის პირისპირ მდებარეობს. რაც შეეხება ჩხარს, ამ სახელწოდების გეოგრაფიული პუნქტი ძველთაგანვე დასავლეთ საქართველოშია ცნობილი“.[58] ჩხარში არსებულ წმინდა გიორგის ტაძარში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მართლაც იყო დაცული წმინდა გიორგის ნაწილები, მაგრამ მას არავითარი კავშირი არ აქვს ზაქარია ქანაქერცის გადმოცემასთან. მკვლევართა აზრით, კაწარეთში იგულისხმება დღევანდელ საგარეჯოს რაიონში მდებარე სოფელი ხაშმი, მაგრამ აქ არსებულ ტაძარში, გადმოცემით, არასოდეს ყოფილა დაცული წმინდა გიორგის ნაწილები. ამიტომ მკვლევართა მიერ ზაქარია ქანაქერცის მიერ მოხსენებული ტაძარი „სამართლიანად გაიგივებულია თბილისის მოღნისის ეკლესიასთან, სადაც წმინდა გიორგის ნაწილები ინახებოდა“.[59]

ზაქარია ქანაქერცის ზემომოტანილი გადმოცემა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, მართალია, თქმულებათა რიცხვს განეკუთვნება, მაგრამ მაინც დიდი ყურადღების ღირსია, რადგან მასში გარკვეული ფორმით ასახული უნდა იყოს სინამდვილე. გადმოცემაში მოთხრობილი ამბების ნამდვილობის დადგენას ისიც ართულებს, რომ ზაქარია ქანაქერცი არ მიუთითებს, თუ აღნიშნულ მოვლენას როდის ჰქონდა ადგილი. ამ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევრები ერთმანეთისაგან განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობენ. ფრანგ მკვლევარ მარი ბროსეს მიაჩნდა, რომ ზაქარია ქანაქერცის მონათხრობი ამბები XVI საუკუნის საქართველოს ვითარებას ასახავდა, ხოლო ტექსტში მოხსენებული, საქართველოს მეფე დათოს იგი დავით X-სთან (1505 – 1525) აიგივებდა. მარი ბროსეს ეს შეხედულება არ იქნა გაზიარებული იმ მოტივით, რომ XVI საუკუნეში საქართველო პოლიტიკურად იყო დაქუცმაცებული და

ქართლის სამეფოს შემადგენლობაში არ ითვლებოდა სომხეთის შირაკისა და კარბის ოლქი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თ. ნატროშვილმა უარყო მარი ბროსეს შეხედულება და მიიჩნია, რომ ზაქარია ქანაქერცთან მოხსენებული დავით მეფე უნდა იყოს ლაშა-გიორგის (1213 – 1223) ძე დავით ულუ (1247 – 1270). იმდროინდელ წერილობითი წყაროებზე დაყრდნობით თ. ნატროშვილს მოჰყავს ანალოგიები, რომელიც დავით ულუს შვილის ავადმყოფობასა და გარდაცვალების ამბებს უკავშირდება. მისი მოსაზრებით, დავით ულუს დროს უნდა მომხდარიყო წმინდა გიორგის ნაწილების მოსვენება საქართველოში. აქედან სიწმინდის ერთი ნაწილის მფლობელი უნდა გამხდარიყო თბილისის მოღნისის ტაძარი, მეორე ნაწილის – კაწარეთის ანუ ჩხარის მონასტერი. თ. ნატროშვილი ჩხარს ზაქარია ქანაქერცის მსგავსად კაწარეთად მიიჩნევს.[60] თ. ნატროშვილის ეს მოსაზრება გაზიარებული არ იქნა.[61]

უკანასკნელ პერიოდში ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა საინტერესო შეხედულება. ამ შეხედულებით წმინდა გიორგის ერთი ნაწილი ნამდვილად უნდა ყოფილიყო დასვენებული თბილისის მოღნისის ტაძარში.[62] ამასვე ადასტურებს XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. იგი ამ ტაძარს „მოგნაის“ სახელით იხსენიებს და მას სომხურ ეკლესიად მიიჩნევს. მისი გადმოცემით, ეკლესიის სახელი მოგნაი, ერევანთან ახლოს მდებარე სოფლის სახელია, სადაც თურმე, წმინდა გიორგის თავის ქალა ინახებოდა, მაგრამ შემდგომ მისი ერთი ნაწილი იქიდან თბილისში გადმოუტანიათ და ამიტომ თბილისის ეკლესიას სომხური სოფლის სახელი ეწოდაო.[63] წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ თბილისის მოღნისის ეკლესია აშენებულია XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში, მეფე დავით VIII-ის (1292 – 1311) მიერ. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ მეფე დავით VIII-ის დროინდელ პოლიტიკურ ვითარებას უნდა ასახავდეს ზაქარია ქანაქერცის მონათხრობი და სწორედ მას უნდა დაესვენებინა წმინდა გიორგის ნაწილები თავისსავე აგებულ თბილისის მოღნისის ეკლესიაში.[64]

წყაროებით დასტურდება, რომ წმინდა გიორგის სიწმინდის ერთი ნაწილი თბილისის მოღნისის ტაძრის მახლობლად მდებარე კლდისუბნის ეკლესიაში მოხვედრილა.[65]

წმინდა გიორგის ნაწილი ჩასვენებული ყოფილა სადგერ-ჩხარის ჯვარში, რომლის გამოც იგი სასწაულმოქმედად იყო მიჩნეული. ამგვარი სასწაულთმოქმედების გამო, XVI საუკუნის მოღვაწემ, სადგერის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზმა, სვიმეონ შოთასძემ მის სადიდებლად დაწერა „ქება სადგერის წმინდა გიორგისა“. ტაძრის საკურთხევლის წინ აღსამართავი სადგერ-ჩხარის საკვირველთმოქმედი ჯვარი ხელოვნებათმცოდნეებმა მასზე არსებული საკტიტორო წარწერის მიხედვით XV საუკუნით დაათარიღეს. ზოგიერთი მკვლევარი სადგერ-ჩხარის ჯვარს წმინდა ნინოს მიერ თხოთის მთაზე აღმართული ჯვრის ნაწილად მიიჩნევს.[66] ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ეს ჯვარი პირველად ქვემო ქართლის სოფელ ყორანთის ტაძარში იყო დასვენებული, XVI საუკუნის პირველ მესამედში იგი სამცხის სოფელ სადგერის ეკლესიაშია, ერთხანს კი ქართლში, ატოცის წმინდა გიორ-

გის სალოცავში ყოფილა დასვენებული, XVII საუკუნის შუა ხანებში ჯვარი ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიის კუთვნილება იყო, სადაც იგი 1924 წლამდე ინახებოდა. ამჟამად აღნიშნული ჯვარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. XVIII საუკუნის ბოლოს მოღვაწე იოანე ბატონიშვილი განსხვავებულ ცნობას გვაძლევს სადგერ-ჩხარის ჯვრის ისტორიის შესახებ. მისი გადმოცემით, „იტყვიან, სამეფო სამად რომ გაიყო, იმერეთის მეფეს მისცეს წმიდის გიორგის ნაწილით ის თხოთის ჯვარი, რომელიც ეხლა არგვეთში, ჩხარის ეკლესიაში ასვენია“. იოანე ბატონიშვილის ეს ცნობა რეალობასთან ახლოს უნდა იყოს. წყაროში მოხსენებული იმერეთის მეფე ბაგრატ III (1516-1565) უნდა იყოს. 1534 წელს სადგერ-ჩხარის ჯვარი ჩხარის ეკლესიაში რომ არის დასვენებული, დასტურდება მეფე ბაგრატ III-ის სიგელითაც.[67] 1650-1652 წლებში წმინდა გიორგის ნაწილებით შემკული ჯვარი ჩხარში ინახულეს რუსმა ელჩებმა ნ. ტოლოჩანოვმა და ალ. იევლევმა. ისინი აღნიშნავენ, რომ ჯვარს ზემოდან მოთავსებული აქვს ვერცხლის კიდობანი. ადგილობრივმა მღვდელმა რუს ელჩებს განუცხადა, რომ ამ კიდობანში ინახებოდა წმინდა გიორგის თავის ქალის ნაწილი და მოწამის ხელი. დიდი დაინტერესების მიუხედავად, სტუმრებმა ვერ იხილეს აღნიშნული სიწმინდეები, რადგან იგი მეფის ბეჭდით იყო დალუქული და მისი ნებართვის გარეშე გახსნის უფლება არავის ჰქონდა.[68] რუსი ელჩები იმასაც აღნიშნავენ, რომ ჯვარი სასწაულთმოქმედი იყო. მათ მოჰყავთ ცნობა იმის შესახებ, რომ მათ მისვლამდე ცოტა ხნის წინ მისგან კურნება მიუღია კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს (1606 – 1663).[69] მართალია, ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული იყო მოწამის წმინდა ნაწილები, მაგრამ რუსი ელჩების აღნიშნული ცნობა იმის შესახებ, რომ აქ წმინდა გიორგის თავის ქალა იყო, ეწინააღმდეგება ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ ჩხარში არსებულ სადგერის ჯვარში ჩასვენებული იყო „ბეჭი მთავარმოწამისა წმიდისა გიორგისი“.[70] ვახუშტის მიხედვით, წმინდა გიორგის თავი ჩასვენებული იყო გორში მდებარე გორიჯვრის ეკლესიის ჯვარში.[71] მოტანილი მასალა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ რუსი ელჩების ცნობა, თითქოს წმინდა გიორგის თავის ქალა ინახებოდა ჩხარის ტაძარში, სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს.

წყაროებით დასტურდება, რომ ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიის კუთვნილება ყოფილა მოწამის ორი ბეჭედი წარწერით და ხელის ძვალი.[72]

მართალია, ჩვენამდე მოაღწია სადგერ-ჩხარის სასწაულთმოქმედმა ჯვარმა, მაგრამ მასში ჩასვენებული სიწმინდეები XX საუკუნის 20-იან წლებში, ათეიზმის პერიოდში უნდა დაკარგულიყო. ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიის სიწმინდეებიდან დაკარგვას გადაურჩა მხოლოდ ერთი – მოწამის ხელის ნაწილი. გადმოცემით, XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, ეკლესია-მონასტრების დარბევის დროს ჩხარის ეკლესიის მოძღვარს, მამა ზოსიმეს (გვარი ვერ დავადგინეთ) უსაფრთხოების მიზნით აღნიშნული სიწმინდე თავისი სულიერი შვილისათვის – ერთ-ერთი ქალბატონისთვის გადაუცია შესანახად. ბოლშევიკებს მამა ზოსიმე დაუხვრეტიათ, ხოლო გადარჩენილი სიწმინდე, XX საუკუნის ბოლოს გადასცეს იმჟამად ბათუმის სემინარიის

რექტორ, დეკანოზ დავით შიოლაშვილს (ამჟამად მეუფე დიმიტრი). ეს სიწმინდე ამჟამად ჩასვენებულია ვერცხლის მცირე ზომის ჭურჭელში. მის თავზე გამოსახულია წმინდა გიორგი, ვერცხლის საკიდი ჭურჭელი კი კაკლის ხის ორნამენტებით დამშვენებულ ყუთში დევს.[73]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიკოს ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, წმინდა გიორგის თავის ქალის ნაწილი ჩასვენებული ყოფილა ქალაქ გორთან შემაღლებულ ბორცვზე მდგარ გორიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კუთვნილ ვერცხლით მოჭედილ და ოქროთი დაფერილ ჯვარში.[74] როგორც წყაროებით ირკვევა, გორიჯვრის მონასტერში მოწამის სხვა ნაწილიც ყოფილა. XVIII საუკუნის უკანასკნელ პერიოდში მოღვაწე ცნობილი განმანათლებლის, ალექსანდრე ამილახვრის გადმოცემით, გორიჯვრის ეკლესიაში „ინახება გიორგი დიდმოწამის ხერხემლის და ბეჭის ძვლის ნაწილები“.[75]

ჩვენამდე მოღწეულ წმ. გიორგის ნაწილებს შორის აღსანიშნავია ქალაქ ზუგდიდში, დადიანების სასახლეში დაცული რამდენიმე სიწმინდე, რომელთა შორის გამოირჩევა წმინდა გიორგის ბარძაყის ძვალი. მოწამის წმინდა ნაწილი აგრეთვე ჩასვენებულია XVII საუკუნის 40-იან წლებამდე ლევან დადიანის სასახლის კარზე დამზადებულ წმინდა გიორგის ხატში. ჩვენთვის უცნობია აღნიშნულ ხატში მოწამის რა ნაწილია ჩასვენებული, მხოლოდ ის ვიცით, რომ წმინდა გიორგის ამ ხატს სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი ომების დროს ტყავის სამგზავრო ჩანთით (დღემდე იგი შემორჩენილია) თან დაატარებდა.

ზუგდიდის მუზეუმში დადიანების სასახლის კოშკში აგრეთვე დაცულია 81 უჯრისაგან შემდგარი სანაწილე. აღნიშნული სანაწილე ძველია, მაგრამ XIX საუკუნეში რუს ოსტატებს იგი განუახლებიათ. სანაწილეში სხვადასხვა სიწმინდე ყოფილა მოთავსებული, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს ერთ-ერთ ყუთზე არსებული წარწერა: „სისხლი ქრისტესი, პროკოპის სისხლი, წმიდისა გიორგის, წმიდისა ვლასესი, სარტყელი, თმაი, თეოდორე ტირონი“.

ცნობილი საეკლესიო მკვლევარის, პ. იოსელიანის ცნობით, წმინდა გიორგის თეძოს ძვლის ნაწილი ქვათახევის მონასტრის კუთვნილება ყოფილა. შემდეგ ეს სიწმინდე სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად დიდ სანაწილეში მოუთავსებიათ და შიო მღვიმის მონასტერში დაუსვენებიათ.[76] აღნიშნული სიწმინდე დღეს დაკარგულად ითვლება.

პლატონ იოსელიანამდე კავთისხევში არსებული ქვათახევის ღვთისმშობლის მონასტრის სიწმინდეების შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს XVII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში მყოფი რუსი დიპლომატი არსენ სუხანოვი. იგი აღნიშნავს, რომ სხვა სიწმინდეებთან ერთად აღნიშნულ მონასტერში მას უნახავს წმინდა გიორგის შუბლის ძვალი.[77]

თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში ინახება წმინდა გიორგის მუხლის ნაწილი. ამავე ტაძარში დაცულია აგრეთვე წმინდა გიორგის სამი პატარა წმინდა ნაწილი, რომლებიც ადრე ჯრუჭის მონასტრის კუთვნილება ყოფილა. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, ჯრუჭის მონასტრის დახურვის შემდეგ, მღვდელ-მონაზონმა ბენიამენმა (ბერეკაშვი-

ლი) ბოლშევიკების დევნის გამო, აღნიშნული სიწმინდეები საიდუმლოდ შესანახად გადასცა თავის ძმისწულს, მღვდელ ნიკოლოზ ბერეკაშვილს, იმ პირობით, რომ თუკი მონასტერი კვლავ ამოქმედდებოდა, წმინდა ნაწილები ისევ უკან უნდა დაებრუნებინა. მღვდელი ნიკოლოზი სიფრთხილით ეკიდებოდა წმინდა გიორგის წმინდა ნაწილებს. ისინი ჩაასვენა ახალ ლუსკუმაში. 1938 წელს, დაპატიმრების დროს წმინდა ნაწილები თან ჰქონდა. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ აღნიშნული სიწმინდეები მასთან ინახებოდა. იგი ისე გარდაიცვალა, რომ მღვდელ-მონაზონ ბენიამენის დანაპირები ვერ შეასრულა. მან ანდერძი დატოვა, რომლის მიხედვით, ბიძის სურვილი მის შთამომავლებს უნდა შეესრულებინათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც მისმა მემკვიდრეებმა აღასრულეს ეს ანდერძი, რადგან 1991 წლის 29 აპრილს, ძლიერი მიწისძვრის შედეგად, მთლიანად დაინგრა ჯრუჭის მონასტერი.

წმინდა გიორგის ორი მცირე ნაწილი ჩასვენებულია XVIII საუკუნის დასაწყისით (1701 წ.) დათარიღებულ ამავე წმინდანის სახელობის ხატში, რომელიც ამჟამად თბილისის ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის საკურთხევლის მარჯვენა მხარეს ასვენია.[78]

ოთარაშენის (ოთარშენი) ეკლესიაში დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა იერუსალიმიდან ჩამოტანილი წმინდა გიორგის სისხლი. ბოლშევიკური რეჟიმის დროს იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გადაიტანეს, ხოლო 1991 წელს, სხვა სიწმინდეებთან ერთად, კულტურის სამინისტროს განკარგულებით, საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა.

თავი VIII

წმინდა მამების სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში

საქართველოს ეკლესია უდიდეს პატივს მიაგებს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მოღვაწე წმინდა მამებს. სულიწმიდის მადლით შექმნილ მათ ნაშრომებს უძველესი პერიოდიდან ქართულად თარგმნიდნენ სასულიერო პირები. მათ მიერ ღვთისმსახურებაში დანერგილ წესებს დღესაც იყენებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

წინა თავებში ჩვენ მიერ განხილული სიწმინდეების გარდა, უძველესი დროიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენდა წმინდა მამათა და სხვადასხვა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა მიერ წმინდანად შერაცხულ პირთა სიწმინდეები, რომელთა დიდ ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია. თუ როდის და რა გზით მოხვდა ისინი ჩვენთან, უცნობია. წერილობითი წყაროები მათ შესახებ არ იძლევიან ცნობებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველად გამოაცხადა IV საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსი და საკვირველთმოქმედი წმინდა ნიკოლოზი († 345), რომლის წმინდა ნეშტი ამჟამად დაცულია იტალიის ქალაქ ბარში არსებულ კათოლიკურ ტაძარში. გადმოცემით, მისი გარდაცვალების შემდეგ, წმინდა ნიკოლოზის სასწაულთმოქმედი ნეშტი დიდი ხნის განმავლობაში ქალაქ ლუკიის საკათედრო ტაძარში იყო დასვენებული. 1087 წლის 9 მაისს მისი წმინდა ნაწილები იტალიაში გადაიტანეს და ქალაქ ბარში, წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარში დაასვენეს. ერთი წლის შემდეგ აქვე ააშენეს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, სადაც დღესაც განისვენებს მისი სიწმინდეები. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დანგრევის პირას მისული წმინდა ნიკოლოზის განსასვენებელი ტაძრის შეკეთებისათვის ქალაქ ბარის სამღვდელოებამ დასახმარებლად მიმართა რუსეთის უწმინდეს სინოდს. ამ უკანასკნელმა კი საქართველოს საეგზარქოსოს დაავალა, ბარის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის შეკეთებისათვის გარკვეული შემოწირულობები შეეგროვებინა. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, ბარის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის განახლებისათვის ქართველ სამღვდელოებას გარკვეული თანხა გაუღია.[1]

ჩვენამდე მოაღწია წმინდა ნიკოლოზის სახელთან დაკავშირებულმა სიწმინდეებმა. ამ მხრივ, აღსანიშნავია მოწამის მხრის ძვალი, რომლის ქვედა ნაწილი დაზიანებულია. თავზე სიწმინდეს გადაკრული აქვს ჯვარედინი ვერცხლის რკალი, შუაში კი ვერცხლის ფირფიტაა, რომელზეც მოთავსებულია წარწერა. აღნიშნული სიწმინდე ზომით 32 სანტიმეტრია.[2] წმინდა ნიკოლოზის მხრის ძვალი გელათის მონასტრის კუთვნილება ყოფილა და იგი

ჩასვენებული იყო დიდ სანაწილეში. ბოლშევიკური რეჟიმის დროს იგი ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდში იყო დაცული. ამჟამად წმინდა ნიკოლოზის მხრის ძვალი, სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად, ახალ სანაწილეში ჩაასვენეს და ისევ ეკლესიას დაუბრუნეს.

გარდა აღნიშნული სიწმინდისა, XIX საუკუნის ბოლოს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელის მარცხენა მხარეს მოთავსებულ სანაწილეში ჩასვენებული ყოფილა წმინდა ნიკოლოზის ერთი წმინდა ნაწილი. ამავე პერიოდში, ამავე ტაძრის კანკელის მარჯვენა მხარეს არსებულ ხატის სანაწილეში სხვა სიწმინდეებთან ერთად ყოფილა წმინდა ნიკოლოზის მცირე წმინდა ნაწილი.[3] წმინდანის რა ნაწილი იყო აღნიშნულ სანაწილეში, ჩვენთვის უცნობია. წმ. ნიკოლოზის ძვლის ნაწილი სხვა სიწმინდეებთან ერთად ჩასვენებული იყო ანჩისხატის ტაძრის კუთვნილ პირი ღვთისას სანაწილეში. სამწუხაროდ, აღნიშნული სანაწილეები ამჟამად დაკარგულად ითვლება.

წმინდა ნიკოლოზის სახელი საქართველოში დიდად პოპულარულია, არამარტო იმით, რომ იგი საქართველოს ეკლესიის მფარველია, არამედ იმითაც, რომ იგი გაჭირვებულთა შემწე, უპოვართა გამკითხავი, უსასოოთა მოამაგე და მზრუნველია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია მისი სახელობის ტაძრები.

საქართველოში დაცულია და დიდი თაყვანისცემის საგანს წარმოადგენს იოანე ნათლისმცემლის, იმავე იოანე წინასწარმეტყველის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები. ცნობილია, რომ იოანე ნათლისმცემელი, რომელმაც მდინარე იორდანეში ნათელისცა იესო ქრისტეს, ღვთის მოწინააღმდეგე ხელისუფლებისაგან იდევნებოდა და მას გალილეის მაშინდელი მმართველის, ჰეროდეს ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღის აღსანიშნავად (ხსენება ძველი სტილით 29 აგვისტოს) ეკლესიამ დღესასწაული დააწესა მძიმე მარხვით, ნიშნად მწუხარებისა დიდი წინასწარმეტყველის ძალმომრეობითი სიკვდილის გამო. გადმოცემით, ჰეროდეს ეზოსმოძღვრის ცოლმა იოანეს პატიოსანი თავი მოიძია, დიდი მოწიწებით თიხის ჭურჭელში ჩაასვენა და ელეონის მთაზე დაკრძალა. ქრისტიანულ სამყაროში ცნობილია იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის სამი გამოჩინება. ამ წმინდა ნაწილის მესამე გამოჩინება საქართველოს სახელს უკავშირდება. მისი პირველი გამოჩინება თავისკვეთიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მოხდა, ხოლო მეორე გამოჩინება – V საუკუნეში, როდესაც აღნიშნული სიწმინდე გადაასვენეს ქალაქ ემესაში, სადაც იგი ოთხი საუკუნის განმავლობაში იყო დასვენებული. სარკინოზთა განუწყვეტელი თავდასხმების გამო, იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავი საქართველოში გადმოასვენეს და საიმედო ადგილას, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ კომანში დააბრძანეს. ბიზანტიაში პოლიტიკური და სარწმუნოებრივი სიტუაციის შეცვლის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქ ეგნატეს (847-857) ღვთის ნებით ეცნობა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის ადგილსამყოფელი. მან დასავლეთ საქართველოში მიავლინა თავისი წარმომადგენლები და დაახლოებით 850 წელს მათ კომანში იპოვეს იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავი, რაც მიჩნეულია მის მესამე გამოჩინებად.[4]

აღნიშნული სიწმინდე გადასვენებულ იქნა ჯერ ქალაქ ემესაში, შემდეგ კონსტანტინოპოლში, ამჟამად კი იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის ნაწილები ათონის წმინდა მთაზე ინახება. საქართველოს ეკლესია იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნას მისი შობის დღეს, 25 ივნისს (7 ივლისი) აღნიშნავს.[5]

იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ გამოჩინების ადგილი აფხაზეთის კომანში კარგა ხნის მანძილზე მივიწყებული და გაპარტახებული იყო. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთის მკვიდრმა, ეროვნებით აფხაზმა იური (გიორგი) ანუამ კომანში მითითებული სიწმინდის ადგილი მოაწესრიგა. მაღალ მთაზე არსებული იოანე ნათლისმცემლის წმინდა ადგილზე მისასვლელად 1500 საფეხურიანი რკინის კიბე გააკეთა. XX საუკუნის 90-იან წლებში, გართულებული პოლოტიკური ვითარების გამო, იური (გიორგი) ანუა თანამოძმეებმა აფხაზეთის ომში ვერაგულად მოკლეს.[6]

იოანე ნათლისმცემლის სიწმინდეებიდან აღსანიშნავია წინასწარმეტყველის ხორხი, რომელიც თავდაპირველად სამხრეთ საქართველოში არსებულ ოპიზის ტაძარში (ამჟამად ეს ტაძარი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს) იყო დასვენებული. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს XIV საუკუნის პირველი ნახევრის უცნობი ავტორი. წყაროს მიხედვით, „ოპიზა, უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა ამას შინა არს უპირატესი ყოველთა წინასწარმეტყუელთა მოწამეთა, ყოველთა უაღრესისა ნათლისმცემლისა იოანეს ხორხი იგი, რომელ არა დადუმდებოდა ქებად ღმრთისა მის სულისა, და მამხილებელ ჰეროდეს უსჯულოებისა“.[7] XIV საუკუნის უცნობი ისტორიკოსი ოპიზის ტაძარში დასვენებული ამ სიწმინდის შესახებ აღნიშნავს, რომ იოანე ნათლისმცემელმა თავისი სასწაულთმოქმედებით არაერთხელ გადაარჩინა საქართველოს ეს კუთხე მტერთაგან აოხრებას.[8] შემდგომ საუკუნეებში, როგორც წყაროებით ირკვევა, იოანე ნათლისმცემლის ხორხი დასავლეთ საქართველოში არსებული წალენჯიხის ტაძრის კუთვნილება გამხდარა. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის XVII საუკუნის შუა ხანებში სამეგრელოში მყოფი ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი და მისი შვილი პავლე ალეპოელი.[9] თუ როდის და როგორ მოხვდა აღნიშნული სიწმინდე ოპიზის ტაძრიდან სამეგრელოში, ჩვენთვის უცნობია. უეჭველია, ეს სიწმინდე მას შემდეგ იქნა სამეგრელოში გადასვენებული,როდესაც,XVI საუკუნეში,ოსმალეთმა დაიპყრო სამხრეთ საქართველო, სადაც ოპიზის ტაძარი მდებარეობდა. სამეგრელოში მყოფ ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსს წალენჯიხის მონასტერში იოანე ნათლისმცემლის ხორხთან ერთად უნახავს მისი წვერის ნაწილიც.[10] ამჟამად აღნიშნული სიწმიდეების ადგილ-სამყოფელი უცნობია.

გარდა აღნიშნული სიწმინდისა, იოანე ნათლისმცემელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეც ყოფილა საქართველოში. ამ მხრივ, აღსანიშნავია მოწამის თმა, რომელიც სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად ჩასვენებული იყო ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით გაწყობილ ოქროს ჯვარში. აღნიშნული ოქროს ჯვარი წმინდა ნაწილებთან ერთად XVII საუკუნის 20-იან წლებში მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1663) ელჩმა, მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ მოსკოვში ჩაიტანა და რუსეთის ხელისუფლებას საჩუქრად გადასცა.[11]

იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები ამშვენებს ამჟამად მოსკოვში, ზაგორსკის მუზეუმში დაცულ ვერცხლის გულსაკიდ ჯვარს. აღნიშნული სიწმინდე ელისაბედ დიმიტრის ასულ ციციანოვის საკუთრება ყოფილა. 1842 წელს მან ეს სიწმინდე წმინდა სერგის სამების მონასტერს შესწირა.[12]

ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის ძვალმა, რომელიც ამჟამად ქ. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმშია დაცული. თუ რომელი ტაძრის კუთვნილება იყო იგი, ჩვენთვის უცნობია,[13] იოანე ნათლისმცემლის სიწმინდის მცირე ნაწილი ჩასვენებული ყოფილა სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელის მარცხნივ არსებულ სანაწილეში.[14] სამწუხაროდ, ამ სანაწილეს ჩვენამდე არ მოუღწევია და იგი დაკარგულად ითვლება. იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილი, კერძოდ კი ძვალი, ჩასვენებული იყო ანჩისხატის ტაძრის პირი ღვთისას ხატის სანაწილეში.

შემორჩენილ სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია იოანე ნათლისმცემლის ცერი თითი, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს დეკანოზ გიორგი ახვლედიანს საბერძნეთში ორას თუმნად შეუძენია. იგი ჩასვენებული იყო ძვირფასი თვლებით შემკულ ლუსკუმაში. აღნიშნული სიწმინდე დეკანოზ გიორგი ახვლედიანს თეკლათის დედათა მონასტრისათვის შეუწირავს, სადაც დღესაც დაცულია. იოანე ნათლისმცემლის ცერი თითის ძვალი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ეფრემ II-ის (1960 – 1972) გადაწყვეტილებით, სხვა ლუსკუმაში ჩაასვენეს. ამჟამინდელი ლუსკუმა, მართალია, თავისთავად სიძველით გამოირჩევა, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ძველი ჯობია.[15] საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აღნიშნული სიწმინდე განადგურებას გადაურჩა. მას საგანგებოდ ინახავდა მონასტრის აწ გარდაცვლილი იღუმენია ქეთევან ახვლედიანი. თეკლათის მონასტერში დაცული იოანე ნათლისმცემლის თითის თაყვანისსაცემად მორწმუნეთათვის წელიწადში ერთი დღეა დაწესებული – 24 ივნისი (ახალი სტილით 7 ივლისი). აღნიშნული დღესასწაული წინა დღის ლოცვით იწყება და მეორე დღეს საზეიმო წირვით გრძელდება.[16]

XVII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში მყოფ რუს ელჩს, არსენ სუხანოვს კავთისხევის მონასტერში უნახავს იოანე ნათლისმცემლის კბილი.[17] არსენ სუხანოვის მიერ დასახელებულ კავთისხევის მონასტერში ქვათახევის მონასტერი უნდა იგულისხმებოდეს, რაც პ. იოსელიანის ცნობითაც დასტურდება. პ. იოსელიანი ქვათახევის მონასტრის აღწერისას იმ სიწმიდეებს ჩამოთვლის, რომელთაც რუსი ელჩი კავთისხევის მონასტრის კუთვნილებად მიიჩნევს, რაც კავთისხევისა და ქვათახევის მონასტრების იდენტურობას ადასტურებს. გარდა ამისა, მართალია, კავთისხევში რამდენიმე ქრისტიანული ტაძარი არსებობდა, მაგრამ აქედან მხოლოდ ქვათახევი ითვლებოდა მონასტრად. საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის დამოკიდებულება წმინდა იოანე ნათლისმცემლისადმი ვლინდება არა მარტო მისი სიწმინდეებისადმი თაყვანისცემაში, არამედ იმაშიც, რომ მისი სახელობის უამრავი ტაძარია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგებული.

საქართველოს სახელთანაა დაკავშირებული IV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწის, მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი ღვთისმეტყველისა და წმინდა მღვდელმთავრის, იოანე ოქროპირის († 407) ცხოვრე-

ბის უკანასკნელი პერიოდი, რომელიც ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით გარდაიცვალა და დაიკრძალა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ სოფელ კომანში. ეს ის კომანია, სადაც იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ გამოჩინება IX საუკუნის შუა ხანებში მოხდა.

როგორც წყაროებით დასტურდება, აფხაზეთის კომანი სიწმინდეების სიმრავლით გამოირჩევა. 308 წელს აქ მოწამეობრივად აღესრულა ქრისტიანობისათვის დევნილი და საქართველოში გადმოსახლებული წმინდა დიდმოწამე, თეოდორე ტირონის ძმისწული ვასილისკო, იგივე ბასილისკო. გადმოცემის მიხედვით, წმინდა ვასილისკო გარდაცვალების შემდეგ კომანში დაუკრძალავთ. მოგვიანებით კომანში მისი სახელობის ტაძარი აუშენებიათ, ხოლო 1893 წელს აღნიშნული ეკლესია განახლდა და აქ დაფუძნდა ვასილისკოს და იოანე ოქროპირის სახელობის დედათა მონასტერი. წმ. ვასილისკოს ხსენების დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს 3 (16) მარტს. ვასილისკოს გარდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი ბიჭვინთაში, განისვენებს 305-311 წლებს შორის რომაელთა მიერ ქრისტიანობისათვის დევნილი წმინდა ლონგინოზი, რომელსაც საქართველოს ეკლესია 23 ივნისს მოიხსენიებს.[18]

კომანში, წმინდა ვასილისკოს გარდაცვალებიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, 407 წლის 14 სექტემბერს მოწამებრივად აღესრულა წმინდა იოანე ოქროპირი. იოანე ოქროპირის საქართველოში გადმოსახლების, მისი აღსასრულისა და კომანში დაკრძალვის შესახებ ცნობებს გვაძლევს უცხოური წერილობითი წყაროები. პირველ რიგში, აღსანიშნავია იოანე ოქროპირის ერთ-ერთი მოწაფე, მისი ცხოვრების თვითმხილველი თეოდორიტე კვირელი (393 – 457), V საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე იერემია სოზომენი, VIII საუკუნის ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი და XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ლიტერატორი იოანე ზონარა.[19] ჩამოთვლილი ავტორებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს თეოდორიტე კვირელს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანე ოქროპირის მოწაფე და მისი ამქვეყნიური მოღვაწეობის თვითმხილველი იყო. თუმცა, ზემოთ დასახელებულ ავტორთა მიერ მოწოდებული ცნობებიც გარკვეულ ნდობას იმსახურებს, რადგან ისინი ეყრდნობიან იოანე ოქროპირის შესახებ იმ დროს არსებულ წერილობით წყაროებს.

ცნობილია, რომ სამეფო კარის, კერძოდ კი დედოფალ ევდოქსიას მიერ დევნილი იოანე ოქროპირი 404 წლის კრებამ კონსტანტინოპოლიდან გააძევა, მეფე კი დაარწმუნეს კრების მიერ გამოტანილი განაჩენის კანონიერებაში. თეოდორიტე კვირელის მიხედვით, იოანე ოქროპირი თავდაპირველად გადაასახლეს სომხეთის უდაბურ დაბაში, რომლის სახელი იყო კუკუსო. აქედან კი იგი გაგზავნეს შორეულ პიტიუნტში, რომელიც იმ დროს იყო „უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი“, რომლის მეზობლად ცხოვრობდნენ „უველურესი ბარბაროსები“. თეოდორიტე კვირელი გადმოგვცემს, რომ განსაცდელში მყოფი იოანე ოქროპირი ღმერთმა არ გაწირა, „კაცთმოყვარე უფალმა არ ინება, რომ ეს ძლევამოსილი მოღვაწე იმ პატარა კუნძულზე ყოფილიყო წაყვანილი: კომანში რომ იყო, (უფალმა) ის დაასახლა

სამუდამოდ და უმწუხარო სამყაროში“.[20] ანალოგიურ ცნობას გვაძლევენ იერემია სოზომენი და თეოფანე ჟამთააღმწერელი. სამივე ავტორის მიხედვით, იოანე ოქროპირის სახელთან დაკავშირებული კომანი სომხეთში მდებარეობს. სხვათა შორის, გიორგი მთაწმინდელის მიერ XI საუკუნეში ბერძნულიდან თარგმნილ „დიდ სვინაქსარშიც“ იოანე ოქროპირის განსასვენებელ ადგილად სომხეთის კომანია მითითებული.[21] ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ნეოკესარიის კომანი (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) და არა – უშუალოდ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმი, მაგრამ არც ერთი წერილობითი წყარო და საეკლესიო გადმოცემა წინა აზიაში ამ პერიოდისათვის არსებულ ნეოკესარიის კომანთან იოანე ოქროპირის მოღვაწეობის ბოლო პერიოდის კავშირს არ ადასტურებს. უფრო მეტიც, საეკლესიო ტრადიციითა და წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ იოანე ოქროპირი სწორედ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ კომანში უნდა გარდაცვლილიყო. თითქმის ყველა ავტორი (თეოდორიტე კვირელი, იერემია სოზომენი, თეოფანე ჟამთააღმწერელი, იოანე ზონარა) თავის ცნობებში აფხაზეთის კომანს გულისხმობს, რადგან კომანთან ერთად ასახელებენ პიტიუნტს, მხოლოდ იოანე ზონარა პიტიუნტის ნაცვლად ბიჭვინთას ახსენებს. დასახელებულ ავტორთა ცნობები სრულ თანხმობაშია ქართულ საეკლესიო ტრადიციასთან, რომლის მიხედვით იოანე ოქროპირი აღესრულა და დაიკრძალა აფხაზეთის კომანში. აღნიშნული პრობლემის დაზუსტებაში გარკვეული სიცხადე შეაქვს იოანე ზონარას, რომელიც ზემოთ დასახელებული ისტორიკოსებისაგან ოდნავ განსხვავებულ ცნობას გვაწვდის, და რომელიც, შეიძლება სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს, მაგრამ აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ საუბარია აფხაზეთის კომანის შესახებ. იგი სხვა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით აღნიშნავს, რომ კომანში გარდაცვლილი იოანე ოქროპირის ნეშტი შემდეგ ბიჭვინთაში გადაასვენეს და იქ დაკრძალესო. იოანე ზონარას ცნობით: „...ეკლესიიდან განიდევნა იოანე ოქროპირი ტირანულად და გაიგზავნა ძლიერ შორს, განაპირა მდებარე ადგილზე, სახიფათო სავალი გზით. ამ აუტანელ გზაზე მან განიცადა მრავალი ტანჯვა, მიაღწია რა კუკუსომდე, აქედან გაემართნენ ბიჭვინთისაკენ; კომანში რომ მივიდნენ (დაბაა ეს ადგილი), იქ გარდაიცვალა იოანე ოქროპირი 52 წლის ასაკში, რომელიც სამეფო ქალაქში მღვდელმთავრობდა ხუთ-ნახევარ წელიწადს“.[22] იოანე ზონარას მოტანილი ცნობა ნათელს ფენს ყველაფერს, ოღონდ იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილად ტრადიციულად მიჩნეული კომანის ნაცვლად იგი ასახელებს ბიჭვინთას, მაგრამ ეს უზუსტობა გვეხმარება იმის დადგენაში, რომ მასში ვიგულისხმოთ არა სომხეთის კომანი, როგორც ზოგიერთ წყაროშია აღნიშნული, არამედ დღევანდელი აფხაზეთის კომანი.

უცხოური წყაროების გადმოცემით, ბიჭვინთისაკენ მიმავალმა დასნეულებულმა იოანე ოქროპირმა მომქანცველ სამთვიან მგზავრობას ვეღარ გაუძლო. მას კომანში წმინდა ვასილისკო გამოეცხადა და ანუგეშა: „გაძლიერდი ძმაო, გაძლიერდი და გიხაროდენ, რამეთუ ხვალისა დღემან ზოგადად შემომკრებნენ ჩუენ“. იოანე ოქროპირი, გადმოცემით, თურმე ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს, წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვები – „დიდება ღმერთს

ყველაფრისათვის! და 407 წლის 14 სექტემბერს მიიცვალა. იოანე ოქროპირის წმინდა ცხედარი დაკრძალულ იქნა აფხაზეთის კომანში. მისი დასაფლავების ადგილად კომანში არსებული წმინდა ვასილისკოს ტაძარი მიიჩნეოდა. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია რუსულ ისტორიოგრაფიაშიც.[23]

დედოფალ ევდოქსიას გარდაცვალების შემდეგ მართლმორწმუნე ქრისტიანებმა კონსტანტინოპოლის პატრიარქ პროკლეს სთხოვეს, სამეფო ხელისუფლების წინაშე აღეძრა საკითხი იოანე ოქროპირის წმინდა ნაწილების დედაქალაქში გადასვენების შესახებ. გარდაცვლილი დედოფლის, ევდოქსიას ვაჟმა, იმპერატორმა თეოდოს II-მ (408 – 450) გულთან ახლოს მიიტანა მათი თხოვნა და ნება დართო, მისი წმინდა ნეშტი დედაქალაქში გადმოესვენებინათ. გადმოცემის მიხედვით, კომანში მივლინებულმა 15-კაციანმა დელეგაციამ წმინდა მღვდელმთავრის ლუსკუმა ვერ გახსნა და ვერც ადგილიდან დაძრა. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მომხდარი სასწაული იმპერატორ თეოდოსისა და მისი დედის ევდოქსიას ცოდვებს დაუკავშირა. პატრიარქის რჩევით, იმპერატორმა შეადგინა ეპისტოლე, რომლითაც იგი იოანე ოქროპირს თავისი დედისა და საკუთარი ცოდვების მიტევებას შესთხოვდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით დედაქალაქის სხვადასხვა ეკლესიაში წირვა-ლოცვაც ჩატარდა, გადახდილ იქნა სავედრებელი პარაკლისიც. ამის შემდეგ ახალი დელეგაცია აღნიშნული ეპისტოლეთი ჩავიდა კომანში. როგორც კი ცოდვის მიტევების ეპისტოლე ხელში ჩაუდეს წმინდანს, იგი შემსუბუქდა და სარკოფაგიდან ამოასვენეს. ადგილობრივი მოსახლეობა და სასულიერო პირები წინააღმდეგნი იყვნენ წმინდანის საქართველოდან გადასვენებისა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. გადმოცემით, მთელი ღამის განმავლობაში შეკრებილი უამრავი ხალხი გალობით ეთხოვებოდა წმინდანის წმინდა ნაწილებს.[24] 838 წლის 27 იანვარს წმინდა იოანე ოქროპირის წმინდა ნეშტი, გადასვენებულ იქნა კომანიდან კონსტანტინოპოლში. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველი წლის 27 იანვარს ზეიმით აღნიშნავს „აღმოყვანებას ნაწილთა წმინდანთა შორის მამის ჩვენისა იოანე ოქროპირისა“. დასავლელი ისტორიკოსების გადმოცემით, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს იოანე ოქროპირის უხრწნელი სხეულის ნაწილები რომში გადაუსვენებიათ, სადაც დღესაც ინახება.[25]

იოანე ოქროპირის წმინდა ნაწილების გადასვენების შემდეგ კომანში დარჩა მისი სარკოფაგი, რომელთანაც, „როგორც უდიდეს სიწმინდესთან, საუკუნეების განმავლობაში მოდიოდნენ მორწმუნენი, თაყვანს სცემდნენ და იკურნებოდნენ“.[26] ბევრ მლოცველს სურდა, იოანე ოქროპირის სახელთან დაკავშირებული სიწმინდე ჰქონოდა. ამ მიზნით, ისინი კომანში მის დარჩენილ სარკოფაგს მცირე ნაწილს აცლიდნენ ხოლმე. XX საუკუნის 20-იან წლებში კომანში არსებული ვასილისკო-იოანე ოქროპირის სახელობის მონასტერი გაპარტახდა, დარჩენილ სარკოფაგს საფრთხე დაემუქრა. მის გადარჩენას დიდი ამაგი დასდო საქართველოს ეკლესიის ამჟამინდელმა პატრიარქმა ილია II-მ, როცა იგი 1965-1977 წლებში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა, იოანე ოქროპირის სარკოფაგი სოხუმის საკათედრო ტაძარში დაასვენეს. XX საუკუნის 80-იან წლების ბოლოს აფხაზეთის მკვიდრმა, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ნახსენებმა იური (გიორგი) ანუას ღვთისმოსავმა ოჯახმა კომანის

ეკლესია აღადგინა. ტაძარი 1990 წლის 26 ნოემბერს იოანე ოქროპირის სახელზე იკურთხა. ამავე დღეს მისი წმინდა სარკოფაგი სოხუმის საკათედრო ტაძრიდან ახლადნაკურთხ ეკლესიაში გადაასვენეს. ანუების ოჯახმა აგრეთვე აღადგინა წმინდა ვასილისკოს საფლავი და მისი სახელობის ეკლესია.[27] XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საომარი მოქმედების დროს კომანს დიდი უბედურება დაატყდა თავს. 1993 წლის 5 ივლისს აფხაზი სეპარატისტების მიერ დახვრეტილ იქნა ამ ტაძრის აღმდგენი იური ანუა და მონასტრის წინამძღვარი ბერი ანდრია (ყურაშვილი). ორივეს ნეშტი ამჟამად კომანის მიწაში განისვენებს. კომანში დაცული იოანე ოქროპირის სახელთან დაკავშირებული აღნიშნული სიწმინდე ამჟამად საქართველოსგან უკანონოდ მოწყვეტილ ტერიტორიაზე მდებარეობს, რის გამოც საქართველოს ეკლესიას და მის მრევლს საშუალება არ აქვს მოილოცოს აღნიშნული სიწმინდე.

გარდა სარკოფაგისა, იოანე ოქროპირის სახელთან დაკავშირებულმა კიდევ ერთმა სიწმინდემ მოაღწია ჩვენამდე, ესაა წმინდა მამის წვივის ძვალი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში იყო დაცული. ამჟამად იგი სხვა სიწმინდეებთან ერთად ახალ სანაწილეშია ჩასვენებული და ქუთათელ-გაენათელის ეპარქიის კუთვნილებას წარმოადგენს. ადრე იგი გელათის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა. აღნიშნული წმინდა ნაწილი 29 სანტიმეტრისაა და მას სიგრძის ერთი მესამედი აკლია. სიწმინდის ბოლო ნაწილი დაზიანებულია.[28]

იოანე ოქროპირის წმინდა ნაწილი, როგორც წყაროებით ირკვევა, ჩასვენებული ყოფილა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელის ორივე მხარეს არსებულ ხატის სანაწილეში.[29] დღესდღეობით ორივე სიწმინდე დაკარგულად ითვლება. ქართული ეკლესია უძველესი დროიდან უღრმეს პატივს მიაგებს მართლმადიდებელი სამყაროს ამ უდიდეს წმინდანს. საქართველოს ეკლესიაში უძველეს დროიდან დამკვიდრდა იოანე ოქროპირის ღვთისმსახურების წესი, იოანე ოქროპირის თითქმის ყველა ნაშრომია ქართულად თარგმნილი. მისადმი პატივისცემაზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის ორი მწყემსმთავარი იოანე ოქროპირის სახელითაა ცნობილი. ესენი არიან იოანე IV (980 – 1001) და იოანე V (1033 – 1049).

იოანე ოქროპირისაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში, ლეჩხუმში (დღევანდელი ცაგერის რაიონი), სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა მართლმადიდებელი სამყაროს მეორე უდიდესმა წმინდანმა, VII საუკუნეში მოღვაწე წმინდა მამამ მაქსიმე აღმსარებელმა (580 – 662). მაქსიმე აღმსარებლის დევნისა და წამების მიზეზი გახდა VII საუკუნეში ქრისტიანობაში ახლადწარმოშობილი მწვალებლობის, მონოთელიტობის წინააღმდეგ მისი უკომპრომისო გამოსვლა. იგი თავის ქადაგებებში დაუნდობლად ამხელდა მათ მიმდევართ, რის გამოც თავის ორ მოწაფესთან, ანასტასი აპოკრისიარისთან და ანასტასი ბერთან ერთად საშინლად აწამეს. 658 წელს იმპერატორის გადაწყვეტილებით სამივეს ენა ამოჭრეს, რათა მათ მიმდევრებს და თანამოაზრეებს საშუალება არ მისცემოდათ გაეგოთ მათი სიტყვიერი დარიგებანი. ენასთან ერთად მათ მარჯვენა ხელებიც მოჰკვეთეს,

რათა მათი ხელით დაწერილი ეპისტოლეები არ გავრცელებულიყო მოსახლეობაში. სამივე დევნილი პიროვნება კონსტანტინოპოლიდან შორეულ ლაზიკაში გაასახლეს. ლაზიკის ქვეყანაში შესვლისას, როგორც წყაროებით ირკვევა, ისინი ერთმანეთს დააშორეს, ანასტასი აპოკრისიარისი სვანეთის ციხეში მოთავსეს, მეორე – ანასტასი ბერი აფშილეთის ციხესიმაგრეში მიყვანისთანავე, ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა. მაქსიმე აღმსარებელი კი კვლავ ატარეს და ბოლოს შეამწყვდიეს მაღალ მთაზე აღმართულ ციხეში, რომელსაც ბერძნული წყაროებით სქიმარი ან ჰიმარი ერქვა. ღვთის განგებით, დევნილმა მაქსიმე აღმსარებელმა ენა ამოიდგა, ხოლო მოჭრილ ხელზე ჯოხი მიიბა, რომელიც კალმის მაგივრობას წევდა, ამ გზით ქადაგებდა და ავრცელებდა იგი ჭეშმარიტ რწმენას. 662 წლის 13 აგვისტოს აღნიშნულ ციხეში აღესრულა მაქსიმე აღმსარებელი, ხოლო მისი მოწაფე ანასტასი აპოკრისიარისი – შედარებით გვიან, 666 წელს.

უძველესი ცნობები მაქსიმე აღმსარებლის მოღვაწეობის ბოლო პერიოდის შესახებ დაცულია მასთან ერთად მყოფი მისი მოწაფის, ანასტასი აპოკრისიარისის იმ წერილში, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე იერუსალიმში მყოფ, მაქსიმე აღმსარებლის მოწაფეს და მის თანამზრახველს, თეოდოს განგრელს გაუგზავნა.[30] აღნიშნული წერილის მიღებამდე თეოდოს განგრელი გამგზავრებულა ხერსონსა და ლაზიკაში გადასახლებულთა მოსანახულებლად. გზაში მას დააწიეს ანასტასი აპოკრისიარის, მიერ გამოგზავნილი წერილი, მაგრამ ლაზიკაში მისვლის დროს მას ანასტასი უკვე გარდაცვლილი დახვედრია. თეოდოს განგრელს მოუნახულებია ყველა ის ადგილი, რომელიც მაქსიმე აღმსარებლისა და მისი მოწაფეების მოღვაწეობას უკავშირდებოდა. თეოდოსმა შეაგროვა წამებულთა შესახებ მოსახლეობაში დარჩენილი გადმოცემები. ზამთრის მძიმე პირობებისა და უგზოობის გამო ვერ მოუნახულებია მაღალ მთაზე მდებარე წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი.[31] სამაგიეროდ, მას ადგილობრივ მოსახლეობაში საინტერესო გადმოცემები ჩაუწერია წმინდა მაქსიმეს მოღვაწეობისა და მისი საფლავის სასწაულთმოქმედების შესახებ.

ანასტასი აპოკრისიარისისა და თეოდოსი განგრელის მასალები უძველესი წერილობითი წყაროებია, რომლებიც უტყუარ ცნობებს გვაწვდიან წმინდა მაქსიმეს მოღვაწეობის ბოლო წლებისა და მისი განსასვენებლის შესახებ. ამ ორ უძველეს წერილობით წყაროზე დაყრდნობით შემდგომ საუკუნეებში ბერძნულ ენაზე შეიქმნა წმინდა მაქსიმეს ცხოვრების სამი ვრცელი რედაქცია. აქედან ერთი რედაქცია X საუკუნეში ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა († 1028), მეორე კი – XI საუკუნეში დიდ სვინაქსარში შეიტანა გიორგი ათონელმა († 1065). აღნიშნული წერილობითი წყაროების გამომზეურებას დიდი ამაგი დასდო პროფ. კ. კეკელიძემ.[32]

წყაროების არსებობის მიუხედავად, ლეჩხუმის ტერიტორიაზე არსებული წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ზუსტი განსასვენებელი დღემდე მიკვლეული არ არის. აღნიშნული საკითხის შესწავლას საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს: ა. ბრილიანტოვმა, ნ. მარმა, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, დ. ბერძენიშვილმა, თ. ბერაძემ, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ

(კალაიჯიშვილი) და სხვა.

ჯერ კიდევ 1908 წელს წმინდა მაქსიმეს საფლავის მოძიებით დაინტერესებულა იმდროინდელი ლეჩხუმის მაზრის უფროსი ა. კ. ენკელი, რომელმაც აღნიშნულის შესახებ ქუთაისის გუბერნატორსა და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას მიმართა და დახმარება სთხოვა. მიმართვამ, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ სათანადო შედეგი გამოიღო. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ, უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის მიმართვის საფუძველზე, ლეჩხუმის მაზრაში არსებული მაქსიმე აღმსარებლის საფლავის დადგენის მიზნით, დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად 500 მანეთი გამოყო. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით არქეოლოგიური ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელად დაინიშნა იმ დროისათვის ცნობილი მკვლევარი, ანისის გათხრების ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ნიკო მარი[33]. 1914 წელს ნ. მარის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო ლეჩხუმ-სვანეთში, ექსპედიცია ორ ჯგუფად იქნა გაყოფილი. პირველი ჯგუფის წევრები – ნ. მარი და დ. ყიფშიძე სვანეთში გაემგზავრნენ, მეორე ჯგუფი კი, კავკასიის მუზეუმის უფროსი მცველის ნ. ნ. ტიხონოვის და ევ. მიქელაძის ხელმძღვანელობით, ლეჩხუმში არსებული მურის ციხის მიდამოებს იკვლევდნენ.[34] მაგრამ დაწყებული მუშაობა ბოლომდე ვერ მიიყვანეს. პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო, 1915 წლის 28 აპრილს, რუსეთის უწმინდესი სინოდის დადგენილებით, დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები, როგორც გადაწყვეტილებაში იყო მითითებული, დროებით შეჩერდა, თუმცა, შემდგომ პერიოდში წმინდა მაქსიმე აღმსარებლის განსასვენებლის მოძიების მიზნით არც ერთი სამეცნიერო ექსპედიცია არ ჩატარებულა. მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში ლეჩხუმისა და ცაგერის ეპისკოპოს,სტეფანეს ინიციატივით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი.[35]

მაქსიმე აღმსარებლის შესახებ მოსახლეობაში დარჩენილი ზეპირი ისტორიული მასალების მოძიებას დიდი ამაგი დასდო ლეჩხუმის მაზრის უფროსმა ა. კ. ენკელმა. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დავალებით, იმერეთის ეპარქიის მაშინდელმა მმართველმა გიორგიმ (ალადაშვილი) და სიძველეთა ცნობილმა მკვლევარმა თედო ჟორდანიამ საინტერესო ცნობები შეაგროვეს მაქსიმე აღმსარებლის მოღვაწეობის ბოლო წლებისა და აღსასრულის შესახებ. მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებები და ლეჩხუმის მაზრის უფროსის ა. კ. ენკელის შეკრებილი ცნობებით ისარგებლა მკვლევარმა ა. ბრილიანტოვმა.[36]

მოსახლეობაში შეკრებილი მასალებით დასტურდება, რომ მაქსიმე აღმსარებლის საფლავი მდებარეობდა მურის ციხესთან. ეს უკანასკნელი, კ. კეკელიძის აზრით, ბერძნულ წყაროში დასახელებული სქიმარი უნდა იყოს.[37] მკვლევართა შორის დღესდღეობით აზრთა სხვადასხვაობაა მაქსიმე აღმსარებლის განსასვენებლის შესახებ, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, მ. ჩიქოვანის და სხვათა აზრით, მაქსიმე აღმსარებელმა სიცოცხლის ბოლო წლები სოფელ დეხვირში გაატარა, გარდაცვალების შემდეგ კი დაიკრძალა მურში, სადაც მისი სახელობის ეკლესია ყოფილა. აღნიშნული დასკვნა მათ გამოიტანეს XX საუკუნის 30-იან წლებში, ამ კუთხეში შეკრებილი ზეპირი მასალების

საფუძველზე. ამ გადმოცემის მიხედვით, „წმინდა მაქსიმე დეხვირში ცხოვრობდა განცალკევებით, დიდი ცაცხვის ღრუში, სოფელ-სოფელ დადიოდა. ხალხი ყველგან პატივისცემით ხვდებოდა. იგი რჩევა-დარიგებებს აძლევდა ხალხს, ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, ცოდვილებს და უქმის გამტეხებს კიცხავდა; ავი კაცი რომ რაიმეს ახდენდა, უშლიდა; განსაკუთრებით ნათესებს იცავდაო. იყო ერთი ბოროტი გლეხი, რომელიც თავის საქონელს ღამ-ღამობით სხვის ყანებში აძოვებდა. მაქსიმემ მისი დასჯა განიზრახა, ნისლად იქცა და ყანა გაუფუჭა. გაბრაზებულმა გლეხმა ნისლს ესროლა თოფი, ძირს კი კაცი ჩამოვარდა. ეს მაქსიმე იყო. გლეხი შეშინდა, წმინდანი მოკალიო და ჩუმად მიწაში ჩაფლო, მაგრამ გვამი სულ ზემოთ ამოდიოდა, რადგან სასაფლაო წარმართული იყო. ბოლოს გვამმა უთხრა გლეხს: მარხილში უხედნი ხარები შეაბი, ჩემი გვამი დაადე და გაუშვი, სადაც ხარები გაჩერდებიან, იქ დამასაფლავეთო. ასეც გააკეთა, ხარები მურში გაჩერდნენ. იქ დაასაფლავა, დამარხვის შემდეგ საშინელი წვიმები დაიწყო. კალოებს ვეღარ ლეწდნენ. შეწუხდა ხალხი. მაშინ წმინდა მაქსიმე გამოეცხადა გლეხს და უთხრა, ეს ლოცვა შეასრულეთ ჩემს სახელზე და წვიმა გადაიღებსო: „წმინდა მაქსიმე, დარი გვიბოძე, შეგვიხვეწიე“.[38] აღნიშნული გადმოცემა ბევრ უზუსტობას შეიცავს: ყოვლად წარმოუდგენელია, რომ VII საუკუნეში წმ. მამა მაქსიმე აღმსარებელი ცეცხსასროლი იარაღით, კერძოდ კი თოფით მოეკლათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი სახის საბრძოლო იარაღი იმ დროისათვის არ არსებობდა. ამისდამიუხედავად, მოტანილი ვრცელი მასალა ფრიად საყურადღებოა. ლეჩხუმში საუკუნეების განმავლობაში, ყოველ წელიწადს იმართებოდა ხოლმე წმინდა მაქსიმესადმი მიძღვნილი დღესასწაული – მურობა. დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე ყოველი ოჯახიდან გამოყოფდნენრჩეულს კაცებს, მათ დღესასწაულამდე უნდა ემარხულათ და წმინდანივით უნდა ეცხოვრათ, შემდეგ კისერზე ღვლერჭებს შეიბამდნენ და მურისაკენ გარბოდნენ. ასეთი ასამდე კაცი გროვდებოდა, ისინი წმინდა მაქსიმეს სადიდებელ ჰიმნს მღეროდნენ.[39]

მაშასადამე, მოსახლეობაში შეკრებილი მასალით წმინდა მაქსიმე აღმსარებლის განსასვენებელი მურის ციხესთან უნდა იყოს. თუკი იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი მურის ტოპონიმს ბერძნულად დასახელებულ სქიმართან აიგივებს, მაშინ უეჭველია, რომ მური უნდა იქნეს მიჩნეული მაქსიმე აღმსარებლის დასაფლავების ადგილად. უკანასკნელ პერიოდში ტოპონიმ სქიმართან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ეპისკოპოსმა სტეფანემ, რომელმაც ლენტეხის ტერიტორიაზე აღმოაჩინა ადგილი, სკიმერად წოდებული. იგი ვარაუდობს, რომ ანასტასი აპოკრისიარისის მიერ მოხსენებული ციხე-სიმაგრე სქიმარი დღევანდელ ლენტეხის რაიონში, მაღალ მთაში არსებული სკიმერი უნდა იყოს. მისი აზრით, ლენტეხის ტერიტორიაზე არსებულ სკიმერში უნდა ყოფილიყო გადასახლებული წმინდა მაქსიმე, სადაც უნდა დაეკრძალათ კიდეც, მაგრამ 680 წლის შემდგომ, VIII საუკუნის ათიან წლებამდე, მისი წმინდა ნაწილები ამოასვენეს და გადაასვენეს ცაგერთან ახლოს მდებარე მურის ციხესთან, იმ დროს არსებულ მონასტერში, რომელიც შემდგომ მისი სახელობისა გამხდარა.[40] აღნიშნული მოსაზრება, შესაძლებელია, რეალობასთან ახლოს იყოს, რადგან ძველი სტილით 21 იანვარს ეკლესია იხსენებს ღირსი მაქსიმე უხრწნელის წმინდა ნაწილების აღმოყვანებას. უეჭველია, რომ მასში წმინდა მამის ნეშტის გადასვენება იგულისხმება. გამოთქმულია აგრეთვე განსხვავებული თვალსაზრისი, რომ ცაგერის მახლობლად მდებარე სოფელ გვესოში დღემდე შემორჩენილი ადრე შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრის ნანგრევებთან არსებული სამნავიანი ბაზილიკა უნდა იყოს წმ. მაქსიმე აღმსარებლის განსასვენებელი.[41] უეჭველია, რომ მაქსიმე აღმსარებლის განსასვენებლის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით.

წმინდა მაქსიმე აღმსარებლის პოპულარობა საქართველოში იმითაცაა განპირობებული, რომ მან თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ ფოლკლორში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეჩხუმში დღემდეა შემორჩენილი ხსოვნა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ.[42] ლეჩხუმური ფოლკლორის მიხედვით, მაქსიმე აღმსარებელი წმინდა კაცი ყოფილა. იგი სიკეთეს თესავდა და რწმენისაკენ მოუწოდებდა ყველას. წმინდა მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული ლეჩხუმში იმართებოდა აღდგომის პირველ ხუთშაბათს, რაც მისადმი დიდ პატივისცემაზე მეტყველებს.[43]

საქართველოს ეკლესიის სიწმიდეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამი კაპადოკიელი წმინდა მამის, ბასილი დიდის († 379), მისი ხორციელი ძმის, გრიგოლ ნოსელისა († 394) და გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის († 389) წმინდა ნაწილებს, რომლებიც სხვა სიწმინდეებთან ერთად XIX საუკუნის დასასრულს ჩასვენებული იყო მცხეთის სვეტიცხოვლის კანკელის მარჯვენა მხარეს მდებარე ხატში. მათ სახელთან დაკავშირებული სიწმინდე ამ დროისათვის ინახებოდა აგრეთვე ამავე ტაძრის კანკელის მარცხენა მხარეს დასვენებულ სანაწილეში.[44] სამწუხაროდ, ორივე სანაწილე ამჟამად დაკარგულად ითვლება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამი წმინდა კაპადოკიელი მამის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდა. უძველესი დროიდან ქართულად თარგმნეს მათი თითქმის ყველა ნაწარმოები. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ეპოქაში რამდენჯერმეც ითარგმნა. განსაკუთრებით ეს ითქმის ბასილი დიდის თხზულებებზე. ღვთისმსახურებაში დამკვიდრებულია ბასილი დიდის ლიტურგია. ქართულად თარგმნილია ბასილი დიდისადმი მიძღვნილი საგალობლები. ქართველებმა მის სადიდებლად შექმნეს ორიგინალური ჰიმნოგრაფიული ნაშრომები და სხვა.[45]

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ სამივე კაპადოკიელი წმინდანი წარმოშობით ქართველი იყო.[46] აღნიშნული თვალსაზრისს მიუხედავად, სწორადაა მიჩნეული, რომ „ისინი აღზრდილნი იყვნენ ბერძნულ გარემოში, განათლება ამ ენაზე მიიღეს და ამ ენაზე ქმნიდნენ ნაშრომებს“ „სწორედ ამიტომ ისინი სამართლიანად არიან მიჩნეული ბიზანტიელ მწერლებად“.[47] ბასილი დიდის სახელს ქართველი ხალხის ყოფასა და ტრადიციებში გარკვეული ადგილი უკავია, რაც განაპირობებს ქრისტიანული სამყაროს ამ უდიდეს წმინდანთან განსაკუთრებულ სიახლოვეს.[48]

გარდა წმინდა მამათა სახელთან დაკავშირებული სიწმინდეებისა, საქართველოს ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენდა მართლმადიდებელ სამყაროში ქრისტიანობისათვის თავდადებულ, წმინდანად შერაცხულ პირთა წმინდა ნაწილები. ამ სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია პირველმოწამისა და მთავარდიაკონის სტეფანეს († 34) წმინდა ნაწილები. საეკლესიო გადმოცემით, წმინდა სტეფანეს ნეკი XIX საუკუნეში ხირსის დედათა მონასტერში ინახებოდა. აღნიშნული სიწმიდე საქართველოში VI საუკუნეში შემოუტანია ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, სტეფანეს, რომელმაც დააფუძნა და სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ხირსის მონასტერში. XIX საუკუნის ბოლოს წმინდა სტეფანეს ნეკი, უსაფრთხოების მიზნით, ბოდბის დედათა მონასტერში გადაუსვენებიათ.[49] ამჟამად აღნიშნული სიწმინდე დაკარგულად ითვლება. წმინდა სტეფანე პირველმოწამის სიწმინდის ერთი ნაწილი სვეტიცხოვლის ტაძრის ხატში იყო ჩასვენებული. წმინდა სტეფანეს ერთ-ერთი წმინდა ნაწილი ამჟამად დაცულია ურბნისის წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარში. აღნიშნული ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა სტეფანე პირველმოწამის მრავალნაწილიანი ხატი, რომელშიც სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად სტეფანე პირველმოწამის ნაწილებია ჩასვენებული. მთავარდიაკონმა სტეფანემ თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ ყოფაში. კახეთის სოფელ ტიბაანში საგანგებოდ აღნიშნავენ მის დღეს, რომელიც შობის მესამე დღეს სრულდება.[50]

წამებულ წმინდანთა შორის აღსანიშნავია წმინდა ევგენიას თავის ქალა, რომელიც ამჟამად თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ინახება. პ. იოსელიანის ცნობით, აღნიშნული სიწმინდე ერთ დროს ქვათახევის მონასტრის კუთვნილება ყოფილა, XIX საუკუნეში კი იგი სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად დიდ სანაწილეში მოათავსეს და შიო მღვიმის მონასტერში დაასვენეს. ამავე სანაწილეში ინახებოდა წმინდა დიმიტრი წამებულის ხერხემლის ნაწილი.[51]

დღესდღეობით შემორჩენილ წმინდა ნაწილებს შორის აღსანიშნავია ქალაქ ზუგდიდის მუზეუმში დაცული წმინდა კვირიკეს უხრწნელი ხელის მტევანი, რომელსაც არათითი და ნეკი აკლია. აქვე დაცულია წმინდა მარინეს აგრეთვე უხრწნელი მკლავი, რომელსაც ცერი თითი აკლია, ხოლო საჩვენებელი და შუა თითი დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული.[52] როგორც წყაროებით ირკვევა, აღნიშნული სიწმინდეები ადრე ხობის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა, ხოლო XX საუკუნის 20-იან წლებში ისინი შესანახად ზუგდიდის მუზეუმში გადმოუტანიათ.[53]

სულ ახლახანს ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში საინტერესო სიწმინდეები იქნა მიკვლეული, რომლებიც ერთ დროს გელათის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა. აღმოჩენილ სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია წმინდა თეოდორე ტირონის თავის ქალის ნაწილი შუბლის ძვლით. სიწმინდის შუბლზე ოთხი ვერცხლის ლურსმნით დამაგრებულ მრგვალ ვერცხლის მედალიონზე გამოსახულია წმინდა თეოდორე ტირონი. აქვეა წმინდა დიმიტრის თავის ქალის ზედა ნაწილი, სფერული ფორმის, რომელიც შეკრულია ჯვარედინი ფორმის მოოქროვილი თითბრის რკალით. რკალების გადაკვეთაზე დაკრულ მედალიონზე შესრულებულია წმინდანის გამოსახულება. მუზეუმ-

ში დაცულია აგრეთვე წმინდა სამსონ უცხოთ შემწყნარებლის ბარძაყის ძვალი; წმინდა თეოდორე სტრატილატის წვივის ძვალი; წმინდა თეოქტიტეს წვივის ძვალი; თომა მოციქულის ბარძაყის ძვალი; წმინდა ემელიანეს ბარძაყის ძვლის ნაწილი; წმინდა ბენედიქტეს სხივის ძვალი. აქვეა იოანე ოქროპირის წვივის ძვალი და წმინდა ნიკოლოზის საკივირველმოქმედი მხრის ძვალი. თითოეულ სიწმინდეს აქვს ბერძნული წარწერა, რითაც ხერხდება აღნიშნულ სიწმინდეთა კუთვნილების დადგენა. გარდა ამისა, მუზეუმში აღმოჩნდა ოთხი სიწმინდე, მაგრამ, თუ რომელი წმინდანის ნაწილებია ისინი, ჯერჯერობით გაურკვეველია. აღნიშნულ სიწმინდეთა ნაწილი ჩასვენებული ყოფილა დიდი სანაწილეში.[54] XX საუკუნის 20-იან წლებში დასახელებულ სიწმინდეებს თავი მოუყარეს ქუთაისის მუზეუმში. აქ დაცული სიწმინდეები ხელისუფლების გადაწყვეტილებით გადაეცა საქართველოს ეკლესიას.

პ. იოსელიანის გადმოცემით, საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა II საუკუნის პირველ ათეულში, იმპერატორ ტრაიანეს დროს წამებული მხედართმთავარი ევსტათი. საქართველოში უძველესი დროიდან (XIII ს.) არსებობდა მისი სახელობის ტაძარი, ხოლო სოფელს, სადაც აღნიშნული ეკლესია მდებარეობს, წმინდანის პატივსაცემად ერთაწმინდა ეწოდა, რაც წმინდა ევსტათის ნიშნავს. ამჟამად აღნიშნული სოფელი კასპის რაიონში მდებარეობს, სადაც შემორჩენილია წმინდა ევსტათის სახელობის ტაძარი. პ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნეში ერთაწმინდის ეკლესიაში ინახებოდა ცილინდრული ფორმის კიდობანში ჩასვენებული წმინდა ევსტათის მკლავის ნაწილი და ცერი. აღნიშნული სიწმინდე, როგორც სასწაულთმოქმედი, მეფე ერეკლე II-ს კათალიკოსის ნებართვით თავისი ქალიშვილის თეკლას ავადმყოფობის გამო, თბილისში გადაუტანია, მაგრამ 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას იგი სხვა სიწმინდეებთან ერთად ქალაქიდან წაუღიათ. მეფე ერეკლეს დას, ანას, შემდეგ იგი გამოუსყიდია და ისევ ერთაწმინდის ტაძრისათვის დაუბრუნებია. აღნიშნული სიწმინდეები, როგორც პ. იოსელიანი გადმოგვცემს, თაყვანსაცემად ხშირად გამოაქვთ წმინდა ევსტათის ხატის წინ. „მათი ჩარჩო, ოქროთი დაფერილი ვერცხლისაა, შემკულია აღმოსავლური ქვებით, შეწირული იყო შაჰ-აბას დიდისა და ნადირ-შაჰის მიერ“.[55]

გარდა ზემოთ აღნიშნული სიწმინდისა, XIX საუკუნეში ერთაწმინდის ტაძარში შენახული ყოფილა რკინის ჯაჭვები, რომელთაც თურმე ნებაყოფლობით იკიდებდნენ „ისეთი პირნი, რომელნიც ცხოვრების მძიმე პირობებში, ხალხის წინაშე თავმდაბლობისა და ცოდვათა აღსარების ნიშნად, ღმერთს აღუთქვამდნენ ჯაჭვის საჯაროდ ტარებას, ჯვარდაკიდებულები იგონებდნენ იმ ჯაჭვს, რომლითაც შეკრული იყო წმინდა ევსტატე, იმპერატორ ტიტუსის სახელოვანი მხედართმთავარი, მისი თანამებრძოლი, იერუსალიმის აღებისას ტრაიანეს მიერ გამორჩეული, რომის დიდებული, ქრისტეს წამების წინ იმპერატორ ადრიანეს ბრძანებით ქრისტეს ეკლესიისათვის დიდწამებული“.[56]

XVII საუკუნის შუა ხანებში საქართველოში მყოფი რუსი ელჩი არსენ სუხანოვი კავთისხევის (ქვათახევის) მონასტრის დათვალიერების შემდეგ აღნიშნავს, რომ წმინდა ესტათის ნაწილების გარდა, ამავე ტაძარში არსებულ სანაწილეში ჩასვენებული ყოფილა წმინდა გიორგის შუბლის ძვალი, იოანე ნათლისმცემლის კბილი, წმ. თომა მოციქულის თავის ქალა, წმინდა ევგენიას მუხლის ძვლები და თავის ძვალი.[57] აღნიშნული სიწმიდეები XIX საუკუნნის შუა ხანებში, პ. იოსელიანის ცნობით, კვლავ ქვათახევის მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენდა.

თითქმის იმავე დროს, იმერეთის სამეფოში მყოფ რუს ელჩებს, ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და ალექსი იევლევს რაჭის ერთ-ერთ მონასტერში უნახავთ წმინდა ევსტათის თავის ნაწილი და წმინდა ევდოკიმე მართლის წმინდა ნაწილი.[58]

წმ. ესტათის წმინდა ნაწილი დაცულია თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძარში. აღნიშნული ტაძრის კუთვნილებას აგრეთვე წარმოადგენს წმ. პანტელეიმონის, X საუკუნის ღირსი მამის, პეტრე ათონელის, წმინდა ბენიამენის, წმ. თევდორეს, წმ. იობ პუჩაევის, წმ. სერაფიმე საროველის და სხვა წმინდა ნაწილები. ამავე ტაძარში ინახება წმ. მამის, სერაფიმე საროველის იმ ქვის ნაწილი, რომელზეც იგი ლოცვის დროს იდგა ხოლმე, ქვა გოლგოთიდან, ქვა სინას მთიდან, ქვა მაგდალინიდან, უცნობი ქვის ნაწილები სანაწილეთი, ექვთიმე ათონელის მიერ დარგული ხის ნაჭერი, წმინდა ნაწილები ნოქალაქევის ორმოცი წმინდა მოწამე სებასტიელის ეკლესიიდან, ქვა ჩამოტანილი სინას მთის იმ ადგილიდან, სადაც ღმერთმა მოსეს მისცა ათი მცნება, ყაზბეგის ბეთლემში ნაპოვნი სიწმინდე, წმ. შიოს ახლის წმინდა ნაწილი, წმ. შიოს ლავრიდან წამოღებული სასულიერო პირის თავის ქალა და სხვა.

XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ეკლესიის სიწმინდეთა რიცხვს შეემატა წმინდა დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილები. თუმცა, როგორც წყაროებით დასტურდება, ქართული ეკლესია უძველესი დროიდან ფლობდა ამ წმინდანის ნაწილის, რომელიც სვეტიცხოველის ტაძრის კანკელის მარცხენა მხარეზე არსებულ სანაწილეში ყოფილა დასვენებული.[59]

305 – 311 წლებში, იმპერატორ მაქსიმიანეს დროს წამებულ ბარბარეს წმინდა ნეშტი თავდაპირველად ღვთისმოსავმა ვალენტიანემ დაკრძალა ქალაქ ილიოპოლისში. XI საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერატორის, ალექსი კომნენის ქალიშვილს, ბარბარეს, როდესაც იგი ცოლად გაჰყვა რუს ბოიარ მიქაელ სვიატოპოლს, თავისი მოსახელე წმინდანის სიწმინდეები კიევში ჩაუსვენებია და მოუთავსებია მთავარანგელოზის ეკლესიაში. 1983 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის თხოვნით, უკრაინაში ჩასულ ქართველი სამღვდელოების დელეგაციას კიევის მაშინდელმა მიტროპოლიტმა ფილარეტმა საჩუქრად გადასცა წმინდა ბარბარეს ნეკა თითის ნაწილი. აღნიშნული სიწმინდე ამჟამად დასვენებულია თბილისის ქვემო ბარბარეს სახელობის ეკლესიაში.

აღსანიშნავია, რომ წმინდა დიდმოწამე ბარბარე საკმაო პოპულარობით სარგებლობს ქართველთა ყოფაში. მისადმი მიძღვნილი დღესასწაული (ძველი სტილით 4 დეკემბერი) დიდი ზეიმით აღინიშნება. ამის გარდა, იგი მიჩნეულია სხვადასხვა სენისაგან განმკურვნელ და ავადმყოფების მფარველ წმინდანად.[60]

შიდა ქართლში, ოთარაშენის (ოთარშენი) ეკლესიაში ძველი დროიდან

ინახებოდა წმ. მოწამე იოანეს (რომელიც ივლიანე განდგომილის დროს ქრისტიანობისათვის ეწამა) წმინდა ნაწილი. აქვე იყო აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის ორი წმინდა ნაწილი, წმ. მამა ანტონის, წმ. პროკოფის, წმ. ეკატერინეს წმინდა ნაწილები. წმ. ალექსანდრეს სავარცხლის ნაწილი, „წმ. დიმიტრი როსტოველის ნაბანის ბანბა“ და სხვა წმინდა ნაწილები. ამჟამად ჩამოთვლილი სიწმინდეები საქართველოს საპატრიარქოს კუთვნილებას წარმოადგენს.

XXX

საქართველოში დავანებული, დღესდღეობით არსებული თუ ჟამთასიავისაგან დაკარგული სიწმინდეების დიდი ისტორია აქ წყდება. ჩვენ ძალისხმევა არ დაგვიშურებია, რათა დღემდე მოღწეული წყაროების ურთიერთშეჯერებით სიმართლე წარმოგვეჩინა. როგორც ვრწმუნდებით, ჩვენი სიწმინდეების მიერ გადატანილი განსაცდელი განსაცდელია ერისა, რომელიც ქრისტეს გზით მიდის, ეს არის გზა წამებისა, ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლებისა...

გამოყენებული წყაროები, ლიტერატურა და შენიშვნები

შესავალი

1. დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, ქადაგებანი (1994-1995 წწ.), თბ. 1995, გვ. 106.
2. წმინდანთა კანონიზაციის საკითხისათვის, თბ., 1999, გვ. 18.
3. წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2000, გვ. 440-441.
4. იქვე, გვ. 441.
5. წმინდანთა კანონიზაციის საკითხისათვის, გვ. 18.
6. მ. ჯაფარიძე, სვანეთისაკენ მიმავალი მადლიანი გზა, ანუ ვინ იყვნენ ფუსტელები, ინტერვიუ დეკანოზ ავთანდილ გიორგობიანთან, ჟურნალი „გზა“, 2005, №34, გვ. 35; დეკანოზი ავთანდილ გიორგობიანი, საეკლესიო სიწმინდეთა დაცვის რაინდები, ჟურნალი „ლაზარეს აღდგინება“, 2002, XVI, გვ. 15-18.
7. დეკანოზ ავთანდილ გიორგობიანი, საეკლესიო სიწმიდეთა დაცვის რაინდები, ჟურნალი „ლაზარეს აღდგინება“, 2002, XVI, გვ. 16.
8. П. Жузе, Грузия в 17 столетии по изображенню патриарха Макария, Казан, 1905, стр. 45. რუსულენოვანი წყაროებისა და ლიტერატურის თარგმანში დიდი დახმარება გაგვიწია პედაგოგმა ანზორ ფანჯიკიძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.
9. А. Натроев, Мцхет и его собор Свэти-Цховели, Историко-археологическое описание, Тифлис, 1900, стр. 254-256.
10. პლატონ ხუროშვილი, სვეტიცხოვლის ტაძარი, გაზეთი „ივერია“, 1898, №36.
11. С. А. Белокуров, „Посолство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадянскую землю (1639-1640 гг)“, из книги „Материалы для Русской истории“, Москва, 1888, стр. 321.
12. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქალაქ ტფილისში, ისტორიული მიმოხილვა, მღვდელი კარბელაშვილისა, ტფ., 1902, გვ. 37-38.
13. М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, Тб., 1937, стр. 65.
14. ციტირებული ფ. სიხარულიძის ნაშრომიდან „მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 270.
15. С. А. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю (1639-1640), стр. 262.
16. П. Жузе, Грузия в 17 столетии, по изображению патриарха Макария, казан, 1905; ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბ., 1973.

17. ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის), თბ., 1965; შდრ. А. Н. Муравьев, Грузия и Армения, часть 2, СПБ, 1847.

18. ნაშრომის რედაქტირებაში დახმარება გაგვიწიეს თამაზ ჭყონიამ, ვლადიმერ კვირკველიამ, ავთანდილ ასათიანმა და თინათინ გოგოჩაშვილმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

თავი I. ძველი აღთქმის სიწმინდე – წმ. ელიას ხალენი საქართველოში

1. წმინდანთა ცხოვრება, წიგნი 2, თბ., 2003, გვ.67.
2. ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი, „კარსა ზედა ბაგინისასა“, გაზეთი „სახალხო განათლება“, 1989, IX, №22.
3. მოქცევა ქართლისა ,ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 130; შდრ. შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. მეტრეველმა, თბ., 1979, გვ. 339-340.
4.შატბერდის კრებული, გვ. 341.
5. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, გვ. 139.
6. ლ. პატარიძე, „მოქცევა ქართლისა “-ს დროის კონცეფციის გაგებისათვის (ელიას ხალენი „ნინოს ცხოვრებაში“),მაცნე,ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, №2, გვ. 112.
7. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 62.
8. ჟურნალი „აღსავალი“, 2004, 17 აპრილი, №2, გვ. 8.
9. ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 276.
10. ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბ., 1919, გვ. 114.
11. ქართული მწერლობა, ტ. II, თბ., 1987, გვ. 41.
12. ი. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.
13. იქვე, გვ. 278.
14. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977, გვ. 192.

თავი II. მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში

1. უფლის კვართი საქართველოში

1.ზ. ალექსიძე, „ქართველ ებრაელთა“ საღმრთო მისია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვალთახედვით, „ივერია“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, თბილისი-პარიზი, 1992, №1, გვ. 37.
2. იქვე.

3. იქვე.

4. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 176.

5. Н. Марр, Хитон Господень в книжных легендах армян, грузин и сирийцев, СПБ, 1897.

6. გ. ბარამიძე, წერილობითი წყაროები და გადმოცემები უფლის ხელთუქმნელი კვართის შესახებ, თბ., 2004, გვ. 16-17; მისივე, წერილობითი წყაროები უფლის ხელთუქმნელი კვართის შესახებ, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1993, 24 დეკემბერი, გვ. 15.

7. არაქელა დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმნა, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, თბ., 1974, გვ. 28.

8. Полное собрание русских летописей, т. 22, ч. 1, М., 1911, გვ. 266; შდრ. ტ. რუხაძე,ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 114-115; შდრ. ნ. ციხისთავი, წმ. ნინოს ცხოვრების ქართული და რუსული ტექსტების ისტორიოგრაფია,მაცნე,ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, №2, გვ. 36-37.

9. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.1, თბ., 1955, გვ. 97.

10. შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 338.

11. იქვე, გვ. 339.

12. გ. ბოლქვაძე, მაცხოვრის კვართი და ებრაული დიასპორა ქართლის (იბერიის) სამეფოში, მოხსენების მოკლე შინაარსი „თბილისი – იერუსალიმი 2" – საერთაშრისო სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1998, გვ. 11.

13. ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა), თბ., 1995, გვ. 136.

14.შატბერდის კრებული, გვ. 338; შდრ. გ. ბოლქვაძე, „სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1997, 17-24 ოქტომბერი.

15. იქვე, გვ. 338.

16. იქვე, გვ. 323.

17. ე.მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003, გვ. 17.

18. დაწვრილებით იხილეთ ე. მამისთვალიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ.33.

19. გაზეთი „მერიდიანი“, 2000, 13-16 ოქტომბერი, №114, გვ. 6.

20. შატბერდის კრებული, გვ. 339.

21. ქართლის ცხოვრება, ტ.1, გვ. 35.

22. შატბერდის კრებული, გვ. 339.

23. პლატონ ხუროშვილი, სვეტიცხოვლის ტაძარი, გაზ. „ივერია“, 1898, №35.

24. ქართლის ცხოვრება, ტ.1, გვ. 101

25. გაზეთი „ივერია“, 1898, №35.

26. შატბრდის კრებული, გვ. 339.

27. იქვე.

28. ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გვ.18.

29. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი, III (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე, გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, თბ., 1971, გვ. 31.

30. იქვე, გვ. 32.

31. ქართლის ცხოვრება, ტ.1, გვ. 78.

32. იქვე, გვ. 32.

33. С. Белокуров, Дело о присылке шахом-Аббасом Ризы Господней царю Михаилу Феодоровичу, М., 18916 стр. 16-17; შდრ. М. Полиевктов, Материалы...ТБ., 197, с. 95-977; შდრ. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 115.

34. ქართლის ცხოვრება, გვ. 97.

35. იქვე. გვ. 101.

36. ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

37. მოქცევა ქართლისა , გვ. 323.

38. იქვე; შდრ. ზ. ალექსიძე, დასახ, ნაშრომი, გვ. 40.

39. მოქცევა ქართლისა , გვ. 323.

40. ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

41. რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, თბ., 1992, გვ. 114.

42. პ. ხუროშვილი, ფელეტონი, სვეტიცხოვლის ტაძარი, „ივერია“, 1898, №35.

43. მოქცევა ქართლისა , გვ. 336.

44. პ.ხუროშვილი, დასახ. ნაშრომი.

45. მოქცევა ქართლისა , გვ. 338.

46. პ. ხუროშვილი, დასახ. ნაშრომი.

47. დაწვრილებით იხილეთ რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, გვ. 115; მისივე „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სახისმეტყველება, თბ., 1998, გვ. 13-15. მისივე, ქართული ჰაგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 120.

48. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 106; ო. ქვრივიშვილი, სვეტიცხოვლის მისტერია, თბ., 2000, გვ. 192-95.

49. ე. ჭელიძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან, ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, I, 1997, გვ. 8.

50. ბ. მჭედლიშვილი, სვეტიცხოვლის მშენებლობის ისტორია, გაზეთი „სვეტიცხოველი“, 1994, №1.

51. ვ. ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-13, 1048, გვ. 143.

52. თ. საყვარელიძე, რა გადაგვრჩა მცხეთური ჯვარ-ხატებიდან, ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, 2001, №4, გვ. 79-80.

53. ქართლის ცხოვრება ტ.I გვ. 115.

54. იქვე.

55. მოქცევა ქართლისა , გვ. 394.

56. ქართლის ცხოვრება ტ. I, გვ. 123.

57. იქვე.
58. იქვე, გვ. 311.
59. А. Натроев, Мцхет и его собор Свэти-Цховели, Историко-археологическое описание, Тифлис, 1900, стр. 108.
60. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 106.
61. Brosset, Examen critique des annales gaurgiennes, Saint Peterburg, 1842 p. 71-72; შდრ. М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640, თბ., 1937, გვ. 95-96.
62. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ; თბ., 1963, გვ. 199.
63. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1929-1930, ტფ., 1931, გვ. 288.
64. მ. საბინინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.
65. თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ.II, გვ. 508; შდრ. ვ. ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-13, 1948, გვ. 141.
66. ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.
67. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.
68. დაწვრილებით იხილეთ ა. ნატროევის დასახ. ნაშრომი, გვ. 103-105; შდრ. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი.
69. Der Heiling Rosk zu Trier, 1996, col. 28. გერმანულენოვანი წყაროებისა და ლიტერატურის თარგმანში დიდი დახმარება გაგვიწია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა თამარ შაკიაშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.
70. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 131.
71. იქვე.
72. იქვე, გვ. 137.
73. იქვე, გვ. 139-144.
74. Der Heiling Rosk zu Trier, col. 13-63.
75. იქვე, გვ. 123-125.
76. იქვე, გვ. 513.
77. იქვე, გვ. 136.
78. იქვე, გვ. 571.
79. ციტირებული ე. ჭელიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
80. შატბერდის კრებული, გვ. 331.
81. Der Heiling Rosk zu Trier, col. 68.
82. იქვე, გვ. 162.
83. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.
84. ე. ბუბულაშვილი, მიხეილ თამარაშვილი – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, კრებულში „საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები“. თბ., 1998, გვ. 98.

85. М. Селезнев, Руководство к познани Кавказа, СПБ, 1847; Макарий (Булгаков, митрополит Московский и Коломенский), История Русской церкви, X1, Санкт-Петербург, 1882, стр. 63-67; Филарет Гумилевский, Жития святых, стр. 94-99; Н. Марр, Хитон Господень в книжных легендах армян, грузин и сирийцев, СПБ, 1897; С. Белокуров, Дело о присылке шахом Аббасом Ризы господней царю Михаилу Федоровичу в 1625 году, М., 1891; А. Шамаро, Загадка нешвенного хитона, «Науки и религии», №2, 1991; Н. Енеева, Частица Ризы Спасителя – в московском Кремле, «Журнал московской Патриархии» №7, 1996.
86. П. Иоселиани, Мцхетский храм, «Журнал министерство Народного Просвещения», ч. 36, отд. П, СПБ, 1842., შდრ. მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია. ტფ. 1886.
87. ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2003, გვ. 72.
88. ნ. მარი. დასახ. ნაშრომი, გვ. 70.
89. M. Brosset, Examen critique des annales gaurgiennes, Saint-Peterbourd, 1842, p. 367-369.
90. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი.
91. ეგრი, ფელეტონი, გატანილია თუ არა ჩვენის ქვეყნიდან უმთავრესი სიწმინდე საქართველოსი კვართი უფლისა, გაზეთი „ივერია“, 1892, №9; მისივე, ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა, თბ., 1892, გვ. 15-16.
92. А. Натроев, Мцхет и его собор Свэти-Цховели, Историко-археологическое описание, Тиф. 1900, с. 80-113.
93. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83-93.
94. გ. ბარამიძე, წერილობითი წყაროები და გადმოცემები უფლის ხელთუქმნელი კვართის შესახებ (ქართული, სომხური, სირიული და ევროპული დოკუმენტები უფლის უკერველი კვართის შესახებ. ტურინის სუდარა), თბ., 2004.
95. ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ. 82.
96. იქვე, გვ. 80.
97. დაწვრილებით იხილეთ ე. მამისთვალიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 43-48, 75-82.
98. ს. ბელოკუროვის დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
99. იქვე, გვ. 14.
100. ე. მამისთვალიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ.
101. ინტერნეტის ვებ-გვერდი, მიშელ ვან ესბროკი.
102. Т. Тивадзе, Материалы по внешнеполитической истории Грузии первой половины XVII века, содержашиеся в архивном фонде «Сношения России с Персией,» კრებულში, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 153.
103. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.
104. იხ. თ. ტივაძე, დასახ. ნაშრომი; შდრ. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-47.
105. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 47.

106. იქვე.
107. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.
108. ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ. 79.
109. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43-44.
110. იქვე, გვ. 44.
111. იქვე, გვ. 45-46.
112. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
113. იქვე.
114. იქვე, გვ. 61.
115. იქვე.
116. M. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений в 1615-1640 гг., თბ., 1937, с. 87-88.
117. ნ. ნაკაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82-83.
118. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17.
119. ციტირებული ე. მამისთვალიშვილის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 63; შდრ. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
120. მ პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
121. ინტერნეტის ვებ-გვერდი, მიშელ ვან ესბროკი.
122. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22; შდრ. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
123. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21-22; შდრ. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
124. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.
125. მიშელ ვან ესბროკი, დასახ.ნაშრომი
126. Дворцовые разряды, СПБ, т.1, 1850, გვ. 291; შდრ. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
127. Собрание государственны грамот и договоров хранящихся в государственной коллегии иностранных дел, ч.Ш, 1822, გვ. 291; შდრ. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.
128. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.
129. Путь Ризы Господней в Москву, http://niza.onthodoxy.ry.
130. Дворцовые разряды, СПБ., т.1, 1850, стр. 662 ; შდრ. Беляев С., Богослужение в честь Ризы Господней в Успенском соборе Московского Кремля, «Журнал Московской Патриархии», №7, 1996, с. 78.
131. Собрание государственных грамот и договор храняшихся в государственной колегии иностранных дел, ч. Ш, 1822, стр. 290; შდრ. История русской церкви Макария Митрополита Московского и Коломенского, т.Х1, СПБ., 1882, с. 65.
132. Путь Ризы господней в Москву, შდრ. Храм в честь Положения Ризы Господней на Донской http://niza.onthodoxy.ru.
133. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.
134. იქვე.
135. იქვე.
136. С. Коварская, Православные святыни в соборах Московсого Кремля, ინტერ-

ნეტის ვებ-გვერდი http://WWW.min.vosknes.nu/minbo09/a, стр.17
137. Н. Енеева, Частица Ризы Спасителия – в Московском Кремле. «Журнал Московской Патриархии», №7, 1996, გვ. 71.
138. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.
139. იქვე, გვ. 69.
140. ს. კოვარსკაია. დასახ. ნაშრომი, გვ. 1-2; შდრ. Христианские реликвии в Московском Кремле, М., 2000, с. 75; შდრ. И. Качалов, История пребывания Ризы Господней в Москве, «Журнал Московской Патриархии», №11, 1996, с. 74.
141. Д. Соколов-Митрич, Найдена Риза Иисуса, которую долгие годы прятали от большевиков, иетернет-сайт, «Сакартвело.ру», გვ. 1-2.
142. Христианские реликвии в Московском Кремле, М., 2000, стр. 74; შდრ. ნ. ენეევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.
143. Частичку Ризы Господней передали Православвной церкви, интернет-сайт http://yaroslacel, nfn.ru/region
144. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.
145. იქვე, გვ. 70-72.
146. გ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.111.
147. Полный церковно-славянский словарь, М., 1899, с. 653.
148. M. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1640-1640, Тб., 1937 с. 89.
149. ა. ნატროშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.
150. ს. ბელოკუროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
151. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
152. ნიკოლოზ I ქართლის კათალიკოს-პატრიარქის მიერ შედგენილი „საკითხავი სუეტის ცხოველისა კუართისა საუფლო სა და კათოლიკე ეკლესიისა“, 1908, გვ. 96-97; შდრ. აღწერა სუეტისა ცხოველის სასწაულებისა, მცხეთა, 2003, გვ. 26-27.
153. С. Браиловский, Новый вариант повести о Ризе Господа нашего Иисуса Христа. «Библиограф», СПБ, 1889, №1, გვ. 20-21; შდრ. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71-72.
154.Положение Ризы Господней (10 июля). «Воскресное чтение», издаваемый при Киевской духовной Академии, №14, 1840, გვ. 25-27; ე. მამისთვალიშვილი, გვ. 86-87.
155. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.
156. Н. Енеева, Частица Ризы Спасителя в Московском Кремле, «Журнал Московской Патриархии», №7, 1996, გვ. 69.
157. იქვე.
158. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.
159. მ. პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.
160. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.
161. იქვე, გვ. 75.
162. მ. პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112-113.
163. იქვე, გვ. 118.

164. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.
165. მ. პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.
166. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.
167. იქვე.
168. მ. პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.
169. С. Белокуров, Арсений Суханов, ч.1, М. 1881; შდრ. ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, XVII საუკუნის რუსული მასალები საქართველოს შესახებ); თბ., 1965, გვ. 74-79.
170. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.
171. ციტირებული ე. მამისთვალიშვილის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 77; შდრ. მ. პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313-314.
172. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77. შდრ. მ. პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 350-351.
173. მ. პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი. გვ. 353.
174. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.
175. ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ.
176. იქვე, გვ. 76.
177. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.
178. ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 73.
179. Жузе П., Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария, Казань, 1905, გვ. 47; შდრ. მაკარ ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, კრებული „არმაღანი“. გვ. 113.
180. გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 8-9; შდრ. ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
181. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 275.
182. ცხოვრება საქართველო სა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 83.
183. იქვე, გვ. 83.
184. П. Иоселиани, Жизнь великого Моурава, Княз Георгия Саакадзе, Тифлис, 1848, გვ. 47.
185. იქვე.
186. ვახუშტი,აღწერა სამეფოისა საქართველოსი,რედ. თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი, თბ., 1941, გვ. 159; შდრ. ვ. პოტტო, საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, თბ., 1894, გვ. 37.
187. პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47; შდრ. ს. სხირტლაძე, გადანახული საგანძურიდან, თბ., 1965, გვ. 79.
188. კ. ჩოლოყაშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საჭურვლის ფონდის ისტორიისათვის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 191, XXII - B, გვ. 389.

189. იქვე, გვ. 390; შდრ. პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39-41.
190. გაზეთი „ივერია“, 1898, №35.
191. მ. პოლიევქტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.
193. არაქელა დავრიჟელი, ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974, გვ. 28.
194. Энциклопедия православной святости в двух томах, т. 1, М., 1997, с. 142. შდრ. ნ. ტოროშელიძე, სასწაულმოქმედი ხატები, ჟურნ. „კარიბჭე“, გვ. 40-41.
195. თ. კვანტალიანი, „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის დიდების“ ხატის ახალი ინტერპრეტაციის თაობაზე, „საპატრიარქოს უწყება“, 2004, №43, გვ. 12-13.
196. აღწერა სუეტისა ცხოველის სასწაულებისა, შედგენილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის მიერ, (XII ს.), მცხეთა, 2003, გვ. 30.
197. მ. ქურდიანი, კვართი უფლისა და ქართული მესიანიზმი, გაზეთი „კვართი უფლისა“, საქართველოს საპატრიარქოს ერთდროული გამოცემა.
198. ე. ჭელიძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიიდან, ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, 1997, №1, გვ. 8.
199. კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 362.
200. ე. ჭელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
201. იქვე.
202. „მატიანე ქართლისა “, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1953, გვ. 83.
203. ე. ჭელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
204. პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. III, თბ., 1965, გვ. 102.
205. ქართული მწერლობა, ტ. I, 1982, გვ. 273.
206. ნიკოლოზ გულაბერიძე, საკითხავი სუეტისა ცხოველისა... გვ. 26.
207. იქვე, გვ. 113.
208. იქვე, გვ. 26.
209. ს. ბარნაველი,საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, ნარკვევები, თბ., 1965, გვ. 142.
210. დ. კლდიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო გერბის კვართის ისტორია, ჟურნალი „ომეგა“, 2001, №6, გვ. 106-107.
211. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.
212. Der Heiling Rosk zu Trier, col. 136.
213. სადღესასწაულო, გვ. 1865, გვ. 157.
214. იქვე, გვ. 158
215. იქვე, გვ. 159
216. გაზეთი „კვართი უფლისა“, საქართველოს საპატრიარქოს ერთდროული გამოცემა.
217. მ. ქურდიანი, დასახ. ნაშრომი.

2. „სამსჭვალნი ხელთანი“, „ფერხთა ფიცარნი“, „ძელი ჭეშმარიტი“ და მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები საქართველოში

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ, 115.
2. იქვე, გვ. 117.
3. იქვე, გვ. 117-118.
4. „მოქცევა ქართლისა “, შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 323; შდრ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963, გვ. 86-87.
5. მ. დვალი, მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1974, გვ. 34; მისივე, ქრისტეს ჯვრის სამსჭვალი, გაზეთ „რაეო“, 2000, აპრილი.
6. მ. დვალი, ქრისტეს ჯვრის სამსჭვალი, გაზეთი „რაეო“, 2000, აპრილი.
7. გ. საძაგელოვი-ივერიელი, „მოთხრობა ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მიჭედილი იყო ჯვარზე იესო ქრისტე“, ჟურნალი „მწყემსი“, 1892, №1, გვ. 13.
8. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 228-229.
9. იქვე, გვ. 229.
10. გ. საძაგელოვ-ივერიელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.
11. მ. დვალი, ქრისტეს ჯვრის სამსჭვალი, გაზეთი „რაეო“, 2000, აპრილი.
12. „მოქცევა ქართლისა “, შატბერდის კრებული, გვ. 326.
13. იქვე, გვ. 327.
14. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 123.
15. მ. დვალი, მანგლისი, გვ. 34.
16. მ. დვალი, ქრისტეს ჯვრის სამსჭვალი, გაზეთი „რაეო“, 2000, აპრილი.
17. ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.
18. П. Иоселиани, История Грузинской церкви, СПБ, 1845, с. 13.
19. გ. საძაგელოვ-ივერიელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.
20. პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
21. მ. დვალი, ქრისტეს ჯვრის სამსჭვალი, გაზეთი „რაეო“, 2000, აპრილი.
22. პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
23. მ. დვალი, ქრისტეს ჯვრის სამსჭვალი.
24. Досифей Нотара, патриарх Иерусалимский, История иерусалимских патриархов, перевод с греческого, 1840, с. 88; შდრ. ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, თბ., 2003, გვ. 63.
25. მაკარი ანტიოქიელი, „ცნობები საქართველოს შესახებ“, არაბულად თარგმნა თინა მარგველიშვილმა. კრებული „არმაღანი“, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982, გვ. 111.
26. Белокуров С., Посольство дьяка Федота Елчина и священика Павла Захарьева в Дадианскую землю 1639-1640 гг. книга «Материалы для Русской истории», Москва, 1888, с. 327.

27. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბ., 1973, გვ. 73.
28. ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63; შდრ. ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 452.
29. კ. საძაგელოვ-ივერიელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.
30. ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 458.
31. А. Муравьев, Грузия и Армения, част 2, СПБ., 1848, с. 125-126.
32. მ. კეზევაძე, საკანდიდატო დისერტაცია „გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს“, თბ., 2005, გვ. 103. დისერტაცია დაცულია ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; მისივე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006, გვ. 155.
33. ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 845.
34. ციტირებული გ. საძაგელოვ-ივერიელის ნაშრომიდან „მოთხრობა ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მიჭედილი იყო ჯვარზე იესო ქრისტე“, ჟურნალი „მწყემსი“, 1892, №3-4, გვ. 22.
35. ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 276.
36. М. Броссе, Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями, от 1659-го по 1770 г., С-Петербург, 1861, с. 200.
37. მ. დვალი, ქრისტეს სამსჭვალი, გაზ. „რაეო“.
38. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 117.
39. ზ, ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი ისტორიული ნარკვევი, თბ., 1989, გვ. 14.
40. იქვე, გვ. 19.
41. იქვე, გვ. 14.
42. იქვე, გვ. 8.
43. იქვე, გვ. 10.
44. ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 157.
45. ი. ცინცაძე, ალექსი იევლევის 1650-1652 წლებში იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ., 1969, გვ. 107.
46. თ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, კრებული, ძველი საქართველო, ტ. III, ტფ. 1914, გვ. 148.
47. კალისტრატე (ჩიჩუა), ხობის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო, ახალსენაკი, 1894, გვ. 17.
48. ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.
49. იქვე, გვ. 241.
50. ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 157.
51. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, 1959, с. 422.
52. გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, მოქვი, ხობი), თბ., 2004,

გვ. 188.
53. С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дадианскую землю (1639-1640), книга, «Материалы для Русской истории», Москва, 1888, с. 326.
54. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 157.
55. ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის), თბ., 1965, გვ. 77.
56. გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.
57. მღვდელი პლატონ ხუროშვილი, სვეტიცხოვლის ტაძარი, გაზეთი „ივერია“, 1889, №36.
58. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა, შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), გვ. 73.
59. ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 275.
60. С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дадианскую землю; შდრ. გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.
61. იქვე, გვ. 322.
62. С. Белокуров, Дело о присылке шахом Аббасом Риза Господин царю Михаилу Феодоровичу 1652, с. 18.
63. მღვდელი პლატონ ხუროშვილი, დასახ. ნაშრომი.
64. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბ., 1973, გვ. 73.
65. С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дадианскую землю (1639-1640), с. 360.
66. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა ბ. გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 176.
67. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), გვ. 73.
68. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, კრებული, „ძველი საქართველო“, ტ. III, ტფ. 1913-1914, გვ. 240.
69. მღვდელი პლატონ ხუროშვილი, დასახ. ნაშრომი.
70. დ. ნინიძე, წმინდა გიორგის კულტის ისტორიიდან საქართველოში, ჟურნალი „მნათობი“, 1991, №11-12, გვ. 164.
71. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 156.
72. პლატონ იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, თბ., 1973, გვ. 97.
73. ციტირებული პლატონ იოსელიანის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 98.
74. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქალაქ თბილისში, ისტორიული მიმოხილვა მღ. პ. კარბელაშვილისა, ტფ., 1982, გვ. 38.
75. М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, Тб. 1937, с. 65.
76. მღვდელი პლატონ ხუროშვილი, დასახ. ნაშრომი.
77. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 357-358.
78. Центргосархив г. Кутаиси, Ф. №21, дело, № 7231, л. 18-19; აღნიშნული ცნობა მოგვაწოდა ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. კეზევაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. იხილეთ მისივე საკანდიდატო დისერტაცია „გელათის მონასტერი ეგზარქოსობის პერიოდში“, დისერტაცია დაცულია ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გვ. 95.
79. იქვე.
80. იქვე, ფურცელი 19.
81. მ. კეზევაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.
82. ლ. ცერაძე, წილკნის საეპისკოპოსოს ისტორიისათვის, თბ., 2001, გვ. 67-68.

III თავი. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში

1. ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხისათვის

1. მ. დოლაქიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974, გვ. 77.
2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 20; შდრ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბ. 1971, გვ. 228.
3. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, გვ. 20;
4. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 108.
5. იქვე, გვ. 116.
6. იქვე, გვ. 117.
7. იქვე, გვ. 108.
8. იქვე.
9. იქვე.
10. იქვე, გვ. 110.
11. ო. ქვრივიშვილი, სვეტიცხოვლის მისტერია, თბ., 2002, გვ. 179.
12. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 38.
13. იქვე.
14. იქვე.
15. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1968, გვ. 131-132.

16. ცხოვრება ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, თარგმნილი რუსულითგან ქართულად მღვდლის თადეოზ კანდელაკის მიერ, გამოცემული „საქართველოს სასულიერო მახარებლის“ რედაქციისაგან, თბ., 1865, გვ. 68-69.

17. იქვე, გვ. 70-71.

18. ო. ქვრივიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180-181.

2. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და მის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები საქართველოში

1. С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дадианскую землю (1639-1640 гг.) книга «Материалы для Русской истории» 1888, с. 352.

2. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (მუხლობრივი აღწერილობა), რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1969, გვ. 129.

3. ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 112.

4. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 131.

5. ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, გვ. 112.

6. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 130.

7. მღვდელი პლატონ ხუროშვილი, სვეტიცხოვლის ტაძარი, გაზეთი „ივერია“, 1898, №36.

8. ლ. ბერაია, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და წმინდა ნაწილები, ზუგდიდი, 2000, გვ. 5; შდრ. გ. კალანდია ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004, გვ. 187.

9. ლ. ბერაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 6; შდრ. გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

10. ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, კრებული ძველი საქართველო, ტ. III, ტფ. 1913-1914, გვ. 154.

11. გვ. იქვე.

12. ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი, შემდგენელები: ანზორ სიჭინავა, გრიგოლ ჩიტაია, ხობი-თბილისი, 2000, გვ. 17.

13. ხობის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო, შედგენილი და გამოცემული მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს მიერ, ახალ-სენაკი, 1894, გვ. 28.

14. იქვე, გვ. 28-29.

15. ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების სერია, 1973, №2, გვ. 83.

16. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა თბ., 1941, გვ., 167.

17. ხობის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო, შედგენილი და გამოცემული მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს მიერ, გვ. 29.

18. С. Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дадианскую землю (1639-1640 гг.), с. 373; შდრ. გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

19. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), გვ. 142.

20. იქვე.

21. იქვე.

22. იქვე, გვ. 143.

23. ლ. ბერაია, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და წმინდა ნაწილები, ზუგდიდი, 2000, გვ. 10.

24. ნ. ასათიანი, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), გვ. 71.

25. მაკარი ანტიოქელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა, კრებული „არმაღანი“, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982, გვ. 112-113.

26. გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), „საისტორიო მოამბე“, 23-24, თბ., 1970, გვ. 162-163.

27. ე. ვარძიელი (ე. ბუბულაშვილი), კათოლიკე მისიონერები ქართული ეკლესიის სიწმინდეების შესახებ, გაზეთი „საბა“, 1998, №3.

28. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 156.

29. იქვე.

30. იქვე, გვ. 156-157.

31. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ, თბ., 1991, გვ. 123-124.

32. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 176.

33. იქვე.

34. იქვე, გვ. 172.

35. გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 2004, გვ. 198-204.

36. С. Снесорова, Земная жизнь Пресвятой Богородицы и описание святых чудотворных ее икон, Ярослав, 1997, გვ. 81-82; შდრ. გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 198-199.

37. И.С. Ненакромова, Государственный музей Московского Кремля, М., 1991, стр. 187.

38. ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინოპოლისა სპარსთა და სკვითთა ზედმოსვლისაგან 625-632 წწ., ტფ. 1903, გვ. 15.
39. С.Д. Сказкин, История Византии, Т. V, М., 1998, с. 47.
40. იხ. გ. კალანდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.
41. ს. სნესოროვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.
42. იქვე, გვ. 83.
43. ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი, შემდგენელები ანზორ სიჯინავა, გრიგოლ ჩიტაია, გვ. 17.
44. ხობის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო, გვ. 49-50.
45. ლ. ბერაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.
46. პ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 99.
47. М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, Тб., 1937, стр. 65.

3. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი

1. А.Н. Муравьев, Грузия и Армения, часть III, СПБ, 1848, с. 279-282; შდრ. La Mingrelie (ancienne Colchide) par J. Mourier, Odessa, 1883, pag. 377-379; ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები, ს. ცაიშვილის რედაქციით., თბ., 1939, გვ. 46-53.
2. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ერთი რელიქვიის ისტორიისათვის (მარიამ ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო), ჟურნალი „ანალები“, 1999, №1, გვ. 6-12; შდრ. გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 1904, გვ. 204-205.
3. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-587. ამბროსი ხელაიას აღნიშნული შრომა ახლახანს გამოქვეყნდა, იხ. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ; 2006, გვ. 634-658.
4. Филарет (Гумилевский), Жития святых, август 31.
5. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-587.
6. Сказания о земной жизни пресвятой Богородицы, გვ.17.
7. А.Н. Муравьев, Грузия и Армения, часть Ш, СПБ, 1848, с. 280;
8. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-587.ფურც. 24.
9. ეპისკოპოსი ფილარეტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 303.
10. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q-587, ფურც. 26.
11. ეპისკოპოსი ფილარეტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.
12. მოხილვა წმინდანთა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლის მთავარ-ეპისკოპოსისა, გამოცემული პ. იოსელიანისაგან. ტფ. 1852, გვ. 61, სქოლიოში 36 შენიშვნა პ. იოსელიანისა.
13. ცხოვრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისა, ქუთაისი, 1903, გვ. 37.
14. П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866, с.17.
15. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ერთი რელიქვიის ისტორიისათვის, გვ. 10.

16. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q–587, ფურც. 26; შდრ. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, გვ. 644.
17. გ. კალანდია, დასახ. ნაშრ. გვ. 211.
18. ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 10.
19. გ. კალანდია, დასახ. ნაშრ. გვ. 206.
20. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q –587,
21. ი. მეუნარგია, დასახ. ნაგრ. გვ. 49.
22. გ. კალანდია, დასახ. ნაშრ. გვ. 210.
23. Каптерев, Характера отношение России К пр. в.в. XV1-XVII столетия, с. 85-86.
24. გ. კალანდია, დასახ. ნაშრ. გვ. 211.
25. АКТЫ, т.П, стр. 513-514.
26. М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношении, 1615-1660, Тб., 1937, с. 201.
27. იქვე, გვ. 314.
28. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q –587, ფურც. 26; შდრ. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, გვ. 646.
29. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფო სა საქართველო სა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 847.
30. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 91.
31. იქვე, გვ. 92.
32. პ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 98.
33. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1464, №1, საქმე №33, ფურც. 57.
34. АКТЫ, т.П, გვ. 514.
35. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q –587, ფურ.. 29.
36. ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი – დავით დადიანი, გვ. 50.
37. АКТЫ, т. П, с გვ. 504.
38. იქვე გვ. 513-514, შდრ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q –587, ფურც. 30.
39. ნიკო დადიანი, ქართველთა ცხოვრება, ტექსტი გამოცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 195.
40. იქვე, გვ. 195.
41. ც. ქირია, შ. სარია, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (XIX ს. I ნახევარი), თბ., 1967, გვ. 25.
42. იქვე.
43. ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
44. ციტირებული გ. კალანდიას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 210.
45. ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-48.
46. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, კრებუ-

ლი „ძველი საქართველო“, ტ. III, თბ., 1913-1914, გვ. 198.

47. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, თბ., 1934, გვ. 3.

48. А.Н. Муравьев, Грузия и Армения, часть Ш, СПБ, с. 282.

49. La Mingrelie (ancienne Colchide) Par J. Mourier, Odessa, 1883, p. 378-379. აღიშნული მასალა ქართულად გვითარგმნა პედაგოგმა დარეჯან კიკოლიაშვილმა.

50. გ. ჟორდანია, დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1989, გვ. 33-34.

51. ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრ. გვ. 52-53, შდრ. გ. კალანდია, დასახ. ნაშრ. გვ. 212-213; ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატისა და მისი კიოტის ფოტო მოგვაწოდა შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ფონდების მცველმა გიორგი გაგოშიძემ. ხოლო შესავალ ნაწილში გამოყენებული დ. ერმაკოვის ფოტოკოლექციის მასალები გადმოგვცა ამავე მუზეუმის ფოტოთეკის განყოფილების ექსპერტ-კონსულტანტმა ეთერ ბაიბუხაშვილმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ.

52. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q –587, ფურც. 26.

53. იქვე.

54. ა. მურავიოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 281.

თავი IV. წმინდა მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში და მათ სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები

1. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I., თბ., 1996, გვ. 48; შდრ. მ. ფირჩხაძე, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 328, 1999, გვ. 236-237.

2. ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, ჟურნალი „მოამბე“, 1899, №5-6, გვ. 45.

3. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 30.

4. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 82.

5. ციტირებულია პ. ინგოროყვას დასახ. ნაშრომიდან, გვ. 323.

6. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-95, ფურც. 161-162.

7. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 167.

8. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

9. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ, IV, ნაკვეთი I, 1940, გვ. 57-58; შდრ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, ტ. VII, გვ. 115.

10. გეორგიკა, ტ. VII, გვ. 116.

11. იქვე.

12. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. I, 1940, გვ. 115.

13. В. Василовский, Хождение Апостола Андрея; Труды: I, 1909: стр. 227; შდრ. ს. გოგიტიძე, ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში, ჟურნალი „ჭოროხი“, 1990, №4, გვ. 72.

14. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს), თბ., 1960, გვ. 112.

15. იქვე, გვ. 12-13.

16. მ. კობიაშვილი, ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლათა“ გამოძახილი ქართულ მწერლობაში, ლიტერატურა და ხელოვნება, 1998, №4, გვ. 47-48.

17. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი გვ. 212.

18. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1982, გვ. 414.

19. ვ. ბააკაშვილი, „ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის“ ექვთიმესეული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები (V-XIII სს.), თბ., 1965, გვ. 65; შდრ. მ. კობიაშვილი, ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლათა“ ჟანრული თავისებურებისათვის, ლიტერატურა და ხელოვნება, 1998, №2, გვ. 47.

20. მ. კობიაშვილი, ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლათა“ გამოძახილი ქართულ მწერლობაში, ლიტერატურა და ხელოვნება, 1998, №4, გვ. 52.

21. ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონსაძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959, გვ. 013.

22. დაწვრილებით იხ. მ. კობიაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57.

23. მ. ფირჩხაძე, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 328, 1999, გვ. 226.

24. დ. ბერძენიშვილი, წმინდა ანდრია მოციქულის ნაკვალევი საქართველოში, კრებული ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში, თბ., 2004, გვ. 77.

25. ეფრემ მცირე, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

26. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, თბ., 1984, გვ. 56.

27. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბ., 1986, გვ. 172.

28. ციტირებული კ. კეკელიძის ნაშრომიდან „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია,“ ტ. I, თბ., 1980, გვ. 40.

29. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.I, თბ., 1996, გვ. 41.

30. მ. ფირჩხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 232.

31. ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, „მოამბე“, 1900, №5-6, გვ.47.

32. ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე), ბიბლიოგრაფია წმ. ანდრია მოციქულზედა, ჟურნალი „მოგზაური“, 1901, №12, გვ. 1189.

33. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, ტფილისი, 1909, გვ. 109-108.

34. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერ-

ის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 38.

35. იქვე, გვ. 41-42.

36. იქვე, გვ. 42-43.

37. ი. ბიბილეიშვილი, ნ. მგელაძე, პირველად დიდაჭარაში, გაზეთი „აჭარა“, 2000, №104-105.

38. ვ. ლიჩელი,ანდრია მოციქული სამცხეში – არქეოლოგიური რეალობა, მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000, გვ. 108-109.

39. თ. ბიბილეიშვილი, ნ. მგელაძე, დასახ. ნაშრომი.

40. იქვე.

41. დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

42. ზ. თოლორდავა, ზეკარის ხეობის ტოპონიმიკა, ქუთაისი, 2002, გვ. 26. ზეკარისა და ხარაგაულის რკინის ჯვრის ფოტომასალები მოგვაწოდა საქართველოში ანდრია მოციქულის მიმოსვლის გზის დამდგენი მუდმივმოქმედი ექსპედიციის კოორდინატორმა მიხეილ ფხაჭიაშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

43. ნ. დამბაშიძე, წმინდა ანდრია პირველწოდებულის „ეთნოგრაფიული გზების“ კვალდაკვალ, საქართველოს საპატრიარქო“, სამეცნიერო ჟურნალი, №4, 2001, გვ. 93.

44. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 132.

45. იქვე, გვ. 133.

46. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1876, გ. 175.

47. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, თბ., 1913 – 1914, გვ. 39.

48. გეორგიკა, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვეთი I, თბ., 1941, გვ. 58-59.

49. ციტირებულია ვ. ბააკაშვილის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 62.

50. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1979, გვ. 325.

51. თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთისა და ჯიქეთის შესახებ, კრებული აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998, გვ. 108.

52. იქვე, გვ. 110.

53. იქვე, გვ. 108.

54. ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), თბ., 1973, გვ. 72.

55. ციტირებულია პ. ინგოროყვას დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 225.

56. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, თბ., 1996, გვ. 39; შდრ. ი. ბექირიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, თბილისი, 1991, გვ. 25; ს. გოგიტიძე, ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში, ჟურნალი „ჭოროხი“, 1990, №4, გვ. 74.

57. Angelika Feilhauer, Feste feiern in Deutschland, zurich, 2000, s.36. აღნიშნული მასალა მოგვაწოდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა თამარ შაკიაშვილმა.

58. ალექსი იევლევის 1650 – 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩების საანგარიშო აღწერილობა, რუსული ტექსტი თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1969, გვ. 107.

59. იქვე, გვ. 112. წმ. თომა მოციქულის თავის ქალის ფოტომასალის მოპოვებაში დახმარება გაგვიწია პროტოპრესვიტერმა გიორგი გამრეკელმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

60. Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю (1639 – 16400), с. 321.

61. მღვდელი პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქალაქ ტფილისში, ისტორიული მიმოხილვა, ტფ., 1902, გვ. 38.

62. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 224.

63. ზ. კიკნაძე, აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები, მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000, გვ. 258.

64. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 225.

65. იქვე.

66. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 264.

67. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. III, თბ., 1999, გვ. 90.

68. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 278.

69. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 479.

70. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ტ, III, გვ. 190-193; შდრ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 480-481.

71. იოანე ანჩელი, გალობანი ანჩისხატისანი, ძველი ქართული პოეზია,V – XII სს. თბ., 1979, გვ. 184-186.

თავი V. ქართველთა განმანათლებლის და მოციქულთასწორის წმინდა ნინოს მოღვაწეობა და მის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები

1. ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959, გ. 4.

2. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 58.

3. ე. ჭელიძე, გნოსტიკური ხასიათის ძეგლი, მნათობი, 1983, №12, გვ.

4. ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 8.

5. ბერნარდ უტიე, ორი ქადაგება წმიდისა დედისა ჩვენისა ნინოსი, კრებული „ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში“, თბ., 2004, გვ. 274.

6. მ. საბინინი, სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართუ ლოს წმინდანთა, თბ., 1882, გვ. 72.
7. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, გვ. 381.
8. პ. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 43.
9. ზ. სხირტლაძე, წმინდა ნინოს სახე ძველ ქართულ ხელოვნებაში, გაზ. „სამშობლო“, 1990, №2.
10. მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შეს-წავლის პრობლემები, თბ., 1987, გვ. 12.
11. ზ. ალექსიძე, „ქართველ ებრაელთა“ საღმრთო მისია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვალთახედვით, ჟურნალი „ივერია“, 1992, №1, გვ. 37.
12. მ. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
13. რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, 1992, გვ. 8.
14. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბუ-ლაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურ-ციკიძემ, თბ., 1971, გვ.5.
15. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI - XVIII სს), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1968, გვ. 128.
16. გეორგიკა, ტ.I, თბ., გვ.194.
17. გეორგიკა, ტ, I, გვ. 194.
18. იქვე, გვ. 197.
19. მ. ჩხარტიშვილი, დასახ,. ნაშრომი, გვ. 36.
20. იქვე, გვ. 62.
21. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 204.
22. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 172.
23. ნ. ციხისთავი, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ქართული და რუსული რედაქციების ზოგი ეპიზოდის ურთიერმიმართება, მაცნე, ენისა და ლიტერა-ტურის სერია, 1993, №2, გვ. 65.
24. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ის-ტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 114.
25. ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრება და მისი მნიშ-ვნელობა საქართველოს ისტორიაში, ტფ., 1912, გვ. 13; შდრ. Н. Марр, Исторический очерк грузинской церкви, Церковные ведомости, №3, 1907, с. 121.
26. ნ. შიოლაშვილი, წმ. ნინოს ნამდვილი სახელის წარმოშობის საკითხ-ისათვის, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, IX, თბ., 2000, გვ. 45-46.
27. ლ. პატარიძე, ტყვე ქალი ნინო, ჟურნალი „რელიგია“, 1993, №4, გვ. 22.
28. იქვე, გვ. 22-27; შდრ. ზ. კიკნაძე, ქართლის მოქცევის ფოლკლორული ვარიანტები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, №1.
29. ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99-104.

30. ლ. პატარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.
31. შატბერდის კრებული, გვ. 354.
32. იქვე, 339.
33. ვ. გურგენიძე, წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, თბ., 1995, გვ. 49.
34. შატბერდის კრებული, გვ. 336.
35. ვ. გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.
36. ჟურნალი „კავკასიონი“, 1954, №7, გვ. 15.
37. ზ. სხირტლაძე, დასახ, ნაშრომი.
38. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბ., 1971, გვ. 17.
39. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერ-ის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 104.
40. იქვე, გვ. 102.
41. იქვე, გვ. 130.
42. П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тифлиси, 1866, с.123.
43. ქ. ასათიანი, ვაზის ჯვრის ისტორიიდან, საქართველოს სიძველენი, 4-5, თბ., 2003, გვ. 35.
44. ძველი ქართული წიგნი III, გვ. 75.
45. პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121-123.
46. იქვე, გვ. 124.
47. ქ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38-39.
48. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელი-ას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 148.
49. იქვე.
50. АКТЫ, Т.I, გვ.534-535.
51. იქვე, გვ. 536.
52. იქვე.
53. იქვე, გვ. 535.
54. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S –16
55. П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тиф., 1866, с. 120.
56. დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე, თბილისის საკათედრო ტაძარი, ჟურნა-ლი „ჯვარი ვაზისა“, №4, 1991, გვ. 70.
57. პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
58. იქვე.
59. შატბერდის კრებული, გვ. 354.
60. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 119.
61. „მოქცევა ქართლისა ,“ გვ. 337.
62. თ. საყვარელიძე, XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, ნაკვეთი პირველი XIV-XVI საუკუნეები, თბ., 1987, გვ. 32.
63. იქვე.
64. Г. И. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948, с.4.
65. „მოქცევა ქართლისა ,“ გვ. 237.
66. თ. საყვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

67. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 129.

68. იხ. ჯ. ლომაშვილი, ვ. აბრამიშვილი, ბოდისისა და ბოდბის შესახებ, ჟურნალი „ცისკარი“ №4, თბ., 1972; შდრ. ლ. მირიანაშვილი, ბოდისი, ბოდბის ლოკალიზაციისა და წმინდა ნინოს ნეკროპოლის საკითხისათვის, თსუ სიღნაღის (კახეთის) ფილიალი, სამეცნიერო შრომათა კრებული, 2004, გვ. 41-61 და სხვა.

69. А. Натроев, Мцхета и его собор Свети-Цховели, Тифлис, 1900, с.152.

თავი VI. ასურელი მამების მოღვაწეობა და მათ სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები

1. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 29.

2. იქვე, გვ. 81.

3. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 32.

4. დ. ხოშტარია, უძველესი მონასტრები საქართველოში, საერთაშორისო სიმპოზიუმი ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი, 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2000, გვ. 102-103.

5. ვ. გოილაძე, საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში, ჟურნალი „მნათობი“, №5-6, 1992, გვ. 192

6. დ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი.

7. მ. ჩხარტიშვილი, დავითგარეჯის ქვაბოვანი მონასტრის ისტორიის ჰაგიოგრაფიული წყაროები, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის კლდის ძეგლები, თბ., 2001, გვ. 137.

8. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ და სხვებმა, თბ., 1963, გვ. 191.

9. ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 208.

10. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.25.

11. G. Peradze, Die Anfange des Monchtunis in Georgien, Gotha, 1927, გვ. 32; შდრ. რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, გვ. 32; კ. კეკელიძე, დასახ, ნაშრომი, გვ. 25.

12. კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 24.

13. იქვე, გვ. 25.

14. იქვე.

15. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1968, გვ. 209-245.

16. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 207.

17. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები

გამოკვლევებითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბ., 1956, გვ. VII.

18. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, წიგნი IV, გვ. 212.

19. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

20. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1980, გვ. 534.

21. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 219-231.

22. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 208.

23. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გვ. 209.

24. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 18.

25. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 207.

26. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 86.

27. დაწვრილებით იხილეთ კ. კეკელიძის ეტიუდები, ტ. I, გვ. 36; შდრ. ვ. გოილაძე, საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში, ჟურნალი „მნათობი“, 1992, №5-6, გვ. 199; დ. მერკვილაძე, ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო, თბ., 1996.

28. ციტირებული დ. მერკვილაძის შრომიდან: „ასურელ მამათა აღმსარებლობა“, ჟურნალი „რელიგია“, 1998, №1-2, გვ. 15.

29. დაწვრილებით იხილეთ ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაციის შესახებ VI საუკუნის კავკასიაში, მაცნე, ისტორიის სერია, 1974, №1; მისივე, მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, №3; დ. მერკვილაძე, ასურელ მამათა აღმსარებლობა, ჟურნალი „რელიგია“, 1998, №1-2, გვ. 14-25.

30. კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები, ტ. I, თბ., 1956, გვ. 40-41; შდრ. ვ. გოილაძე, საიდან და როდის მოვიდნენ სირიელი მამები საქართველოში, „მნათობი“, 1992, №5-6, გვ. 195; მისივე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002, გვ. 125-139.

31. ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, გვ. 82.

32. ე. გაბიძაშვილი, ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. წ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, №4, გვ. 45.

33. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 199.

34. იქვე, გვ. 224.

35. იქვე, გვ. 225.

36. ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 38.

37. იქვე.

38. მიხეილ საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 199.

39. ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 65.

40. იქვე.
41. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, თბ., 1962, გვ. 270.
42. ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 50.
43. იქვე.
44. იქვე, გვ. 46.
45. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 535-536.
46. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 268.
47. П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тиф. 1866, стр. 42; Кирион Епископ, Давид Гареджийский и его лавра, Тиф. 1901; კალისტრატე ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ, თბ., 1994, გვ. 10.
48. კ. ცინცაძე; ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გვ. 118; შდრ. П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, стр. 42.
49. კ. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.
50. პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.
51. ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 278.
52. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, გვ. 232.
53. იქვე.
54. „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი I, ტფ., 1891, გვ. 153.
55. კირიონ საძაგლიშვილი, ამბავი დავით გარეჯის უდაბნოს საკვირველმოქმედი მადლის ქვისა, თბ., 1899, გვ. 34. XIX ს. შუა ხანებში მოღვაწე არქიმანდრიტ ტარასი ალექსი-მესხიშვილის მიერ შეკრებილი ცნობებით ირკვევა, რომ დავით გარეჯის წინამძღვარი ილარიონი იყო გვარად ვაჩნაძე. ვაჩნაძედ მიიჩნევს მას აგრეთვე მღვდელ-მონაზონი კალისტრატე (ჩიჩუა), იხ. წმინდა დავით გარეჯელის უდაბნო, შედგენილი მღვდელ-მონაზონ კალისტრატესაგან, თბ., 1884, გვ. 15.
56. კირიონ საძაგლიშვილი, ამბავი დავით გარეჯის უდაბნოს საკვირველმოქმედი მადლის ქვისა, გვ. 4.
57. იქვე, გვ. 35.
58. იქვე, გვ. 36-37.
59. ნ. ღამბაშიძე, წმ. დავით გარეჯელთან დაკავშირებული დღესასწაულები, საქართველოს სიძველეები, 2003, №4-5, გვ. 47.
60. იქვე, გვ. 48.
61. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 269.
62. ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი I, გვ. 236.
63. კირიონ საძაგლიშვილი, ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, საკვირველთ-მოქმედისა მარტყოფელისა, ტფ. 1899, გვ. 10.
64. იქვე, გვ. 13-14. წმ. ანტონ მარტყოფელის ფოტო მოგვაწოდა საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ ცხოვრებაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.
65. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 297.

66. ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003, გვ. 167.
67. ნ. ჩხიკვაძე, აპოკრიფები „ავგაროზის ეპისტოლის შესახებ“, ჟურნ. „გზა სამეუფო“, თბ., 1996, №1.
68. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 142.
69. იქვე, გვ. 156.
70. კირიონ საძაგლიშვილი, ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა, გვ. 11-12.
71. ზ. ალექსიძე, მანდილიონი და კერამიონი ძველ ქართულ მწერლობაში, ACADEMIA, 2001, ტ. I, გვ. 9-15; ი. ყარაულაშვილი, ანჩისხატი: კერამილიონი ჰიერაპოლისიდან თუ მანდილიონი ედესიდან? მრავალთავი, XX, თბ., 2003, გვ. 170-177.
72. თ. გეწაძე, ანჩისხატი, გაზეთი „მადლი“, 2002, ივნის-ივლისი; შდრ. მარიამ ილურიძე, ხელთუქმნელი ხატი და მასთან დაკავშირებული დღესასწაული საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, IV, 2002, გვ. 359-365.
73. სიონის ტაძრის მცირედი ცნობანი, თბ., 1946, გვ. 8-10.
74. დ. მერკვილაძე, სად ეწამა აბიბოს ნეკრესელი, მესხეთი (საისტორიო კრებული), თბილისი-ახალციხე, 2001, გვ. 69.
75. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, გვ. 194.
76. ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.
77. ქართული მწერლობა, წიგნი I, თბ., 1984, გვ. 257.
78. იქვე, გვ. 258.
79. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 218.
80. ე. კაჭარავა, ალავერდის საეპისკოპოსო, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1991, №1, გვ. 15.
81. ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.
82. ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი, თბ., 1998, გვ. 21.
83. კირიონ საძაგლიშვილი, ქართველი ბერ-მონაზვნებისა და მონასტრების დამაარსებლები სამამულო ეკლესიისა და საზოგადოების წინაშე, ჟურნალი „რელიგია“, 1998, №5-6, გვ. 32-33.

თავი VII. წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში.

1. Шарден Ж., Путешествие по Закавказью в 1672-1673 гг., Т., I., 1901, стр. 9.
2. ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება, თბ., 1991, გვ. 167.
3. А.Ристенко, Легенда св. Георгие и драконе и византийской и славянорусской литературе, Одесса, 1909, стр. 108.
4. ციტირებული ზ. გამსახურდიას ნაშრომიდან, ვეფხისტყაოსნის სახის-

მეტყველება, თბ., 1991, გვ. 171.
5. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 40.
6. იქვე.
7. ციტირებული თ. ნატროშვილის ნაშრომიდან „მაშრიყით მაღრიბამდე“, თბ., 1978, გვ. 67.
8. ციტირებულია დ. ნინიძის ნაშრომიდან, „წმინდა გიორგის კულტის ისტორიიდან საქართველოში“, ჟურნალი „მნათობი“, 1991, №11-12, გვ. 166.
9. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 300.
10. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1991, გვ. 14.
11. იქვე, გვ. 17-18.
12. იქვე, გვ. 19-24.
13. ლ. კვირიკაშვილი; ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხები (საგალობლები გიორგი მთავარმოწამისა), საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1975.
14. წმ. გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 25.
15. წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ ნაშრომთა გამოცემას დიდი ამაგი დასდო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ე. გაბიძაშვილმა, იხ. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში.
16. არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“, თბ., 1911, გვ. 16.
17. ო. ქვრივიშვილი, სვეტიცხოვლის მისტერია, თბ., 2000, გვ. 43.
18. ზ. გამსახურდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.
19. იქვე, გვ. 171.
20. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ტფ. 1938; ჟ. შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 197; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 108.
21. ნ. აბაკელია, ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენაში (წმინდა გიორგი), მაცნე, ისტორიის სერია, 1985, №3, გვ. 147; მისივე „ილორის წმინდა გიორგი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში“, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1997, №1, გვ. 77-78.
22. იქვე.
23. დაწვრილებით იხილეთ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 352-354.
24. წმ. გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 6.
25. ივ. ჯავახიშვილი, ქართველების წარმართობა, თხზულებანი თორმეტ

ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 92.
26. ს. მაკალათია, ჯეგე მისარიონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 19-40.
27. გ. ახვლედიანი, წმინდა გიორგი ქართულ ფოლკლორში, ჟურნალი „რელიგია“, 1993, №10-11, გვ. 105.
28. გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105; შდრ. ი. სურგულაძე, წმ. გიორგი ქართულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983.
29. გ. აკოფაშვილი, წმინდა გიორგის სახე ქართულ ფეოდალურ სტრუქტურაში, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VII, 1999, გვ. 186; შდრ. ზ. გამსახურდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.
30. ზ. გამსახურდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.
31. იქვე.
32. გ. აკოფაშვილი, დასახ, ნაშრომი, გვ. 187.
33. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 341.
34. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 8.
35. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.
36. მთა მზიანის გორაზე არსებული ლოდის ფოტომასალა გადმოღებულია ვ. ონიკაშვილის ნაშრომიდან „ფერეიდანი“, თბ; 2004, გვ. 15.
37. იოანე ბატონიშვილი, სჯულდება, ტექსტი გამოსცა და შესავალი დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1957, გვ. 40.
38. ზ. გამსახურდია, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.
39. კალისტრატე ცინცაძე, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ, თბ., 1994, გვ. 12.
40. დ. ნინიძე, წმინდა გიორგის კულტის ისტორიიდან საქართველოში, ჟურნალი „მნათობი“, 1992, №11-12, გვ. 167.
41. არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), დასახ. ნაშრომი, გვ. 16.
42. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 348.
43. ნ. აბაკელია, ქრისტიანული წმინდანები დასავლეთ საქართველოს რწმენა-წარმოდგენებში, გვ. 147.
44. ნ. აბაკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 149; მისივე ილორის წმინდა გიორგი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში, გვ. 78.
45. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ; 1948, გვ. 164.
46. გ. ტყეშელაშვილი, გელათის სიწმინდენი, ქუთაისი, 2005, გვ.4; შდრ. მ. კეზევაძე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, გვ. 155.
47. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650 – 1652 წწ., თბ., 1970, გვ. 111; ალექსი იევლევის 1650 – 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ., 1969, გვ. 129.
48. სცსსა, ფ. 489, ანაწ. 1, №6151, ფურც. 14. აღნიშნული წყარო მოგვაწოდა ისტორიკოსმა ანზორ სიჭინავამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახ-

სენებთ.

49. ალექსი იევლევის 1650 – 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა („მუხლობრივი აღწერილობა“), რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1969, გვ. 132.

50. დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

51. ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი I, თბ., 1907, გვ. 40.

52. რ. გიორგაძე, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები ზაგორსკის მუზეუმში, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1991, №2, გვ. 52.

53. М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, Тб., 1937, стр. 65.

54. რ. გიორგაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.

55. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 73.

56. გაზეთი „ივერია“, 1898, №35.

57. თ. ნატროშვილი, წელი ერთი და ათასი, თბ., 1988, გვ. 113-115; მისივე „არის შენს სამეფოში, ერთი მონასტერი გაგზავნე იქ შვილი შენი და განიკურნება ისიც“, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2000, 26 ივნისი – 2 ივლისი.

58. ლ. დავლიანიძე, ზაქარია ქანაქერცის ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 110.

59. დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

60. თ. ნატროშვილი, „არის შენს სამეფოში, ერთი მონასტერი“, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2000, 26 ივნისი – 2 ივლისი.

61. ინტერვიუ პროფ. კობა ხარაძესთან, „წმინდა ნაწილები საქართველოში“, გაზეთი „არგო“, 2000, 24-30 ოქტომბერი.

62. დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

63. ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 320-321.

64. დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

65. იქვე, გვ. 174.

66. იქვე.

67. იქვე, გვ. 175.

68. ალ. იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, გვ. 152.

69. იქვე, გვ. 152.

70. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 756.

71. იქვე, გვ. 344.

72. კ. ხარაძე, ჩხარის წმინდა გიორგის მონასტერი, თბ., 2003, გვ. 14.

73. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1998, №1, გვ. 113-114.

74. ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 344.

75. მ. ბულეიშვილი, ალექსანდრე ამილახვრის „ქართლის აღწერა“, ჟურნალი „ცისკარი“, 1986, №9, გვ. 145.

76. პ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის მოღვაწეობა, თბ., 1973, გვ. 97.

77. ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის), თბ., 1965, გვ. 73.

78. კალისტრატე ცინცაძე, ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ, თბ. 1994, გვ. 55. აღნიშნულის შესახებ მიგვითითა მკვლევარმა გოგი სარაჯიშვილმა, ხოლო ქაშუეთის ტაძრის წმ. გიორგის ხატის გადაღებაში დახმარება გაგვიწია ამავე ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

თავი VIII. წმინდა მამების სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში.

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 489, ანაწ. 1. საქმე №60612, ფურცელი 4.

2. გ. ტყეშელაშვილი, გელათის სიწმინდენი, დიდი სანაწილე, ქუთაისი, 2005, გვ. 13.

3. გაზეთი „ივერია“, 1898, №36.

4. Жития святых, святителя Димитрия Ростовского, Т. 7, февраль, Москва, 1998, стр. 355; შდრ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2004, გვ. 51.

5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2004, გვ. 37.

6. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921), თბ., 2005, გვ. 57.

7. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1969, გვ. 259.

8. იქვე, გვ. 260.

9. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბ., 1973, გვ. 72.

10. მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არმაღანი, თბ., გვ. 112.

11. М. Полиевктов, Материалы по историй грузино-русских взаимоотношений, 1615 – 1640, Тб., 1937, стр. 65.

12. რ. გიორგობიანი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები ზაგორსკის მუზეუმში, „ჯვარი ვაზისა“, 1990, №2, გვ. 57.

13. ლ. ბერაია, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და წმინდა ნაწილები, ზუგდიდი, 2000, გვ. 11; ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული სიწმინდეების ფოტომასალა მოგვაწოდა ამავე ქალაქში არსებული ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელზე აგებული ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა მალხაზ ჭანტურიამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

14. გაზ. „ივერია“, 1898, №36.

15. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1982, №2, გვ. 19.
16. იქვე; თეკლათის დედათა მონასტრისა და იოანე ნათლისმცემლის თითის ფოტოსურათი მოგვაწოდა სენაკის ეპისკოპოსმა შიომ (მუჯირი), რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.
17. ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 73.
18. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. III, გვ. 303.
19. გეორგიკა, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 224. გვ. 242; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1941, გვ. 76; გეორგიკა, ტ. VI, თბ., 1966, გვ. 203-205.
20. გეორგიკა, ტ. I, გვ. 224.
21. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2003, თბ., 2003, გვ. 30.
22. გეორგიკა, ტ. VI, გვ. 204.
23. Краткий очерк жизнии святого Иоанна Златоуста, Кострома, 1907, стр. 32; შდრ. Памятники Византийской литературы IV-IX веков, М., 1968, стр. 90; Абхазия и в ней Ново-Афонский Кананитский монастырь, стр. 123-124.
24. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно Кананитский монастырь, стр. 260; შდრ. История православной Werkви до начала разделения Werkви, СПБ., 1902, стр. 158.
25. Протоиерей Г. С. Дебольский, Дни богослужения православной церкви, Т. I. Москва, 1996, стр. 453.
26. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.), თბ., 2005, გვ. 95.
27. გაზეთი „მადლი“, 1997, №9, 18 სექტემბერი.
28. გ. ტყეშელაშვილი, გელათის სიწმინდენი, დიდი სანაწილე, ქუთაისი, 2005, გვ. 13; ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული წმინდა ნაწილების ფოტოები მოგვაწოდა ამავე მუზეუმის თანამშრომლებმა გივი და ლევან ტყეშელაშვილებმა, რისთვისაც მათ, დიდ მადლობას მოვახსენებთ.
29. გაზეთი „ივერია“, 1898, №36.
30. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვეთი I, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1941, გვ. 40-44.
31. იქვე, გვ. 54.
32. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. III, გვ. 60.
33. А. Брилиантов, О месте кончины и погребления св. Максима Исповедника, Христианский Восток, Т. VI, выпуск I, издание Россиической Академии Наук, Петроград, 1917, стр. 23; შდრ. ეპ. სტეფანე, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საქართველოში გადმოსახლების, მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილმდებარეობის დადგენისათვის, ჟურნალი „ხვამლი“, 2003, №3-4, გვ. 3-5.
34. ქ. მუშკუდიანი, ლეჩხუმის ისტორიიდან, ქუთაისი, 2001, გვ. 32.
35. ღირსი მაქსიმე აღმსარებლის კვალდაკვალ, ინტერვიუ ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოს სტეფანესთან, გაზეთი „აღმსარებელი“, 2004, №8; სენსაციური აღმოჩენა ლენტეხის მთებში, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2003, 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი.
36. იხ. ა. ბრილიანტოვი, დასახ. ნაშრომი.
37. კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, გვ. 94.
38. მ. ჩიქოვანი, ქართულ-ბერძნული მითოლოგიის საკითხები, თბ., გვ. 78-79.
39. წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1980, №1, გვ. 24.
40. ეპისკოპოსი სტეფანე, წმ. მაქსიმე აღმსარებლის საქართველოში გადმოსახლების, მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილმდებარეობის დადგენისათვის. ჟურნალი „ხვამლი“, 2003, №3-4, გვ. 10-11.
41. თ. ბერაძე, მაქსიმე აღმსარებელი საქართველოში, ქრისტიანობა, წარსული, აწმყო, მომავალი, 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო, მოხსენებითი მოკლე შინაარსები, თბ., 2000, გვ. 23.
42. ჯეფრი კარ-ჰარისი, მაქსიმე აღმსარებლის პიროვნების ფოლკლორიზაცია, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, №3, გვ. 65.
43. ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 270-271.
44. გაზეთი „ივერია“, 1898, №36.
45. ე. ხინთიბიძე, კაპადოკიელ წმინდა მამათა სადაურობისათვის, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1992, №3, გვ. 31-32.
46. დაწვრილებით იხილეთ ე. ხინთიბიძე, ბასილი დიდის სადაურობისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ-მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1962, №3, გვ. 125-151; მისივე „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის“, თბ., 1982, გვ. 207-372; გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბ., 1965; მისივე, „კვლავ „სამი კაპადოკიელის“ ვინაობის ირგვლივ“, „მნათობი“, 1971, №6, გვ. 88-104.
47. ე. ხინთიბიძე, ბასილი დიდის სადაურობისათვის, გვ. 151.
48. ბ. კილანავა, ბასილ და გრიგოლის კულტი საქართველოში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, №4, გვ. 87-101.
49. ეპისკოპოსი კირიონი, ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი, 1998, გვ. 21.
50. ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991, გვ. 27.
51. პ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 97.
52. ლ. ბერაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-14.
53. იქვე.
54. გ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11-16; შდრ. მ. კეზევაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.
55. პ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 77.
56. იქვე, გვ. 79.
57. ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 73.

58. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ., 1969, გვ. 108.

59. გაზეთი „ივერია“, 1898, №36.

60. ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 4-6; შდრ. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარ-ბალ-ბარბარ), თბ., 1941, გვ. 7.

sarCevi

winaTqma 5
Sesavali 7

Tavi I

Zveli aRTqmis siwminde – wminda elias xaleni saqarTveloSi 20
Tavi II 27
macxovris saxelTan dakavSirebuli
siwmindeebi saqarTveloSi 27
1. uflis kvarTi saqarTveloSi 27
2. „samsWvalni xelTani~, „ferxTa ficari~, `Zeli WeSmariti~ da macxovris saxelTan dakavSirebuli sxva siwmindeebi saqarTveloSi 95

Tavi III

yovladwminda RvTismSoblis saxelTan dakavSirebuli siwmindeebi
saqarTveloSi 127
1. RvTismSoblis wilxvdomobis sakiTxisaTvis 127
2. yovladwminda RvTismSoblis kvarTi da mis saxelTan dakavSirebuli sxva siwmindeebi saqarTveloSi 131
3. yovladwminda RvTismSoblis sartyeli 149

Tavi IV

wminda mociqulTa moRvaweoba saqarTveloSi
da maT saxelTan dakavSirebuli siwmindeebi 170

Tavi V

qarTvelTa ganmanaTleblis da mociqulTasworis wminda ninos moRvaweoba
da mis saxelTan dakavSirebuli siwmindeebi 199

Tavi VI

asureli mamebis moRvaweoba da maT
saxelTan dakavSirebuli siwmindeebi 227

Tavi VII

wminda giorgis saxelTan dakavSirebuli siwmindeebi saqarTveloSi 259

Tavi VIII

wminda mamebis saxelTan dakavSirebuli siwmindeebi saqarTveloSi 281